

ბაღახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები
„ჩაბიღიტაჯიისა და კჩაღიტორთა კორეაქტიური
დაკმაყოფილების შესახებ“
საქართველოს კანონის მიხედვით

ქეთევან მესხიშვილი
გიორგი ბათლიძე
ნანა ამისულაშვილი
სერგი ჯორბენაძე



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები
„ჩააბიღიტაჟიისა და პნედიტორთა კოდექტიური
დაკმაყოფილების შინაგან“
საქართველოს კანონის მიხედვით

ქეთევან მესხიშვილი
გიორგი ბათლიძე
ნანა ამისულაშვილი
სერგი ჯორბენაძე

წინამდებარე სახელმძღვანელო გამოქვეყნებულია ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) თანადაფინანსებული პროექტის – „საქართველოს კომერციული სამართლის და პრაქტიკის გაუმჯობესება“ – მხარდაჭერით, რომელსაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ახორციელებს.

ტექსტში გადმოცემული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკომისიის, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროსა (BMZ) და GIZ-ის შეხედულებებს.



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

ავტორები:

ქეთევან მესხიშვილი
გიორგი ბათლიძე
ნანა ამისულაშვილი
სერგი ჯორბენაძე

ენობრივი რედაქტირება
ირინა კვაჭანტირაძე

ტექნიკური უზრუნველყოფა
გვანცა მახათაძე

© GIZ, 2021

გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: lawlibrary.info/ge

ISBN 978-9941-8-3152-2

სარჩევი

შესავალი	9
1. ისტორიული აქსპუნსი	12
ქეთევან მესხიშვილი	
2. გაღახდისუუნარობის საქმის წარმოების მიზანი და პრინციპები	
ქეთევან მესხიშვილი	
2.1. მიზანი	14
2.2. პრინციპები	17
ა) გადახდისუუნარო მოვალის საქმიანობისა და გადახდისუუნარობის მასის სწორი წარმართვა	17
ბ) მოვალის ფინანსური სირთულეების სწრაფი და თანმიმდევრული გადაწყვეტა .	18
გ) პროცესის გამჭვირვალობა და განჭვრეტადობა	18
დ) გადახდისუუნარობის მასისა და ბიზნესის ღირებულების შეძლებისდაგვარად შენარჩუნება და გაზრდა	18
ე) მოვალის რეაბილიტაციის ხელშეწყობა	19
3. გაღახდისუუნარობის საქმის დაწყების საფუძვლები	
ქეთევან მესხიშვილი	
3.1. გადახდისუუნარობის ცნება და გადახდისუუნარობის პრეზუმფცია	21
3.2. სუბიექტები, რომელთა მიმართაც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი ვრცელდება	26
3.3. გადახდისუუნარობის განცხადებით სასამართლოსათვის მიმართვა	28
3.4. გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებობის შემოწმება	31
3.5. გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობის სამართლებრივი შედეგები	33
4. გაღახდისუუნარობის მასა	
ქეთევან მესხიშვილი	
4.1. გადახდისუუნარობის მასაში შემავალი ქონება	44
4.2. გადახდისუუნარობის მასიდან ამოსარიცხი ქონება	47
4.3. დასკვნა	53
5. კრედიტორები	
გიორგი ბათლიძე	
5.1. ზოგადი თეორიული მიმოხილვა	55
5.2. კრედიტორთა მოთხოვნის არსი და კრედიტორთა კატეგორიები	56
5.3. კრედიტორთა დაკმაყოფილება	65
5.3.1. კრედიტორთა დაკმაყოფილების პრინციპები	65

5.3.2. კრედიტორთა დაკმაყოფილება გაკოტრების რეჟიმში	68
5.3.3. რიგითობა	70
5.3.4. კრედიტორთა დაკმაყოფილების თავისებურებები რეაბილიტაციისას	76
5.4. უზრუნველყოფილი კრედიტორები	78
5.4.1. უზრუნველყოფილი კრედიტორის მონაწილეობა გადახდისუნარობის პროცესში .	78
5.4.2. უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება რეაბილიტაციისას	81
5.4.3. უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება გაკოტრების რეჟიმისას	83
5.4.4. უზრუნველყოფილი კრედიტორის განსაკუთრებული უფლებამოსილებები რეგულირებული შეთანხმების პროცესში	84
5.5. კრედიტორთა რეესტრი	84
5.5.1. კრედიტორთა რეესტრის არსი	84
5.5.2. კრედიტორთა რეესტრის შედგენა და წარმოება	86
5.5.3. სადავო კრედიტორულ მოთხოვნებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა	89
5.6. კრედიტორთა მონაწილეობა გადახდისუნარობის პროცესში	91
5.6.1. შესავალი	91
5.6.2. საპროცესო მონაწილეობა	92
5.6.3. კრედიტორთა კრება	93
5.6.4. კრედიტორთა კომიტეტი	95

6. ბაღახდისუნარობის პრაქტიკოსი (უფლება-მოვალეობათა კომპილაცია)

ქეთევან მესხიშვილი

6.1. ზოგადი დებულებები	98
6.2. გადახდისუნარობის პრაქტიკოსის ფუნქციები	101
ა) რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი	101
ბ) რეაბილიტაციის მმართველი/ზედამხედველი	103
გ) გაკოტრების მმართველი	109
დ) პრაქტიკოსის ანაზღაურება	110

7. რეაბილიტაცია

ქეთევან მესხიშვილი

7.1. რეაბილიტაციის ხარვეზები „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის კანონის შესაბამისად	112
7.2. ახალი კანონით გათვალისწინებული სიახლეები	116
7.3. საერთაშორისო სტანდარტისა და პროექტით გათვალისწინებული სიახლეების ურთიერთმიმართება	124

8. გაკოტრება

ქეთევან მესხიშვილი

8.1. გაკოტრება „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ 2007 წლის საქართველოს კანონის შესაბამისად	126
---	-----

8.2. ახალი კანონით გათვალისწინებული სიახლეები	133
---	-----

9. რეგულირებულ შეთანხმება

ნანა ამისულაშვილი

9.1. რეგულირებული შეთანხმების შექმნის ისტორია და რაციონალი	138
9.2. ახალი ინსტრუმენტის დასაბუთება	145
9.3. რეგულირებული შეთანხმების ძირითადი პრინციპები	149
9.3.1. მოქნილობა	149
9.3.2. სამართლიანობა	150
9.3.3. გაკოტრების მინიმუმი პრაქტიკაში	150
9.4. CVA-ს ნაკლოვანებები და უპირატესობები	151
9.5. ევროდირექტივა	152
9.5.1. ადრეული გაფრთხილება და ინფორმაციასთან წვდომა	153
9.5.2. ხელმისაწვდომობა პრევენციული რესტრუქტურირების ჩარჩოებზე	154
9.5.3. მოვალე მართვაში	154
9.5.4. მორატორიუმი	155
9.5.5. მორატორიუმის სამართლებრივი შედეგები	156
9.5.6. რესტრუქტურირების გეგმის ძირითადი შინაარსი	156
9.5.7. რესტრუქტურირების გეგმის მიღება	157
9.5.8. გეგმის დამტკიცება სასამართლოს მიერ	158
9.5.9. კრედიტორთა კლასის ნების შეზღუდვა (cram down)	158
9.5.10. გეგმის გასაჩივრება და სასამართლოს მიერ ბიზნესის შეფასება	160
9.5.11. ახალი და შუალედური დაფინანსება	160
9.5.12. რესტრუქტურირებისა და დაკავშირებული ტრანზაქციების დაცვა	161
9.5.13. დირექტორების პასუხისმგებლობა	161
9.6. რეგულირებული შეთანხმება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით	161
9.6.1. რეგულირებული შეთანხმების სამართლებრივი ბუნება	162
9.6.2. რეგულირებული შეთანხმების პროცედურის წამოწყება	165
9.6.3. რეგულირებული შეთანხმების შეთავაზების შინაარსი	166
9.6.4. საცილო ქმედებები რეგულირებული შეთანხმების პროცედურებში	168
9.6.5. რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი	169
9.6.6. მორატორიუმი	171
9.6.7. მესამე პირების ჩართულობა	172
9.6.8. გაკოტრების მინიმუმი და კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის ტესტი	172
9.6.9. რეგულირებული შეთანხმების დამტკიცება	173
9.6.10. რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების და შესრულების შედეგები	174
9.6.11. დამტკიცებულ რეგულირებულ შეთანხმებაში ცვლილების შეტანა	175
9.6.12. რეგულირებული შეთანხმების შესრულება	175
9.6.13. კრედიტორთა გადაწყვეტილების გასაჩივრება და გაუმართლებელი ზიანი	176
9.6.14. კრედიტორი, რომელსაც კრედიტორთა კრებაზე დასასწრები მოსაწვევი არ გაეგზავნა	178

9.6.15. რეგულირებული შეთანხმების შეწყვეტა 179
9.7. განსხვავება რეგულირებულ შეთანხმებასა და რეაბილიტაციას შორის 180

10. შეცდობა

ქეთევან მესხიშვილი / გიორგი ბათლიძე

10.1. შესავალი 182
10.1.1. საცილო ქმედების არსი 183
10.1.2. შეცილების კანონისმიერი კატეგორიები და რელევანტური პერიოდი 184
10.2. შეცილების პროცესუალური ასპექტები 190
10.2.1. პროცესის მონაწილეები 190
10.2.2. საპროცესო წესი და განხილვის ვადები 192
10.2.3. მტკიცების ტვირთი 192
10.3. შეცილების სამართლებრივი შედეგები 193

11. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კავშირი სხვა

სამართლებრივ ინსტიტუტებთან

სერგი ჯორბენაძე

11.1. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და სისხლის სამართალი 195
11.1.1. გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული დანაშაულები 195
ა) განცხადების წარუდგენლობა და ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების დარღვევა 195
ბ) უკანონო მოქმედება გადახდისუუნარობისას ქონების განკარგვის ჭრილში 197
ბ.ა) ნორმის შინაარსობრივი განმარტება 198
ბ.ბ) ქონების გადაძალა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით 199
ბ.გ) დანაშაულზე ხელის ნებაყოფლობით აღება 199
ბ.დ) განსხვავება 205-ე და 205¹ მუხლებს შორის 200
ბ.ე) გარიგების ფორმა და მტკიცების სირთულე 200
გ) საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა 200
11.1.2. სხვა დანაშაულები გადახდისუუნარობის საქმესთან კავშირში 201
ა) კიბერდანაშაული და გადახდისუუნარობა 201
ბ) თაღლითობა 202
გ) ფულის გათეთრება 203
დ) შეჯამება 203
11.1.3. დანაშაულის ჩამდენ პირთა წრე 204
11.1.4. სისხლის სამართლის საქმის წარმოების შედეგი 206
11.1.5. დაუშვებელი მტკიცებულება 206
11.1.6. მიყენებული ზიანის ანაზღაურება 206
11.1.7. საგამოძიებო ორგანოებისთვის საქმის გადაცემა 206
11.1.8. დამარალებულად ცნობა 207
11.2. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და შრომის სამართალი 208
11.2.1. რეაბილიტაციის ზედამხედველის უფლება-მოვალეობანი 208

11.2.2. გაკორტების/რეაბილიტაციის მმართველის ვალდებულებები დასაქმებულთან მიმართებით	209
11.2.3. დასაქმებულის უფლებების უცვლელობა რეაბილიტაციის რეჟიმისას	210
11.2.4. სანარმოს გადაცემა	211
11.2.5. რეორგანიზაცია	211
11.2.6. მასობრივი დათხოვნა	212
11.2.7. რეაბილიტაციის გეგმა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა	213
ა) დასაქმებულისთვის სასურველი პირობის გათვალისწინება	213
ბ) „სხვა ობიექტური გარემოების“ არსებობა	214
გ) „Ultima Ratio-ს“ პრაქტიკული გამოყენება	214
დ) დანამატი, პრემია, ბონუსი	216
ე) „ხელფასის“ ფართო განმარტება	216
ვ) შვებულების ხარჯების ანაზღაურება	217
ზ) ზეგანაკვეთური სამუშაო	218
თ) წინსწრებით გადახდილი ხელფასის მოთხოვნა	218
ი) მესამე პირისგან მიღებული „ხელფასი“ და პრეფერენციული მოთხოვნა	219
კ) სახელმწიფოსგან კომპენსაციის მიღების შესაძლებლობის არ არსებობა	220
11.2.8. ახალი შეთანხმება	220
11.2.9. რიგითობა	220
11.3. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება სამოქალაქო სამართლის ტრილში	222
11.3.1. უფლების ბოროტად გამოყენება და ზიანის ანაზღაურება	222
11.3.2. შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების შეუძლებლობა	223
11.3.3. ხელშეკრულებიდან გასვლის/ხელშეკრულების მოშლის შედეგები	223
11.3.4. იპოთეკა და გირავნობა	224
11.3.5. პირობადებული საკუთრება	225
11.3.6. პირგასამტეხლო	225
11.3.7. თავდებობა	226
11.3.8. ტერმინის „საცილო“ განმარტება სპეციალური კანონის მიზნებისთვის	226
11.4. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და სამენარმეო სამართალი	226
11.4.1. სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია	226
11.4.2. ლიკვიდაციის პროცესის მიმართება გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან	227
11.4.3. რედომიცილება	228
11.4.4. ცალკეულ მენარმე სუბიექტთა შემთხვევა	228
ა) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების შემთხვევა	228
ბ) სააქციო საზოგადოების შემთხვევა	228
11.4.5. ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობა“	229
ა) გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერების განზოგადება	229
ბ) მოთხოვნა გადახდისუუნარობის მასის სასარგებლოდ	230
11.4.6. გადახდისუუნარობის თაობაზე განცხადების გაკეთება	231

11.4.7. პროკურისტის პასუხისმგებლობა	231
11.4.8. პარტნიორისა და დირექტორის შებლუდვა	231
11.5. გადახდისუნარობისა და საგადასახადო სამართლის მიმართება	232
11.5.1. მორატორიუმი	232
11.5.2. შემოსავლების სამსახური, როგორც კრედიტორი	232
11.5.3. საგადასახადო მოთხოვნები და დავალიანება	232
11.5.4. რიგითობა	233
11.5.5. გადასახადისგან გათავისუფლება გაკოტრების რეჟიმის მიმდინარეობისას	233
11.5.6. დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებანი	234
11.5.7. დამატებული ღირებულების გადასახადი	234
11.5.8. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა და საურავის დარიცხვის საკითხი	235
11.5.9. ცრუმაგიერი პირი	235
11.6. საერთაშორისო კერძო სამართალი და გადახდისუნარობა	235
11.6.1. შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება	236
11.6.2. კრედიტორის უფლებები და ვალდებულებანი	236
11.6.3. საზღვარგარეთ გახსნილი გადახდისუნარობის საქმის წარმოების ცნობა	237
11.6.4. უცხოური საწარმოს გაკოტრება	238

შესავალი

მოქმედ საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ეკონომიკა მოითხოვს მკაფიო და ნათელ წესებს ბაზარზე შესვლისა (საწარმოთა დაფუძნება) და ბაზრიდან მონესრიცხვადი გასვლის (საწარმოთა ლიკვიდაცია) შესახებ. ბაზარზე შესვლა ხორციელდება კომერციული იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური საწარმოების დაფუძნებით, ხოლო გასვლა – აღნიშნულ საწარმოთა ლიკვიდაციით. თუ საწარმო ხდება გადახდისუნარო, მისი არსებობის საკითხის გადაწყვეტა აღარ არის დამოკიდებული მხოლოდ საწარმოს მფლობელის ნება-სურვილზე, ვინაიდან, ერთი მხრივ, არსებობს მომავალი კონტრაქტებისათვის ზიანის მიყენების საფრთხე და, მეორე მხრივ, ჯერ კიდევ არსებული, თუმცა, არასაკმარისი ქონება კრედიტორებს ეკუთვნის.

ჩვეულებრივ, ბიზნესსუბიექტები საკუთარ საქმიანობას ახორციელებენ დამოუკიდებლად, მესამე პირების ჩარევის გარეშე. ეს მიდგომა ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ეკონომიკური წარმატებისა თუ წარუმატებლობის რისკის მატარებელი, ძირითადად, თავად ბიზნესსუბიექტი და მისი პარტნიორები/აქციონერები არიან. ბუნებრივია, კრედიტორული მოთხოვნის ვერდაკმაყოფილების რისკი ეკონომიკური ცხოვრების თანმდევი ფაქტორია და უნდა განვიხილოთ, როგორც ჩვეულებრივი ცხოვრებისეული რისკი. თუმცა, სიტუაცია კარდინალურად იცვლება ბიზნესის სუბიექტის გადახდისუნარობისას. ასეთ დროს, სახეზე გვაქვს ბიზნესის კეთების რისკების ექსტრენალიზაცია ვალაუვალი ბიზნესის კრედიტორების ხარჯზე. უფრო მეტიც, ხსენებული ჩვეულებრივი ცხოვრებისეული რისკი ამ მომენტისათვის, ფაქტობრივად, უკვე რეალიზებულია. გადახდისუნარობის დადგომის მომენტიდან, ეკონომიკური თვალსაზრისით, ბიზნესის დამფინანსებლად გვევლინებიან არა თავად მოვალე და მისი პარტნიორები/აქციონერები, არამედ კრედიტორები. ამდენად, გადახდისუნარობისას მოვალის კრედიტორებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ინტერესი მოვალის ბიზნესის მიმართ და განიხილებიან, როგორც გადახდისუნარობის საქმის წარმოების ეკონომიკური შედეგების მთავარი ადრესატები.¹

გადახდისუნარობის ეფექტიანი კანონმდებლობა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის. მოქნილი მექანიზმების არსებობას და პროცესის განჭვრეტადობას ფინანსური პრობლემების წინაშე მდგომი საწარმოს ფუნქციონირების შენარჩუნებისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სრულყოფილად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს ეკისრება მნიშვნელოვანი როლი და პასუხისმგებლობაც, შექმნას იმგვარი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უპასუხებს არსებულ გამოწვევებს და ხელს შეუწყობს ფინანსური სირთულეების პერიოდში საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას.² სწორედ ამ მიზნით, 2020 წლის 18 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“.

გადახდისუნარობის სისტემის პრინციპებზე, ახალი კანონით დანერგილ პროცედურებზე, მოვალის და კრედიტორების უფლებებსა და კანონმდებლობაში გათვალისწინებულ სხვა მნიშვნელოვან ინსტრუმენტებზე იქნება მიმოხილვა წინამდებარე ნაშრომში.

¹ UNCITRAL Legislative Guide, Part 3, Chapter C1, p. 190.

² განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/245931>.

ახალი კანონი, კლასიკური პროცედურების გარდა, ბიზნესს სთავაზობს მესამე პროცედურას – ადრეული ჩარევის ახალ მექანიზმს. მსგავს პროცედურებს თანამედროვე გადახდისუუნარობის სისტემებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ბიზნესის კრიზისის პირველი ნიშნების გამოვლენის შემდეგ, რაც უფრო ადრეულ ეტაპზე მოხდება მოვალესა და კრედიტორებს შორის არსებულ მოცემულობათა გადახედვა და ანალიზი, კრედიტორთა დაკმაყოფილების მით უფრო მაღალი მაჩვენებელი მიიღწევა და, ამავე დროს, ბევრად მეტია შანსი იმისა, რომ ბიზნესმა თავი დააღწიოს კრიზისს და განაგრძოს ფუნქციონირება.

2019 წლის ივნისის ევროკავშირის დირექტივა (DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019) პრევენციული რესტრუქტურირების ჩარჩოებზე, ვალის პატიებასა და დისკვალიფიკაციაზე (გაუქმებაზე), რესტრუქტურირების პროცესების ეფექტიანობის გაზრდის ღონისძიებებზე წევრ ქვეყნებში, სწორედ, ახალი მექანიზმების დანერგვას ითვალისწინებს. ამ გადასახედიდან კიდევ უფრო იზრდება საქართველოს გადახდისუუნარობის სისტემაში³ შემოტანილი სიახლის მნიშვნელობა, კერძოდ, პროცედურის, რომელიც ფინანსური კრიზისის მოგვარებისათვის ადრეულ ჩარევის მექანიზმს წარმოადგენს. ახალი მექანიზმი – „რეგულირებული შეთანხმება“, შემუშავდა ინგლისისა და უელსის კანონმდებლობის მიხედვით, ამიტომ წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ინგლისისა და უელსის კანონმდებლობაში არსებული ადრეული ჩარევის მექანიზმის ისტორია, რაციონალი და პროცედურების დეტალური აღწერა, ასევე, ქართული კანონის ანალიზი და შედარება ინგლისურ მოდელთან და ევროდირექტივასთან⁴.

გადახდისუუნარობის მომწესრიგებელი ნორმების საკანონმდებლო ცვლილებასთან ერთად, ცვლილება შეეხო გადახდისუუნარობის პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამართლებრივ ინსტიტუტებს და აისახა, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსში, საგადასახადო კოდექსში და სხვ. განსხვავებით „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონისაგან, თითოეული ჩამოთვლილი სამართლებრივი ინსტიტუტის შემთხვევაში, ცვლილება უფრო მეტად ტერმინოლოგიურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის შემთხვევაში, სადაც 207-ე მუხლში ნაცვლად „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ განცხადების შეუტანლობისა“, გაიწერა: „გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარუდგენლობა“, 207¹ მუხლში გაიწერა ტერმინები: „გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველი/ზედამხედველი“. ცხადია, ტერმინოლოგიური ცვლილების მიუხედავად, თითოეულმა დაკავშირებულმა სამართლებრივმა ინსტიტუტმა არ დაკარგა აქტუალობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში.

გარდა სისხლის სამართლის მიმართულებისა, წინამდებარე ნაშრომში განხილულია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციისა და „მენარმეთა შესახებ“ კანონის პროექტის საფუძველზე, არსებული და სამომავლო მოწესრიგების საკითხები. ამ მხრივ, რამდენიმე არსებითი ცვლილებაა გათვალისწინებული „მენარმეთა შესახებ“ კანონის პროექტით, რომელიც ასახავს პოვნებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაზე.

³ რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც ძალში შევა 2021 წლის პირველ აპრილს.

⁴ 2019 წლის ევროკავშირის დირექტივა (DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019) პრევენციული რესტრუქტურირების ჩარჩოებზე, ვალის პატიებასა და დისკვალიფიკაციაზე (გაუქმებაზე), რესტრუქტურირების პროცესების ეფექტიანობის გაზრდის ღონისძიებების შესახებ.

კავშირის განსაზღვრისას მსჯელობა წარმართულია შრომის სამართალთან და საგადასახადო სამართალთან მიმართებით. საქართველოს შრომის კოდექსში, ამ მხრივ, არ არის რაიმე სახის ცვლილება შეტანილი, თუმცა არსებული სამართლებრივი მოწესრიგების გათვალისწინებით, ცალკეული ნორმები შესაბამისად გამოიყენება. რაც შეეხება საგადასახადო სამართალს, სისხლის სამართლის მსგავსად, უმეტესად ტერმინოლოგიურ დაზუსტებას ვხვდებით, თუმცა ცალკეული გადასახადების ფარგლებში, ასევე წესრიგდება ქცევის სპეციალური წესი გადახადისუუნარობის საქმის წარმოების ჭრილში.

ცალკე გამოსაყოფია სამოქალაქო სამართლისა და საერთაშორისო კერძო სამართლის კავშირი. პირველ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის, როგორც სპეციალური კანონის უპირატესობასა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის პერიპეტეებზე, რაც შეეხება საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ურთიერთობას, უშუალოდ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონში მისი ასახვა, ახლებურ სტანდარტს აწესებს ამ მიმართულებით.

1. ისტორიული აქსკურსი

ქეთევან მესხიშვილი

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონმა⁵ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“⁶ საქართველოს კანონით დამკვიდრებული მრავალი მიდგომა შეცვალა. „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი ითხოვდა, რომ **გაკოტრების საფუძველზე ლიკვიდაცია არ უნდა განხორციელებულიყო ისე, რომ მანამდე სანაციის განხორციელების შესაძლებლობა არ ყოფილიყო შემონახული**. აღნიშნულისგან განსხვავებით, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი ამოცანა გაკოტრებისა და რეაბილიტაციის ვადების მნიშვნელოვანწილად შემცირება იყო. შესაბამისად, კანონმა გაითვალისწინა შეუსაბამოდ მცირე ვადები, რომელთა დაცვა პრაქტიკაში იშვიათად ხდებოდა. ამავე კანონის სიახლე მდგომარეობდა იმაში, რომ გაკოტრების საქმის წარმოების, თუ რეაბილიტაციის, დაწყება **სამეურვეო საბჭოს უნდა გადაწყვიტა, რომელიც გადაწყვეტილებას შესაბამისი დასაბუთების გარეშე იღებდა და, ამავე დროს, არ იყო გათვალისწინებული ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა**. აღნიშნული საბჭო სამი წევრისაგან შედგებოდა, რომელთაგან არცერთს არ მოეთხოვებოდა ყოფილიყო პროფესიონალი გაკოტრების მმართველი. უმძიმესი ცვლილება, რომელიც რეფორმის დისკუსიაში, ასევე, გადამწყვეტ როლს ასრულებდა, ეხება მეურვის ფუნქციის აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის გადაცემას. სადავო დისკუსია ეხება არა მხოლოდ აღნიშნულთან დაკავშირებულ ხარჯებს (სააღსრულებო ბიურო დაუყოვნებლივ იღებს მომსახურების საფასურს), არამედ, ასევე, საკითხს, თუ ვინ შეიძლება იყოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში შესაბამისი უფლებამოსილების მქონე (მეურვე/გაკოტრების მმართველი/რეაბილიტაციის მმართველი) და არიან თუ არა ასეთი კომპეტენტური პირები ან ორგანიზაციები საკმარისად ხელმისაწვდომი საქართველოში⁷. ამდენად, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის⁸ ერთ-ერთ ძირეულ ხარვეზად მიიჩნეოდა **მომრიგებელი საბჭოს ფუნქცია-მოვალეობები** და, ამავედროულად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირთა (მეურვე/გაკოტრების მმართველი/რეაბილიტაციის მმართველი) **არასაკმარისი კომპეტენცია, ასევე, მეურვის ფუნქციის გაკოტრების მმართველისათვის ავტომატური გადაცემა**, პროცესთან დაკავშირებული შეუსაბამოდ მაღალი ხარჯები და რაც მთავარია, ის არაგონივრულად მცირე ვადები, რა დროშიც სანარმოთა გაკოტრება ან რეაბილიტაცია უნდა განხორციელებულიყო. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ **აღნიშნული კანონის მთელი არსი მოვალისა და კრედიტორის დაბალანსებულ დაცვაში მდგომარეობდა**. ამავე კანონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ხარვეზად მიიჩნეოდა, ასევე, კრედიტორთა არათანაბარი დაცვის მექანიზმები, რა დროსაც **აქცენტი კეთდებოდა უზრუნველყოფილ კრედიტორებზე**, ხოლო არაუზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებების იგნორირება ხდებოდა.

⁵ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

⁶ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 25/06/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996.

⁷ დ. ონუსაიდი, *პ. შნიტგერი*, „გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმის ძირითადი საკითხები“.

⁸ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში 2018-2020 წლებში შემუშავდა ახალი კანონპროექტი, რომლის მიზანი იყო გადახდისუუნარობის პროცესში ყველა იმ ხარვეზის აღმოფხვრა, რომელსაც შეიცავდა კანონმდებლობა და შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკა. გადახდისუუნარობის კანონმდებლობის მრავალწლიანი რეფორმის ე.წ. პირველი ეტაპი 2020 წლის 18 სექტემბერს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მიღებით დასრულდა და ახალი კანონი 2021 წლის 1 აპრილიდან ანაცვლებს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 28 მარტის კანონს.

თავად ახალი კანონის სახელწოდებიდანაც – „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ – ნათლად ჩანს, რომ კანონის მიზანია იმგვარი სამართლებრივი გარემოს შექმნა, **რომელშიც იარსებებს რეაბილიტაციის წამახალისებელი მექანიზმები** და, ამავდროულად, იმოქმედებს ყველა კრედიტორის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მაქსიმალურად ეფექტიანი და სამართლიანი დაცვის გარანტიები. გარდა ამისა, კანონის მიზანია **სასამართლოსათვის დროული მიმართვიანობის წახალისება**, ვინაიდან კომპანიის ფინანსური კრიზისის საწყის ეტაპზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენების შემთხვევაში, რეაბილიტაციის განხორციელების შესაძლებლობა ბევრად მაღალია. ამავდროულად, **გაზრდილია სასამართლოს როლი**, რაც რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების პროცესს დროში უფრო ეფექტიანს ხდის. ამასთან, კანონით განისაზღვრა „გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის“ პროფესია, რომლის რეგულირების შემოთავაზებული მექანიზმი რეაბილიტაციისა და გაკორტების მმართველთა კვალიფიციურობის ხარისხისა და მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების სტანდარტის ზრდას უზრუნველყოფს, რაც „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის⁹ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზად მიიჩნეოდა. ახალი კანონის ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევა, ერთმნიშვნელოვნად დადებითად აისახება „გადარჩენილ საწარმოთა“ რაოდენობაზე¹⁰ და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკაზე.

⁹ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

¹⁰ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 5.

2. გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების მიზანი და პრინციპები

ქეთევან მესხიშვილი

2.1. მიზანი

თითოეულ სახელმწიფოში ეროვნული კანონმდებლობა თავად წყვეტს, თუ რა მთავარ პრინციპზე დაყრდნობით განავითაროს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება. რეკომენდებულია, რომ ქვეყანაში არსებული გადახდისუნარიანობის სისტემა მაქსიმალურად იყოს მიახლოვებული გადახდისუნარიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან¹¹, საერთაშორისო რეკომენდაციებთან¹² და ა.შ. აღნიშნულ პრინციპს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროცესის სწორად წარმართვის მიზნებისათვის, **რადგან, სწორედ, პრინციპი – „რა არის მთავარი დასაცავი კატეგორია“** – განსაზღვრავს გადახდისუნარიანობის სამართლის სისტემას ქვეყანაში.

„გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი¹³ და „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“¹⁴ საქართველოს კანონი შეიცავდა ზოგად ნორმას, რომლის მიხედვითაც, კანონის მიზანი მოვალისა და კრედიტორის თანაბარუფლებიანი დაცვა იყო. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მიიჩნევა, **რომ მოვალეთა და კრედიტორთა თანაბარუფლებიანი დაცვა მთავარი პრინციპი არ არის, ვინაიდან შესაძლებელია, რომ კრედიტორთა ინტერესი, სრულებით ლეგიტიმურად, უპირატესად იქნეს მიჩნეული.** ამავე კანონების შესაბამისად, საწარმოს გაკოტრებამდე უნდა გადამოწმებული იყოს, შესაძლებელი იყო, თუ არა, მოვალის ფინანსური პრობლემების სხვაგვარად გადაჭრა, ვიდრე მისი ქონების ლიკვიდაციაა. აღნიშნულის შესაბამისად, რეაბილიტაციას, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც, გარკვეული უპირატესობა ენიჭებოდა. ამდენად, აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ზემოხსენებულ კანონთა მიზანი იყო, შეერთებოდა ვალაუვალობის ახალ კანონებში ასახულ მისწრაფებას სიცოცხლისუნარიანი საწარმოების გადარჩენის თაობაზე.¹⁵ თუმცა, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ჯერ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“¹⁶ საქართველოს კანონის, ხოლო შემდგომ, „გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის¹⁷ გაცხადებული მიზანი – რეაბილიტაციის უპირატესობის თაობაზე გაკოტრების რეჟიმთან შედარებით, ფიქცია იყო და ამის არგუმენტად „გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის¹⁸ მე-17 მუხლი სახელდება, რომლის მიხედ-

¹¹ Principles for effective creditor rights and insolvency systems.

¹² <http://www.ebrd.com/downloads/legal/insolvency/principle.pdf>.

¹³ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

¹⁴ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 25/06/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996.

¹⁵ კ. შნიტგერი, რ. მიგრიაული, „გადახდისუნარიანობის შესახებ“ კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011, გვ. 22-23.

¹⁶ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 25/06/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996.

¹⁷ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

¹⁸ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

ვითაც, თუ მოვალე გადახდისუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას, მაშინ კრედიტორთა კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და იწყება გაკოტრების საქმის წარმოება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, მომრიგებელი საბჭოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მოვალე უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება. ამდენად, მე-17 მუხლი ისე უნდა იქნეს გაგებულ, რომ რეაბილიტაციის წარმოება განიხილება, როგორც მოვალისადმი კეთილგანწყობა. თუკი მოვალე თავად განაცხადებს უარს რეაბილიტაციის განხორციელებაზე, მაშინ დაიწყება გაკოტრების წარმოება. აღნიშნული მიდგომა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება 23-ე მუხლში მოცემული წესით – სასამართლოში მოვალის არასაპატიო მიზეზით ორჯერ გამოუცხადებლობა იწვევს სავალდებულო გაკოტრების საქმისწარმოების დაწყებას¹⁹. შემდგომში, გაკოტრების უპირატესობა იქიდანაც გამომდინარეობს, რომ რეაბილიტაციის წარმოებისათვის ძალზე მაღალი წინააღმდეგობა დაწესებულია. მაგალითად, მაშინაც კი, როცა მომრიგებელი საბჭო მოიწონებს რეაბილიტაციის გეგმას, მისი განხორციელება ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის თანხმობაზე დამოკიდებულია. გარდა ამისა, რეაბილიტაციის წარმოებაში მოვალის ვალებისაგან გათავისუფლება ან ვალების რესტრუქტურირება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ყველა კრედიტორის თანხმობით განხორციელდეს. სწორედ ეს იყო „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ის წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლება ვერ გადაილახოს ვალაუვალობის საქმის წარმოებისას²⁰. ამდენად, ცხადია, რომ „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის²¹ პირველი მუხლით გაცხადებული მიზანი მოვალისა და კრედიტორების ინტერესების თანაბარზომიერი დაცვისა და შესაძლებლობის შემთხვევაში, მოვალის ფინანსური სიძნელეების გადაჭრის თაობაზე, ფიქციაა, და რეალურად, აღნიშნული კანონის პრიორიტეტი მოვალის ინტერესებში გაკოტრების საქმის წარმოებაა.

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ კანონის მიზანს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა გამოიკვეთოს კანონის პრიორიტეტი და სამოქმედო გეგმა. ამ მიმართებით, „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონს²², როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვანი ხარვეზები ჰქონდა, რაც გამოსწორებულ იქნა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით, კერძოდ, ახალი კანონის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევის, ხოლო რეაბილიტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში – გადახდისუნარობის მასის რეალიზაციიდან მიღებული თანხების განაწილების გზით²³. ამდენად, **ახალი კანონის მიზანია კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილება უპირატესად რეაბილიტაციის და არა საწარმოს გაკოტრების გზით, ხოლო მას შემდეგ, რაც რეაბილიტაციის შეუძლებლობა დადასტურდება, გადახდისუნარობის მასის რეალიზაციიდან მიღებული თანხების განაწილების გზით.** აღნიშნული მიზნების მიღწევა შესაძლებელია მართლოდენ გადახდი-

¹⁹ კ. შნიტგერი, რ. მიგრიაული, „გადახდისუნარობის შესახებ“ კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011, გვ. 22-23.

²⁰ იქვე, გვ. 23.

²¹ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

²² საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

²³ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020) (მუხლი 1).

სუენარობის საქმის წარმოების პრინციპების ეფექტიანად დაცვის გზით. აღნიშნული პრინციპები გათვალისწინებულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით, რომლის მიხედვითაც, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პრინციპებია: გადახდისუუნარო მოვალის საქმიანობისა და გადახდისუუნარობის მასის სწორი წარმართვა; მოვალის ფინანსური სირთულეების სწრაფი და თანმიმდევრული გადაწყვეტა; პროცესის გამჭვირვალობა და განჭვრეტადობა; გადახდისუუნარობის მასისა და ბიზნესის ღირებულების შეძლებისდაგვარად, შენარჩუნება და გაზრდა; მოვალის რეაბილიტაციის ხელშეწყობა; მსგავსი მოთხოვნების მქონე კრედიტორების მიმართ თანაბარი მოპყრობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „გადახდისუუნარობის საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით გაცხადებული მიზანი იყო მოვალისა და კრედიტორების თანაბარ უფლებიანი დაცვა. ამგვარად განსაზღვრული მიზნის პირობებში, სასამართლო გადაწყვეტილებებში განმარტებულია, რომ მოვალე უფლებამოსილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვოს გაკოტრება, რაც კრედიტორთა კრებაზე გაკოტრების მმართველის დანიშვნისა და გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების საფუძველია. ამგვარი მოთხოვნის არარსებობის პირობებში, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შედეგების თაობაზე გადაწყვეტილებას მომრიგებელი საბჭო იღებს. მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილება გაკოტრების ან რეაბილიტაციის შესახებ მიიღება მის მიერ მოვალის ქონების, მისი შემდგომი საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივის, კრედიტორთა უფლებების და მათი მოთხოვნების ოპტიმალურად დაკმაყოფილების შესაძლებლობის გათვალისწინებით. ამასთან, მომრიგებელი საბჭო ხელმძღვანელობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ძირითადი პრინციპით – თანაბარზომიერად დაიცვას მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესები. სწორედ მოვალეთა და კრედიტორთა ინტერესების თანაბარზომიერ დაცვას ემსახურება მომრიგებელი საბჭოს პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტება. თუმცა, ამავდროულად, ისიც აღსანიშნავია, რომ განმცხადებლის მოთხოვნა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე, იმთავითვე გულისხმობს იმას, **რომ განმცხადებლის ყველაზე პარიტეტულ მიზანს სწორედ რეაბილიტაცია წარმოადგენს**. ამგვარ მოცემულობაშიც, რიგ შემთხვევებში, გაკოტრება, როგორც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ერთ-ერთი შედეგი, მოვალის ქონებისა და კრედიტორთა მოთხოვნების მოცულობის გათვალისწინებით, გარდაუვალია. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, მოვალეს გაკოტრება არ მოუთხოვია, არამედ კრედიტორმა მიმართა სასამართლოს მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის დაწყების თაობაზე განცხადებით, **რაც იმას ნიშნავს, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შედეგად რეაბილიტაციის, გაკოტრებისა, თუ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ** გადაწყვეტილება მიღებულ იქნება ყველა იმ შესაძლო პერსპექტივის შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე, რაც საბოლოოდ, მოვალისა და კრედიტორების ინტერესების თანაბარზომიერად დაცვას შეუწყობს ხელს²⁴.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის ფარგლებში, **თუ მოვალე გაკოტრებას არ ითხოვს, გაკოტრების თაობაზე გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღება, რაც მომრიგებელი საბჭო მოვალის რეაბილიტაციის შესაძლებლობას გამოიყენებს**. თუმცა, განსხვავებულია პრიორიტეტები. კერძოდ, „გადახდისუუნარობის საქმის

²⁴ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03.09.2018 განჩინება, საქმეზე №2ბ/2589-18.

წარმოების შესახებ“ კანონით, მოვალისა და კრედიტორთა ინტერესები თანაბარუფლებიანად არის დაცული, მაშინ, როდესაც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის უპირატესი მიზანი მოვალის რეაბილიტაციის გზით კრედიტორების კოლექტიური დაკმაყოფილებაა. მოვალის რეაბილიტაციის პრიმატზე აქცენტის გაკეთება სულაც არ ნიშნავს, რომ გადახდისუნარობის კანონმდებლობა „მოვალეზე ორიენტირებული“, არამედ რეაბილიტაციის უპირატესობის ხაზგასმით ხდება ისეთი პრიორიტეტების აქცენტირება, როგორცაა საწარმოს გადარჩენა, სამუშაო ადგილების შენარჩუნება და ა.შ. რეაბილიტაცია, მოვალის დაცვაზე მეტად, უხეში ეკონომიკური რყევების თავიდან აცილებასა და დასაქმებულთა სოციალური უფლებების დაცვას ემსახურება²⁵.

მიუხედავად იმისა, გადახდისუნარობის კანონს რა სახის ლეგიტიმური მიზანი აქვს დასახული, იქნება ეს მოვალის გადარჩენა, თუ კრედიტორთა უპირატესი დაცვა, გადახდისუნარობის პროცესის ლეგიტიმაციისათვის აუცილებელია, რომ დაცული იყოს გადახდისუნარობის სამართლის შემდეგი ძირეული პრინციპები, გადახდისუნარობის ე.წ. *jus cogens*, კერძოდ, პროცესების განჭვრეტადობა, გამჭვირვალობა და კრედიტორების რიგის მიხედვით, კოლექტიური დაკმაყოფილება²⁶.

2.2. პრინციპები

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი გადახდისუნარობის *jus cogens* პრინციპებს აკონკრეტებს. კერძოდ, ეს პრინციპებია:

ა) გადახდისუნარო მოვალის საქმიანობისა და გადახდისუნარობის მასის სწორი წარმართვა

გადახდისუნარო მოვალის საქმიანობის სწორი წარმართვა რეაბილიტაციის საფუძველია. რეაბილიტაციის მიზანი მიღწეული ვერ იქნება, თუ რეაბილიტაციის პროცესი ეფექტიანად არ წარმართა. სწორი და სრულფასოვანი რეაბილიტაციის წინაპირობა კი, **რეაბილიტაციის გეგმა**, რომელიც, ერთი მხრივ, მოვალის გადარჩენაზე ორიენტირებული და, მეორე მხრივ, კრედიტორების კოლექტიურ, თანმიმდევრულ დაკმაყოფილებაზე²⁷. აღნიშნულ მიზანს ემსახურება რეაბილიტაციის მიზნებისათვის **მოვალის მართვაში დატოვება**, ანუ საწარმოს გადასარჩენად მოვალის რესურსის, მისი ინფორმირებულობის, საქმიანი უნარების, მისი კონტაქტების და საქმიანობის გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენება. თუმცა, რაღა თქმა უნდა, ზედამხედველთან შეთანხმებით²⁸. აქვე, აღსანიშნავია, რომ **რეაბილიტაცია პანაცეა არ არის**. ეფექტიანი რეაბილიტაციის კომპონენტია რეაბილიტაციის პროცესის დროული შეწყვეტა, როდესაც იმთავითვე ცხადია, რომ რეაბილიტაციას შედეგი არ მოყვება²⁹.

²⁵ Orderly & Effective, Insolvency Procedures, Key Issues, Legal Department, International Monetary Fund 1999, <https://www.imf.org/external/pubs/ft/orderly/index.htm>

²⁶ *ibid.*

²⁷ UNCITRAL, Legislative Guide oo Insolvency Law, United Nations, New york, 2005, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

²⁸ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი (მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020) (მუხლი 1).

²⁹ UNCITRAL, Legislative Guide oo Insolvency Law, United Nations, New york, 2005, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

ბ) მოვალის ფინანსური სირთულეების სწრაფი და თანმიმდევრული გადაწყვეტა

მოვალის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება თავად მოვალის ინტერესებშია, თუმცა, გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნა და აღნიშნული წარმოების გახსნის შემდგომი პროცედურების მთავარი მიზანი, მოვალის რეაბილიტაციის გზით, კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილებაა. გადახდისუნარობის საფუძვლების გამოვლენისთანავე, რაც უფრო ადრეულ ეტაპზე ხდება გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნა, მით უფრო მარტივად მისაღწევია სანარმოს სანაციის გზით, კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზანი. სწორედ, აღნიშნულ იდეას ემსახურება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ ახალი კანონით³⁰ გათვალისწინებული შესაძლებლობა, ვალაუვალობის პრეზუმფციის დაშვების თაობაზე. აღნიშნული პრეზუმფცია **კრედიტორს ვალაუვალობის ნიშნების გამოვლენის ადრეულ ეტაპზევე აქტიური მოქმედების**, კერძოდ, სასამართლო-სათვის გადახდისუნარობის განცხადებით მიმართვის უფლებას აძლევს. იმ შემთხვევაში, თუ მოვალე, საწინააღმდეგო მტკიცებულების წარმოდგენის გზით, ვალაუვალობის პრეზუმფციას ვერ გააქარწყლებს, ვალაუვალობა დადასტურებულად მიიჩნევა.

გ) პროცესის გამჭვირვალობა და განჭვრეტადობა

პროცესის გამჭვირვალობისა და განჭვრეტადობის პრინციპი სხვადასხვა პრიმმაში შეიძლება იქნეს განხილული. ეს **პირველ რიგში**, საკანონმდებლო რეგულაციების სიციხადესა და სასამართლო პრაქტიკის თანმიმდევრულ, ლოგიკურ განვითარებას გულისხმობს, **მეორე რიგში**, პროცესის გამჭვირვალობა და განჭვრეტადობა აღნიშნულში მონაწილე მხარეებისათვის, საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, პროცესის მიმდინარეობაზე წვდომას ნიშნავს, რასაც ელექტრონული წარმოება და გადაწყვეტილებათა მოქმედების ვალდებულება უზრუნველყოფს. **მესამე რიგში კი**, პროცესის გამჭვირვალობა და განჭვრეტადობა გარანტია იმისა, რომ მოვალემ მასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია გაასაჯაროვოს, რათა რეაბილიტაციის ეფექტიანი პროცესი წარიმართოს³¹. ინფორმაციის საჯაროობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროცესია ინვესტორებისათვის, რათა მათ ინვესტიციის ეკონომიკური შედეგები განჭვრიტონ³².

დ) გადახდისუნარობის მასისა და ბიზნესის ღირებულების შეძლებისდაგვარად შენარჩუნება და გაზრდა

მოვალის გადარჩენისათვის ბიზნესის შენარჩუნება, მისი საქმიანობის გაგრძელება ან აღდგენა სხვადასხვა გზითაა შესაძლებელი, თუმცა, ყველა მცდელობა მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ გადახდისუნარობის მასა, შეძლებისდაგვარად, შენარჩუნდეს ან გაიზარდოს. აღნიშნული მიზნის მიუღწევლობის მაღალი ალბათობა რეაბილიტაციის მიზანშეწონილობას გამორიცხავს, რადგან კრედიტორებს იმ არსებულ მასასაც დააკარგვინებს, რაც შეიძლებოდა მათ დაკმაყოფილებას მოხმარებოდა. ამ მიმართებით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეაბილიტაციის გეგმას, რომელიც, თავის მხრივ, ბიზნესგეგმის ანალოგია, იმ სირ-

³⁰ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი (მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020).

³¹ Orderly & Effective, Insolvency Procedures, Key Issues, Legal Department, International Monetary Fund 1999, <https://www.imf.org/external/pubs/ft/orderly/index.htm>, p. 16.

³² *ibid.*

თულებების გათვალისწინებით, რაც არა დამწყებ, არამედ უკვე „მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის“ მქონე მოვალე კომპანიას გააჩნია. ასეთ დროს, კრედიტორები, ისევე, როგორც ინვესტორები სრულ და დაუფარავ ინფორმაციას უნდა ფლობდნენ მოვალე კომპანიის დეფოლტის თაობაზე, რათა მათ ეფექტიანი ინვესტირება განახორციელონ და ინვესტირების შედეგი განჭვრეტადი გახდეს.

ე) მოვალის რეაბილიტაციის ხელშეწყობა

მოვალის რეაბილიტაციის მიზნებისთვის, ხშირად, ეფექტიან მექანიზმად მისი რეორგანიზაცია სახელდება, რა დროსაც, ინვესტორი ძველი პარტნიორების წილის შემცირების ხარჯზე შეიძლება ახალი პარტნიორი გახდეს, ამავდროულად, მოხდეს ხარჯების ოპტიმიზაცია და შტატების შემცირება – დანახარჯების მინიმიზება, რა დროსაც კომპანია, როგორც წესი, არასაჭირო მიმართულებების განვითარებაზე ამბობს უარს. როდესაც გადასაწყვეტია საკითხი, რეაბილიტაცია თუ ლიკვიდაცია, მხედველობაში მისაღებია, ასევე, რა არის გადამწყვეტი კომპანიის ფუნქციონირებისათვის. თუ კომპანიას ფიზიკურ აქტივზე მეტი ადამიანური რესურსი აქვს და ძირითად საქმიანობას, სწორედ, ადამიანურ რესურსსა და ტექნოლოგიებზე დაყრდნობით ახორციელებს, ასეთ შემთხვევაში, მისი რეაბილიტაცია უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე მისი ლიკვიდაცია. რეაბილიტაციის მიზანშეწონილობა სახეზეა მაშინაც, როდესაც კომპანიას ღირებული გუდვილი აქვს³³.

³³ UNCITRAL, Legislative Guide oo Insolvency Law, United Nations, New york, 2005, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf, p. 42.

3. გადახდისუნარიობის საქმის დაწყების საფუძვლები

ქეთევან მესხიშვილი

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით³⁴ განსაზღვრულია გადახდისუნარიობის საქმის დაწყების საფუძვლები, კერძოდ, **გადახდისუნარიობის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია მოვალის გადახდისუნარიობა, აგრეთვე, მოსალოდნელი გადახდისუნარიობა. ამასთან, ეს უკანასკნელი საფუძველი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მხოლოდ, რეაბილიტაციის რეჟიმის მოთხოვნის შემთხვევაში, ხოლო გაკოტრების მოთხოვნა, მოსალოდნელი გადახდისუნარიობის საფუძველით, მხოლოდ მოვალეს შეუძლია.**

გადახდისუნარიობის საქმის წარმოება შეიძლება წარიმართოს ორი სხვადასხვა გზით: რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმით. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ **გადახდისუნარიობის საქმის წარმოება იწყება რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განცხადების სასამართლოში წარდგენით**, განსხვავებით „გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონისაგან³⁵, რომლის მიხედვითაც, ცენტრალურ საკითხს – გაკოტრების წარმოება უნდა განხორციელებულიყო თუ რეაბილიტაცია – მომრიგებელი საბჭო წყვეტდა³⁶.

გადახდისუნარიობისა და მოსალოდნელი გადახდისუნარიობის ცნებები განმარტებულია კანონის³⁷ მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს **გადახდისუნარიობის პრეზუმფციას**. კანონით მოცემულია იმ გარემოებათა არასრული ჩამონათვალი, რომელთა არსებობის შემთხვევაში განმცხადებელს ეძლევა შესაძლებლობა, მიმართოს სასამართლოს მოვალის მიმართ შესაბამისი რეჟიმის გახსნის მოთხოვნით, რაც **ხელს შეუწყობს სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებას მოვალის დეტალური ფინანსური მდგომარეობის შესახებ კრედიტორის ნაკლებად ინფორმირებულობის პირობებშიც**. მეორე მხრივ, აღნიშნული პრეზუმფცია გაქარწყლდება საპირისპირო ინფორმაციის წარდგენით, რომლითაც დადასტურდება, რომ მოვალე არ არის გადახდისუნარო ამავე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, რაც გამორიცხავს ხსენებული პრეზუმფციის ბოროტად გამოყენებას და უსაფუძვლო წარმოების დაწყებას³⁸.

³⁴ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 6).

³⁵ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

³⁶ *პ. შნიტგერი, რ. მიგრიაული*, „გადახდისუნარიობის შესახებ“ კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011, გვ. 102.

³⁷ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 7).

³⁸ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 7.

3.1. გადახდისუუნარობის ცნება და გადახდისუუნარობის პრეზუმფცია

მოვალე გადახდისუუნაროა, თუ იგი ვერ ფარავს ვადამოსულ ვალდებულებებს. **მოსალოდნელი გადახდისუუნარობა სახეზეა**, თუ არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მოვალე გახდება გადახდისუუნარო. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მიზნებისთვის, საპირისპიროს დამტკიცებამდე, **ივარაუდება, რომ მოვალე გადახდისუუნაროა, თუ სახეზეა ერთ-ერთი შემდეგი გარემოება**³⁹:

- ა) **მოვალის მთლიანი ვალდებულებების ჯამი**, სამომავლო და პირობითი ვალდებულებების ჩათვლით, **აღემატება მთლიანი აქტივების ჯამს**, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ მოვალე გააგრძელებს საქმიანობას. გადახდისუუნარობის არსებობის დადგენის მიზნებისთვის, ვალდებულებები სამომავლო და პირობით ვალდებულებებსაც მოიცავს, გარდა მოვალეზე პარტნიორის მიერ გაცემული სესხებისა (*ბალანსის ტესტი*);
- ბ) სავარაუდოა, რომ მოვალე შემდგომი **30 დღის განმავლობაში ვერ დაფარავს** ვადამოსულ ვალდებულებებს, რადგან მისი ვადამოსული ვალდებულებების ჯამი არანაკლებ 20%-ით აღემატება მთლიანი ლიკვიდური აქტივის ჯამს (ლიკვიდობის დეფიციტი), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ მოვალე, დროის გონივრულად მცირე მონაკვეთში, შეძლებს მთლიანად ან არსებითად მთლიანად აღმოფხვრას ლიკვიდობის დეფიციტი;
- გ) მოვალე იმყოფება, ან განცხადების შეტანამდე ბოლო 12 თვის განმავლობაში იმყოფებოდა **მოვალეთა რეესტრში**;
- დ) მოვალემ **შეაჩერა საქმიანობა**;
- ე) მოვალის მიმართ განცხადების შეტანამდე არანაკლებ 30 დღის განმავლობაში მოქმედებს **საკადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის** ღონისძიება;
- ვ) მოვალის ან მესამე პირის ვალდებულებების შესრულების მიზნით, უზრუნველყოფის ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველით, **დაიწყო მოვალის ქონების რეალიზაციის პროცესი**, რომლის გაგრძელება საფრთხეს შეუქმნის სხვა კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ამდენად, მოვალის **გადახდისუუნაროდ მიჩნევის მიზნებისათვის, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მოვალის შესაძლებლობას დაფაროს ვადამოსული ვალდებულებები**. საწინააღმდეგოს დადასტურებამდე, ივარაუდება, რომ მოვალემ შეიძლება ვერ დაფაროს ვადამოსული ვალდებულებები, **თუ მოვალის მთლიანი ვალდებულებების ჯამი აღემატება მოვალის მთლიანი აქტივების ჯამს**. მოცემულ შემთხვევაში, მხედველობაში არ მიიღება, თუ რომელი ვალდებულებაა ვადამოსული და რომელი სამომავლო, არც იმ გარემოების გათვალისწინება ხდება, თუ მოვალის რომელი აქტივია ლიკვიდური და რომელი არა. აღნიშნული პრეზუმფციის დაშვებისათვის მნიშვნელოვანია, რომ დაჭამდეს მოვალის აქტივები და პასივები (*ბალანსის ტესტი*). იმ შემთხვევაში თუ მოვალის პასივები აღემატება აქტივებს, ერთვება გადახდისუუნარობის პრეზუმფცია, რისი გაქარწყლებაც მოვალეს შეუძლია მტკიცებით, რომ ნამეტი პასივების პირობებში იგი შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას.

³⁹ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 7).

გადახდისუუნარობის პრეზუმფციის დაშვების მიზნებისათვის კიდევ ერთი ხერხი გამოიყენება, რომელიც აღნიშნული პრეზუმფციის მთავარ ინდიკატორად კვლავ ვალდებულებებისა და აქტივების ურთიერთმიმართების ტესტს იყენებს, თუმცა, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება **ვადამოსული ვალდებულებების მოკლე ვადაში, კერძოდ, შემდგომ 30 დღეში დაფარვის შეუძლებლობას ექცევა**, თუმცა, აღნიშნული ვარაუდი გამყარებული უნდა იყოს მტკიცებით მასზე, რომ **მოვალის ვადამოსული ვალდებულებების ჯამი არანაკლებ 20%-ით აღემატება მთლიანი ლიკვიდური აქტივის ჯამს**. მითითებული პრეზუმფცია გაქარწყლდება, თუ მოვალე დაამტკიცებს, რომ იგი მოკლე ვადაში შეძლებს ლიკვიდობის დეფიციტის აღმოფხვრას.

ბალანსის ტესტისა თუ ლიკვიდობის დეფიციტის გამოყენება დაკავშირებულია მოვალის ვალდებულებებისა და აქტივების ურთიერთმიმართების შეფასებასთან, რაც, თუნდაც, პრეზუმფციის დაშვების დონეზეც კი, კრედიტორის მხრიდან შედარებით რთულად სამტკიცებელი კატეგორიაა. შედარების მიზნებისათვის, არსებობს გადახდისუუნარობის პრეზუმფციის დაშვების ისეთი შესაძლებლობებიც, რომელიც არსებულ რეალობას აღწერს და კრედიტორისათვის უფრო მარტივად იდენტიფიცირებადია, მაგალითად, გადახდისუუნარობის პრეზუმფციისათვის საკმარისია ფაქტის მითითება – დადასტურება მასზე, რომ **მოვალე იმყოფება ან განცხადების შეტანამდე ბოლო 12 თვის განმავლობაში იმყოფებოდა მოვალეთა რეესტრში, ან მოვალემ შეაჩერა საქმიანობა, ან მოვალის მიმართ განცხადების შეტანამდე არანაკლებ 30 დღის განმავლობაში მოქმედებს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა**. გადახდისუუნარობის პრეზუმფციის დაშვებისათვის საკმარისია, ასევე, ფაქტის მითითება – დადასტურება მასზე, რომ **მოვალის ქონების მიმართ სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს, რაც კრედიტორის შემდგომ დაკმაყოფილებას საფრთხეს უქმნის**.

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ არცერთი ზემოაღწერილი გარემოება **ვალაუვალობის პრეიუდიციას არ ქმნის**, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორის მიერ მოვალის ვალაუვალობის თაობაზე მითითებული ფაქტები მოვალის მხრიდან გაქარწყლებას ექვემდებარება. ვალაუვალობის პრეზუმფციის დაშვების შესაძლებლობა კი იმითაა გამართლებული, რომ **კრედიტორს ვალაუვალობის ნიშნების გამოვლენის ადრეულ ეტაპზევე აქტიური მოქმედების, კერძოდ, სასამართლოსათვის გადახდისუუნარობის განცხადებით მიმართვის უფლება ეძლევა**, რის შედეგადაც მოვალის მიერ საინანააღმდეგო მტკიცებულების წარმოდგენის გზით ვალაუვალობის პრეზუმფციის გაქარწყლების შეუძლებლობის პირობებში, ვალაუვალობა დადასტურებულად მიიჩნევა. **აღნიშნული წესი გადახდისუუნარობას ადრეულ ეტაპზევე ავლენს, რა დროსაც მოვალის გადარჩენის მეტი თეორიულ-პრაქტიკული შესაძლებლობა არსებობს**.

გადახდისუუნარობის პრეზუმფციის დაშვება და აღნიშნული პრეზუმფციის პირობებში, ადრეულ ეტაპზევე, სასამართლოსათვის გადახდისუუნარობის განცხადებით მიმართვის შესაძლებლობა მოვალის რეაბილიტაციის გზით კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება. თუმცა, აღნიშნული უფლება კეთილსინდისიერად უნდა იქნეს გამოყენებული, რადგან არაკეთილსინდისიერი განზრახვის პირობებში განმცხადებელმა მითითებული შესაძლებლობის გამოყენებით შეიძლება ზიანი მიაყენოს მოვალეს. არაკეთილსინდისიერ მიზნებს შორის შეიძლება იყოს, მოვალის საქმიანობის შეჩერება, მისი ხელოვნურად გადახდისუუნარობამდე მიყვანა და ა.შ., ამიტომ, ნიშანდობლივია,

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესი მასზედ, რომ თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის/გაკორტების რეჟიმის გახსნის თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის შემდეგ გამოვლინდა, რომ მოვალე თავიდანვე არ ყოფილა გადახდისუუნარო/მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი, სასამართლო უფლებამოსილია, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, განმცხადებელს დააკისროს განცხადების შეტანით მოვალის ან/და კრედიტორებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თუ გამოვლინდა ერთ-ერთი შემდეგი გარემოება: ა) განცხადება შეტანილ იქნა განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდების ან ინფორმაციის დამალვის შედეგად; ბ) მოვალის მიერ განცხადების წარდგენა მიზნად ისახავს კრედიტორისათვის მის მიმართ ინდივიდუალური ქმედებების განხორციელებაში ხელშეშლას; გ) განცხადების წარდგენის მიზანია მორატორიუმის ბოროტად გამოყენება ან კრედიტორის, მოვალის ან მესამე პირთა უფლებების სხვაგვარი დარღვევა. ზიანის ოდენობას განსაზღვრავს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების განმხილველი სასამართლო⁴⁰.

ამდენად, თუ დადასტურდება, რომ განმცხადებელი გადახდისუუნარობის განცხადებით მოვალისათვის ან/და კრედიტორისათვის **ზიანის მიყენებას ისახავდა მიზნად**, ასეთ შემთხვევაში, ამავე პროცესში სასამართლო, მოვალის ანდა კრედიტორს მოთხოვნით, განმცხადებელს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს, რაც ამავე წარმოების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, საერთო წესით, კერძო საჩივრით საჩივრდება. განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის განზრახვა მოვალისათვის ზიანის მიყენების თაობაზე, საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, რთულად სამტკიცებელი კატეგორიაა, თუმცა, მოვალის ანდა კრედიტორის მხარეს არსებული მტკიცების ტვირთი განმცხადებლისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე რეალიზებულად ჩაითვლება, თუ ის შეძლებს დადასტურებას, რომ იგი (მოვალე) გადახდისუუნარო/მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი **თავიდანვე არ ყოფილა და განმცხადებელმა ეს ინფორმაცია იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, ამასთან, გადახდისუუნარობის განცხადებით სასამართლოსათვის მიმართვის სამართლებრივი შედეგები (გადახდების შეწყვეტა, ქონების დაყადაღება და ა.შ.) განმცხადებლის ინტერესებში შედიოდა**. მოვალის მტკიცების საგანში შემავალი კატეგორიაა, ასევე, იმ **ზიანის ოდენობაც**, რომელიც მის წინააღმდეგ გადახდისუუნარობის განცხადებით სასამართლოსათვის მიმართვამ გამოიწვია.

შესაბამისად, თუ განმცხადებელს ზიანის მიყენების განზრახვა დაუდასტურდა, **მას ამავე წარმოების ფარგლებში, როგორც საპროცესო ხარჯები, ასევე, ზიანის ანაზღაურება დაეკისრება**. თუ განმცხადებელი, წინასწარი განზრახვის გარეშე, სასამართლოს გადახდისუუნარობის განცხადებით მიმართავს, მაგრამ მოვალეს გადახდისუუნარობის მდგომარეობა არ დაუდასტურდება, ასეთ შემთხვევაში, საპროცესო ხარჯების გადახდა განმცხადებელს დაეკისრება, გარდა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის საფასურისა, რომელიც მოვალეს გადახდება.

არაკეთილსინდისიერი განმცხადებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით, დღის წესრიგში დგება ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, როდის უნდა

⁴⁰ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 18).

იქნეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარდგენილი. საფიქრებელია, რომ აღნიშნული მოთხოვნა **თანმდევნი ანდა შემადგენელი უნდა იყოს გადახდისუუნარობის დასაშვებად ცნობის განჩინების გაუქმების**. ამიტომ, სავარაუდოა, რომ მას შემდეგ, რაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გააუქმებს გადახდისუუნარობის დასაშვებად ცნობის განჩინებას, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა მიეცეს მსჯელობის შესაძლებლობა, ანუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ საქმე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს უნდა დაუბრუნოს, რათა პირველი ინსტანციის სასამართლომ ზიანის ანაზღაურებაზე იმსჯელოს და აღნიშნულ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება ზემდგომ ინსტანციაში კერძო საჩივრით გასაჩივრდეს. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ზიანის ნაწილში მსჯელობის მიზნით, საქმის ქვედა ინსტანციის სასამართლოსათვის დაბრუნება რელევანტურია მაშინ, როდესაც პირველი ინსტანცია ამ საკითხზე არ (ვერ) მსჯელობს შესაბამისი მოთხოვნის არარსებობის გამო. სხვა შემთხვევაში, იმ დაშვებით, რომ კერძო საჩივარი გადახდისუუნარობის საქმეებში ჯერ პირველი ინსტანციის სასამართლოში იხილება, ზიანის საკითხი შეიძლება პირველი ინსტანციის სასამართლომაც განიხილოს.

ნათელია, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოსათვის, ზიანის ნაწილში მსჯელობის მიზნით, საქმის დაბრუნების პროცედურა მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება, რომ პირს, რომელსაც გადახდისუუნარობის განცხადებით მიმართვის გამო ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, აღნიშნული განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა, ერთჯერადად მაინც, მიეცეს. საწინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაში, მეტად სავარაუდოა, რომ ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის სამართლიანი სასამართლოს უფლება დაირღვევა, რადგან მას ზიანის ანაზღაურება ისეთი პროცედურის შედეგად დაეკისრება, როცა მისი მხრიდან მასზე ზიანის დაკისრების გასაჩივრება გამოირიცხება, რაც დაუშვებელია.

საიდან შეიძლება წარმოიშვას ზიანი? ამ მიმართებით საგულისხმოა, რომ ზიანი, ძირითადად, მორატორიუმის თანმდევნი შედეგი შეიძლება იყოს. მორატორიუმი კი ამუშავებას გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობის შედეგად იწყებს. გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობა მხარემ (ანდა ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა) შეიძლება კერძო საჩივრით გაასაჩივროს. კერძო საჩივრის შეტანა არ აჩერებს განჩინებით გათვალისწინებულ საპროცესო მოქმედებას ანდა ამავე განჩინებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომას. იმ შემთხვევაში, თუ განჩინების აღსრულებით შეუქცევადი სამართლებრივი შედეგები დადგება ანდა ასეთი შედეგების დადგომის სამართლებრივი საფრთხე შეიქმნება, მეტად სავარაუდოა, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ აღნიშნული განჩინების მოქმედება შეაჩეროს. აღნიშნული საპროცესო ქმედების სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 418-ე მუხლი იქნება, მით უფრო, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმართ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გამოყენება დასაშვებია, თუ სპეციალური კანონი არ შეიცავს შესაბამისი საკითხის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმას და თუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გამოყენება არ ეწინააღმდეგება ამ კანონის მიზნებსა და პრინციპებს. ამდენად, კერძო საჩივრით სადავოდ გამხდარი განჩინების მოქმედების შეჩერება დასაშვები უნდა იყოს, თუ შეჩერება არ ეწინააღმდეგება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებსა და პრინციპებს.

ამდენად, თუ პირი ფიქრობს, რომ გადახდისუუნარობის განცხადება მისთვის განზრახ ზიანის მოტანას ემსახურებოდა, ასეთ შემთხვევაში, მისთვის ზიანი მას შემდეგ დადგება, თუ გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობის შედეგად მორატორიუმის ღონისძიებები ამუშავდება, შესაბამისად, პირს, რომელიც გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებას კერძო საჩივრით სადავოდ ხდის, ამავდროულად, უფლება აქვს მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით და ამგვარი ზიანის დადგომის ამსახველი მტკიცებულებების წარდგენის გზით, გადახდისუუნარობის განცხადების თანმდევი სამართლებრივი შედეგების ამოქმედების შეჩერება მოითხოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო საჩივარში მიუთითოს, ან კერძო საჩივრისაგან დამოუკიდებლად წარადგინოს განცხადება მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

თუ სასამართლომ არ შეაჩერა გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე განჩინების მოქმედება, მაგრამ შემდგომში დარწმუნდა აღნიშნული განჩინების გაუქმების აუცილებლობაში, ასეთ შემთხვევაში, მეტად სავარაუდოა, რომ კერძო საჩივრის განმხილველი მოსამართლე ზიანის თაობაზე თავად არ იმსჯელებს, არამედ აღნიშნულ ნაწილში მსჯელობის მიზნით, საქმეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუბრუნებს, რათა მან გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ იმსჯელოს. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, მხედველობაში მიიღება განმცხადებლის განზრახვა უსაფუძვლო გადახდისუუნარობის განცხადების წარდგენის გზით მოწინააღმდეგე მხარისათვის ზიანის მიყენების თაობაზე. ასეთ ვითარებაში ყურადღება მიექცევა „იცოდა“ ანდა „უნდა სცოდნოდა“ სტანდარტს. ზიანის ოდენობა ზიანის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირის მტკიცების ტვირთია. სასამართლოს განჩინება განმცხადებლისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე კერძო საჩივრით გასაჩივრების წესს უნდა დაექვემდებაროს.

ამ მიმართებით, კიდევ ერთ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ამავე წარმოების ფარგლებში ზიანის ანაზღაურებას არ მოითხოვს, ექნება თუ არა მას უფლება, რომ ზიანის ანაზღაურება ცალკე წარმოების გზით მოითხოვოს და რა წესით უნდა მოხდეს აღნიშნული მოთხოვნის განხილვა? თუ ჩვენ პარალელს გავავლებთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლთან, რომლის მიხედვითაც, უსაფუძვლო სარჩელის პირობებში მოპასუხეს მისთვის უსაფუძვლო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს, რაზეც ცალკე სასარჩელო წარმოება იმართება, ნათელია, რომ გადახდისუუნარობის განცხადების წარდგენით მიყენებული ზიანის ცალკე წარმოების გზით ანაზღაურების შესაძლებლობაც შეიძლება არსებობდეს. ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სამოქალაქო პროცესის ფარგლებში, უსაფუძვლო სარჩელით **ზიანის მიყენების განზრახვის** დადასტურება სავალდებულო არ არის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია უსაფუძვლო სარჩელისა და ამ სარჩელის მიზნებისათვის გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზიანი, ხოლო „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“⁴¹ საქართველოს კანონის მიხედვით, უსაფუძვლო გადახდისუუნარობის განცხადების აღძვრის პირობებში, **უნდა დასტურდებოდეს, ასევე, განმცხადებლის განზრახვა მოვალისათვის ზიანის მიყენების თაობაზე. აღსანიშნავია,**

⁴¹ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 18).

რომ ლოგიკური იქნებოდა აღნიშნული დავის გადახდისუუნარობის წესებით შემღვდულ ვადებში განხილვა, თუმცა, საამისო საპროცესო სამართლებრივი საფუძველი კანონში არ მოიძებნება. ამიტომ, აღნიშნული დავა ზოგადი სასარჩელო წესით უნდა გადაწყდეს. შესაბამისად, პირს ყოველთვის უნდა ერივნოს, რომ მისთვის უსაფუძვლო გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობით მიყენებული ზიანი დაუყოვნებლივ, აღნიშნული განჩინების გაუქმების პარალელურად (იგივე კერძო საჩივრით) მოითხოვოს, რათა ზიანის საკითხი იმავე წარმოების ფარგლებში გადაწყდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ზიანის ანაზღაურების მიზნით ცალკე დავის ინიცირება მოუწევს.

***მაგალითი N1** – განმცხადებელი (კრედიტორი) გადახდისუუნარობის განცხადებით მოვალის გაკოტრებას ითხოვს. სასამართლომ გადახდისუუნარობის განცხადება დასაშვებად ცნო და გაკოტრების რეჟიმიც გახსნა. გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობის შედეგად ამოქმედდა მორატორიუმი. მოვალემ გადახდისუუნარობის რეჟიმის დასაშვებად ცნობის შესახებ განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა და გადახდისუუნარობის შესახებ განჩინების გაუქმებასთან ერთად, მისთვის აღნიშნული რეჟიმის გახსნით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორმა (მოვალემ) დაასაბუთა, როგორც გაკოტრების წინაპირობების არარსებობა, ასევე, განმცხადებლის ინფორმირებულობა ასეთი წინაპირობების არარსებობის თაობაზე, ამავდროულად, განმცხადებლის განზრახვა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ინიცირებითა და შესაბამისი რეჟიმის (გაკოტრების) გახსნით კრედიტორისათვის ზიანის ბრალეულად მიყენების თაობაზე. კერძო საჩივრის განმხილველი სააპელაციო სასამართლო დარწმუნდა რა, კერძო საჩივრის სამართლებრივ და ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობისა და შესაბამისი რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინება გააუქმა, ხოლო ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქმე (განცხადება) განსახილველად საქმის განმხილველ სასამართლოს დაუბრუნა, თუ პირველ ინსტანციას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე არ უმსჯელია. განცხადების უკან დაბრუნების საფუძველია ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტის უფლება, განჩინების გასაჩივრების შესახებ, ხოლო თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნულ განცხადებაზე იმსჯელა (გადახდისუუნარობის ფარგლებში კერძო საჩივარზე ჯერ იგივე ინსტანცია მსჯელობს), მაშინ სააპელაციო სასამართლოს მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე წარდგენილი განცხადების ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნების აუცილებლობა აღარ არსებობს (ასეთი შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად).*

3.2. სუბიექტები, რომელთა მიმართაც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი ვრცელდება

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი ვრცელდება⁴² „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მენარმე სუბიექტებზე, ასევე, არასამენარმე იურიდიულ პირებზე, არარეგისტრირებულ კავშირებსა და ამხანაგობებზე. კანონი არ ვრცელდება საჯარო სამართლის

⁴² „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 4).

იურიდიულ პირებზე, ინდივიდუალურ მენარმეებსა და ფიზიკურ პირებზე. კანონის რეგულირება არ ვრცელდება, ასევე, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებსა და სადამზღვევო კომპანიებზე, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებზე, რომელთა გადახდისუუნარობის საკითხიც ცალკე კანონით წესრიგდება.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონით შემოტანილ იქნა სიახლე, რომლის მიხედვითაც, **ინდივიდუალური მენარმე ამოღებულ იქნა იმ პირთა კატეგორიიდან, რომელთა მიმართაც შეიძლება გადახდისუუნარობის წარმოება გაიხსნას**. ამდენად, დღეს არ არსებობს საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც ფიზიკური პირების გადახდისუუნარობას დაარეგულირებდა და ფიზიკურ პირებს, მსგავსად იურიდიული პირებისა, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შედეგად, ვალების გადახდისაგან გაათავისუფლებდა.

დღეს საქართველოში სახეზეა იპოთეკური სესხების კრიზისი – ფიზიკური პირები სხვადასხვა საჭიროებისთვის იღებენ სესხს ბანკიდან ან ფიზიკური პირი გამსესხებლებისგან. შემდეგ ვადამოსული სესხის დასაფარად იღებენ სხვა სესხს გაუარესებული პირობებით. საბოლოოდ, მოვალეთა რეესტრში აღმოჩენის შემდეგ, მათ ვალდებულება რჩებათ მუდმივად, რითაც ზიანი ადგება სახელმწიფო ბიუჯეტს, ხელი ეშლება მენარმეობას, რადგან მენარმე ახალ ბიზნესს ვეღარ იწყებს არსებული ვალების გამო. თანამედროვე მსოფლიოს გამოცდილების და სტანდარტის გათვალისწინებით, აუცილებელია გადახდისუუნარობის სისტემაში არსებობდეს ადგილი ფიზიკური პირებისთვის. თუმცა პროფესიულ წრეებში ამ თემაზე კამათისას, ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის მონინააღმდეგეები ყველაზე ხშირად იშველიებენ არგუმენტს, რომ თუ ფიზიკური პირებს მიეცემა შესაძლებლობა გათავისუფლდნენ ვალებისგან, ეს წაახალისებს მათ მიერ უპასუხისმგებლო სესხების აღებას და ოპორტუნისტული დამოკიდებულების გაჩენას. სკეპტიკოსთა აზრით, ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის რეგულაციები გამოიწვევს მასიურ გადახდისუუნარობას და საბანკო-საფინანსო სექტორის კრიზისს⁴³. რა შეიძლება კანონმა დაუპირისპიროს ამ მოსაზრებას?

გადახდისუუნარობის პროცესში ფიზიკური პირებისთვის საბოლოო შედეგი არის დარჩენილი ვალდებულებებისგან გათავისუფლება. „ვალდებულებებისაგან გათავისუფლება არის კანონის ძალით მოვალისთვის იმ ვალდებულებების პატიება, რომლის გადახდაც ვერ მოხერხდა გაკოტრების პროცესში. ვალებისგან გათავისუფლება არის გაკოტრების სამართლის ახალი სანყისის (fresh start) პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინება.“ კანონით შეიძლება დადგენილი იყოს ვალდებულებები, რომელთაგან გათავისუფლება არ მოხდება არც ერთ შემთხვევაში. „ახალი სანყისის პოლიტიკა დაბალანსებული უნდა იყოს სხვა საჯარო პოლიტიკათა კონტექსტთან მიმართებაში. რაც გულისხმობს, მოვალის ვალებისგან გათავისუფლების უფლებაზე გარკვეული შეზღუდვების და დათქმების დაწესებას.“⁴⁴

აშშ-ს გაკოტრების კოდექსით, დაუშვებელია ისეთი ვალებისაგან გათავისუფლება, რომელიც თაღლითობის, სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თუ საოჯახო ვალდებულებებისაგანაა წარმოშობილი. გერმანიის გადახდისუუნარობის კოდექსი დაუშვებლად მიიჩნევს ისე-

⁴³ ნ. ამისულაშვილი, „ფიზიკური პირების მიერ გადახდისუუნარობის რეჟიმის არაკეთილსინდისურად გამოყენების დამაბრკოლებელი მექანიზმები“, სტუდენტურ-სამართლებრივი ჟურნალი, 2016, გვ. 20.

⁴⁴ იქვე, გვ. 21.

თი ვალდებულებებისაგან გათავისუფლებას, რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულის საფუძველზე წარმოიშვა, ასევე, თუ მოვალემ განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით გადახდისუუნარობის კოდექსით გათვალისწინებული ინფორმაციის მინოდებისა და თანამშრომლობის ვალდებულება დაარღვია, ასევე, თუ გადახდისუუნარობამდე 3 წლით ადრე, განზრახ ან გაუფრთხილებლად, მცდარი ინფორმაციის გაცემის გზით, საჯარო ფონდებიდან თანხა (სესხი, გრანტი, შეღავათი) მიიღო.⁴⁵ დიდი ბრიტანეთის გადახდისუუნარობის აქტი, ასევე, მიუთითებს ფიზიკური პირების იმ ვალდებულებებზე, რომელთაგანაც ისინი არ თავისუფლდებიან გადახდისუუნარობის პროცესში, ესენია: ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, გამონწვეული საკანონმდებლო, სახელშეკრულებო ან სხვა ვალდებულების დარღვევიდან ან პირის დაზიანებიდან, ასევე, საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილი ვალდებულებები. ამკარაა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ვალდებულებები, ძირითადად, დაკავშირებულია სოციალურ პასუხისმგებლობასა და დანაშაულებრივ ქმედებებთან და არ ეხება კეთილსინდისიერი ბიზნესსაქმიანობიდან და სამომხმარებლო საჭიროებებიდან გამომდინარე ვალდებულებებს⁴⁶. ამდენად, ზოგადი წესის მიხედვით, საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ვალდებულებებისაგან გათავისუფლება დაუშვებელია, თუ ვალდებულება არაკეთილსინდისიერი, მეტადრე, მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგადაა წარმოშობილი. თუმცა, აღნიშნული რეგულაციურია, როდესაც გადახდისუუნარობა ფიზიკურ პირებს ეხება.

ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს ფიზიკურ პირთა გადახდისუუნარობის მომწესრიგებელი ნორმა. ამ ტიპის სისტემის ანალოგი არის სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების თავში – მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის. იგივე წესი ვრცელდება გირავნობით დატვირთული საგნის რეალიზაციის შემთხვევაში. რაღა თქმა უნდა, აღნიშნული წესი გამოირიცხება, თუ მხარეები იმთავითვე განსხვავებულ წესზე შეთანხმდებიან და ქონების არასაკმარისობის შემთხვევაში, მთელი ქონებით პასუხისმგებლობის ვალდებულებას გაითვალისწინებენ⁴⁷. აღნიშნული დანაწესის გავრცელება ფიზიკურ პირთა გადახდისუუნარობის შემთხვევებზე, როდესაც კანონი ფიზიკურ პირთა გადახდისუუნარობასა და მისი ვალდებულებებისაგან გათავისუფლებას არ ითვალისწინებს, ანალოგიის წესით, დაუშვებელია, რადგან სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით⁴⁸.

3.3. გადახდისუუნარობის განცხადებით სასამართლოსათვის მიმართვა

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არის მოვალის მიმართ პროცესის სასამართლოს ზედამხედველობის მეშვეობით და კანონით მკაცრად განერილი პროცედურების გავლით წარმართვის გზა. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით განმცხადებელი სასამართლოსაგან ითხოვს მოვალის მიმართ **რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის დანყებას**. აღნიშნული განცხადებით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს პროცესით დაინტერე-

⁴⁵ იქვე. გვ. 22.

⁴⁶ იქვე. გვ. 22.

⁴⁷ შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276.2 და 301.11 მუხლები.

⁴⁸ შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 5.3 მუხლი.

სებულ ყველა სუბიექტს: მოვალეს, ნებისმიერ კრედიტორს (მიუხედავად მოთხოვნის ოდენობისა), რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველს, ასევე, რეაბილიტაციისა და გაკოტრების მმართველებს – მხოლოდ რეჟიმის კონვერსიის მოთხოვნით⁴⁹. კონვერსია კი, თავის მხრივ, დაწყებული რეჟიმის ცვლილებას გულისხმობს, კერძოდ, რეაბილიტაციის რეჟიმიდან გაკოტრების რეჟიმში ან გაკოტრების რეჟიმიდან რეაბილიტაციის რეჟიმში გადასვლას, რა დროსაც, უწყვეტად გრძელდება დაწყებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ახალი რეჟიმით გათვალისწინებული წესების შესაბამისად. ამდენად, გადახდისუუნარობის განცხადებით არამართო გადახდისუუნარობის რეჟიმის (გაკოტრება, რეაბილიტაცია) ინიცირება ხდება, არამედ არსებული რეჟიმის შეცვლაც, რაც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის ერთ-ერთ სიახლედ მიიჩნევა.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მიმართვა მოვალის უფლებაა, თუმცა, რიგ შემთხვევებში, იგი ვალდებულია განიხილება. სავარაუდო გადახდისუუნარობა მოვალესთვის არ წარმოშობს სასამართლოსათვის მიმართვის ვალდებულებას, მაგრამ გადახდისუუნარობის ფაქტის დადგომა სასამართლოსათვის გადახდისუუნარობის განცხადებით მიმართვის უპირობო საფუძველია. აღნიშნული კანონისმიერი ვალდებულება მოვალემ გადახდისუუნარობის ფაქტის დადგომიდან 3 კვირის ვადაში უნდა შეასრულოს. აღსანიშნავია, რომ გადახდისუუნარობის ფაქტი და მისი გააზრება დირექტორის მხრიდან, როგორც გადახდისუუნარობის საქმის ინიცირების წინაპირობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელი კატეგორიაა, რადგან რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია, რომ დირექტორი კეთილსინდისიერად ვარაუდობდეს არსებული ფინანსური სირთულის დაძლევას, ეგულებოდეს სირთულეების გადალახვისათვის საჭირო რესურსები და ფინანსური ინსტრუმენტები, შესაბამისად, გადახდისუუნარობის განცხადებით სასამართლოსათვის მიმართვის დაყოვნებას შეიძლება კეთილსინდისიერი წინაპირობები ჰქონდეს. თუ მოვალის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი გადახდისუუნარობის განცხადებით სასამართლოსათვის მიმართვას არაკეთილსინდისიერად აყოვნებს, აღნიშნული საფუძვლით იგი შეიძლება სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიეცეს⁵⁰.

როგორც აღინიშნა, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია მოვალის გადახდისუუნარობის დადგომის ფაქტი და, აგრეთვე, მოსალოდნელი გადახდისუუნარობა. მოსალოდნელი გადახდისუუნარობა, ერთგვაროვანი განმარტების არარსებობის პირობებში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელი კატეგორიაა და მისაღებია გადაწყვეტილება, რა ეტაპიდან არის შესაძლებელი საწარმოს მიჩნევა „მოსალოდნელ გადახდისუუნარობაში“ მყოფ სუბიექტად. ამასთან, ეს უკანასკნელი საფუძველი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ რეაბილიტაციის რეჟიმის მოთხოვნის შემთხვევაში, ხოლო გაკოტრების მოთხოვნა მოსალოდნელი გადახდისუუნარობის საფუძვლით მხოლოდ მოვალეს შეუძლია.

საინტერესოა, რა ხდება მაშინ, როცა კომპანიის დირექტორი სასამართლოს გადახდისუუნარობის განცხადებით მიმართავს და კომპანიის გაკოტრებას ითხოვს, ხოლო, მეორე მხრივ,

⁴⁹ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 9.

⁵⁰ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლი.

კომპანიის პარტნიორები აღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგნი არიან. ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას. საზოგადოების გაკოტრების გზით ლიკვიდაცია კი სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას და, შესაბამისად, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას. **ამდენად, შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი ვალდებულია სასამართლოს მიმართოს გადახდისუუნარობის თაობაზე განცხადებით და არა გაკოტრების მოთხოვნით. გაკოტრების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვა შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილებას საჭიროებს**⁵¹. აღნიშნული განმარტება რელევანტური იყო „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირობებში, როდესაც მოვალეს სასამართლოს გადახდისუუნარობის განცხადებით მიმართავდა, ხოლო საწარმოს შემდგომ ბედს რეაბილიტაციისა, თუ გაკოტრების თაობაზე, მომრიგებელი საბჭო წყვეტდა. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონით განისაზღვრა, რომ მოვალის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს გაკოტრების თაობაზე მიმართვისას უნდა ჰქონდეს პარტნიორთა 75%-იანი მხარდაჭერა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კანონი აღნიშნული თანხმობის არსებობას უკავშირებს **მოსალოდნელი გადახდისუუნარობის პირობებში გადახდისუუნარობის განცხადებით გაკოტრების მოთხოვნას**. სხვა შემთხვევაში, კანონი მოვალის პარტნიორთა თანხმობის არსებობის აუცილებლობას არ ადგენს. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც, მართალია, მოვალის წარმომადგენელი (დირექტორი) სასამართლოს გადახდისუუნარობის განცხადებით მიმართავს, თუმცა მოვალის პარტნიორები, ყველა ან უმეტესი მათგანი, კომპანიის წინააღმდეგ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ინიცირების წინააღმდეგია. ასეთ შემთხვევაში, მეტად სავარაუდოა, რომ **პარტნიორთა თანხმობის აუცილებლობის თაობაზე კანონის ჩანაწერის არარსებობა კანონმდებლის კვალიფიციური დუმილია**, რაც იმას ნიშნავს, რომ ვინაიდან კანონმდებელი კომპანიის დირექტორის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის ხელოვნურ გაჭიანურებას, ამიტომ გადახდისუუნარობის განცხადებით სასამართლოსათვის მიმართვა მის ერთპიროვნულ დისკრეციად მიიჩნევა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დირექტორი კომპანიის მოსალოდნელი გადახდისუუნარობის პირობებში გაკოტრებას ითხოვს.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი⁵² დეტალურად არეგულირებს იმ პირობებს, რომლებსაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს. ამასთან, განმცხადებლისათვის დადგენილი ფორმალური მოთხოვნები, ისევე როგორც სასამართლოსათვის წარსადგენი ინფორმაცია, განსხვავდება იმის მიხედვით, თუ **რომელი რეჟიმის დაწყება მოთხოვნილი და ვინ არის განმცხადე-**

⁵¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 11 ნოემბრის №2ბ/4995-15 განჩინება.

⁵² „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 45-46).

ბელი⁵³. მოვალეს, რომელიც სრულ ინფორმაციას უნდა ფლობდეს საკუთარი სანარმოს შესახებ, სასამართლოში სრულყოფილი ინფორმაციის წარდგენა ევალება, ხოლო **კრედიტორის მიმართ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება მხოლოდ იმ მოცულობით ვრცელდება, რა მოცულობითაც იგი ამ ინფორმაციას ფლობს ანდა ამ ინფორმაციაზე ხელი მიუწვდება**. გარდა ამისა, თუ კრედიტორი გადახდისუუნარობის განცხადებით გაკოტრებას ითხოვს, მან, ასევე, უნდა წარადგინოს **კრედიტორის ინტერესის დასაბუთება გაკოტრების რეჟიმის მიმართ და მოვალისათვის განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი**. აღნიშნული ჩაბარება კრედიტორმა უნდა განახორციელოს განცხადების სასამართლოში რეგისტრაციიდან 1 თვის ვადაში. ამავე ვადაში, კრედიტორმა უნდა წარადგინოს მოვალისათვის განცხადებისა და თანდართული მასალების ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამუშავდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ პუნქტი და კრედიტორის განცხადება განუხილველად დარჩება.

3.4. გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებობის შემოწმება

გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებობის საკითხი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების“ შესახებ კანონის⁵⁴ შესაბამისად მოწმდება. თუ განმცხადებელი გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნას ითხოვს, მაშინ განცხადება კანონის 44-ე მუხლის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, ხოლო თუ განმცხადებელი გადახდისუუნარობის განცხადებით გაკოტრების რეჟიმის გახსნას ითხოვს, მაშინ განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ამავე კანონის 45-ე მუხლს უნდა შეესაბამებოდეს. გადახდისუუნარობის **განცხადების დასაშვებობის შემოწმების ვადები განსხვავებულია**. თუმცა, გადახდისუუნარობის დასაშვებობის ვადები იმისდამოკიდებით კი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, განმცხადებელი რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნას ითხოვს, თუ გაკოტრების, არამედ იმის მიხედვით, **თუ ვინ არის განმცხადებელი**. თუ განმცხადებელი მოვალეა, სასამართლო გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის საკითხს განცხადების შეტანიდან 7 დღის ვადაში წყვეტს, ხოლო თუ განმცხადებელი კრედიტორია, მაშინ – მოვალისთვის გზავნილის ჩაბარების შესახებ დასტურის წარდგენიდან 10 დღის ვადაში.

კრედიტორის მიერ წარდგენილი განცხადების დასაშვებობის ვადა იმიტომაა უფრო ხანგრძლივი და დასაშვებობის ვადის ათვლაც იმიტომ იწყება მოვალისთვის გზავნილის ჩაბარების შესახებ დასტურის წარდგენიდან, რომ **მოვალეს აღნიშნული განცხადების ჩაბარების კანონით გათვალისწინებული უფლება აქვს. აღნიშნულ უფლებას უკავშირდება მისივე ვალდებულება განცხადებაზე პასუხის წარდგენის თაობაზე**. აღნიშნული ვალდებულება შესრულების 7 დღიანი ვადით არის შემოსაზღვრული⁵⁵. შესაბამისად, სასამარ-

⁵³ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 9.

⁵⁴ საქართველოს კანონის პროექტი, მიღების თარიღი: 06/02/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 06/02/2020 (მუხლი 44-45).

⁵⁵ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 46).

თლო გადახდისუუნარობის ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის თაობაზე კრედიტორის განცხადების დასაშვებობის შემონმების დროს მხედველობაში იღებს მოვალის პოზიციას მის წინააღმდეგ წარდგენილი გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობის მიზნებისათვის, თუ, რაღა თქმა უნდა, მოვალემ აღნიშნული ვალდებულება შეასრულა, ხოლო თუ მოვალემ მითითებული ვალდებულება არ შეასრულა, სასამართლო კრედიტორის გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებობას კანონის 44-45-ე მუხლების საფუძველზე, მოვალის პოზიციის მოსმენის გარეშე ამონმებს. ეს ვადები შესაძლებელია გაგრძელდეს სასამართლოს მიერ ერთჯერადად, საკუთარი ინიციატივით, დასაბუთებული განჩინების გამოტანის გზით. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის საკითხს სასამართლო **ზეპირი მოსმენით** განიხილავს. აღნიშნული შესაძლებლობა დაეხმარება სასამართლოს გადახდისუუნარობის საქმე არ დაიწყოს და შესაბამისად, გადახდისუუნარობის ან რეაბილიტაციის რეჟიმი არ გახსნას შესაბამისი წინაპირობების გარეშე. თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებები სადავო არ არის, სასამართლო უფლებამოსილია, ეს საკითხი ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს⁵⁶. თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ გადახდისუუნარობის განცხადება კანონის ფორმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და ამავდროულად, **სახეზეა გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა, სასამართლო გამოიტანს განჩინებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებობის შესახებ. სასამართლომ ამავე განჩინებით უნდა გახსნას რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმი.** აქვე ნიშანდობლივია, აღინიშნოს, რომ სასამართლო თავად არ განსაზღვრავს რეჟიმს, იგი მოთხოვნილი რეჟიმით ხელმძღვანელობს და თუ წინაპირობები მოთხოვნილ რეჟიმს აკმაყოფილებს, გადახდისუუნარობის განცხადების დაშვებით სასამართლო ამავე (მოთხოვნილ) რეჟიმს (გაკოტრება/გადახდისუუნარობა) ხსნის. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობით მოვალის მიმართ იწყება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. ამავე განჩინებით განისაზღვრება, თუ გადახდისუუნარობის რომელი რეჟიმი იხსნება, ასევე, ამავე განჩინებაში აისახება ელექტრონული სისტემის მეშვეობით შერჩეული მმართველი. ამდენად, **მმართველის ვინაობა ელექტრონული სისტემით განისაზღვრება, ხოლო სასამართლო კი მართოდენ ელ.სისტემით განსაზღვრული მმართველის ვინაობას უთითებს განჩინებაში.** ერთადერთი შესაძლებლობა, რომ მმართველი ელ.სისტემამ არ შეარჩიოს, ეკუთვნით კრედიტორებს, კერძოდ, იქამდე, სანამ სასამართლო გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებობას შეამონმებს პირველად რეესტრში შემავალ დამსწრე კრედიტორთა 2/3 უფლებამოსილია თავად შეარჩიოს მმართველი და სასამართლოს დასანიშნად წარუდგინოს.

გადახდისუუნარობის განცხადება შეიძლება ხარვეზიანი იყოს. თუ ხარვეზი ფორმალურ სასამართლებრივია, ანუ მაგალითისათვის არ შეესაბამება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ 44-ე ან 45-ე მუხლებს, აღნიშნული გარემოება განცხადებაზე ხარვეზის დადგენის წინაპირობაა. ხარვეზის გამოსწორების ვადას სასამართლო არ ადგენს, აღნიშნული ვადა კანონითაა გათვალისწინებული და 5 დღეს შეადგენს. აღნიშნული ვადის გაგრძელებას ან ხარვეზის გამოსასწორებელი ვადის ხელახლა მიცემას კანონი არ ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში, თუ კანონით გათვალისწინებულ ვადაში განმცხადებელმა ხარვეზი არ გამოსწორა, ასეთ შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას გა-

⁵⁶ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 47.2).

დახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე. **იმავე განჩინებას გამოიტანს სასამართლო მაშინაც, თუ სასამართლო ვერ დაადგენს მოვალის გადახდისუუნარობას, ან მოსალოდნელ გადახდისუუნარობას.** აღნიშნული საფუძველით სასამართლო ხარვეზს არ ადგენს. განჩინება, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე, ზოგადი წესის მიხედვით, კერძო საჩივრით საჩივრდება.

კიდევ ერთი საფუძველი, როცა სასამართლო გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებობაზე ამბობს უარს, არის, როცა მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით გაკოტრებას მოითხოვს და სასამართლო დაადგენს, რომ **გაკოტრების რეჟიმის გახსნის შემთხვევაში, მოვალე თავისი ქონებით, საპროცესო ხარჯების დაფარვას ვერ უზრუნველყოფს.** ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე და მასში უთითებს, რომ მოვალე გაკოტრებულად გამოცხადდება რეგისტრაციის გაუქმების გზით, თუ ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორი იმავე მოვალის მიმართ სასამართლოში არ შეიტანს განცხადებას გადახდისუუნარობის შესახებ. აღნიშნული განჩინება, მისი გამოტანიდან 3 დღის ვადაში, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე ქვეყნდება. თუ აღნიშნულ ვადაში (გამოქვეყნებიდან 1 თვეში) კრედიტორი გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას სასამართლოში არ შეიტანს, სასამართლო მოვალეს გაკოტრებულად აცხადებს, რაც მოვალის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია.

3.5. გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობის სამართლებრივი შედეგები

სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის/გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინებით **ამოქმედდება მორატორიუმი. მორატორიუმის ძირითადი მიზანია გადახდისუუნარობის მასის (მოვალის ქონების) შენარჩუნება და დაცვა.** „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის ფუნდამენტური პრინციპია **კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილება.** ეს პრინციპი გულისხმობს კრედიტორთა ერთობლიობის და არა ცალკეული კრედიტორის ინტერესების დაცვას **როგორც მოვალის, ასევე ცალკეული კრედიტორების ინდივიდუალური ქმედებებისაგან.** ამავდროულად, მორატორიუმის საფარველის გამოყენებით მოვალეს ეძლევა საშუალება, გაიუმჯობესოს ლიკვიდურობა, მათ შორის, ვადამოსული ვალდებულებების შესრულების გადავადებით, რაც, თავის მხრივ, ზრდის მის რეაბილიტაციუნარიანობას და წარმატებული რეაბილიტაციის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. **მორატორიუმი გამოიყენება საერთო წესით, როგორც რეაბილიტაციის, ისე გაკოტრების რეჟიმის დროს.**

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის⁵⁷ უმნიშვნელოვანეს სიახლეს წარმოადგენს **მორატორიუმის ღონისძიებათა დიფერენცირება კანონისმიერ და დისკრეციულ ღონისძიებადად.** მორატორიუმის კანონისმიერი ღონის-

⁵⁷ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 45-46).

ციებები ამომწურავადაა ჩამოთვლილი კანონის 55-ე მუხლში. ამ ნორმით განსაზღვრული ღონისძიებები ავტომატურად ამოქმედდება გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე სასამართლო განჩინების გამოტანისთანავე. ღონისძიებათა ჩამონათვალში შედის აკრძალვები და შეზღუდვები, რომლებიც მოქმედებენ მოვალის, კრედიტორებისა და მესამე პირების მიმართ. რიგი აკრძალვები შეეხება კრედიტორების ინდივიდუალურ რეჟიმში დაკმაყოფილების ან სხვაგვარი უპირატესობის მინიჭების პრევენციულ მექანიზმებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილება და არა რომელიმე კრედიტორისათვის უპირატესობის მინიჭება კანონის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. სწორედ **კრედიტორთა ინდივიდუალური დაკმაყოფილების ან უპირატესობის გამოსარიცხად** გამოიყენება ისეთი ღონისძიებები, როგორცაა, მაგალითად: მოვალის ქონების წინააღმდეგ მიმდინარე იძულებითი აღსრულების ღონისძიებების შეჩერება; ახალი ღონისძიების არ დაწყება; საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საგნიდან კრედიტორთა დაკმაყოფილების შეჩერება/დაუშვებლობა; გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების ანდა ახალი ვალდებულებების აღების აკრძალვა; ახალი საპროცესო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დაუშვებლობა. **მოვალე კომპანიის პარტნიორთა მართლსაწინააღმდეგო ქცევის თავიდან ასაცილებლად**, მორატორიუმი მათთვის გულისხმობს დივიდენდის განაწილების აკრძალვას, საწარმოს რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციაზე გადაწყვეტილების მიღებას.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი ახლებურად აწესრიგებს **გადახდისუნარობის საქმის გახსნის შემდეგ პროცენტისა და პირგასამტეხლოს დარიცხვის წესს**. ახალი რეგულირება ბევრად მოქნილი, და, ამავდროულად, კრედიტორისა და მოვალის ინტერესებზე მორგებულია. მაგალითისათვის: „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს პროცენტის, პირგასამტეხლოსა და საურავის, როგორც გადახდის, ისე დარიცხვის შეზღუდვას. ახალი წესის თანახმად, **პროცენტის გადახდა იზღუდება, თუმცა, არ იზღუდება მისი დარიცხვა**, რაც შეეხება პირგასამტეხლოს, მისი დარიცხვა და გადახდა კვლავაც შეზღუდული რჩება, თუმცა, კანონი ამავდროულად ადგენს, რომ თუ **გადახდისუნარობის საქმის წარმოება გადახდისუნარობის საფუძვლის არარსებობის გამო შეწყდა, მიიჩნევა, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვა უწყვეტად მიმდინარეობდა**⁵⁸.

მორატორიუმის ავტომატურ ღონისძიებათა რიგს განეკუთვნება, ასევე, **გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე აღძრული, გადახდისუნარობის მასის წინააღმდეგ მიმართული დავების, სასამართლოსა თუ ადმინისტრაციულ ორგანოში განხილვის შეჩერება, ასევე, არ დაიშვება ახალი დავის დაწყება**, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დავა ეხება გადახდისუნარობის მასიდან ნივთის გამოყოფას ან ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევას. აღნიშნული დებულება მოცემულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის⁵⁹ 55-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტში. აქვე,

⁵⁸ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 55. „გ“).

⁵⁹ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 45-46) (მუხლი 55).

უნდა აღინიშნოს, ამავე კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დებულება, რომლის მიხედვითაც, **სამოქალაქო ან ადმინისტრაციული დავა, რომელიც დაკავშირებულია გადახდისუუნარობის მასიდან ნივთის გამოთხოვასთან ან რომელშიც მოვალე არის მოსარჩელე და დავა გადახდისუუნარობის მასას უკავშირდება, ექვემდებარება დაჩქარებული წესით განხილვას.** გადახდისუუნარობის საქმის განმხილველი მოსამართლე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის/გაკორექციის რეჟიმის გახსნის თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში შეტყობინებას უგზავნის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დავის/დავების განმხილველ მოსამართლეს, რომელიც ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 20 დღის განმავლობაში დაასრულოს საქმის განხილვა. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დავაზე გამოტანილი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოში, მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლო ვალდებულია 5 დღის ვადაში განიხილოს საჩივრის წარმობაში მიღების საკითხი, ხოლო წარმობაში მიღების შემთხვევაში – 20 დღის ვადაში დაასრულოს საქმის განხილვა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში. საკასაციო ინსტანციის სასამართლო ვალდებულია 5 დღის ვადაში განიხილოს საჩივრის წარმობაში მიღების საკითხი, ხოლო წარმობაში მიღების შემთხვევაში – 20 დღის ვადაში დაასრულოს საქმის განხილვა.

საინტერესო პროცესუალურ საკითხს წარმოადგენს სასამართლოს ინფორმირების წესი და ფორმა მიმდინარე დავების თაობაზე, რადგან, იმისათვის, რომ გადახდისუუნარობის საქმის განმხილველმა სასამართლომ შეტყობინება გაუგზავნოს სხვა სასამართლოებს (მოსამართლეებს) ანდა ადმინისტრაციულ ორგანოს, აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება მოვალეს უნდა დაეკისროს. მითითებული ინფორმაცია სასამართლომ გადახდისუუნარობის თაობაზე განცხადების დასაშვებობის თაობაზე მსჯელობის ეტაპზე უნდა მიიღოს. თუმცა, აღნიშნული ვალდებულებით, ასევე, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსიც უნდა აღიჭურვოს, რათა მოვალის ანდა გადახდისუუნარობის მასის წინააღმდეგ მიმდინარე დავების თაობაზე ის ინფორმაცია მოიძიოს, რაც სასამართლოსათვის ცნობილი არ არის და აღნიშნული ინფორმაცია გადახდისუუნარობის განმხილველ მოსამართლეს აცნობოს, რომელიც მითითებული ინფორმაციის მიღებიდან 5 დღის ვადაში წერილობით შეტყობინებას აგზავნის შესაბამის სასამართლოში (მოსამართლესთან).

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლისა და ამავე კანონის 55-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის ერთობლივი ანალიზის შედეგად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი დავა, რომელიც მოვალის წინააღმდეგ მიმდინარეობს (მიმდინარე დავები) და რომელიც მოვალის აქტივების შემცირებისკენ არის მიმართული, მათ შორის, ასეთი შეიძლება იყოს, როგორც **კრედიტორული მოთხოვნები მოვალის წინააღმდეგ, ასევე, მესამე პირთა მოთხოვნები, მიმართული მოვალის ქონების წინააღმდეგ,** დაჩქარებული წესით (20+5+20+5+20 დღე) უნდა იქნეს განხილული, რათა კრედიტორებმა კრედიტორთა სიაში მოასწრონ ასახვა, ხოლო მესამე პირებმა კი საკუთარი ქონების გამოყოფა მოვალის ქონებისაგან. დაჩქარებული წესით განსახილველ დავათა კატეგორიაში შედის, ასევე, მოვალის სარჩელები გადახდისუუნარობის მასასთან დაკავში-

რებით. როგორც წესი, ასეთი სარჩელები გადახდისუუნარობის მასის ზრდისკენ არის მიმართული, რომელთა დაჩქარებული განხილვის დაცვის ღირსი ინტერესი კრედიტორებსაც გააჩნიათ და თავად მოვალესაც.

საინტერესოა საკითხი, დავების რომელ კატეგორიას, კერძოდ, შესაჩერებელ თუ დაჩქარებული წესით განსახილველთა კატეგორიას მიეკუთვნება **კრედიტორის სარჩელის საფუძველზე ინიცირებული დავები არა მოვალის, არამედ თავდების ან იმ მესამე პირის წინააღმდეგ**, რომლის ქონებითაც არის მოვალის ვალდებულება უზრუნველყოფილი. ამ მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ თავდების, იქნება ეს სუბსიდური, თუ სოლიდარული თავდები, ანდა გირავნობის/იპოთეკის საგნის მესაკუთრის წინააღმდეგ ინიცირებული დავა არათუ უნდა შეჩერდეს, არამედ დაჩქარებული წესით უნდა წარიმართოს, რათა აღნიშნული გზით კრედიტორის დაკმაყოფილების შემთხვევაში მათ (თავდებებმა, იპოთეკა/გირავნობის საგნის მესაკუთრეებმა) მოვალის მიმართ რეგრესული წესით კრედიტორული მოთხოვნის წარდგენა შეძლონ და გადახდისუუნარობის მასიდან დაკმაყოფილდნენ.

პრაქტიკული თვალსაზრისით, საინტერესოა, ასევე, შემთხვევა, როდესაც გაკოტრების გზით მოვალის ლიკვიდაცია ხდება. მოვალის ლიკვიდაციის რეგისტრაცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 454-ე მუხლის მიხედვით, მისი ვალდებულებების შეწყვეტის საფუძველია. თავის მხრივ კი, ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა მასთან აქცესორულ ბმაში არსებული ვალდებულებების შეწყვეტის წინაპირობაა, თუმცა, აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ გაკოტრების გზით მოვალის ლიკვიდაცია მოხდება და აღნიშნული გარემოება საფუძვლად დაედება კრედიტორის მოთხოვნის შეწყვეტას თავდებების ანდა იმ მესამე პირების მიმართ, რომელთა ქონებითაც ლიკვიდირებული მოვალის ვალდებულებებია უზრუნველყოფილი, არამოვალე პირებითა, თუ არამოვალე პირების ქონების გამოყენებით მოვალის ვალდებულებათა უზრუნველყოფა ფიქციად იქცევა, რადგან კრედიტორს სხვა პირთა მხრიდან განხორციელებული უზრუნველყოფა სწორედ ისეთი შემთხვევებისთვის სჭირდება, როცა მას მოვალისაგან მოთხოვნის დაკმაყოფილების პერსპექტივა უქრება. ამდენად, მოვალის ლიკვიდაციით ვალდებულების შეწყვეტა, როდესაც კრედიტორს აღნიშნული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა მესამე პირებისაგან აქვს, სახელშეკრულებო უზრუნველყოფის იდეას ეწინააღმდეგება. ამიტომაც, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სრულიად მართებულად არ დაუკავშირა მოვალე კომპანიის ლიკვიდაცია ვალდებულების შეწყვეტას მაშინ, როდესაც აღნიშნული ვალდებულება კრედიტორის სასარგებლოდ თავდებობითა და მესამე პირთა ქონებით (იპოთეკა/გირავნობით) იყო უზრუნველყოფილი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით შემდეგი მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა⁶⁰:

„სსკ-ის 454-ე მუხლის მიხედვით *იურიდიული პირის ვალდებულება წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების რეგისტრაციის მომენტიდან*. მოხმობილი ნორმა, რომელიც სისტემურად ვალდებულების შეწყვეტის სხვა საფუძვლებშია მოთავსებული, არსებითად განსხვავდება ისეთი საფუძვლებისაგან, როგორცაა სსკ-ის 452-ე მუხლი – ე.წ. კონფუზია, როდესაც მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება; სსკ-ის 453-ე მუხლი, რომელიც მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალების შემთხვევებისათვის ვალდებულების შეწყვეტის წინაპირო-

⁶⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.06.2020 წ. განჩინება, საქმეზე №ას-401-2019.

ებებს განსაზღვრავს. სსკ-ის 454-ე მუხლის კომენტარებისას მითითებულია, რომ „ის ფაქტი, რომ იურიდიული პირი შეიძლება ქონების გარეშე დარჩეს ან იგი გადახდისუუნარო აღმოჩნდეს, თავისთავად არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას...“ (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი – წიგნი მესამე, გვ. 566 – გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001 წ.)...“

„სსკ-ის 454-ე მუხლის განმარტების მიზნიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით აღნიშნავს, რომ დასახელებული ნორმა კონკრეტულად იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო ვალდებულების შეწყვეტის საგამონაკლისო წესს განსაზღვრავს. კრედიტის უზრუნველყოფის სამართალში გამოყენებული პირადი, თუ სანივთო უზრუნველყოფის სახეების აქცესორულობა, სამართლებრივად, სწორედ იმის მაუწყებელი და განმსაზღვრელია, რომ მიუხედავად იურიდიული პირის სალიკვიდაციო პროცესის დასრულებისა, ეს არ აქარწყლებს ძირითადი მოვალის ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებებს. მოცემულ შემთხვევაში სსკ-ის 454-ე მუხლის იმგვარი განმარტება, რომ კრედიტორის წინაშე ძირითადი მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რაც მოვალე საწარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაციის გამო წარმოიშვება, იმთავითვე აუქმებს კრედიტის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ საშუალებებს მათი აქცესორულობის გამო და პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს უზრუნველყოფ პირებს, მთლიანად გამოაცლის საფუძველს საკრედიტო ურთიერთობებში უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსებობას, დანიშნულებასა და მიზანს. მოთხოვნის უზრუნველყოფა არის კრედიტორისათვის მინიჭებული უფლება, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის ან სხვაგვარად გამოყენების გზით⁶¹. კრედიტის უზრუნველყოფის შესახებ სამართლებრივი ურთიერთობა კრედიტორსა და უზრუნველყოფ პირებს შორის წარმოიშობა, ასეთ ხელშეკრულებას დამოუკიდებელი ხასიათი აქვს და საკუთარ თავში ატარებს კაუზას, რაც იმას ნიშნავს, რომ უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება დამოუკიდებელი ხასიათისაა; უზრუნველყოფი პირები საკუთარ ვალდებულებას ასრულებენ და არა სხვის ვალდებულებას.^{62, 63, 64}

მაგალითი N2 – კრედიტორმა მოთხოვნა წარადგინა მოვალის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც გადახდისუუნარობის საქმეა დაწყებული. მანვე (კრედიტორმა) სარჩელი აღძრა სოლიდარული თავდების მიმართ. სოლიდარული თავდების წინააღმდეგ სასარჩელო წარმოება დაჩქარებული წესით უნდა წარიმართოს, რათა სოლიდარულმა თავდებმა მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის ფარგლებში რეგრესული მოთხოვნის დაკმაყოფილება შეძლოს. თუ სოლიდარული თავდების მიმართ სასარჩელო წარმოების დასრულებამდე მოვალე გაკოტრების გზით ლიკვიდირდა, აღნიშნული გარემოება სოლიდარული თავდებობის შეწყვეტას არ გამოიწვევს.

მაგალითი N3 – კრედიტორმა მოთხოვნა წარადგინა მოვალის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც გადახდისუუნარობის საქმეა დაწყებული. მოვალის ვალდებულება კრედიტორის მიმართ მესამე პირის ქონებით არის უზრუნველყოფილი (მესამე პირის იპოთე-

⁶¹ იხ. ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გვ. 15, თბილისი, 2012 წ.

⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 21.10.2019 წ. განჩინება, საქმეზე №ას-647-647-2018.

⁶³ გ. რუსიაშვილი, „აქცესორულობის პრინციპი იპოთეკისა და თავდებობის მაგალითზე“, შედარებითი სამართლის ჟურნალი № 3/2019, გვ. 15.

⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.06.2020 წ. განჩინება, საქმეზე №ას-401-2019.

კა). მანვე (კრედიტორმა) სარჩელი აღძრა იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართ და იპოთეკის საგნის რეალიზაციის გზით ვალდებულების დაკმაყოფილება მოითხოვა. იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართ სასარჩელო წარმოება დაჩქარებული წესით უნდა წარმართოს, რათა იპოთეკის საგნის მესაკუთრემ მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის ფარგლებში რეგრესული მოთხოვნის დაკმაყოფილება შეძლოს. თუ იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართ სასარჩელო წარმოების დასრულებამდე მოვალე გაკოტრების გზით ლიკვიდირდა, აღნიშნული გარემოება იპოთეკის გაუქმებას არ გამოიწვევს.

მაგალითი N4 – მოვალისა და სოლიდარული თავდების მიმართ პარალელურ რეჟიმშია გახსნილი გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. გადახდისუუნარობის რეჟიმშია, ასევე, ის მესამე პირიც, რომლის ქონებითაც არის უზრუნველყოფილი მოვალის ვალდებულება. კრედიტორს თავისი მოთხოვნის წარდგენა ორივე მოვალის მიმართ შეუძლია. თუ თავდები სუბსიდურია, მეტად სავარაუდოა, რომ მის მიმართ მოთხოვნა სამომავლო მოთხოვნად დარეგისტრირდეს. რაც შეეხება მოთხოვნის წარდგენას მესამე პირის მიმართ, აღნიშნულ პირს კრედიტორთან ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა არ აკავშირებს, შესაბამისად, კრედიტორს მის (იპოთეკის საგნის მესაკუთრის) მიმართ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება არ აქვს, ამიტომ, იპოთეკარი მესამე პირის მიმართ მოთხოვნას ვერ წარადგენს და ვერც მის წინააღმდეგ კრედიტორად დარეგისტრირდება. თუმცა, კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ამით არ ქარწყლდება, რადგან გადახდისუუნარობის რეჟიმში მყოფი მოვალის ქონებას სანივთო უზრუნველყოფები (ვირავნობა/იპოთეკა) გადაყვება, თუ უზრუნველყოფის აღნიშნული საშუალებები უშუალოდ მოვალის კრედიტორების მოთხოვნებს არ უზრუნველყოფს, არამედ მესამე პირთა ვალდებულებების უზრუნველყოფის საშუალებად არის გამოყენებული.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი⁶⁵ მოქნილია და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კრედიტორებისა და მოვალეების ინტერესების შეხვედრაში მიღების შესაძლებლობას ითვალისწინებს. მაგალითისათვის, გარდა მორატორიუმის იმ ღონისძიებებისა, რაც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნისთანავე ავტომატურად იწყებს მუშაობას, კანონი არეგულირებს, ასევე, **მორატორიუმის დამატებითი ღონისძიებების დისკრეციულად ამოქმედების ნესსაც, რის თაობაზეც, დაინტერესებული პირის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს.** ამასთან, სასამართლო არ არის შეზღუდული, დამატებითი ღონისძიების სახით დააწესოს კანონით განსაზღვრული რომელიმე ღონისძიება, არამედ შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი სხვა ღონისძიება, კონკრეტული საქმის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

მორატორიუმის დამატებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მიზნითა და პრინციპებით. კანონის მიზანი კი, როგორც აღინიშნა, **კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილებაა რე-**

⁶⁵ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 57).

აბილიტაციის მიღწევის, ხოლო რეაბილიტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში – გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციიდან მიღებული თანხების განაწილების გზით.

რაც შეეხება, პრინციპებს, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პრინციპებია: ა) გადახდისუუნარო მოვალის საქმიანობისა და გადახდისუუნარობის მასის სწორი მართვა; ბ) მოვალის ფინანსური სირთულეების სწრაფი და თანმიმდევრული გადაწყვეტა; გ) პროცესის გამჭვირვალობა და განჭვრეტადობა; დ) გადახდისუუნარობის მასისა და ბიზნესის ღირებულების შეძლებისდაგვარად შენარჩუნება და გაზრდა; ე) მოვალის რეაბილიტაციის ხელშეწყობა; ვ) მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორების მიმართ თანაბარი მოპყრობა. გარდა ამისა, სასამართლო მორატორიუმის ფაკულტატური (დამატებითი) ღონისძიებების გამოყენებისას მხედველობაში იღებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ცალკეული რეჟიმების (რეაბილიტაცია, გაკოტრება) თავისებურებს. სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს, ერთი მხრივ, მორატორიუმის ღონისძიებით მოსარგებლეთა და, მეორე მხრივ, იმ პირთა ლეგიტიმური ინტერესი, რომლებსაც უშუალოდ ეხება მორატორიუმის კონკრეტული ღონისძიებით გათვალისწინებული აკრძალვა. შესაბამისად, გადაწყვეტილება მორატორიუმის ღონისძიებების დისკრეციული წესით გამოყენებაზე მიიღება ზემოხსენებული ინტერესების შეპირისპირების შედეგად, სამართლიანობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვით, რაც უფრო მოქნილს ხდის ამ მექანიზმს⁶⁶.

მორატორიუმის დამატებითი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე საკითხი შესაძლებელია განხილულ იქნეს გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობასთან ერთად, თუ განმცხადებელი მიუთითებს ამის თაობაზე. თუმცა, დამატებითი ღონისძიებები შეიძლება მოთხოვნილ იქნეს შემდგომშიც, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე. ამ შემთხვევაში სასამართლო საკითხს წყვეტს ზეპირი განხილვის გარეშე, 5 დღის ვადაში. იმ პირს (მოვალე, კრედიტორი, მესამე პირი), რომელსაც გააჩნია მორატორიუმის დამატებითი ღონისძიების გაუქმების ლეგიტიმური ინტერესი, შესაძლებლობა აქვს გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება კერძო საჩივრით. კანონი ადგენს მორატორიუმის ღონისძიების გაუქმების წესებსაც.

გასათვალისწინებელია, რომ ეს მუხლი ეხება მორატორიუმის როგორც კანონისმიერ, ისე დისკრეციულ ღონისძიებებს. ასევე აღსანიშნავია, რომ **კანონი მორატორიუმის გაუქმების საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს არ შეიცავს, რადგან კანონით გაუთვალისწინებული გარემოების დადგომის შესაძლებლობასაც უშვებს, რაც მორატორიუმის ღონისძიების, როგორც კანონისმიერის, ასევე დისკრეციულის, გაუქმების მიზანშეწონილობას შექმნის**⁶⁷. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კი, მორატორიუმის ღონისძიების გაუქმების მიზანშეწონილობის საკითხი სასამართლოს მიერ შესაბამისი მხარეების ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, სამართლიანობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვით წყდება.

თუ კრედიტორისათვის მიყენებული ზიანი აღემატება გადახდისუუნარობის მასის ერთიანობის დაცვის ინტერესს, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, სასამართლო

⁶⁶ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 18.

⁶⁷ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 58).

გააუქმებს გამოყენებული მორატორიუმის ღონისძიებას. ასევე, მაგალითად, მორატორიუმის ღონისძიება შესაძლებელია გაუქმდეს იმ ქონებასთან მიმართებითაც, რომელიც რეაბილიტაციისათვის არ არის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ან როდესაც არსებობს ქონების გაუფასურების საფრთხე, აგრეთვე, როდესაც ქონების მოვლა-პატრონობის ხარჯი მისი შენარჩუნების ინტერესს ვერ ამართლებს. აქვე აღსანიშნავია, რომ თუ სახეგვა მორატორიუმის წესების დარღვევით დადებული გარიგება, ამგვარი გარიგება ჩაითვლება უცილოდ ბათილად, ხოლო მორატორიუმის შეზღუდვების სანინააღმდეგო სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელიც გარიგების დადებას არ გულისხმობს, განიხილება, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება და იწვევს შესაბამის სამოქალაქო პასუხისმგებლობას. დავის წარმოებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებები⁶⁸. მორატორიუმის კანონის მიერ ღონისძიებათა რიგს განეკუთვნება სააღსრულებო წარმოების, ასევე, საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად გამოყენებული ყადაღები და აკრძალვები, რომლებიც მხოლოდ ინდივიდუალური კრედიტორის დაკმაყოფილების ინტერესს ემსახურება. გადახდისუუნარობის რეჟიმის ინტერესი კი ინდივიდუალურ კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზანს არ ემსახურება, არამედ მისი კანონით გაცხადებული მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევის, ხოლო რეაბილიტაციის მიუღწევლობის შემთხვევაში – გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციიდან მიღებული თანხების განაწილების გზით. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ **მორატორიუმის გზით საპროცესო და სააღსრულებო ყადაღების გაუქმება, თავისი შინაარსით, შეჩერებას ნიშნავს**, რადგან გადახდისუუნარობის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნული ყადაღები და აკრძალვები, იმავე თარიღითა და რიგითობით განაგრძობს არსებობას.

აქვე, უნდა გაეცეს კითხვას პასუხი, თუ რატომ უნდა გაჩერდეს გამოყენებული ყადაღები და აკრძალვები, მით უფრო, თუ აღნიშნული ყადაღა/აკრძალვა სასამართლოს მიერ არის გამოყენებული ანდა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას ეხება. ამ მიმართებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და მისი კანონიერი ძალის უპირობო მოქმედება სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. გადახდისუუნარობის სამართალი ის სფეროა, სადაც მთავარი მიზნიდან გამომდინარე, გადახდისუუნარობის რეჟიმის ამოქმედება პირდაპირპრობორციულად მოვალის მიმართ მიმდინარე სააღსრულებო პროცესს აჩერებს და **მოვალის ქონება დაცვის რეჟიმში გადაყავს**, რათა კრედიტორების დაკმაყოფილება კოლექტიურად მოხდეს, ცალკეული კრედიტორისთვის უპირატესობის მინიჭების გარეშე.

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებას, უმეტეს შემთხვევებში, წინ უსწრებს ერთი ან რამდენიმე კრედიტორის სასარგებლოდ დაწყებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. გადახდისუუნარობა და აღსრულება ეს არის ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართალწარმოება, განსხვავებული მიზნებით. სააღსრულებო წარმოება ეს არის სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რათა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ დარჩეს უბრალო მოწოდებად და ის ნამდვილად აღსრულდეს. მეორე მხრივ კი, გადახდისუუნარობა ეს არის კერძო სამართლის დარგი, რომელის მიზანაც არ არის რაიმე საჯაროსამართლებრივი ინტერესის დაცვა. მისი

⁶⁸ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 19.

მოქმედების სფერო შემოსაზღვრულია კონკრეტულ პირთა წრით. ამ შემთხვევაში კი, მნიშვნელოვანია იმ კოლიზიურ ნორმათა ანალიზი, რომლებიც შესაძლოა მოქმედებდეს გადახდისუუნარო მოვალის წინააღმდეგ მიმდინარე სააღსრულებო საქმეთა წარმოებისას. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება იმთავითვე გულისხმობს მოვალის წინააღმდეგ დაწყებული ყველა იძულებითი აღსრულების ღონისძიების შეჩერებას და ახალი იძულებითი აღსრულების ღონისძიებათა დაწყების აკრძალვას. პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც, არა მხოლოდ ყადაღა/აკრძალვა ყოფილა მოვალის მთელ ქონებაზე, არამედ მის წინააღმდეგ უკვე მიმდინარეობდა იძულებითი აუქციონი სააღსრულებო სამართალწარმოების ფარგლებში. ამ შემთხვევაში, შესაძლოა კოლიზიურ მუხლებად ჩანდეს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლი⁶⁹ და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება და ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება დაუშვებელია. თუმცა, აღნიშნული მუხლის გამოყენება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ არ ხდება, რადგან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებით მოვალისათვის სხვა სამართლებრივი რეჟიმი იხსნება და აღნიშნული წარმოების გახსნის მომენტიდან „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგულაციები „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონთან შედარებით, სპეციალურ წესად მიიჩნევა. ამდენად, მოვალის ქონებაზე მიმდინარე საჯარო აუქციონი გადახდისუუნარობის საქმის გახსნით ჩერდება. ასევე, ჩერდება იმ ყადაღა/აკრძალვების მოქმედება, რომელიც მოვალისა თუ მისი ქონების მიმართ იქნა გამოყენებული.

პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება სარჩელის უზრუნველყოფის სამართლებრივი მექანიზმები, რომელთაგან ყველაზე „პოპულარული“ სწორედაც რომ ყადაღა/აკრძალვებია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებისთვის ერთ-ერთ წინაპირობად მომავალში გადანაცვტილებათა აღსრულებლობას ან აღსრულების გართულებას იცნობს. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის სახით ყადაღა/აკრძალვების გამოყენების ერთ-ერთი მთავარი მიზანი მომავალში გადანაცვტილების აღსრულებაა. გარდა აღნიშნულისა, ქართული სამართალი იცნობს ყადაღის კიდევ ერთ სახეს, ეს არის ე.წ. „აღსრულების ყადაღა“ ანუ შემთხვევა, როდესაც აღმასრულებელი სააღსრულებო წარმოების დაწყებისთანავე, მოვალის ქონების მობილიზების მიზნით, მის ქონებაზე ყადაღას ავრცელებს, რაც სააღსრულებო საქმის წარმოების პირველ ეტაპს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ რა მიზანს ემსახურება აღსრულების ეტაპზე გამოყენებული ყადაღა. როდესაც მხარე იგებს მის წინააღმდეგ დაწყებული სააღსრულებო წარმოების შესახებ, არსებობს რისკი, რომ მხარემ გაასხვისოს ან სხვა რაიმე გზით შეეცადოს ქონება, რომლიდანაც აღსრულება უნდა მოხდეს, აღმასრულებლისთვის ხელმოიწვდომელი გახადოს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლოს ანდა აღმასრულებლის მიერ გამოყენებული **ყადაღა/აკრძალვები სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადანაცვ-**

⁶⁹ ისევე, როგორც „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლი.

ტილებათა აღსრულების ინსტრუმენტი⁷⁰. თუმცა, ყადაღა/აკრძალვა გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნისთანავე აღნიშნულ დანიშნულებას კარგავს, რადგან გადახდისუნარობის საქმის გახსნით მორატორიუმი ცხადდება, რაც აჩერებს არსებულ ქონებასთან დაკავშირებით მიმდინარე აღსრულებებს, ცალკეულ კრედიტორთა დაკმაყოფილებას, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულებას, გადახდისუნარობის საქმეში შემავალ ქონებაზე გარიგების დადებას და ა.შ. **გადახდისუნარობის საქმის გახსნის თანმდევი შედეგია ე.წ. „გამყინავი ეფექტი“ გადახდისუნარობის მასის მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩერდება ყველაფერი, რაც გადახდისუნარობის მასას მიემართება და რამაც, თუნდაც თეორიულად, გადახდისუნარობის მასის შემცირება შეიძლება გამოიწვიოს. აღნიშნული არგუმენტის საპირწონედ ცალკეული კრედიტორის დაკმაყოფილების ინტერესი ვერ გამოდგება, რადგან გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნისთანავე გადახდისუნარობის მასის მიმართ მოქმედი ე.წ. „გამყინავი ეფექტის“ მქონე ღონისძიებების მიზანი კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილებაა, თანაც მოვალის რეაბილიტაციის გზით, ხოლო თუ მოვალის რეაბილიტაცია ვერ მოხერხდა, მაშინ – კრედიტორთა კანონით დადგენილი წესით დაკმაყოფილება გადახდისუნარობის მასის მაქსიმალურად ეფექტიანად რეალიზაციის გზით. ამდენად, ცალკეული კრედიტორის დაკმაყოფილება არ არის გადახდისუნარობის კანონმდებლობის მიზანი, უფრო მეტიც, ცალკეულ კრედიტორთა დაკმაყოფილება გადახდისუნარობის სანინააღმდეგო მიზანი უფროა, რადგან ამით კრედიტორთა **კოლექტიური და სამართლიანი** დაკმაყოფილება გამოირიცხება.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო გადახდისუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობით, მოთხოვნისამებრ, რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმს ხსნის და რეაბილიტაციის რეჟიმის მმართველს/ზედამხედველს ან გაკოტრების რეჟიმის მმართველს ნიშნავს. ამავე განჩინებით სასამართლო მორატორიუმს ადგენს და მორატორიუმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების სრულ აღწერას აკეთებს, მათ შორის, მორატორიუმის სავალდებულო და დისკრეციული ღონისძიებების, თუ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მორატორიუმის რომელიმე დისკრეციული ღონისძიება გამოიყენა.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის⁷¹ კიდევ ერთი სიახლის მიხედვით, კეთილსინდისიერი მოვალე შეიძლება თავად დარჩეს მართვაში, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, მას ზედამხედველი ენიშნება. ამდენად, მაშინაც კი, თუ დაკმაყოფილდება კრედიტორის განცხადება მოვალის რეაბილიტაციის შესახებ, რომლითაც კრედიტორი რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნას ითხოვს, სასამართლოს შეუძლია მოვალე მართვაში დატოვოს, თუ ეს უკანასკნელი სასამართლოსთვის დამაჯერებლად დაასაბუთებს, რომ სამენარმოე საქმიანობას კეთილსინდისიერად და სათანადო ზრუნვის მოვალეობით, იმ გონივრული რწმენით უძღვებოდა, რომ მისი ქმედებები და გადაწყვეტილებები მისი ბიზნესისთვის ყველაზე ხელსაყრელი იყო. როდესაც მოვალის მართვაში დატოვებისას სასამართლო მოვალეს უნიშნავს რეაბილიტაციის ზედამხედველს, **სასამართლო გადახ-**

⁷⁰ თ. ართქელაძე, „რეაბილიტაციის შემაფერხებელი გარემოებები გადახდისუნარობის ქართულ სამართალში“, თბილისი, 2017 წ. (სამაგისტრო ნაშრომი).

⁷¹ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020.

დისუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობის განჩინებაში, ასევე, ასახავს ფაქტს, რომ რეაბილიტაციის პირობებში, მართვაში მოვალეს ტოვებს და, ამავედროულად, ზედამხედველს უნიშნავს.

გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის/გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინებას სასამართლო **დაუყოვნებლივ უგზავნის** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს (შემდგომში – აღსრულების ეროვნული ბიურო) და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – საჯარო რეესტრი) მორატორიუმის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შესასრულებლად. **სასამართლო აღნიშნულ განჩინებას უგზავნის, ასევე, ამავე განჩინებით დანიშნულ გადახდისუნარობის პრაქტიკოსს** და ატყობინებს მას რეაბილიტაციის/გაკოტრების რეჟიმის გახსნისა და მისი მმართველად დანიშვნის შესახებ. სასამართლომ, აღნიშნული განჩინების მიღებამდე, მხარეებს უნდა მისცეს წინადადება, წარმოადგინონ მიმდინარე დავების თაობაზე ინფორმაცია, რათა სასამართლომ შესაბამის სასამართლოს ანდა ადმინისტრაციულ ორგანოს გადახდისუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე აცნობოს. გადახდისუნარობის საქმის განმხილველი მოსამართლე აღნიშნული მიზნით წერილობით შეტყობინებებს აგზავნის, რისი სამართლებრივი შედეგიც უნდა იყოს აღნიშნული დავების დაჩქარებული წესით განხილვა (შეტყობინების მიღებიდან 20 დღიანი განხილვა და 5 დღიანი გასანივრების ვადა) ანდა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დავებზე საქმის წარმოების შეჩერება.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის⁷² ერთ-ერთი მთავარი პრინციპი გამჭვირვალობაა. სწორედ აღნიშნული პრინციპის დაცვას ემსახურება კანონის დანაწესი მასზედ, რომ **გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის/გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინება უნდა გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე**, ხოლო პროცესის მიმდინარეობისას სხვა შეტყობინებებისთვის საკმარისია ინფორმაციის გადახდისუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – ელექტრონული სისტემა) განთავსება, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

⁷² „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 14).

4. გადახდისუნარიობის მასა

ქეთევან მესხიშვილი

4.1. გადახდისუნარიობის მასაში შემავალი ქონება

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი იმ ქონების ნუსხას განსაზღვრავს, რომლის განკარგვაც კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზანს ემსახურება⁷³. კანონის მიხედვით **„სამეურვეო ქონება“⁷⁴ გადახდისუნარიობის მასად იწოდება⁷⁵**. გადახდისუნარიობის მასა მოიცავს მთელ ქონებას, რომელიც მოვალეს გადახდისუნარიობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისათვის ეკუთვნის, ასევე, ამ მომენტიდან შეძენილ/მიღებულ/წარმოებულ ქონებას, მათ შორის, გადაცემად ლიცენზიებსა და ნებართვებს, აგრეთვე, იმ ქონებას, რომელიც საცილო ქმედების შედეგად, მოვალის ქონებრივი გამგებლობიდან გავიდა და რომელიც, მმართველის სარჩელის საფუძველზე, მოვალისათვის დაბრუნებულ იქნა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

გადახდისუნარიობის მასად⁷⁶ შეიძლება განხილული იქნეს მოვალის ქონება, რომლის განკარგვაც შესაძლებელია გადახდისუნარიობის საქმის წარმოების გახსნის შედეგად, ისიც მხოლოდ გადახდისუნარიობის კანონის ნორმათა შესაბამისად. სამართლებრივ სისტემებში არსებობს განსხვავებული თვალსაზრისები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს ეს ცნება სწორად გაგებული, მაგრამ უდავოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ გადახდისუნარიობის მასა სპეციალური (განსაკუთრებული) ქონების სახეობაა, რომელიც გადახდისუნარიობის საქმის წარმოების გახსნით წარმოიშობა. მართალია, მოვალესთან რჩება საკუთრების ფორმალური უფლებები და მმართველზე მხოლოდ განკარგვის უფლებამოსილება გადადის, მაგრამ მმართველი თავისი ფუნქციების შესრულებისას მაინც არ განიხილება **მოვალის წარმომადგენლად, რამდენადაც იგი მოვალის მითითებებს არ ექვემდებარება**. მოვალის ქონება, ძირითადად, კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება, თუმცა, **მმართველი არც კრედიტორთა წარმომადგენელია, იგი იმ ფუნქციას ახორციელებს, რაც მას კანონით აქვს დაკისრებული და რომელიც მან კრედიტორთა მითითებისაგან დამოუკიდებლად უნდა განახორციელოს**.

⁷³ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020.

⁷⁴ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007 (მუხლი 3, „რ“ პუნქტი).

⁷⁵ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 59).

⁷⁶ გადახდისუნარიობის მასა, ხშირ შემთხვევაში, თეორიაში მოხსენებულია, როგორც ვალაუვალობის მასა ან სამეურვეო ქონება. აღნიშნული განსხვავება განპირობებულია იმით, რომ „გაკორტების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი ვალაუვალობის მასის ცნებას ითვალისწინებდა, „გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი – სამეურვეო ქონების, ხოლო „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი კი გადახდისუნარიობის მასის ცნებას ადგენს. ნაშრომში განვითარებული მსჯელობის მიზნებისათვის, **„ვალაუვალობის მასა“, „სამეურვეო ქონება“ და „გადახდისუნარიობის მასა“ იდენტური ცნებებია**.

მთელი ქონება, ძირითადად, გადახდისუუნარობის მასად გადაიქცევა. ამასთან, ფიზიკური პირების გაკოტრებისას, წესისამებრ, ის ქონება გამოირიცხება, რომელიც ვალაუვალობის წარმოების ფარგლებს გარეთაც კრედიტორთა ხელყოფისაგან არის დაცული, როგორც აღსრულებას მიუქცევადი ქონება. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი „სამეურვეო ქონების“ ცნებით⁷⁷ საყოველთაოდ აღიარებულ ტრადიციას მისდევს. ეს ცნება, გარკვეულწილად, საკუთრების მინდობიდან გამომდინარე ვალდებულებაზე უნდა მიუთითებდეს⁷⁸.

ვალაუვალობის მასის შინაარსის გაგებას აადვილებს იმის ცოდნა, რომ **Istmasse (არსებული მასა) განვასხვავოთ Sollmasse-საგან (სავალდებულო მასისაგან)**. Istmasse ის ქონებაა, რომელიც სახეგა (ანუ არსებობს) წარმოების დაწყებამდე. როდესაც საქმე მატერიალურ ქონებას (მოძრავ და უძრავ ნივთებს) ეხება, მმართველი დაუფლება და მართავს მას, ხოლო თუ საქმე მოთხოვნებს ან არამატერიალურ უფლებებს ეხება, მმართველს მხოლოდ მათი განკარგვის უფლებამოსილება აქვს. ამასთან, მმართველს მოვალის ქონების მიმართ, წესით, ისეთივე უფლებები აქვს, როგორც ჰქონდა მოვალეს. ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, რომ „**მმართველი მოვალის ქურქშია**“ გახვეული. თუკი მოვალე გაანათხოვრებდა თავის კუთვნილ ნივთს, მაშინ მმართველი ამ საკუთრებას ისევე განკარგავდა, როგორც მანამდე ამას მოვალე მოიძოქმედებდა; ხოლო თუკი მოვალეს მხოლოდ მფლობელობა აქვს ნივთის მიმართ, რომელიც მან სხვისგან ინათხოვრა, მაშინ მმართველსაც მხოლოდ ფლობის უფლება აქვს. თუ მესაკუთრეს ნივთის გამოთხოვის უფლება აქვს, მაშინ მმართველსაც ბუსტად იგივე ვალდებულება აკისრია, როგორც თავად მოვალეს ვალაუვალობის საქმის წარმოების გახსნამდე. ამდენად, ვალაუვალობის წარმოების მიმდინარეობისას **Istmasse (არსებული მასა)** იმის მიხედვით შემცირდება, თუკი მმართველი მესაკუთრეებს თავიანთ კუთვნილ ქონებას დაუბრუნებს. **ჩვეულებისამებრ, ვალაუვალობის კანონები მმართველს ისეთ განსაკუთრებულ უფლებებსაც ანიჭებენ, რომლებიც მოვალეს მანამდე არ გააჩნდა. ამ უფლებებით მმართველის აღჭურვა ვალაუვალობის მასის გაზრდას ემსახურება.**

განსაკუთრებული უფლებები, უპირველეს ყოვლისა, სამ სფეროზე ვრცელდება: **პირველ რიგში, მმართველს** ხშირად ეძლევა შესაძლებლობა, მაშინაც ფლობდეს სანარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო წარმოების საშუალებებს, როცა ისინი მესამე პირს ეკუთვნის, ანდა როცა მესამე პირს მათზე უზრუნველყოფილი უფლება აქვს (რაც გადახდისუუნარობის წარმოების გარეშე ურთიერთობებში მას მიანიჭებდა უფლებას, რომ თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუქციონზე გაეყიდა უზრუნველყოფის საგანი). **მეორე განსაკუთრებული უფლება მმართველს**, ჩვეულებისამებრ, იმ საკითხთან დაკავშირებით ეძლევა, თუ როგორია მისი არჩევანის უფლება იმ ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც ორივე მხარის მიერ ჯერ კიდევ არ არის სრულად შესრულებული: მოითხოვს თუ არა იგი ხელშეკრულების შესრულებას, თუ განიხილავს მას როგორც დამთავრებულს. ასეთი განსაკუთრებული უფლება მნიშვნელოვანია, ვინაიდან თვით სანარმოსათვის შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ის, რომ მოვალის სახელშეკრულებო პარტნიორები გადახდისუუნარობის საქმის წარმოების

⁷⁷ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007 (მუხლი 3, „რ“ პუნქტი).

⁷⁸ იხ. ჰ. შნიტგერი, რ. მიგრიაული „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, 2011, თბილისი, გვ. 45.

შემდეგაც შეასრულებენ თავიანთ არსებულ სახელშეკრულებო ვალდებულებებს. სხვა მხრივ, მართალია, გადახდისუუნარობის მასა შემცირდება, თუკი მმართველი საპირისპირო შესრულებას განახორციელებს, მაგრამ ასეთ დროს აუცილებელია ორმხრივი უფლებების ზუსტად მონესრიგება; **განსაკუთრებულ უფლებათა მესამე სფეროა** იმ იურიდიულ მოქმედებათა შეცილება, რომელთა შედეგადაც მოხდა გადახდისუუნარობის მასის შემცირება. ამ უფლების გამოყენებით არ უნდა იქნეს დაშვებული, რომ გადახდისუუნარობის მასის შემადგენელი ნაწილები არამართლზომიერი გზით ხელმისაწვდომი გახდეს კრედიტორებისათვის, ანდა ცალკეული კრედიტორი იმგვარად იქნეს დაკმაყოფილებული, რომ ეს წინააღმდეგობაში მოვიდეს ყველა კრედიტორის თანაბარზომიერად დაკმაყოფილების მიზანთან. **აქედან გამომდინარე, Sollmasse (სავალდებულო მასა) შეიძლება დავახასიათოთ, როგორც გადახდისუუნარობის მასა, რომელიც დადგენილი წესების დაცვით ჩატარებული გადახდისუუნარობის წარმოების დამთავრებისას განკუთვნილია კრედიტორების დასაკმაყოფილებლად. ამდენად, პირველ რიგში, მმართველის ამოცანაა, წარმოების დაწყებისას სრულად მოუყაროს თავი Istmasse და დაეუფლოს მას და შემდეგ გარდაქმნას არსებული მასა, შეძლებისდაგვარად, უფრო დიდ სავალდებულო მასად.**

ქონების მართვის გარდა, რომელშიც მოიაზრება აგრეთვე საწარმოს ფუნქციონირების გაგრძელება, მმართველის განკარგულებაშია კიდევ სხვა განსაკუთრებული უფლებებიც. გადახდისუუნარობის მასის მოცულობის საკითხი 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონში იმ სახითაა მონესრიგებული, როგორც ეს 1996 წლის გაკოტრების კანონში იყო. გადახდისუუნარობის მასაში შედის მოვალის მთელი ქონება, გარდა მოვალე ფიზიკური პირის იძულებით აღსრულებას დაუქვემდებარებელი ქონებისა. გადახდისუუნარობის მასაში შედის, აგრეთვე, ვალაუვალობის საქმის წარმოების დროს წარმოშობილი მოვალის ქონება, მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები მმართველის განსაკუთრებული უფლებების სფეროში⁷⁹.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით⁸⁰, გადახდისუუნარობის მასა მოიცავს მთელ ქონებას, რომელიც მოვალეს ეკუთვნის განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისათვის, ასევე, ამ მომენტიდან შეძენილ/მიღებულ/წარმოებულ ქონებას. ამდენად, კანონი გადახდისუუნარობის მასად მიიჩნევს არსებულ ქონებას (**Istmasse**), რომელიც შეძენა, მიღება, წარმოების შედეგად უფრო დიდ ქონებად უნდა გარდაიქმნას (**Sollmasse**). გადახდისუუნარობის ქონების ზრდა დიდწილად არის დამოკიდებული **აღნიშნული ქონების ზრდაუნარიანობასა და მოვალის უფლება-მოვალეობებზე**, რაც მას გადახდისუუნარობის საქმის გახსნის დროისათვის გააჩნდა, ასევე, **მმართველის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვან შესრულებაზე**. ამდენად, გადახდისუუნარობის მასაში შედის გადახდისუუნარობის საქმის გახსნის მომენტისათვის არსებული მოვალის მთელი ქონება, გადახდისუუნარობის საქმის გახსნის შემდგომ შეძენილი ქონება, **მმართველის მხრიდან შედავების (შეცილების) შედეგად დაბრუნებული ქონება და, ამავედროულად, მოვალის რეგისტრაციაუნარიანი ქონება, რომელიც მოვალის მფლობელობაშია**, თუმცა, მასზე მოვალის საკუთრების უფლება რე-

⁷⁹ იხ. კ. შნიტკერი, რ. მიგრიაული „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, 2011, თბილისი, გვ. 46-47.

⁸⁰ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 59).

გისტრირებული არ არის. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული ქონება გადახდისუუნარობის მასის ნაწილი ხდება მას შემდეგ, რაც მმართველის სარჩელის (განცხადების, საჩივრის) საფუძველზე ქონება, საკუთრების უფლებით, მოვალის სახელზე დარეგისტრირდება.

4.2. გადახდისუუნარობის მასიდან ამოსარიცხი ქონება

ზოგადი წესის მიხედვით, გადახდისუუნარობის მასიდან ამოსარიცხ ნივთებად ისეთი ქონება ითვლება, რომელიც, მართალია, არსებულ მასას განეკუთვნება, მაგრამ მმართველმა ის იმ პირს უნდა გადასცეს, რომელსაც აღნიშნულ ქონებაზე სანივთო უფლება აქვს. ამ მიმართებით სანივთო უფლებაში საკუთრების აბსოლუტური უფლება იგულისხმება. შესაბამისად, თუკი მესამე პირებს გადახდისუუნარობის მასაში არსებულ ქონებაზე საკუთრების უფლება აქვთ (ე.წ. „საკუთრების კრედიტორები“), მაშინ მიიჩნევა, რომ მათ ამ ქონების გადახდისუუნარობის მასიდან გამოცალკევების მოთხოვნის უფლებაც გააჩნიათ (**გამოცალკევების უფლება**). თუკი გადახდისუუნარობის მასაში არსებულ ნივთებზე მესამე პირებს, არა აბსოლუტური (საკუთრება), არამედ აქცესორული (იპოთეკა, გირავნობა) უფლება აქვთ, მაშინ ისმის კითხვა, ხომ არ შეუძლია უზრუნველყოფილ კრედიტორს თავისი მოთხოვნა ამ ნივთით გადახდისუუნარობის წარმოებისაგან განცალკევებით დაიკმაყოფილოს (**განცალკევებით დაკმაყოფილების უფლება**). ზოგადად, მიჩნეულია, რომ ასეთი პირების სანივთო უფლებებს გადახდისუუნარობის წარმოებაშიც უნდა სცენ პატივი⁸¹. თუმცა, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა იგულისხმება ე.წ. „უფლების პატივისცემაში“. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ვალაუვალობის წარმოების ეკონომიკური წარმატებისათვის შეიძლება გადაწყვეტი იყოს ის, რომ **ცალკეულ კრედიტორებს მთლიანი სანარმოს ღირებულების გაუფასურების უფლება არ მიეცეთ, შესაბამისად, მათ გადახდისუუნარობის საერთო მასიდან თავიანთი, თუნდაც უზრუნველყოფილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, უზრუნველყოფის საგნების გამოყოფისა და რეალიზაციის უფლება უნდა შეეზღუდოთ.**

გადახდისუუნარობის კანონები, რომლებიც სანარმოს გადარჩენას ისახავენ მიზნად, სულ მცირე, იმის შესაძლებლობას უშვებენ, რომ დატვირთული ნივთებიც გადახდისუუნარობის მასაში დარჩეს⁸². აქედან გამონაკლისის დაშვება იმ კრედიტორების სასარგებლოდ შეიძლება მოხდეს, რომლებიც დაასაბუთებენ, რომ უზრუნველყოფის საგანი (ნივთი) სანარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო არ არის. შესაძლებელია, ასევე, გამონაკლისის სახით, აღნიშნული უფლება მმართველს მიენიჭოს, რომელიც გადაწყვეტს, უზრუნველყოფის საგანს აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა სანარმოს შემდგომი არსებობისათვის. შესაბამისად, თუ მმართველი დაადგენს, რომ სანარმოს შემდგომი არსებობისათვის აღნიშნული ქონება აუცილებელი არ არის, მმართველი ნივთს (ქონებას) უზრუნველყოფილ კრედიტორს გადასცემს. ეს წესი შეიძლება ისეთ ქონებაზეც გავრცელდეს, რომელიც, მართალია, მესამე პირის საკუთრებაა, თუმცა, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებისთანავე, მისი საკუთრება გახდება (პირობადებული საკუთრება)⁸³. ამდენად, თუკი ტრანზაქციებს ეკონომიკური თვალ-

⁸¹ იხ. კ. შნიტგერი, რ. მიგრიული „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, 2011, თბილისი, გვ. 46-47.

⁸² იხ. კ. შნიტგერი, რ. მიგრიული „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, 2011, თბილისი, გვ. 48-52.

⁸³ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლის – პირობადებული საკუთრება.

საზრისით შევხედავთ, მესამე პირის საკუთრების უფლებასა და უზრუნველყოფილ უფლებას შორის განსხვავების პოვნა არცთუ ისე ადვილია. გამყიდველზე საკუთრების უფლების შენარჩუნება (ე.წ. პირობადებული საკუთრება) შეიძლება, ასევე, უზრუნველყოფის საშუალებად მივიჩნიოთ⁸⁴. იგივე წესი შეიძლება გავრცელდეს ლიზინგის ხელშეკრულებებზეც, რომელიც ლიზინგის საგნის სამომავლო გამოსყიდვის უფლებით იდება. გადახდისუუნარობის მასიდან ქონების ამორიცხვის საფუძვლისა და წესის გაანალიზებისთვის მიზანშეწონილია იმ წესების მიმოხილვა, რომელსაც „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი⁸⁵ და „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“⁸⁶ საქართველოს კანონი ითვალისწინებდა.

„გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი⁸⁷ აწესრიგებდა მესამე პირების (ანუ საკუთრების კრედიტორების) გამოცალკევების მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ნორმით დადგენილი იყო, რომ მმართველს უნდა დაებრუნებინა მესამე პირებისათვის მათი კუთვნილი ნივთები, ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნა აბსოლუტურად და ამომწურავად არსებობდა. ეს უფრო მეტად ნიშნავდა იმას, რომ მმართველის მიერ ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნა, რომელიც საკუთრებას ეფუძნება, ვალაუვალობის წარმოებაშიც შესასრულებელია⁸⁸. ვალაუვალობის საქმის წარმოების გარეთაც მესაკუთრეს არ შეუძლია ყველა გარემოების საფუძველზე მოითხოვოს ქონების უკან დაბრუნება, ვინაიდან, წესისამებრ, მფლობელთან სახელშეკრულებო ურთიერთობები არსებობს და ამ სახელშეკრულებო მონესრიგებას უპირატესობა ენიჭება. ფაქტობრივად, არასოდეს იქმნება ისეთი სიტუაცია, როდესაც მოვალე, უბრალოდ ფლობს მესამე პირის ნივთებს. როგორც წესი, მას ნივთებზე მფლობელობა სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე წარმოეშობა. მაგალითად, მოვალემ იქირავა ეს ნივთები ან იყიდა პირობადებული საკუთრებით (გამყიდველზე საკუთრების შენარჩუნებით). ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში, ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება და, შესაბამისად, გამქირავებლის მიერ უკან დაბრუნების მოთხოვნა ხელშეკრულების დასრულების მომენტიდან არსებობს. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, თუ რა მოუვა ქირავნობის ხელშეკრულებას ვალაუვალობის საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში⁸⁹. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, სახელშეკრულებო მონესრიგების უპირატესობა პრეზუმირდება. სახელშეკრულებო მონესრიგების უპირატესობა გვხვდება, აგრეთვე, პირობადებული საკუთრებით ნასყიდობისასაც, ვინაიდან გამყიდველს არ შეუძლია, ზოგადი სამოქალაქო სამართლის ნორმების მიხედვით, გაყიდული ნივთის (რომელიც მისი საკუთრებაა) უკან დაბრუნება მანამდე მოითხოვოს, ვიდრე მყიდველი ჯერ კიდევ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავის ვალდებულებებს ასრულებს.

⁸⁴ იხ. პ. შნიტგერი, რ. მიგრიაული „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გააკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, 2011, თბილისი, გვ. 48-52.

⁸⁵ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

⁸⁶ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 25/06/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996.

⁸⁷ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 25/06/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996 (მუხლი 20.1).

⁸⁸ რ. მიგრიაული, შესავალი გააკოტრების სამართალში, მეორე გადამ. გამოცემა, თბ., 2006 წ., გვ. 37-41.

⁸⁹ იქვე.

„გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი⁹⁰ აწესრიგებდა უზრუნველყოფილი კრედიტორების საკითხს. უზრუნველყოფილად მიიჩნეოდა არა მხოლოდ ისეთი კრედიტორი, რომელსაც მოვალის ქონებაზე გირავნობის ან იპოთეკის უფლება ჰქონდა, არამედ ისეთი კრედიტორიც, რომელსაც მოვალის საგნები „უზრუნველყოფის მიზნით“ ეკუთვნოდა. ამდენად, აღნიშნული დანაწესით პირობადებული საკუთრების „გამყიდველი“, რომელიც ქონებაზე საკუთრების უფლებას მართოდ იქამდე და იმ მიზნით ინარჩუნებს, რომ მყიდველმა ნასყიდობის საფასური გადაიხადოს, უზრუნველყოფილ კრედიტორს უთანაბრდებოდა. იგივე წესი ვრცელდებოდა უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნათა დათმობის შემთხვევებზე. მოთხოვნების ნამდვილ გაყიდვასა და უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის წმინდა სახის დათმობას შორის მიჯნა მათი ეკონომიკური თვალსაზრისით სხვაობაში მდგომარეობდა. ასეთი უზრუნველყოფილი კრედიტორებისათვის მონესრიგებული იყო, რომ ისინი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში დაკმაყოფილების მიზნით, უზრუნველყოფილი ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნას (განცალკევებით დაკმაყოფილების მოთხოვნას) ვერ წარადგენდნენ⁹¹. უზრუნველყოფილი ნივთები გადახდისუუნარობის მასაში რჩებოდა და მათი ლიკვიდაციაც გადახდისუუნარობის წარმოების ფარგლებში ხორციელდებოდა, ხოლო უზრუნველყოფილი კრედიტორი ნივთის გაყიდვიდან მართოდ უპირატესი დაკმაყოფილების უფლებას ინარჩუნებდა. თუმცა, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“⁹² საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონისაგან⁹³ განსხვავებით, უზრუნველყოფილი კრედიტორების უპირატესი დაკმაყოფილების უფლებას იმით ზღუდავდა, რომ ისინი, უპირატესად, ამონაგების მხოლოდ $\frac{3}{4}$ იღებდნენ. დარჩენილი თანხა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დასაკმაყოფილებლად გადახდისუუნარობის მასაში რჩებოდა. ამდენად, უზრუნველყოფილი საგნის გაყიდვით უზრუნველყოფილი კრედიტორი სრულად მხოლოდ მამინ კმაყოფილდებოდა თუ ამონაგები მის მოთხოვნას $\frac{1}{3}$ -ით აღემატებოდა⁹⁴. ამდენად, კრედიტორთა განცალკევებით დაკმაყოფილების აკრძალვა საწარმოს გადარჩენის ხელშეწყობისაკენ იყო მიმართული. უზრუნველყოფილი კრედიტორები ვეღარ გაანადგურებდნენ საწარმოს ერთიან ქონებას წარმოებისათვის მნიშვნელოვანი ქონების/საგნების მასიდან ამოღებით. ამით კი, საწარმოს გადარჩენისა და არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების პერსპექტივები საკმაოდ იზრდებოდა⁹⁵.

⁹⁰ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 25/06/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996 (მუხლი 20.2).

⁹¹ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 25/06/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996.

⁹² საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 25/06/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996.

⁹³ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

⁹⁴ (გამოსაანგარიშებელი მაგალითი: მოთხოვნა = 200 ლარს; ამონაგები თანხა = 134 ლარს; კრედიტორს უნდა გადაუხადონ 134 ლარის მაქსიმუმ $\frac{3}{4}$ = 100,5 ლარს. დარჩენილი 90,5 ლარით (200-100,5) კრედიტორი არის არაუზრუნველყოფილი კრედიტორი). იხ. რ. მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, მეორე გადამ. გამოცემა, თბ., 2006 წ., გვ. 37-41.

⁹⁵ იხ. პ. შნიტკერი, რ. მიგრიაული „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, 2011, თბილისი, გვ. 48-52.

თუ გადახდისუუნარობის მასიდან ქონების ამორიცხვის საკითხს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის⁹⁶ მიხედვით განვიხილავთ, მივიღებთ სურათს, რომლის მიხედვითაც, 2007 წლის კანონი იძლევა უზრუნველყოფილი კრედიტორის ცნებას. უზრუნველყოფილ კრედიტორად მიიჩნევა ისეთი კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც უზრუნველყოფილია იპოთეკით, გირავნობით ან საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებით. დამაბნეველია ის გარემოება, რომ ამგვარ კრედიტორს იმავდროულად „ახალ კრედიტორსაც“ უწოდებენ. თუმცა, ამას კანონის შესაბამისად არანაირი განსხვავებული შედეგი არ მოჰყვება. უნდა ითქვას, რომ კანონის ამ ნორმას ამკარად აკლია „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირება⁹⁷.

როდესაც „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ ვალაუვალობის მასის დეფინიციას ვეცნობით⁹⁸, რომლის თანახმადაც, სამეურვეო ქონებას „მხოლოდ“ მოვალის საკუთრებაში არსებული საგნები მიეკუთვნება, თავისთავად, ამით სახეზეა ვალაუვალობის მასიდან სხვისი საკუთრების გამოცალკევების მოთხოვნაც, რაც ამავე კანონით ცალსახად მოწესრიგებული იყო⁹⁹. უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებებთან დაკავშირებით „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, ძირითადად, მხოლოდ მდუმარე გადაწყვეტას იძლევა. მართალია, არსად არ არის ნახსენები, მაგრამ უზრუნველყოფილ კრედიტორს არ შეუძლია, მისი მოთხოვნის განცალკევებით დაკმაყოფილების მიზნით, გადახდისუუნარობის მასიდან უზრუნველყოფილი ნივთის გამოცალკევა და მისთვის გადაცემა მოითხოვოს. კანონი მდუმარედ უფრო მეტად იმ იდეას ეყრდნობა, რომ საწარმოს ქონება, როგორც ერთი მთლიანი, უნდა შენარჩუნდეს, შესაბამისად, უზრუნველყოფილი საგნების გასხვისება მართოდენ გადახდისუუნარობის წარმოების ფარგლებში უნდა მოხდეს. უზრუნველყოფილი კრედიტორები კი გადახდისუუნარობის მასიდან, არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან შედარებით, უპირატესად უნდა დაკმაყოფილდნენ.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი უზრუნველყოფილ კრედიტორს ამონაგებიდან უპირატესი დაკმაყოფილების უფლებას არ უზღუდავს, შესაბამისად, მას რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები სრულად გადაეცემა¹⁰⁰. ამ წესის სიტყვასიტყვითი განმარტების თანახმად, უზრუნველყოფილი კრედიტორი უფრო უკეთესადაა წარმოდგენილი, ვიდრე ეს „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონით იყო განსაზღვრული¹⁰¹. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უზრუნველყოფილი საგანი მხოლოდ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნით

⁹⁶ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007

⁹⁷ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 25/06/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996 (მუხლი 20).

⁹⁸ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 25/06/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996 (მუხლი 3, „რ“ პუნქტი).

⁹⁹ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 25/06/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996 (მუხლი 20).

¹⁰⁰ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007 (მუხლი 41).

¹⁰¹ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 25/06/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996 (მუხლი 20).

ნის დაკმაყოფილებას ემსახურება, შესაბამისად, მიღებული ამონაგებიც მხოლოდ მისი მოთხოვნის მოცულობის შესაბამისად გადაეცემა, ამონაგების ნაშთი კი ვალაუვალობის მასაში არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დასაკმაყოფილებლად რჩება. იმ შემთხვევაში, თუ ამონაგები არ არის საკმარისი უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ კრედიტორის დარჩენილი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა არაუზრუნველყოფილ მოთხოვნად ჩაითვლება და იგი, როგორც არაუზრუნველყოფილი კრედიტორი, ისე დაკმაყოფილდება¹⁰². აღნიშნული წესები გადახდისუუნარობის წარმოების ფარგლებში უზრუნველყოფილი კრედიტორის ზოგადად აღიარებულ სამართლებრივ მდგომარეობას შეესაბამება¹⁰³, **კერძოდ, უზრუნველყოფილ კრედიტორს არ გააჩნია განსაკუთრებული უფლებები მოვალის მთლიან ქონებაზე – ასეთი უფლებები უზრუნველყოფილ კრედიტორს მხოლოდ უზრუნველყოფილ საგანზე აქვს**. ამდენად, ამ განსაკუთრებული უფლებების გამოყენება მას მხოლოდ გადახდისუუნარობის წარმოებაში შეუძლია. თუმცა კანონი, მართებულ დასკვნას აკეთებს მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როდესაც უზრუნველყოფილი საგანი ნაწილ-ნაწილ იყიდება, ხოლო, თუკი ამის საპირისპიროდ, მთლიანი საწარმოს გასხვისება ხდება, მაშინ კანონიდან ის გამომდინარეობს, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორის განსაკუთრებული მდგომარეობა მოვალის მთლიან ქონებას მიეძღვრება¹⁰⁴.

ამდენად, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის მასაში შემავალ, თუ გადახდისუუნარობის მასიდან ამოსარიცხ ქონებაზე ბევრ ბუნდოვან დებულებას შეიცავს. ზემოაღწერილი მიმოხილვის შესაბამისად, რიგ მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე, მაგალითად, როგორცაა გადახდისუუნარობის მასიდან ქონების გამოცალკევება, უზრუნველყოფილ კრედიტორთა დაკმაყოფილების წესი და ა.შ. კანონი დუმს, თუმცა, ნორმათა განმარტება საერთაშორისოდ აღიარებულ წესებს შეესაბამება¹⁰⁵. აღნიშნული ხარვეზები გამოასწორა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონმა¹⁰⁶. კანონის ერთ-ერთი სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ იგი მკაფიოდ განსაზღვრავს მოვალის ქონებაში მყოფ ცალკეულ ნივთებთან დაკავშირებული სანივთო უფლებების საკითხს; უფრო ამომწურავად და, რაც მთავარია, სამართლიანად არის განსაზღვრული მოვალის ქონების ის ნაწილი, რომელიც ამორიცხულ უნდა იქნეს გადახდისუუნარობის მასიდან. კერძოდ, ის პირები, რომელთაც პირობადებული საკუთრების ან სალიზინგო ურთიერთობიდან გამომდინარე, ან ვალდებულების არსებითად შესრულების გამო, გააჩნიათ უფლება გადახდისუუნარობის მასაში შემავალ საგანზე, არ განიხილებიან კრედიტორებად გადახდისუუნარობის კანონმდებლობიდან გამომდინარე. შესაბამისად, მათი დაკმაყოფილება სანივთო ან ვალდებულებით სამართ-

¹⁰² საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007 (მუხლი 41).

¹⁰³ Legislative Guide on Insolvency Law, https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/05-80722_ebook.pdf, New Yourk, 2005.

¹⁰⁴ იხ. პ. შნიტგერი, რ. მიგრიაული „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, 2011, თბილისი, გვ. 48-52.

¹⁰⁵ Legislative Guide on Insolvency Law, https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/05-80722_ebook.pdf, New Yourk, 2005.

¹⁰⁶ საქართველოს კანონის პროექტი, მიღების თარიღი: 06/02/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებ-გვერდი, 06/02/2020.

ლებრივი მოთხოვნის განხორციელებისათვის დადგენილი საერთო წესით ხდება¹⁰⁷. ანალოგიურად, თუ გადახდისუუნარობის მასაში შემავალ კონკრეტულ ქონებასთან დაკავშირებით არსებითად დასრულებულია სააღსრულებო წარმოება და სახეგა საკუთრებაში გადაცემის შესახებ განკარგულების გამოცემისათვის აუცილებელი ყველა წინაპირობა, ასეთი ქონება უფლებამოსილ პირს უნდა გადაეცეს¹⁰⁸. **ასეთი მიდგომა გადახდისუუნარობის მასაში შემავალი ქონების ცალკეულ ნაწილებზე უფლებამოსილი მესამე პირების ლეგიტიმური ინტერესების დაცვისაკენ არის მიმართული.** ამავედროულად, მმართველს უფლება აქვს, უარი უთხრას დაინტერესებულ პირს ამგვარი ქონების გამოყოფაზე, თუ ეს ეწინააღმდეგება მოვალის რეაბილიტაციის ინტერესებს და ამასთან, უზრუნველყოფილია რეაბილიტაციის შედეგად ამ კრედიტორის სრულად დაკმაყოფილება¹⁰⁹. რაც შეეხება უზრუნველყოფილ კრედიტორებს, მოვალის ის ქონება, რომელზეც კრედიტორებს სანივთო უფლებები აქვთ (გირავნობა, იპოთეკა), გადახდისუუნარობის მასაში შედის და კრედიტორთა განცალკევებული დაკმაყოფილება არ ხდება. ერთადერთი გამონაკლისი, რასაც კანონი გადახდისუუნარობის მასიდან ქონების გამოყოფის თაობაზე ითვალისწინებს, მდგომარეობს იმაში, რომ რეაბილიტაციის მმართველი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან უზრუნველყოფილი კრედიტორის შუამდგომლობით, მიმართოს სასამართლოს უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ისეთი ქონების მორატორიუმისგან განთავისუფლებისა და რეალიზაციაზე თანხმობის მიღების მოთხოვნით, რომელიც რეაბილიტაციის მიზნის მისაღწევად აუცილებელი არ არის¹¹⁰.

სიახლეს წარმოადგენს, აგრეთვე, მმართველისათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება, თავად განსაზღვროს, კონკრეტულ ქონებასთან მიმართებაში არსებობს თუ არა ინტერესი. მაგალითად, მმართველს უფლება აქვს, მიატოვოს საკუთრების უფლება ისეთ ქონებაზე, რომლის მიმართ მას არ აქვს ეკონომიკური ინტერესი იმის გამო, რომ ამ ქონებას არ გააჩნია ლიკვიდური ღირებულება და შეუძლებელია მისი რეალიზაცია კრედიტორთა სასარგებლოდ, ან მოახდინოს მისი რეალიზაცია, თუ ამგვარი ქონების შენახვისა და მოვლა-პატრონობის ხარჯი აღემატება მის საბაზრო ღირებულებას¹¹¹. კანონის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლის შესაბამისად, დასაშვებია ხდება მოვალესა და კრედიტორს შორის არსებული მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა. ამავე მუხლით დადგენილია, რომ გაქვითვა ვერ განხორციელდება ცალმხრივად, კრედიტორის მიერ და ამის თაობაზე გადაწყვეტილებებს იღებს მმართველი ან მოვალე, რეაბილიტაციის ზედამხედველთან შეთანხმებით¹¹². „გადახ-

¹⁰⁷ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 60.1).

¹⁰⁸ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 60.4).

¹⁰⁹ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 18.

¹¹⁰ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 85.1).

¹¹¹ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 60.2).

¹¹² „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 61).

დისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მსგავსად, გადახდისუუნარობის მასაში არ შედის, ასევე, ქონება, რომელზეც, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იძულებითი აღსრულება არ დაიშვება¹¹³.

4.3. დასკვნა

გადახდისუუნარობის მასასთან დაკავშირებით, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ გადახდისუუნარობის მასის იდენტიფიცირება და მისი დაცვა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძველია. ამავდროულად, უაღრესად დიდი მნიშვნელობის მატარებელია გადახდისუუნარობის მასის დეფინიცია, რომელიც, პირველ რიგში, მოვალის ქონებას გულისხმობს, სადაც არ უნდა მდებარეობდეს და ვის მფლობელობაშიც არ უნდა იყოს ის. ამას ემატება მოვალის ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები მესამე პირთა, თუ მათი ქონების მიმართ¹¹⁴. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ გადახდისუუნარობის მასაში შედის უფლებრივად დატვირთული ქონებაც. გადახდისუუნარობის წარმოების გახსნა არ წარმოადგენს დატვირთული ქონების გამოცალკევების, იმ კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემისა, თუ მის სასარგებლოდ რეალიზაციის საფუძველს, რომელთა სასარგებლოდაც აღნიშნული ქონება უფლებრივად დატვირთულია. ერთი შეხედვით, ქონების რეალიზაციის შედეგად მოვალეს კრედიტორი მოაკლდება, თუმცა, აღნიშნული არგუმენტი დატვირთული ქონების გადახდისუუნარობის მასაში არშეტანის საკმარის საფუძველად არ გამოდგება, ვინაიდან გადახდისუუნარობის მთავარი მიზანი არა ცალკეულ კრედიტორთა დაკმაყოფილება, არამედ მოვალის რეაბილიტაციის გზით კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილებაა. შესაბამისად, თუ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნისთანავე დატვირთული ქონება უზრუნველყოფილი კრედიტორის სასარგებლოდ გასხვისდება, აღნიშნული გარემოება შეიძლება კომპანიის რეაბილიტაციისათვის ხელის შემშლელი აღმოჩნდეს, თუ დადგინდა, რომ გასხვისებულ ქონებას მოვალის რეაბილიტაციისათვის მნიშვნელობა ჰქონდა, ან ქონების გასხვისებამ, მოვალის რეაბილიტაციის ფარგლებში მიმდინარე, მოქმედი საწარმოს (going concern) გაყიდვა დააბრკოლა. გარდა ამისა, გადახდისუუნარობის პრიორიტეტია კრედიტორების კოლექტიური დაკმაყოფილება და არა ცალკეული კრედიტორის უპირატესი დაკმაყოფილება¹¹⁵. სწორედ, აღნიშნული მიზნით ჩერდება მოვალის ქონებაზე ნებისმიერი სააღსრულებო წარმოება, მათ შორის, უზრუნველყოფილი კრედიტორის სასარგებლოდ მიმდინარე. თუმცა, ამავდროულად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გადახდისუუნარობის კანონი მოქნილი უნდა იყოს და იძლეოდეს შესაძლებლობას, გადახდისუუნარობის მასიდან იმ ქონების გამოყოფა მოხდეს, რომელიც რეაბილიტაციის მიზნის მისაღწევად აუცილებელი არ არის.

ქონება, რომელზეც მესამე პირს აქვს საკუთრების უფლება, თუნდაც, აღნიშნული უფლების შენარჩუნება მოვალის მხრიდან გარკვეული ვალდებულების შესრულებაზე იყოს დამოკიდებული (პირობადებული საკუთრება, ლიზინგი და ა.შ.), ასეთ შემთხვევაში ქონების მესა-

¹¹³ საქართველოს კანონის პროექტი, მიღების თარიღი: 06/02/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებ-გვერდი, 06/02/2020, (მუხლი 59.4).

¹¹⁴ Legislative Guide on Insolvency Law, https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/05-80722_ebook.pdf, New Yourk, 2005, p. 75-76.

¹¹⁵ Legislative Guide on Insolvency Law, https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/05-80722_ebook.pdf, New Yourk, 2005, p. 75-76.

კუთრეს გადახდისუუნარობის მასიდან ქონების გამოყოფის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, რა დროსაც მოვალე აღნიშნული პირის მიმართ ყველა იმ ვალდებულებითსამართლებრივ უფლებას ინარჩუნებს, რაც მას გადახდისუუნარობის წარმოების მიღმა ექნებოდა. გარდა ამისა, დასაშვებია, რომ რეაბილიტაციის მიზნებისათვის მნიშვნელოვანი ქონება, რომელზეც მესამე პირის საკუთრების უფლება ვრცელდება, ისევ მოვალის მფლობელობაში შენარჩუნდეს, თუმცა, ასეთ დროს, მესაკუთრის უფლებები დაცული უნდა იყოს, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, აღნიშნული ქონება გადახდისუუნარობის მასაში არ უნდა შევიდეს¹¹⁶.

გადახდისუუნარობის მასის იდენტიფიცირება მნიშვნელოვანია იმ მიმართებითაც, რომ მესამე პირთა უფლებები იყოს დაცული. თუ მესამე პირის ქონება მოვალის მფლობელობაშია, მესამე პირს აღნიშნული ქონების მოვალისაგან გამოთხოვის უფლება მას შემდეგ უჩნდება, რაც მოვალის მხრიდან ქონების მართლზომიერი ფლობის საფუძველი ამოიწურება. რაღა თქმა უნდა აღნიშნული ქონება, გადახდისუუნარობის მასის მიღმაა და იგი კრედიტორების ინტერესების დაკმაყოფილებას ვერ მოემსახურება, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, გადახდისუუნარობის მასაში ვერ შევა¹¹⁷.

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც გადახდისუუნარობის მასის დასაცავად არის მნიშვნელოვანი, არის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დანებების მომენტის განსაზღვრა. აღნიშნული მომენტის იდენტიფიცირება მნიშვნელოვანია, რათა მოვალის ქონების მიმართ მორატორიუმის რეჟიმი გავრცელდეს, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, მოვალის ქონება „გაიყინოს“. მოვალის ქონების მიმართ ე.წ. „გამყინავი ეფექტის“ გავრცელება ნიშნავს იმას, რომ გადახდისუუნარობის მასას ქონება არ უნდა მოაკლდეს, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. დასაშვებია მისი გაზრდა. მოვალის ქონება უნდა შენარჩუნდეს იქამდე, სანამ მოვალის რეაბილიტაციის ან გაკოტრების გზით კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილება არ მოხდება.

¹¹⁶ Legislative Guide on Insolvency Law, https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/05-80722_ebook.pdf, New York, 2005, p. 75-76.

¹¹⁷ Legislative Guide on Insolvency Law, https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/05-80722_ebook.pdf, New York, 2005, p. 75-76.

5. კრედიტორები

გიორგი ბათლიძე

5.1. ზოგადი თეორიული მიმოხილვა

ქართულ რეალობაში გადახდისუუნარო მოვალის კრედიტორთა განსაკუთრებული უფლებამოსილებები აღიარებულია ამ დარგის მარეგულირებელი პირველი საკანონმდებლო აქტის – „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების დღიდან (შემდგომში – გაკოტრების კანონი)¹¹⁸. აღნიშნული, ერთმნიშვნელოვნად არის განწერილი გაკოტრების კანონის პირველ მუხლში, სადაც მითითებულია, რომ კანონის მიზანი კრედიტორთა დაკმაყოფილებაა. 2000-იანი წლების მეორე ნახევარში განხორციელებული რეფორმის ფარგლებში ეს მიზნობრიობა მცირედით შეიცვალა. კანონმდებელს სურდა იმის ხაზგასმა, რომ გაკოტრება, რაც წარმოადგენს ვალაუვალობის საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთ მექანიზმს, გამოყენებული უნდა ყოფილიყო სუბსიდიურად და უპირატესობა ენიჭებოდა რეაბილიტაციას. შესაბამისად, გაკოტრება, როგორც გამოსავალი, განიხილებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვალის რეაბილიტაცია ვერ ხერხდებოდა. ეს აისახა თავად კანონის სახელწოდებაზეც და გაკოტრების საქმეთა წარმოების ნაცვლად, კანონს დაერქვა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონი, ანუ შერჩეულ იქნა ისეთი სახელწოდება, რომელიც მითითებას აკეთებდა პროცესზე, ნაცვლად პროცესის შედეგისა.

სახელწოდების გარდა ცვლილება შეეხო კანონის მიზანსაც. შემოღებულ იქნა ჩანაწერი, რომლის მიხედვით **თანაბრად უნდა ყოფილიყო დაცული მოვალისა და კრედიტორის ინტერესები**. ამით, როგორც უკვე აღინიშნა, კანონმდებელს სურდა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებინა მოვალის რეაბილიტაციისთვის. ეს შესაბამისად აისახა გადახდისუუნარობის კანონის სხვა დებულებებშიც. თუმცა შედეგად, რეაბილიტაციის რეჟიმის გამოყენების ალბათობა და რეაბილიტირებული მოვალეების სტატისტიკა ამით რეალურად არ გაზრდილა. ამის საპირისპიროდ კი, მივიღეთ ბუნდოვანი ჩანაწერი, რომელიც არასამართლიანად ათანაბრებდა მოვალისა და მისი კრედიტორის მდგომარეობას და არათუ ხელს უწყობდა, არამედ ამის საპირისპიროდ კრედიტორებსა და მოვალეს შორის ხელოვნური კონფლიქტისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა.

სადავო არ არის, რომ კრიზისის დაძლევა მოვალის გადარჩენის გზით ეკონომიკურად შეიძლება უფრო მიმზიდველი იყოს. თავად კრედიტორებიც, ხშირად, არანაკლებ არიან დაინტერესებული მოვალესთან საქმიანი ურთიერთობის შემდგომი გაგრძელებით, ვიდრე მათი კუთვნილი ვალების ამოღებით. მეორე მხრივ, ყურადსაღებია, რომ გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან (აქ იგულისხმება არა მხოლოდ ფორმალურად საქმის წარმოების დაწყება, არამედ ფაქტობრივი გადახდისუუნარობაც), ბიზნესი ვეღარ იქნება მისი ხელმძღვანელებისა და პარტნიორების/აქციონერების თავისუფალ განკარგვაში, არამედ პირველ რიგში კრედიტორების დაკმაყოფილების მიზანს უნდა მოემსახუროს, ხოლო თუ კრე-

¹¹⁸ საქართველოს კანონის გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ, N286, 1996 წლის 25 ივნისი (გაკოტრების კანონი).

დიტორების მინიმალური დაკმაყოფილების სტანდარტის¹¹⁹ პარალელურად შესაძლებელია მოვალის როგორც ბიზნესსუბიექტის შენარჩუნებაც, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია რეაბილიტაციის მიზანიც. შესაბამისად, რეაბილიტაცია პარტნიორების/აქციონერების სასარგებლოდ და კრედიტორების ხარჯზე ვერ გახდება კანონის თვითმიზანი. რეაბილიტაცია წარმოადგენს კრედიტორების დაკმაყოფილების მიღწევის პრიორიტეტულ, მაგრამ მაინც ერთ-ერთ საშუალებას.

2007 წლის კანონი არაერთგზის გახდა კრიტიკის ობიექტი კრედიტორებისა და მოვალის, აგრეთვე, საქმის წარმოების სხვა მონაწილეების უფლება-მოვალეობების არასამართლიანი განაწილების გამო. კრიტიკა, ასევე, ეხებოდა კრედიტორთა როლის წარმოჩენასა და მათი ინტერესების არასაკმარისი დაცვის ხარისხს.¹²⁰ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის¹²¹ მიღებით ეს ბუნდოვანება აღმოიფხვრა და ნათლად ჩამოყალიბდა კანონის მიზნები. ამის თაობაზე შესაბამის განმარტებებს ვხვდებით კანონის განმარტებით ბარათშიც¹²².

ამრიგად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება და ეს მოცემულობა საჭიროებდა შესაბამის საკანონმდებლო მოწესრიგებას. გაკოტრების სამართლის შემოღებით, კანონმდებელმა შემოიღო კერძო სამართლის ახალი სუბიექტი კრედიტორის სახით და სპეციალური უფლებამოსილებებით აღჭურვა იგი.¹²³ კრედიტორების უფლებამოსილებები მუდმივად რეფორმირებას განიცდიდა და საბოლოო სახით ჩამოყალიბდა 2020 წელს მიღებული „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის სახით. კრედიტორების, მათი როლისა და უფლებამოსილებების სწორად განსაზღვრა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების წარმატებულად დასრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. კრედიტორების უფლება-მოვალეობები განსხვავებულია და ამ განსხვავებებს განაპირობებს მათი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნება, წარმოშობის დრო, აგრეთვე, საქმის წარმოების სპეციალური რეჟიმი, რომელშიც მოვალე იმყოფება და სხვა გარემოებები, რასაც დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

5.2. კრედიტორთა მოთხოვნის არსი და კრედიტორთა კატეგორიები

სისტემური თვალსაზრისით, კრედიტორების დაყოფა შეიძლება რამდენიმე ძირითად კატეგორიად ან ჯგუფად. გადახდისუუნარობის თითოეულ შემთხვევაში, კრედიტორის ამა თუ იმ

¹¹⁹ კრედიტორთა დაკმაყოფილების მინიმუმი (გაკოტრების მინიმუმი) – ფულის ან სხვა აქტივის მოცულობა, რომელსაც, სავარაუდოდ, კრედიტორი მოვალის გაკოტრების რეჟიმის გახსნის შემთხვევაში მიიღებდა („რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მუხლი 3, რ.).

¹²⁰ კ. შნიტგერი, რ. მიგრიაული, „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011; Assessment of Insolvency System in Georgia, USAID/G4G, 2015.

¹²¹ საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, N7165-ს, 2020 წლის 18 სექტემბერი.

¹²² განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 6.

¹²³ რ. მიგრიაული, გაკოტრების კრედიტორი, როგორც გაკოტრების წარმოების ერთ-ერთი მხარე, სტატია, ახ. იურისტთა ასოციაციის ჟურნალი, სამოქალაქო სამართალი, 1998 წ., გვ. 7.

კატეგორიას ან ჯგუფს მიკუთვნება გავლენას ახდენს იმ უფლებამოსილებებზე, რაც კონკრეტულ კრედიტორს გააჩნია საქმის წარმოების ფარგლებში. უფრო კონკრეტულად, კრედიტორთა კატეგორიის და, შესაბამისად, მოთხოვნების განსაზღვრა მნიშვნელოვანია შემდეგი თვალსაზრისით:

- **განისაზღვრება თითოეული კრედიტორის მიერ მისაღები დაკმაყოფილების ოდენობა**
- **განისაზღვრება ცალკეული კრედიტორის დაკმაყოფილების რიგითობა**
- **დგინდება გადახდისუნარიობის საქმის წარმოებაში მონაწილეობის, მათ შორის, გარკვეულ საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის უფლებამოსილება**

კრედიტორული მოთხოვნის დეფინიცია

გაკოტრების კანონისა და გადახდისუნარიობის კანონისგან განსხვავებით, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს ტერმინ „კრედიტორის“ კონკრეტულ დეფინიციას. საკითხის უკეთ გაანალიზებისათვის, მნიშვნელოვანია განვიხილოთ კრედიტორის დეფინიციის ევოლუცია სხვადასხვა საკანონმდებლო რეგულირების ჭრილში.

გაკოტრების კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კრედიტორი განიმარტებოდა, როგორც პირი, რომელსაც **გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის მოვალის მიმართ ჰქონდა საფუძვლიანი ქონებრივი პრეტენზია**. გაკოტრების პროცესში კრედიტორის სტატუსის მოპოვებისათვის აუცილებელი იყო რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი. პირველი, ეს გახლდათ ქონებრივი პრეტენზიის არსებობა. ქონებრივი პრეტენზია, ამავდროულად, უნდა ყოფილიყო საფუძვლიანი, ანუ რეალური და, ბოლოს, ეს პრეტენზია უნდა წარმოშობილიყო გაკოტრების საქმის გახსნამდე. მართალია, კანონისმიერი დეფინიცია შესაბამის მითითებას არ შეიცავდა, მაგრამ დაუნერულ ნიშნად განიხილებოდა ქონებრივი პრეტენზიის პირადი ხასიათი, რითაც გამოირიყებოდა სანივთო მოთხოვნები¹²⁴. ცალკე აღნიშვნის ღირსია დეფინიციაში არსებული დროის ელემენტი. ამ კუთხით გაკოტრების კანონი დუმდა ახალი კრედიტორის ცნებასთან მიმართებაში და მათ ე.წ. მასის კრედიტორებად განიხილავდა, რომლებიც რიგითობის მიღმა, სპეციალური წესით კმაყოფილდებოდნენ¹²⁵. ეს მიდგომა არ არის გასაკვირი ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ გაკოტრების კანონიც იძლეოდა ვალაუვალი მოვალის საქმიანობის გაგრძელებისა და რეაბილიტაციის შესაძლებლობას, ძირითადი აქცენტი მაინც გაკოტრების პროცესზე იყო გადატანილი, რომლის დროსაც მოვალე საქმიანობას, როგორც წესი, წყვეტს და შესაბამისად, ახალი კრედიტორის საკითხიც ნაკლებ რელევანტური იყო. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ გაკოტრების კანონი მეტწილად გერმანული კოდიფიკაციის მოდელს მიყვებოდა, სადაც კანონისმიერი განმარტებები შედარებით მწირია და მნიშვნელოვანი საკითხები, ძირითადად, სასამართლო პრაქტიკაში სამოსამართლო სამართლით დგინდება. გარდა ამისა, გაკოტრების კანონის და მისი გერმანული პროტოტიპის მოქმედება ვრცელდებოდა ფიზიკურ პირებზეც, რომელთა მიმართებაში ახალი ვალდებულებები საერთოდ არ ექცევა სპეციალური კანონის რეგულირე-

¹²⁴ რ. მიგრიაული, გაკოტრების კრედიტორი, როგორც გაკოტრების წარმოების ერთ-ერთი მხარე, სტატია, ახ. იურისტთა ასოციაციის ჟურნალი, სამოქალაქო სამართალი, 1998 წ., გვ. 7.

¹²⁵ იხ. გაკოტრების კანონის, მე-11 და მე-18 მუხლები.

ბის სფეროში.¹²⁶ სწორედ გერმანული სამართლის გავლენითა და კანონის ფიზიკურ პირებზე (მომხმარებლებზე) გავრცელებით იყო განპირობებული კრედიტორების დაყოფა გაკორტრებისა და მასის კრედიტორებად.

2007 წელს ამოქმედებულ გადახდისუნარობის კანონში კანონისმიერი განმარტებები დამოუკიდებელ მუხლად გამოიყო. ცალ-ცალკე განიმარტა, როგორც კრედიტორი, აგრეთვე, მოთხოვნა, მოთხოვნათა ცალკეული კატეგორიები და დაემატა ახალი კრედიტორის განმარტება. კერძოდ, გადახდისუნარობის კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, კრედიტორად განისაზღვრა **პირი, რომელსაც გადახდისუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მომენტისათვის მოვალის მიმართ აქვს საფუძვლიანი ფინანსური მოთხოვნა.** დამატებით განიმარტა მოთხოვნა, როგორც **ნებისმიერი ვალის ან ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, რომლის შესრულების მოვალეობა ან შესრულებისთვის პასუხისმგებლობა გადახდისუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისათვის ეკისრება მოვალეს და რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დაუმუსტებელ მოთხოვნებს, პირობით მოთხოვნებს, ვადამოუსვლელ მოთხოვნებსა და ჯარიმებს.** ახალი და ძველი კრედიტორის სტატუსის დასადგენად, განმსაზღვრელ გარემოებად განისაზღვრა საქმის წარმოების დაწყების მომენტი (გადახდისუნარობის კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი).

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონში, როგორც აღინიშნა, კრედიტორის დეფინიციას არ ვხვდებით. კრედიტორის სუბიექტიდან აქცენტი გადატანილია მის მოთხოვნაზე, მოთხოვნის შინაარსზე და სხვა თავისებურებებზე. კანონის განმარტებითი ბარათი არ იძლევა კონკრეტულ დასაბუთებას, თუ რა გახდა კრედიტორის დეფინიციის განუსაზღვრელობის მიზეზი. მეორე მხრივ, მეტ-ნაკლებად გასაგებია მოთხოვნის შინაარსზე დაფუძნებული დეფინიციისთვის უპირატესობის მინიჭება, რამდენადაც, რეალურად, კრედიტორის სტატუსზე არა მისი სუბიექტისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, არამედ მოთხოვნის შინაარსი, წარმოშობის დრო და მოთხოვნის სხვა სამართლებრივი რეკვიზიტები ახდენს გავლენას. ყურადსაღებია, აგრეთვე, რომ ერთი და იგივე სუბიექტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჯგუფსა და კატეგორიას მიკუთვნებული მოთხოვნის მფლობელი კრედიტორი. ასეთ შემთხვევაში, ერთსა და იმავე პირს, შეიძლება მოთხოვნის შესაბამისად ორი ან მეტი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული უფლებამოსილებების პაკეტი მიეკუთვნოს. ასეთ დროს, კრედიტორს შესაძლებლობა ექნება იმოქმედოს იმის მიხედვით თუ რომელი კრედიტორული მოთხოვნიდან გამომდინარე უფლებას ახორციელებს.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ თავად კრედიტორის დეფინიციის არარსებობის მიუხედავად, მარტივად არის შესაძლებელი კრედიტორის ვინაობის დადგენა მოთხოვნის მიხედვით და, წესით, არც პრაქტიკაში არ უნდა გამოიწვიოს რაიმე გაუკებრობა. თუმცა, კოდიფიკაციის ტექნიკის თვალსაზრისით, მაინც უმჯობესი იქნებოდა კრედიტორის დეფინიციის ცალკე განსაზღვრა, დეკლარატორულად მაინც, რაც გამორიცხავდა თუნდაც თეორიულ ორპირობებს კრედიტორის ვინაობასთან დაკავშირებით.

¹²⁶ კ. შნიტცერი, რ. მიგრიული, „გადახდისუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკორტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, გვ. 82.

სისტემური და ლოგიკური განმარტებით, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, კრედიტორად უნდა განვიხილოთ პირი, რომელიც ფლობს კრედიტორულ მოთხოვნას **უშუალოდ გადახდისუნარო მოვალის მიმართ**¹²⁷. რაც შეეხება კრედიტორულ მოთხოვნას, აღნიშნული განმარტება შემდეგნაირად: **„კრედიტორული მოთხოვნა არის ვალი ან ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, რომელიც შეიძლება ფულადი სახით გამოიხატოს, რომლის შესრულების ვალდებულება ან შესრულებისთვის პასუხისმგებლობა გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისთვის მოვალეს ეკისრება.“**¹²⁸ ხოლო ის მოთხოვნები, რომლებიც წარმოიშობა დასაშვებობის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ განეკუთვნებიან ახალი კრედიტორული მოთხოვნების ნუსხას¹²⁹.

საგულისხმოა, რომ თავისი სამართლებრივი ბუნებით, მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობდეს, როგორც კერძო-სამართლებრივი, აგრეთვე, საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან¹³⁰. კრედიტორულ მოთხოვნებად განიხილება გადახდისუნარო მოვალის საგადასახადო ვალდებულებები, საგადასახადო და სხვა სახის ჯარიმა-საურავები და ა.შ.

ძველი და ახალი კრედიტორები

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი ფაქტორი, რაც ცალკეული კრედიტორის სტატუსზე და უფლება-მოვალეობებზე ახდენს გავლენას არის მოთხოვნის წარმოშობის მომენტი. კერძოდ, გადახდისუნარობის პროცესის მიზნებისათვის, კრედიტორები შესაძლებელია დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად: **კრედიტორები, რომლებმაც ეს სტატუსი შეიძინეს ფორმალური საქმის წარმოების დაწყებამდე და ახალი კრედიტორები, რომელთა მოთხოვნები წარმოიშვა გადახდისუნარობის საქმის აღძვრის შემდეგ**. უფლებრივი თვალსაზრისით, კრედიტორთა მოთხოვნების ეს ორი ჯგუფი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. უწინარესად, ეს ეხება დაკმაყოფილების რიგითობას. კერძოდ, ახალ კრედიტორებს გააჩნიათ სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესად დაკმაყოფილების უფლება. ეს განსხვავებული მიდგომა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ, მოვალე წარმოადგენს გაცხადებულად¹³¹ გადახდისუნარო პირს, რომელთან კონტრაქტდება არის მომეტებული რისკის მატარებელი. ამ რისკის სრულად გამორიცხვა, ან მინიმუმამდე დაყვანა შესაძლებელი იქნებოდა მოვალის საქმიანობის მყისიერი შეწყვეტის შემთხვევაში, რაც ვერ ჩაითვლება რისკის გაუვნებელყოფის ყველაზე ხელსაყრელ გადაწყვეტად. რამდენადაც მოვალე არის ბიზნესსუბიექტი და გააჩნია

¹²⁷ პრაქტიკაში ხშირად ორპიროვნებას იწვევს უნდა ჩაითვალოს თუ არა კრედიტორად პირი, რომელიც ფლობს სანივთო უზრუნველყოფას მოვალის გადახდისუნარობის მასაში შემავალ ქონებაზე და, ამავდროულად, მოთხოვნა აქვს შესამე პირის მიმართ. სისტემური თვალსაზრისით ასეთი პირი გადახდისუნარობის მიზნებისთვის კრედიტორად არ უნდა განვიხილოთ, ვინაიდან მისი დაკმაყოფილება გადახდისუნარობის მასიდან არ ხდება, არამედ მხოლოდ სანივთო უზრუნველყოფის საგნიდან.

¹²⁸ რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

¹²⁹ რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

¹³⁰ რ. მიგრიაული, „გაკოტრების კრედიტორი, როგორც გაკოტრების წარმოების ერთ-ერთი მხარე“, სტატია, ახ. იურისტთა ასოციაციის ჟურნალი, სამოქალაქო სამართალი, 1998 წ., გვ. 7.

¹³¹ გადახდისუნარობის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ, მოვალე სუბიექტის სამწარმოო ამონაწერში რეგისტრირდება ჩანაწერი მოვალის გადახდისუნარობის შესახებ.

კომპლექსური სამართალურთიერთობები სამოქალაქო ბრუნვის სხვა მონაწილეებთან, ამ ურთიერთობიდან მისი ასე მარტივად, ერთი ხელის მოსმით, გასვლა თითქმის შეუძლებელია, სულ მცირე, ძალზედ რთულია. გასათვალისწინებელია ასევე, რომ ბიზნესსაქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფა პირდაპირ კავშირშია მოვალის რეაბილიტაციანუნარიანობასთან და, ამავდროულად, საქმიანობის გაგრძელება არც გაკოტრების რეჟიმისთვის არის უმნიშვნელო. კრედიტორთა ბუნებრივ ინტერესშია გადახდისუუნარობის მასიდან ამონაგების მაქსიმიზაცია. აღნიშნული კი, თავისთავად, გულისხმობს გადახდისუუნარობის მასაში შემავალი ქონების მოვლა-პატრონობას და სხვა მიზანშეწონილი მოქმედების განხორციელებას. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობის შემდეგ საქმიანობის მყისიერი შეწყვეტა უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. შესაბამისად, საქმიანობის გაგრძელების პირობებში მოვალე რჩება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილედ, რაც ქმნის ახალი კრედიტორული მოთხოვნების გაჩენის შესაძლებლობას¹³². ახალი კრედიტორების უკეთეს პირობებში ჩაყენებით, დაცულია მათი უფლება დაკმაყოფილება მიიღონ ძველ კრედიტორებზე ადრე, რაც უნდა შეფასდეს, როგორც გადახდისუუნარო სუბიექტთან ურთიერთობის დამყარების საპირწონე დამატებითი გარანტია.

იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობა განსხვავებულად ეპყრობა ძველ და ახალ კრედიტორებს, მნიშვნელოვანია ზუსტად დადგინდეს მოთხოვნის წარმოშობის დროის განმსაზღვრელი ელემენტები. კრედიტორის სტატუსის მოპოვებისათვის, როგორც ეს კანონისმიერი განმარტებიდან გამომდინარეობს, კრედიტორული მოთხოვნა უნდა არსებობდეს გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე სასამართლო განჩინების გამოტანის მომენტისათვის. კანონი ასევე განმარტავს, რომ ეს ეხება ვადამოუსვლელ და პირობით მოთხოვნებსაც, ანუ ისეთ მოთხოვნებს, რომელიც წარმოების დაწყების მომენტისთვის შესასრულებლად სავალდებულო არ არის. შესაბამისად, მხოლოდ კონკრეტული ვალდებულების შესრულების ვადის დადგომა დროის ზუსტი განსაზღვრისათვის გამოსაადგილო კრიტერიუმია.

ითვლება თუ არა კრედიტორის მოთხოვნა გადახდისუუნარობის განცხადების შეტანამდე წარმოშობილად განისაზღვრება **მოთხოვნის დამფუძნებელი გარემოების, ან მოთხოვნასთან დაკავშირებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის დაფუძნების მომენტის მიხედვით.**

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

მაგალითი N5 – თუ დადებულია დავალების ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს დავალების გამცემის მიერ დავალების გასამრჯელოს გადახდას კონკრეტულ ვადაში და ამ ვადის დადგომამდე რწმუნებულის მიმართ გაიხსნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, დავალების შემსრულებლის მოთხოვნა გასამრჯელოზე ჩაითვლება განცხადების შეტანამდე წარმოშობილად.

ამ მაგალითის მიხედვით, მოთხოვნის დროის განსაზღვრა ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის მომენტის მიხედვით.

¹³² კ. შნიტგერი, რ. მიგრიული, „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011, გვ. 82.

მაგალითი N6 – თუ გადახდისუუნარო მოვალის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად, პირს ადგება ჯანმრთელობის ზიანი და შემდგომში, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ მკურნალობის გართულების გამო ეს მკურნალობის ხარჯი იზრდება, აღნიშნული განხილულ უნდა იქნას ძველ კრედიტორულ მოთხოვნად, მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობის ხარჯი, ფაქტობრივად, წარმოიშვა გადახდისუუნარობის პროცესის მსვლელობისას.

ამ შემთხვევაში, მოთხოვნის დამფუძნებელ გარემოებას წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობა და მოთხოვნის წარმოშობის დროც შესაბამისად უნდა დადგინდეს.

მაგალითი N7 – თუ შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე წარმოშობილია სახელფასო დავალიანება მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის გახსნამდე პერიოდზე, ეს დავალიანება განეკუთვნება კრედიტორულ მოთხოვნებს. ხოლო თუ საქმის წარმოების გახსნის შემდეგ დასაქმებული აგრძელებს საქმიანობას შემდგომ პერიოდშიც, გახსნის შემდგომი თვეების სახელფასო დავალიანება ჩაითვლება ახალ კრედიტორულ მოთხოვნად.

ამ მაგალითში სახეზე გვაქვს გრძელვადიანი ურთიერთობა და პერიოდულად შესასრულებელი ორმხრივი ვალდებულება. ასეთ დროს, მართალია, შრომითსახელშეკრულებო ურთიერთობა წარმოშობილია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე, შემდგომ პერიოდებში სახელფასო ანაზღაურების მოთხოვნა დამოკიდებულია დასაქმებულის მიერ შრომითი მოვალეობების კვლავ განხორციელებაზე. თუ ბიზნესსაქმიანობა გრძელდება და დასაქმებულს რჩება აქტიურ შრომით ურთიერთობაში გადახდისუუნარო დამსაქმებელთან, ის იგივე მომეტებული რისკის ქვეშაა, როგორც ნებისმიერი სხვა ახალი კრედიტორი. ანალოგიური მიდგომა გამოიყენება ქირავნობისა და იჯარის მიმართ.

განსხვავებულ რეჟიმში ექცევა სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნები, რომელიც პერიოდულად ანუიტეტის¹³³ წესით იფარება. აქაც, ერთი შეხედვით, სახეზეა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებები, რომელთა ვადა შეიძლება წარმოების დაწყების მომენტისთვის დამდგარი არ იყოს. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ სესხის გამცემის მიერ ვალდებულება სრულად არის შესრულებული სესხის გაცემის მომენტში და სესხი გადახდისუუნარობის წარმოების გახსნის მომენტისათვის სრული მოცულობით არის დასაბრუნებელი, ისე, რომ დაბრუნების ვალდებულების შესრულება არ არის დამოკიდებული გამსესხებლის საპასუხო შესრულებაზე. პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების წარმოშობის დროის დადგენა არ უნდა აგვერიოს ე.წ. მიმდინარე რეგულარული ვალდებულებების დეფინიციასთან¹³⁴, რომელსაც სულ სხვა დატვირთვა აქვს.

საჯაროსამართლებრივი ხასიათის კრედიტორული მოთხოვნების წარმოშობის დროის დადგენისას გამოიყენება იგივე წესი, რაც კერძოსამართლებრივი მოთხოვნების მიმართ მოქმედებს. კერძოდ, დროის განსაზღვრა დამოკიდებულია იმ ქმედების განხორციელებაზე, რაც

¹³³ სესხის დაფარვის ფორმა, რომელიც გულისხმობს სესხზე ძირითადი თანხის და პროცენტის თანაბარი ნილებით დაფარვას.

¹³⁴ მიმდინარე რეგულარული ვალდებულებები – მოვალის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებით დადებული შრომითი, იჯარის, მომსახურების ან სხვა ხელშეკრულებიდან წარმოშობილი, რეგულარულად შესასრულებელი ვალდებულებები.

ინვესს საჯაროსამართლებრივი მოთხოვნის წარმოშობას და არა მის გამოვლენაზე, ან ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

მაგალითი N8 – თუ ტრანზაქცია, რომელიც ექვემდებარება დამატებითი ღირებულების გადასახადით დაბეგვრას, განხორციელდა გადახდისუუნარო გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე, მაგრამ გადასახადის დეკლარირების კანონისმიერი ვადა არ იყო დამდგარი, ან გადასახადის გადამხდელმა არ წარადგინა შესაბამისი დეკლარაცია, ის მაინც ჩაითვლება გადახდისუუნარობის საქმის წარმოებამდე წარმოშობილ ვალდებულებად.

სამომავლოდ შესასრულებელი ვალდებულებები

ცალკე განხილვის ღირსია პირობითი, დაუზუსტებელი და ვადამოუსვლელი მოთხოვნები. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პირობითი მოთხოვნა არის: **„მოთხოვნა, რომლის წარმოშობა დამოკიდებულია მომავალ და უცნობ მოვლენაზე და რომელიც მოიცავს სხვადასხვა ვალდებულებას, მათ შორის, მესამე პირის სასარგებლოდ გაცემულ გარანტიასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, რომელიც დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულების შესრულებაზე“**. ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაუზუსტებელი მოთხოვნა არის **„მოთხოვნა, რომელიც დაუზუსტებელი არ არის და მოიცავს მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან ან შესაბამისი ხელშეკრულების დარღვევასთან ან მის შესრულებლობასთან დაკავშირებულ ან სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილ სხვა მოთხოვნას“**, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადამოუსვლელ მოთხოვნად განიხილება: **„მოთხოვნა, რომლის შესრულების ვადაც სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისთვის არ დამდგარა“**.

ამ კატეგორიის მოთხოვნების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი კრედიტორთა სიაში აღირიცხებიან მათთან დაკავშირებული ბუნდოვანების და ალბათობის ხარისხის მიუხედავად. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს ვადამოუსვლელი მოთხოვნა გადახდისუუნარობის გარემოების დადგომით ვადამოსული ხდება თუ არა¹³⁵. საგულისხმოა, აგრეთვე, რომ ამ კატეგორიის მოთხოვნა შესაძლოა შესასრულებლად სავალდებულო არც არასოდეს გახდეს. ერთი შეხედვით, ამ ტიპის ჰიპოთეტური მოთხოვნების იმთავითვე აღიარება კრედიტორულ მოთხოვნებად, გარკვეულწილად, მცდარ წარმოდგენას ქმნის კრედიტორული მოთხოვნების ჯამურ ოდენობაზე. ეს განსაკუთრებით პირობით მოთხოვნებს ეხება. პირობითი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, ის შეიძლება გაქარწყლდეს ნეგატიური პირობის დადგომისას ან საერთოდ არ წამოიშვას პოზიტიური პირობის არდადგომის გამო. ამდენად, ამდენად, ისმის ლოგიკური კითხვა, თუ რატომ გაითვალისწინება სამომავლო და პირობითი მოთხოვნების კრედიტორთა სიაში. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. კერძოდ, ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ გადახდისუუნარობის პროცესში აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს მოვალის ქონებრივი მდგომარეობა, მათ შორის, პასივიც და აქტივიც. გადახდისუუნარობის პროცესში ყველა ქმედებისა და გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა ფასდება იმის მიხედ-

¹³⁵ ხელშეკრულებებში ხშირად გაითვალისწინება დათქმა, რომლის მიხედვით კრედიტორს უფლება ენიჭება მოითხოვოს ვადამოუსვლელი მოთხოვნის დაუყოვნებლივ შესრულება თუ მოვალე გადახდისუუნარო გახდა (აქსელერაცია).

ვით, თუ რა გავლენას ახდენს გადაწყვეტილება კრედიტორთა მოთხოვნების ერთობლიობაზე. ქონებრივი მდგომარეობის სრული სურათის გააზრება შეუძლებელი იქნებოდა აქტივებს შეპირისპირებული როგორც რეალური, ასევე, პოტენციური ვალდებულებების გათვალისწინების გარეშე. მეორე მიზეზია ის, რომ პირობითი და სამომავლო მოთხოვნების კრედიტორულ მოთხოვნად აღიარებით უზრუნველყოფილია, რომ პროცესში მონაწილეობა მიიღოს (მათ შორის, კრედიტორთა კრებაზე ხმის მიცემის ან სხვა საპროცესო მოქმედების განხორციელების გზით) ყველამ, ვის ქონებრივ მდგომარეობაზეც პროცესის შედეგი გავლენას ახდენს. და ბოლოს, მოთხოვნის კრედიტორთა რეესტრში შეტანა უცილობლად მის დაკმაყოფილებას არ გულისხმობს. ეს, პირველ რიგში, კრედიტორის საქმის წარმოების პროცესში ჩართულობის სამართლებრივი საფუძველია. რაც შეეხება უშუალოდ კრედიტორთა დაკმაყოფილებას, ის ხორციელდება გაკოტრებისა და რეაბილიტაციის რეჟიმის სპეციალური ნების შესაბამისად, რასაც შემდგომ დეტალურად განვიხილავთ.

სანივთო და კვაზი-სანივთო მოთხოვნები

ზოგადად, აღიარებულია, რომ სანივთო მოთხოვნები ისევე დაცული უნდა იყოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას, როგორც მის გარეთ¹³⁶. შესაბამისად, სანივთო მოთხოვნებთან მიმართებაში საკითხების გადაწყვეტა ხდება მათი წარმოებიდან გატანის გზით¹³⁷. კერძოდ, მესამე პირების საკუთრებაში არსებული ნივთები და არამატერიალური სიკეთე, რომელიც მოვალის მფლობელობაში ან განკარგვაში იმყოფება, ექვემდებარება გადახდისუუნარობის მასიდან გამოცალკევებას და ამოღებას, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად.

მაგალითი N9 – *პირობითად, მოვალეს ლიზინგით აქვს აღებული ტექნიკა. გადასახდელი ლიზინგის გადასახადი ჩაითვლება კრედიტორულ მოთხოვნად გადახდისუუნარობის საქმის მიზნებისათვის. ხოლო ლიზინგის გამცემის შესაძლო მოთხოვნა ლიზინგის საგნის დაბრუნებაზე არის სანივთო მოთხოვნა და, ამ ნაწილში, ლიზინგის გამცემი კრედიტორად არ განიხილება.*

კრედიტორებად, აგრეთვე, არ განიხილებიან მოვალის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე მოთხოვნის უზრუნველყოფის ინტერესის (იპოთეკა, გირავნობა) მქონე პირები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ, ამავედროულად, გააჩნიათ ფულადი მოთხოვნა მოვალის მიმართ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთ შემთხვევაში კრედიტორის სტატუსს განაპირობებს არა სანივთო უზრუნველყოფის მოთხოვნა, არამედ ძირითადი მოთხოვნა. ამგვარი გამიჯვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება მესამე პირის ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მოვალის ქონების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებას.

ზოგიერთ შემთხვევაში, სანივთო მოთხოვნა შესაძლოა გარდაიქმნას ფულად ანუ ფინანსურ მოთხოვნად და მოექცეს კრედიტორულ მოთხოვნების მიმართ არსებულ რეგულირების რეჟიმში. სანივთო ხასიათის მოთხოვნები კრედიტორის სტატუსის წარმოშობისთვის მხოლოდ მაშინ არის რელევანტური, თუ მათი განხორციელების შეუძლებლობის შედეგად წარმოიშვება ფულადი (ფინანსური) მოთხოვნა მოვალის წინაშე.

¹³⁶ კ. შნიტგერი, რ. მიგრიაული, „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011, გვ. 48.

¹³⁷ UNCITRAL Legislative Guide, Part 2, Chapter A3, p. 80.

მაგალითი N10 – თუ ხელშეკრულების ვადის შედეგად წარმოიშვა გადაცემული ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა, ეს არ განიხილება კრედიტორულ მოთხოვნად. თუმცა, თუ გადაცემულის უკან დაბრუნება შეუძლებელია და მოვალე ვალდებულია ნივთის ნაცვლად მხარეს აუნაზღაუროს მიანი, ამგვარი მოთხოვნა, გადახდისუუნარობის მიზნებისათვის, კრედიტორულ მოთხოვნად ჩაითვლება.

კანონი ითვალისწინებს საპირისპირო საგამონაკლისო შემთხვევებსაც, როდესაც ფულადი/ფინანსური მოთხოვნის აღსრულება ხდება ისე, თითქოს სანივთო მოთხოვნა იყოს. კერძოდ, ეს ეხება **არსებითად დასრულებულ ხელშეკრულებებსა და არსებითად დასრულებულ სააღსრულებო წარმოებას** (კვაზი-სანივთო მოთხოვნები). არსებითად დასრულებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში მოქმედებს შემდეგი წესი: გადახდისუუნარობის მასიდან შეიძლება ამოღებულ იქნეს ისეთი ქონება, რომლის მიმართაც მოვალესა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ორმხრივი ვალდებულებები არსებითად შესრულებულია და რომლის მესამე პირისთვის საკუთრებაში გადაცემასაც ითვალისწინებს აღნიშნული ხელშეკრულება¹³⁸. მსგავსი მიდგომა ეხება არსებითად დასრულებული სააღსრულებო წარმოების შედეგად გადასაცემ ქონებას. თუ გადახდისუუნარობის მასაში შემავალი ქონების მიმართ სააღსრულებო წარმოება არსებითად დასრულებულია და ამ ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ განკარგულების გამოსაცემად აუცილებელი ყველა წინაპირობა არსებობს, ეს ქონება გადახდისუუნარობის მასიდან ამოღებული უნდა იქნეს და უფლებამოსილ პირს უნდა გადაეცეს¹³⁹. როგორც ვხედავთ, ეს არის შემთხვევა, როდესაც კრედიტორს გააჩნია ნივთზე საკუთრების შექმნის უფლება და, თავის მხრივ, საკუთრების შექმნასთან დაკავშირებული საპირიწონე ვალდებულებები მთლიანად ან არსებითად მთლიანად აქვს შესრულებული. ჩვეულებრივ შემთხვევაში, იგი ჩაითვლებოდა ჩვეულებრივ კრედიტორად და დაკმაყოფილებას მიიღებდა მოთხოვნის პროპორციულად, სხვა კრედიტორების კვალდაკვალ. ამავდროულად, მისთვის გადასაცემი ქონება გამოყენებული იქნებოდა სხვა კრედიტორების სასარგებლოდ. ამრიგად, სრულად უგულებელყოფილი იქნებოდა მისი, როგორც მომავალი მესაკუთრის დაცვის ღირსი ინტერესი. სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა დაუშვა გამონაკლისი და ასეთი კრედიტორი მესაკუთრის სტატუსის მინიჭებით ჩააყენა იმ მდგომარეობაში, რომელშიც იქნებოდა, რომ არა გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

გარდა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის დებულებებისა, სანივთო მოთხოვნების კრედიტორული მოთხოვნების სიაში გაუთვალისწინებლობა კრედიტორული მოთხოვნის არსიდანაც გამომდინარეობს. კრედიტორული მოთხოვნის კანონისმიერი დეფინიციის მიხედვით, მოთხოვნად განიხილება **ვალი ან ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, რაც შეიძლება ფულადი სახით გამოიხატოს**. აქ იგულისხმება ფინანსური შინაარსის მქონე მოთხოვნა, რომელიც მიმართულია ფულადი ვალდებულების შესრულებისაკენ. შესაბამისად, სანივთო მოთხოვნები თავისთავად გამოირიცხება.

¹³⁸ რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹³⁹ რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

გემოაღნიშნული არ ნიშნავს, რომ სანივთო მოთხოვნების აღსრულებაზე სრული თავისუფლება არსებობს. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი აწესებს მთელ რიგ შეზღუდვებს და საგამონაკლისო წესებს, რა დროსაც სანივთო მოთხოვნის აღსრულება შეზღუდულია ან/და სპეციალურ წინაპირობებზე არის დამოკიდებული. წარმოების დაწყების მომენტისათვის მოვალის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მთელი ქონება ექვევება მორატორიუმის მოქმედების ქვეშ და ემსახურება კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების საუკეთესო ინტერესებს, იმ პირობით, თუ არსებობს სანივთო უფლებებისადმი ზიანის მიყენების პრევენციული გარანტიები. შესაბამისად, სანივთო მოთხოვნის აღსრულებაც გადახდისუნარობის საქმის წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით ხორციელდება, მათ შორის, შესაძლებელია მორატორიუმის გაუქმება¹⁴⁰, ქონების გადახდისუნარობის მასიდან გამოცალკევება და ამოღება¹⁴¹ და სხვ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ე.წ. უზრუნველყოფილი კრედიტორის სტატუსი და მისი უფლებამოსილებები. 2020 წლის კანონის ერთ-ერთ ნოვაციას წარმოადგენს უზრუნველყოფილი კრედიტორის უზრუნველყოფის ინტერესის მიმართ შესაკუთრული უფლების დაცვის გარანტიების შემოღება¹⁴² და მისი მონაწილეობა პროცესში. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილი კრედიტორის უფლებამოსილებებს ცალკე თავი ეძღვნება და დეტალურად იქ განვიხილავთ¹⁴³.

5.3. კრედიტორთა დაკმაყოფილება

5.3.1. კრედიტორთა დაკმაყოფილების პრინციპები

გადახდისუნარობის სამართალში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკა აღიარებს კრედიტორებისადმი სამართლიანი და თანასწორი მოპყრობის მნიშვნელობას¹⁴⁴. სამართლიანი და თანასწორი მოპყრობის პრინციპი, ერთი მხრივ, განაპირობებს იმას, რომ გადახდისუნარო მოვალის ყველა კრედიტორს ერთიან, კოლექტიურ რეჟიმში აქცევს, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მათი ინტერესების ინდივიდუალიზაციას რიგითობისა და პროპორციულობის დამატებითი წესების შემოტანით. შესაბამისად, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით განმტკიცებულია კრედიტორთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე ქვეპრინციპად არის კონკრეტიზებული. კერძოდ, ეს პრინციპებია:

- **კოლექტიური დაკმაყოფილების პრინციპი**
- **რიგითობის პრინციპი**
- **პროპორციულობის პრინციპი**

¹⁴⁰ რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის 58-ე მუხლი.

¹⁴¹ რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის მე-60 მუხლი.

¹⁴² განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 16.

¹⁴³ იხ. თავი 5.4.

¹⁴⁴ UNCITRAL Legislative Guide, Part 1, Chapter B4, p. 11.

კოლექტიური დაკმაყოფილების პრინციპი

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი ადგენს კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების პრინციპს. კოლექტიური დაკმაყოფილების პრინციპი განაპირობებს, რომ კრედიტორული მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ ხსენებული სპეციალური კანონით დადგენილი ერთიანი წესების მიხედვით. შესაბამისად, გამოირიცხება კრედიტორის მოთხოვნის ინდივიდუალურ რეჟიმში განხორციელება. კოლექტიური დაკმაყოფილების პრინციპი, უფრო კონკრეტულად, გამოიხატება შემდეგში:

- მორატორიუმის ამოქმედებით იკრძალება გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე წარმოშობილი ვალდებულების შესრულება, შესრულების ახალ პირობებზე შეთანხმება, ვალდებულების უზრუნველყოფა, იძულებით აღსრულების ღონისძიებები, ჩერდება გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე აღძრული, გადახდისუნარობის მასის წინააღმდეგ მიმართული დაგების სასამართლოში, არბიტრაჟში ან ადმინისტრაციულ ორგანოში განხილვა, ხოლო ახალი დაგების დაწყება არ დაიშვება და ა.შ.¹⁴⁵;
- ვალაუვალი მოვალის ყველა კრედიტორული მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება კრედიტორთა რეესტრში არსებული ჩანაწერების მიხედვით¹⁴⁶;
- კრედიტორული მოთხოვნების ასახვა ხდება უნიფიცირებულ რეჟიმში, ეროვნულ ვალუტაში¹⁴⁷;
- კრედიტორების უფლებები ხორციელდება მხოლოდ კანონით განსაზღვრული მექანიზმების მეშვეობით, როგორცაა გადახდისუნარობის პრაქტიკოსი, კრედიტორთა კრება და კრედიტორთა კომიტეტი;
- კრედიტორის საპროცესო უფლებამოსილება ხორციელდება ცენტრალიზებულად, გადახდისუნარობის საქმის განმხილველი მოსამართლისთვის მიმართვის გზით¹⁴⁸;
- კრედიტორებთან კომუნიკაცია, შეტყობინების გაგზავნა და შეტყობინების მიღება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

რიგითობის პრინციპი

ზოგადად, თანასწორობის პრინციპი არ გულისხმობს ყველა კრედიტორის მიმართ იდენტურ დამოკიდებულებას. პირიქით, არაერთგვაროვანი უფლებებისა და ინტერესების მქონე კრედიტორების ერთგვაროვანი მოპყრობა თანასწორობის პრინციპთან არათავსებადი იქნებოდა. გადახდისუნარობის სამართლის საუკეთესო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ **თანაბარი ინტერესებისა და მოთხოვნების მქონე კრედიტორებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები**¹⁴⁹. შესაბამისად, გადახდისუნარობის სამართალში, როგორც წესი, ვხვდებით კრედიტორთა რანგირებას (რიგითობას). ეს შეიძლება იყოს მარტივი, ორდონიანი რანგირე-

¹⁴⁵ რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის 55-ე მუხლი.

¹⁴⁶ რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი.

¹⁴⁷ იქვე.

¹⁴⁸ რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლები.

¹⁴⁹ UNCITRAL Legislative Guide, Part 1, Chapter B4, p. 11.

ბა, მაგალითად, ახალ და ძველ კრედიტორებს შორის და ასევე, ხშირად ვხვდებით ძველი კრედიტორების რანგირებას პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ კრედიტორებად. რიგ შემთხვევებში, ასევე, ვხვდებით უფრო კომპლექსურ, მრავალდონიან რიგითობას, როგორც ეს მოცემულია 2007 წლის გადახდისუნარობის კანონში¹⁵⁰ ან „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონში¹⁵¹.

კრედიტორთა რიგითობის ჯგუფების განსაზღვრა არის არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გათვალისწინებით გაკეთებული არჩევანი. ამდენად, კონკრეტული რიგების რაოდენობა და ცალკეული კატეგორიის კრედიტორების მიკუთვნება ამა თუ იმ რიგში, სხვადასხვა პოლიტიკის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე წყდება და ეფუძნება მოცემულ მომენტში ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს. ამის ნათელი მაგალითია ის სახეცვლილება, რომელიც კრედიტორთა რიგითობამ განიცადა 2020 წლის რეფორმის შედეგად და რომელსაც კანონმდებელი ერთ-ერთ განსაკუთრებულ მიღწევად აფასებს¹⁵².

იმის მიუხედავად, თუ რა ლოგიკით არის ჩამოყალიბებული კრედიტორთა ცალკეული ჯგუფების რიგითობა, რიგითობის პრინციპი გულისხმობს, რომ კრედიტორები კმაყოფილდებიან კანონით მკაცრად დადგენილი რიგითობით. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილება მხოლოდ წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ. შესაბამისად, პირველი რიგის კრედიტორებთან მიმართებაში არსებობს დაკმაყოფილების მიღების ყველაზე დიდი ალბათობა, ხოლო ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორებისათვის დაკმაყოფილების ვერმიღების რისკი მზარდია.

პროპორციულობის პრინციპი

და ბოლოს, კრედიტორთა რიგებს შიგნით მოქმედებს ე.წ. პროპორციულობის პრინციპი. პროპორციული დაკმაყოფილების პრინციპის მიხედვით, ერთი ჯგუფის კრედიტორები კმაყოფილდებიან ამავე ჯგუფის ყველა კრედიტორის მოთხოვნების ჯამურ ოდენობაში საკუთარი მოთხოვნის პროპორციის მიხედვით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განაწილებისას ერთი რიგის ყველა კრედიტორს აქვს მისი მოთხოვნის შესაბამისი კვოტა გასანაწილებელ ფულად მასაში. ამ პრინციპის კანონისმიერი კონკრეტიზაცია მოცემულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის თანახმად, „გადახდისუნარობის მასის განაწილება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის პრინციპის დაცვით“.

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

მაგალითი N11 – თუ ერთი ჯგუფის კრედიტორებისთვის, ცალკეული კრედიტორის მოთხოვნების ჯამი შეადგენს 1000 ლარს, ხოლო მოვალის ქონების რეალიზაციის შედეგად, გასანაწილებელია 500 ლარი, ასეთ შემთხვევაში, ამ ჯგუფის თითოეული კრედიტორი მიიღებს მოთხოვნის მხოლოდ 50%-ის დაკმაყოფილებას.

¹⁵⁰ იხ. 2007 წლის გადახდისუნარობის კანონის მე-40 მუხლი.

¹⁵¹ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლი.

¹⁵² განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 5.

5.3.2. კრედიტორთა დაკმაყოფილება გაკოტრების რეჟიმში

გაკოტრების რეჟიმში სრულდება გადახდისუნარობის მასის რეალიზაციის შედეგად ამონაგები ფულადი სახსრების კრედიტორებზე განაწილებით¹⁵³. შესაბამისად, გაკოტრების რეჟიმში კრედიტორთა დაკმაყოფილების წყაროს წარმოადგენს მოვალის გადახდისუნარობის მასა. გადახდისუნარობის მასა მოიცავს მოვალის მთელ ქონებას, რომელიც მას ეკუთვნის გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისთვის, ამ მომენტიდან შექნილ/მიღებულ/წარმოებულ ქონებას¹⁵⁴. გადახდისუნარობის მასა შეიძლება დაეყოს რამდენიმე ქონებრივ ჯგუფად:

- გადახდისუნარობის მასაში შემავალი ფულადი სახსრები
- გადახდისუნარობის საქმის წარმოებისას მიღებული შემოსავლები
- გადახდისუნარობის მასაში შემავალი ქონების (გარდა ფულადი სახსრებისა) რეალიზაცია

გასათვალისწინებელია, რომ გადახდისუნარობის მასაში შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი ქონება, რომელზეც ვრცელდება მესამე პირების, მათ შორის, გადახდისუნარობის საქმის წარმოების კრედიტორების უფლება და რომელიც ექვემდებარება გამოცალკევებას და ამოღებას „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად. ასეთი ქონება მანამდე ითვლება გადახდისუნარობის მასაში შემავალ ქონებად, სანამ დაინტერესებული მესამე პირი არ განაცხადებს პრეტენზიას და არ განახორციელებს ქონების გამოცალკევებას და ამოღებას.

როგორც უკვე აღინიშნა, გაკოტრება სრულდება გადახდისუნარობის მასის კრედიტორებისათვის განაწილებით, რაც წარმოადგენს საბოლოო განაწილებას. თუმცა, ასევე, აღინიშნა, რომ საბოლოო განაწილება დამოკიდებულია მასაში შევამალი ქონების რეალიზაციაზე, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს. ამავდროულად, მასაში შესაძლოა შედიოდეს ფულადი სახსრები ან სხვა ლიკვიდური ქონება, რომლის რეალიზება დროის მოკლე პერიოდში არის შესაძლებელი. პრაქტიკაში არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს ფულადი სახსრების ან სხვა ლიკვიდური ქონების შენარჩუნება საბოლოო განაწილებამდე. პირიქით, ფულადი სახსრების განაწილების დაყოვნება, თუ განაწილების შესაძლებლობა არსებობს, და თუ მათი შენარჩუნება არ ემსახურება ამონაგების მაქსიმიზაციის მიზანს,¹⁵⁵ კრედიტორებისთვის საზიანოც კი არის. ამდენად, გადახდისუნარობის კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს ქონების შუალედური განაწილების შესაძლებლობას. 2007 წლის გადახდისუნარობის კანონი შუალედურ განაწილებასთან დაკავშირებით ცალსახა აკრძალვას არ შეიცავდა¹⁵⁶, მაგრამ, იმის გამო, რომ მასის რეალიზება მხოლოდ ერთიანი კომპლექსის სახით, აუქციონის გზით

¹⁵³ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 106-ე მუხლი.

¹⁵⁴ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁵⁵ მასაში შემავალი გარკვეული ფულადი სახსრები შესაძლოა გამოყენებულ იქნას ქონების მოვლა-პატრონობის ხარჯების დასაფარად. ასევე, შესაძლოა ფულადი სახსრები მოხმარდეს ქონების რეალიზაციის მარკეტინგულ ღონისძიებებს და ა.შ.

¹⁵⁶ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 15.

უნდა მომხდარიყო, პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ხისტი და მცდარი მიდგომა, რომ შუალედური განაწილება დაუშვებელი იყო.

2020 წლის რეფორმის ერთ-ერთ ნოვაციას წარმოადგენს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლი, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად დაუშვა ქონების მასის განაწილება გაკოტრების საქმის წარმოების პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. კერძოდ, ხსენებული ნორმის თანახმად, გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია გაკოტრების რეჟიმის დასრულებამდე ნებისმიერ დროს დააკმაყოფილოს კრედიტორთა მოთხოვნები გადახდისუუნარობის მასის ნაწილ-ნაწილ რეალიზაციით მიღებული თანხებიდან. ამასთან, კანონი ცალსახად ადგენს, რომ შუალედური განაწილებისას ისევე უნდა იყოს დაცული რიგითობისა და პროპორციულობის წესები, როგორც საბოლოო განაწილებისას. ნიშანდობლივია, რომ შუალედური განაწილება გაკოტრების მმართველის უფლებაა და არა მოვალეობა. გაკოტრების მმართველმა თითოეულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს და გადაწყვიტოს ეს საკითხი კრედიტორთა ერთობლიობის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. კრედიტორებს უფლება აქვთ დააყენონ შუალედური განაწილების საკითხი და ამის თაობაზე მიმართონ გაკოტრების მმართველს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ეს უკანასკნელი იღებს მისთვის მიკუთვნებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით იქნა შემოღებული ეხება გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციის გზებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2007 წლის კანონი უშვებდა მასის მხოლოდ აუქციონის გზით, ერთიანი კომპლექსის სახით რეალიზაციის შესაძლებლობას. ახალ კანონში აუქციონი შენარჩუნებულ იქნა, მხოლოდ, როგორც ქონების რეალიზაციის სუბსიდიური ინსტრუმენტი. კანონის 102-ე მუხლის თანახმად, უპირატესობა ენიჭება გაკოტრების მმართველის მიერ შერჩეულ რეალიზაციის საშუალებას. ახალი კანონით მასის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სახით:

- **პირდაპირი მიყიდვა;**
- **კერძო აუქციონი;**
- **ცალკეული აქტივების რეალიზაცია;**
- **მთლიანი საწარმოს მიწოდება (going concern);**
- **კანონისმიერი აუქციონი.**

რეალიზაციის ფორმის შერჩევას, გაკოტრების მმართველმა უნდა განახორციელოს ქონების იმ საშუალებით რეალიზაცია, რომლიდანაც უფრო მეტი თანხის ამოღებაა მოსალოდნელი. თუ გადახდისუუნარობის მასაში შემავალი ქონების სხვა გზით რეალიზაციის შემთხვევაში უფრო მეტი თანხის ამოღება მოსალოდნელი არ არის, გაკოტრების მმართველი აღნიშნული ქონების რეალიზაცია ახორციელებს აუქციონის გზით დადგენილი წესით.

როგორც ვხედავთ, გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციისა და განაწილების კუთხით გაკოტრების მმართველის უფლებამოსილებები არსებითად გაფართოვდა და უფრო მოქნილი გახდა.

5.3.3. რიგითობა

როგორც უკვე აღინიშნა, კრედიტორთა დაკმაყოფილება ხდება რიგითობის პრინციპის დაცვით. ზოგადად, ფულადი ვალდებულებების შესრულების რიგითობა მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლში. თუმცა ეს მუხლი არ გამოიყენება გადახდისუუნარობის პროცესში მყოფი მოვალის მიმართ არსებული ფულადი მოთხოვნების რიგითობისა და ამას სპეციალური კანონი განსაზღვრავს. კერძოდ, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობას ადგენს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლი შემდეგი სახით:

1. გაკოტრების რეჟიმის ხარჯები:
 - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცესის ხარჯები
 - გაკოტრების მმართველის ანაზღაურება
 - საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მიმდინარე შრომითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი ხარჯები, ქონების მართვის ხარჯი, ასევე, მმართველის გადანყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები;
2. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
3. კრედიტორთა ჯგუფები შემდეგი თანმიმდევრობით (რიგითობით):
 - 3.1 პრეფერენციული მოთხოვნები;
 - 3.2 პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები
 - 3.3 არაუმრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი არაპრეფერენციული საგადასახადების თანხა;
 - 3.4 მოთხოვნები, რომელიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტისა და ჯარიმის სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები/საურავები;
 - 3.5 არაპრივილეგირებული მოთხოვნები – კრედიტორის მოთხოვნა, რომლის თაობაზეც მოვალე და კრედიტორი წინასწარ შეთანხმდნენ ასეთი მოთხოვნის არაპრივილეგირებული წესით დაკმაყოფილების თაობაზე;
 - 3.6 კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდის, აქციათა გამოსყიდვის ან შენატანის დაბრუნების ვალდებულებები).

მოვალის ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხით, უწინარესად, იფარება საპროცესო ხარჯი. საპროცესო ხარჯის საკითხს ადგენს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლი. კერძოდ, აქ მოიაზრება გადახდისუუნარობის საქმის განხილვის სასამართლო ბაჟი, რომელიც ამოითვლება გადახდისუუნარობის მასის მიხედვით და შეადგენს მისი ღირებულების 3%-ს, მაგრამ არანაკლებ 500 ლარს და არაუმეტეს 5000 ლარს. პროცესის ხარჯებში შედის, აგრეთვე,

მმართველის ანაზღაურება, რომლის ოდენობასა და განსაზღვრის მეთოდოლოგიას ადგენს კანონის 119-ე მუხლი.

საპროცესო ხარჯის კატეგორიას განეკუთვნება, აგრეთვე, ხარჯი, რომელიც ეხება საქმის წარმოებისათვის აუცილებელ საკონსულტაციო მომსახურების მიღებას, ქონების მოვლა-პატრონობას და ა.შ. ერთი შეხედვით, ამ კატეგორიას მიკუთვნებული ვალდებულებები ძალიან ჰგავს ახალი კრედიტორის მოთხოვნათა ჯგუფს. თუმცა, განსხვავება ის არის, რომ ახალი კრედიტორული მოთხოვნები უკავშირდება სამეურნეო საქმიანობის განგრძობითობის პირობებში წარმოშობილ ვალდებულებებს, ხოლო საპროცესო ხარჯს მიკუთვნებული ახალი კრედიტორული ვალდებულებები უფრო საქმის წარმოების, მათ შორის, ეფექტიანად წარმოების, მიზანს ემსახურება.

თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

მაგალითი N12 – გადახდისუუნარობის მასაში შემავალი უძრავი ქონების სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით, გაკოტრების მმართველი დაიქირავებს ქონების შემფასებელს. შემფასებლის მომსახურების საფასური, რომელიც გამომდინარეობს მმართველსა და შემფასებელს შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულებიდან, ერთი შეხედვით, ახალი კრედიტორული ვალდებულებაა, რომელიც წარმოიშვა საქმის წარმოების დაწყების შემდეგ. თუმცა, ვინაიდან ქონების შეფასება ემსახურება მასის რეალიზაციის მიზანს, ასეთი ტიპის კრედიტორული მოთხოვნა უნდა მივაკუთვნოთ საპროცესო ხარჯს. იგივე შეიძლება ითქვას ბუღალტრულ, აუდიტორულ, იურიდიულ და სხვა სახის პროფესიულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოების ფარგლებში, მმართველზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით არის შეძენილი.

მაგალითი N13 – გაკოტრების რეჟიმში მყოფ სამშენებლო კომპანიას აქვს დაუსრულებელი მშენებლობა. საქმის გარემოებათა შესწავლის შემდეგ გაკოტრების მმართველი დაასკვნის, რომ კრედიტორთა ერთობლივი ინტერესისა და დაკმაყოფილების მაქსიმიზაციის მიზნით, მიზანშეწონილია სამშენებლო ობიექტზე მშენებლობის დასრულება. ამისათვის გასანჯვ ხარჯს ამართლებს სამომავლოდ დასრულებული ობიექტის გამრძილი ღირებულება. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, გაკოტრების მმართველს მოუწევს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შევიდეს სამშენებლო მასალების მომწოდებლებთან, აგრეთვე, დაიქირაოს მუშახელი მშენებლობის დასრულების მიზნით და შევიდეს სხვა მსგავს სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ხსენებული ახალი სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში წარმოშობილი მოთხოვნები უნდა მივაკუთვნოთ ახალი კრედიტორების ჯგუფს, რომლებიც მართალია უპირატესად, მაგრამ მაინც რიგითობის წესით დაკმაყოფილდებიან.

ბევრ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე, შესაძლებელი ხდება საპროცესო ხარჯს მიკუთვნებული კრედიტორული მოთხოვნების გამიჯვნა ახალი კრედიტორული მოთხოვნებისგან. თუმცა კანონის ჩანაწერი გარკვეულ კითხვის ნიშნებს მაინც აჩენს და საჭიროებს შემდგომ დაზუსტებას. ამ ბუნდოვანებას აძლიერებს საპროცესო ხარჯში მოვლა-პატრონობის ხარჯის მიკუთვნება, რომელიც უფრო საქმიანობის გაგრძელებას უკავშირდება ვიდრე საქმის წარმოების უზრუნველყოფას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება იმის გათვალისწინებით, რომ კრედიტორთა სხვა ჯგუფებისგან, მათ შორის, ახალი კრედიტორების ჯგუფისგან

განსხვავებით, საპროცესო ხარჯის ყველა პოზიცია სრულად უნდა დაიფაროს ანუ კვოტური დაკმაყოფილება საპროცესო ხარჯთან მიმართებაში არ დაიშვება. შესაბამისად, კანონის ამოქმედების შემდეგ მნიშვნელოვანი იქნება არაორაზროვნად და, რაც მთავარია, სამართლიანად განიმარტოს აღნიშნული საკითხი.

ამრიგად, საპროცესო ხარჯი არის იმ კატეგორიის ვალდებულება, რომელიც აუცილებელ, სრულ და უპირატეს დაკმაყოფილებას ექვემდებარება. სწორედ ამიტომ, სასამართლო, მოვალის მიერ შეტანილი გადახდისუუნარობის განცხადების შემონშების ეტაპზე, ამონშებს შესწევს თუ არა მოვალეს უნარი, დაფაროს საპროცესო ხარჯი და იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ მოვალის ქონება ამისათვის საკმარისი არ არის, გამოაქვს განჩინება განცხადების დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, მოვალე ექვემდებარება გაკოტრებას საქმის წარმოების გარეშე. პრაქტიკული თვალსაზრით, ეს ხარჯიც მოვალის მასის მიმართ არსებული კრედიტორული მოთხოვნაა. კრედიტორის მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში, კრედიტორს უჩნდება გადახდისუუნარობის მასის მიმართ უკუმოთხოვნის უფლება.

საქმის წარმოების გახსნის შემდეგ, საპროცესო ხარჯების სრული დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მოვალეობა ეკისრება გადახდისუუნარობის მმართველს. სასამართლოსა და პრაქტიკოსის ანაზღაურების ხარჯები კანონით არის რეგლამენტირებული და მათთან მიმართებაში თავიდანვე ხდება ხარჯის ოდენობის განსაზღვრა. რაც შეეხება საპროცესო ხარჯს მიკუთვნებულ კრედიტორულ მოთხოვნებს, აქ გაკოტრების მმართველს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს. პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს გულისხმობს იმას, რომ მართალია მმართველი უფლებამოსილია შეიძინოს სხვადასხვა სახის მომსახურება პროცესის გამართულად წარმართვის მიზნით, ამასთან, ის ვალდებულია თავი შეიკავოს ისეთი საპროცესო ხარჯის წარმოქმნისაგან, რომლის გადახდა არ არის სრულად უზრუნველყოფილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება დადგეს გაკოტრების მმართველის პასუხისმგებლობის საკითხიც. კანონი, ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკოსის პასუხისმგებლობის საკითხს კონკრეტულად არ არეგულირებს, მაგრამ ეს გამომდინარეობს ზოგადი წესებიდან, აგრეთვე, კანონის სისტემური და ლოგიკური ანალიზიდან. ამდენად, იმ შემთხვევაში თუ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი წარმოშობს საპროცესო ხარჯს მიკუთვნებულ კრედიტორულ მოთხოვნებს და მათი დაფარვა ვერ მოხერხდება გადახდისუუნარობის მასიდან, იგი პირადად აგებს პასუხს ასეთი კრედიტორების მიმართ წარმოშობილ ზიანზე.

საპროცესო ხარჯის დაკმაყოფილების შემდეგ, პირველ რიგში, კმაყოფილდება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის შემდეგ წარმოშობილი ახალი კრედიტორული მოთხოვნები. კრედიტორთა ეს ჯგუფის ცალკეა გამოყოფილი და არ განეკუთვნება გადახდისუუნარობის კრედიტორთა კატეგორიას.

საპროცესო და ახალი კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ იწყება გადახდისუუნარობის კრედიტორთა თანმიმდევრული დაკმაყოფილება, სხვადასხვა ჯგუფებისა და რიგითობის დაცვით.

გადახდისუუნარობის კრედიტორთა პირველ ჯგუფს განეკუთვნება ე.წ. პრეფერენციული მოთხოვნები. პრეფერენციულ მოთხოვნად განიმარტება სასამართლოს მიერ გადახდისუ-

უნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯების (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აგრეთვე, მათი ოჯახის წევრების ხელფასისა და შვებულების ხარჯებისა) ასანაზღაურებელი თანხები, სანარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები (თითოეული კრედიტორისთვის – არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით)¹⁵⁷.

შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნების პრეფერენციული დაკმაყოფილების შემოტანა, არ არის მხოლოდ სოციალური პოლიტიკის დღის წესრიგით ნაკარნახევი. ეს ეკონომიკური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია და, წესით, დადებითად უნდა იმოქმედოს ამონაგების მაქსიმიზაციაზე ან, სულაც, მოვალის რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ საკმარის აქვს ნდობა არა მხოლოდ გარეშე კრედიტორებთან მიმართებაში, არამედ საკუთარ თანამშრომლებშიც. ეს, ლოგიკურად, ნეგატიურად აისახება დასაქმებულთა სურვილზე და მოტივაციაზე ხელი შეუწყოს გადახდისუნარობის საკითხის გადაჭრას. ამ მინიმალური დაცვის უზრუნველყოფით, ჩნდება მოლოდინი, რომ დასაქმებულები პროცესის ბუნებრივი მოკავშირეები იქნებიან და ხელს შეუწყობენ მმართველებს, იქნება ეს პრაქტიკოსი თუ მოვალის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი, ეფექტიანად წარმართოს პროცესი. ამ თვალსაზრისით, გარდა სოციალური მიზნებისა, კანონმდებლის მიერ ჩაფიქრებული მიზნის მიღწევის ხელშესაწყობად, სისტემურად უფრო გამართული იქნებოდა პრეფერენციული მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებული ყოფილიყო დასაქმებულის მიერ გადახდისუნარო კომპანიაში დასაქმების გაგრძელების ფაქტზე, თუმცა ასეთ წინაპირობას კანონში არ ვხვდებით. შესაბამისად, დასაქმებული, რომელიც არ ისურვებს შრომითი ურთიერთობის გაგრძელებას გადახდისუნარო კომპანიაში, მაინც ინარჩუნებს პრეფერენციულ მოთხოვნას მოვალის მიმართ.

აღნიშნულის შემდეგ კმაყოფილდება პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები. პრეფერენციულ საგადასახადო მოთხოვნებად განიხილება სასამართლოს მიერ გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდში წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების თანხები¹⁵⁸. ეს არის იმ სახის გადასახადები, რომლებსაც პირი, ამ შემთხვევაში – გადახდისუნარო მოვალე, იხდის სხვისი სახელით, ე.წ. საგადასახადო აგენტის როლში. არაპირდაპირი გადასახადს განეკუთვნება დასაქმებულების საშემოსავლო გადასახადი, დღგ და სხვა არაპირდაპირი გადასახადები. ამ მოთხოვნების პრეფერენციულ რეჟიმში დაკმაყოფილება გამართლებულია იმით, რომ გადასახდელი თანხა არ ეკუთვნის მოვალეს და გადაიხდება მესამე პირთა, მათ შორის, დასაქმებულების სახელით. შესაბამისად, გადაუხდელი თანხა, მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა, გადახდისუნარობის მასის ნაწილია, არც შინაარსობრივად და არც ეკონომიკურად მოვალეს და, შესაბამისად, გადახდისუნარობის მასას არ ეკუთვნის.

შემდეგი და, პრაქტიკული თვალსაზრისით, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი არის არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ჯგუფი. ამავე ჯგუფში განიხილება პირდაპირ გადა-

¹⁵⁷ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „შ“ ქვეპუნქტი.

¹⁵⁸ რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ჩ“ ქვეპუნქტი.

სახადთან მიმართებაში არსებული საგადასახადო მოთხოვნები, მაგალითად, ქონების გადასახადი. კანონის ნოვაციას წარმოადგენს ის, რომ საგადასახადო უზრუნველყოფის ღონისძიებები, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროს, უზრუნველყოფილი კრედიტორის უფლებებს არ წარმოშობს. შესაბამისად, ასეთი მოთხოვნები, რიგითობის მიზნებისათვის, არ განიხილება უზრუნველყოფილი მოთხოვნების კატეგორიაში.

მომდევნო რიგი ეხება მოთხოვნებს, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ასევე, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები.

ამ რიგის ცალკე გამოტანა და ქვემდგომ რიგში გადატანა წარმოადგენს 2020 წლის კანონის სიახლეს. პროცენტის, პირგასამტეხლოსა და სხვა ჯარიმა-საურავების არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების შემდგომ რიგში განთავსება აიხსნება არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ერთობლიობის, განსაკუთრებით მცირე, ე.წ. სავაჭრო კრედიტორების დაცვის მიზნით. პრაქტიკაში სავაჭრო კრედიტორები ფინანსური ინსტიტუტების, შემოსავლების სამსახურისა და სხვა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე კრედიტორებისგან განსხვავებით, ხშირად, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შეათანხმონ ვადაგადაცილების პროცენტი, პირგასამტეხლო და შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებები. შესაბამისად, ამ ტიპის მოთხოვნების არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების ზოგად ჯგუფში მიკუთვნებით, საბაზრო ძალაუფლების მქონე კრედიტორები პროპორციულად უფრო მეტ დაკმაყოფილებას იღებდნენ, ხოლო სუსტ კრედიტორებს, შესაბამისად, უმცირდებოდათ ძირითადი მოთხოვნიდან დაკმაყოფილების კვოტა. ამდენად, კანონმდებელმა მიიჩნია, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო სავაჭრო კრედიტორების ინტერესების დაცვის ხარისხის გაზრდა, ამიტომ გადაიტანა არაძირითადი მოთხოვნები პროცენტისა და პირგასამტეხლოს სახით შემდგომ რიგში, რითაც ბუნებრივად გაიზარდა არაუზრუნველყოფილი ძირი მოთხოვნის დაკმაყოფილების მოცულობა.

რიგითობით ბოლო ორ ჯგუფს განეკუთვნება კაპიტალური რისკის¹⁵⁹ მატარებელი მოთხოვნები. ეს არის, ერთი მხრივ, არაპრივილეგირებული მოთხოვნები და, მეორე მხრივ, სამენარმეო (საკორპორაციო) ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნები, როგორცაა დივიდენდი, შენატანის დაბრუნება და სხვ. ეს უკანასკნელი სამენარმეოსამართლებრივი მოთხოვნები როგორც კაპიტალური, ანუ რისკის ყველაზე მაღალი დონის მატარებელი მოთხოვნები, ლოგიკურად, ბოლო რიგშია განთავსებული. 2020 წლის კანონის მნიშვნელოვანი ცვლილება გახლავთ, რომ იგი 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის უსამართლო ჩანაწერს აუქმებს, რომლის მიხედვით, მასის განაწილების შემდეგ დარჩენილი ქონება სახელმწიფო საკუთრებაში ექცეოდა და ამით ირღვეოდა პარტნიორების საკუთრების უფლება¹⁶⁰. ახალი წესით, თუ ყველა რიგის დაკმაყოფილების შემდეგ რაიმე ქონება დარჩა, ასეთი ქონება დაუბრუნდება მოვალის პარტნიორებს/აქციონერებს.

¹⁵⁹ Equity risk – არის ინვესტორის რისკი, რომელიც ინვესტიციის განხორციელებასა და მის წარუმატებლობას უკავშირდება.

¹⁶⁰ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 16.

რაც შეეხება არაპრივილეგირებულ მოთხოვნებს, ეს არის მოთხოვნათა კატეგორია, რომლის არაპრივილეგირებული წესით დაკმაყოფილებაზედაც მოვალე და კრედიტორი წინასწარ შეთანხმდნენ¹⁶¹. არაპრივილეგირებულ მოთხოვნებს ხშირად ვხვდებით საკრედიტო ტრანზაქციებში, როდესაც რამდენიმე დამფინანსებელი აფინანსებს ბიზნესს და ერთ-ერთ მათგანი, სახელშეკრულებო დათქმის ფარგლებში, თანხმობას აცხადებს, მოთხოვნის დაკმაყოფილება მიიღოს სხვა დამფინანსებლების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ. ეს შეიძლება ეხებოდეს პარტნიორის სესხს, როდესაც მართალია პარტნიორი კაპიტალის ნაცვლად სესხის მიცემით იძენს კრედიტორის სტატუსს, მაგრამ შესაძლოა, დამფინანსებელი ბანკების მოთხოვნით, ეს იყოს ე.წ. სუბორდინირებული სესხი. სუბორდინირებული სესხი ექვემდებარება დაბრუნებას, მაგრამ მხოლოდ ყველა სხვა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ. ასეთ დროს, პარტნიორის სესხი, სხვა კრედიტორებთან მიმართებაში მოქმედებს და ისეთივე რისკის მატარებელია, როგორც კაპიტალი, ხოლო ბიზნესსუბიექტთან ურთიერთობაში ის არ განიხილება კაპიტალად და რჩება კრედიტორულ მოთხოვნად. ამ ჩანაწერის გაჩენით, გადახდისუნარობის სამართალში შემოტანილ იქნა ის სამართლებრივი მოცემულობა, რომელიც მის გარეთ, ჩვეულებრივ შემთხვევაში მოქმედებს და რაც ნამდვილად მისასალმებელი ნაბიჯია კანონმდებლისგან.

საგულისხმოა, რომ რიგითობისა და პროპორციულობის წესების უშუალო გამოყენება ხდება გაკოტრების რეჟიმში, ვინაიდან, გაკოტრების რეჟიმში კრედიტორული მოთხოვნები კმაყოფილდება გადახდისუნარობის მასის რეალიზაციის შედეგად ამოღებული ფულადი სახსრების კრედიტორებზე განაწილებით. რეაბილიტაციის რეჟიმში, 2007 წლის გადახდისუნარობის კანონისგან განსხვავებით, რიგითობის მკაცრი დაცვა არ ხდება. ხსენებულ წესებს გააჩნიათ, ძირითადად, გაკოტრების მინიმუმის დადგენის ფუნქცია, ხოლო დაკმაყოფილება ხორციელდება რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით, რომელიც შეიძლება, თავის მხრივ, ითვალისწინებდეს განსხვავებულ რიგითობასა და პროპორციულობას. რეაბილიტაციის რეჟიმში კრედიტორებს შეუძლიათ მიიღონ რეაბილიტაციის გეგმა და მიიღონ ისეთი სახით, როდესაც ისინი თმობენ პრეფერენციული დაკმაყოფილების მოთხოვნას.¹⁶² იმ კრედიტორებთან მიმართებაში, რომლებმაც არ დაუჭირეს მხარი კრების მოწონებულ რეაბილიტაციის გეგმას მოქმედებს ზემოხსენებული გაკოტრების მინიმუმის დაცვის სტანდარტი.

რიგითობის და პროპორციულობის წესთან მიმართებაში გარკვეული გამონაკლისები დაიშვება გაკოტრების რეჟიმშიც. კერძოდ, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ერთი ჯგუფის კრედიტორები პროპორციულად უნდა დაკმაყოფილდნენ, თუმცა, შესაძლებელია ამ ჯგუფში შემავალი კრედიტორები, ანუ ის კრედიტორები, რომლებზეც ვრცელდება პროპორციული დაკმაყოფილების წესი, სხვაგვარად შეთანხმდნენ. აგრეთვე, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შესაძლებელია მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ნაწილობრივ უარის შემთხვევაში დაკმაყოფილების რიგის ცვლილებაც. ამისათვის საჭიროა ამ კრედიტორთა ჯგუფში ყველა კრედიტორის, აგრეთვე, ზემდგომი რიგების ყველა კრედიტორის თანხმობა, რომელზეც რიგის ცვლილება მოახდენს გავლენას.

¹⁶¹ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ც“ ქვეპუნქტი.

¹⁶² „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 83-ე მუხლი.

როგორც ვხედავთ, რიგითობისა და პროპორციულობის წესიდან გადახვევა დაიშვება იმ კრედიტორების უფლების დაურღვევლად, ვისზეც ეს გავლენას ახდენს. უფლებისა და ინტერესების დაცვა ხორციელდება, ერთი მხრივ, ყველა დანიტერესებული კრედიტორის თანხმობით და მეორე მხრივ, გაკოტრების მინიმუმის გარანტიით. ამავდროულად, საგამონაკლისო წესების შემოღებით ჩნდება შესაძლებლობა განაწილება მოხდეს მოქნილად და კრედიტორების ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებულად.

5.3.4. კრედიტორთა დაკმაყოფილების თავისებურებები რეაბილიტაციისას

როგორც ზემოთ აღინიშნა, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლით დადგენილი რიგითობის მკაცრად დაცვა ხდება მხოლოდ გაკოტრების რეჟიმში. ამავდროულად, თავისი არსით, რიგითობა არც რეაბილიტაციის რეჟიმში კარგავს მნიშვნელობას და აგრძელებს მოქმედებას რეაბილიტაციისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით. 2020 წლის კანონით შემოტანილია მთელი რიგი ნოვაციებისა, რითიც რეაბილიტაცია წახალისებულია და უპირატეს მდგომარეობაშია ჩაყენებული.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კანონით გაუქმებულია რეაბილიტაციისას მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების სავალდებულო წესი, რომელიც 2007 წლის გადახდისუნარობის კანონში მოქმედებდა. კერძოდ, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რეაბილიტაციის გეგმით შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას ვალაუვალობის რამდენიმე გადაწყვეტა.

პირველი ეს გახლავთ რეაბილიტაცია **გადახდისუნარო მოვალის, როგორც სუბიექტის გადარჩენის გზით** – რეაბილიტაციის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოვალის, როგორც მოქმედი საწარმოს, გადარჩენას, რის შედეგადაც, კრედიტორული მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილდება. შესაბამისად, რეაბილიტაციის გეგმა უნდა შედგეს იმგვარად, რომ ითვალისწინებდეს კრედიტორული მოთხოვნების სრულად დაფარვას. თუმცა, ამავე ნორმაში ჩნდება შესაძლებლობა, კრედიტორმა უარის თქვას მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებაზე და ამის შესახებ თანხმობა განაცხადოს რეაბილიტაციის რეჟიმის თავით დადგენილი წესით.

გარდა ამისა, ჩნდება შესაძლებლობა რეაბილიტაცია განხორციელდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოთხოვნები სრულად არ კმაყოფილდება, მაგრამ მიიღწევა **კრედიტორთა ერთობლიობისთვის უფრო ხელსაყრელი შედეგი, ვიდრე გაკოტრების შემთხვევაში მიიღწეოდა.**

კერძოდ, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ადგენს ე.წ. მინიმალური დაკმაყოფილების სტანდარტს. ამ წესის თანახმად, თუ რეაბილიტაციის მმართველი მიიჩნევს, რომ კრედიტორთა სრული დაკმაყოფილება არ არის გონივრულად განხორციელებადი, მან შეიძლება კრედიტორებს შესთავაზოს რეაბილიტაციის გეგმა იმ სახით, რომ საერთო ჯამში კრედიტორებმა მიიღონ, სულ მცირე, იმაზე უკეთესი დაკმაყოფილება, ვიდრე ისინი მიიღებდნენ გაკოტრების რეჟიმში. უკეთეს დაკმაყოფილებაში არ იგულისხმება, რომ ყველა რიგის კრედიტორს პროპორციულად უნდა გაეზარდოს დაკმაყოფილების ოდენობა. საკმარისია, თუ რომელიმე ჯგუფის კრედიტორთა დაკმაყოფილება აღემატება გაკოტრების რეჟიმით

მოსალოდნელ დაკმაყოფილებას და, ამავდროულად, არ ირღვევა გაკოტრების მინიმუმის წესი. ეს პრინციპი შემოღებულ იქნა გადახდისუუნარობის სამართლის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებზე დაყრდნობით¹⁶³.

ამდენად, გაკოტრების მინიმუმი უზრუნველყოფს, რომ ყველა კრედიტორმა, რომელიც გეგმას მხარს არ უჭერს, მიიღოს მინიმუმ ის დაკმაყოფილება, რომელსაც გაკოტრებისას მიიღებდა. ეს ლოგიკური და გამართლებული მიდგომაა, ვინაიდან, კრედიტორი რომელიც რეაბილიტაციას მხარს არ უჭერს, ისედაც, ფაქტობრივად, გაკოტრების მომხრე გამოდის და რეაბილიტაციის რეჟიმის ამოქმედებით მისი უფლებრივი მდგომარეობა არ უარესდება. ამით, რეაბილიტაციის მხარდამჭერ კრედიტორებსაც ექმნებათ შანსი მიიღონ ჯამურად უკეთესი დაკმაყოფილება. ეს შექანიზმი ხელს უწყობს ბიზნესის შენარჩუნებასაც, რაც მის პარტნიორებს აძლევთ ხელს და ხშირად, გრძელვადიანი კრედიტორებისთვისაც მიმზიდველი შედეგია.

გაკოტრების და რეაბილიტაციის რეჟიმების დროს მიღწევადი დაკმაყოფილების ხარისხის შედარება, თავისთავად, ადვილი არ გახლავთ. ნიშანდობლივია, რომ პირველ შემთხვევაში დაკმაყოფილება მიიღება, მეტ-ნაკლებად, მოკლე დროში. რეაბილიტაციისას ხდება ვალდებულების შესრულების შედარებით გადავადება. შესაბამისად, აუცილებლად გასათვალისწინებელია დროის გავლენა ფულადი მოთხოვნის ოდენობაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 100 ლარის მოთხოვნა და მიღება დღეს, არ არის იდენტური 100 ლარის მოთხოვნისა, რომელიც ერთი წლის შემდეგ კმაყოფილდება. აქ გაითვალისწინება სხვადასხვა ფაქტორი, რაც ფულის ღირებულებაზე ახდენს გავლენას, მათ შორის, ინფლაცია და ა.შ.

2020 წლის რეფორმამ შემოიღო ე.წ. წმინდა მიმდინარე ღირებულების ცნება. შესაბამისად, 2020 წლის „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის ამოქმედების შემდეგ, **გაკოტრების მინიმუმის** გამონაგარიშებისას და **კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის** დადგენისას გამოყენებულ იქნება წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდი¹⁶⁴. ეს გახლავთ ფინანსური შეფასების სტანდარტი. წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) გამონაგარიშებისას, გასათვალისწინებელი იქნება გაკოტრების გახსნისას მიმდინარე ღირებულებას გაკოტრების მომენტისათვის გამოკლებული ინფლაცია და დისკონტი და სხვა გამოსაქვითი ხარჯი.

გარდა ამისა, ზოგადად, ცალკეული კრედიტორთა ჯგუფებს შორის დაუშვებელია პროპორციულობის პრინციპის (ე.წ. pari passu-ს პრინციპი) დარღვევაც ისევე, როგორც გაკოტრების რეჟიმში. აქაც, 2020 წლის კანონი უშვებს გამონაკლის, როდესაც კრედიტორი, რომლის უფლებაც ირღვევა, თავად ეთანხმება ამგვარი რეაბილიტაციის გეგმას. პროპორციულობის პრინციპის დარღვევით მომზადებული გეგმა, თუ მას თან არ ახლავს შესაბამისი კრედიტორის თანხმობა, ვერ დამტკიცდება.¹⁶⁵

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლის თანახმად, თუ მოვალე იმყოფება გაკოტრების რეჟიმში, ახალი

¹⁶³ UNCITRAL Legislative Guide, Part 4, Chapter A5, p. 223.

¹⁶⁴ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁶⁵ იქვე.

კრედიტორული მოთხოვნები დაკმაყოფილდება, უპირატესად, გაკოტრების რეჟიმის ხარჯების გასტუმრების შემდეგ. სპეციალური წესი იცავს ახალ კრედიტორებს რეაბილიტაციის რეჟიმშიც. კერძოდ, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-80 მუხლის მიხედვით, ახალი კრედიტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს უპირატესად, თუ თავად კრედიტორი არ დაეთანხმა მოთხოვნის სხვაგვარი წესით დაკმაყოფილებას.

5.4. უზრუნველყოფილი კრედიტორები

5.4.1. უზრუნველყოფილი კრედიტორის მონაწილეობა გადახდისუნარობის პროცესში

უზრუნველყოფილი კრედიტორის როლი და უფლებამოსილებების საკითხი არის გადახდისუნარობის სამართლის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი. ის, თუ როგორ უნდა იყოს მონაწილეობა ეს საკითხი კანონმდებლობაში, არაერთხელ გამხდარა დისკუსიისა და დებატების საგანი.¹⁶⁶ საქმე ის გახლავთ, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორის რანგში, როგორც წესი, გვხვდებიან საფინანსო ინსტიტუტები, კომერციული ბანკები და სხვა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირები. მათი გავლენა ეკონომიკური ცხოვრებაზე და, შესაბამისად, გადახდისუნარობის საქმის წარმოებაზეც განპირობებულია როგორც მოთხოვნის დიდი ოდენობით (სხვა ცალკეულ კრედიტორებთან შედარებით), აგრეთვე, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებითაც. უზრუნველყოფილი კრედიტორის უპირატესობებით სარგებლობს შემოსავლების სამსახურიც. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის თანახმად, შემოსავლების სამსახურს ენიჭება კანონისმიერი უფლება, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად, გადასახადის გადამხდელის (მოვალის) ქონებას დაადოს საგადასახადო გირავნობა-იპოთეკა და ამით მოიპოვოს უზრუნველყოფილი კრედიტორის სტატუსი.

როგორც უკვე აღინიშნა, სანივთო მოთხოვნები დაცული უნდა იყოს გადახდისუნარობის პროცესში, ამიტომ ისინი ექვევინ სხვა კრედიტორული მოთხოვნებისგან განსხვავებულ რეჟიმში. იგივე შეიძლება ითქვას სანივთო უზრუნველყოფაზეც. სანივთო უზრუნველყოფის დროს იგულისხმება, რომ უზრუნველყოფის ინტერესის მფლობელს გააჩნია მესაკუთრის მსგავსი ინტერესი და წვდომა უზრუნველყოფის საგანზე და შესაბამისად, ის უწინარესად მისი დაკმაყოფილების მიზნით უნდა იქნას გამოყენებული. ეს მოცემულობა განაპირობებს უზრუნველყოფილი კრედიტორის განსაკუთრებულ სტატუსს და იმ სპეციალურ უფლებამოსილებებს, რომელიც მას მინიჭებული აქვს კანონმდებლის მიერ.

უზრუნველყოფილი კრედიტორის საკითხის უკეთ აღქმისთვის, მიზანშეწონილია, განვიხილოთ მისი უფლებამოსილებებისა და როლის განვითარება საკანონმდებლო რეფორმების კვალდაკვალ.

1996 წლის კანონით უზრუნველყოფილი კრედიტორი „გირავნობის უფლების მქონე მესამე პირად“ არის მოხსენებული. მის დასახასიათებლად არსებითია, რომ მას ვალაუვალი მოვა-

¹⁶⁶ კ. შნიტგერი, რ. მიგრიაული, „გადახდისუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011; Assessment of Insolvency System in Georgia, USAID/erTian reestr, 2015.

ლის საგანი უნდა ეკუთვნოდეს უზრუნველყოფის მიზნით ან იგი გირავნობით უნდა იყოს დატვირთული. გაკოტრების ქართული სამართალი უზრუნველყოფილ კრედიტორს უწოდებდა იმ პირს, რომლის მოთხოვნაც გაკოტრების წარმოებაში უზრუნველყოფილია გადახდისუუნარო მოვალის ქონებებით. ამგვარი კრედიტორი გათანაბრებული იყო სხვა სანივთო კრედიტორებთან, რომელთაც გააჩნდათ სანივთო მოთხოვნის განცალკევებულად დაკმაყოფილების მოთხოვნა. შესაბამისად, როგორც უკვე აღინიშნა, უზრუნველყოფილი კრედიტორიც, სანივთო კრედიტორის მსგავსად, არ წარმოადგენდა გაკოტრების კრედიტორს. ამრიგად, უზრუნველყოფილი კრედიტორის განცალკევებული დაკმაყოფილება გაკოტრების წარმოებისგან დამოუკიდებლად ხდებოდა, ანუ გაკოტრების მმართველი მანამდე ახდენდა დატვირთული ქონების რეალიზაციას და ამონაგებით უზრუნველყოფილი კრედიტორის განცალკევებულად დაკმაყოფილებას, ვიდრე იგი შეუდგებოდა დანარჩენი ქონების რეალიზაციის ამონაგებიდან გაკოტრების კრედიტორების დაკმაყოფილებას¹⁶⁷. შესაბამისად, უზრუნველყოფილი კრედიტორი, თუმცა რჩებოდა პროცესის მონაწილედ¹⁶⁸, სხვა სანივთო მოთხოვნის მფლობელების მსგავსად, უპირატეს მდგომარეობაში რჩებოდა გაკოტრების კრედიტორებთან, მათ შორის, გაკოტრებისა და მასის კრედიტორებთან შედარებით და ეს უპირატესობა იმაში გამოიხატებოდა, რომ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგებით იგი უპირატესად კმაყოფილდებოდა¹⁶⁹.

2007 წლის გადახდისუუნარობის კანონით არსებითად შეიცვალა უზრუნველყოფილი კრედიტორის მარეგულირებელი წესები. პირველი და უმთავრესი ცვლილება გახლდათ ის, რომ მან, ფაქტობრივად, დაკარგა უზრუნველყოფის საგნიდან განცალკევებულად და უპირატესად დაკმაყოფილების უფლება. ამის სანაცვლოდ, თითქოსდა უპირატესობის დაკარგვის საპირწონე კომპენსაციის მიზნით, კრედიტორთა ეს ჯგუფი განთავსდა დაკმაყოფილების რიგითობაში უპირატეს რიგში. უფრო კონკრეტულად, უზრუნველყოფილ კრედიტორებს ერგოთ საპროცესო/სამეურვეო ხარჯებისა და ახალი კრედიტორების შემდეგი უპირატესი რიგი. რაც შეეხება რეაბილიტაციას, აქ უზრუნველყოფილ კრედიტორებს მიეცათ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების უფლება, თანაც ისე, რომ ამ პროცესში არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ჯგუფი საერთოდ არ მონაწილეობდა. ეს იყო არაუზრუნველყოფილი კრედიტორებისადმი ძალიან უსამართლო და, ამავდროულად, ძალზედ არალოგიკური მიდგომა. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ რეაბილიტაციის პროცესის მიმართ დაინტერესება უფრო არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს გააჩნიათ და უზრუნველყოფილი კრედიტორი ისედაც არის დაცული უზრუნველყოფის საგნით. პრობლემური იყო, აგრეთვე, უზრუნველყოფის საგნის იდენტიფიცირებისა და ცალკეულ ქონებაზე სანივთო ინტერესების გამიჯვნის გარეშე, უზრუნველყოფილი ქონების ერთ ჯგუფად გაერთიანება.

ამრიგად, უზრუნველყოფილ კრედიტორთან მიმართებაში, გადახდისუუნარობის კანონმა შემოიღო მთელი რიგი სამართლებრივი წესებისა, რომელთა მიზანი, ერთი შეხედვით, მათი

¹⁶⁷ რ. მიგრიაული „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 91.

¹⁶⁸ 1996 წლის გაკოტრების კანონის თანახმად, უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის ახორციელებდა გაკოტრების მმართველი, თუ მისივე გადაწყვეტილებით ეს უფლება არ გადაეცემოდა უზრუნველყოფილ კრედიტორს.

¹⁶⁹ რ. მიგრიაული „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 92.

ლეგიტიმური ინტერესების დაცვა იყო, თუმცა სრულიად დაუსაბუთებლად და დაუბალანსებლად ზღუდავდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესებს. თანაც, ამის პარალელურად, 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი თავად უზრუნველყოფილ კრედიტორსაც უქმნიდა პრობლემებს. სანივთო უფლების განხორციელების შეზღუდვის გარდა, ეს გამოიხატა იმაში, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორების ერთ რიგში მოქცევით, ფაქტობრივად, ძალას კარგავდა უზრუნველყოფის რიგითობა, რომელიც სამოქალაქო კოდექსით არის განსაზღვრული. ანუ პირველი და ყოველი შემდგომი რიგის იპოთეკა და გირავნობა თანასწორუფლებიან სტატუსს სძენდა ყველა უზრუნველყოფილ კრედიტორს ერთობლივად. გარდა ამისა, აღნიშნვის ღირსია, ასევე, შემოსავლების სამსახურის უზრუნველყოფილი კრედიტორების რიგში გამწესება, რაც იწვევდა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გარეთ არსებული ქრონოლოგიური იერარქიის დარღვევას, ერთი მხრივ, კერძო სამართლის სუბიექტ უზრუნველყოფილ კრედიტორებსა და, მეორე მხრივ, შემოსავლების სამსახურს შორის¹⁷⁰.

ძველი კანონისგან განსხვავებით, 2020 წელს მიღებულმა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონმა აღმოფხვრა ის უსწორობები და უსამართლო წესები, რომელიც უკავშირდებოდა უზრუნველყოფილი კრედიტორის როლს და რაც სამართლიანად იყო მიჩნეული ეკონომიკური ურთიერთობებისთვის და ბიზნესსექტორისთვის მნიშვნელოვან პრობლემად¹⁷¹. შედეგად, აღდგა უზრუნველყოფილი კრედიტორის უპირატესი წვდომა უზრუნველყოფის საგანზე. შემოსავლების სამსახურმა დაკარგა უზრუნველყოფილი კრედიტორის სტატუსი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს მიეცათ შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ რეაბილიტაციის პროცესზე. გარდა ამისა, ვინაიდან უზრუნველყოფის საგანზე განსაკუთრებული უფლება დარეგულირდა სანივთო სამართლის წესებით, მასაში ყველა სხვა ქონებაზე, რომელიც არ არის უზრუნველყოფის საგანი, გამყარდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების პირდაპირი წვდომა. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ სანივთო დაცვის უზრუნველყოფა და, პარალელურად, უზრუნველყოფის საგნის შენარჩუნება გადახდისუუნარობის მასაში, განიხილება ყველაზე აპრობირებულ და დაბალანსებულ მიდგომად,¹⁷² ამიტომ ნამდვილად მისასალმებელია ამ საკითხის ახლებურად და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად მოწესრიგება.

თვალსაჩინოებისთვის, წარმოვიდგინო უზრუნველყოფილი კრედიტორის ინსტიტუტის მონესრიგების ძირითად ასპექტებს 2007 წლის გადახდისუუნარობის, 2020 წლის „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონების მიხედვით:

¹⁷⁰ აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც შემოსავლების სამსახურის მიერ დადებული გირავნობა-იპოთეკას არ ენიჭება უპირატესობა კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვეო კომპანიების და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სასარგებლოდ რეგისტრირებულ გირავნობა-იპოთეკასთან მიმართებაში (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-6 ნაწილი).

¹⁷¹ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 16.

¹⁷² ჰ. შნიტგერი, რ. მიგრიაული, „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკორტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011, გვ. 48-51; UNCITRAL Legislative Guide.

<p>საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“</p>	<p>საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“</p>
<ul style="list-style-type: none"> • უპირატესი დაკმაყოფილების უფლება (რიგითობა) • ახალი ფინანსური ვალდებულებების აღების, ქონების დატვირთვისა და თავდებობის გაცემის ექსკლუზიური კონტროლი • კრედიტორთა ზოგიერთ გადაწყვეტილებაზე ვეტოს უფლება • კაპიტალის გაზრდის კონტროლი • რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების ექსკლუზიური უფლებამოსილება • რეაბილიტაციის გეგმის ცვლილების დამტკიცების ექსკლუზიური უფლება 	<ul style="list-style-type: none"> • უპირატესი უფლება უზრუნველყოფის საგანზე • უზრუნველყოფის საგნის გამოყოფის უფლება • უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის მოთხოვნა • კრედიტორთა კომიტეტში წარმომადგენლის დანიშვნის უფლება • უზრუნველყოფის ინტერესის რიგითობის დაცვა • ხმის უფლების შეზღუდვა რეაბილიტაციის პროექტის დამტკიცებისას¹⁷³

ამრიგად, ახალი კანონის მიხედვით, უზრუნველყოფილი კრედიტორის უპირატესი უფლება ნივთზე ნარჩუნდება გადახდისუუნარობის რეჟიმშიც. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, უზრუნველყოფის საგანი დაუკმაყოფილებელი უზრუნველყოფილი კრედიტორული მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში განიხილება, როგორც უზრუნველყოფილი კრედიტორის ან კრედიტორების კვაზი-საკუთრების ობიექტი. შესაბამისად, ნივთიდან დაკმაყოფილება უნდა მოხდეს მხოლოდ უზრუნველყოფილი კრედიტორის ან კრედიტორების, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უზრუნველყოფის საგნის ღირებულება აღემატება უზრუნველყოფილ მოთხოვნას.

უზრუნველყოფის საგნის გადახდისუუნარობის მასიდან გატანით თავად უზრუნველყოფის უფლებათა რიგითობაც დაცულია და ერთ ნივთზე რამდენიმე უზრუნველყოფის არსებობის შემთხვევაში, შენარჩუნებულია სანივთო უფლებების ის რიგითობაც, რაც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში ან სხვა მარეგისტრირებელ ორგანოში.

5.4.2. უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება რეაბილიტაციისას

რეაბილიტაციის რეჟიმში, მიუხედავად იმისა, რომ გადახდისუუნარობის მასის რეალიზაცია არ ხორციელდება, უზრუნველყოფილ კრედიტორს უნარჩუნდება განსაკუთრებული უფლება უზრუნველყოფის საგანზე. ამავდროულად, რეაბილიტაციის განხორციელების მიზნებისათვის, რეაბილიტაციის მმართველს შეუძლია შეინარჩუნოს უზრუნველყოფის საგანი, რაც, როგორც წესი, დადებითად აისახება მოვალის რეაბილიტაციაუნარიანობაზე. შესაბამისად, უზრუნველყოფის საგნის ავტომატური გამოყოფა გადახდისუუნარობის მასიდან არ ხდება და

¹⁷³ უზრუნველყოფილ კრედიტორს შეთავაზებული რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მონონების პროცესში კენჭისყრისას ხმის უფლება არ აქვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეაბილიტაციის გეგმის პროექტი მოვალესა და უზრუნველყოფილ კრედიტორს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების ცვლილებას ითვალისწინებს.

მასზე განკარგვისა და სარგებლობის უფლებას ინარჩუნებს რეაბილიტაციის მმართველი რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისა და განხორციელების მიზნების გათვალისწინებით.

ამავდროულად, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს უზრუნველყოფილ კრედიტორთა უფლებების რეალიზების ისეთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, როგორცაა უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების რეალიზაციის მოთხოვნის უფლება. კერძოდ, კანონის 87-ე მუხლის თანახმად, უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების მიმართ მორატორიუმის მოხსნის შუამდგომლობით, თუ მას ზიანი ადგება მორატორიუმის ღონისძიების გამოყენებით (მაგალითად, ქონების ღირებულება მცირდება) და ამ ზიანის თავიდან აცილების ინტერესი კრედიტორთა თანაბარზომიერი დაკმაყოფილების კანონისმიერ მიზანზე მნიშვნელოვანია.

აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები:

- **არსებობს თუ არა უზრუნველყოფის კონკრეტული საგნის საჭიროება რეაბილიტაციის მიზნის განხორციელებისათვის;**
- **რამდენად არის დაზღვეული ის რისკები, რაც შეიძლება მოყვეს უზრუნველყოფის საგნის გაუფასურებას;**
- **რამდენად არის უზრუნველყოფილი გადახდისუნარობის მასიდან იმ განსხვავების კომპენსაცია, რომელიც შეიძლება წარმოიშვას უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გადადებით.**

თუ რეაბილიტაციის მმართველი არ ეთანხმება ქონების მიმართ მორატორიუმის მოხსნის მოთხოვნას, ის ვალდებული იქნება ამტკიცოს, რომ ქონება, რომელზედაც კრედიტორი ითხოვს მორატორიუმის ცალკეული ღონისძიების გაუქმებას, უცილობლად საჭიროა რეაბილიტაციის მიზნებისთვის. გარდა ამისა, რეაბილიტაციის მმართველს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით ან უზრუნველყოფილი კრედიტორის შუამდგომლობით სასამართლოს მიმართოს უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ისეთი ქონების რეალიზაციაზე თანხმობის მისაღებად, რომელიც არ არის საჭირო რეაბილიტაციის მიზნებისათვის. ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა განაწილდება უზრუნველყოფილ კრედიტორებზე, მათი რიგითობის შესაბამისად.

იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფის საგანი რჩება გადახდისუნარობის მასაში და რეაბილიტაციის მმართველს უნარჩუნდება ამგვარი ნივთით სარგებლობის შესაძლებლობა, კანონი ადგენს, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორი ჩართულია და მონაწილეობს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების პროცესში. თუმცა, იგი რეაბილიტაციის გეგმის პროექტის დამტკიცებაში მონაწილეობს საგამონაკლისო შემთხვევაში, თუ რეაბილიტაციის გეგმის შედეგად იცვლება მასსა და მოვალეს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის პირობები¹⁷⁴. სხვა შემთხვევაში, მას ხმის უფლება არ აქვს და ვალდებულია მიიღოს რეაბილიტაციის გეგმა, რომელიც მის უფლებებსა და ინტერესებზე გავლენას არ ახდენს.

¹⁷⁴ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 82-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილი კრედიტორი მონაწილეობს გეგმის დამტკიცების პროცესში, ანუ თუ შემოთავაზებული გეგმა ითვალისწინებს მასთან არსებული ხელშეკრულების პირობების ცვლილებას, ასეთ დროს, რეაბილიტაციის გეგმას უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფები კენჭს უყრიან ცალ-ცალკე. გეგმის დასამტკიცებლად საჭიროა თითოეული ჯგუფის კრედიტორების ხმების უმრავლესობის თანხმობა. შესაბამისად, უზრუნველყოფილია ორივე ძირითადი ჯგუფის კრედიტორების შესაძლებლობა განსაზღვრონ რეაბილიტაციის გეგმის შინაარსი და გავლენა იქონიონ მის დამტკიცებაზე¹⁷⁵. ამავდროულად, თუ გეგმის დამტკიცებაზე უზრუნველყოფილი კრედიტორის უარი აფერხებს გონივრულად განხორციელებადი რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას, მმართველს ყოველთვის რჩება შესაძლებლობა უარი თქვას კონკრეტულ უზრუნველყოფის საგანზე. ასეთ შემთხვევაში, უზრუნველყოფილი კრედიტორის შესაბამისი ხმები აღარ გაითვალისწინება.

5.4.3. უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება გაკოტრების რეჟიმისას

როგორც უკვე აღინიშნა, უზრუნველყოფილი კრედიტორი კმაყოფილდება უზრუნველყოფის საგნიდან. შესაბამისად, უზრუნველყოფილი კრედიტორი არ გვხვდება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლით განსაზღვრულ რიგითობაში. მათი უპირატესი დაკმაყოფილება ხორციელდება უშუალოდ დატვირთული ნივთის ხარჯზე, ხოლო მთლიანი მასის რეალიზაციიდან ამონაგები თანხით ისინი პრიორიტეტულად აღარ დაკმაყოფილდებიან. შესაბამისად, უზრუნველყოფილ კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს უზრუნველყოფის საგნის მასიდან ამორიცხვა და ამ გზით დაიკმაყოფილოს უზრუნველყოფილი მოთხოვნა.

ამავდროულად, კანონი ადგენს გარანტიებს, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნის რეალიზაცია არ მოხდეს არაუზრუნველყოფილი კრედიტორების საზიანოდ. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი მმართველს აკისრებს ვალდებულებას იმოქმედოს კრედიტორთა ერთობლიობის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ეს განსაკუთრებით ეხება კრედიტორთა იმ ჯგუფებს, რომლებიც მონაწილეობენ მოვალის ქონების რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხის განაწილების პროცესში „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფილი კრედიტორი არ არის სრულად თავისუფალი უზრუნველყოფის საგანზე აღსრულების განხორციელების კუთხით. უზრუნველყოფის საგანი რჩება მანამდე, სანამ არსებობს სხვა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესი. კერძოდ, თუ გაკოტრების მმართველი მიიჩნევს, რომ მოქმედი ბიზნესის გაყიდვით¹⁷⁶ უფრო მაღალ ამონაგებს მიიღებს და ამისათვის გაკოტრების მასაში უნდა გაითვალისწინოს უზრუნველყოფის საგნები, კანონის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მას შეუძლია გაყიდოს უზრუნველყოფის საგნები მოქმედი ბიზნესის მასასთან ერთად, უზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესების შეუღალავად.

¹⁷⁵ რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის 82-ე მუხლის მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტები.

¹⁷⁶ ე.წ. *sale of going concern*.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლის შესაბამისად, პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს გაკოტრების მმართველს უზრუნველყოფილი ქონების იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზით რეალიზაციის მოთხოვნით. გაკოტრების მმართველი უზრუნველყოფს ქონების რეალიზაციას პირველი რიგის იპოთეკარის მოთხოვნის შესაბამისად.

უზრუნველყოფილი კრედიტორები, შესაბამისი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხიდან კმაყოფილდებიან სამოქალაქო კოდექსითა და სხვა კანონებით დადგენილი რიგითობის შესაბამისად. ყველა კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი თანხა შევა გადახდისუუნარობის მასაში. შესაბამისად, გაკოტრების მმართველი რეალიზაციიდან მიღებულ თანხის იმ ნაწილს, რომელიც აღემატება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობას, შეიტანს გადახდისუუნარობის მასაში და გამოიყენებს კრედიტორთა ჯგუფების დაკმაყოფილებისთვის.

თუ ნივთის რეალიზაციიდან მიღებული თანხა უზრუნველყოფილი კრედიტორ(ებ)ის მოთხოვნაზე ნაკლებია, ასეთი კრედიტორის თანხმობის შემთხვევაში, მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი განთავსდება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 301-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად.

5.4.4. უზრუნველყოფილი კრედიტორის განსაკუთრებული უფლებამოსილებები რეგულირებული შეთანხმების პროცესში

უზრუნველყოფილი კრედიტორის განსაკუთრებული უფლებამოსილება, ასევე, მოცემულია რეგულირებული შეთანხმების თავშიც. კერძოდ, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია კრედიტორთა კრების მიერ ისეთი რეგულირებული შეთანხმების დადება ან მასში ისეთი ცვლილების დამტკიცება, რომელიც გავლენას ახდენს უზრუნველყოფილი კრედიტორის უფლებაზე აღასრულოს უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად კრედიტორი დაეთანხმება ასეთ შეთანხმებას/ცვლილებას.

5.5. კრედიტორთა რეესტრი

5.5.1. კრედიტორთა რეესტრის არსი

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში კრედიტორთა მოთხოვნების ინდივიდუალურ რეჟიმში დაკმაყოფილება გამოირიცხება და მათი დაკმაყოფილება ხორციელდება კოლექტიურ რეჟიმში. კოლექტიური დაკმაყოფილება, მათ შორის, გულისხმობს მოვალის მიმართ კრედიტორთა მოთხოვნების აღსრულების შეჩერებასაც, როგორც ეს გათვალისწინებულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის V თავით (მორატორიუმი). კრედიტორთა მოთხოვნების ჩვეულებრივი სასარჩელო წესით წარმოება დაიშვება, მხოლოდ

კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, დაჩქარებული წესით.¹⁷⁷ ამდენად, გადახდისუუნარობის პროცესის სწორედ წარმართვისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური წესით ადმინისტრირება.

კრედიტორთა რეესტრში ასახულია კრედიტორის მოთხოვნის ოდენობა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, აგრეთვე, კრედიტორთა ხმის უფლება და, ზოგადად, კრედიტორის მიერ უფლებამოსილების განხორციელება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში¹⁷⁸.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, კრედიტორთა რეესტრს აკისრია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია, კერძოდ:

- **ის არის კრედიტორული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი საფუძველი (სამართლებრივი აქტი)**

გადახდისუუნარობის სამართალში არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობით სარგებლობს მხოლოდ ის კრედიტორი, რომლის მოთხოვნა შეტანილია კრედიტორთა რეესტრში და მხოლოდ იმ შინაარსითა და მოცულობით, რაც რეესტრშია ასახული. თუ რეესტრი შეიცავს უსწორო ან არასრულ ჩანაწერს და არ ასახავს მოთხოვნას სრულად, ჩანაწერის გასწორების გარეშე ასეთი მოთხოვნა არანაირ სამართლებრივ შედეგს გადახდისუუნარობის პროცესში არ წარმოშობს.

- **კრედიტორთა რეესტრში ჩანაწერი კრედიტორს ანიჭებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში სპეციალური დაინტერესებული პირის სტატუსს და შესაბამის საპროცესო უფლებამოსილებებს**

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი არ გამორიცხავს სხვა დაინტერესებული პირებისათვის საპროცესო უფლებამოსილებების მინიჭებას. მაგალითად, სანივთო გამოცალკევების უფლების მქონე პირებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს და მიმართვისას იხელმძღვანელონ კანონის ნორმებით. თუმცა, კანონში გათვალისწინებული მნიშვნელოვანი საპროცესო უფლებამოსილებებით სარგებლობის უფლება აქვთ მხოლოდ კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნაც დაფიქსირებულია კრედიტორთა რეესტრში.

- **კრედიტორთა რეესტრის ჩანაწერი განსაზღვრავს კრედიტორთა წარმომადგენლობით ორგანოებში, კრედიტორთა კრებაზე და კრედიტორთა კომიტეტში მონაწილეობის უფლებას და მის გავლენას მისაღებ გადაწყვეტილებებზე.**

ამ თვალსაზრისით, მთავარი დატვირთვა აქვს მოთხოვნის ოდენობას, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს კრედიტორის ხმის ოდენობას კრედიტორთა კრებაზე¹⁷⁹.

- **კრედიტორთა რეესტრის ჩანაწერი არის ახალი შეთანხმება კრედიტორსა და მოვალეს შორის**

¹⁷⁷ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი.

¹⁷⁸ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი.

¹⁷⁹ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ კრედიტორთა რეესტრის ჩანაწერი ცვლის და ანაცვლებს მანამდე არსებული მოთხოვნის შინაარსს. მაგალითად, თუ კრედიტორთა რეესტრში არსებული ჩანაწერი არ შეესაბამება მოთხოვნის რეალურ ოდენობას და ამ მოთხოვნის მფლობელი კრედიტორი, ამისათვის დადგენილ ვადაში, სათანადო წესით არ განაცხადებს პრეტენზიას ჩანაწერის უსწორობის გასწორების თაობაზე, ის ამით ეთანხმება მოთხოვნის ახალი ოდენობით განსაზღვრას.

- **კრედიტორთა რეესტრი ასახავს მოვალის ქონებრივ მდგომარეობას (აქტივს)**
როგორც უკვე აღინიშნა, მოვალის ქონებრივი მდგომარეობის პირველადი ასახვა და შემდგომი მონიტორინგი არის გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. კრედიტორთა რეესტრი არის სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ასახავს მოვალის მთლიან ვალდებულებებს და რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნას ვალაუჯალობის საკითხის გადაწყვეტისას.

5.5.2. კრედიტორთა რეესტრის შედგენა და წარმოება

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს კრედიტორთა რეესტრის წარმოების წესებს.¹⁸⁰ კრედიტორთა მოთხოვნები შეიტანება კრედიტორთა ერთიან რეესტრში. პირველადი წყარო კრედიტორთა რეესტრის შედგენისთვის არის მოვალის მიერ წარდგენილი კრედიტორთა სია, რომელსაც მოვალე წარადგენს გადახდისუუნარობის განცხადებასთან ერთად.¹⁸¹ ხოლო თუ განმცხადებელი კრედიტორია და მისი განცხადება მოვალის პოზიციის მოსმენის შემდეგ დასაშვებად იქნა ცნობილი, მოვალე ვალდებულია, დასაშვებად ცნობის შემდეგ, კანონით დადგენილი წესით, დანიშნულ მმართველს წარუდგინოს ინფორმაცია კრედიტორთა შესახებ.

კრედიტორთა პირველად რეესტრს ადგენს მმართველი. კრედიტორთა რეესტრის შედგენის პირველად ვადად განისაზღვრება 60 დღე, რომელიც აითვლება გადახდისუუნარობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) განცხადების დასაშვებად ცნობის შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან.

საგულისხმოა, რომ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კრედიტორთა რეესტრში ინფორმაცია შეიტანება მმართველის მიერ და წყაროს წარმოადგენს მოვალის მიერ წარდგენილი ან მმართველის მიერ მოძიებული ინფორმაცია, რეაბილიტაციის გეგმის მომზადების ფარგლებში გამოთხოვილი და შესწავლილი ინფორმაციის საფუძველზე.

მხედველობაშია მისაღები, რომ ეს ნორმა არაფერს ამბობს კრედიტორების მიერ მოთხოვნის თაობაზე განცხადების წარდგენის ვალდებულებაზე. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ შემუშავების ეტაპზე კანონპროექტი ითვალისწინებდა კრედიტორის უფლებას, განჩინების გამოტანიდან 30 დღის ვადაში მმართველისთვის ან რეაბილიტაციის ზედამხედველისთვის მიმართვის გზით დაეფიქსირებინა თავისი მოთხოვნა, რაც კანონის საბოლოო

¹⁸⁰ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე, 53-ე და 54-ე მუხლები.

¹⁸¹ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი „ა“ ქვეპუნქტი, 46-ე მუხლი.

ვერსიაში არ აისახა. ამდენად, მიღებული საბოლოო რედაქციის მიხედვით კრედიტორების მიერ მოთხოვნის დაყენება, მათი რეესტრში ასახვის სავალდებულო წინაპირობას არ წარმოადგენს. ასეთ მიდგომას გარკვეული ლოგიკა გააჩნია. რეესტრის მონაცემების მიხედვით დგინდება მოვალის ვალდებულებების ოდენობა და ამდენად, ეს წარმოადგენს მოვალის ქონებრივი მდგომარეობის დადგენის ცენტრალურ ელემენტს, რის პასუხისმგებლობაც გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს ეკისრება. ამდენად, როგორც ქონებრივი მდგომარეობის ასპექტი, კრედიტორული მოთხოვნის არსებობა/არარსებობა მხოლოდ ცალკეული კრედიტორის ინტერესში არ შედის. ამასთან, ვინაიდან ახალი კანონით გაუქმებულია ე.წ. **დაგვიანებული მოთხოვნის** დაკმაყოფილების სპეციალური წესი, ამრიგად დაკარგა განცხადების წარდგენისთვის ვადის დანესება. ზოგადად, შეიძლება ითქვას, არასადაო მოთხოვნებთან მიმართებაში განცხადების წარდგენა პროცესს ზედმეტად აჭიანურებს და ზედმეტ ბიუროკრატიულ ბარიერს ქმნის.

აღნიშნულის მიუხედავად, რეესტრის შედგენასთან და, უფრო კონკრეტულად, კრედიტორის მოთხოვნის რეესტრში შეყვანასთან დაკავშირებით კანონის რედაქცია ბუნდოვანია და გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ გაუგებარია, რა ბედი უნდა ენიოს კრედიტორთა რეესტრში შეტანილ ისეთ მოთხოვნებს, რომელზეც თავად კრედიტორი ინტერესს არ გამოხატავს. აქ, გარკვეული თვალსაზრისით, შესაძლოა საკითხი დარეგულირდეს სადაო მოთხოვნების განხილვის წესებით, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. თუმცა, ეს ბუნდოვანება მხოლოდ სადაო მოთხოვნების განხილვის პროცედურით ვერ აღმოიფხვრება. უფრო მეტიც, დოქტრინული თვალსაზრისით წინააღმდეგობრივია პირისთვის საქმის წარმოების ფარგლებში ისეთი რაღაცის მიკუთვნება, რომელზეც შესაბამისი საპროცესო უფლება არ გამოუყენებია და პრეტენზიას არ აცხადებს. ამ ბუნდოვანებას აძლიერებს ის ფაქტი, რომ კანონში ვხვდებით ისეთ დათქმებასაც, რომლებიც კრედიტორის მიერ მოთხოვნის თაობაზე განცხადების წარდგენას გულისხმობს. ასე მაგალითად, კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ კრედიტორთა კრებაზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ კრედიტორს, რომელიც კანონით დადგენილ ვადაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარადგენს მოვალის მიმართ თავის მოთხოვნებს. მოცემულ სიტუაციაში, სასურველია, ბუნდოვანება აღმოიფხვრას შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების გზით.

თვალსაზრისით, განვიხილოთ მოდელი, რომელიც კანონის თავდაპირველი რედაქციით იყო შემოთავაზებული. კრედიტორს უფლება ენიჭებოდა, მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან 30 დღის ვადაში, მიემართა საქმეზე დანიშნული პრაქტიკოსისთვის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველი, ან რეაბილიტაციის ზედამხედველი) და წარედგინა მისთვის კრედიტორული მოთხოვნა, თუ ის განსხვავდება მოთხოვნის მოვალის მიერ აღიარებული ოდენობისგან და შესაბამისად, კრედიტორთა რეესტრში ასახული მდგომარეობისგან. იმ შემთხვევაში თუ, ამა თუ იმ მიზეზით, კრედიტორი არ იღებდა შეტყობინებას გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე და მოგვიანებით შეიტყობდა მოვალის მიმართ დაწყებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მას უფლება ქონდა შეტყობიდან 30 დღეში, მაგრამ არაუგვიანეს გაკოტრების ან რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში, მიემართა და მოეთხოვა მოთხოვნის კრედიტორთა რეესტრში შეტანა ან შეტა-

ნილი მოთხოვნის დაზუსტება. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის წარდგენა ან გაზრდა აღარ დაიშვებოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კრედიტორთა მოთხოვნების საბოლოო შემონიშნებას ახორციელებს მმართველი გადახდისუნარიობის განცხადების დასაშვებად ცნობიდან 60 დღის განმავლობაში. ამ მიზნით, მმართველი სწავლობს მის ხელთ არსებულ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას, საჭიროების შემთხვევაში აზუსტებს დაუზუსტებელ მოთხოვნებს და ისე შეაქვს რეესტრში. ყველა მოთხოვნა აისახება ეროვნულ ვალუტაში. თუ მოთხოვნა წარდგენილია უცხოურ ვალუტაში, მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ ადგენს, რეესტრის წარმოების მიზნებისათვის მოთხოვნის კრედიტორთა რეესტრში ასახვა უნდა მოხდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეესტრის დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით.

პირველად რეესტრში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

- **კრედიტორული მოთხოვნები, რომლებსაც მოვალე და კრედიტორი სადავოდ არ ხდიან და კრედიტორს უნდა მიენიჭოს ხმის უფლება;**
- **კრედიტორული მოთხოვნები, რომელსაც მოვალე და კრედიტორი სადავოდ არ ხდიან, თუმცა, მმართველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოთხოვნა საჭიროებს დამატებით შესწავლას;**
- **კრედიტორული მოთხოვნები, რომელსაც მოვალე სადავოდ ხდის, რის გამოც კრედიტორს არ უნდა მიენიჭოს ხმის უფლება;**
- **კრედიტორული მოთხოვნები, რომლებსაც მოვალე სადავოდ ხდის, მაგრამ მმართველს მიაჩნია, რომ კრედიტორს უნდა მიენიჭოს ხმის უფლება.**

კრედიტორთა რეესტრში აისახება ის მოთხოვნები, რომელსაც მმართველი დასაბუთებულად მიიჩნევს. მოთხოვნები, რომლებზეც მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება, კრედიტორთა რეესტრში აისახება ავტომატურად.¹⁸² მმართველს არ აქვს უფლება აღიაროს პირგასამტეხლო და ვადამოუსვლელი პროცენტი თუ მათი ჯამური ოდენობა ძირითადი თანხის დავალიანების 10%-ს სცილდება. ასეთ მოთხოვნებთან დაკავშირებით კანონი ითვალისწინებს სასარჩელო წარმოების შესაძლებლობას.¹⁸³

კრედიტორთა რეესტრში შესატანი სავალდებულო მონაცემების ნუსხას ადგენს კანონის 53-ე მუხლი. კერძოდ, მმართველის მიერ მომზადდება და კრედიტორთა რეესტრში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია და მონაცემები:

- **კრედიტორის (კრედიტორების) სახელი, გვარი და მისამართი, ხოლო თუ კრედიტორი იურიდიული პირია – მისი სახელწოდება, იურიდიული მისამართი და საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**
- **კრედიტორის ელექტრონული ფოსტის მისამართი;**
- **რეესტრში შეტანის დღისათვის კრედიტორის მოთხოვნის მოცულობა მოთხოვნის ძირითადი თანხის, პროცენტისა და პირგასამტეხლოს ცალ-ცალკე მითითებით;**
- **ვალის მოცულობა;**

¹⁸² „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁸³ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

- **უზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში – მითითება იმის თაობაზე, თუ მოთხოვნის რა ნაწილი არის უზრუნველყოფილი. შესაბამისად, კრედიტორის აღიარება უნდა მოხდეს ცალ-ცალკე, უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის ნაწილში.**

შესაძლოა ერთი და იგივე კრედიტორი სხვადასხვა ჯგუფში იქნას შეყვანილი იმის მიხედვით, თუ რა სახის მოთხოვნები აქვს მას. შესაბამისად, კრედიტორის სტატუსს და მასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებებს განსაზღვრავს არა კრედიტორის პიროვნება, არამედ კრედიტორის მოთხოვნის არსი.

მაგალითი N14 – თუ სახელფასო დავალიანება კონკრეტული დასაქმებულის მიმართ აღემატება 3 თვის ხელფასს, 3 თვის შესაბამისი, არაუმეტეს 1000 ლარის ხელფასის მოთხოვნა აისახება პრეფერენციული კრედიტორის რიგში, ხოლო დანარჩენი მოთხოვნა აისახება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში.

მაგალითი N15 – თუ უზრუნველყოფის საგანი არ არის საკმარისი კრედიტორის მოთხოვნის ოდენობის სრულად დაკმაყოფილებისათვის, ასეთ შემთხვევაში მმართველი დაადგენს უზრუნველყოფის საგანის ღირებულებას და შესაბამის ოდენობას აღრიცხავს უზრუნველყოფილი მოთხოვნის სახით, ხოლო მოთხოვნის დანარჩენ ნაწილს შეიტანს არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის რიგში.

კანონი ადგენს, რომ კრედიტორთა რეესტრი არის ცვალებადი და მასში სამომავლო ცვლილებების შეტანა უნდა მოხდეს კანონის 52-54-ე მუხლების შესაბამისად. მათ შორის, შესაძლებელია, შინაარსობრივი შედავების გარეშე, ტექნიკური ხასიათის უზუსტობების გასწორებაც. ამ მიზნით, კრედიტორს შეუძლია განცხადებით მიმართოს მმართველს, რომელიც უზუსტობასთან დაკავშირებით მიიღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნის გონივრულობისა და დასაბუთებულობის გათვალისწინებით.

კრედიტორთა რეესტრში საბოლოოდ ასახული კრედიტორული მოთხოვნა საბოლოოა და თავისი სამართლებრივი სტატუსით უტოლდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მოთხოვნას. შესაბამისად, მოთხოვნის ოდენობის გადახედა, გაზრდა ან შემცირება დაიშვება მხოლოდ გადახდისუუნარობის კანონით დადგენილი წესით, მაშინაც კი, თუ მოთხოვნის საკითხი არ ყოფილა შედავებული კრედიტორის მიერ და გადაწყვეტილი სასამართლო განჩინებით. კრედიტორთა მოთხოვნების სწორად განსაზღვრის მიზნით მმართველის როლი განსაკუთრებულია.

5.5.3. სადავო კრედიტორულ მოთხოვნებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა

მმართველის მიერ კრედიტორთა საბოლოო რეესტრის დადგენის შემდეგ კრედიტორთა რეესტრი ქვეყნდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში. კრედიტორებს, რომელთაც გააჩნიათ პრეტენზია მმართველის მიერ შედგენილ კრედიტორთა რეესტრის ჩანაწერთან მიმართებაში, უფლება აქვთ რეესტრის გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივრონ ჩანაწერი. პირველ რიგში, ეს ეხება თავად კრედიტორის მოთხოვნას, რომელიც კრედიტორის შეხედულებით, არასწორად იქნა ასახული რეესტრში. მეორე მხრივ,

ვინაიდან კრედიტორებს გააჩნიათ მოვალის ვალდებულების სათანადო წესით ასახვის ლეგიტიმური ინტერესი, ნებისმიერი კრედიტორი შეგვიძლია მივიჩნიოთ საჩივრის შეტანაზე დაინტერესებულ პირად. მაგალითად, თუ რომელიმე კრედიტორი მიიჩნევს, რომ სხვა კრედიტორის მოთხოვნა არასწორად (გაზრდილად) არის ასახული რეესტრში და ამით ქონების განაწილებისას მცირდება მისი საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილების ოდენობა, სრულიად ლოგიკურია, ასეთ კრედიტორს მიეცეს შესაძლებლობა გამოთქვას პრეტენზია ჩანაწერის თაობაზე და დადგენილი წესით მოითხოვოს ჩანაწერის შესწორება. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ნორმა, ერთმნიშვნელოვნად, ყველა კრედიტორის გასაჩივრების უფლებაზე მიუთითებს¹⁸⁴.

მართალია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის სათაურში საუბარია კრედიტორთა რეესტრის დამტკიცებაზე, თუმცა თავად მუხლის ტექსტში დამტკიცების პროცედურაზე ჩანაწერს არ ვხვდებით. ლოგიკურად უნდა დავასკვნათ, რომ კრედიტორთა რეესტრი სამართლებრივ ძალას იძენს ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებით. ამდენად, სასამართლო კრედიტორთა რეესტრის დამტკიცების პროცესში არ მონაწილეობს და კრედიტორთა რეესტრის ძალაში შესვლას საფუძვლად არ უდევს განმხილველი სასამართლოს განჩინება. ეს გარემოება შესაბამის სამართლებრივ შედეგს იწვევს, რომელიც ამავე მუხლის სხვა ჩანაწერებთან ერთად განაპირობებს ბუნდოვანებას გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით. კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, კრედიტორთა რეესტრის პირველადი ვერსია (რომელიც შეიძლება გაასაჩივრონ კრედიტორებმა) ძალაში შედის სასამართლოს განჩინებით დამტკიცების გარეშე. კანონი, ასევე, უთითებს, რომ რეესტრის ჩანაწერი უნდა გასაჩივრდეს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დაჩქარებული სასარჩელო წესით. საქმე ის გახლავთ, რომ ხსენებული ნორმის მიხედვით, საკითხი განიხილება სასარჩელო წარმოების წესით და მოიცავს საქმის განხილვას ყველა, ანუ სამივე ინსტანციაში. შესაბამისად, საჩივარი ვერ იქნება განხილული კერძო საჩივრის განხილვის წესების მიხედვით. ერთია, რომ ცალსახა მითითება ამის თაობაზე და მეორე, თავად ის ფაქტი, რომ კრედიტორთა რეესტრი განჩინებით არ მტკიცდება, გამორიცხავს განჩინების გარეშე კერძო საჩივრის შეტანას. ამავდროულად, ნორმა ადგენს, რომ საჩივრის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება განჩინების ფორმით და განხილვის ვადა შეადგენს 10 დღეს.

როგორც ჩანს, დაშვებულ იქნა რედაქციული სახის უზუსტობა და აღნიშნული საჭიროებს შესაბამის განმარტებას. მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების სულისკვეთების გათვალისწინებით, იმის გამო, რომ ახალი კანონის მიღების ერთ-ერთ ცენტრალურ მიზანს პროცედურების გამარტივება და დაჩქარება წარმოადგენდა, არ უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელს სურდა მოკლე და ორეტაპიანი კერძო საჩივრის განხილვის პროცედურა სასარჩელო წარმოებით ჩაენაცვლებინა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეიტანება არა სარჩელი, არამედ საჩივარი და საკითხიც უნდა გადაწყდეს განჩინებით, რომელიც შემდეგ შესაძლებელია მხოლოდ სააპელაციო დონეზე გასაჩივრდეს. იმედია ხსენებული ბუნდოვანება სწორად იქნება დარეგულირებული სასამართლო პრაქტიკაში და ეს არ გამოიწვევს სადავო მოთხოვნების საკითხის დაუსაბუთებელ გაჭიანურებას.

¹⁸⁴ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტი.

5.6. კრედიტორთა მონაწილეობა გადახდისუუნარობის პროცესში

5.6.1. შესავალი

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გონივრული და ეფექტიანი წარმართვის შედეგად უნდა მოხდეს კრედიტორების სამართლიანი ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილება. პირველ რიგში, ეს ეხება გადახდისუუნარო მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რაც წარმოადგენს საქმის წარმოების საბოლოო და ძირითად მიზანს. ამავდროულად, კრედიტორები მიზნის მიღწევის პროცესში მხოლოდ პასიური მონაწილეები არ არიან. ისინი აქტიურად ერთვებიან და აკონტროლებენ მას. გარდა უშუალოდ პროცესში ჩართულობისა, იმის გათვალისწინებით, რომ გადახდისუუნარობის საქმის მიმდინარეობისას მოვალე რჩება მოქმედი ბიზნესსუბიექტი და მართალია შეზღუდულად, მაგრამ მაინც აგრძელებს ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობას, კრედიტორებს გააჩნიათ გადახდისუუნარო მოვალის სამეურნეო საქმიანობის მიმართ დაინტერესება. ეს არის ის ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორები, რაც მათ სხვა, ჩვეულებრივი კრედიტორებისაგან განასხვავებს და რაც მათი უფლებრივი მდგომარეობის კანონისმიერ მოწესრიგებაშიც აისახება.

კრედიტორების უფლება-მოვალეობების განსაზღვრის კუთხით მიდგომები არაერთგვაროვანია. სხვადასხვა იურისდიქციაში კრედიტორთა როლის სხვადასხვაგვარ მოწესრიგებას ვხვდებით. რიგ შემთხვევებში, კრედიტორები მხოლოდ საქმის წარმოების შედეგებით სარგებლობენ და თავად პროცესის მიმდინარეობას, დიდწილად, სასამართლო და კანონისმიერი უფლებამოსილებებით აღჭურვილი მმართველი წარმართავს. სხვა შემთხვევებში კრედიტორები აღჭურვილნი არიან მნიშვნელოვანი საპროცესო და ზედამხედველობითი უფლებამოსილებებით. მათ შორისაა ისეთი წარმომადგენლობითი მექანიზმების არსებობა, როგორცაა კრედიტორთა კრება და კრედიტორთა კომიტეტი.¹⁸⁵

2020 წლის რეფორმისა და „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მიღებით, კანონმდებელმა შეგნებულად გაზარდა კრედიტორთა გავლენა პროცესზე¹⁸⁶. კრედიტორებისთვის კანონით მინიჭებული უფლებები სხვადასხვა შინაარსის მატარებელია. არაერთხელ აღინიშნა, და აქაც განვმეორდებით, რომ უწინარესად კრედიტორს აქვს უფლება, მიიღოს მოთხოვნის დაკმაყოფილება გადახდისუუნარობის მასიდან. ამავდროულად, ახალმა კანონმა შემოიღო ნორმათა მთელი წყება, რომელიც კრედიტორებს შესაძლებლობას აძლევს, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ კრიზისის დაძლევის მექანიზმების შერჩევაზე და, შემდგომშიც, ზედამხედველობა გაუწიონ შერჩეული მექანიზმების განხორციელების პროცესს. ასევე, აღსანიშნავია კრედიტორების საქმის წარმოების პროცესში მონაწილეობის ცენტრალური ინსტრუმენტი – გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი, რომელიც წარმოადგენს კრედიტორთა კოლექტიური ინტერესის მატარებელ მთავარ სუბიექტს. ლოგიკურია, რომ კრედიტორებს ენიჭებათ შესაბამისი საპროცესო და მატერიალურსამართლებრივი უფლებები, რათა ზეგავლენა მოახდინონ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის საქმიანობაზე. როგორც სასამართლოს ზედამხედველობით მიმდინარე პრო-

¹⁸⁵ UNCITRAL Legislative Guide, Part 3, Chapter C1, p. 191. პ. შნიტგერი, რ. მიგრიაული, „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკორტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011, გვ. 92.

¹⁸⁶ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 4.

ცესის მონაწილეებს, კრედიტორებს ენიჭებათ მთელი რიგი საპროცესო-სამართლებრივი უფლებებიც. ამრიგად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, კრედიტორების უფლებამოსილებათა წრეს განეკუთვნა უფლება, დაეწინაუროს საქმის წარმოებას, წარმოადგინოს განცხადებები, უფლება მოსმენილ იქნას, ასევე, მიიღოს მონაწილეობა და ხმა მისცეს საქმის წარმოებისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, მჭიდროდ ითანამშრომლოს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთან, გააკონტროლოს მისი საქმიანობა და სხვა¹⁸⁷. აღსანიშნავია, აგრეთვე, კრედიტორების მონაწილეობა საქმის წარმოების რეჟიმის შერჩევის, რეაბილიტაციის გეგმის მომზადებისა და დამტკიცების, აგრეთვე, მოვალის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას, იქნება ეს პრაქტიკოსის, კრედიტორთა კრების, თუ კრედიტორთა კომიტეტების მეშვეობით.

5.6.2. საპროცესო მონაწილეობა

საპროცესო უფლებამოსილებებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობის არის კრედიტორის უფლება გადახდისუუნარობის განცხადებით მიმართოს სასამართლოს და წამოიწიოს მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. ამ კუთხით, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა კრედიტორების მიერ განცხადების წარდგენის წინაპირობების ჩამონათვალმა. გაუქმდა 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის ხისტი და პრაქტიკაში მოუქნელი წინაპირობათა ჩამონათვალი, რომელიც ხშირად დაუსაბუთებლად ართულებდა განცხადების წარდგენას. ახალი კანონით, კრედიტორის მიერ განცხადების წარდგენის საკითხი წყდება ორი ძირითადი კრიტერიუმის დაკმაყოფილებით: **1. კრედიტორმა სასამართლოსთვის სარწმუნო უნდა გახადოს, რომ მოვალე გადახდისუუნაროა და 2. მან უნდა დაადასტუროს, რომ აქვს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კოლექტიური მექანიზმის იურიდიული ინტერესი (ნაცვლად ინდივიდუალური აღსრულებისა)**.¹⁸⁸ განცხადების შეტანის გაადვილების მიზნით, კანონს, ასევე, დაემატა პრეზუმფციები, რომელიც ემსახურება გადახდისუუნარობის წინაპირობის დადგენის გამარტივების მიზანს, რაც მოვალის გარდა, უწინარესად, კრედიტორებს უადვილებს გადახდისუუნარობის გარემოების მტკიცებას.^{189, 190}

აღსანიშნავია, აგრეთვე, სასამართლო განჩინებების გასაჩივრების უფლება, რომელიც კრედიტორს ენიჭება, როგორც საქმის წარმოების მხარეს და დაინტერესებულ პირს.¹⁹¹ ამას გარდა, კანონით, კრედიტორებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ კრედიტორთა კრების გადაწყვეტილებები¹⁹² თუ ისინი არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. ასევე, შეუძლიათ გაასაჩივრონ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის საქმიანობა, ქმედებები და გადაწყვეტილებები¹⁹³.

¹⁸⁷ UNCITRAL Legislative Guide, Part 3, Chapter C1, p. 190.

¹⁸⁸ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-46 მუხლები.

¹⁸⁹ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

¹⁹⁰ გადახდისუუნარობის განცხადების წარდგენასთან დაკავშირებით იხ. თავი 3.3.

¹⁹¹ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁹² „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁹³ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი, 73-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 78-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 89-ე მუხლი.

ბუნებრივია, მათ შეუძლიათ გაასაჩივრონ კრედიტორთა რეესტრის ჩანაწერები, როგორც საკუთარი, აგრეთვე, სხვა კრედიტორების მოთხოვნების სისწორის დადგენის მიზნით¹⁹⁴. საგულისხმოა, რომ 2007 წლის გადახდისუნარობის კანონისგან განსხვავებით, ცალკეულ კრედიტორს აღარ აქვს უფლება განახორციელოს შეცილება (მასის საზიანო ქმედების გასაჩივრება). ეს უფლება მთლიანად, ცენტრალიზებულად გადახდისუნარობის პრაქტიკოსის მეშვეობით უნდა განხორციელდეს¹⁹⁵.

5.6.3. კრედიტორთა კრება

კრედიტორთა კრება არის გადახდისუნარობის პროცესში კრედიტორთა მონაწილეობის მთავარი ინსტრუმენტი, ვინაიდან ის წარმოადგენს კრედიტორთა კოლექტიური ინტერესის დემოკრატიული წარმომადგენლობის ყველაზე ქმედით და გამჭვირვალე პლატფორმას.¹⁹⁶ კრედიტორთა კრების მეშვეობით უფლებამოსილებების განხორციელება 2020 წლის „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონშიც შესაბამისად არის ასახული.

კანონის თანახმად, კრედიტორთა კრების კომპეტენციას მიეკუთვნება შემდეგი საკითხები:

- **გადაწყვეტილების მიღება რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებით**
- **რეგულირებული შეთანხმების დამტკიცება**
- **ზედამხედველის დანიშვნა დასაშვებობის განჩინების გამოტანამდე**
- **მმართველობაში არსებული მოვალის ჩანაცვლება მმართველით**
- **ელექტრონული სისტემის მეშვეობით დანიშნული მმართველის გადარჩევა**
- **მმართველის მიერ განეული ხარჯების დამტკიცება**
- **მმართველის ან მართვაში მყოფი მოვალის მიერ გარიგებების დადებაზე თანხმობის გაცემა, თუ ეს სცდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს**
- **მოვალესთან დაკავშირებულ პირებზე ქონების განკარგვის თაობაზე თანხმობის გაცემა (იმ შემთხვევაში თუ კომიტეტი არ არის შექმნილი)**
- **დისკრეციული საკითხები**

კანონის მე-13 მუხლი აწესრიგებს კრედიტორთა კრების მოწვევის, ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების ზოგად საკითხებს. ცალკეულ შემთხვევებში, გადაწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია სპეციალური წესები, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება რეგულირებული შეთანხმების დამტკიცებას, რეაბილიტაციის გეგმის მოწონებას და ა.შ.

კანონის თანახმად, კრედიტორთა კრების მოწვევაზე უფლებამოსილი პირები არიან:

- **კრედიტორი, რომელიც ფლობს კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის არანაკლებ 10 პროცენტს**
- **მმართველი**
- **რეაბილიტაციის ზედამხედველი**
- **მოვალე**

¹⁹⁴ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁹⁵ იხ. თავი 10.

¹⁹⁶ UNCITRAL Legislative Guide, Part 3, Chapter C4, p. 195.

მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფის¹⁹⁷ და ადმინისტრირების გაადვილების მიზნით, კრებაზე მოწვევა ხორციელდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. შეტყობინება უნდა გამოქვეყნდეს კრების ჩატარებამდე 10 დღით ადრე. კრედიტორთა კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ნებისმიერ პირს შეუძლია აღნიშნული კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღისა მოითხოვოს დღის წესრიგში საკითხის დამატება.

ნებისმიერი უზრუნველყოფილი კრედიტორი ან არაუზრუნველყოფილი კრედიტორი, რომელიც კანონით დადგენილ ვადაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარადგენს მოვალის მიმართ თავის მოთხოვნებს, უფლებამოსილია დაესწროს კრედიტორთა კრებას. ამასთან დაკავშირებით, როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს გარკვეული რედაქციული უზუსტობა, ვინაიდან თავად რეესტრის შედგენის წესები კრედიტორების მიერ განცხადების წარდგენის ვალდებულებას არ ითვალისწინებს.¹⁹⁸

თუ კრედიტორთა კრება არ შედგა ან ის გადაწყვეტილება უუნაროა ან მან გადაწყვეტილება ვერ მიიღო, 7 დღის ვადაში, იმავე დღის წესრიგით მოიწვევა კრედიტორთა განმეორებითი კრება. განმეორებითი კრება არ საჭიროებს კვორუმს. კრების თავიდან მოწვევა შესაძლებელია ერთი და იგივე დღის წესრიგითაც.

კანონში მითითებულია, რომ ერთი კრების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 სა-
მუშაო დღეს. ამ ჩანაწერის მიზანი ცოტა ბუნდოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ 2020 წლის „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი **კრედიტორთა პირველი კრების** ცნებას აღარ იცნობს და არც იმ საკითხთა მრავალრიცხოვან ჩამონათვალს, რომელიც 2020 წლამდე არსებული კანონმდებლობით პირველ კრებაზე წყდებოდა. ამდენად, კრების ხანგრძლივობის შემლუღვას, დიდი ალბათობით, პრაქტიკაში რაიმე დატვირთვა არ ექნება.

კრედიტორთა კრება უფლებამოსილია (გადაწყვეტილება უნარიანია) თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე მეტის მფლობელი კრედიტორი. კრედიტორთა ხმების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით: **1 ლარის მოთხოვნა = 1 ხმა**. ზოგადი წესის მიხედვით, კრედიტორთა კრება გადაწყვეტილებას იღებს მასზე დამსწრე და წარმოდგენილ კრედიტორთა ხმების უბრალო უმრავლესობით. კანონი იქვე უთითებს გადაწყვეტილების მიღების განსხვავებულ წესებზე (თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული). კერძოდ:

- რეაბილიტაციისა და გაკოტრების მმართველის შეცვლა საჭიროებს 2/3 უმრავლესობის თანხმობას;
- უზრუნველყოფილ კრედიტორს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისას ხმის უფლება ებღუდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რეაბილიტაციის გეგმის პროექტი მოვალესა და უზრუნველყოფილ კრედიტორს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების ცვლილებას ითვალისწინებს;
- რეგულირებული შეთანხმების დამტკიცებისათვის საჭიროა მოვალესთან არადაკავშირებული კრედიტორების 75%-ის თანხმობა.

¹⁹⁷ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 9.

¹⁹⁸ იხ. თავი 5.5.

მაქსიმალური მოქნილობისა და პროცესის ეკონომიის მიზნით, კანონი, ასევე, ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების ალტერნატიულ მექანიზმებს:

- **გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება 50%-ზე მეტის მფლობელი კრედიტორ(ებ)ის თანხმობის ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოქვეყნების შემთხვევაში**
- **კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების ტოლფასია კრედიტორთა მიერ ალტერნატიული პროცედურის გამოყენებით, ამ კანონისა და რეაბილიტაციის გეგმის პროექტში მითითებული თავისებურებების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება.**

კიდევ ერთი კონცეპტუალური ბუნდოვანება, რომელსაც 2020 წლის კანონში ვხვდებით, ეხება კრედიტორთა კრების ორგანიზებასა და ხელმძღვანელობას. კანონში ვხვდებით ჩანაწერს, რომლის მიხედვით, კრედიტორთა კრებას ამზადებს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს სასამართლო. თუმცა ამავე კანონში კრების ხელმძღვანელობის ფუნქცია აკისრია გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს (მმართველს ან ზედამხედველს). უფლებამოსილებათა ამგვარი განაწილება ლოგიკას მოკლებულია და აშკარაა, რომ აქ რედაქციულ შეცდომასთან გვაქვს საქმე. სასამართლოსთვის ამ როლის დაკისრება წარმოადგენს ძველი კანონის ნაშთს და არ ერგება ახალი კანონის სულისკვეთებას. შინაარსობრივად, აბსურდულად გამოიყურება სასამართლოს მიერ ორგანიზებული კრება, რომელსაც კერძო პრაქტიკოსი ხელმძღვანელობს. კანონის მიღების მიზნების, კანონის სისტემური და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე ეს წინააღმდეგობრივი ჩანაწერი უნდა გავიგოთ შემდეგნაირად – სასამართლო სისტემას მართლაც აკისრია ორგანიზაციული ამოცანები და ეს, განსაკუთრებით, სასამართლოს ელექტრონული სისტემის გამოყენებასა და საქმის მასალების ადმინისტრირებას ეხება, თუმცა ეს უფრო ტექნიკური ხასიათის ფუნქციებია, ხოლო უშუალო ორგანიზება, მონვევების დაგზავნა, გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება და სხვა მსგავსი საკითხები, ლოგიკურია პრაქტიკოსის დავალებად დარჩეს და სასამართლო, ამ სახის ორგანიზაციული ფუნქციების შესრულებით, არ გადაიტვიტოს.

5.6.4. კრედიტორთა კომიტეტი

კრედიტორთა კრების გარდა, საქმის წარმოებაზე ზეგავლენის მოხდენის დამხმარე საშუალებად უნდა განვიხილოთ კრედიტორთა კომიტეტი. კრედიტორთა კომიტეტი შედარებით უფრო მცირე მასშტაბის წარმომადგენლობითი ორგანოა, ვიდრე კრედიტორთა კრება, რომელზეც ყველა კრედიტორი მონაწილეობს. ლოგიკურია თუ ვიმსჯელებთ, რომ პრაქტიკოსთან უშუალო თანამშრომლობისთვის კრედიტორთა კრება არ გამოდგება. არადა ხშირად კრედიტორთა უშუალო ჩართულობა, მაგალითად, რეაბილიტაციის გეგმის მომზადებისას, მნიშვნელოვან სანდოობას სძენს კრედიტორთა კრების გადასაწყვეტად წარდგენილ საკითხებს. უფრო მეტიც, კრედიტორების უმრავლესობა, როგორც წესი, აგრეთვე, ბიზნესის წრეების წარმომადგენლები არიან და ძალიან სასარგებლო რჩევების მიცემა შეუძლიათ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსისთვის. უნდა გავითვალისწინოთ, ასევე, რომ მოვალის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და დოკუმენტები შესაძლოა კომერციულად სენსიტიური იყოს და ამდენად, მისი კრედიტორთა კრების ფართო წრისათვის გამჟღავნება გაუმართლებელია, მით უფრო, რომ კრედიტორთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა მოვა-

ლის კონკურენტებიც იყვნენ. ამ კუთხითაც, კრედიტორთა კომიტეტი კარგი პლატფორმაა, რათა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილ იქნას კრედიტორთა ინფორმაციაზე წვდომა და მეორე მხრივ არ დაირღვეს მოვალის ლეგიტიმური ინტერესები. ამდენად, კრედიტორთა კომიტეტის შექმნა მიზნად ისახავს კრედიტორთა პროცესში ჩართულობის გაძლიერებასა და გაადვილებას.¹⁹⁹

კრედიტორთა კომიტეტის მსგავსი არაფორმალური და არარეგლამენტირებული ინტერესთა ჯგუფები ისედაც, ბუნებრივად იქმნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში. ეს სრულიად ბუნებრივი პროცესია იმის გათვალისწინებით, რომ ერთი ჯგუფის, რიგის, აგრეთვე, ბიზნესსექტორის კრედიტორებს ერთგვაროვანი ინტერესები და მოლოდინები აქვთ ხოლმე. კანონი ამგვარი არაფორმალური ჯგუფების არსებობას არ კრძალავს. ამავდროულად, კანონი შესაძლებლობას იძლევა პომოგენური ინტერესების წარმომადგენლობა გადატანილ იქნას აღიარებულ და რეგულირებულ სუბიექტში – კრედიტორთა კომიტეტში.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მიხედვით, კრედიტორთა კომიტეტის შექმნის საკითხი გათვალისწინებულია მხოლოდ რეაბილიტაციის რეჟიმში, კერძოდ, კანონის 76-ე და 77-ე მუხლებში. გაკოტრების რეჟიმში კრედიტორთა კომიტეტის შექმნისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების მარეგულირებელ წესებს არ ვხვდებით, მათ შორის, რეაბილიტაციის რეჟიმისაგან განსხვავებით, არ ვხვდებით ისეთ გადაწყვეტილებებს თუ პროცესებს, სადაც კომიტეტის ჩართულობაზე არის მითითება. შესაბამისად, აღნიშნული უნდა შევავსოთ, როგორც კანონმდებლის შეგნებული გადაწყვეტილება, რომ კომიტეტების საქმიანობა მხოლოდ რეაბილიტაციის პროცესში იქნას გამოყენებული.

კრედიტორთა კომიტეტის ფორმირება ხდება ნებაყოფლობით (დისკრეციულად) ან სავალდებულო წესით. კრედიტორთა კომიტეტის არჩევა სავალდებულოა თუ მოვალეს ჰყავს არანაკლებ 50 კრედიტორი და მოვალის ბოლო სამეურნეო წლის მაჩვენებლები შემდეგი კრიტერიუმიდან ერთ-ერთს მაინც აკმაყოფილებს: 1. მისი აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს აღემატება ან 2. მისი წლიური შემოსავალი 20 მილიონ ლარს აღემატება.

კრედიტორთა კომიტეტის უფლება-მოვალეობებს განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

- მმართველის საქმიანობის კონტროლი
- მმართველის ცვლილებაზე სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენის უფლებამოსილება
- მოვალესთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომა
- რეაბილიტაციის გეგმის მომზადებაში მონაწილეობა
- რეკომენდაციების მომზადება კრების მიერ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით
- საქმიანობის ანგარიშის წარმოება
- კრედიტორთა ერთობლიობასთან თანამშრომლობა
- სპეციალური უფლებამოსილებს ფარგლებში მოვალესთან დაკავშირებულ პირებზე მოვალის აქტივების განკარგვასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემა

კრედიტორთა კომიტეტი შედგება 3 წევრისგან – 1 წევრს ირჩევენ უზრუნველყოფილი კრედიტორები, 2 წევრს ირჩევენ არაუზრუნველყოფილი კრედიტორები. კრედიტორთა კომი-

¹⁹⁹ UNCITRAL Legislative Guide, Part 3, Chapter C5, p. 197.

ტეტის წევრების მიმართ არსებობს, კანონისმიერი, პიროვნული და პროფესიული თავსებადობის წინაპირობები – კეთილსინდისიერება, გულისხმიერება, შესაბამისი უნარ-ჩვევების ქონა, კომპეტენტურობა, ეფექტიანობა, მიუკერძოებლობა და ინტერესთა კონფლიქტისგან თავისუფლება. ასევე, გათვალისწინებულია სპეციალური აკრძალვები კომიტეტის კანდიდატურასთან დაკავშირებით. კერძოდ, კომიტეტის წევრი არ შეიძლება იყოს მოვალის წილის (არანაკლებ 25 პროცენტის) ან შესაბამისი აქციების მესაკუთრეები, აგრეთვე, წილის მესაკუთრეები ან აქციონერები, რომლებიც მოვალის მართვაში მონაწილეობენ ან შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მის მართვაზე, აგრეთვე, მოვალის მართვასთან ან/და მოვალის წილის არანაკლებ 25 პროცენტის ან შესაბამისი აქციების მესაკუთრეებთან ან მოვალესთან დაკავშირებული პირები და კრედიტორები, რომლებიც იმავდროულად მოვალის კონკურენტები არიან, და მათთან დაკავშირებული პირები.

კანონით არის მოწესრიგებული კრედიტორთა კომიტეტის წევრთა ანაზღაურების საკითხიც, რაც, ასევე, 2020 წლის კანონის სიახლეს წარმოადგენს. კერძოდ, კომიტეტის წევრების ანაზღაურება ხდება გადახდისუუნარობის მასიდან. მათი ანაზღაურება მიეკუთვნება საპროცესო ხარჯებს, ისევე, როგორც სასამართლო ხარჯი და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ანაზღაურება. ხარჯების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, რომელიც ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობა²⁰⁰.

²⁰⁰ კომიტეტის წევრის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს გადახდისუუნარობის (რეაბილიტაციის/გაკოტრების) მმართველის ანაზღაურების 20%-ს.

6. გადახდისუნარიობის პრაქტიკოსი (უფლება-მოვალეობათა კომპირაცია)

ქეთევან მესხიშვილი

6.1. ზოგადი დებულებები

„გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის კანონის შესაბამისად, გადახდისუნარიობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინებით ინიშნება მეურვე, რომელიც „არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელსაც სასამართლო, გამოტანიდან არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა, ელექტრონული სისტემის მეშვეობით უგზავნის განჩინებას გადახდისუნარიობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე და აცნობებს მეურვედ მისი დანიშვნის შესახებ“.²⁰¹

მეურვე მის ფუნქციებს (სამეურვეო ქონების მოვლა-პატრონობა, მოვალის გადახდისუნარიობის შესახებ მოხსენება) ახორციელებს ვიდრე მომრიგებელი საბჭო არ მიიღებს გადაწყვეტილებას გაკოტრების ან გადახდისუნარიობის საქმის შეწყვეტის შესახებ. მეურვეს, ასევე, უწყდება უფლებამოსილება რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის შესახებ კრედიტორთა გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ დამტკიცებისთანავე.

მეურვის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, იმის მიხედვით რა გადაწყვეტილება იქნა მიღებული, შემდგომ საქმიანობას ახორციელებს რეაბილიტაციის ან გაკოტრების მმართველი.

აღსანიშნავია, რომ „გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონი არ ადგენს კონკრეტულად განვირე კომპეტენციებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველი. კანონი განსაზღვრავს მხოლოდ ზოგად მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველი. კერძოდ, ამავე კანონის მუხლის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტისა (გაკოტრების მმართველი) და 44-ე მუხლის მე-3 პუნქტის (რეაბილიტაციის მმართველი) შესაბამისად, „(რეაბილიტაციის/გაკოტრების) მმართველი შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. რეაბილიტაციის მმართველი უნდა იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი (იურიდიული პირის შემთხვევაში – კარგი საქმიანი რეპუტაციის მქონე) პირი. რეაბილიტაციის მმართველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ახორციელებს იმავე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე“²⁰².

ფაქტობრივად, კანონი რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველს უდგენს არა იმდენად პროფესიული კომპეტენციებს, არამედ, უფრო, ინტერესთა კონფლიქტის საზღვრებს, რომ იგი უნდა იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კეთილსინდისიერი, იურიდიული პირის შემთხვევაში კი – კარგი რეპუტაციის მქონე.

²⁰¹ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

²⁰² საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

ვინ შეიძლება იყოს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი?

როგორც უკვე აღინიშნა, რეფორმამდე არსებული კანონმდებლობით, გადახდისუუნარობის პროცესში, გადახდისუუნარობის მეურვისა და რეაბილიტაცია/გაკოტრების მმართველის როლს სხვადასხვა პირები ასრულებდნენ, განსხვავებით მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკისაგან, როდესაც ამ ყველაფერს ერთი პირი – გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი ახორციელებს.

2007 წლის კანონისგან განსხვავებით, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ინსტიტუტს – პროცესში უნივერსალური პროფესიონალის ჩართვას, რომლის დანიშნავც/არჩევაც ხდება გადახდისუუნარობის პროცესის დაწყებისას და რომელიც პროცესის დასრულებამდე ახორციელებს მის უფლება-მოვალეობებს.

აღნიშნული კანონი, გადახდისუუნარობის პროცესში, რომელიც დაიწყება ამ კანონის შესაბამისად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მონაწილეობას სავალდებულოდ უთითებს, კერძოდ, მე-11 მუხლის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად მიმდინარე გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მონაწილეობა სავალდებულოა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე, პროფესიული წრეების წარმომადგენელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კეთილსინდისიერი. ამდენად, 2007 წლის კანონისაგან განსხვავებით, ახალი კანონი გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერების გარდა, სავალდებულო კრიტერიუმად მის კვალიფიკაციასა და გამოცდილებასაც განსაზღვრავს. კანონი, ამ მიმართებით კონკრეტიზაციისას, შორს არ მიდის, თუმცა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ავტორიზაციის ვალდებულებას ადგენს და შესაბამის უფლებამოსილ პირად კი განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრი, რომელიც ამტკიცებს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაციის განმარტაციულ ორგანოს ავტორიზაციის წესსა და პირობებს, ასევე, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ერთიანი რეესტრის წარმოების წესს.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი შესაძლოა იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. გასათვალისწინებელია, რომ კანონი არ ადგენს მოთხოვნებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს იურიდიული პირი, რათა მოხდეს მისი დანიშვნა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსად, თუმცა, ცხადია, რომ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ისიც დაექვემდებარება ავტორიზაციას იმდენად, რამდენადაც იურიდიული პირი თავისთავად ვერ წარმართავს საქმიანობას, მასში დასაქმებული პირების გარეშე. სასურველი იქნებოდა, რომ ახალი კანონით განსაზღვრულიყო თუნდაც ზოგადი მოთხოვნები ამ იურიდიული პირების მიმართ, რომ მათი დაკმაყოფილების შემთხვევაში, მათ უფლება ჰქონდეთ მიმართონ უფლებამოსილ ორგანოს ავტორიზაციის მისაღებად. აღნიშნული მოთხოვნები დაკავშირებული უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში დასაქმებული პირების კვალიფიკაციასთან და გამოცდილებასთან. მსგავსი ვითარებაა, მაგალითად ესპანეთში, სადაც „კომპანია შესაძლებელია დაინიშნოს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსად, თუ მისი ერთი წევრი მაინცაა რეგისტრირებული იურისტი, ხოლო მეორე კი ეკონომისტი ან აუდიტორი“²⁰³.

²⁰³ Rescue of Business in Insolvency Law, European Law Institute 2017, p. 137.

გარდამავალ პერიოდში (კანონის ამოქმედებიდან 1 წლის განმავლობაში), გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ავტორიზაციამდე, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი შეიძლება იყოს პირი, რომელიც კანონის ამოქმედებამდე **5 წლის განმავლობაში** გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში მონაწილეობდა როგორც გაკოტრების მმართველი/რეაბილიტაციის ზედამხედველი.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის შერჩევა ელექტრონული სისტემის მეშვეობით ხდება, თუმცა, გათვალისწინებულია გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას, დასაშვებია მმართველის/ზედამხედველის შერჩევა განსხვავებული წესით, კერძოდ, პროექტის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მმართველისა და რეაბილიტაციის ზედამხედველის შერჩევის ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას, დასაშვებია მმართველის ელექტრონული სისტემის გარეშე, რიგითობის წესით შერჩევა, რაც გულისხმობს შესაბამისი განცხადების სასამართლოში შესვლის რიგითობისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ერთიან რეესტრში გაკოტრების მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის ანბანური რიგითობის მიხედვით შერჩევას.

მორიგი სიახლე, რასაც ახალი კანონი ითვალისწინებს, ეს არის სასამართლოს უფლებამოსილება, განსაზღვროს ერთზე მეტი მმართველის დანიშვნის საჭიროება, თუ ეს გამომდინარეობს საქმის სირთულიდან და მოვალის წლიური ბრუნვა 100 მილიონ ლარს აღემატება. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ კანონი არ ადგენს ერთზე მეტი მმართველის დანიშვნის შემთხვევაში, მმართველებს შორის ამა თუ იმ საკითხზე კონსენსუსის მიუღწევლობისას საკითხის მოგვარების სამართლებრივ ჩარჩოს.

ამდენად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის შერჩევა ელექტრონული სისტემის მეშვეობით ხდება, რაც თავის მხრივ, არ გამოორიცხავს მის (გაკოტრების მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის) თანამდებობიდან გადადგომას მათი ნების შესაბამისად, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად სასამართლოს თანხმობაა საჭირო. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის (გაკოტრების მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის) განცხადება თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე საპატიო მიზეზის არსებობას უნდა უკავშირდებოდეს, როგორცაა, ჯანმრთელობის გაუარესება, ინტერესთა კონფლიქტი და ა.შ. ავტორიზაციის გაუქმება კი პრაქტიკოსის უფლებამოსილების შეწყვეტას ავტომატურად იწვევს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რაც გადახდისუუნარობის პრაქტიკოსისთვის უნდა იყოს მახასიათებელი, არის მისი მიუკერძოებლობა. შესაბამისად, იგი უნდა აკმაყოფილებდეს არამართო მიუკერძოებლობის ობიექტურ, არამედ სუბიექტურ ტესტსაც. იმ შემთხვევაში, თუ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი თვითაცილებების განცხადებით სასამართლოს მიმართავს, ასეთ შემთხვევაში, სასამართლო სხვა პირთა მონაწილეობისა და ჩართულობის გარეშე აფასებს თვითაცილებების შუამდგომლობას, ხოლო თუ აცილების განცხადებას მოვალე, კრედიტორი ან სხვა დაინტერესებული პირი წარადგენს, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს თავადაც უნდა მიეცეს აცილების შუამდგომლობის თაობაზე პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მიკერძოების შეფასების მიზნებისათვის, სუბიექტური ტესტი რთულად გამოსაყენებელი კატეგორიაა, შესაბამისად, როგორც წესი, „სხვა ისეთი გარემოების არსებობა, რაც მის მიუკერძოებლო-

ბაში ეჭვს იწვევს“ ობიექტური ტესტის შესაბამისად, „ობიექტური დამკვირვებლის“ სტანდარტით უნდა შემოწმდეს. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის აცილების თაობაზე სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივრის დაშვება მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო აცილების (თვითაცილების) შუამდგომლობას (განცხადებას) დააკმაყოფილებს, ამავდროულად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადახდისუუნარობის ახალ პრაქტიკოსს ნიშნავს.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს, **ერთი მხრივ, საჯაროობის ვალდებულება აქვს**, რაც იმაში გამოიხატება, რომ ის ვალდებულია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის (გაკოტრების) რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, გამოაქვეყნოს ინფორმაცია რეაბილიტაციის (გაკოტრების) რეჟიმის გახსნისა და მმართველობის ფორმის შესახებ, აგრეთვე, მმართველის ვინაობა, მისი საკონტაქტო/საიდენტიფიკაციო მონაცემები. **მეორე მხრივ, ასევე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონფიდენციალურობას**, კერძოდ, მმართველი, რეაბილიტაციის ზედამხედველი, კრედიტორთა კომიტეტის წევრი, კრედიტორი, ექსპერტი ვალდებულია შესაძლებლობის არ გადასცეს ან პირადი მიზნებისთვის არ გამოიყენოს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასთან, კომერციულ საიდუმლოებასთან დაკავშირებული ან სხვა ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე, რომლის ინტერესების დასაცავადაც მოქმედებს კონფიდენციალურობის ვალდებულება, თანხმობას განაცხადებს ამ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, ან თუ ინფორმაციის გამჟღავნება გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

6.2. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ფუნქციები

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი, სხვადასხვა ფუნქციებს, კერძოდ, რეგულირებული შეთანხმების ზედმხედველის, გაკოტრების/რეაბილიტაციის ზედამხედველის/მმართველის ფუნქციებს ახორციელებს.

ა) რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი

როგორც აღინიშნა, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი ითვალისწინებს სიახლეს გადახდისუუნარობის პროცესში – რეგულირებულ შეთანხმების ინსტიტუტს. რეგულირებული შეთანხმების მიზანია მოვალის, როგორც მოქმედი ბიზნესსუბიექტის, შენარჩუნება, რაც გამორიცხავს შეთანხმების ფარგლებში მის ლიკვიდაციას. რეგულირებული შეთანხმების განხორციელება დაუშვებელია გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის – რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის მონაწილეობის გარეშე.

მას შემდეგ, რაც რეგულირებული შეთანხმების **შეთავაზების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი – მოვალე** შეთავაზების განზრახვისა და შეთავაზების პირობების შესახებ წერილობით შეტყობინებას გაუგზავნის გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს, ამ უკანასკნელმა 5 დღის ვადაში, უნდა აცნობოს თანხმობა შეთავაზების შესწავლისა და ანგარიშის მომზადების შესახებ. იმისათვის, რომ ამ პროცესის დროში არაგონივრულად გაწელვა არ მოხდეს, კანონი ადგენს, რომ პრაქტიკოსის მიერ ამ ვადაში პასუხგაუცემლობა თანხმობად ჩაითვლება.

კანონში არაფერია მითითებული გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის უფლებაზე, შეთავაზების შესწავლისა და ანგარიშის მომზადებაზე უარის თქმის ვადებზე ან წესზე. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკოსი ვალდებულია მოვალეს 5 დღის ვადაში აცნობოს მისი თანხმობის შესახებ და თუ არ აცნობებს, ამ ვადის გასვლის შემდეგ თანხმობა გაცემულად ჩაითვლება, ლოგიკურია მივიჩნიოთ, რომ შესაბამისი მიზეზების არსებობისას, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსმა, სწორედ, შეთავაზების მისთვის გადაცემიდან 5 დღის ვადაში უნდა განაცხადოს უარი რეგულირებული შეთანხმების პროცესში მონაწილეობის თაობაზე. თუმცა აღნიშნულის ცალსახად მტკიცება რთულია, რადგან 29-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველმა ამ კანონის 27-ე მუხლით განსაზღვრული შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მოვალეს უნდა წარუდგინოს ანგარიში. ფაქტობრივად, ანგარიშის წარდგენის ვადა აითვლება შეთავაზების მიღების დღიდან და არა ამ შეთავაზებაზე ანგარიშის მომზადების თაობაზე განცხადების მიღების დღიდან, რაც, ერთი შეხედვით, თითქოს გამორიცხავს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მიერ რეგულირებული შეთანხმების შეთავაზების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე უარის თქმის უფლებას.

რეგულირებული შეთანხმების შესახებ შეთავაზების განზრახვისა და შეთავაზების პირობების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 დღის ვადაში, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსმა მოვალეს უნდა წარუდგინოს ანგარიში ორ ძირითად საკითხზე: აქვს თუ არა რეგულირებულ შეთანხმებას დამტკიცებისა და განხორციელების გონივრული პერსპექტივა და აქვს თუ არა მოვალეს საკმარისი ფულადი სახსრები, რათა საქმიანობა მორატორიუმის მოქმედების განმავლობაში განაგრძოს.

მითითებული ანგარიშის შესადგენად, რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველს შეუძლია დაეყრდნოს მისთვის წარდგენილ ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქვს მასში ეჭვის შეტანის საფუძველი, ასევე, წერილობით მოითხოვოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია მოვალის საქმიანობასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის ანგარიში დადებითია, მოვალე ვალდებულია ის მიღებიდან 5 დღის ვადაში წარუდგინოს სასამართლოს რეგულირებული შეთანხმების შეთავაზებასთან ერთად.

რეგულირებული შეთანხმების დამტკიცება უნდა განხორციელდეს კრედიტორთა კრებაზე. კრედიტორთა კრებას თავმჯდომარეობს რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი, რომელიც კრების დასრულების შემდეგ, სასამართლოს წარუდგენს ანგარიშს კრების გადაწყვეტილების შესახებ, კრების ოქმის ასლთან ერთად. **რეგულირებული შეთანხმების მიუღწევლობა რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველს, ასევე კრედიტორს, ანიჭებს უფლებას, მოვალის მიმართ სასამართლოში შეიტანოს რეაბილიტაციის ან კონტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ განცხადება.** რეგულირებული შეთანხმების დამტკიცება არ გამორიცხავს დოკუმენტში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას. მიუხედავად ზედამხედველის მნიშვნელოვანი როლისა, აღსანიშნავია, რომ მისი საქმიანობა ექვემდებარება სასამართლო კონტროლს, დაინტერესებული პირის მიერ მისი ქმედების ან გადაწყვეტილების გასაჩივრების გზით. კრედიტორს ან სხვა დაინტერესებულ პირს შეუძლია, სასამართლოში გაასაჩივროს რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის ქმედება ან გადაწყვეტილება. თავის მხრივ, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ძალაში დატოვოს, გააუქმოს თუ შეცვალოს ზედამხედველის ქმედება ან გადაწყვეტილება.

რეგულირებული შეთანხმების პროცესში ზედამხედველი, ასევე, უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს: ა) რეგულირებული შეთანხმების საფუძველზე და მის შესრულებასთან წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მიზნით, თუ პრობლემა შეექმნება; ბ) მოვალის მიმართ რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ არ სრულდება რეგულირებული შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები, ან/და კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესების გათვალისწინებით, სასურველია რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნა. გ) რეგულირებული შეთანხმების შეწყვეტის განცხადებით, რაც შეიძლება გამოიწვიოს, როგორც რეგულირებული შეთანხმების განსაზღვრულ ვადაში შესრულებამ, ასევე, რეგულირებული შეთანხმების დარღვევამ.

ბ) რეაბილიტაციის მმართველი/ზედამხედველი

განსხვავებით 2020 წლამდე არსებული რეგულირებისგან, როდესაც რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველი მხოლოდ მას შემდეგ აირჩიოდა, რაც სასამართლო დაამტკიცებდა მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებას საწარმოს რეაბილიტაციის ან გაკოტრების შესახებ, ახალი კანონით, რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველად/ზედამხედველად პირის შერჩევის პროცედურას სასამართლო ინყებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დანყების შესახებ განცხადების მიღებისთანავე. ამ ნესით შერჩეულ პირს დაუყოვნებლივ ეცნობება მმართველად/ზედამხედველად მისი მოსალოდნელი დანიშვნის შესახებ, რათა მაქსიმალურად დროულად იქნეს უზრუნველყოფილი იმ გარემოებების შესწავლა და მომზადება, რომლებიც გავლენას ახდენს მმართველის/ზედამხედველის მიერ თავისი ფუნქციების შესრულებაზე. ამგვარად შერჩეული პირის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ქვეყნდება საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში.

მიუხედავად გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ელექტრონული სისტემით შერჩევის პრინციპის დანეგვისა, აღნიშნული მაინც არ გამორიცხავს კრედიტორთა ჩართულობას გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველის შერჩევის პროცესში. ამ მიმართებით, პირველად რეესტრში შემავალ კრედიტორთა კრება, რომელიც, აგრეთვე, მოიცავს იმ კრედიტორებს, რომელთა შესახებაც საქმეში მოიპოვება ინფორმაცია, უფლებამოსილია, სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის/გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების მიღებამდე, ხმის უფლების მქონე დამსწრე კრედიტორთა 2/3-ის უმრავლესობით აირჩიოს რეაბილიტაციის/გაკოტრების სხვა მმართველი და ამის შესახებ აცნობოს სასამართლოს. ამ შემთხვევაში, სასამართლო გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის/გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინებით, მმართველად დანიშნავს კრედიტორთა კრების მიერ არჩეულ პირს.

გადახდისუუნარობის პროცესში (რეაბილიტაცია/გაკოტრება) მმართველის საკითხი, მისი ვინაობა, ხოლო ორი ან მეტი მმართველის დანიშვნის შემთხვევაში, მათ მიერ უფლებამოსილებათა ერთობლივად ან/და ცალ-ცალკე განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის/გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინებით. იმ შემთხვევაში თუ ინყება ან იცვლება რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმი, ზემოთ მითითებული საკითხები, ასევე, შეიძლება განისაზღვროს შესაბამისი განჩინებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას შემდეგ, რაც სასამართლო დასაშვებად ცნობს განცხადებას გადახდისუუნარობის შესახებ, იგი დაუყოვნებლივ ატყობინებს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს რეაბილიტაციის/გაკოტრების რეჟიმის გახსნისა და მისი მმართველად დანიშვნის შესახებ. მისი უფლებამოსილების განხორციელებისას, მმართველი თანხმობას გაცემს ისეთი გარიგებების დადებაზე, რომელიც იდება 2 თვეზე მეტი ვადით; რომელიც სცილდება მოვალის ჩვეულებრივ კომერციულ საქმიანობას; რომლის ღირებულებაც წინა წლის ბრუნვის 30%-ს აღემატება. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის უმნიშვნელოვანესი როლისა, გადახდისუუნარობის პროცესში, მისი ქმედება მაინც ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, თუ მმართველი უარს განაცხადებს გარიგებაზე თანხმობის გაცემაზე, მისი გადაწყვეტილება საბოლოოდ არ ჩაითვლება და მოვალეს შეუძლია ნებართვის გაცემის მოთხოვნის განცხადებით სასამართლოს მიმართოს.

თავისი ფუნქციების განხორციელებისას, მმართველი სასამართლოსათვის წარსადგენად ადგენს ანგარიშებს. ანგარიშების შესადგენად, იგი სწავლობს კრედიტორულ მოთხოვნებს და ადგენს კრედიტორთა რეესტრს, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობიდან 60 დღის ვადაში.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია, რასაც მმართველი ასრულებს, არის კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრის შედგენა.

მოთხოვნათა რეესტრის შედგენისას, მასში აისახება მოთხოვნები, რომლებსაც მმართველი დასაბუთებულად მიიჩნევს. აქვე, ავტომატურად აისახება მოთხოვნები, რომლებზეც მიმდინარეობს აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კრედიტორი უარს იტყვის მისი მოთხოვნის რეესტრში შეტანაზე. რაც არ უნდა გონივრულად და რეალურად მიიჩნდეს, მმართველს არ აქვს უფლება, აღიაროს პირგასამტეხლო და ვადამოუსვლელი პროცენტი, თუ მათი ჯამური ოდენობა ძირითადი თანხის დავალიანების 10%-ს სცილდება. თუმცა, მმართველის გადაწყვეტილების მიუხედავად, კრედიტორს შეუძლია სარჩელით მიმართოს სასამართლოს აუღიარებელი ვადამოუსვლელი პროცენტისა და პირგასამტეხლოს მოვალისათვის დაკისრებისა და რეესტრში შეტანის მოთხოვნით.

იმისათვის, რომ განახორციელოს მისი ვალდებულება, რაც დაკავშირებულია ანგარიშის სრულად და კომპეტენტურად შედგენასთან, **მმართველი უფლებამოსილია მოვალისაგან გამოითხოვოს ინფორმაცია** მოვალის ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობისა და გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისათვის მიმდინარე დავების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ, მმართველს უფლება აქვს მოსთხოვოს მოვალეს მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დაზუსტება, თუ ჩათვლის, რომ მოწოდებული მონაცემები არ არის საკმარისი მისი ფუნქციების განსახორციელებლად.

„რეაბილიტაციისა და კოლექტური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მიზანი, კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტური დაკმაყოფილებაა რეაბილიტაციის მიღწევის, ხოლო რეაბილიტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში – გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციიდან მიღებული თანხების განაწილების გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მმართველის

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია კრედიტორებთან თანამშრომლობა, მათთვის სრული ინფორმაციის მიწოდება და მათი კანონიერი უფლებების დაცვაა. შესაბამისად, მას შემდეგ, რაც მმართველად დანიშნვის თაობაზე ეცნობება, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს კრედიტორებს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და საქმის წარმოებაში ელექტრონული სისტემის გამოყენების ვალდებულების შესახებ. ასევე, უნდა განუმარტოს კრედიტორებს მათი უფლება წარმოადგინონ მოთხოვნები და მოსაზრებები კანონით განსაზღვრულ ვადაში.

მმართველის მიერ კრედიტორთა რეესტრის ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნების შემდეგ, გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში, ნებისმიერ კრედიტორს ან მოვალეს აქვს უფლება, სასამართლოში გაასაჩივროს რეესტრის სისწორე. მმართველს ცვლილება შეაქვს კრედიტორთა რეესტრში სასამართლოს განჩინების შესაბამისად და აქვეყნებს მას დადგენილი წესით.

აღსანიშნავია, რომ მმართველს/ზედამხედველს კრედიტორთა რეესტრის დამტკიცების შემდეგ უფლება აქვს მასში შეიტანოს ცვლილება და გამოაქვეყნოს კანონით განსაზღვრული წესით.

იმისათვის, რომ ხელი არ შეეშალოს მმართველს ფუნქციების სრულყოფილად განხორციელებაში და არ შეილახოს როგორც კრედიტორთა, ასევე, მოვალის ინტერესები, **გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მოვალის მართვის უფლების სრულად გადაცემა**, თუ: საწარმოს რაიმე მიზეზით არ ჰყავს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან თუ მოვალის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ამ კანონით განსაზღვრული წესით საწარმოს მართვის უფლება, არ თანამშრომლობს მასთან ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად; ცალსახად ბიანს აყენებს გადახდისუუნარობის მასას; თავს არიდებს კანონმდებლობით ან მოვალის წესდებით დადგენილი მოვალეობის შესრულებას, მათ შორის, აღარ მართავს საწარმოს.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების მიღებასთან ერთად, სასამართლო წყვეტს რეაბილიტაციის რეჟიმის მართვის საკითხს. რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის შესახებ განცხადებაში, განმცხადებელმა – მოვალემ ან კრედიტორმა – შეიძლება პირდაპირ მოითხოვოს მოვალის მართვაში დატოვება. სასამართლო დააკმაყოფილებს მითითებულ მოთხოვნას თუ ამას გონივრულად და დასაბუთებულად მიიჩნევს.

სასამართლო, კანონით დადგენილი ელექტრონული შერჩევის წესით, დანიშნავს რეაბილიტაციის მმართველს, იმ შემთხვევაში თუ ამის თაობაზე განცხადებაში იშუამდგომლებს გამცხადებელი – მოვალე ან კრედიტორი.

იმ შემთხვევაში, როდესაც რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნას ითხოვს კრედიტორი, სასამართლო მის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს თუ მოვალე შესაგებელთან ერთად წარადგენს კრედიტორთა უბრალო უმრავლესობის წერილობით თანხმობას მოვალის მართვაში დატოვებაზე, ან სათანადოდ დაასაბუთებს, რომ სამენარმეო საქმიანობას უძღვებოდა კეთილსინდისიერად და სათანადო ზრუნვის მოვალეობით, იმ გონივრული რწმენით, რომ

მისი ქმედებები და გადანყვეტილებები საწარმოსთვის ყველაზე ხელსაყრელი იყო. შესაბამისად, სასამართლო მოვალეს ტოვებს მართვაში და რეაბილიტაციის ზედამხედველს უნიშნავს. ასეთ ვითარებაში, მოვალის საქმიანობას და ქონებას მართავს მართვაში მყოფი მოვალე რეაბილიტაციის ზედამხედველის მეთვალყურეობის ქვეშ.

გარკვეული გარემოებების არსებობისას, სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს მისი გადანყვეტილება მოვალის მართვაში დატოვების შესახებ. კერძოდ, თუ ხმის უფლების მქონე კრედიტორების ხმათა საერთო რაოდენობის 10%-ის მქონე კრედიტორები, კრედიტორთა კომიტეტი ან რეაბილიტაციის ზედამხედველი დააყენებს მოთხოვნას, სასამართლო განიხილავს შუამდგომლობას მართვაში მყოფი მოვალის ნაცვლად რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის თაობაზე.

საკუთარი ფუნქციების განხორციელებისას, რეაბილიტაციის მმართველი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს კრედიტორთა კრების მოსაწვევად. იგი, ასევე, უფლებამოსილია მიიღოს, გამოითხოვოს და გაეცნოს მოვალის საქმიანობის ანგარიშს და მოითხოვოს სრული წვდომა მოვალის ქონებაზე, ყველა საბუღალტრო და საფინანსო ჩანაწერზე, სამენარმეო დოკუმენტაციაზე, გარიგებებზე, მათ შორის, ელექტრონულად და კომპიუტერული პროგრამის სახით, რაც ბუნებრივია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მითითებული ინფორმაციების გარეშე, შეუძლებელი იქნება რეალური რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება.

რეაბილიტაციის ზედამხედველი უფლებამოსილია დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მოვალეს კრედიტორული მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ უარყოფაზე ან აღიარებაზე და მასთან ერთად შეადგინოს რეაბილიტაციის გეგმის პროექტი ან გეგმის გადასინჯვის პროექტი.

თავისი ფუნქციების განსახორციელებლად, რეაბილიტაციის მმართველი უფლებამოსილია მიიღოს ზომები მოვალის წარმოების შესანარჩუნებლად და გასაგრძელებლად, მოვალის სახელით განახორციელოს ყველა ქმედება და ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, გადაიბაროს და პირად განკარგულებაში მიიღოს მოვალის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, საბუთი, საბუღალტრო ჩანაწერი და წიგნი, მათ შორის, ელექტრონულად ან ნებისმიერი სხვა ფორმით, მოიწონოს ან შეწყვიტოს მოქმედი ხელშეკრულებები, დადოს ახალი ხელშეკრულებები და განახორციელოს სხვა ფუნქციები, რომელიც აუცილებელია მოვალის საწარმოს რეაბილიტაციისთვის.

აღსანიშნავია, რომ უფლებათა ნაწილს, რეაბილიტაციის მმართველი ახორციელებს კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით, ხოლო თუ კრედიტორთა კომიტეტი არ არის შექმნილი – კრედიტორთა კრების თანხმობით. მაგალითად, მოვალის ქონების განკარგვა, მოვალესთან დაკავშირებულ პირთან ნასყიდობის, ლიზინგის ან იჯარა-გამოსყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება, რომლითაც განიკარგება მოვალის ქონება, შეუძლია დადოს მხოლოდ თანხმობით. გარდა მითითებული ქმედებებისა, რეაბილიტაციის მმართველს, გარიგებების დადებისას, რომლებიც სცილდება მოვალის ჩვეულებრივ კომერციულ საქმიანობას, ესაჭიროება კრედიტორთა კრების თანხმობა.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს (რეაბილიტაციის მმართველს/ზედამხედველს) მისი ფუნქციების სრულად განსახორციელებლად უფლება აქვს საცილოდ გახადოს: ა) გადახდისუუნარობის მასის განზრახ შემცირება; ბ) გადახდისუუნარობის მასის გაუფასურება; გ) უპირატესობის მინიჭება.

აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის მმართველი/ზედამხედველი არ არის შეზღუდული, მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული შეცილების წესით. მას შეუძლია იმ ქმედებების წინააღმდეგ, რომლებიც უკავშირდება მოვალის ქონების გადაძალას ან სხვაგვარად არაკეთილსინდისიერ განკარგვას, ასევე, იმოქმედოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით.

იმისათვის, რომ სათანადოდ განახორციელოს მისი ფუნქციები, რეაბილიტაციის მმართველი/რეაბილიტაციის ზედამხედველი, განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანიდან 45 დღის ვადაში, ადგენს მოვალის საქმიანობის ანგარიშს, რისთვისაც შესაბამის პირებს წერილობით მიმართავს დანიშვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა და მათგან მოითხოვს საჭირო ინფორმაციის 10 სამუშაო დღის ვადაში წარდგენას. რეაბილიტაციის მმართველი/რეაბილიტაციის ზედამხედველი უფლებამოსილია, მოვალის საქმიანობის ანგარიშის შესადგენად, ინფორმაცია გამოითხოვოს ნებისმიერი პირისგან, რომელიც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანამდე ერთი წლის განმავლობაში იყო. ერთადერთი სანქცია, რომელსაც წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს ინფორმაციის წარმოუდგენლობისთვის, მართვაში მყოფი მოვალის შემთხვევაში, ესაა რეაბილიტაციის მმართველის უფლება, აცნობოს სასამართლოს აღნიშნულის თაობაზე და მოვალის მართვისგან ჩამოცილება და რეაბილიტაციის მმართველისათვის მართვის სრული უფლებამოსილების გადაცემა მოითხოვოს.

რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა, რეაბილიტაციის მმართველი/ზედამხედველი ამზადებს რეაბილიტაციის გეგმის პროექტს, მოვალის საქმიანობის ანგარიშსა და კრედიტორთა რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით. პროცესის გართულების შემთხვევაში, რეაბილიტაციის მმართველს/რეაბილიტაციის ზედამხედველს შეუძლია დასაბუთებული მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს ამ ვადის ერთჯერადად, არაუმეტეს 1 თვით გასაგრძელებლად.

რეაბილიტაციის გეგმის პროექტს, რეაბილიტაციის მმართველი/რეაბილიტაციის ზედამხედველი შედგენისთანავე უგზავნის ყველა იდენტიფიცირებულ კრედიტორსა და მოვალის ყველა პარტნიორს. აღსანიშნავია, რომ კრედიტორთა კრებამ შეუძლია დაამტკიცოს რეაბილიტაციის გეგმა კრედიტორთა ცვლილებების გათვალისწინებით, მხოლოდ რეაბილიტაციის მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის თანხმობით. კრედიტორთა მიერ მოწონების შემთხვევაში, რეაბილიტაციის მმართველი/რეაბილიტაციის ზედამხედველი მოწონებულ რეაბილიტაციის გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორთა კრება არ მოიწონებს რეაბილიტაციის გეგმის პროექტს, რეაბილიტაციის მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის მიმართვის საფუძველზე, სასამართლო მაინც უფლებამოსილია, დაამტკიცოს რეაბილიტაციის გეგმა, თუ არაუზრუნველყოფილ ან უზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფმა მოიწონა შეთავაზებული რეაბილიტაციის გეგმა ამ კანონით დადგენილი უმრავლესობით, ან სასამართლო მიიჩნევს, რომ შეთავაზებული რეაბილიტაციის გეგმა რეალურად განხორციელებადია და კრედიტორთა უფლებები დაცულია ამ თავის შესაბამისად.

ახალი კანონი ყურადღებას ამახვილებს უზრუნველყოფილი კრედიტორის უფლებათა დაცვაზე. შესაბამისად, რეაბილიტაციის მმართველს/ზედამხედველს, საკუთარი ინიციატივით ან

უზრუნველყოფილი კრედიტორის შუამდგომლობით, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ისეთი ქონების მორატორიუმისგან განთავისუფლებისა და რეალიზაციაზე თანხმობის მიღების მოთხოვნით, რომელიც არ არის აუცილებელი რეაბილიტაციის მიზნის მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ ეს მმართველის/ზედამხედველის ერთპიროვნულად მისაღებ გადაწყვეტილებას არ წარმოადგენს. მისი უარის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია უშუალოდ მიმართოს სასამართლოს უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების მორატორიუმისგან განთავისუფლებისა და რეალიზაციის თაობაზე. ასეთ დროს, რეაბილიტაციის მმართველი ვალდებულია ამტკიცოს, რომ ქონება, რომელზედაც კრედიტორი ითხოვს მორატორიუმის ცალკეული ღონისძიების გაუქმებას და მის რეალიზაციას, აუცილებელია რეაბილიტაციის მიზნის მისაღწევად და რომ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეაბილიტაციის მმართველს/რეაბილიტაციის ზედამხედველს რეაბილიტაციის პროცესში საკმაოდ დიდი უფლებები გააჩნია, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ შესაძლებელია მისი ქმედებების გასაჩივრებაც მოვალის, კრედიტორის ან პარტნიორის მიერ.

იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებული იქნება, სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის მოთხოვნას და დაავალებს რეაბილიტაციის მმართველს/რეაბილიტაციის ზედამხედველს კონკრეტული მოქმედების განხორციელებას ან მისი განხორციელებისაგან თავის შეკავებას.

გარდა რეაბილიტაციის მმართველის/ზედამხედველის ქმედების გასაჩივრებისა, კრედიტორს ან მოვალეს შეუძლია განცხადებით მიმართოს სასამართლოს, რომ გამოიკვლიოს რეაბილიტაციის მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საკითხი. აღსანიშნავია, რომ განმცხადებელს არ ევალება მტკიცებულებების წარდგენა. საკმარისია, განცხადებაში დასაბუთებული ვარაუდის სახით იყოს მითითებული, რომ რეაბილიტაციის მმართველმა/რეაბილიტაციის ზედამხედველმა მოცემული საქმის წარმოების ფარგლებში: ა) არამართლზომიერად გამოიყენა ან პირად მფლობელობაში დაიტოვა ან არამართლზომიერად განკარგა მოვალის ფული ან სხვა ქონება; ბ) დაარღვია ფიდუციური მოვალეობა; გ) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება.

როგორც მითითებული ნორმიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, კანონმდებელი, აღნიშნულ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთს აბრუნებს, როდესაც განმცხადებელს მართოდენ დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ვალდებულებას აკისრებს, ხოლო მოპასუხე მხარემ, რეაბილიტაციის მმართველმა/რეაბილიტაციის ზედამხედველმა თავი უნდა იმართლოს და შებრუნებული მტკიცებულების ტვირთის პირობებში, თავად წარმოადგინოს მტკიცებულებები მისი ქმედების მართლზომიერებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს განმცხადებლის ვარაუდს და, შესაბამისად, რეაბილიტაციის მმართველი/რეაბილიტაციის ზედამხედველი ვერ შეძლებს მისი ქმედების მართლზომიერების დადასტურებას, სასამართლო უფლებამოსილია ამ უკანასკნელს დააკისროს: მოვალის ფულის ან ქონების დაბრუნება, ან მასთან დაკავშირებული სხვაგვარი პასუხისმგებლობა; პროცენტის გადახდა; მოვალის სასარგებლოდ საკომპენსაციო თანხის გადახდა (ზიანის ანაზღაურება)

ფიდუციური მოვალეობის დარღვევის ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო. მეტად სავარაუდოა, რომ აღნიშნული სახის დავა გადახდისუუნარობისათვის დამახასიათებელი, შემჭიდროვებულ ვადებში უნდა იქნეს განხილული.

იმ შემთხვევაში, თუ რეაბილიტაციის მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის მიერ მომზადებული გეგმა არ დამტკიცდა, რეაბილიტაციის რეჟიმი გადადის გაკოტრების რეჟიმში და სასამართლო ნიშნავს გაკოტრების მმართველს. რეაბილიტაციის რეჟიმის კონვერსიის მოთხოვნის უფლება გააჩნია, ასევე, რეაბილიტაციის მმართველს/ზედამხედველს. ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებამდე ნებისმიერ დროს, სასამართლოს წარუდგინოს კონვერსიის თაობაზე განცხადება, თუ მიიჩნევს, რომ აღარ არსებობს რეაბილიტაციის მიზნის მიღწევის კონკრეტული ალბათობა.

აღნიშნულის განხორციელება შეუძლია, ასევე, მართვაში მყოფ მოვალესაც, თუმცა, ასეთ დროს, რეაბილიტაციის ზედამხედველის თანხმობაა საჭირო. რეაბილიტაციის მმართველს/ზედამხედველს ასევე, რეაბილიტაციის პროცესშიც შეუძლია მიმართოს სასამართლოს გაკოტრების რეჟიმის გახსნის მოთხოვნით, თუ დაირღვევა რეაბილიტაციის გეგმის შესრულება. აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის გეგმის დარღვევად არ ჩაითვლება რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული პირობების უმნიშვნელო დარღვევა. კერძოდ, როდესაც დარღვევა არ აღემატება მთლიანი მიმდინარე შესასრულებელი ვალდებულების 20%-ს და ვადაგადაცილება არ აჭარბებს 15 სამუშაო დღეს ან როდესაც ვადაგადაცილება არ აღემატება 7 სამუშაო დღეს, მიუხედავად დავალიანების თანხის ოდენობისა. თუ სასამართლო რეაბილიტაციის კონვერსიის თაობაზე განცხადებას დასაბუთებულად მიიჩნევს, ის გამოიტანს განჩინებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე და ნიშნავს გაკოტრების მმართველს.

გ) გაკოტრების მმართველი

მას შემდეგ, რაც დაინიშნება გაკოტრების მმართველი, იგი ვალდებულია მოიძიოს ქონება და დააზუსტოს გადახდისუუნარობის მასა, განახორციელოს გადახდისუუნარობის მასაში შემავალი ქონების რეალიზაცია და კრედიტორებს შორის გაანაწილოს გადახდისუუნარობის მასიდან ამონაგები თანხა. აღსანიშნავია, რომ გაკოტრების მმართველმა მითითებული უფლებამოსილებანი უნდა განახორციელოს, შეძლებისდაგვარად, სწრაფად და ეფექტიანად, მოვალის კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესების გათვალისწინებით, რაც სწორი მიდგომაა ამ კანონის პირველი მუხლიდან გამომდინარე, რომლის შესაბამისადაც, **ამ კანონის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება** რეაბილიტაციის მიღწევის, ხოლო რეაბილიტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში – გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციიდან მიღებული თანხების განაწილების გზით, ანუ ნებისმიერ შემთხვევაში, მიზანს კრედიტორთა დაკმაყოფილება წარმოადგენს, მოხდება ეს, სანარმოს რეაბილიტაციისა თუ მისი რეალიზაციით მიღებული თანხის მეშვეობით.

თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში, გაკოტრების მმართველს შეუძლია: მიმართოს სასამართლოს კრედიტორთა კრების მონვევისა და ჩატარების უზრუნველსაყოფად; აწარმოოს დავები; განახორციელოს შეცილება; უზრუნველყოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა; უზრუნველყოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ

წარმოშობილი მოთხოვნების, მათ შორის, საგადასახადო ვალდებულებების შესრულება; მოიწონოს ან შეწყვიტოს არსებული ხელშეკრულებები, დადოს ახალი ხელშეკრულებები; შეისყიდოს სხვადასხვა პროფესიული მომსახურება; განახორციელოს კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

გაკოტრების მმართველი აფასებს გადახდისუუნარობის მასაში შემავალ ქონებას, ამზადებს მოვალის ფინანსური მდგომარეობისა და ქონების რეალიზაციის შერჩეული ფორმის შესახებ ანგარიშს და აქვეყნებს მას კანონით დადგენილი წესით.

გადახდისუუნარობის პროცესის გაკოტრებით დასრულების შემთხვევაში, გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია გადახდისუუნარობის მასის რეალიზაცია განახორციელოს ქონების რეალიზაციის კანონით დადგენილი ნებისმიერი ფორმით, მოქმედი ბიზნესის სახით, გადახდისუუნარობის მასის ერთიანი კომპლექსის სახით ან ნაწილ-ნაწილ.

რეალიზაციის ფორმის შერჩევას, გაკოტრების მმართველმა უნდა უზრუნველყოს ქონების იმ გზით რეალიზაცია, რომლიდანაც მოსალოდნელია უფრო მეტი თანხის ამოღება.

ინფორმაციას რეალიზაციის ფორმის შერჩევის თაობაზე აქვეყნებს ამ კანონით დადგენილი წესით. კრედიტორს შეუძლია მიმართოს გაკოტრების მმართველს ქონების რეალიზაციის ალტერნატიული გზის შეთავაზებით, რომელიც მისი მოსაზრებით კრედიტორთა ერთობლიობისთვის უფრო მომგებიანი იქნება, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას რეალიზაციის ფორმის თაობაზე გაკოტრების მმართველი იღებს.

გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია, გაკოტრების რეჟიმის დასრულებამდე ნებისმიერ დროს, დააკმაყოფილოს უზრუნველყოფილ კრედიტორთა მოთხოვნები გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების მომენტისათვის მოვალის საკუთრებაში არსებული ან/და გადახდისუუნარობის მასის ნაწილ-ნაწილ რეალიზაციით მიღებული თანხებიდან.

გადახდისუუნარობის მასაში შემავალი ქონების გაკოტრების მმართველის მიერ რეალიზაციის და რეალიზაციით მიღებული თანხის კანონის შესაბამისად განაწილებისთანავე სრულდება გაკოტრების საქმის წარმოება. ამის შემდეგ, გაკოტრების მმართველი ადგენს მოვალის გაკოტრების პროცესის ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს კრედიტორებს და სასამართლოს. ანგარიში უნდა შეიცავდეს შესაბამისი კანონიერი მიზნების შესრულების თაობაზე დასაბუთებას.

გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისა და საწარმოს შეწყვეტა და არსამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმო მოქმედი ბიზნესის სახით გაიყიდა და მისი შემძენი საწარმოს პარტნიორად დარეგისტრირდა.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს, გაკოტრების საქმის წარმოებისასაც შეუძლია მიმართოს სასამართლოს პროცესის კონვერსიისა და საწარმოს რეაბილიტაციის რეჟიმში გადასვლის მიზანშეწონილობის შესახებ.

დ) პრაქტიკოსის ანაზღაურება

თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სასამართლო გადაწყვეტილებით ამტკიცებს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსისთვის გადასახდელ „გონივრულ ანაზღა-

ურებას“ მის მიერ გადახდისუუნარობის პროცესში განეული მომსახურებისათვის, აგრეთვე, მის მიერ გაღებული საჭირო ხარჯების კომპენსაციის წესს. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის საქმიანობა გადახდისუუნარობის მასიდან ანაზღაურდება.

იმისათვის, რომ სასამართლომ განსაზღვროს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსისთვის ასანაზღაურებელი გონივრული ოდენობა, ეს უკანასკნელი ვალდებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დასრულებამდე, სასამართლოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ანგარიში ანაზღაურების შესახებ, სადაც ამომწურავად უნდა იყოს აღწერილი მის მიერ განეული ყველა მომსახურება და შესაბამისი საფასური.

ანაზღაურების განსაზღვრისას, სასამართლო აფასებს მომსახურების შინაარსსა და მოცულობას, რომლის დროსაც, ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ფაქტორებზე: მომსახურებაზე დახარჯული დრო; მომსახურებისათვის განსაზღვრული ტარიფები; იყო თუ არა მომსახურება აუცილებელი საქმის წარმოებისათვის; იყო თუ არა მომსახურება განეული გონივრულ ვადაში – პრობლემის, საკითხის ან დავალების არსის, სირთულისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით; აქვს თუ არა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს შესაბამისი უნარები და გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გამოცდილება; არის თუ არა ანაზღაურება გონივრული იმავე ტიპისა და ხარისხის (იმავე დონის პროფესიონალის მიერ განეული) მომსახურებისთვის დაწესებულ საბაზრო ღირებულებასთან მიმართებით.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი აქცენტს აკეთებს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ანაზღაურების გონივრულ ოდენობაზე, იგი მაინც ადგენს ანაზღაურების ზღვრულ ოდენობას. კერძოდ, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსისთვის განსაზღვრული გონივრული ანაზღაურების ჯამური ოდენობა, მათ შორის, რამდენიმე მმართველის დანიშვნის შემთხვევაში, რეაბილიტაციის მიღწევისას გამოიანგარიშება რეაბილიტაციის გეგმით განსაზღვრული ჯამური თანხის ოდენობიდან, ხოლო გაკოტრების შემთხვევაში – ჯამურად ამონაგები თანხის ოდენობიდან, 5 000 ლარამდე თანხის გადახდისას – არაუმეტეს 30%-ისა; 5 000 ლარიდან 50 000 ლარამდე თანხის გადახდისას – არაუმეტეს 20%-ისა; 50 000 ლარიდან 500 000 ლარამდე თანხის გადახდისას – არაუმეტეს 10%-ისა; 500 000 ლარიდან 2 000 000 ლარამდე თანხის გადახდისას – არაუმეტეს 5%-ისა; 2 000 000 ლარიდან 5 000 000 ლარამდე თანხის გადახდისას – არაუმეტეს 3%-ისა; 5 000 000 ლარზე მეტი ოდენობით თანხის გადახდისას – არაუმეტეს 1%-ისა. სასამართლო, დასაბუთებული შუამდგომლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია შეამციროს, გაზარდოს ანდა ავანსის სახით გასცეს პრაქტიკოსის ანაზღაურება.

7. ჩეხეთის რესპუბლიკა

ქვეყანა მესხიშვილი

7.1. რეაბილიტაციის ხარვეზები „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის კანონის²⁰⁴ შესაბამისად

გადახდისუუნარობის ფარგლებში რეაბილიტაცია მოვალის გადარჩენის გზით კრედიტორთა დაკმაყოფილების საუკეთესო გზაა. შესაბამისად, გადახდისუუნარობის რეჟიმის გახსნის შედეგად რეაბილიტაცია მოვალისა და კრედიტორებისათვის ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია, თუმცა, სამწუხაროდ, ყოველთვის არ არსებობს რეაბილიტაციის გზით მოვალის გადარჩენის შესაძლებლობა. ამასთან, აქცენტი მართლოდენ მოვალის გადარჩენაზე არ უნდა გაკეთდეს. მნიშვნელოვანია, რომ რეაბილიტაციის მიზანი მოვალის გადარჩენის გზით კრედიტორთა დაკმაყოფილება იყოს და არა მართლოდენ მოვალის გადარჩენა კრედიტორების ინტერესების მხედველობაში მიღების გარეშე.

რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვა, დიდწილად, კანონმდებლობაზე დამოკიდებულია. ამ მიმართებით, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ის ხარვეზები, რაც „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონს აქვს²⁰⁵.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირთა უფლებების დაცვა, რომელთა მოთხოვნები სანარმოს მიმართ არა სახელშეკრულებო, არამედ კანონისმიერი ვალდებულებიდან გამომდინარეობს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კანონის მიერ შექმნილი რიგითობა არაფერს გვეუბნება. შესაძლებელია, კანონისმიერი საფუძვლით კრედიტორები ბოლო რიგის კრედიტორებად მოგვევლინონ²⁰⁶.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას ხშირია შემთხვევები, როდესაც მოვალეს დიდი ოდენობით სახელფასო დავალიანება გააჩნია. არც ამ შემთხვევაში გვთავაზობს კანონი სპეციალურ მონესრიგებას და სახელფასო მოთხოვნები მე-6 ან მე-7 რიგში შეიძლება განანიჭდეს, რის გამოც მათი დაკმაყოფილების შანსები საკმაოდ მცირეა²⁰⁷.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას შრომითი უფლებების დაცვა სახელმწიფოს არათუ კეთილი სურვილი, არამედ ვალდებულებაა. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ევროკავშირის 80/987 დირექტივა დამსაქმებლის გაკოტრების რეჟიმში დასაქმებულთა უფლებების დაცვის თაობაზე²⁰⁸ და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს (ECJ) პრაქტიკა. კერძოდ, 1991 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე „ანდრეა ფრანკოვიჩი და

²⁰⁴ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

²⁰⁵ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

²⁰⁶ თ. ართქელაძე, „რეაბილიტაციის შემაფერხებელი გარემოებები გადახდისუუნარობის ქართულ სამართალში“, თბილისი, 2017, გვ. 8.

²⁰⁷ თ. ართქელაძე, „რეაბილიტაციის შემაფერხებელი გარემოებები გადახდისუუნარობის ქართულ სამართალში“, თბილისი, 2017, გვ. 8.

²⁰⁸ Council Directive 80/987/EEC of 20 October 1980 on the approximation of the laws of the Member States relating to the protection of employees in the event of the insolvency of their employer, <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31980L0987:EN:HTML>

დანილა ბონიფაჩი და სხვები იტალიის წინააღმდეგ“ სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო, დაეცვა დასაქმებულთა შრომითი უფლებები საწარმოს გადახდისუუნარობისას (გაკოტრებისას). თუ შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოსარჩელეთა მოთხოვნა, საწარმოს რეაბილიტაციის (გაკოტრების) ფარგლებში მხედველობაში მიღებული არ იქნებოდა, ამით სახელმწიფო დასაქმებულთა უფლებებს უხეშად დაარღვევდა²⁰⁹. ამ საკითხის ეფექტიან მოწესრიგებას „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავდა, კერძოდ, გაკოტრების ტაბულა, რომელიც მოთხოვნათა რიგითობას ასახავდა, **პირველ რიგში, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე 3 (სამი) თვის ხელფასის დაკმაყოფილებას ითვალისწინებდა.**

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის ხარვეზად მიიჩნევა, ასევე, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სიძვირე, მაშინ, როცა გადახდისუუნარობა სწორედ იმის გამო იწყება, რომ კომპანიას ფინანსური სიძნელეები აქვს, რომელთა ვერ გადალახვის შემთხვევაში, კომპანია კოტრდება. მსოფლიო ბანკის გამოთვლებით, საქართველოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფასური მთლიანი ქონების 10%-ს შეადგენს, საიდანაც 8% მეურვის, კერძოდ, აღრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე მიემართება. აქვე აღსანიშნავია, აღსრულების ეროვნული ბიუროს როლი, რომელიც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებისთანავე იმთავითვე მეურვედ ინიშნება, რაც იმას ნიშნავს, რომ მეურვე სახელმწიფოა და მომსახურების საფასურსაც თავად განსაზღვრავს. 2007 წლის კანონი სხვა მეურვის დანიშვნის შესაძლებლობას არ უშვებს²¹⁰.

ნიშანდობლივია, რომ გადახდისუუნარობის სამართალი ბიზნესსამართლის სფეროა და მისი ორიენტირი მოვალის რეაბილიტაციის გზით კრედიტორთა დაკმაყოფილებაა, ხოლო აღნიშნული მიზნის მიუღწევლობის შემთხვევაში, მოვალის ქონების რეალიზაციით – კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილება. შესაბამისად, ლეგიტიმურ კონტექსტს მოკლებულია სახელმწიფოს, როგორც მეურვის, სავალდებულო მონაწილეობა გადახდისუუნარობის წარმოებაში, მით უფრო, ესოდენ მაღალი საფასურის მიღების სანაცვლოდ.

2007 წლის კანონის ერთ-ერთ ხარვეზს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების პროცედურა წარმოადგენს, კერძოდ, რეაბილიტაციის გეგმის კრედიტორებთან შეთანხმების შეუსაბამოდ მცირე ვადები და, ამავდროულად, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მომრიგებელი საბჭოს მიერ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისათვის ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის სავალდებულო თანხმობა. თუ რეაბილიტაციის გეგმას რომელიმე კრედიტორი არ დაეთანხმა, გეგმის მიღება იბლოკება. ვალაუვალობის კანონები, როგორც წესი, ასეთი შემთხვევებისათვის, კრედიტორთა ხმების უმრავლესობით, უმცირესობაში მყოფი კრედიტორების წინააღმდეგობის დაძლევის შესაძლებლობას ითვალისწინებს. ის, თუ რა პირობებით შეიძლება მოხდეს ეს, საჭიროებს ინტერესთა ზუსტ შეჯერებას. თუ რეაბილიტაციის წარმოება ყველა კრედიტორის ინტერესებს უფრო მეტად ეპასუხება, ვიდრე ლიკვიდაცია, მაშინ ცალკეულ კრედიტორებს არ უნდა მიეცეთ გეგმის დაბლოკვის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სავარაუდოა, რომ ისინი უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ვიდრე საწარმოს

²⁰⁹ Andrea Francovich and Danila Bonifaci and others v Italian Republic, Judgment of the Court of 19 November 1991. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61990CJ0006>

²¹⁰ თ. ართქმელაძე, „რეაბილიტაციის შემაფერხებელი გარემოებები გადახდისუუნარობის ქართულ სამართალში“, თბილისი, 2017, გვ. 26.

ლიკვიდაციისას. ეს არის მაგალითი, თუ როგორ აიძულებენ რიგ შემთხვევებში, ცალკეულ მონინააღმდეგე კრედიტორებს კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესებისათვის წარმოებაში მონაწილეობას²¹¹, რასაც გადახდისუუნარობის კანონი არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ვიღებთ სურათს, რომლის მიხედვითაც, უზრუნველყოფილ კრედიტორს, რომელიც „ისედაც უზრუნველყოფილია“, მოვალის გადარჩენის ნაკლები დაინტერესება აქვს, ამიტომ მისთვის მოვალის რეაბილიტაციის პროცესი ეკონომიკურ ინტერესს მიღმაა, ხოლო, თუ ამას ისიც ემატება, რომ რეაბილიტაციის პროცესი კრედიტორის დაკმაყოფილებას დროში განელავს, ის, რაღა თქმა უნდა, რეაბილიტაციის გეგმას მხარს არ დაუჭერს, რითაც რეაბილიტაციაუნარიანი მოვალისა და არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესი მნიშვნელოვნად ილახება.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს ცალკეული კრედიტორის იძულების შესაძლებლობას, დაეთანხმოს მოვალის რეაბილიტაციის გეგმას, თუნდაც, მისი წინააღმდეგობა მოვალისა და დანარჩენი კრედიტორებისათვის საზიანო აღმოჩნდეს²¹². სხვა კრედიტორებს რჩებათ მხოლოდ ის შესაძლებლობა, რომ მონინააღმდეგე კრედიტორის მოთხოვნა სრული ღირებულებით გამოისყიდონ და კენჭისყრაში მონაწილეობა, როგორც ახალი მოთხოვნის მფლობელებმა, ისე მიიღონ²¹³.

კანონი რეაბილიტაციის გეგმის კენჭისყრის პროცედურას დანვრილებით არ აწესრიგებს. კანონიდან არც ის ირკვევა, თუ რატომ უნდა უყარონ კენჭი რეაბილიტაციის გეგმას მხოლოდ უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა., მაშინ როცა, მათ მიმართაც ძალაშია პრინციპი, რომ გეგმა არ შეიძლება ითვალისწინებდეს მათი მოთხოვნების ცვლილებას ან შემცირებას მათივე სურვილის საწინააღმდეგოდ. ამდენად, არ არსებობს რაიმე მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა უყარონ კენჭი რეაბილიტაციის გეგმას მხოლოდ უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა და არა ყველა კრედიტორმა. მეტი სიცხადისთვის, მნიშვნელოვანია ვალაუვალობის კანონის შესაძლო ალტერნატივების განხილვა. კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორთა უფლებებს ვალაუვალობის წარმოება არ ეხება. შესაბამისად, უზრუნველყოფილ კრედიტორებს შეუძლიათ, განცალკევებით დაკმაყოფილების მიზნით, მოითხოვონ უზრუნველყოფის საგნის ვალაუვალობის მასიდან ამორიცხვა, ხოლო ვალაუვალობის წარმოებაში ისინი მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ თავიანთი არსებული მოთხოვნის შესაძლო არაუზრუნველყოფილი წილით. შესაბამისად, მათ ვალაუვალობის წარმოებაში განსაკუთრებული ხმის უფლება არ ექნებოდათ²¹⁴.

ზოგადად, აღიარებულია, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორებს არ უნდა მიეცეთ უფლება, უზრუნველყოფის საგნების საერთო მასიდან ამოღებით, საწარმოს ერთობლიობა გაანადგურონ. სწორედ ამიტომ, რეაბილიტაციის წარმოებაში ისინი კრედიტორთა სხვა ჯგუფის გვერდით მონაწილეობენ. ამასთან, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონი უზრუნველყოფილ კრედიტორებს განცალკევებით დაკმაყოფილების უფლებას არც

²¹¹ *პ. შნიტგერი, რ. მიგრიული, „გადახდისუუნარობის შესახებ“ კანონი. დახასიათება და შედარება გაკორტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან*, თბილისი, 2011, გვ. 116.

²¹² საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007 (მუხლი 43.3.4).

²¹³ *პ. შნიტგერი, რ. მიგრიული, „გადახდისუუნარობის შესახებ“ კანონი. დახასიათება და შედარება გაკორტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან*, თბილისი, 2011, გვ. 116.

²¹⁴ *იქვე*, გვ. 116-117.

გაკოტრების და არც რეაბილიტაციის წარმოებაში არ აძლევს²¹⁵. მიუხედავად ამისა, რეაბილიტაციის გეგმის შესახებ კენჭისყრის უფლება მხოლოდ მათ აქვთ გადაცემული და, გარდა ამისა, კანონში მოცემულია მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ისინი, გარკვეული გარემოების არსებობისას, განცალკევებით დაკმაყოფილების შესაძლებლობას მაინც იძენენ²¹⁶. კერძოდ, სხვა უზრუნველყოფილ კრედიტორებს შეუძლიათ, მონინაალმდევე კრედიტორისაგან ნომინალურ ღირებულებაში გამოისყიდონ მისი მოთხოვნა, ასევე, წარმოებიდან მოცილონ უზრუნველყოფილი კრედიტორი, თუკი მას განცალკევებით დაკმაყოფილების შესაძლებლობას მისცემენ. სხვა დანარჩენ კრედიტორებს კენჭისყრაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ ეძლევათ, როცა ყველა კრედიტორი გეგმის დამტკიცებას არ დაეთანხმება²¹⁷. ასეთ შემთხვევაში, მათ ისეთივე შესაძლებლობები აქვთ, რაც უზრუნველყოფილ კრედიტორებს²¹⁸.

ასევე უჩვეულოა, რომ სასამართლოს მხრიდან რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას კანონი არ ითვალისწინებს. ეს, თუნდაც, იმიტომ იყო აუცილებელი, რომ სადავო ყოფილიყო მიღებული გეგმის ძალმოსილების საკითხი. რეაბილიტაციის გეგმას უზრუნველყოფილი კრედიტორები ამტკიცებენ. რეაბილიტაციის გეგმის განხორციელება შემდგომში უკვე რეაბილიტაციის მმართველს ევალება. რეაბილიტაციის გეგმის შეცვლა შესაძლებელია, თუ კრედიტორები მიიჩნევენ, რომ მისი განხორციელება ნაწილობრივ შეუძლებელია. აქ მთლიანად ხდება მითითება იმ ნორმებზე, რომლებიც თავდაპირველი გეგმის დადგენას ეხება. ცალკეულ კრედიტორებს შეუძლიათ დაეთანხმონ საკუთარი მოთხოვნების შეცვლას ან მათ შემცირებას. რეაბილიტაციის მმართველი ამზადებს რეაბილიტაციის გეგმაში შესატან ცვლილებებს და „დასამტკიცებლად წარადგენს“. აქ, იგულისხმება, რომ ცვლილებებს ისევ უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა უნდა უყარონ კენჭი²¹⁹.

რეაბილიტაციის წარმოების შეწყვეტა, რომელსაც კანონისმიერ შედეგად გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება მოჰყვება, სასამართლოს შეუძლია მაშინ დაადგინოს, როცა რეაბილიტაციის გეგმა ვერ განხორციელდება. ნებისმიერ კრედიტორს შეუძლია წარადგინოს განცხადება და დაასაბუთოს რეაბილიტაციის გეგმის განხორციელების შეუძლებლობა. ამასთან, მან უნდა მიუთითოს, თუ გეგმის რომელი პუნქტები დაირღვა განაცხადის წარდგენის მომენტისათვის. განმარტებას საჭიროებს ის ნორმები, რომლებშიც მოცემულია სიტყვები: „გეგმის განხორციელება“, „განხორციელების შეუძლებლობა“ და „გეგმის დარღვევა“. ის, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს რეაბილიტაციის გეგმა, კანონში მხოლოდ ზოგადადაა აღწერილი²²⁰. როგორც წესი, გეგმაში ასახულია ის სამეურნეო ღონისძიებები, რომელთა

²¹⁵ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007 (მუხლი 47).

²¹⁶ კ. შნიტგერი, რ. მიგრიაული, „გადახდისუნარობის შესახებ“ კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011, გვ. 116.

²¹⁷ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007 (მუხლი 47, 49).

²¹⁸ კ. შნიტგერი, რ. მიგრიაული, „გადახდისუნარობის შესახებ“ კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011, გვ. 116-117.

²¹⁹ იქვე. გვ. 117-118.

²²⁰ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007 (მუხლი 46.3).

მეშვეობითაც გადახდისუუნარობა უნდა აღმოიფხვრას. შემდგომში გეგმა კონკრეტულად მიუთითებს, თუ როდის და რა გადახდები უნდა განხორციელდეს კრედიტორების მიმართ. კანონის ფორმულირებიდან გამომდინარე, ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება რეაბილიტაციის გეგმის დარღვევაში, თუმცა, ნათელია, თუ რა უნდა იგულისხმებოდეს მასში, კერძოდ, რეაბილიტაციის გეგმის დარღვევად ითვლება, თუ რეაბილიტაციის მმართველი არ განახორციელებს სარეაბილიტაციო გეგმით გათვალისწინებულ სამეურნეო ღონისძიებებს, სტრუქტურულ ცვლილებებს, არ მიიღებს გეგმით განერილ ზომებს და ა.შ., ან ამის ნაცვლად მიმართავს სხვა ღონისძიებებს, მაშინ მისმა ამ უმოქმედობამ წარმოების შეწყვეტა მანამდე არ უნდა გამოიწვიოს, სანამ კრედიტორებს გათვალისწინებულ თანხებს არ გადაუხდიან. კრედიტორებზე ვადის დარღვევით გადახდებმაც, აგრეთვე, მაშინვე არ უნდა გამოიწვიოს წარმოების შეწყვეტა.

რეაბილიტაციის წარმოების შესაწყვეტად კანონი არც თანხის მინიმალურ მოცულობას ითვალისწინებს, უფრო მეტიც, პროცესის შეწყვეტისთვის საკმარისად გეგმის შესრულების ყოველი დარღვევა მიიჩნევა. თუმცა ლოგიკურია, რომ რეაბილიტაციის წარმოება შეწყდეს არა იმ შემთხვევაში, როცა გეგმა ვერ ხორციელდება, არამედ მაშინ, როცა მისი განხორციელება შეუძლებელი ხდება. ამიტომ სასამართლომ ყველა გარემოებათა შეჯერების შემდეგ უნდა მიიღოს ბრძნული გადაწყვეტილება, ღირს თუ არა რეაბილიტაციის წარმოების გაგრძელება²²¹.

7.2. ახალი კანონით გათვალისწინებული სიახლეები²²²

„რეაბილიტაციის“ ცნებას „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი უფრო ფართოდ იყენებს, ვიდრე ეს მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, კერძოდ, რეაბილიტაცია შეეხება როგორც მოვალეს, ასევე, მის ბიზნესს (ბიზნესის მოვალის სუბიექტისაგან გამოცალკევებით და მოვალის შემდგომი ლიკვიდაციით) იმ აუცილებელი პირობით, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, **ამგვარი რეაბილიტაცია კრედიტორების კოლექტიური დაკმაყოფილების ან მათი ინტერესების პრიორიტეტული დაცვისაკენ უნდა იყოს მიმართული**. შესაბამისად, მართვაში დარჩენილი მოვალე ან რეაბილიტაციის მმართველი რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების მომენტიდან წარმოადგენს მოვალეს იმ სპეციფიკით, რომ **ფიდუციური მოვალეობები მას ამჟერად უკვე მოვალის კრედიტორთა ერთობლიობის მიმართ გააჩნია, ნაცვლად მოვალის პარტნიორებისა²²³. ამდენად, რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის შემდეგ მოვალის მართვაზე პასუხისმგებელი პირის ფიდუციურ ვალდებულებათა ტრიადის (ზრუნვის, ერთგულების, კეთილსინდისიერების) ვექტორი იცვლება და მას პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, კრედიტორების მიმართ ეკისრება.**

2020 წლის კანონით რეაბილიტაციის რეჟიმს ცალსახა და უპირობო პრიორიტეტი ენიჭება, რაც გამოიხატება როგორც გაცხადებული მიზნებისა და პრინციპების დონეზე, ასევე, კანონ-

²²¹ იქვე, გვ. 117-121

²²² „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020.

²²³ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 22.

ში რეაბილიტაციის წამახალისებელი არაერთი მექანიზმის გათვალისწინებით, როგორცაა მოვალის მართვაში დატოვება, გაკოტრების რეჟიმის რეაბილიტაციის რეჟიმში კონვერსიის შესაძლებლობა და სხვ.

პრიორიტეტების მიხედვითაა დალაგებული თავად რეაბილიტაციის წარმართვის გზები. კერძოდ, რეაბილიტაციის გეგმა, უპირატესად, მიმართული უნდა იყოს მოვალე-სუბიექტის გადარჩენისკენ, რა დროსაც კრედიტორული მოთხოვნები სრულად უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ კრედიტორული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია, რეაბილიტაციის გეგმა შეიძლება ითვალისწინებდეს კრედიტორული მოთხოვნების იმგვარ დაკმაყოფილებას, რომლის დროსაც თითოეული კრედიტორი მინიმუმ იმდენს მიიღებს, რასაც მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა (ფულადი ვალდებულებების შესრულების ხანგრძლივობასთან მიმართებით ინტერესის გათვალისწინებით); ამასთან, კრედიტორთა უმრავლესობისათვის რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული უნდა იყოს იმაზე უკეთესი შედეგი, ვიდრე მოვალის გაკოტრებისას დადგებოდა. ამ შემთხვევაში რეაბილიტაცია შეიძლება მოიცავდეს მოვალის, როგორც მოქმედი ბიზნესის, გადარჩენას, ასევე, მოვალის მთლიანი/არსებითად მთლიანი ბიზნესის/ქონების გასხვისებას, საქმიანობის გაგრძელებას კრედიტორების გრძელვადიანი დაკმაყოფილების მიზნით და სხვ²²⁴.

ეფექტიანი რეაბილიტაციის პროცესის წარმართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა **რეაბილიტაციის გეგმა**, კერძოდ, ვინ ადგენს აღნიშნულ გეგმას, ვინ იწონებს და ვინ ამტკიცებს მას, ასევე, როგორია მისი შინაარსი და რა როლი აქვს სასამართლოს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების პროცესში²²⁵. მიზანშეწონილია, რომ რეაბილიტაციის გეგმა ხისტი მიდგომების მატარებელი არ იყოს და მოვალის სრულ რეაბილიტაციაზე არ ჰქონდეს ორიენტირი. რეაბილიტაციის გეგმა ბიზნესგეგმის მსგავსი უნდა იყოს, რომელიც ნათელ და ცალსახა წარმოდგენას იძლევა სანარმო პროცესების ეფექტიანი წარმართვის გზით კრედიტორთა დაკმაყოფილების შესაძლებლობებსა და გარანტიებზე²²⁶.

მნიშვნელოვანია, განვასხვავოთ რეაბილიტაციის დროს **ერთიანი კომპლექსის სახით ბიზნესის გაყიდვა გაკოტრების დროს განხორციელებული იმავე ტიპის რეალიზაციისაგან**. რეაბილიტაციაში ამგვარი გაყიდვა იმ პირობით დაიშვება, თუ იგი კრედიტორთა ერთობლიობისთვის უკეთესი შედეგის მომტანი იქნება, ვიდრე გაკოტრებისას მისაღები მინიმუმია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რეაბილიტაცია არ არის დისტრიბუციის პროცედურა, არამედ ის კომპანიის ან ბიზნესის გადარჩენის პროცედურაა და, სწორედ, ამ გადარჩენის სქემის ფარგლებში ხდება კრედიტორთა დაკმაყოფილება ფულადი ან არაფულადი ფორმით (წილები, მოგებაში მონაწილეობა, დასაქმება და სხვ.). შესაბამისად, როდესაც ბიზნესის გაყიდვისას კრედიტორები დისტრიბუციის გზით მხოლოდ ფულს იღებენ – ეს გაკოტრების დროს გაყიდული ბიზნესია, ხოლო როდესაც ისინი ბიზნესს „გადაჰყვებიან“ – ეს რეაბილიტირებული კრედიტორი და ბიზნესია ერთად²²⁷. ამდენად, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის გაცხადებული მიზანი მოვალის რეაბილიტაციის გზით კრედიტორთა დაკმაყოფილებაა. თუმცა, მიზნის გაცხადება შესაბა-

²²⁴ იქვე. გვ. 22-23

²²⁵ UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, New York, 2005, p. 223.

²²⁶ *Ibid.* p. 224.

²²⁷ იქვე. გვ. 23-24.

მისი საკანონმდებლო დანაწესებისა და რეალური გეგმის გარეშე ფიქციაა. განსახილველ შემთხვევაში, მოვალის რეაბილიტაცია ფიქცია არ არის, რადგან კანონი ისეთ დებულებებს შეიცავს, **როგორცაა, მოვალის მართვაში დატოვების უფლება, გაკოტრების რეჟიმის რეაბილიტაციაში კონვერსიის შესაძლებლობა და სხვ.** ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მოვალის რეაბილიტაცია არა მიზანი, არამედ მიზნის მიღწევის უპირატესი გზაა. კანონის უპირატესი მიზანი კი, კრედიტორთა დაკმაყოფილებაა. შესაბამისად, რეაბილიტაცია უპირიანი მართოდენ მაშინაა, თუ აღნიშნული გზით კრედიტორები სრულად დაკმაყოფილდებიან ან მინიმუმ, იმ ოდენობით, რასაც ისინი მოვალის გაკოტრების გზით მიიღებდნენ. როგორც აღინიშნა, რეაბილიტაცია არ გამოირიცხავს ბიზნესის გაყიდვას, რა დროსაც კრედიტორები ბიზნესს მიჰყვებიან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესის გაყიდვით კრედიტორები კმაყოფილდებიან, აღნიშნული უკვე არა რეაბილიტირებული, არამედ გაკოტრების შედეგად გაყიდული ბიზნესია.

ეფექტიანი რეაბილიტაციის ერთ-ერთი კარგად აპრობირებული გზა – **მოვალე მართვაში** – რა დროსაც არსებული მენეჯმენტი, რომელიც კეთილსინდისიერად ახორციელებდა საქმიანობას, **აგრძელებს მართვას და ზედამხედველთან ერთად მონაწილეობს კრედიტორებთან მოლაპარაკებაში რეაბილიტაციის რეჟიმის წარმატებით დასრულების მიზნით.**

მოვალის მართვაში დატოვება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ რეაბილიტაციის რეჟიმში მოვალე შედის წარუმატებელი რეგულირებული შეთანხმების რეჟიმიდან, რა დროსაც, მას უკვე ჰქონდა შესაძლებლობა, მოვალე-სუბიექტის მენეჯმენტის შენარჩუნებით, ფინანსური კრიზისი მოეგვარებინა. თუ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით მოვალე მართვაში არ რჩება, რეაბილიტაციის მმართველი ინიშნება²²⁸. რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნისთანავე დირექტორს უფლებამოსილება უწყდება. ამასთან, რეაბილიტაციის განხორციელებისა და მმართველის მიერ თავის უფლება-მოვალეობათა ჯეროვნად შესრულების ხელშეწყობის მიზნით, დირექტორს რეაბილიტაციის მმართველთან თანამშრომლობის ვალდებულება ეკისრება. აღნიშნული საქმიანობისთვის დირექტორს გონივრული ანაზღაურება მიეცემა, რომლის ოდენობასაც რეაბილიტაციის მმართველი წყვეტს²²⁹. **ამდენად, რეაბილიტაციის მიზნებისათვის ან მოვალე რჩება მართვაში, რომელსაც რეაბილიტაციის ზედამხედველი ენიშნება, ან რეაბილიტაციის მმართველი ინიშნება, რა დროსაც, მართალია, დირექტორს უფლებამოსილება უწყდება, თუმცა, რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით, რეაბილიტაციის მმართველისათვის დახმარების განევის ვალდებულება ეკისრება, რისთვისაც მას ხელფასი ენიშნება.** დახმარება კი იმაში გამოიხატება, რომ მან, საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობა უნდა მიიღოს რეაბილიტაციის გეგმის შედგენასა და იმპლემენტაციაში, თუ ამას რეაბილიტაციის მმართველი მიზანშეწონილად ჩათვლის.

„მოვალეს მართვაში“ „რეაბილიტაციის მმართველის“ ანალოგიური უფლებამოსილებები და მოვალეობები გააჩნია, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, კერძოდ, „მოვალეს მართვაში“ არ აქვს უშუალოდ ზედამხედველისთვის განსაზღვრული ფუნ-

²²⁸ იქვე. გვ. 24-25.

²²⁹ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 72-73).

ქციები, მაგალითად, შეცილების უფლება, მოვალის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს მიღმა ვალდებულების აღების/ხელშეკრულების დადების უფლება და ა.შ.

ისმის კითხვა, შესაძლებელია, თუ არა მართვაში მყოფი მოვალის შეცვლა და ამგვარი შესაძლებლობის ასებობის შემთხვევაში, ვის ექნება ამის უფლება?

დაინტერესებულ პირთა მიმართვის საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს მართვაში მყოფი მოვალე რეაბილიტაციის მმართველით, თუ სახეზეა შეცილების საფუძველები (რომლის შედავების უფლებამოსილება მართვაში მყოფ მოვალეს არ გააჩნია) – მოვალის თაღლითობა, არაკეთილსინდისიერება, მოტყუება, არაკომპეტენტურობა, აუცილებელი ზრუნვის მოვალეობის დარღვევა, მმართველობითი საქმიანობის მნიშვნელოვანი დარღვევებით წარმართვა ან მართვის მიტოვება. მართვაში მყოფი მოვალე ნებისმიერ დროს შეიძლება შეცვალოს კრედიტორთა კრებამ ხმის უფლების მქონე დამსწრე კრედიტორთა არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით. მართვაში მყოფი მოვალის ხელმძღვანელობა-სა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირის გარდაცვალების შემთხვევაში ან სხვა გარემოების არსებობისას, რომლის გამოც აღნიშნული პირი ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს, მოსამართლე დაუყოვნებლივ ნიშნავს რეაბილიტაციის ზედამხედველს რეაბილიტაციის მმართველად.

რეაბილიტაციის ზედამხედველის მთავარი ფუნქციაა, ერთი მხრივ, მოვალის საქმიანობის ზედამხედველობა, ხოლო მეორე მხრივ, რეაბილიტაციის პროცესის წარმართვა მართვაში მყოფ მოვალესთან ერთად, მათ შორის, კრედიტორებთან მოლაპარაკებების წარმოება, რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება და სხვ²³⁰. რეაბილიტაციის მმართველის ფუნქციების ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და რეაბილიტაციის მმართველს უფლება აქვს, განახორციელოს ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც კანონით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის, თუ ის რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილებების ფარგლებში ხორციელდება²³¹. რეაბილიტაციის მმართველი ადგენს მოვალის საქმიანობის ანგარიშს, რომელშიც ზედმინევენით დეტალურად აისახება მოვალის საქმიანობის თაობაზე საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, მათ შორის, მოვალის ყველა აქტივი, ვალდებულება, კრედიტორებთან და პარტნიორებთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვ.

კრედიტორთა ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით, ახალი კანონით გათვალისწინებულია კრედიტორთა კომიტეტის შექმნის შესაძლებლობა. ამასთან, კრედიტორთა კომიტეტის შექმნა სავალდებულოა, თუ მოვალეს ჰყავს მინიმუმ 50 კრედიტორი და მოვალის მანევრებლები ბოლო სამეურნეო წლის შემდეგი 2 კრიტერიუმიდან ერთ-ერთს მაინც აკმაყოფილებს: ა) მისი აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს აღემატება; ბ) მისი წლიური შემოსავალი 20 მილიონ ლარს აღემატება²³².

რეაბილიტაციის გეგმა რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების თაობაზე განჩინების გამოქვეყნებიდან 2 თვის ვადაში უნდა მომზადდეს. აღნიშნული ვადა, დასაბუთებული შუამდგომლობით, არაუმეტეს 1 თვით, შეიძლება გაგრძელდეს. **მართვაში მყოფი მოვალე რეაბილი-**

²³⁰ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 74).

²³¹ იქვე (მუხლი 75).

²³² იქვე (მუხლი 76).

ტაციის გეგმას ზედამხედველთან ერთად ადგენს. იგი ვალდებულია გეგმის პროექტთან დაკავშირებით ზედამხედველის შენიშვნები გაითვალისწინოს. რეაბილიტაციის მიზნებისათვის, კრედიტორები გარკვეულ კომპრომისზე შეიძლება წავიდნენ. კანონი რეაბილიტაციის რეჟიმში კრედიტორების მხრიდან კომპრომისის სხვადასხვა ფორმებს ითვალისწინებს, მათ შორის, ვალდებულების შესრულების გადავადებას, ძირითადი ვალისა და პროცენტის შემცირებას, გაუქმებას და სხვ. რეაბილიტაციის გეგმით პრეფერენციული ვალები უპირატესად უნდა დაკმაყოფილდეს. რეაბილიტაციის გეგმა, შესაძლოა, მორატორიუმის ცალკეული ღონისძიებების რეჟიმის შემდგომ შენარჩუნებასაც ადგენდეს, სხვაგვარად, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებით პროცესი სრულდება და მორატორიუმის მოქმედება წყდება. ასევე, მიზანშეწონილია, რეაბილიტაციის გეგმა გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობის მექანიზმებსაც ასახავდეს, მათ შორის, მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის შენარჩუნებას. თუ რეაბილიტაციის გეგმა ასეთ მექანიზმს არ ითვალისწინებს, ნებისმიერი კრედიტორი, რეაბილიტაციის გეგმის სასამართლოს მიერ დამტკიცებამდე, უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს, რეაბილიტაციის გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობის კონკრეტული ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით²³³.

რეაბილიტაციის გეგმას ზედამხედველთან ერთად **მართვაში მყოფი მოვალე ადგენს**, თუმცა, რეაბილიტაციის გეგმა კრედიტორთა მხრიდან მოწონებას საჭიროებს. **რეაბილიტაციის გეგმა კრედიტორებმა რეაბილიტაციის რეჟიმის დანყების თაობაზე განჩინების გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში უნდა მოიწონონ.** აღნიშნული ვადა, კრედიტორთა კრების გადაწყვეტილებით, არაუმეტეს 3 თვით შეიძლება გაგრძელდეს. **ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ სასამართლო მიიღებს განჩინებას მოვალის გაკოტრების თაობაზე.** რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებაში მონაწილეობს ყველა კრედიტორი, რომლებზეც გეგმა ახდენს გავლენას. კერძოდ, კანონით განისაზღვრება, რომ **ყველა არაუზრუნველყოფილ კრედიტორს აქვს ხმის უფლება კრედიტორთა რეესტრში აღიარებული მოთხოვნის შესაბამისად**, ხოლო უზრუნველყოფილ კრედიტორს ხმის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეაბილიტაციის გეგმით მოვალესა და უზრუნველყოფილ კრედიტორს შორის არსებული ხელშეკრულების პირობები იცვლება.

რეაბილიტაციის გეგმას უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფები ცალ-ცალკე უყრიან კენჭს. გეგმის დასამტკიცებლად საჭიროა თითოეული ჯგუფის კრედიტორების უმრავლესობის თანხმობა. ნოვაციას წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახურის თანხმობა რეაბილიტაციის გეგმაზე, რომელიც გაცემულად ითვლება, თუ გეგმა ითვალისწინებს საგადასახადო მოთხოვნების ძირითადი თანხის სრულად დაკმაყოფილებას რეაბილიტაციის გეგმის ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად, თანაბარზომიერად მოთხოვნათა დაკმაყოფილების გზით. ამ ფორმით, კიდევ ერთხელ გამოიხატება სახელმწიფოს ნება, წაახალისოს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების პროცესი კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის გზით, თუ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფილი იქნება საგადასახადო მოთხოვნების ძირი თანხის დაფარვა. კრედიტორთა მიერ დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმა წარედგინება სასამართლოს, რომელიც ამოწმებს მის შესაბამისობას კანონით დად-

²³³ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 23-24.

გენილ მოთხოვნებთან²³⁴. გარდა თავად კრედიტორის მიერ გამოთქმული თანხმობის შემთხვევისა, დაუშვებელია ისეთი გეგმის დამტკიცება, რომლითაც: გათვალისწინებული არ არის დასაქმებულთა მოთხოვნების პრეფერენციული დაკმაყოფილება; დარღვეულია პროპორციულობის პრინციპი პრეფერენციულ კრედიტორთა ჯგუფში და არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფში; დარღვეულია კრედიტორთა გაკოტრების მინიმუმით დაკმაყოფილების ვალდებულება; უზრუნველყოფილი კრედიტორი მიიღებს უფრო ნაკლებს, ვიდრე უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების რეალიზაციით მიიღებდა; დაცული არ არის ახალი კრედიტორული მოთხოვნები²³⁵. გემოაღნიშნული პირობების დაცვით წარდგენილი გეგმის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილი იქნება, თავად დაამტკიცოს ისეთი რეაბილიტაციის გეგმა, რომელმაც ვერ მოიპოვა კანონით გათვალისწინებული კრედიტორთა საჭირო უმრავლესობა, მხოლოდ იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილ ან არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფიდან ერთი მაინც უჭერს მხარს გეგმას და სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს გონივრული ალბათობა იმისა, რომ გეგმა განხორციელდება და კრედიტორთა უფლებები დაცულია²³⁶.

რეაბილიტაციის გეგმა ძალაში შედის სასამართლოს მიერ დამტკიცებისთანავე, თუ გეგმით სხვა ვადა გათვალისწინებული არ არის (არაუგვიანეს გეგმის დამტკიცებიდან 1 თვისა). სასამართლოს მიერ დამტკიცებული გეგმა ყველა კრედიტორისთვის შესასრულებლად სავალდებულოა. ძალაში შესული გეგმა არ ათავისუფლებს მოვალეს იმ ვალისგან, რომელიც გეგმის დამტკიცებამდე წარმოიშვა, თუ კრედიტორს შეტყობინება კანონით დადგენილი წესით არ გაეგზავნა და არსებობს გონივრული ალბათობა იმისა, რომ კრედიტორმა არ იცოდა და არ შეიძლებოდა სცოდნოდა მოვალის მიმართ დაწყებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ; აგრეთვე, იმ საგადასახადო ვალდებულებისგან, რომელთან დაკავშირებითაც მოვალემ საგადასახადო დეკლარაცია თაღლითურად, მოტყუებით ან გადასახადისთვის განზრახ თავის არიდების გზით წარადგინა. აღნიშნული დასაბუთებული მოთხოვნების წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, ძალაში შესულ რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილება შეიტანოს და შესაბამისი კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, მისი ჯგუფის კრედიტორებისთვის დადგენილი წესითა და მოთხოვნის პროპორციულობის პრინციპის დაცვით, გაითვალისწინოს. კანონის თანახმად, ასევე, შესაძლებელია დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე სასამართლოს მიერ დამტკიცებული გეგმის გაუქმება, თუ გეგმის დამტკიცება მოტყუებით ან თაღლითური გზით მოხდა. აღნიშნული საფუძველით გეგმის გაუქმება დაიშვება გეგმის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 180 დღისა. გეგმის გაუქმების შესახებ განჩინება უნდა ითვალისწინებდეს სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობებს ნებისმიერი პირისთვის, რომელიც კეთილსინდისიერად დაეყრდნო გეგმას. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მხრიდან თითოეული ქმედება, მათ შორის, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება, ცვლილება რეაბილიტაციის გეგმაში და ა.შ. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში კერძო საჩივრით საჩივრდება.

²³⁴ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 24-25.

²³⁵ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 83).

²³⁶ იქვე (მუხლი 85).

კანონი უზრუნველყოფილ კრედიტორთა უფლებების რეალიზების ისეთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ითვალისწინებს, როგორცაა უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების რეალიზაციის მოთხოვნის უფლება (*ე.წ. right to separate satisfaction*)²³⁷. კერძოდ, 88-ე მუხლის თანახმად, **უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს** მისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების მიმართ მორატორიუმის მოხსნის შუამდგომლობით, თუ მას მორატორიუმის ღონისძიების გამოყენებით ზიანი ადგება (მაგალითად, ქონების ღირებულება მცირდება) და ამ ზიანის თავიდან აცილების ინტერესი კრედიტორთა თანაბარბოძიერი დაკმაყოფილების კანონისმიერ მიზანზე მნიშვნელოვანია. თუ რეაბილიტაციის მმართველი აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმება, ის ვალდებული იქნება, ამტკიცოს, რომ ქონება, რომელზედაც კრედიტორი მორატორიუმის ცალკეული ღონისძიების გაუქმებას ითხოვს, რეაბილიტაციის მიზნებისთვის საჭიროა. გარდა ამისა, რეაბილიტაციის მმართველი, საკუთარი ინიციატივით ან უზრუნველყოფილი კრედიტორის შუამდგომლობით, სასამართლოს უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ისეთი ქონების რეალიზაციაზე თანხმობის მისაღებად მიმართავს, რომელიც რეაბილიტაციის მიზნებისათვის საჭირო არ არის. ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა უზრუნველყოფილ კრედიტორებზე მათი რიგითობის შესაბამისად განაწილდება.

რეაბილიტაციის მმართველის საქმიანობა, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, შესაძლოა, კრედიტორის ან პარტნიორის მიერ სასამართლოში გასაჩივრდეს. სასამართლო უფლებამოსილია, თავისი გადაწყვეტილებით, რეაბილიტაციის მმართველის ფუნქციების შესრულება შემდეგნაირად დაარეგულიროს, კერძოდ, რეაბილიტაციის მმართველს კონკრეტული ქმედების განხორციელება ან განხორციელებისაგან თავის შეკავება დაავალოს, კრედიტორთა კრების მოწვევის საჭიროება დაადგინოს, ამგვარი მოთხოვნის არსებობისას, რეაბილიტაციის მმართველის შეცვლის საკითხი გადაწყვიტოს ან განმცხადებელს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი უთხრას, თუ მას დასაბუთებულად არ მიიჩნევს. რეაბილიტაციის მმართველის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დადგენის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, მის მიმართ შემდეგი ღონისძიებები გამოიყენოს: ფიდუციური მოვალეობის დარღვევის ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო, დააკისროს მას მოვალის ფულის ან ქონების დაბრუნება, აღდგენა ან მასთან დაკავშირებული სხვაგვარი პასუხისმგებლობა, პროცენტის გადახდა ან/და მოვალის სასარგებლოდ საკომპენსაციო თანხის გადახდა (ზიანის ანაზღაურება)²³⁸. მნიშვნელოვანია, იმის გარკვევა, თუ ვის და რა წესით აქვს რეაბილიტაციის მმართველის მიმართ სარჩელის აღძვრის უფლება. თუ საკითხი რეაბილიტაციის მმართველის მიერ ზიანის მიყენებას ეხება, ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელეა ის სუბიექტი, რომელსაც რეაბილიტაციის მმართველის ქმედებით ზიანი მიადგა. ვინაიდან რეაბილიტაციის მმართველის ფიდუციარები კრედიტორები არიან, ამიტომ რეაბილიტაციის მმართველის პასუხისმგებლობა კრედიტორ(ებ)ის სარჩელის საფუძველზე დგება. ასეთ შემთხვევაში, უპრიანია, რომ ზიანის საკითხი დაჩქარებული წესით დაკმაყოფილდეს, რადგან აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად თანხა ისევ მოვალეს უნდა მიემართოს, რათა მოვალის გაბრდილი ქონებიდან კრედიტორთა კოლექტი-

²³⁷ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 88).

²³⁸ იქვე (მუხლი 89).

ური დაკმაყოფილება მოხდეს. ამდენად, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ, ერთი მხრივ, რეაბილიტაციის მმართველის თითოეული ქმედების გასაჩივრება სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით, მაგ. კრედიტორთა კრების მოწვევა, მოწვევაზე უარი და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრებას ექვემდებარება და, მეორე მხრივ, რეაბილიტაციის მმართველისათვის თანხის დაკისრება, ქონების დაბრუნება და ა.შ. რაც ზიანის ანაზღაურების სარჩელად კვალიფიცირდება და მისი განხილვა დაჩქარებული სასარჩელო წარმოების წესით უნდა მოხდეს, რათა რეაბილიტაციისაგან მოპოვებული (მიღებული) ქონება გადახდისუუნარობის მასას მიეკუთვნოს და კრედიტორთა არა ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური დაკმაყოფილება მოხდეს.

რეაბილიტაციის მმართველს გადადგომის უფლებამოსილება აქვს, თუმცა, ამ უფლების განხორციელების დროს სრული ავტონომიით არ სარგებლობს, კერძოდ, მას გადადგომის უფლების გამოყენება მხოლოდ სასამართლოს ნებართვით შეუძლია. რიგ შემთხვევებში, სასამართლო არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიცაა რეაბილიტაციის მმართველს გადადგომაში დაეთანხმოს, თუ სახეზეა რეაბილიტაციის მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ასევე, როდესაც რეაბილიტაციის მმართველის გადადგომის მოთხოვნა ინტერესთა კონფლიქტის არსებობას უკავშირდება. ნებისმიერ შემთხვევაში, რეაბილიტაციის მმართველმა სასამართლოს, გადადგომის საფუძვლის არსებობის შესახებ, მინიმუმ, 10 დღით ადრე უნდა აცნობოს. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაციის შეწყვეტა ან შეჩერება რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილების შეწყვეტას ავტომატურად იწვევს, რის თაობაზეც მან სასამართლოსა და კრედიტორებს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს. გარდა სასამართლოსა და რეაბილიტაციის მმართველის ინიციატივისა, შესაძლებელია, ასევე, რეაბილიტაციის მმართველი კრედიტორთა კრებამ გადააყენოს, რისთვისაც კრედიტორთა კრებაზე დამსწრე ხმის უფლების მქონე კრედიტორების 2/3-ის უმრავლესობაა საჭირო²³⁹.

რეაბილიტაციის რეჟიმი რეაბილიტაციის გეგმის ძალაში შესვლისთანავე სრულდება. პროცესზე კრედიტორთა ზედამხედველობის მიზნით, რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირს, 6 თვეში ერთხელ, რეაბილიტაციის გეგმის შესრულებაზე ანგარიშის გამოქვეყნების ვალდებულება ეკისრება. რეაბილიტაციის გეგმის ძალაში შესვლის შემდგომი პროცედურა ხისტი არ არის და შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების შესაძლებლობას იძლევა, კერძოდ, თუ რეაბილიტაციის მმართველი მიიჩნევს, რომ **რეაბილიტაციის მიზნის მიღწევის გონივრული ალბათობა არ არსებობს**, სასამართლო, რეაბილიტაციის რეჟიმის გაკოტრების რეჟიმში **კონვერსიის თაობაზე**, განცხადებას იხილავს. იგივე სამართლებრივი შედეგი დგება მაშინ, თუ დამტკიცებული **რეაბილიტაციის გეგმა არ სრულდება**. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ნებისმიერ კრედიტორსა თუ რეაბილიტაციის გეგმის შესრულების ზედამხედველობაზე უფლებამოსილ პირს აქვს. ასეთ შემთხვევაში, მოვალეს რეაბილიტაციის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე წერილობითი მოსაზრებების წარმოდგენის უფლება ეძლევა. თუ სასამართლო განცხადებას დასაბუთებულად მიიჩნევს, აკმაყოფილებს მას და მოვალის მიმართ გაკოტრების რეჟიმის დაწყების თაობაზე განჩინება გამოაქვს. **აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის გეგმის შესრულების დარღვევად**

²³⁹ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 25-26.

რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული პირობების უმნიშვნელო დარღვევა არ ჩაითვლება. ასეთად, როგორც წესი, ისეთი დარღვევები მიიჩნევა, რაც რეაბილიტაციის მიღწევის რაციონალურ ალბათობას გამოირიცხავს.

7.3. საერთაშორისო სტანდარტისა და პროექტით გათვალისწინებული სიახლეების ურთიერთმიმართება

საერთაშორისოდ შემუშავებული სტანდარტის მიხედვით, რეაბილიტაცია არ უნდა გავიგოთ, როგორც მოვალის ისეთ კონდიციამდე მიყვანა, რომელიც მის სრულ სანაციას (ფინანსური სიძნელეების წარმოქმნამდე არსებულ მდგომარეობამდე მიყვანა) ან კრედიტორთა სრულ დაკმაყოფილებას ნიშნავს. რეაბილიტაცია მოვალის ისეთ მდგომარეობაში აღდგენას გულისხმობს, რომ მან ფუნქციონირების გაგრძელება შეძლოს, ხოლო კრედიტორების ინტერესი კი მოვალის რეაბილიტაციის მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი რეაბილიტაციით უკეთ უნდა დაკმაყოფილდნენ, ვიდრე ისინი მოვალის ქონების რეალიზაციით (გაკოტრება) დაკმაყოფილდებოდნენ. გარდა ამისა, საწარმოთა ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები სულ უფრო ამცირებს კომპანიების გაყიდვის გზით კრედიტორთა ეფექტიანი დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რადგან, როგორც წესი, კომპანიის ღირებულება ბევრად უფრო მეტია ვიდრე მისი ქონებრივი აქტივის ღირებულება. თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, კომპანიების არაქონებრივი სიკეთე (მაგ. გუდვილი), როგორც წესი, კომპანიის ფასს მაღლა წევს, ამიტომ, ისეთი კომპანიის შემთხვევაში, რომლის ფუნქციონირების ძირითადი წყარო ადამიანური ინტელექტია, პროგრამული უზრუნველყოფა და ა.შ. ასევე, მით უფრო, თუ იგი ბაზარზე კარგი რეპუტაციითაც სარგებლობს, ასეთ დროს, რეაბილიტაცია, გაკოტრებასთან შედარებით, საუკეთესო გამოსავალია²⁴⁰.

რეაბილიტაცია სხვადასხვა გზით მიიღწევა. რეაბილიტაციის მიზნებისათვის რეორგანიზაცია ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდად განიხილება, თუმცა, იმისდა მიხედვით, თუ რა სახის, მონაცემების, ფორმირებისა, თუ ეკონომიკური მდგომარეობის კომპანიაში ხდება რეორგანიზაცია, რეორგანიზაციის სხვადასხვა ფორმები არსებობს. გადახდისუუნარობის სამართალში რეორგანიზაცია მართლედნ სამეწარმეო სამართლებრივი დატვირთვით არ განიშარტება. რეორგანიზაცია შეიძლება მოვალისა და კრედიტორების მართივ შეთანხმებას გულისხმობდეს, რა დროსაც კრედიტორები ვალის ნაწილობრივ დაფარვას თანხმდებიან, მზარდ პროცენტსა და პირგასამტეხლოზე უარს ამბობენ და ა.შ.

რეორგანიზაცია შეიძლება უფრო კომპლექსური იყოს, როდესაც კრედიტორები მოვალესთან ვალების რესტრუქტურზაციაზე რიგდებიან. რეორგანიზაცია მოიცავს, ასევე, კრედიტორთა მოთხოვნების მოვალის აქციებში (წილებში) ასახვას (კონვერტაციას), რაც არსებულ აქციონერთა (პარტნიორთა) წილების შემცირებას იწვევს. დასაშვებია, ასევე, კომპანიის წილების გაყიდვა, რაც რეაბილიტაციის კომპონენტია და არა გაკოტრების, რადგან, ასეთ შემთხვევაში, კრედიტორებს შორის ამონაგების დისტრიბუცია კი არ ხდება, არამედ კრედიტორები გაყიდულ საწარმოს „მიყვებიან“. ამდენად, რეორგანიზაცია ფართო ტერმინია, რომელიც იმ ფარგლებში გამოიყენება, რის შესაძლებლობასაც, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში,

²⁴⁰ UNCITRAL, Legislative Guide oo Insolvency Law, United Nations, New york, 2005, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf, p. 42.

მოვალისა და კრედიტორების შეთანხმება იძლევა. შესაბამისად, რეორგანიზაციის დეფინიციური დატვირთვა გადახდისუნარობის სამართალში, მოვალისა და კრედიტორ(ებ)ის ურთიერთთანხმობით, ნებისმიერ ცვლილებას გულისხმობს, რომელიც მოვალის რეაბილიტაციას ემსახურება. რეორგანიზაციის კომპონენტებად განიხილება, ასევე, კომპანიის არასაქირო, გამოუსადეგარი ქონების გაყიდვა, ბიზნესის იმ მიმართულების შეზღუდვა (დახურვა), რომელიც მომგებიანი არ არის²⁴¹. რეორგანიზაცია რეაბილიტაციის მიღწევის საშუალებად განიშარტება. შესაბამისად, ფორმალურსამართლებრივად ის რეაბილიტაციის მიღწევის მეთოდად მიიჩნევა. როგორც წესი, რეორგანიზაცია რეაბილიტაციის გეგმაში აისახება და, შესაბამისად, მის არსებით შემადგენელ ნაწილად ითვლება. თუმცა, რეორგანიზაციის მომწესრიგებელ დებულებებს შეიძლება რეგულირებული შეთანხმებაც მოიცავდეს.

²⁴¹ *ibid.*

8. გაკოტრება

ქეთევან მესხიშვილი

8.1. გაკოტრება „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ 2007 წლის საქართველოს კანონის²⁴² შესაბამისად

„გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მიხედვით, გაკოტრების საქმის წარმოება იწყება **მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად** სასამართლოს მიერ გაკოტრების შესახებ გამოტანილი განჩინების გამოქვეყნების შემდეგ. გაკოტრების საქმის წარმოება დაიწყება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოვალე გადახდისუნარობის შესახებ განცხადებით პირდაპირ გაკოტრებას მოითხოვს. გაკოტრების პროცესში საწარმოს მართვასა და წარმომადგენლობას **გაკოტრების მმართველი ახორციელებს**. გაკოტრების მმართველს ირჩევენ კრედიტორები. თუ გაკოტრების მმართველი კრედიტორთა კრებამ არ აირჩია, გაკოტრების მმართველად სასამართლო **აღსრულების ეროვნულ ბიუროს ნიშნავს**. ამდენად, გაკოტრების მმართველი ან კრედიტორთა კრების მიერ შერჩეული პირია, ან აღსრულების ეროვნული ბიურო. გაკოტრების მმართველი შესაძლებელია იყოს როგორც **ფიზიკური, ისე იურიდიული პირი**. გაკოტრების მმართველი უნდა **იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი** (იურიდიული პირის შემთხვევაში – კარგი საქმიანი რეპუტაციის მქონე) პირი. გაკოტრების მმართველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ახორციელებს იმავე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე, ანუ, გადახდისუნარობის კანონის შესაბამისად, **გაკოტრების მმართველი და მოვალე ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იყოს**. გაკოტრების მმართველის უფლება-მოვალეობები, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხები **გაკოტრების მმართველსა და კრედიტორებს შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრება**. გაკოტრების მმართველი ვალდებული არ არის მოიძიოს მოვალის ქონება, თუ გაკოტრების მმართველსა და კრედიტორებს შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გაკოტრების მმართველად აღსრულების ეროვნული ბიუროს დანიშვნის შემთხვევაში, გაკოტრების მმართველის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასურის ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. მომსახურების საფასური სამეურვეო ქონებიდან ანაზღაურდება. აღსრულების ეროვნული ბიურო, როგორც გაკოტრების მმართველი, შეცვლასა თუ ჩანაცვლებას არ ექვემდებარება. რაც შეეხება კრედიტორთა მიერ არჩეულ მმართველს, ის შეიძლება შეიცვალოს თუ ერთ-ერთი კრედიტორი განცხადებით მიმართავს სასამართლოს და გაკოტრების მმართველის შეცვლის საჭიროებას სარწმუნოდ დაასაბუთებს. ამგვარი განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო გაკოტრების მმართველად აღსრულების ეროვნულ ბიუროს ნიშნავს.

²⁴² საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

სამეურვეო ქონება აუქციონის გზით იყიდება²⁴³. გამონაკლისს ფინანსური გირავნობის საგნები წარმოადგენს. პრაქტიკაში, ყოველთვის კითხვის ნიშნებს იწვევს ფინანსური გირავნობის რაობა. ფინანსური გირავნობის მსგავსი სამართლებრივი ინსტიტუტი არსებობდა, ჯერ კიდევ, ძველ რომში (*fiducia cum creditore contracta*), რომლის საფუძველზეც მოვალე საკუთრების უფლებას გადასცემდა კრედიტორს იმ პირობით, რომ ვალდებულების შესრულებისას უკან დააბრუნებდა საკუთრების საგანს, ხოლო *lex comissoria*-ს შემთხვევაში კი, კრედიტორს უფლება ჰქონდა, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებლობის შემთხვევაში, გამხდარიყო გირავნობის საგნის სრულფასოვანი მესაკუთრე²⁴⁴.

„ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, არსებობს **უზრუნველყოფის ფინანსური გირავნობა და საკუთრების გადაცემის ფინანსური გირავნობის ხელშეკრულება**. **უზრუნველყოფის ფინანსური გირავნობა** არის ფინანსური გირავნობის სახე, რომელიც ითვალისწინებს მოვალის ან მესამე პირის საკუთრებაში არსებული ფინანსური გირავნობის საგნის კრედიტორის (მოგირავნის) მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით იმგვარად დაგირავებას, რომ კრედიტორზე (მოგირავნზე) ამ გირავნობის საგანზე საკუთრების უფლება არ გადავიდეს, ხოლო **საკუთრების გადაცემის ფინანსური გირავნობის ხელშეკრულება სახეზეა**, თუ იგი დადებულია წერილობითი ფორმით (მათ შორის, ელექტრონული ფორმით ან სხვა სახდომ საშუალებით) და დამგირავებელი ფინანსური გირავნობის საგანზე საკუთრების უფლებას მოგირავნეს ან მისი სახელით მოქმედ პირს გადასცემს. საკუთრების გადაცემის ფინანსური გირავნობა წარმოიშობა მას შემდეგ, რაც მოგირავნეს ან მისი სახელით მოქმედ პირს გადაეცემა ფინანსური გირავნობის საგანზე საკუთრების უფლება და შეეძლება განკარგოს ფინანსური გირავნობის საგანი (მათ შორის, გაასხვისოს ან დააგირავოს) როგორც მესაკუთრემ. **ფინანსური გირავნობის ამოქმედება დაკავშირებულია მხარის დეფოლტთან ან მხარეთა მიერ განსა-**

²⁴³ გამონაკლისს წარმოადგენს ფინანსური გირავნობის საგნები, რომლის რეალიზაციაც „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ხორციელდება. ფინანსური გირავნობის საგნები დაკავშირებულია დერივატივის ცნებასთან, კერძოდ, დერივატივი (წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი) დაფუძნებულია სხვა ფინანსურ აქტივზე. დერივატივის ღირებულება არის მის საფუძვლად მყოფი აქტივების წარმოებული ფასი.

საბაზო დერივატივი (საბაზო აქტივი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტისა არის: ობლიგაცია, ვალუტა, აქცია, საფონდო ინდექსი ან სხვა დერივატივი, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების პორტფელი. ამ ინსტრუმენტების სხვა სახელწოდებაა – ფინანსური დერივატივები. გარდა ფინანსური დერივატივებისა არსებობს სასაქონლო დერივატივები, რომელთა საბაზო აქტივებად ითვლება რომელიმე საქონელი (ხორბალი, გაზი და ა.შ.). დეტარისს გააჩნია რიგი მახასიათებლები: ა) ანგარიშსწორება მასზე ხდება მომავალში; ბ) დერივატივის ფასი დამოკიდებულია საბაზო აქტივის ფასის რყევებზე; გ) სხვა ინსტრუმენტებისგან განსხვავებით, საწყის ეტაპზე დერივატივების ყიდვას შედარების ნაკლები ინვესტირება სჭირდება; აღნიშნული მახასიათებლებიდან ძირითადს წარმოადგენს გადახდის და მიწოდების ფაქტორი განვადება/გადადება (ისეთი დერივატივებისათვის როგორებიცაა ფორვარდები, ოფციონები, სვოპები და ფიუჩერები). დერივატივების სწორედ ასეთი მახასიათებლების გამო, ბირჟებზე ფართო გამოყენება მოიპოვა ტერმინმა „სწრაფი ბაზარი“, როდესაც გარიგება იდება ეხლა, ხოლო აქტივის მიწოდება და ანგარიშსწორება მოხდება გარკვეული პერიოდის შემდეგ. თავისი არსით დერივატივი არის ორ მხარეს შორის მოლაპარაკება ვალდებულების და/ან უფლების შესახებ აქტივი შექმნის თაობაზე მითითებულ დროს, წინასწარ შეთანხმებულ ფასად (წინასწარ – <https://www.geoforex.info/safondo-birja/1427-finan-suri-derativebi-da-sasaqonlo-derativebi>).

²⁴⁴ თ. გოდერძიშვილი, გ. ძიგუაშვილი, „ფინანსური გირავნობის სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა“, ეკონომიკა და საბანკო საქმე, თბილისი, 2015 წ.

ზღვრულ ნებისმიერ სხვა მოვლენასთან, რომლის მიხედვით, ფინანსური გირავნობის ხელშეკრულების დებულებების ან კანონის შესაბამისად, მოგირავნეს უფლება აქვს, დაისაკუთროს ფინანსური გირავნობის საგანი ან განახორციელოს მისი რეალიზაცია ან საბოლოო ურთიერთგაქვითვა. ამდენად, ფინანსური გირავნობის საგანი გადახდისუუნარობის მასაში მაშინაც არ შედის, თუ ასეთი საგნები გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის დროისათვის მოვალის საკუთრებას წარმოადგენს.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონით განსაზღვრული, გაკოტრების რეჟიმის ფარგლებში, გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციის ხისტი წესები და შეუსაბამოდ მცირე ვადები აღნიშნული კანონის ერთ-ერთ იმგვარ ხარვეზს წარმოადგენს, რომლის გამოც, აღნიშნული კანონი ერთ-ერთ არაეფექტიან კანონად არის მიჩნეული²⁴⁵.

2007 წლის კანონის მიხედვით²⁴⁶, სამეურვეო ქონების გაყიდვა აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით ხორციელდება. აუქციონი იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმისა და წესის დაცვით მიმდინარეობს. აუქციონის ხანგრძლივობა (აუქციონის დაწყებისა და დასრულების დრო) არ უნდა იყოს 7 დღეზე ნაკლები და 10 დღეზე მეტი. საგულისხმოა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით აუქციონის ხანგრძლივობის **უფრო მცირე დროს დადგენა შესაძლებელია, ვადის გახანგრძლივება კი არა**. თუ გაკოტრების მმართველი არ არის აღსრულების ეროვნული ბიურო, კრედიტორთა მიერ შერჩეული გაკოტრების მმართველი დანიშნვიდან 25 დღის ვადაში აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართავს სააუქციონო მომსახურების განვვის შესახებ განაცხადით და წარუდგენს სასამართლოს მიერ დამონშებულ სააუქციონო დოკუმენტაციას, რომელიც უნდა შეიცავდეს ზუსტ ინფორმაციას მოვალის, კრედიტორებისა და მათი მოთხოვნების, სარეალიზაციო ქონების და მისი საბაზრო ღირებულების შესახებ. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, თუ ეს აუცილებელია სააუქციონო მომსახურების განვვისათვის. აუქციონში მონაწილე პირთა წრის შეზღუდვა ან სხვა შეზღუდვების დანერგვა დაუშვებელია.

პირველი აუქციონი გაკოტრების მმართველის არჩევიდან ან დანიშნვიდან არა უმეტეს 40 დღის ვადაში ტარდება. **პირველი აუქციონის მიზანი სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით გაყიდვაა, შესაბამისად, დაუშვებელია პირველ აუქციონზე სამეურვეო ქონების ნაწილ-ნაწილ გაყიდვა. სამეურვეო ქონების საწყისი ფასი ამ ქონების საბაზრო ღირებულების 50%-ით განისაზღვრება**. თუ გაკოტრების მმართველი კრედიტორების მიერ დანიშნული პირია, ქონების საბაზრო ღირებულებას ექსპერტი ადგენს, ხოლო თუ გაკოტრების მმართველი აღსრულების ეროვნული ბიუროა, ასეთ შემთხვევაში, სამეურვეო ქონების საბაზრო ფასს თავად ბიურო განსაზღვრავს. აღნიშნული მიზნით, მას კომპეტენტური პირის (ექსპერტის) მოწვევის უფლებაც აქვს.

სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით გაყიდვას გარკვეული უპირატესობები აქვს, კერძოდ, როდესაც ქონება ერთიანი კომპლექსის სახით იყიდება, წარმოება არ ჩერდება, სამუშაო ადგილები წარჩუნდება და ა.შ. სწორედ აღნიშნული უპირატესობითაა განპირო-

²⁴⁵ დ. ონუხაიდი, პ. შნიტგერი, „გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმის ძირითადი საკითხები“, საქართველოს გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმის შემორანდუმი, გვ. 2.

²⁴⁶ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

ბებული პირველი აუქციონის მიზანი სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით გაყიდვის თაობაზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქონება, ერთიანი კომპლექსის სახით, სხვადასხვა სახით შეიძლება გაიყიდოს. ამ მიმართებით, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მოვალე სანარმოს ქონებისა (Asset deal) და მოვალე სანარმოს წილის გაყიდვა (Share deal). „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების“ შესახებ საქართველოს კანონი ორივე სახის გასხვისების შესაძლებლობას იძლევა²⁴⁷. თუმცა, სანარმოს ქონებისა, თუ წილების გაყიდვას შორის დიდი თეორიულ-პრაქტიკული სხვაობა არსებობს. რიგ შემთხვევაში, სანარმოს ქონების ყიდვა შეუძლებელია, ამრს მოკლებულია, მაგალითად, როცა კომპანია ლიცენზიას ან ნებართვას ფლობს, რომელიც კომპანიის საკუთრებაა და ქონებას არ მიყვება. წილების შეძენის დროს, შემძენი იძენს კომპანიას, ხოლო ქონება კი კომპანიის საკუთრებაა, შესაბამისად, მას პირდაპირი საკუთრების უფლება კომპანიის ქონებაზე არ აქვს. კომპანიის ქონებაზე მართლზომიერი წვდომა საკორპორაციო სამართლის თემაა. ამავდროულად, წილების შეძენის დროს, შემძენი ყველა იმ უფლებასა, თუ მოვალეობას იძენს, რაც კომპანიას გასხვისების დროისათვის აქვს. გარდა ამისა, წილების შეძენის შედეგად ახალი პარტნიორი ყველა იმ ხელშეკრულების (სამოქალაქო, შრომითსამართლებრივი) მონაწილე ხდება, რომელიც კომპანიას გააჩნია²⁴⁸. თუმცა, ამავდროულად, ისიც აღსანიშნავია, რომ წილების შეძენით შემძენი კომპანიასთან დაკავშირებულ ყველა არაქონებრივ უფლებასაც იძენს (სახელი, გუდვილი, პატენტი და ა.შ.). რაც შეეხება კომპანიის ქონების შეძენას, ქონებას კომპანიის ვალდებულებები არ მიყვება, თუმცა, შეიძლება გაყვეს სანივთო უფლებები (გირავნობა, იპოთეკა). შესაბამისად, როდესაც შემძენი მოქმედ სანარმოს ყიდულობს, მან კომერციულად უნდა შეაფასოს, რისი შეძენა უღირს, კომპანიის წილების (Share deal), თუ კომპანიის ქონების (Asset deal)²⁴⁹. ამავდროულად, ისიც აღსანიშნავია, რომ თუ ქონება ერთიანი სახით, გაკოტრების რეჟიმში აუქციონის წესით სხვისდება, ასეთ ვითარებაში, ერთიანი კომპლექსის სახით ქონება შემძენზე ყოველგვარი უფლებრივი ტვირთისა თუ ვალდებულებისაგან თავისუფალი გადადის. შესაბამისად, შემძენებისათვის, ხშირად, ძალიან მომგებიანია გაკოტრების რეჟიმში მოქმედი სანარმოს ერთიანი კომპლექსის სახით ყიდვა, იქნება ეს, წილების, თუ კომპანიის ქონების სახით. აქვე, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის სამეურვეო ქონების ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით შემძენი (შემძენები) სურვილისამებრ, შესაძლოა, ამ სანარმოს ერთადერთ პარტნიორად დარეგისტრირდეს. საკუთრების უფლების გადასვლის შედეგად სანარმო ახალ შემძენზე დაუტვირთავი და ვალებისაგან თავისუფალი გადადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში, ადგილი აქვს, სანარმოს პარტნიორების ცვლილებას. მთელი წარმოება კვლავინდებურად არსებობას აგრძელებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ძველი ვალდებულებების მიმართ აღნიშნული მოვალე თავისუფალია²⁵⁰. თავის მხრივ, მოვალეს, ყოველთვის ურჩევნია, რომ ქონება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე, უფრო ხელსაყრელ ფასად გაასხვი-

²⁴⁷ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007 (მუხლი 38.13).

²⁴⁸ S. Brandes, Acquisition of a business from insolvency proceedings in Germany, World Commerce Review, September 2012.

²⁴⁹ L. Nourse, Asset deal versus share deal: what's right for you?, Posted on May 6, 2015 in Corporate finance, Tax.

²⁵⁰ კერძო საჩივარი.

სოს, თუმცა, თუ ამ გზით მოვალემ თავად ნახა მოგება, ხოლო კრედიტორები უფლების დაცვის გარეშე დატოვა ან მართლოდენ ცალკეული კრედიტორის მოთხოვნა დააკმაყოფილა, ასეთი გასხვსება, დიდი ალბათობით, საცილოდ მიიჩნევა და ბათილად იქნება ცნობილი (იხ. საცილო გარიგებები).

თუ პირველ აუქციონზე სამეურვეო ქონება ერთიანი კომპლექსის სახით არ გაიყიდა, აუქციონის დასრულებიდან 10 დღის ვადაში, ანუ მეორე აუქციონის გამართვამდე, ნებისმიერ კრედიტორს, უფლება აქვს, გაკოტრების მმართველს სამეურვეო ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით მიმართოს. ამ შემთხვევაში, საუბარია სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით ერთ-ერთი კრედიტორის საკუთრებაში გადასვლაზე. თუმცა, კრედიტორი აღნიშნულ უფლებას მართლოდენ იმ შემთხვევაში იძენს, თუ პირველ აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილი ქონების საწყისი ფასი კრედიტორის მოთხოვნას ფარავს, მაგრამ არ აღემატება. ასეთ შემთხვევაში, კრედიტორი ვალდებულია, წინა და იმავე რიგების კრედიტორთა მოთხოვნები დაფაროს. ერთზე მეტი მიმართვის არსებობისას, ქონების საკუთრებაში მიღების უფლება იმ კრედიტორს წარმოეშობა, რომლის მიმართვაც სისტემაში უფრო ადრეა რეგისტრირებული.

ამდენად, **პირველ აუქციონზე ნებისმიერ პირს**, ხოლო პირველი აუქციონის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში **ნებისმიერ კრედიტორს** უფლება აქვს სამეურვეო ქონება ერთიანი კომპლექსის სახით შეიძინოს. მეორე აუქციონზე კი, რომელიც პირველი აუქციონიდან არაუმეტეს 40 დღეში ტარდება, სამეურვეო ქონების რეალიზაცია შეიძლება, **როგორც ერთიანი კომპლექსის სახით, ისე ნაწილ-ნაწილ განხორციელდეს**. თუმცა, მეორე აუქციონზე ქონება ნაწილ-ნაწილ სარეალიზაციოდ ავტომატურად არ გადის, **ამისათვის კრედიტორთა გადაწყვეტილებაა საჭირო**, რასაც ისინი პირველი აუქციონის დასრულებიდან 7 დღის ვადაში იღებენ. ამ შემთხვევაში კრედიტორები თავად განსაზღვრავენ სამეურვეო ქონების თითოეული ლოტის საწყის ფასს. თუ კრედიტორები დათქმულ ვადაში ზემოაღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ, მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონება იმავე წესით გაიყიდება, რა წესითაც პირველი აუქციონი ჩატარდა, ანუ აუქციონით გასაყიდად სამეურვეო ქონების შეთავაზება ისევ ერთიანი კომპლექსის სახით მოხდება, თუმცა, ამჯერად, მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონების საწყისი ფასი ქონების საბაზრო ღირებულების 25% იქნება.

თუ მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონება ვერ გაიყიდა ან მეორე აუქციონის ჩატარების შემდეგ სამეურვეო ქონების ნაწილი დარჩა, მეორე აუქციონის ჩატარებიდან არა უმეტეს 40 დღის ვადაში მესამე აუქციონი ტარდება. მესამე აუქციონზე სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით ან ნაწილ-ნაწილ რეალიზაციის ფორმის შესახებ გადაწყვეტილებას უკვე აღსრულების ბიურო იღებს და არა კრედიტორები. მესამე აუქციონზე სამეურვეო ქონების საწყისი ფასი ნულ ლარს შეადგენს. თუ მესამე აუქციონზე სამეურვეო ქონება ვერ გაიყიდა ან მესამე აუქციონის ჩატარების შემდეგ სამეურვეო ქონების ნაწილი დარჩა, აღსრულების ეროვნული ბიურო ელექტრონულ სისტემაში გამოაქვეყნებს ამ ქონების კრედიტორებისათვის საერთო საკუთრებაში გადაცემის შეთავაზებას. ქონება საკუთრებაში იმ კრედიტორებს გადაეცემათ, რომლებიც შეთავაზების გამოქვეყნებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ამ ქონების საკუთრებაში მიღების შესახებ განცხადებას წარადგენენ. კრედიტორებს, რიგითობის შესაბამისად, ქონება ნატურით, საბაზრო ღირებულებით გადაეცემათ. საერთო საკუთ-

რებაში კრედიტორების წილი მათი მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრება. იმ კრედიტორების წილი, რომლებიც ქონების საკუთრებაში მიღების სურვილს არ გამოთქვამენ, სხვა კრედიტორებზე თანაბრად გადანაწილდება. თუმცა, რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, არცერთმა კრედიტორმა თავის მოთხოვნაზე მეტი დაკმაყოფილება არ უნდა მიიღოს. როგორც აღინიშნა, „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონი ითვალისწინებდა წესს, რომლის მიხედვითაც, თუ დადგენილ ვადაში ქონების საკუთრებაში მიღების შესახებ განცხადებას არც ერთი კრედიტორი არ წარადგენდა, ქონება სახელმწიფო საკუთრებაში მიექცეოდა. აღნიშნული დანაწესი საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო, რადგან საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებულ დანაწესს ლეგიტიმური გამართლება და მართლზომიერი მიზანი არ ქონდა²⁵¹.

„გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონი კრედიტორების მიმართ სპეციალური რეგულაციით ხასიათდება, კერძოდ, კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფილი კრედიტორები გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობენ, კერძოდ, მათ უფლება აქვთ, შეაჩერონ კრედიტორების მიერ მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები: ა) გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველთან დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ; ბ) რეაბილიტაციის ვადის განსაზღვრის შესახებ. უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ ამ უფლების გამოყენებისას, გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდება და საკითხი მოლაპარაკების გზით გადაწყდება. შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხს სასამართლო წყვეტს.

კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა კი, შემდეგი წესით განისაზღვრება: **პირველი რიგი** – საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური; **მეორე რიგი** – გადახდისუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის თარიღიდან მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები; **მესამე რიგი** – მეურვის დანიშვნასთან და მის მიერ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი; **მეოთხე რიგი** – ყველა უზრუნველყოფილი მოთხოვნა, მათ შორის, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი მოთხოვნები; **მეხუთე რიგი** – საგადასახადო დავალიანებები; **მეექვსე რიგი** – ყველა დანარჩენი აღიარებული არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა; **მეშვიდე რიგი** – დაგვიანებით წარდგენილი კრედიტორთა მოთხოვნები.

აღსანიშნავია, რომ ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ დაკმაყოფილდება. ეს არის კანონით გათვალისწინებული რიგითობა, რომელიც ცვლილებას შეიძლება დაექვემდებაროს. თუ გასანაწილებელი თანხა ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის, მაშინ ეს მოთხოვნები ამ რიგის თითოეული **კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად დაკმაყოფილდება**. კანონით გათვალისწინებული რიგითობა **კრედიტორებმა შეიძლება შეცვალონ**. ნიშანდობლივია, რომ კრედიტორთა შეთანხმებას უკლებლივ **ყველა კრედიტორი უნდა დაეთანხმოს**. კანონით გათვალისწინებული რიგითობის შეცვლა მაშინაც დასაშვებია, როდესაც **კრედიტორი თავის მოთხოვნაზე ნაწილობრივ უარს ამ-**

²⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 18.04.2019 წლის N1/2/1250 გადაწყვეტილება.

ბობს. თავის მოთხოვნაზე ნაწილობრივ უარის მთქმელ კრედიტორს უფლება აქვს, თავისი რიგის კრედიტორებთან შედარებით უპირატესი დაკმაყოფილება მოითხოვოს. თუმცა, ამისათვის, მისი რიგის ყველა კრედიტორის თანხმობაა საჭირო. საკუთარი მოთხოვნის ნაწილობრივ დათმობის გზით, **კრედიტორმა შეიძლება წინა რიგშიც გადაინაცვლოს.** ამისათვის კი წინა რიგის ყველა კრედიტორის თანხმობაა საჭირო. კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობა არ ვრცელდება ფინანსურ გირაოზე, რომელიც უპირატეს დაკმაყოფილებას ექვემდებარება²⁵².

უზრუნველყოფილი კრედიტორები მეოთხე რიგის კრედიტორებს განეკუთვნებიან. თუ აუქციონზე გასაყიდი დატვირთული ნივთის სყიდვის ფასი უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნაზე მეტია, ასეთი კრედიტორის დაკმაყოფილება მხოლოდ თავისი მოთხოვნის მოცულობით ხდება, ხოლო, თუ აუქციონზე გასაყიდი დატვირთული ნივთის სყიდვის ფასი უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნაზე ნაკლებია, ასეთი კრედიტორი მხოლოდ ამ რეალიზაციით მიღებული თანხის მოცულობით დაკმაყოფილდება, ხოლო დარჩენილი ვალი არაუზრუნველყოფილ მოთხოვნებში ჩაითვლება. უსამართლოდ უნდა იქნეს მიჩნეული ის ზოგადი წესი, რომელიც უზრუნველყოფილი კრედიტორების შემთხვევაშიც მუშაობს, კერძოდ, თუ გასანაწილებელი თანხა საკმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება ამ რიგის თითოეული **კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად. ამდენად, თუ ერთი რიგის მოთხოვნთა ჯამი ძალიან დიდია, ხოლო ერთ-ერთ უზრუნველყოფილი კრედიტორის უზრუნველყოფის საგანი ბევრად უფრო ღირებულია, ვიდრე მისი მოთხოვნა, შესაძლებელია, რომ მისი მოთხოვნის მცირე პროპორციის გათვალისწინებით, ღირებული უზრუნველყოფის საგნის მიმართ მოთხოვნის უფლების მქონე კრედიტორი სრულად ვერ დაკმაყოფილდეს.**

გაკოტრების საქმის წარმოება დასრულდება გაკოტრების მმართველის მიერ სამეურვეო ქონების რეალიზაციისა და რეალიზაციით მიღებული თანხის, ამ კანონის შესაბამისად, განაწილებისთანავე. გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა ინფორმაციის შესაბამისად, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისა და საწარმოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. პრობლემურია დებულება, რომლის მიხედვითაც, საწარმოს გაკოტრების შემდეგ დარჩენილი გაუნაწილებელი თანხა აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში მიექცევა. გაუნაწილებელი თანხა, თავის მხრივ, გულისხმობს თანხას, რომელიც ყველა რიგის კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ დარჩა. შესაბამისად, კითხვის ნიშნებს ბადებს ის, თუ რატომ არ უბრუნდება აღნიშნული თანხა მოვალის პარტნიორებს. მაგალითისათვის, მენარმე სუბიექტთა ლიკვიდაციის შემთხვევაში, ლიკვიდაციიდან 3 თვის განმავლობაში, დარჩენილი თანხა 3 თვის მანძილზე დეპონირდება. აღნიშნული 3 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, დეპონირებული თანხები (ქონება) პარტნიორებს შორის ნაწილდება.

²⁵² ფინანსური გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისისა და დერევატივების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

8.2. ახალი კანონით გათვალისწინებული სიახლეები²⁵³

ახალი კანონით გათვალისწინებული სიახლეა **კრედიტორთა მაქსიმალურად ეფექტიანი დაკმაყოფილება**. გაკოტრების ნაწილში, კანონის მთავარი მონაპოვარია: ა) მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მოქნილი პროცედურები მოვალის ქონების მაქსიმალურად მაღალი ღირებულებით რეალიზაციისათვის; ბ) ძლიერი გაკოტრების მმართველი; გ) კრედიტორთა დაკმაყოფილების წესისა და რიგითობის მაქსიმალურად სამართლიანი რეგულაციები²⁵⁴.

გაკოტრების მმართველი, რომელიც, პირველ რიგში, კრედიტორთა ფიდუციარია, უფლებამოსილია, თავად აირჩიოს გადახდისუნარობის რეალიზაციის ფორმა, რათა კრედიტორთა მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება უზრუნველყოს. ამ მიზნით, გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია, გადახდისუნარობის მასის რეალიზაცია განახორციელოს ქონების რეალიზაციისათვის კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი ფორმით, მოქმედი ბიზნესის სახით, გადახდისუნარობის მასის ერთიანი კომპლექსის სახით ან ნაწილ-ნაწილ. ფორმის შერჩევასა გაკოტრების მმართველმა უნდა მოახდინოს ქონების იმ გზით რეალიზაცია, რომლიდანაც მოსალოდნელია უფრო მეტი თანხის ამოღება. გაკოტრების მმართველს უფლება აქვს ქონების რეალიზაციისათვის ნებისმიერი დასაშვები ფორმა გამოიყენოს, იმისათვის, რომ მიაღწიოს ქონებიდან მაქსიმალური თანხის ამოღებას და კრედიტორთა მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას.

გაკოტრების მმართველისათვის ფართო უფლებამოსილების მინიჭების პარალელურად, **კრედიტორთა ჩართულობა გაკოტრების მასის რეალიზაციის საქმეში შენარჩუნებულია**. უფრო მეტიც, კრედიტორთა მაქსიმალური ჩართულობისათვის გაკოტრების მმართველი აქვეყნებს რეალიზაციის ფორმის შერჩევის თაობაზე ინფორმაციას და კრედიტორი უფლებამოსილია, მას ქონების რეალიზაციის ალტერნატიული შეთავაზებით მიმართოს, რომელიც კრედიტორთა ერთობლიობისთვის უფრო მომგებიანი იქნება. აღნიშნული წესი უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას. **რეალიზაციის ფორმის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას გაკოტრების მმართველი იღებს**, რაც მოქნილი და სწრაფი პროცედურების წინაპირობაა, ვინაიდან ამ უკანასკნელს კანონით დაკისრებული პასუხისმგებლობის ფონზე, უნდა ჰქონდეს თავისუფლება, იმოქმედოს დამოუკიდებლად და სწრაფად. სხვადასხვა სახის შეფერხებების არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა, პროცედურები გაჭიანურდეს და სარეალიზაციო ქონება გაუფასურდეს²⁵⁵.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მიხედვით, ქონების გასხვისება მართოდენ აუქციონის გზითაა შესაძლებელი, რა დროსაც, პირველ აუქციონზე, ყველა შემთხვევაში, ქონების გატანა ერთიანი სახით ხდება, მის საწყისი ფასი კი, ქონების საბაზრო ღირებულების 50%-ია, მეორე ჯერზე, იმისათვის, რომ ქონება ნაწილ-ნაწილ გაიყიდოს, კრედიტორთა გადაწყვეტილებაა საჭირო. კრედიტორთა გადაწყვე-

²⁵³ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, მიღების თარიღი: 06/02/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 06/02/2020

²⁵⁴ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 29.

²⁵⁵ იქვე. გვ. 30-31.

ტილების გარეშე, ქონების ნაწილ-ნაწილ გასაყიდად გატანა მხოლოდ მესამე აუქციონზე დასაშვებია, ისიც ნულოვანი ფასით.

გაკოტრების მმართველი გვევლინება პროცესის ძლიერ მონაწილედ, რომელსაც უფლება აქვს მართოს ქონება, გაასხვისოს ის სხვადასხვა დროს, საჭიროების მიხედვით (მაგალითად, მოახდინოს მალეფუჭებადი პროდუქტის სწრაფი რეალიზაცია სამეურვეო მასის გაუფასურების თავიდან ასაცილებლად), ნებისმიერ დროს გაანაწილოს მიღებული თანხა კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, დადოს ან შეწყვიტოს სხვადასხვა გარიგებები გაკოტრების მიზნებისათვის. გაკოტრების მმართველის ამოცანაა, შეაგროვოს მოვალის ქონება და მოახდინოს მისი რეალიზაცია. მას ასევე შეუძლია მოვალის მართვა, ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. მასვე, უფლება აქვს, აწარმოოს დავები, განახორციელოს შეცილება, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, გაკოტრების რეჟიმის შესახებ განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი მოთხოვნების, მათ შორის, საგადასახადო ვალდებულებების შესრულება, მოიწონოს ან შეწყვიტოს არსებული ხელშეკრულებები, დადოს ახალი ხელშეკრულებები, შეისყიდოს სხვადასხვა პროფესიული მომსახურება და სხვ.

ამდენად, გაკოტრების მმართველს, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დამყოფილების შესახებ“ კანონის მიხედვით, **ძალიან ფართო უფლებამოსილების პარალელურად, მაღალი პასუხისმგებლობაც გააჩნია**. მისი უფლებამოსილება, სრულად მართოს მოვალის ქონება, მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული ქონების გასხვისების ფორმისა და წესის თაობაზე, **შეზღუდულია გაკოტრების მმართველის პასუხისმგებლობით განახორციელოს თავისი ფუნქციები შეძლებისდაგვარად სწრაფად და ეფექტიანად**. ნებისმიერ შემთხვევაში, გაკოტრების მმართველმა თავისი ფუნქციები უნდა განახორციელოს იმგვარად, რომ გაუმართლებლად და აუცილებლობის გარეშე არ გამოიწვიოს კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესის დაზიანება, რაც იმას ნიშნავს, რომ გაკოტრების მმართველი, როგორც მოვალის მართვაზე, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, გაკოტრების მიზნებისათვის საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით. შესაბამისად, მოვალის კრედიტორების მიმართ ის პასუხს აგებს გულისხმიერების ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანისთვის. გულისხმიერების ვალდებულების დაცვის პირობებში გაკოტრების მმართველის ასეთი მრავალფეროვანი უფლებამოსილებით აღჭურვამ უნდა უზრუნველყოს კრედიტორებისათვის მაქსიმალური შედეგის მიღწევა²⁵⁶. აქვე, ისიც აღსანიშნავია, რომ გაკოტრების მმართველის პასუხისმგებლობის ფორმა იდენტურია რეაბილიტაციის მმართველის პასუხისმგებლობისა, კერძოდ, დასაშვებია გაკოტრების მმართველის ქმედების საფუძველზე საჩივრის წარდგენა, რაზეც მიღებული განჩინება კერძო საჩივრით საჩივრდება. თუ გაკოტრების მმართველის მიერ განხორციელებული ქმედების, ანდა მიღებული გადაწყვეტილების უსწორობამ ქონებრივი დანაკლისი გამოიწვია, შესაძლებელია, ასევე, მის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. აღნიშნული სარჩელის დაჩქარებულად განხილვის მიზანშეწონილობა იმაში მდგომარეობს, რომ გაკოტრების მმართველის ქმედებით გამოწვეული ქონებრივი დანაკლისი გადახდისუუნარობის მასაში უნდა ჩაბრუნდეს, რათა აღნიშნული დანაკლისი კრედიტორებზე რიგის მიხედვით, სამართლიანად გადანაწილდეს.

²⁵⁶ იქვე. გვ. 32-33.

ახალი კანონით ახლებურად წესრიგდება კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობა. პირველ რიგში, აღსანიშნავია უზრუნველყოფილ კრედიტორთა უფლებების მნიშვნელობა. თუ 2007 წლის კანონით შემოთავაზებული უზრუნველყოფის ინსტიტუტი ეკონომიკური ურთიერთობებისთვის და ბიზნესსექტორისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა, ახალი კანონით ეს პრობლემა აღმოფხვრილია – უზრუნველყოფილი კრედიტორის კავშირი ნივთთან აღარ უქმდება, ხოლო ერთ ნივთზე რამდენიმე უზრუნველყოფის არსებობის შემთხვევაში სანივთო უფლებების ის რიგითობაც შენარჩუნებულია, რაც საჯარო რეესტრშია რეგისტრირებული. **ამასთან, კანონით უზრუნველყოფილ კრედიტორთა რიგი გათვალისწინებული არ არის, ვინაიდან მათი უპირატესი დაკმაყოფილება უშუალოდ დატვირთული ნივთის ხარჯზე ხორციელდება, ხოლო მთლიანი მასის რეალიზაციიდან ამონაგები თანხით ისინი პრიორიტეტულად აღარ დაკმაყოფილდებიან**²⁵⁷.

ახალი კანონის ყველაზე მნიშვნელოვან სიახლეს, სწორედ, ის წარმოადგენს, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორები უზრუნველყოფის საგნიდან გადახდისუწარობის დაწყებამდე დადგენილი წესების შეუცვლელად კმაყოფილდებიან. აქედან გამომდინარე, ქონება, რომელიც უზრუნველყოფის საგნად გამოყენებულია, გადახდისუწარობის მასაში არ შედის. თუმცა, თუ გაკოტრების მმართველი მიიჩნევს, რომ მოქმედი ბიზნესის გაყიდვით უფრო მაღალ ამონაგებს მიიღებს და ამისათვის გაკოტრების მასაში უნდა გაითვალისწინოს უზრუნველყოფის საგნები, მას შეუძლია გაყიდოს უზრუნველყოფის საგნები მოქმედი ბიზნესის მასასთან ერთად, უზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესების შეუღალადად²⁵⁸. პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს გაკოტრების მმართველს უზრუნველყოფილი ქონების იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზით რეალიზაციის მოთხოვნით. გაკოტრების მმართველი უზრუნველყოფს ქონების რეალიზაციას პირველი რიგის იპოთეკარის მოთხოვნის შესაბამისად. გაკოტრების მმართველი რეალიზაციიდან მიღებულ თანხას ჩამოაჭრის 7 პროცენტს, რომელიც გადახდისუწარობის მასაში შედის. უზრუნველყოფილი კრედიტორები, მათ შორის, შემოსავლების სამსახური, შესაბამისი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხიდან კმაყოფილდებიან სამოქალაქო კოდექსითა და სხვა კანონებით დადგენილი რიგითობის შესაბამისად, ხოლო ყველა კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი თანხა გადახდისუწარობის მასაში შევა. თუ ნივთის რეალიზაციიდან მიღებული თანხა უზრუნველყოფილი კრედიტორ(ებ)ის მოთხოვნაზე ნაკლებია, ასეთი კრედიტორის თანხმობის შემთხვევაში, მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში განთავსდება. თუ იპოთეკის (სამოქალაქო კოდექსის 301, 1¹) ანდა გირავნობის (სამოქალაქო კოდექსის 276.2) საგნის არსებობის პირობებში, **მხარეები შეთანხმებულები არ არიან** ამონაგები თანხის არასაკმარისობის პირობებში მთლიანი ქონებით პასუხისმგებლობის თაობაზე, ვალდებულება შეწყვეტილად ჩაითვლება²⁵⁹.

²⁵⁷ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 104-105)

²⁵⁸ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 30-31.

²⁵⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301,11 და 276.2 მუხლები.

ამრიგად, უზრუნველყოფილი კრედიტორები კმაყოფილდებიან უზრუნველყოფის საგნიდან გადახდისუუნარობის დაწყებამდე დადგენილი წესების შეუცვლელად. აქედან გამომდინარე, ქონება, რომელიც გამოყენებულია უზრუნველყოფის საგნად, არ შედის გადახდისუუნარობის მასაში. თუმცა, თუ გაკოტრების მმართველი მიიჩნევს, რომ მოქმედი ბიზნესის გაყიდვით უფრო მაღალ ამონაგებს მიიღებს და ამისათვის გაკოტრების მასაში უნდა გაითვალისწინოს უზრუნველყოფის საგნები, ახალი კანონის შესაბამისად, მას შეუძლია გაყიდოს უზრუნველყოფის საგნები მოქმედი ბიზნესის მასასთან ერთად, უზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესების შეუღალავად.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის²⁶⁰ სიახლეა გაკოტრების რეჟიმის რეაბილიტაციის რეჟიმში კონვერსიის შესაძლებლობა. გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია რეაბილიტაციის განცხადებით მიმართოს სასამართლოს, თუ ხედავს რეაბილიტაციის გონივრულ ალბათობას. ასევე, სიახლეა ის, რომ გაკოტრების დასრულების შემდეგ დარჩენილი ქონება პარტნიორებს შორის მათი წილის პროპორციულად ნაწილდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2007 წლის კანონი განაწილების შემდეგ დარჩენილი ქონების ბედს განსხვავებულად განსაზღვრავს და მას სახელმწიფო საკუთრებაში მიაქცევს. ასეთი მიდგომის კონსტიტუციურობის საკითხი ეჭვქვეშ დგას და, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ პროცესის დასრულების შემდეგ მართლაც დარჩეს რაიმე სახის ქონება, ახალი რეგულაცია არსებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ პრობლემას აღმოფხვრის²⁶¹.

ამდენად, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ხარვეზები, რომელიც გაკოტრების ნაწილს შეეხებოდა, ახალი კანონით სრულად აღმოფხვრილია. პირველ რიგში, ეს გაკოტრების მმართველის როლის გაძლიერებას, გადახდისუუნარობის მასის ეფექტიან რეალიზაციასა და, რაც მთავარია, უზრუნველყოფილი კრედიტორების კრედიტორთა რიგიდან ამორიცხვას ეხება. აქვე აღსანიშნავია, გაკოტრების შემდგომი წესები, რომლის მიხედვითაც დარჩენილი თანხები არა სახელმწიფოს, არამედ პარტნიორებს მიემართება.

ახალი კანონით გაჩნდა სპეციალური რეჟიმის სტატუსის მქონე მოვალის ცნება. კერძოდ, თუ მოვალის საქმიანობის შეჩერება/შენწყვეტა **არსებით ზიანს მიაყენებს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესს, სასამართლოს შეუძლია ასეთ პირს მიანიჭოს სპეციალური რეჟიმის მქონე მოვალის სტატუსი**. ასეთი მოვალის ქონების რეალიზაცია ხორციელდება ერთიანი კომპლექსის სახით ან სხვა იმგვარი ფორმით, რომელიც ხელს არ შეუშლის მისი საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნებას. დაუშვებელია შემძენის მიერ აღნიშნული მოვალის საქმიანობის პროფილის შეცვლა და შემძენი იღებს ვალდებულებას, რომ გააგრძელებს იმავე საქმიანობას, რასაც ეწეოდა გაკოტრებული მოვალე. ამგვარი სტატუსის შემოღების საჭიროება პრაქტიკაში გამოვლენილმა შემთხვევებმა განაპირობა, როდესაც საქმე ეხება კონკრეტული რეგიონის თუ მთლიანად ქვეყნისათვის საჭირო ისეთი სერვისის მიმწოდებელ მოვალეს, რომლის ქონების ცალ-ცალკე გაყიდვა და მისი პროფილის შეცვლა გამოიწვევს

²⁶⁰ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020 (მუხლი 107).

²⁶¹ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 32.

კონკრეტული სერვისის პარალიზებას, თუ მისი სხვა მომწოდებლით ჩანაცვლება შეუძლებელია ან ეს რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნება. ასეთ სერვისად შეიძლება მოიაზრებოდეს კომუნიკაციების, სამედიცინო სერვისის მიწოდება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა.შ.²⁶²

²⁶² იქვე, გვ. 32.

9. რეგულირებადი შეთანხმება

ნანა ამისულაშვილი

9.1. რეგულირებადი შეთანხმების შექმნის ისტორია და რაციონალი

ფინანსური კრიზისის დროს ადრეული ჩარევის მექანიზმების ერთ-ერთი პირველი დახვეწილი საკანონმდებლო ვერსია შემოღებულ იქნა გაერთიანებულ სამეფოში, ჯერ კიდევ, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში. მართალია სამენარმეო კანონმდებლობაში მანამდეც არსებობდა პროცედურები, რომლებიც გამოიყენებოდა სანარმოს კრიზისის დროს მოვალის მიერ კრედიტორებთან შეთანხმების მისაღწევად, მაგრამ ეს პროცედურები შესაბამის იყო ისეთ სიტუაციაში, როცა საჭირო ხდებოდა გადახდისუნარობის წინაშე მყოფი კომპანიის გადასარჩენად შეთანხმების დაჩქარებულ ვადებში მიღწევა.²⁶³

1977 წლის იანვარში გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ შეიქმნა გადახდისუნარობის კანონმდებლობისა და პრაქტიკის გადასინჯვის კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სერ კენეთ კორკი²⁶⁴. კომიტეტმა, ხუთწლიანი ინტენსიური მუშაობის შემდეგ, 1982 წლისთვის მოამზადა მოხსენება, რომელიც „კორკის მოხსენების“ სახელით არის ცნობილი. „კორკის მოხსენება“ მოიცავდა გაერთიანებული სამეფოს გადახდისუნარობის კანონმდებლობის მოდერნიზაციისა და რეფორმის საჭიროებაზე კვლევას და რეკომენდაციებს.

კომიტეტი თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდა გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადახდისუნარობის მექანიზმის ხარისხის გაუმჯობესებას. ამ მექანიზმს სათანადოდ უნდა უზრუნველყოფდეს გადახდისუნარობის პროცესის უპირატესი მიზნების მიღწევა, კერძოდ, ერთი მხრივ, კრედიტორების (უფრო ფართოდ – საზოგადოების) და, მეორე მხრივ, კრიზისში მყოფი მოვალის შესაბამისი ინტერესების დაბალანსება და უმაღლესი კომერციული მორალისა და ბიზნესის მთლიანობის, შეძლებისდაგვარად, მაღალი სტანდარტის შენარჩუნება.²⁶⁵ კომიტეტის შეფასებით, იმ პერიოდში ხშირად ხდებოდა გადახდისუნარობის მექანიზმის გამოყენება არასათანადო შემთხვევებისათვის, მათ შორის, განსხვავებული არასათანადო ფაქტორებიდან გამომდინარე. განხორციელებული მრავალმხრივი კვლევითი საქმიანობის შედეგად, კომიტეტის მიერ გაერთიანებული სამეფოს მთავრობისათვის შეთავაზებულ იქნა ახალი, თანამედროვე პროცედურების შექმნა სწორედ ისეთი შემთხვევებისთვის, როცა გადახდისუნარობის პროცესის წამოწყება არ იყო სათანადო ეფექტიანი გამოსავალი, ხოლო არსებული გადახდისუნარობის პროცედურა დარჩებოდა უკიდურეს გამოსავლად უფრო რთული შემთხვევებისთვის, განსაკუთრებით იმგვარისთვის, რომელიც შეიცავდა თაღლითობის ნიშნებს, სადაც მოვალის ქმედებიდან ან საჯარო ინტერესიდან გამომდინარე საჭირო იქნებოდა სრულყოფილი გამოძიება (გამოკვლევა) პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომების გამოყენებასთან ერთად. კომიტეტმა გამოიკვლია იმ-

²⁶³ Voluntary Arrangements, Edward Bailly, LexisNexis Butterworths 2007. Pg. 1.

²⁶⁴ Sir Kenneth Russell Cork GBE (21 August 1913 – 13 October 1991) ბრიტანელი ბუღალტერი და გადახდისუნარობის ექსპერტი.

²⁶⁵ REPORTS OF COMMITTEES, Prof. Ian Fletcher – Modern law Review, Volume 44, Issue 1, January 1981.

დროინდელ მოქმედ კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა პროცედურები და მივიდა დასკვნამდე, რომ ტექნიკური და პრაქტიკული მიზეზებიდან გამომდინარე, ყველა მათგანი არაგონივრულად ჩახლართული და მოუხერხებელი იყო იმგვარი კომპანიის საქმიანობის რეორგანიზაციისთვის, რომელიც არის ან მალე გახდება გადახდისუნარო. კომიტეტის მოსაზრებით, საჭირო იყო შემუშავებულიყო შეთანხმების ახალი ფორმა, რომელიც დაიდებოდა სასამართლოს ბრძანების/განჩინების გარეშე და, მიუხედავად ამისა, მაინც სავალდებულო იქნებოდა მოვალისა და ყველა კრედიტორისთვის.²⁶⁶

განხორციელებული სამუშაოს ანალიზის შედეგად, კომიტეტმა, დასკვნის სახით, შეიმუშავა წინადადება, რომ ეფექტიანი გადახდისუნარობის პროცესის უზრუნველსაყოფად, ქვეყნის კანონმდებლობაში დანერგილიყო სრულიად ახლებური მექანიზმი – მოვალესა და კრედიტორს/კრედიტორებს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმების პროცედურა. ამ პროცედურით აღკვეთილი იქნებოდა შემთხვევები, როცა შეთანხმების მონინაალმდევე კრედიტორები ფორმალური გადახდისუნარობის პროცედურების დაწყებით ჩაშლიდნენ შესრულების პროცესში მყოფ შეთანხმებას. ახალი მექანიზმით სასამართლოს ენიჭებოდა უფლებამოსილება, გაეთვალისწინებინა კრედიტორთა უმრავლესობის ნება იმ შემთხვევაში თუ მოხდებოდა შეთანხმების შედავება. კომიტეტმა მიიჩნია, რომ კომპლექსური გადახდისუნარობის მექანიზმის ამოქმედება სავალდებულო უნდა ყოფილიყო მხოლოდ ისეთი შემთხვევებისთვის, როცა წინარე შეთანხმების პროცედურები არ იქნებოდა ეფექტიანი. ამგვარად, გადახდისუნარობის მკაცრად განსაზღვრული წესები, სრულყოფილი გამოძიების ჩათვლით, შენარჩუნდებოდა მხოლოდ განსაკუთრებულად რთული საქმეებისთვის, სადაც იქნებოდა გონივრული ეჭვი, რომ ადგილი ჰქონდა თალღითობას ან სერიოზულ დარღვევებს.

მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ მანამდე არსებული საკანონმდებლო პროცედურები მიმართული იყო უფრო გადახდისუნარიანი კომპანიების დახმარებისკენ, ხოლო ახალი პროცედურების მიზანს კი, გადახდისუნარო ან გადახდისუნარობის რისკის წინაშე მყოფი კომპანიების მხარდაჭერა წარმოადგენდა.²⁶⁷

კორკის მოხსენება შეიცავდა უაღრესად მნიშვნელოვან შეთავაზებას ორი ახალი და გაუმჯობესებული პროცედურის შემოღების მიზანშეწონილობის თაობაზე:

ა) ადმინისტრირება, რაც გულისხმობდა შესაძლებლობას, რომ კრიზისში მყოფ კომპანიას ეთხოვა სასამართლოსთვის გარეშე ადმინისტრატორის დანიშვნა კომპანიის სამართავად, ბიზნესის გადარჩენის, მოქმედ ბიზნესად გაყიდვისა ან ქონების გაყიდვის განზრახვით, რათა მიღწეულიყო კრედიტორებისათვის უკეთესი შედეგი, ვიდრე ეს დადგებოდა კომპანიის ლიკვიდაციისას.

ბ) კომპანიის ნებაყოფლობითი შეთანხმება (company voluntary arrangement (CVA))²⁶⁸, რომელიც გულისხმობდა გადახდისუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუნარობის რისკის წინაშე მყოფი კომპანიის შესაძლებლობას შეთანხმებოდა კრედიტორების ნაწილს და პარტნიორებს/დამფუძნებლებს. ამ შეთანხმების საფუძველი იქნებოდა კრედიტორების

²⁶⁶ *Ian F. Fletcher, The Law of Insolvency, (Fifth Edition, London, Sweet & Maxwell 2017) pg. 449.*

²⁶⁷ *Insolvency Law and Practice: [Final Report]: Report of the Review Committee (Cmnd.) Cork, Kenneth, Stationery Office Books, 9 Jun. 1982, para. 404,419.*

²⁶⁸ ტექსტში შემდგომში მოვიხსენიებთ როგორც CVA.

მიერ დამტკიცებული დირექტორების შეთავაზება/წინადადება. ასეთ შემთხვევაში, კომპანია გააგრძელებდა საქმიანობას დირექტორებისა და ზედამხედველის კონტროლის ქვეშ. ამ პროცედურას ეწეებოდა იგივე მიზანი, რაც ადმინისტრირების პროცედურას, თუმცა, მის დასაწყებად აუცილებელი არ იქნებოდა სასამართლოს ნებართვა.²⁶⁹ ამგვარად, გამოიკვეთა მარტივი პროცედურის დანერგვის საჭიროება, როდესაც კრედიტორთა უმრავლესობის გადაწყვეტილება ვალდებულებათა ახალი შეთანხმების შესახებ სავალდებულო გახდებოდა დარჩენილი უმცირესობისათვის.

კომიტეტის მიერ შეთავაზებული ორივე პროცედურა დანერგილ იქნა 1986 წლის გადახდისუუნარობის აქტში და დეტალურად მოწესრიგებულ იქნა 1986 წლის გადახდისუუნარობის წესებში. უფრო ზუსტად, გადახდისუუნარობის აქტის 1-7 ნაწილი შეიცავს კომპანიის ნებაყოფლობითი შეთანხმების (CVA) პირველად საკანონმდებლო რეგულაციებს, ხოლო გადახდისუუნარობის წესების მე-2 ნაწილი შეიცავს შესაბამის მეორად საკანონმდებლო რეგულაციებს.²⁷⁰

საინტერესოა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, კომიტეტმა დაიწყო დაგროვილი პრაქტიკის შეფასების ფაზა; 1992 წლის ნოემბერში, სამეწარმეო სამართლის გადასინჯვის ფარგლებში, გადახდისუუნარობის სამსახურის²⁷¹ მიერ ჩამოყალიბდა გადახდისუუნარობის საკითხებზე სამუშაო ჯგუფი იმის გამოსაკვლევადა, თუ რატომ გამოიყენებოდა ასე იშვიათად კომპანიების გადარჩენის ახალი პროცედურები. სამუშაო ჯგუფმა მოახდინა ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება, მათ შორის:

- CVA-ს შემთხვევაში მორატორიუმის არარსებობა;
- CVA-ს მოლაპარაკებების დროს ახალი ფინანსების მოზიდვის სირთულე, რამაც შემდეგში წარმოშვა ახალი მსესხებლებისათვის უპირატესობების მინიჭების იდეა;
- უზრუნველყოფილი კრედიტორების (ძირითადად ბანკების) ოფიციალური აღმასრულებლის (administrative receiver) დანიშვნის უფლებამოსილება, საიდანაც წამოვიდა შეთავაზება, რომ მორატორიუმი უნდა ვრცელდებოდეს უზრუნველყოფილ კრედიტორებზე ისე, რომ მათ ვერ დანიშნონ აღმასრულებელი და, ასევე, აღმასრულებელის დანიშვნის მოთხოვნამდე მოვალის 7 დღით ადრე გაფრთხილების ვალდებულება ისე, რომ დირექტორმა მოასწროს CVA-ს წამოწყება და ამით აღმასრულებლის დანიშვნის თავიდან აცილება;
- ბიზნესის გადარჩენის ახალი პროცედურების უკულებელოფა დირექტორებისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების მხრიდან;
- ბიზნესის გადარჩენის ნორმების დაკავშირება მხოლოდ გადახდისუუნარობის კანონსა და არსებულ პრაქტიკასთან და, აქედან გამომდინარე, დაგვიანებული მიმართვიანობა.

1999-2000 წლებში მოხდა საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება და პარლამენტის ვაჭრობისა და ინდუსტრიის კომიტეტში ჩატარებული განხილვებისას კიდევ ერთხელ განხორ-

²⁶⁹ House of Commons, Trade and Industry Committee, Second Report DRAFT INSOLVENCY BILL <https://publications.parliament.uk/pa/cm/199900/cmselect/cmtrdind/112/11202.htm>

²⁷⁰ Company Voluntary Arrangements: Evaluating Success and Failure, Professor Peter Walton, Chris Umfreville, Dr Lézelle Jacobs, Commissioned by R3, the insolvency and restructuring trade body, and sponsored by ICAEW, May 2018,

²⁷¹ გაერთიანებული სამეფოს აღმასრულებელი სააგენტო (ავტ. შენიშ.),

ციელდა იმ პერიოდისათვის არსებული სიტუაციის შეფასება.²⁷² განხილვებში მონაწილეობას იღებდნენ დაინტერესებული პირები, მათ შორის, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა საზოგადოება (Society of Practitioners of Insolvency – SPI), ბრიტანეთის ბანკერთა ასოციაცია (British Bankers Association – BBA), ინგლისისა და უელსის ლიცენზირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტი (Institute of Chartered Accountants in England and Wales – ICAEW), გადახდისუუნარობის სამსახური, სამართლის საზოგადოება (Law Society), ბრიტანეთის ინდუსტრიის კონფედერაცია (Confederation of British Industry), ასევე, ინდივიდუალურად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსები, ბანკირები, ადვოკატები, ექსპერტები.

განხილვების შედეგად მიღებულ მეორე მოხსენებაში ხაზი გაესვა მზაობას ნებაყოფლობითი მორატორიუმის დასაწერად, რათა გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი კომპანიის დირექტორებს ჰქონოდათ მცირე ამოსუნთქვის დრო პირველადი შეთავაზების შემუშავებისათვის და პრაქტიკოსთან შესათანხმებლად იმისათვის, რომ მას შეეფასებინა შეთავაზების გონივრულობა და მოეწვია კრედიტორთა კრება. ამ პერიოდის განმავლობაში კომპანიას უნდა შეძლებოდა ბიზნესსაქმიანობის გაგრძელება კრედიტორთა ინტერესების დაცვის მიზნით დაწესებული გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში. მეორე მოხსენების დასრულებამდე წარმოებული კონსულტაციებისა და ფართო კონსენსუსის საფუძველზე, მიხნეულ იქნა, რომ ამგვარი მორატორიუმი იქნებოდა ძალიან სასარგებლო.

მიუხედავად იმისა, რომ კორკის კომიტეტის მუშაობის პერიოდისათვის კომპანიების გადახდისუუნარობის პროცედურების უდიდეს უმრავლესობას, ცალსახად, ისევ ლიკვიდაცია ან აღსრულება წარმოადგენდა, ყოველწლიურად, უკვე 500-მდე CVA-ს პროცედურის დაწყება ფიქსირდებოდა. წამოწყებული CVA-ს პროცედურათა უმრავლესობა იყო არა კომპანიის გადარჩენაზე ორიენტირებული, არამედ აშკარად „განაწილებითი“ ხასიათის ანუ შემთხვევები, როცა CVA-ს მექანიზმი გამოიყენებოდა, როგორც კრედიტორთათვის ქონების განაწილების უფრო იაფი ანდა მოხერხებული საშუალება, ვიდრე ლიკვიდაცია იგივე შედეგებით.

პარლამენტისთვის წარდგენილ მოსაზრებაში, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა საზოგადოებამ (Society of Practitioners of Insolvency – SPI) ხაზი გაუსვა იმას, რომ იმ დროისათვის არსებული ეკონომიკური გარემოებების გათვალისწინებით CVA შესაფერისი იქნებოდა მხოლოდ კომპანიების მცირე რაოდენობისათვის. ბრიტანეთის ბანკერთა ასოციაციის (British Bankers Association – BBA) აზრით, განხილული CVA-ს პროცედურების ნაწილი იყო ცუდად დაგეგმილი და შეიძლება მიხნეულიყო უფრო პრაქტიკოსების მცდელობად, მიეღოთ ანაზღაურება. ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორებისათვის არსებობდა იდეალური მიზნები, რათა არ დათანხმებულიყვნენ შეთავაზებაზე. გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ მორატორიუმის არ არსებობა მხოლოდ ერთ-ერთი ბარიერი იყო, ხოლო მთავარ პრობლემას კი ფინანსების არ არსებობა წარმოადგენდა.

საპარლამენტო განხილვებში მიწვეულმა პროფესორმა ჯულიან ფრენკსმა, პარლამენტის წევრის კითხვაზე, თუ რატომ იყო მაინც ასე ცოტა CVA-ს შემთხვევა, მიზეზად, სწორედ, ახალი ფინანსების მოძიების სირთულე დაასახელა. მან აღნიშნა, რომ დაფინანსების მოძიება იყო ძალიან მნიშვნელოვანი და მოიყვანა ამერიკის შეერთებულ შტატების მაგალითი, სადაც

²⁷² House of Commons, Trade and Industry Committee, Second Report DRAFT INSOLVENCY BILL <https://publications.parliament.uk/pa/cm199900/cmselect/cmtrdind/112/11202.htm>

გავრცელებული იყო დაფინანსების სხვადასხვა ფორმები (მაღალრისკიანი დაფინანსება (Dead Financing), მართვაში მყოფი მოვალის დაფინანსება (DIP Financing), დაფინანსება სუპერ პრიორიტეტის მინიჭებით (super priority financing)) და იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოვალის ქონება მთლიანად უზრუნველყოფის ქვეშ იყო მოქცეული, მოსამართლეს ჰქონდა დისკრეცია ახალი დაფინანსებიდან წარმოშობილი მოთხოვნა დაეყენებინა ყველა მოთხოვნაზე მაღლა.

მეორე მოხსენებით გამოიკვეთა არა ქონების განაწილების, არამედ ბიზნესის გადარჩენის იდეის მნიშვნელობა და მორატორიუმის საჭიროება²⁷³, ვინაიდან საკანონმდებლო ცვლილებები განიხილებოდა „ბიზნესის გადარჩენის“ სტიმულირების მცდელობად, რომელიც შეავსებდა 1986 წლის კანონში არსებულ სიცარიელებს. მოხსენებაში განსაკუთრებულად იყო აღნიშნული, რომ ბოლო წლებში „ბიზნესის გადარჩენის კულტურამ“ გაცილებით უფრო მოიკიდა ფეხი. იმ ბანკებში, სადაც შემოსავალს იღებდნენ სხვადასხვა მოქმედი ბიზნესიდან, „ბიზნესის გადარჩენის კულტურას“, ფინანსური თვალსაზრისითაც, უფრო კარგი საფუძველი გაუჩნდა ვიდრე ბიზნესის გაკოტრება/ლიკვიდაციას.

მორატორიუმის შემოღებაზე, დასკვნის სახით, მეორე მოხსენებაში ვკითხულობთ: „ამ დრომდე გამართული კონსულტაციების შედეგად, წერილობითი და ზეპირი მტკიცებულებების საფუძველზე, მიღწეულია ფართო კონსენსუსი, რომ შემოთავაზებული მორატორიუმი იქნება სასარგებლო, თუმცა ეს არ არის პანაცეა კრიზისში მყოფი კომპანიებისთვის. ბევრი მათგანისთვის CVA არის სრულიად შეუსაბამო.“²⁷⁴

საბოლოოდ, 2003 წელს, გადახდისუნარობის 1986 წლის აქტში შევიდა ცვლილებები²⁷⁵, რომლებიც მნიშვნელოვან სქემას ქმნიან, კერძოდ:

- CVA-ს პროცედურაში დადგინდა მორატორიუმი, თუმცა მხოლოდ მცირე ბიზნესისთვის. მორატორიუმი მიიღწევა განცხადების ძალით და არის ნებაყოფლობითი ქმედება ბიზნესის მხრიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ დირექტორის განცხადების სასამართლოში შესვლის ფაქტით მორატორიუმი ავტომატურად შედის ძალაში;
- გეგმა სავალდებულოა იმ კრედიტორებისთვისაც, ვისაც არ გაეგზავნა შეტყობინება. თუმცა, ასეთი კრედიტორების ინტერესები დაცულია ორი გზით: ა) კრედიტორს შეუძლია გეგმის გასაჩივრება ამის შესახებ შეტყობიდან 28 დღეში (იგივე ვადა აქვთ კრებაში მონაწილე კრედიტორებსაც) და ბ) ასეთი კრედიტორის მიმართ იგივენაირად ხდება გადახდები, როგორც ეს მოხდებოდა, თუკი იგი თავიდანვე მიიღებდა კრებაში მონაწილეობას. თუ გეგმის შედგენისას დირექტორი განზრახ გამოტოვებს კრედიტორს, იგი შესაძლებელია ამისათვის პერსონალურად იყოს პასუხისმგებელი, თუმცა ეს არ შედის გადახდისუნარობის სამართლის სფეროში;
- ზედამხედველობის კანდიდატმა სასამართლოსადმი თავის განცხადებაში უნდა დაასაბუთოს, რომ მის მიერ შეთავაზებულ გეგმას აქვს გონივრული პერსპექტივა;

²⁷³ House of Commons, Trade and Industry Committee, Second Report DRAFT INSOLVENCY BILL, MORATORIUM <https://publications.parliament.uk/pa/cm/199900/cmselect/cmtrdind/112/11202.htm>

²⁷⁴ House of Commons, Trade and Industry Committee, Second Report DRAFT INSOLVENCY BILL, SUMMARY OF CONCLUSIONS AND RECOMMENDATIONS <https://publications.parliament.uk/pa/cm/199900/cmselect/cmtrdind/112/11202.htm>

²⁷⁵ Voluntary Arrangements, *Edward Bailly*, LexisNexis Butterworths 2007. Pg. 2-6.

- სავალდებულო აღარაა მოვალის პარტნიორებისა და კრედიტორთა კრების ერთად ჩატარება, ხოლო კრედიტორთა უმრავლესობის გადაწყვეტილება არის უპირატესი.

„მცირე ბიზნესის, წარმოებისა და დასაქმების შესახებ“ გაერთიანებული სამეფოს 2015 წლის აქტით კვლავ იქნა შეტანილი რიგი ცვლილებებისა CVA-ს პროცედურებში, საიდანაც უმთავრესი ცვლილებებია:

- რიგ შემთხვევებში კრების ჩატარების სავალდებულო წესის გაუქმება. გადახდისუუნარობაში წითელი ლენტის გამოწვევამ²⁷⁶ მოახდინა იმ ღონისძიებების იდენტიფიცირება, რაც საჭირო იყო გადახდისუუნარობის პროცესის ეფექტიანობის გასაზრდელად, ადმინისტრაციული ხარჯების შესამცირებლად და უფრო მაღალი ამოღების მაჩვენებლის მისაღწევად. სწორედ, ამის შედეგად, მოიხსნა ყველა შემთხვევისას კრების ფიზიკურად ჩატარების მოთხოვნა;
- თანხმობის მიღებულად ჩათვლის ახალი პროცედურა. კერძოდ, მმართველს შეუძლია დაუგზავნოს შეთავაზება კრედიტორებს და წინადადება მოწონებულად ითვლება იმ კრედიტორების მიერ, რომელთა მხრიდანაც უშუალოდ არ მომხდარა მიღებული შეთავაზების უარყოფა;
- კრედიტორებს შეუძლიათ უარი თქვან მმართველის მხრიდან გარკვეული შეტყობინებების მიღებაზე;
- 1000 ფუნტამდე მოთხოვნის მქონე კრედიტორებს აღარ აქვთ ვალდებულება დაასაბუთონ თავისი მოთხოვნის საფუძვლები.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კორკის მოხსენებიდან მოყოლებული გაერთიანებული სამეფო მუდმივად ცდილობს დახვეწოს CVA-ს სტრუქტურა, ვინაიდან ამას, როგორც ბიზნესის გადასარჩენად ჩარევის ადრეულ მექანიზმს, განსაკუთრებული როლი ენიჭება ეკონომიკაში. ბოლო საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, რამდენჯერმე გაიმართა კონსულტაციები უფრო ფართო მორატორიუმის შემოღების მიზანშეწონილობაზე, რომელიც იმოქმედებდა საშუალო და მსხვილი ბიზნესის გადახდისუუნარობის რისკის შემთხვევებშიც. შემდგომი რეფორმირებისათვის ეს ძიებები მოხსენებულია გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის 2018 წლის 31 მაისის მიმოხილვაში²⁷⁷, კერძოდ, მორატორიუმის გაფართოებაზე რეკომენდაცია გაკეთდა 2009 წლის ივნისში და 2010 წლის ივლისში გადახდისუუნარობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ საკონსულტაციო დოკუმენტში, ხოლო 2018 წელს ბიზნესის რეაბილიტაციის პროფესიონალთა ასოციაციის R3-ის²⁷⁸ კვლევაში²⁷⁹ (კვლევა განხორციელდა ICAEW-ს მხარდაჭერით).

²⁷⁶ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის პროექტი „წითელი ლენტის გამოწვევა“, რომელიც გულისხმობს საზოგადოების ჩართულობას არასასურველი რეგულაციების შემცირებაში. <https://www.gov.uk/government/news/red-tape-challenge>

²⁷⁷ <https://researchbriefings.parliament.uk/ResearchBriefing/Summary/SN06944#fullreport>

²⁷⁸ R3 (rescue, recovery, renewal) არის პროფესიული ასოციაცია დიდ ბრიტანეთში მოქმედი გადახდისუუნარობის, რესტრუქტურირების, საკონსულტაციო პროფესიონალებისათვის, სადაც გაერთიანებულია გადახდისუუნარობის პრაქტიკოსები, ადვოკატები, ექსპერტები, სტუდენტები და სხვა ამ პროფესიაში ჩართული პირები.

²⁷⁹ https://www.r3.org.uk/media/documents/policy/policy_papers/corporate_insolvency/R3_ICAEW_CVA_Report_May_2018.pdf

უფრო კონკრეტულად, 2018 წლის კვლევის მიხედვით გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობისთვის შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

- CVA არ უნდა გრძელდებოდეს 3 წელზე მეტ ხანს სათანადოდ მყარი საფუძვლის გარეშე;
- დირექტორების ვალდებულებები უნდა იყოს განწერილი უფრო მკაფიოდ და სრულყოფილად და მოიცავდეს კრიზისულ სიტუაციაში ადრეული მიმართვის ვალდებულებას;
- ნომინირებული და დანიშნული ზედამხედველების როლი და ვალდებულებები უფრო მკაფიოდ და სრულყოფილად უნდა გაიწეროს გადახდისუუნარობის პრაქტიკის (საქმის წარმოების) დადგენილებებში (Statement of Insolvency Practice (“SIP”));
- საჯარო სექტორის კრედიტორებს უნდა ევალუბოდეთ თავისი პოზიციის დასაბუთება თუ არ უჭერენ მხარს CVA-ს შეთავაზებას;
- შემოღებულ უნდა იქნეს გადახდისუუნარობამდე მორატორიუმის ახალი ფორმა;
- მცირე კომპანიების CVA-ც კი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტანდარტული პირობებით, და დამტკიცების შემთხვევაში, კრედიტორთა გარკვეულმა კლასებმა უნდა დაასაბუთონ პოზიცია თუკი არ უჭერენ მას მხარს;
- განხილული უნდა იქნეს საკითხი იმის თაობაზე, უნდა იყოს თუ არა გადახდისუუნარობის სხვა პროცედურებში დანერგილი გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების ანაზღაურების სისტემა ადაპტირებული CVA-თან;
- CVA-თან დაკავშირებით სამწარმოო რეესტრში (Companies House) წარდგენილი დოკუმენტები სავალდებულოდ უნდა შეიცავდეს უფრო მეტ ინფორმაციას, რათა გაზარდოს პროცესის გამჭვირვალობა და უზრუნველყოს მის მიმართ ნდობის წარმოშობა.²⁸⁰

როგორც 2018 წლის R3-ის კვლევის ავტორი პროფესორი პიტერ ვალტონი კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნავს, ფინანსურ სირთულეში მყოფი კომპანიების საქმის წარმოებისას კანონი და პრაქტიკა უნდა ესწრაფვოდეს, ერთი მხრივ, კრედიტორების უფლებებსა და, მეორე მხრივ, სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს შორის ბალანსისკენ, რათა მიღწეულ იქნას ღირებული ბიზნესების გადარჩენა სამართლიან და გამჭვირვალე გარემოებებში. ყველა კომპანიას არ შეუძლია გადარჩენა, თუმცა როცა ეს შესაძლებლობა ჩნდება, პროცესი უნდა წარიმართოს იმდენად ეფექტიანად და დროულად, რამდენადაც ეს შესაძლებელია.²⁸¹

ბოლო ცვლილებები გადახდისუუნარობის სისტემაში და, შესაბამისად, CVA-ს პროცედურებში შევიდა 2020 წლის 26 ივნისს მიღებული კანონით „კორპორაციული გადახდისუუნარობისა და მართვის შესახებ“²⁸². აღნიშნული საკანონმდებლო აქტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს სიახლეს წარმოადგენს მოკლევადიანი (20 ბიზნესდღე) დამოუკიდებელი მორატორიუმი. დღემდე CVA-ს რეჟიმში შეზღუდული მორატორიუმის გამო პრაქტიკაში ხშირად CVA-სთან ერთად ხდებოდა ადმინისტრირების წამოწყებაც, რათა ამ უკანასკნელის მორატორიუმი გავრცელებულიყო პროცედურებზე. ამგვარი ორმაგი პროცედურები დაკავშირებულია უფრო

²⁸⁰ Company Voluntary Arrangements: Evaluating Success and Failure, *Professor Peter Walton, Chris Umfreville, Dr Lézelle Jacobs*, Commissioned by R3, the insolvency and restructuring trade body, and sponsored by ICAEW, May 2018

²⁸¹ “CVAs reforms needed, says insolvency and restructuring profession”, R3 press notice, 29 May 2018 [online] (accessed 31 May 2018).

²⁸² Corporate Insolvency and Governance Act 2020, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2020/12/enacted>.

მეტ ხარჯთან, რაც, თავისთავად, ისევ კრედიტორების დაკმაყოფილებაზე აისახებოდა. ნესით, 2020 წლის საკანონმდებლო აქტმა ეს პრობლემა უნდა მოაგვაროს.

განმარტებითი ბარათის მიხედვით²⁸³ მოკლევადიანი მორატორიუმი კრიზისში მყოფ კომპანიებს მისცემს ამოსუნთქვის საშუალებას, რა დროსაც, კომპანია შეძლებს შეიმუშაოს გადარჩენის გეგმა. კანონმდებლის მიზანია ბიზნესისთვის გამარტივებული მორატორიუმის პროცედურის შექმნა, რაც ადმინისტრაციულ ტვირთს მინიმუმამდე დაიყვანს, უზრუნველყოფს სწრაფ პროცედურებს და, ამით, ბიზნესს აარიდებს არაპროპორციულ ხარჯებს. მორატორიუმი არის დამოუკიდებელი და არ წარმოდგენს რომელიმე პროცედურის შესავალ ეტაპს, რაც მისცემს ბიზნესს შესაძლებლობას მორატორიუმის პერიოდი გამოიყენოს გადასარჩენად და არ მიმართოს სხვა პროცედურებს. მორატორიუმის სავარაუდო შედეგები შეიძლება იყოს:

- კომპანიის აღდგენა შემდგომი პროცედურების გარეშე
- ბიზნესის გაყიდვა ან რეფინანსირება გადახდისუნარობის სისტემის გარეთ
- CVA-ს წამოწყება
- სხვა ტიპის პროცედურების წამოწყება

იმისათვის, რომ მორატორიუმი არ იქნეს ბოროტად გამოყენებული, აქტით გათვალისწინებულია რიგი საგამონაკლისო სიტუაციები, როცა დაუშვებელია მორატორიუმის მოპოვება. მაგალითად, კომპანიას არ უნდა ჰქონდეს გამოყენებული მორატორიუმი ბოლო 12 თვის განმავლობაში და ა.შ.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით CVA-ს წინარე პერიოდში დაემატა კიდევ ერთი იარაღი, მოკლევადიანი მორატორიუმი, რამაც უნდა გაადვილოს მისი მიზნების შესრულება.

9.2. ახალი ინსტრუმენტის დასაბუთება

მანამ, სანამ ახალი საკანონმდებლო ინსტრუმენტი იქნება დანერგილი, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს რა არის ამ ინსტრუმენტის მიზანი და უნდა მოხდეს მის ფარგლებში დაშვებული უფლებების შეზღუდვის დასაბუთება. მანამდე მიზნებსა და დასაბუთებას მიმოვიხილავთ კლასიკური გადახდისუნარობის სისტემის მაგალითზე.

გადახდისუნარობის სისტემის უპირველესი დასაბუთება არის კრედიტორის სავაჭრო თეორია, რომელიც 1980-იან წლებში განავითარეს ამ დარგის კორიფეებმა თომას ჯექსონმა და დუგლას ბეარდმა. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორები გადახდისუნარობის სისტემას მიიჩნევდნენ კოლექტიურ აღსრულებად²⁸⁴ და იკვლევდნენ თუ რატომ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული კრედიტორი გადაეცვალა ინდივიდუალური სააღსრულებო უფლებები კოლექტიურზე.²⁸⁵ კრედიტორთა სავაჭრო თეორიის მიხედვით, ჯექსონმა და ბეარდმა შემოგვთავაზეს განვიხილოთ კოლექტიური აღსრულების პროცედურები როგორც შედეგი იმისა, თუ რა შეთანხმებამდე მივიდოდნენ კრედიტორები სააღსრულებლო წარმოებების კოორდინი-

²⁸³ კორპორაციული გადახდისუნარობისა და მართვის აქტის 2020 განმარტებითი ბარათი, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2020/12/resources>

²⁸⁴ კოლექტიური აღსრულების თეორია უდევს საფუძვლად საქართველოს კანონს რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ.

²⁸⁵ *Thomas H. Jackson, Bankruptcy, Non-Bankruptcy Entitlements, and the Creditors' Bargain, The Yale Law Journal, Volume 91, Number 5, April 1982.*

რეზულად წარმართვის კუთხით თუ არ იქნებოდა გადახდისუუნარობა, ანუ *ex ante* პოზიციებიდან.²⁸⁶ ანუ, უფრო ფართო განმარტებით, გადახდისუუნარობის სამართლის დასაბუთება არის, უპირველესად, კონსენსუსი. გადახდისუუნარობის სამართლის სხვადასხვა ასპექტების შეფასებისას, ჯექსონი და ბეარდი სწორედ ამ ტექსტს იყენებდნენ – კონკრეტულ საკითხზე ამგავრი შეთანხმება იქნებოდა თუ არა მიღწეული გადახდისუუნარობის დაწყებამდე.

იმამე მსჯელობისას, თუ რა პირობებში დათანხმდებოდნენ კრედიტორები გაცვალათ ინდივიდუალური აღსრულების უფლებები კოლექტიურზე, თომას ჯექსონი თავის ნაშრომში „გადახდისუუნარობის სამართლის ლოგიკა და ფარგლები“ ეხება საერთო აუზის პრობლემას და მას განიხილავს პატიმრის დილემის და, ასევე, ტბისა და თევზის მაგალითზე.²⁸⁷

პატიმრის დილემა არის ფსიქოლოგიური თამაში, რომელიც ადასტურებს, რომ არც ერთი რაციონალურად მოაზროვნე ინდივიდი არ იმოქმედებს საერთო ინტერესებისთვის მანამ, სანამ არ ექნება დანარჩენებთან კომუნიკაციისა და მოქმედებების კოორდინაციის საშუალება. იმიტირებული სიტუაცია ასეთია:

სამართალდამცავებმა დააპატიმრეს კრიმინალური დაჯგუფების ორი წევრი. ორივე პატიმარი მოათავსეს განცალკევებით, ისე, რომ მათ არ აქვთ ერთმანეთთან კომუნიკაციის საშუალება. პროკურორს ორივე პატიმარზე აქვს მტკიცებულებები მხოლოდ მცირე დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, მაგრამ არ აქვს მტკიცებულებები უფრო დიდ დანაშაულში მათი მონაწილეობის შესახებ. ორივე პატიმარს შესთავაზეს ერთნაირი წინადადება, კერძოდ, ან ამხელს მეორეს დიდ დანაშაულში მონაწილეობაში და გათავისუფლდება, ან გააგრძელებს მეორესთან თანამშრომლობას და შეინარჩუნებს დუმილს. შესაძლო შედეგები ასეთია:

- თუ A და B ორივე გასცემს ერთმანეთის შესახებ ინფორმაციას, ორივე მოიხდის 2 წელს ციხეში;
- თუ A გასცემს B-ს და B შეინარჩუნებს სიჩუმეს, A გათავისუფლდება, ხოლო B მოიხდის 3 წელს;
- თუ B გასცემს A-ს და A შეინარჩუნებს სიჩუმეს, B გათავისუფლდება, ხოლო A მოიხდის 3 წელს;
- თუ A და B ორივე არჩევს დუმილს, ორივე მცირე დანაშაულისთვის მოიხდის მხოლოდ ერთ წელს.

თავიდანვე არსებობს პირობა, რომ გაცემისთვის რეპუტაცია არ შეელახებათ. გამოდინარე იქედან, რომ მეგობრის ღალატი უფრო დიდ სარგებელს მოუტანს ვიდრე ჩუმად ყოფნა, ყველა რაციონალურად მოაზროვნე და საკუთარი ინტერესების დამცველი პატიმარი აირჩევს ღალატს.

საერთო სარგებელის მიღების მიზნით კოორდინაციის მნიშვნელობა კარგად ჩანს ტბისა და თევზის მაგალითზე:

²⁸⁶ *Nicolaes Tollenaar*, *Pre-insolvency Proceedings, a normative foundation and frameworks*, Oxford University Press 2019, pg. 254.

²⁸⁷ *Thomas H. Jackson*, *The logic and limits of bankruptcy law*, Harvard University Press Beard Books, Washington DC, 2001, pg. 10.

წარმოიდგინეთ, რომ საკუთრებაში გაქვთ ტბა. ტბაში თევზია და თქვენ ხართ ერთადერთი, ვისაც აქვს თევზაობის უფლება და არავინ გიბღუდავთ რაოდენობას. თქვენ შეგიძლიათ დაიჭიროთ მთელი თევზი და გაიყიდოთ 100 000 აშშ დოლარად. თუმცა, ამ შემთხვევაში, მომავალი წლისთვის ტბაში აღარ იქნება თევზი. შემოსავლის ზრდის თვალსაზრისით, თქვენთვის უკეთესი იქნება, თუ დაიჭერთ მხოლოდ თევზის ნაწილს, ხოლო დანარჩენს დატოვებთ მომავალი წლისთვის გასამრავლებლად. დავეუშვათ, რომ ამ მიდგომის შედეგად თქვენ ყოველ წელს გაქვთ 50 000 აშშ დოლარის შემოსავალი, ეს იგივეა, რომ გქონდეთ ანუიტეტი, რომლის შედეგადაც იღებთ ყოველ წლიურად 50 000 აშშ დოლარს. ამ აქტივის მიმდინარე ღირებულება შეიძლება იყოს 500 000 დოლარი. რადგან 500 000 აშშ დოლარი ყოველთვის სჯობს 100 000 აშშ დოლარს, თქვენ როგორც ერთადერთი მესაკუთრე, შეზღუდავთ თევზაობას და ამ გეგმას გაყვებით. მაგრამ რა მოხდება თუ ტბის მესაკუთრე ხართ არა მარტო თქვენ, არამედ ერთდროულად ასი ადამიანი. ოპტიმალური მიდგომა, თავისთავად, არ შეიცვლება, მაგრამ ასი მესაკუთრის პირობებში თუ თქვენ შეზღუდავთ თევზაობას, არ გაქვთ გარანტია, რომ სხვებიც იგივეს იზამენ და რომ მომავალ წელს ტბაში ისევ დაგხვდებათ თევზი, მანამ სანამ სხვებს არ გააკონტროლებთ. ამ შემთხვევაში უფრო მოტივირებული იქნებით, რომ დაიჭიროთ იმდენი თევზი, რამდენსაც შეძლებთ, მიმდინარე წელს შემოსავლის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, რადგან უკეთესია 1000 ლარის თევზი დაიჭიროთ, ვიდრე შეიკავოთ თავი, მხოლოდ 500 ლარის დაიჭიროთ და, ამასობაში, სხვებმა წაიღონ თევზის მთლიანი რაოდენობა. მაგრამ ეს, ამავე დროს, ნიშნავს იმას, რომ მომდევნო წელს ტბაში თევზი აღარ იქნება. მხოლოდ საკუთარი ინტერესების განხორციელებას მივყავართ 100 000 აშშ დოლარამდე და არა 500 000 აშშ დოლარამდე. საჭიროა რაიმე ნესი, რომლის ძალითაც ყველა მეთევზე იმოქმედებს ისე, როგორც ერთი მესაკუთრე იმოქმედებდა. სწორედ, აქ შემოდის გადახდისუნარობის სამართალი კრედიტის სამყაროში, რადგან აღნიშნული მიდგომა იგივენაირად ვრცელდება კრედიტორების აღსრულების უფლებაზე მოვალის ქონების მიმართ. **თუ კრედიტორები, როგორც ერთი მთლიანი, იმოქმედებენ კოორდინირებულად, ისინი უფრო კარგ ინდივიდუალურ შედეგებს მიაღწევენ.**

ჯექსონისა და ბეარდის მიხედვით, გადახდისუნარობის სამართლის მთავარი ამოცანაა კრედიტორების კოორდინაცია და საერთო აუზის პრობლემის მოგვარება. თუმცა, აქვე, იჩენს თავს ანტი საერთო პოზიციების ტრაგედია²⁸⁸ – საერთო აუზის საპირისპირო პრობლემა, როცა ქონების მიმართ მრავალ პირს აქვს უფლებები, მაგრამ ქონების გამოყენება ვერ ხერხდება, რადგან უფლების მესაკუთრეები ზედმეტ იარაღად იყენებენ თავის უფლებას. ეს ხდება მაშინ, როცა ნებისმიერი უფლების მესაკუთრეს აქვს ვეტოს უფლება, რათა აკრძალოს ქონების გამოყენება. ასეთი შემთხვევაში, იმის შიშით, რომ თუ თვითონ დათანხმდება ქონების გამოყენებას, სხვა უარს იტყვის, ყველა პირი უარს ამბობს საერთო ქონების გამოყენებაზე. ამგვარ პრობლემებამდე მივიღვართ მაშინ, როცა კოლექტიურ შეთანხმებას სჭირდება ყველა მხარის თახმობა. სწორედ, ამიტომაც აუცილებელი სამართლებრივი მექანიზმი, რომლითაც უმრავლესობა შებოჭავს უმცირესობას. ამგვარი ბოჭვის რეგულირებისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური სამართლიანობის შენარჩუნება. ეკონომიკური სამართლიანობის განმარტე-

²⁸⁸ *Nicolaes Tollenaar, Pre-insolvency Proceedings, a normative foundation and frameworks, Oxford University Press 2019, pg. 13.*

ბისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ **პარეტოს**²⁸⁹ **ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმი**, რომელიც კეთილდღეობის ეკონომიკის ცენტრალური თეორიაა. ამ თეორიის მიხედვით, ერთი პირის მდგომარეობის გაუმჯობესება არ უნდა ხდებოდეს მეორე პირის მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე.

საზოგადოება, რომელსაც ძალუძს გააუმჯობესოს თავისი ერთი წევრის სოციალური პირობებიც კი, აუმჯობესებს კეთილდღეობის სისტემას, თუ ამის შედეგად არავის მდგომარეობა არ უარესდება. პარეტოს აზრით, თუ ცვლილება ერთი ადამიანის მდგომარეობას მაინც აუარესებს, ასეთი ცვლილება უსამართლოა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად არათანაბარია საზოგადოება და რამდენად მდიდარი გახდება სოციალურად დაუცველი ადამიანი, რომლის სოციალური პირობების გაუმჯობესებასაც სხვისი სოციალური პირობების გაუარესება მოჰყვება.

პარეტოს კრიტერიუმის გაგრძელებაა ქალდორ-პიგისის კრიტერიუმი²⁹⁰, რომლის მიხედვითაც, შეუძლებელია ნებისმიერი სოციალური ქმედება განხორციელდეს ისე, რომ თუნდაც ერთი პირი არ ჩადგეს უარეს მდგომარეობაში. ამ კრიტერიუმის მიხედვით, ღონისძიების/მექანიზმის შედეგი დადებითია, თუკი გამარჯვებულები იმდენს მოიგებენ, რომ შეუძლიათ დამარცხებულების ზიანის ანაზღაურება. ამით, საბოლოოდ, მაინც მიიღწევა პარეტოს კრიტერიუმის ეფექტი. ქალდორ-პიგისის თეორიას აინტერესებს „ნამცხვრის“ საბოლოო ზომა და არა ის, როგორ განაწილდება ნამცხვარი, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ზოგი მეტს მიიღებს და ზოგი ნაკლებს, არ ნიშნავს, რომ მექანიზმი დეფექტურია. მთავარია მექანიზმი საბოლოო ჯამში ზრდიდეს „ნამცხვრის“ ზომას. ამით, საბოლოოდ, ჩვენ მაინც ვიღებთ პარეტოს ეფექტს.²⁹¹

სწორედ, პარეტოს კრიტერიუმია გათვალისწინებული კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის ტესტში, სადაც მნიშვნელოვანია, რომ საბოლოო შედეგი კრედიტორებისთვის უფრო მეტი ეკონომიკური სარგებლის მომტანი იყოს, თუმცა იმ პირების მდგომარეობა, ვინც გეგმას მხარს არ უჭერს, ამით არ უნდა გაუარესდეს. სხვანაირად, ამას გაკოტრების მინიმუმსაც ვუნოვებთ. თუმცა ეს შესაძლებელია მხოლოდ გაკოტრებასთან არ იყოს შედარებული და ამიტომ კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის ტესტად განხილვა უფრო სწორია.

კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის ტესტს ვხვდებით აშშ-ს გადახდისუუნარობის კანონმდებლობაში, სადაც გადახდისუუნარობის კოდექსის 1129(a)(7) მუხლი პირდაპირ ამ სახელით „Best Interests of Creditors“ ან „Best Interests test“ არის ცნობილი (11 U.S.C. § 1129(a)(7)). ეს არის ერთ-ერთი იმ ცამეტი მოთხოვნიდან, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს რეაბილიტაციის გეგმა იმისთვის, რომ დაამტკიცოს სასამართლომ. ამ ტესტის მიხედვით, თითოეული კრედიტორი გეგმით უნდა იღებდეს მინიმუმ იმდენს, რამდენსაც მიიღებდა გაკოტრების შემთხვევაში.

გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობით ეს ტესტი მოწმდება არა გეგმის დამტკიცებისას, არამედ გასაჩივრებისას. 1986 წლის გადახდისუუნარობის აქტის მიხედვით, დამტკიცებული გეგმის გასაჩივრება უფლებამოსილი პირს შეუძლია შემდეგი ერთი ან ორივე საფუძ-

²⁸⁹ ვილფრედო პარეტო (1848 – 1923) – იტალიელი ეკონომისტი და სოციოლოგი.

²⁹⁰ ნიკოლას ქალდორი (1908 – 1986), სერ ჯონ პიქსი (1904 – 1989), ბრიტანელი ეკონომისტები.

²⁹¹ *Nicolaes Tollenaar, Pre-insolvency Proceedings, a normative foundation and frameworks, Oxford University Press 2019, pg. 23.*

ვლით: ა) გეგმა გაუმართლებელ ზიანს აყენებს კრედიტორს ბ) კრება (რომელიმე) ჩატარდა დარღვევით.

საერთო აუზისა და ანტი-საერთო პოზიციების პრობლემა, საბოლოო ჯამში, ბალანსდება ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმით და ვიღებთ გადახდისუნარობის სამართლის მთლიან ლოგიკას. თუმცა რა შეიძლება ითქვას ადრეული ჩარევის მექანიზმებზე, მათ საჭიროებაზე? რა იდეა და დასაბუთება გააჩნია მათ არსებობას? პროცედურამ უნდა უზრუნველყოს, რომ როგორც კრედიტორებმა, ისე მოვალემ უფრო უკეთესი შედეგები მიიღონ, რადგან ჩარევა ხდება ფინანსური სიძნელეების ძალიან ადრეულ ეტაპზე.

2019 წლის ევროდირექტივა (DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019) „პრევენციული რესტრუქტურისაციის ჩარჩოებზე“ განმარტავს, რომ აღნიშნულმა მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს: ა) ბიზნესის გადარჩენა, კრედიტორებისათვის მისაღები ღირებულების მაქსიმალურად გაზრდა; ბ) სამუშაო ადგილების და დაგროვილი ცოდნის/უნარების შენარჩუნება; გ) ჭარბვალიანობის წარმოქმნისთვის ხელის შეშლა. როგორც ვხედავთ, გადახდისუნარობის საქმეში ჩართულ მხარეთა ვიწრო ინტერესებს ემატება სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის განხორციელების ინტერესი და არაპირდაპირად გავდივართ უფრო მასშტაბურ შედეგებზე. სწორედ ამიტომ არის პრევენციული მექანიზმები საჭირო გადახდისუნარობის სისტემაში და მიმზიდველი მონაწილე მხარეებისთვის.

9.3. რეგულირებული შეთანხმების ძირითადი პრინციპები

გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიხედვით CVA-ს აქვს რამდენიმე საყრდენი პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს მის გამართულ მუშაობას და, უმეტეს შემთხვევაში, დასახული შედეგის დადგომას.

9.3.1. მოქნილობა

CVA-ს მოქნილობას უზრუნველყოფს ერთდროულად რამდენიმე მექანიზმი:

- არ არის აუცილებელი შეთანხმება მოიცავდეს მთელ ქონებას, ვინაიდან ეს არის წმინდად ნებაყოფლობითი აქტი.²⁹² აღნიშნული მიდგომა აძლევს დირექტორებს თავისუფლებას, შეცვალონ ქონების და ინტერესების პრიორიტეტების სქემა უკეთესი შედეგის მისაღწევად. გადახდისუნარობის ფორმალური პროცედურებისგან განსხვავებით, სადაც მოვალის მთლიანი ქონებისგან იქმნება გადახდისუნარობის ქონება და მასზე მყარდება მმართველის და კრედიტორთა კონტროლი, CVA-ში ქონება და მასზე კონტროლი რჩება უცვლელი. ასეთი რეჟიმის შეთავაზება უნდა იყოს ბიზნესებისთვის ადრეული მიმართვიანობის მოტივაცია;
- კორკის მოხსენების მიხედვით, შესაძლებელია ყველა კრედიტორი არც ყოფილიყო ჩართული (თუმცა, ამავე დროს, რჩებოდა რეალური საფრთხეები იმ კრედიტორების მხრიდან, რომლებიც არ იყვნენ ჩართულნი) ამ საკითხთან დაკავშირებით კორკის მოხსენება უთითებს, რომ მოვალემ ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიანოდოს მმართველს,

²⁹² Insolvency Law and Practice: [Final Report]: Report of the Review Committee (Cmnd.) *Cork, Kenneth*, Stationery Office Books, 9 Jun. 1982, paras 146, 372.

თუ რატომ არ არის კრედიტორების ნაწილი ჩართული²⁹³, ასევე, რომ შეთავაზება გაეგზავნათ იმ კრედიტორებს, რომლებიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას²⁹⁴.

- არ მოქმედებს პარი პასუს პრინციპი – კორკის მოხსენება ამბობს, რომ შემოთავაზებული სისტემა არის უფრო მოქნილი შეთავაზების წარდგენისა და დამტკიცების თვალსაზრისით და ამის მაგალითად მოჰყავს პარი პასუსგან განსხვავებული განაწილების პრინციპის გამოყენების შესაძლებლობა. ასეთი მოქნილობის არარსებობის შემთხვევაში, კრედიტორები დაკარგავენ მესამე პირებისგან თანხის ან გადახდისუუნარობის დაწყების შემდეგ მოვალის მიერ შეძენილი ქონების მიღების უპირატესობებს.

9.3.2. სამართლიანობა

შეთანხმების დამტკიცების სქემით ხდება კრედიტორების ინტერესების დაცვა. შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ კრედიტორთა კრების 75%-ზე მეტი, რომელშიც, ამავდროულად, უნდა შედიოდეს კომპანიასთან არადაკავშირებული კრედიტორების 50%-ზე მეტი ხმა, დაამტკიცებს შეთავაზებას. ასევე, პარალელურად უნდა მოხდეს პარტნიორთა კრების ჩატარება, სადაც 50%-ზე მეტი ხმა ამტკიცებს შეთანხმებას, თუმცა, პარტნიორთა კრების მიერ შეთავაზების ჩაგდება ხელს არ უშლის შეთანხმების დამტკიცებას მხოლოდ კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების ძალით;

იმ 25% კრედიტორებისათვის, რომელთაც შეთავაზების წინააღმდეგ მისცეს ხმა, თუმცა მათთვის შეთანხმება მაინც გახდა მხოტავი, არსებობს გასაჩივრების უფლება, რასაც შესაძლოა ჰქონდეს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი: ა) გადაწყვეტილება რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების შესახებ გაუმართლებელ ზიანს აყენებს მოვალის კრედიტორს ან პარტნიორს; ან ბ) კრება ჩატარდა არსებითი დარღვევით.

9.3.3. გაკოტრების მინიმუმი პრაქტიკაში

CVA-ს პროცედურაში ოფიციალურად, კანონისმიერი დანაწესით, სავალდებულო არ არის გაკოტრების მინიმუმის პრინციპის დაცვა. თუმცა შეთავაზების დამაჯერებლობისათვის ხშირად გვხვდება რეკომენდაცია, რომ ნაჩვენები იყოს გაკოტრების მინიმუმი. მაგალითად, კორკის მოხსენებაში ნათქვამია, რომ კრედიტორებისთვის შეთავაზება მინიმუმ ისეთივე ხელსაყრელი (სასარგებლო) უნდა იყოს როგორც ეს იქნებოდა ფორმალურ გადახდისუუნარობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტორს უნდა ჰქონდეს გასაჩივრების საფუძველები და უფლებამოსილება, რომ მოითხოვოს გადახდისუუნარობის დაწყება სასამართლოში.²⁹⁵ ედვარდ ბეილი შეთავაზების შინაარსის განხილვისას, ასევე, აღნიშნავს, რომ შეთავაზების სასურველობაზე, ხშირად, შესაძლოა მიგვითითოს კრედიტორთა მიერ შეთავაზებით მისაღები თანხებისა და სხვა შემთხვევაში (რეაბილიტაციის, გაკოტრების) მისაღები თანხების შედარებამ.²⁹⁶

²⁹³ Insolvency Law and Practice: [Final Report]: Report of the Review Committee (Cmnd.) *Cork, Kenneth*, Stationery Office Books, 9 Jun. 1982, para. 373.

²⁹⁴ Insolvency Law and Practice: [Final Report]: Report of the Review Committee (Cmnd.) *Cork, Kenneth*, Stationery Office Books, 9 Jun. 1982, para. 375-ე.

²⁹⁵ Insolvency Law and Practice: [Final Report]: Report of the Review Committee (Cmnd.) *Cork, Kenneth*, Stationery Office Books, 9 Jun. 1982, para. 364(4).

²⁹⁶ *Edward Baily*, *Voluntary Arrangements*, LexisNexis Butterworths 2007. pg. 37.

როგორც აღინიშნა, გაკოტრების მინიმუმის პრინციპს სხვანაირად უწოდებენ კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის ტესტს. ხშირად ამას კოდიფიცირებული სახე აქვს, მაგალითად, აშშ-ს გადახდისუუნარობის კოდექსის 1129(a)(7) პარაგრაფის თანახმად, თითოეულმა მოთხოვნის მფლობელმა გეგმის მიხედვით უნდა მიიღოს გეგმის ძალაში შესვლის დღისთვის იმაზე არანაკლები, რასაც მიიღებდა ამავე თარიღით გაკოტრება რომ მომხდარიყო. ეს არის სწორედ საუკეთესო ინტერესის ტესტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, რომ რეაბილიტაცია უფრო სასარგებლო იყოს კრედიტორებისათვის ვიდრე მოვალის გაკოტრება და ამომსაღმოსაღმოს რეესტრიდან. ყველაზე მეტად კი, გაკოტრების მინიმუმი უზრუნველყოფს იმ კრედიტორების დაცვას, რომელთაც ხმა არ მიუციათ გეგმისთვის.²⁹⁷ ყველაზე ეფექტიანად გაკოტრების მინიმუმის პრინციპი მიიჩნევა, როცა გამოთვლა ხდება წმინდა მიმდინარე ღირებულების ფორმულის მიხედვით. წმინდა მიმდინარე ღირებულება არის მიმდინარე (გამოთვლის დრო) ფულადი შემოსავლების ღირებულებისა და მიმდინარე ფულადი გასავლების ღირებულების სხვაობა გარკვეული დროის განმავლობაში, უფრო მარტივად კი, ხდება გადავადებული შემოსავლის მიმდინარე ღირებულების დადგენა. ამ პრინციპის გამოყენება აუცილებელია გაკოტრების მინიმუმის დადგენისას, რადგან თუ ჩვენ დღეს უარს ვამბობთ მოვალის გაკოტრებაზე იმ პირობით, რომ უფრო მეტი უნდა მივიღოთ ერთი წლის შემდეგ, მაშინ მისაღები შემოსავლის შეფასებაში ამ ერთი წლის ფაქტორი უნდა იყოს გათვალისწინებული.

9.4. CVA-ს ნაკლოვანებები და უპირატესობები

ვინაიდან რეგულირებული შეთანხმება ქართული გადახდისუუნარობის სისტემისთვის სრულიად ახალი ინსტიტუტია, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას CVA-ს როგორც უპირატესობებს, ასევე, ნაკლოვანებებს, რათა დაინტერესებული პირებისთვის შესაძლებელი გახდეს პროცედურის პრაქტიკაში გამოყენებისთვის მომზადება და, შესაბამისად, მომავალი საქმიანობის პროგნოზირებად გარემოში დაგეგმვა.

უმეტეს შემთხვევებში, ფინანსურ კრიზისში მყოფი კომპანიისათვის შესაძლებელია CVA უფრო მომგებიანი იყოს, ვიდრე რეაბილიტაცია ან გაკოტრება. სწორედ ამ შესაძლებლობის, შეძლებისდაგვარად, სრულყოფილად შესაფასებლად აუცილებელია ვიცოდეთ ახალი ინსტიტუტის უპირატესობები და, განსაკუთრებით კი, ნაკლოვანებები.

უპირატესობებისა და ნაკლოვანებების ჩამონათვალი მოცემულია გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის 2018 წლის 31 მაისის მიმოხილვაში²⁹⁸, რომლის მიხედვით CVA-ს ახასიათებს შემდეგი პოტენციური უპირატესობები:

- არ არის საჭირო გადახდისუუნარობის ფაქტის მტკიცება. შესაბამისად, ქმედებები შესაძლოა დაინყოს უკვე ფინანსური კრიზისის პირველივე ნიშნებზე;
- CVA არის მოქნილი მექანიზმი, კომპანიასა და კრედიტორებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირება შესაძლებელია თავისუფალ რეჟიმში;
- CVA აძლევს შესაძლებლობას პატარა და, ჯერ კიდევ, სიცოცხლისუნარიან კომპანიას, რომელსაც აქვს კარგი ბიზნესმოდელი და შეკვეთების სია, მაგრამ განიცდის „დრო-

²⁹⁷ UNCITRAL Legislative Guide on Insolvency Law, United Nation Publication Sales No. E.05.V.10 ISBN 92-1-133736-4, New York 2005, pg. 218.

²⁹⁸ <https://researchbriefings.parliament.uk/ResearchBriefing/Summary/SN06944#fullreport>

ებით“ ფინანსურ სიძნელეებს და იმყოფება კრედიტორების ზეწოლის ქვეშ, გამოიყენოს 28 დღიანი მორატორიუმი (ამოსუნთქვის საშუალება) ბიზნესის გადასარჩენად. ეს ნება-ყოფლობითი მორატორიუმი არ არის ხელშისაწვდომი დიდი კომპანიებისათვის;

- CVA აძლევს დროს კომპანიებს, რათა მათ მოახდინონ რეორგანიზაცია-რესტრუქტურ-იზაცია (მომხმარებლებთან კავშირის წყვეტის გარეშე). CVA აძლევს შესაძლებლობას სანყის ეტაპზე ვაჭრობაში სირთულეების მქონე კომპანიებს, რომ მათ დაამტკიცონ თავი-სი ბიზნესმოდელის მართებულობა (ასევე, უნარჩუნებს კომპანიას სავაჭრო ისტორიას);
- CVA ფარგლებში კომპანიის ძირითადი ბიზნესი განაგრძობს არსებობას და მოაქვს შე-მოსავალი;
- CVA არ ითვალისწინებს სასამართლოს ჩართულობას, ამიტომ ზოგადად, უფრო იაფი პროცედურაა, ვიდრე სხვა ფორმალური გადახდისუნარობის პროცედურები;
- CVA არიან კომპანიას სტიმას, ვინაიდან პროცესი ამ ეტაპზე არ საჯაროვდება;
- შეთავაზების თვალსაზრისით, CVA მტკიცდება კრედიტორთა ხმების 75%-ით (რომელთა 50%-ზე მეტი უნდა იყოს მოვალესთან არადაკავშირებული კრედიტორი) და ვრცელდება იმ დანარჩენ კრედიტორებზეც, რომელთაც შეთანხმებას მხარი არ დაუჭირეს. CVA და-ლაშია იმ კრედიტორების მიმართაც, რომელთაც გარკვეული მიზეზების გამო არ იცოდ-ნენ CVA-ს შესახებ;
- უზრუნველყოფილი კრედიტორები, ზოგადად, CVA-ს გარეთ არიან და, როგორც წესი, მხარს უჭერენ მოვალეს;
- CVA შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომპანიის მიერ ბიზნესის დახურვის მიზნით. CVA არის ხარჯთ-ეფექტური მეთოდი ფორმალური ლიკვიდაციის თავიდან ასარიდებლად.

რაც შეეხება ნაკლოვანებებს, ესენია:

- CVA არ აძლევს კრედიტორებს კომპანიის საქმეების სრული გამოკვლევის საშუალებას;
- CVA-ს ზედამხედველი ვერ იწყებს საცილო ქმედებებზე დავებს (თალითურ და უკანონო ქმედებებზე, ასევე, უპირატესობის მინიჭებასა და ქონების გადამალვაზე);
- ნებისმიერი კრედიტორი, რომელიც ფლობს მოთხოვნების 25% ან მეტს, არის ძლიერ პოზიციაში ზეგავლენა იქონიოს CVA-ს პირობებზე;
- CVA-ს პირობებში ბიზნესი აგრძელებს მოქმედებას. თუმცა შესაძლოა მიმწოდებლებმა არ მოისურვონ თუნდაც მოკლევადიანი კრედიტების გაცემა, რაც გამოიწვევს ფულადი ნაკადების პრობლემებს. შესაძლოა საჭირო გახდეს სავაჭრო პირობებზე ხელახლა მო-ლაპარაკება, რათა უზრუნველყოთ კომპანიის შემოთავაზების მხარდაჭერა;
- კრედიტორებმა (ფინანსური ინსტიტუტებმა), შესაძლოა არ მოინდომონ CVA-ში მონაწი-ლეობა და შეწყვიტონ ხელშეკრულებები;
- ზოგჯერ CVA-ს ჩავარდნა გამოწვეულია ძალიან მაღალი მოლოდინებითა და კრედი-ტორთა მიერ მეტისმეტად მკაცრი პირობების დაწესებით.

9.5. ევროდირექტივა

2019 წლის ივნისში ევროპარლამენტმა მიიღო დირექტივა (DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019)²⁹⁹ „პრევენციული რესტრუქტურზაციის ჩარჩოებზე, ვალის პატიებასა და დის-

²⁹⁹ შემდეგში დირექტივა ან ევროდირექტივა.

კვალიფიკაციაზე (გაუქმებაზე), რესტრუქტურის პროცესების ეფექტიანობის გაზრდის ღონისძიებების შესახებ“. დირექტივა ნათლად გამოხატავს თანამედროვე ტენდენციებს და საჭიროებებს კრიზისში მყოფი ბიზნესის გადარჩენის (დირექტივის ენაზე რესტრუქტურის) საქმეში.

დირექტივა ფარავს შემდეგ თემებს: ა) გადახდისუნარობის აღკვეთისა და მოვალის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, პრევენციული რესტრუქტურის ჩარჩოებს, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოვალისთვის ფინანსური პრობლემების დროს, როცა სახეზეა მოსალოდნელი გადახდისუნარობა; ბ) გადახდისუნარო ინდივიდუალური მენარმეების მიერ დაგროვილი სესხების ჩამონერის პროცედურებს; და გ) რესტრუქტურის, გადახდისუნარობისა და ვალის ჩამონერის პროცედურების ეფექტიანობის გაზრდის ღონისძიებებს.

იმაზე, თუ რა იგულისხმება ტერმინ „რესტრუქტურის“ დირექტივა თავად გვადლევს განმარტებას:³⁰⁰ ეს არის მოვალის ბიზნესის რესტრუქტურისკენ მიმართული ღონისძიებები, რომელიც მოიცავს ა) მოვალის ქონებისა და ვალდებულებების შემადგენლობის, პირობების ან სტრუქტურის ცვლილებას ბ) კაპიტალის სტრუქტურის სხვა ნაწილის ცვლილებას, როგორცაა ქონების ან ბიზნესის ნაწილის გაყიდვა, გ) კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედი ბიზნესის გაყიდვას, დ) სხვა ნებისმიერ საოპერაციო ცვლილებას, ე) აღნიშნული ელემენტების კომბინაციას.

პრევენციული რესტრუქტურის ჩარჩოებთან დაკავშირებით დირექტივა მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს:

9.5.1. ადრეული გაფრთხილება და ინფორმაციასთან წვდომა

ადრეული გაფრთხილებისა და ინფორმაციასთან წვდომის შესახებ ჩანაწერის მიხედვით³⁰¹ მოვალეს უნდა გააჩნდეს ერთი ან რამდენიმე არაორაზროვანი/გასაგები და გამჭვირვალე ადრეული გაფრთხილების მექანიზმი სამომავლოდ შესაძლო გადახდისუნარობის გამომწვევი გარემოებების დასადგენად, რომელთაც (მექანიზმებს) შეუძლიათ გამაფრთხილებელი სიგნალის მიცემა მოქმედების დაუყოვნებლივ დასაწყებად. შეტყობინებისა და კომუნიკაციისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს თანამედროვე ინტერნეტტექნოლოგიები.

დირექტივისავე განმარტებით, აღნიშნულ მექანიზმებში შეიძლება მოიაზრობდეს მაგალითად: ა) განგაშის მექანიზმი, როცა მოვალემ გარკვეული ტიპის გადახდები არ განახორციელა; ბ) საჯარო ან კერძო ორგანიზაციების მიერ საკონსულტაციო მომსახურების განწვევა; გ) ეროვნული კანონმდებლობის დონეზე მესამე პირების (როგორებიც არიან ფინანსისტები, საგადასახადო და სოც. უსაფრთხოების ორგანოების წარმომადგენლები) წახალისება იმისათვის, რომ მოვალეს მიუთითონ უარყოფით შედეგებზე.

³⁰⁰ მუხლი 2, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

³⁰¹ მუხლი 3, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

9.5.2. ხელმისაწვდომობა პრევენციული რესტრუქტურისაციის ჩარჩოებზე

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ,³⁰² რომ მოსალოდნელი გადახდისუნარობის შემთხვევაში, მოვალეებისთვის ხელმისაწვდომი იყოს პრევენციული რესტრუქტურისაციის ჩარჩო, რომელიც მათ საშუალებას მისცემს მოახდინონ რესტრუქტურისაცია გადახდისუნარობის თავიდან ასაცილებლად და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, გადახდისუნარობის თავიდან აცილების სხვა გადაწყვეტილებებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, ისე, რომ დაიცვან სამუშაო ადგილები და შეინარჩუნონ ბიზნესსაქმიანობა. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ან შემოიღონ ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის ტესტი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, იმ პირობით, რომ დაცული იყოს ამ ტესტის მიზანი – გამორიცხოს მოვალეები, რომლებსაც არ აქვთ რესტრუქტურისაციის პერსპექტივა და ეს განხორციელდეს მოვალის აქტივებისთვის ზიანის მიყენების გარეშე. წევრ სახელმწიფოებს, ასევე, შეუძლიათ შეზღუდონ პრევენციული რესტრუქტურისაციის მექანიზმის გამოყენების რაოდენობა გარკვეულ ვადებში.

პრევენციული რესტრუქტურისაციის საპროფილაქტიკო ჩარჩო შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი პროცედურისგან, ზომებისგან ან ნორმებისგან, რომელთაგან ზოგი შეიძლება მოქმედებდეს სასამართლოს გარეთ, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა რესტრუქტურისაციის ჩარჩოს შეუზღუდავად. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამგვარი რესტრუქტურისაციის ჩარჩოში მოვალე და გეგმაში ჩართული მხარეები აღჭურვილნი იყვნენ სათანადო უფლებებითა და გარანტიებით.

შესაძლებელია, შეიზღუდოს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს ჩარევა პროცედურაში, როცა ეს არის საჭირო და პროპორციული. ამ დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს გეგმაში ჩართული ნებისმიერი მხარისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების უფლებების დაცვა.

მნიშვნელოვანია, რომ დირექტივით გათვალისწინებული პრევენციული რესტრუქტურისაციის ჩარჩოები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ მოვალისთვის. შესაძლებელია, რომ პროცედურა, ასევე, წამოიწყონ კრედიტორებმაც, თუმცა მხოლოდ მოვალის თანხმობის საფუძველზე. ასევე, დირექტივით არის დაშვება, რომ მოვალის თანხმობის გამოთხოვის წესი არ შეეხოს მცირე და საშუალო ბიზნესს.

9.5.3. მოვალე მართვაში

ევროდირექტივა ითვალისწინებს მნიშვნელოვან სიახლეს – „მოვალე მართვაში“³⁰³. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოვალეები, რომლებსაც აქვთ პრევენციული რესტრუქტურისაციის პროცედურები, მთლიანად ან, მინიმუმ, ნაწილობრივ, აკონტროლებდნენ თავიანთ აქტივებს და უძღვებოდნენ ყოველდღიურ ბიზნესსაქმიანობას.

საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პრაქტიკოსის დანიშვნაზე გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს ინდივიდუალურად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეიძლება კანონმდებლობით სავალდებულო იყოს პრაქტიკოსის დანიშვნა.

³⁰² მუხლი 4, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

³⁰³ მუხლი 5, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ პრაქტიკოსის დანიშვნის მექანიზმის არსებობა, რაც დაეხმარება მოვალეს და კრედიტორებს მოლაპარაკებებსა და გეგმის შედგენაში, სულ მცირე, შემდეგ შემთხვევებში: ა) სასამართლოს მიერ ჩართულია მორატორიუმი და სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტს, რომ პრაქტიკოსი აუცილებელია მხარეთა ინტერესის დასაცავად; ბ) როდესაც რესტრუქტურისაციის გეგმა უნდა დამტკიცდეს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კრედიტორთა კლასის ნების შეზღვევის მეშვეობით; გ) თუ ამას ითხოვს მოვალე ან კრედიტორების უმრავლესობა, იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პრაქტიკოსის ხარჯებს იხდიან კრედიტორები.

9.5.4. მორატორიუმი

პრევენციული რესტრუქტურისაციის ჩარჩოს ფუნქციონირებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია მორატორიუმის ინსტიტუტის არსებობა. კერძოდ, მოლაპარაკებების ხელშეწყობისა და რესტრუქტურისაციის მიღწევის მიზნებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს მორატორიუმი. შესაძლებელია, ასევე, სასამართლოს უარი მორატორიუმზე თუ მიიჩნევს, რომ აღნიშნული მექანიზმი არ არის საჭირო მიზნების მიღწევისთვის.³⁰⁴

შესაძლებელია მორატორიუმით შეჩერდეს ყველა ტიპის მოთხოვნის აღსრულება უზრუნველყოფილი და პრეფერენციული კრედიტორების მოთხოვნების ჩათვლით, გარდა იმ გამონაკლისებისა, რაც კანონით იქნება გათვალისწინებული. გამონაკლისები შეიძლება იყოს კარგად ჩამოყალიბებული გარემოებები შესაბამისი დასაბუთებებით და როცა: ა) აღსრულება არ შეუძლის ხელს რესტრუქტურისაციის პროცესს ბ) მორატორიუმი გაუმართლებელ ზიანს აყენებს მოთხოვნის მქონე კრედიტორს. სავალდებულო გამონაკლისი უნდა იყოს დასაქმებულების სახელფასო მოთხოვნები, თუმცა აქაც შეიძლება იყოს გამონაკლისის გამოწვევა.

მორატორიუმის თავდაპირველი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს, თუმცა შესაძლებელია ეს ვადა გაგრძელდეს სასამართლოს მიერ ან დაწესდეს ახალი მორატორიუმი მოვალის ან კრედიტორის მოთხოვნით და შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, მაგალითად: ა) გარკვეული პროგრესია მიღწეულია მოლაპარაკებებში, ბ) გაგრძელება არ მიაყენებს გაუმართლებელ ზიანს გეგმაში ჩართულ მხარეებს გ) მოვალის მიმართ არ არის გახსნილი სხვა გადახდისუნარობის პროცესი, რომელიც შეიძლება გაკოტრებით დამთავრდეს.

მორატორიუმის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. შესაძლებელი უნდა იყოს მორატორიუმის ან მისი ნაწილის გაუქმება შემდეგ შემთხვევებში: ა) მორატორიუმი აღარ ასრულებს თავის ფუნქციას, მაგალითად, როცა აშკარაა, რომ გეგმის დამტკიცებისთვის ხელის შეშლისათვის საჭირო ხმების მქონე კრედიტორები არ უჭერენ მხარს მოლაპარაკებების გაგრძელებას ბ) მოვალის ან პრაქტიკოსის მოთხოვნის საფუძველზე გ) თუ მორატორიუმი გაუმართლებელ ზიანს აყენებს ერთ ან მეტ კრედიტორს ან კრედიტორთა ჯგუფს დ) თუ მორატორიუმი ქმნის მოვალის გადახდისუნარობის მდგომარეობაში ჩაყენების საფრთხეს.

³⁰⁴ მუხლი 6, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

9.5.5. მორატორიუმის სამართლებრივი შედეგები

მორატორიუმის სამართლებრივ შედეგებში³⁰⁵ მითითებულია, რომ მორატორიუმის ჩართვის შემდეგ ჩერდება მოვალის კანონისმიერი ვალდებულება გაკოტრების საქმის ნამოწყებაზე. ასევე, ჩერდება მესამე პირების აღსრულების პროცესები. ბიზნესსაქმიანობის გაგრძელებისთვის არსებითად საჭირო კონტრაქტების მხარეებს შესაძლებელია აეკრძალოთ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა, კონტრაქტის შეწყვეტა და/ან მოდიფიცირება, ამ კრედიტორებისთვის შესაბამისი გარანტიების მიცემის სანაცვლოდ.

კრედიტორებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება შეწყვიტონ ხელშეკრულება მხოლოდ იმიტომ, რომ დაიწყო გადახდისუუნარობის წარმოება. ხელშეკრულების ნაადრევ შეწყვეტას შეუძლია საფრთხე შეუქმნას ბიზნესს, რომ მან გააგრძელოს საქმიანობა რესტრუქტურისაციის მოლაპარაკების დროს, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ძირითადი საქონლის მიწოდების კონტრაქტებს, როგორცაა გაზი, ელექტროენერჯია, წყალი, ტელეკომუნიკაციები და ბარათებით გადახდის სერვისები. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კრედიტორებს, რომლებმაც ვრცელდება ინდივიდუალური სააღსრულებლო წარმოების მორატორიუმი ან რომელთა მოთხოვნებიც, რომლებიც წარმოიშვა მორატორიუმის ამოქმედებამდე, არ დაკმაყოფილებულა მოვალის მიერ, არ უნდა შეეძლოთ უარი თქვან შესრულებაზე ან შეწყვიტონ, დააჩქარონ ან რაიმე ფორმით შეცვალონ ძირითადი, მიმდინარე კონტრაქტები მორატორიუმის პერიოდში იმ პირობით, რომ მოვალე აკმაყოფილებს თავის სახელშეკრულებო მოვალეობებს, რომელთა შესრულების დრო ემთხვევა მორატორიუმის პერიოდს. მიმდინარე კონტრაქტები არის, მაგალითად, ქირაობისა და ლიცენზიის შეთანხმებები, გრძელვადიანი მიწოდების ხელშეკრულებები და ფრენჩაიზინგის შეთანხმებები.³⁰⁶

მორატორიუმის დასრულება გეგმის გარეშე არ უნდა იწვევდეს გაკოტრების/ლიკვიდაციის დაწყებას, თუ არ არის სახეზე გაკოტრების/ლიკვიდაციის დაწყებისთვის საჭირო სხვა წინაპირობები.

9.5.6. რესტრუქტურისაციის გეგმის ძირითადი შინაარსი

დირექტივით განსაზღვრულია რესტრუქტურისაციის გეგმის ძირითადი შინაარსი.³⁰⁷ გეგმა უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

- ა) მოვალის ვინაობას;
- ბ) მოვალის ქონებას და მისი ვალდებულებებს გეგმის წარდგენის მომენტისთვის, მათ შორის, ქონების ღირებულებები, მოვალის ეკონომიკური სიტუაციის აღწერა, დასაქმებულთა მდგომარეობა, მოვალის ფინანსური სირთულეების მოცულობა და მიზეზები;
- გ) პირებს, რომლებმაც გეგმას ექნება გავლენა (გეგმაში ჩართული პირები), ასევე, მათ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია გეგმით;
- დ) კლასებს (იმ პირების, რომლებმაც გეგმას ექნება გავლენა) ასეთის არსებობის შემთხვევაში, და თითოეული კლასის მოთხოვნების მოცულობას;
- ე) პირებს, რომლებმაც გეგმა არ იქონიებს გავლენას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და საფუძვლები, თუ რატომ იქნენ ამორიცხული გეგმიდან;

³⁰⁵ მუხლი 7, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

³⁰⁶ რეციტალი 41, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

³⁰⁷ მუხლი 8, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

- ვ) პრაქტიკოსის დასახელებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში
- ზ) გეგმის პირობებს, მათ შორის:
- 1) შემოთავაზებული რესტრუქტურიზაციის ღონისძიებებს (ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მოვალის ბიზნესის რესტრუქტურიზაციისკენ და რომელიც მოიცავს: ა) მოვალის ქონებისა და ვალდებულებების შემადგენლობის, პირობების ან სტრუქტურის ცვლილებას, ბ) კაპიტალის სტრუქტურის სხვა ნაწილის ცვლილებას, როგორცაა ქონების ან ბიზნესის ნაწილის გაყიდვა, გ) თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედი ბიზნესის გაყიდვას, დ) სხვა ნებისმიერ საოპერაციო ცვლილებას, ე) აღნიშნული ელემენტების კომბინაციას);
 - 2) შემოთავაზებული ღონისძიებების შემოთავაზებული ვადებს;
 - 3) ინფორმაციას იმის შესახებ, რომ დასაქმებულები ინფორმირებული არიან პროცესების შესახებ;
 - 4) დასაქმებულთა განთავისუფლების ან სამუშაო დროის შემცირების შესახებ ინფორმაციას;
 - 5) მოვალის ფულადი ნაკადებს;
 - 6) ახალი დაფინანსების შესახებ ინფორმაციას და ახსნა-განმარტებას, თუ რატომ არის საჭირო ახალი დაფინანსების გათვალისწინება გეგმაში;
 - 7) დასაბუთებას იმის თაობაზე, რომ გეგმა არის გონივრულად განხორციელებადი და შეძლებს მოვალის გადახდისუნარობის თავიდან აცილებას, უზრუნველყოფს ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობას. ასევე, გეგმის წარმატების წინაპირობებს. შესაძლებელია ეს დასაბუთება გაკეთებული იყოს გარე ექსპერტის ან დარგის პრაქტიკოსის მიერ.

საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ინტერნეტით ხელმისაწვდომი იყოს სია (ე.წ. check-list) გეგმის შემადგენლობაზე. ასევე, სასურველია არსებობდეს პრაქტიკული სახელმძღვანელოები გეგმის შედგენაზე, მის სტრუქტურაზე და მასზე, თუ როგორ უნდა გაკეთდეს გეგმის პროექტი.

9.5.7. რესტრუქტურიზაციის გეგმის მიღება³⁰⁸

რესტრუქტურიზაციის გეგმის მიღებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის განმცხადებელი, მოვალეს ყოველთვის უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, წარადგინოს საკუთარი გეგმა, შესაძლებელია გეგმის წარდგენის უფლება ჰქონდეს, ასევე, კრედიტორებს ან პრაქტიკოსს.

მხოლოდ გეგმაში ჩართულ მხარეებს უნდა ჰქონდეთ ხმის მიცემის უფლება. ხმის უფლება შესაძლოა არ ჰქონდეთ ა) პარტნიორებს ბ) კრედიტორებს, რომლებიც კანონით დადგენილი გაკოტრების რიგითობის შემთხვევაში დაიკავებდნენ ჩვეულებრივი არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ქვემოთ რიგს გ) მოვალესთან დაკავშირებულ პირებს, რომელთაც აქვთ ინტერესთა კონფლიქტი.

გეგმაში ჩართული პირები უნდა იყვნენ კლასებად დაყოფილი, მინიმუმ უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა კლასებად. ასევე, შესაძლებელია მოვალე, რომელიც მიეკუთვნება მცირე და საშუალო ბიზნესს, არ იყოს ვალდებული დაყოს კრედიტორები

³⁰⁸ მუხლი 9, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

კლასებად. უნდა არსებოდეს შესაბამისი მექანიზმები, რათა არ მოხდეს მოწყვლადი კრედიტორების ინტერესების შელახვა, როგორცაა, მაგალითად, მცირე სავაჭრო კრედიტორები.

ხმის უფლებები და კლასებად დაყოფა უნდა შემოწმდეს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გეგმის დასამტკიცებლად წარდგენის დროს. შესაძლებელია ეს უფრო ადრეც მოხდეს.

გეგმა მიღებულ უნდა იქნეს მასში ჩართული პირების მიერ, ისე, რომ თითოეულ კლასში იყოს მიღებული ხმათა უმრავლესობა (მოთხოვნების მიხედვით), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 75%-ს. ასევე, შესაძლებელია დაწესდეს ერთიან კრედიტორთა უმრავლესობის თანხმობა (რაოდენობის მიხედვით) ასევე, არაუმეტეს 75%-ისა.

9.5.8. გეგმის დამტკიცება სასამართლოს მიერ³⁰⁹

დირექტივა სავალდებულოდ მიიჩნევს სასამართლოს მიერ იმ გეგმების დამტკიცებას, რომელიც: ა) ზეგავლენას ახდენს იმ კრედიტორებზე, რომელთაც გეგმას მხარი არ დაუჭირეს ბ) შეიცავს ახალ დაფინანსებას გ) ითვალისწინებს დასაქმებულების 25%-ზე მეტის გათავისუფლებას, თუ ამგვარი გათავისუფლება ნებადართულია ქვეყნის კანონმდებლობით.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც დამტკიცდება გეგმა, ნათლად იყოს განერილი. ეს წინაპირობები, მინიმუმ, უნდა შეიცავდეს შემდეგს: ა) გეგმა მიღებული უნდა იყოს ამ დირექტივის მე-9 მუხლის მოთხოვნათა დაცვით ბ) ერთი და იგივე კლასის კრედიტორები სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით, მათი მოთხოვნების პროპორციულად გ) ყველა პირს, რომელის მიმართაც მოქმედებს გეგმა, სათანადო წესით უცნობა პროცესის შესახებ დ) იმ კრედიტორების მიმართ, რომელთაც არ დაუჭირეს მხარი გეგმას, გეგმა აკმაყოფილებს კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის ტესტს (ტესტთან შესაბამისობა მხოლოდ მაშინ მოწმდება, თუ ხდება გეგმის გასაჩივრება) ე) თუ გეგმა ითვალისწინებს ახალ დაფინანსებას, ეს არ უნდა აზიანებდეს კრედიტორებს გაუმართლებლად.

9.5.9. კრედიტორთა კლასის ნების შებოჭვა (cram down)

დირექტივა ეხება, ასევე, კრედიტორთა კლასის ნების შებოჭვას³¹⁰ (მუხლი 11). გეგმა, რომელსაც არ დაუჭირა მხარი რომელიმე კლასმა, შესაძლებელია დამტკიცდეს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თუკი გეგმა აკმაყოფილებს, სულ მცირე, შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) აკმაყოფილებს დირექტივის 10.2 და მე-3 მუხლებს;
- ბ) გეგმა დამტკიცებულია: 1) გეგმაში ჩართული კლასების უმრავლესობის მიერ, თუ ერთი კლასი მაინც არის უზრუნველყოფილი კრედიტორების კლასი ან რანგით ჩვეულებრივ კრედიტორებზე ზემოთ მდგომი კრედიტორების კლასი, ან 2) ხმის მიცემაში მონაწილე მინიმუმ ერთი კლასი (ოღონდ არა პარტნიორთა კლასი) ვერ მიიღებდა ვერაფერს ჩვეულებრივი გაკოტრების რიგითობის გათვალისწინებით;

³⁰⁹ მუხლი 10, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

³¹⁰ მუხლი 11, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

- გ) გეგმა უზრუნველყოფს, რომ კრედიტორები, რომელთაც არ დაუჭირეს მხარი გეგმას, დაკმაყოფილებიან, მინიმუმ, ისე, როგორც მათ რიგში მყოფი სხვა კრედიტორები და უფრო უკეთესად, ვიდრე ქვედა რიგის კრედიტორები;
- დ) არც ერთი კლასი არ მიიღებს კუთვნილ მოთხოვნებზე მეტს.

შესაძლებელია, მცირე და საშუალო მენარმის შემთხვევაში, გეგმის დასამტკიცებლად საკლდებულო იყოს მოვალის თანხმობაც.

კრედიტორთა კლასის ნების შებოჭვა ხდება მაშინ, როცა სასამართლო, ამ კლასის მიერ გეგმის უარყოფის მიუხედავად, მაინც ამტკიცებს მას.

კრედიტორთა კლასის ნების შებოჭვის შესაძლებლობა, თავდაპირველად, ამერიკის კანონმდებლობაში იქნა შემოღებული და მოიაზრებდა უზრუნველყოფილი კრედიტორების შებოჭვას, თუმცა ევროპულ კანონმდებლობაში უკვე ნებისმიერი კლასის შებოჭვას შეიძლება ნიშნავდეს. ამერიკის კოდექსის გადახდისუუნარობის ნაწილის მუხლი 1129(b)(2)(A) განსაზღვრავს წესებს, რა შემთხვევაში შეიძლება შეიბოჭოს კრედიტორთა კლასის ნება: სასამართლოს შეუძლია დაამტკიცოს გეგმა მიუხედავად იმისა, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორების კლასი არ დაეთანხმა მას, იმ შემთხვევაში, თუ გეგმა: ა) უსამართლოდ არ ზღუდავს კრედიტორების უფლებებს, ბ) არის სამართლიანი თითოეული კლასის მიმართ. გეგმა სამართლიანია თუ აღნიშნული კლასის მიმართ ადგენს, რომ: ბ.ა) შეინარჩუნებენ უზრუნველყოფას თავიანთი მოთხოვნის ფარგლებში და ბ.ბ) მიიღებენ გადავადებულ გადახდებს მიმდინარე ღირებულების გათვალისწინებით, მინიმუმ, გაზრდილს სესხის პროცენტის ოდენობით.

გერმანიის გადახდისუუნარობის კოდექსის მიხედვით, ამ მოვლენას ჰქვია ობსტრუქციის აკრძალვა (მუხლი 245) და გულისხმობს შემდეგს: იმ შემთხვევაშიც კი, როცა რომელიმე კლასი არ იწონებს გეგმას, სასამართლოს მაინც შეუძლია დაამტკიცოს გეგმა თუ: ა) ასეთი კლასის კრედიტორები არ მიიღებენ იმაზე ნაკლებს, ვიდრე გეგმის გარეშე მიიღებდნენ, ბ) ამ კლასის წევრები სათანადო მოცულობით მიიღებენ მონაწილეობას ეკონომიკურ ღირებულებაში, რაც გეგმის საფუძველზე გადაეცემა მხარეებს (ეს მოცემულობა გვაქვს მაშინ, როცა ბ.ა) არც ერთი კრედიტორი არ იღებს კუთვნილ მოთხოვნაზე მეტს, ბ.ბ) ამ კლასის ქვემოთ მდგარი კრედიტორები, მოვალე ან მისი პარტნიორები არ იღებენ სარგებელს, ბ.გ) ამ კლასის იგივე უფლებებით აღჭურვილი კრედიტორი არ იღებს უფრო მეტს) და გ) კლასების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი გეგმას.

დამტკიცებული გეგმა საკლდებულო უნდა იყოს გეგმაში ჩართული ყველა პირისათვის.³¹¹

ევროდირექტივა ეხება, ასევე, მოვალის პარტნიორებსაც³¹²: იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებლობით პარტნიორები არ არიან ჩართულნი გეგმის დამტკიცებაში, კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უნდა იყოს მექანიზმები, რათა პარტნიორებმა ვერ შეუშალონ ხელი ან შექმნან საამისო წინააღობები გეგმის მიღების, დამტკიცებისა და იმპლემენტაციის პროცესში.

³¹¹ მუხლი 15, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

³¹² მუხლი 12, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

9.5.10. გეგმის გასაჩივრება და სასამართლოს მიერ ბიზნესის შეფასება

საინტერესოა გეგმის არსებითად შეფასების საკითხი³¹³. სასამართლომ ან ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეაფასოს მოვალის ბიზნესის გადარჩენის გეგმა მხოლოდ მაშინ, თუ მხარემ, რომელიც არ უჭერდა მხარს გეგმას, გაასაჩივრა ის შემდეგი საფუძვლებით: ა) სავარაუდოა, რომ გეგმა ვერ აკმაყოფილებს კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის ტესტს; ბ) სავარაუდოა, რომ მოხდა კრედიტორთა კლასის ნების შეზღუდვა 11(1)(b) (ii) მუხლით დადგენილი წესების დარღვევით.

გეგმის შეფასებისთვის სასამართლომ ან ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა მოიწვიოს კვალიფიციური ექსპერტები. კანონმდებლობით, ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს კრედიტორების მიერ გასაჩივრების უფლება.

გეგმის დამტკიცების ან უარყოფის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება უნდა იყოს შესაძლებელი უფრო მაღალ სასამართლო ინსტანციაში.³¹⁴ გასაჩივრების შემთხვევაში, საქმე უნდა გადაწყდეს სწრაფად და ეფექტიანად. დამტკიცებული გეგმის გასაჩივრება არ უნდა აჩერებდეს გეგმის მოქმედებას, თუმცა სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს გეგმის ან მისი ნაწილის მოქმედება, როცა საჭიროა მხარის ინტერესების დაცვა. სასამართლომ შეიძლება მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება: ა) გააუქმოს გეგმა, ბ) დაამტკიცოს გეგმა ცვლილებებით ან მის გარეშე.

9.5.11. ახალი და შუალედური დაფინანსება³¹⁵

საინტერესოა და აქტუალური საკითხია ახალი და შუალედური დაფინანსების დაცვა, რომელიც სათანადოდ უნდა იყოს განხორციელებული.

როგორც მინიმუმ, მოვალის გადახდისუნარობის შემთხვევაში: ა) დაუშვებელია ახალი და შუალედური დაფინანსების ბათილად, საცილოდ ან ძალადაკარგულად გამოცხადება და ბ) დაუშვებელია ამგვარი დაფინანსების გამცემ პირებს დაეკისროთ სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმ საფუძველით, რომ დაფინანსება ზიანის მომტანია კრედიტორთა ერთობლიობისთვის (general body of creditors), მანამ, სანამ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სხვა დამატებითი საფუძვლები არ იქნება წარმოდგენილი. შესაძლებელია, ეს წესი გავრცელდეს ისეთ ახალ დაფინანსებაზე, რომელიც გათვალისწინებულია სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამტკიცებული გეგმით ან ისეთ შუალედურ დაფინანსებაზე, რომელიც *ex ante* კონტროლს ექვემდებარება. ასევე, შესაძლებელია აღნიშნული წესი არ გავრცელდეს ისეთ შუალედურ დაფინანსებაზე, რომელიც განხორციელებულია მოვალის გადახდისუნარობის დადგომის შემდეგ. დაფინანსების გამცემები შესაძლებელია აღჭურვილნი იყვნენ დაკმაყოფილების მიღების უპირატესი უფლებით.

³¹³ მუხლი 14, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

³¹⁴ მუხლი 16, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

³¹⁵ მუხლი 17, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

9.5.12. რესტრუქტურისა და დაკავშირებული ტრანზაქციების დაცვა³¹⁶

მნიშვნელოვანია რესტრუქტურისა და დაკავშირებული სხვა ტიპის ტრანზაქციების დაცვა. მოვალის გადახდისუნარობის შემთხვევაში გარიგებები, რომელიც საჭირო და გონივრული იყო რესტრუქტურისა და დაკავშირებული მოლაპარაკებებისთვის, არ შეიძლება გამოცხადდეს ბათილად, საცილოდ ან ძალადაკარგულად იმ საფუძვლით, რომ ამგვარი გარიგებები საზიანოა კრედიტორთა ერთობლიობისთვის მანამ, სანამ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სხვა დამატებითი საფუძვლები არ იქნება წარმოდგენილი.

როგორც ახალი და შუალედური დაფინანსების შემთხვევაში, აქაც შესაძლებელია ეს წესი გავრცელდეს ისეთ გარიგებებზე, რომელიც გათვალისწინებულია სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამტკიცებული გეგმით ან რომელიც ex ante კონტროლს ექვემდებარება. ასევე, შესაძლებელია წესი არ გავრცელდეს ისეთ გარიგებებზე, რომელიც განხორციელებულია მოვალის გადახდისუნარობის დადგომის შემდეგ.

მითითებული გარიგებები უნდა შეიცავდეს, როგორც მინიმუმ: ა) მოლაპარაკებების, გეგმის მიღების და დამტკიცების ხარჯების საფასურს, ბ) პროფესიონალი ექპერტების მიერ გეგმასთან უშუალოდ დაკავშირებულ კონსულტაციებზე გაწეულ ხარჯებს, გ) დასაქმებულთა ხელფასებს უკვე გაწეულ სამუშაოსთან დაკავშირებით, დ) ჩვეული ბიზნესრეჟიმის დროს გასაწევ ხარჯებს.

გარიგებები, რომელიც საჭირო და გონივრული იყო რესტრუქტურისა და დაკავშირებული გეგმის იმპლემენტაციისათვის და დადებულია სასამართლოს მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით, არ შეიძლება გამოცხადდეს ბათილად, საცილოდ ან ძალადაკარგულად იმ საფუძვლით, რომ ამგვარი გარიგებები საზიანოა კრედიტორთა ერთობლიობისთვის მანამ, სანამ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სხვა დამატებითი საფუძვლები არ იქნება წარმოდგენილი.

9.5.13. დირექტორების პასუხისმგებლობა³¹⁷

ევროდირექტივა ადგენს დირექტორების პასუხისმგებლობის ჩარჩოს მოსალოდნელი გადახდისუნარობის დროს, კერძოდ, როდესაც მოვალეს აქვს მოსალოდნელი გადახდისუნარობის მდგომარეობა, დირექტორებმა მინიმუმ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ: ა) კრედიტორების, პარტნიორების და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს, ბ) გადახდისუნარობის თავიდან აცილებისთვის შესაბამისი ღონისძიებების საჭიროებას, გ) ისეთი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედებების თავიდან არიდებას, რომელსაც შეუძლია ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობას შეუქმნას საფრთხე.

9.6. რეგულირებული შეთანხმება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

წინამდებარე ნაწილში დეტალურად იქნება განხილული ქართული რეგულირებული შეთანხმება CVA-თან და ევროდირექტივასთან შედარებით ანალიზის ფონზე. ამ მეთოდით, ერთი მხრივ, დავინახავთ რა გაითვალისწინა კანონმდებელმა CVA მოდელიდან, ხოლო მეორე მხრივ, გამოვლინდება რა ნაწილებში დაემთხვა ჩვენი კანონმდებლობა ევროდირექტივას.

³¹⁶ მუხლი 18, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

³¹⁷ მუხლი 19, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

9.6.1. რეგულირებული შეთანხმების სამართლებრივი ბუნება

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რეგულირებული შეთანხმება არის გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფ მოვალესა და კრედიტორებს შორის ამ კანონით დადგენილი წესით მიღწეული შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც თითოეული კრედიტორი მინიმუმ იმდენს მიიღებს, რამდენსაც მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კრედიტორი რეგულირებული შეთანხმების ფარგლებში სხვაგვარ დაკმაყოფილებაზე თანახმაა.³¹⁸

სასამართლომ რამდენჯერმე განმარტა CVA-ს სამართლებრივი ბუნება, მას ხან ხელშეკრულებად მიიჩნევენ, ხან საკუთრების მინდობად/ქონების სეკვესტრად და ხან კანონისმიერ ვალდებულებად. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კრედიტორთა მხოლოდ ნაწილის მიერ ყველა კრედიტორის დავალდებულებას „კანონისმიერი სასწაულიც“ უწოდეს.

მაკკინის საქმეში (Re McKeen [1995] BCC 412) სასამართლომ (მორიტ ჯეი) შეაფასა გადახდისუუნარობის დაწყების განჩინების ეფექტი მანამდე შეთანხმებულ³¹⁹ IVA-სთან მიმართებით (განცხადება შეტანილი იყო იმ კრედიტორების მიერ, რომლებმაც არ გავრცელდა IVA). სასამართლომ მიიჩნია, რომ გადახდისუუნარობის განცხადებას არ შეეძლო შეენწყვიტა IVA-ს მოქმედება, რადგან ეს იყო კანონის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება. ეს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მომხდარიყო, თუ თავად IVA-ში იქნებოდა ჩადებული გადახდისუუნარობის განცხადების შეტანის შემთხვევაში IVA-ს შეწყვეტის პირობა. მოსამართლემ მიიჩნია კანონისმიერ ხელშეკრულებად, რადგან მოვალეს თავისუფლად შეუძლია შესთავაზოს კრედიტორებს ნებისმიერი პირობა და სახეზეა ხელშეკრულების თავისუფლება, რადგან შესაძლებელია ნებისმიერი პირობის გათვალისწინება, ამასთან, თავად IVA-ში არ იყო გათვალისწინებული ზედამხედველი, რომლის განკარგულებაშიც იქნებოდა ქონება და გააკონტროლებდა შეთანხმების შესრულებას. შესაბამისად, აღნიშნული IVA-ს ბუნება წმინდად სახელშეკრულებო იყო და ვერ მოხდებოდა მისი მოქმედების შეწყვეტა გადახდისუუნარობის განცხადებით.

საქმეში Securities Ltd v Mercantile Credite Co Ltd ([1994] BCC 598) მოსამართლე ჯეიკობმა მოიხსენია CVA როგორც კანონისმიერი ვალდებულება და არა კანონისმიერი ხელშეკრულება (statutory contract). თუმცა რთულია პრაქტიკული განსხვავების დანახვა ამ ორ ფრაზას შორის.

საქმეში Burford Midland Properties Ltd v Marley Extrusions Ltd ([1994] BCC 604) სასამართლომ იმსჯელა CVA-ს აგებულებაზე (კონსტრუქცია) და მიიჩნია ნებისმიერი სხვა კომერციული გარიგების მსგავსად.

სხვა მიდგომა იქნა მიღებული CVA-ს სამართლებრივ ბუნებასთან Leisure Study Group Ltd ([1994] 2 BCLC 65) საქმეში:

³¹⁸ მუხლი 21.1., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³¹⁹ ფიზიკური პირის ნებაყოფლობითი შეთანხმება (Individual voluntary arrangement) – CVA-ს მსგავსი პროცედურა ფიზიკური პირებისათვის.

„კომპანიას ჰქონდა CVA, რომლის მიხედვითაც, კომპანია ყოველ სამ თვეში ერთხელ უხდოდა ზედამხედველს განსაზღვრულ თანხებს კრედიტორებზე გასანაწილებლად. ამ კომპანიის წინააღმდეგ შევიდა გადახდისუნარობის დანყების განცხადება და დანიშნულმა ადმინისტრატორმა, როგორც კომპანიის აგენტმა, მოითხოვა ზედამხედველის მფლობელობაში არსებული ფულადი თანხების მისთვის გადაცემა. მოსამართლემ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან კანონის მიხედვით, ზედამხედველი მოქმედებს როგორც მეურვე ან სხვაგვარად იმისათვის, რომ შეთანხმების შესრულებას გაუწიოს ზედამხედველობა. სასამართლომ ტერმინი „მეურვე“ (trustee) ყველაზე შესაფერისად მიიჩნია ზედამხედველის საქმიანობის აღწერისთვის, რადგან ზედამხედველს შეთანხმების ძალით და კრედიტორების სასარგებლოდ ენიჭება უფლება ქონებაზე, რომელიც ეკუთვნის კრედიტორებს. შესაბამისად, კომპანიას არ ჰქონდა არანაირი უფლება ფულად სახსრებზე.

ქართული რეგულირებული შეთანხმების სამართლებრივი ბუნების შეფასებისას, უპირველესად, მხედველობაშია მისაღები სახელწოდება, რომელიც დამოუკიდებლადაც გვეუბნება, რომ საქმე გვაქვს გარიგებასთან, რომელიც იდება მოვალესა და კრედიტორებს შორის. აქ გარკვეულ უხერხულობას ქმნის ის მომენტი, რომ გარიგების მხარედ გვევლინებიან ის კრედიტორები, რომლებიც არ დაეთანხმნენ მას. თუმცა, კრედიტორთა სიმრავლის გამო, პროცესში შემოტანილი მართვის დემოკრატიული ელემენტი საჭიროა პროცესის მოქნილობისთვის, რათა არ გამოირიცხოს კრედიტორთა სახელით გარიგებების დადების შესაძლებლობა. ამის ანალოგია სამეწარმეო სამართალში კომპანიის პარტნიორების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპანიის მიერ მესამე პირთან დადებული გარიგებები. კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება არის საფუძველი გარიგების დადებისთვის და სამეწარმეო სამართლისგან განსხვავებით, გადაწყვეტილების მიღება და გარიგების დადება ერთ მოქმედებაშია გაერთიანებული. კიდევ ერთი ნიშანი იმის დასტურად, რომ გარიგებასთან გვაქვს საქმე, არის მხარეთა მიერ პირობების თავისუფლად შეთანხმების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანი საკითხია, ასევე, იმის დაზუსტება, არის თუ არა რეგულირებული შეთანხმება გადახდისუნარობის რეჟიმი. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის („გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყება, საფუძვლები და ტესტი“) პირველი ნაწილის მიხედვით გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია მოვალის გადახდისუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუნარობა. გადახდისუნარობის საქმის წარმოება იწყება რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის მოთხოვნით გადახდისუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ გადახდისუნარობის საქმის წარმოება შეიძლება განხორციელდეს ა) რეაბილიტაციის რეჟიმით ან ბ) გაკოტრების რეჟიმით. კანონის მიხედვით, რეგულირებული შეთანხმება არ არის მიჩნეული გადახდისუნარობის რეჟიმად, თუმცა რეგულირებული შეთანხმების თავში პირველივე მუხლში რეგულირებული შეთანხმება განმარტებულია, როგორც შეთანხმება გადახდისუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუნარობის წინაშე მყოფ მოვალესა და კრედიტორებს შორის. გამოდის, რომ რეგულირებული შეთანხმების დაწყებისთვის მოვალემ იგივე გადახდისუნარობის ტესტი უნდა გაიაროს, რაც რეაბილიტაციისა და გაკოტრების რეჟიმში შესვლისას მოითხოვება.

საინტერესოა, ჩაითვლება თუ არა რეგულირებული შეთანხმების დაწყება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტით ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებად? მართალია, კანონის მიხედვით, რეგულირებული შეთანხმება რეჟიმად არ მიიჩნევა, თუმცა რეგულირებული შეთანხმების დაწყების შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანა უნდა ჩაითვალოს საწარმოს გადახდისუუნარობის შესახებ გამჟღავნებად. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სასამართლოში განცხადების შეტანამდე დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობს შეთავაზების დამუშავება, გამოდის რომ 3 კვირიანი ვადა ვერ იქნება დაცული. სამართლიანობისათვის, სწორი იქნებოდა, თუ გადახდისუუნარობის განცხადებად მიჩნეულ იქნებოდა მოვალის პირველი შეთავაზების გაგზავნა რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველისათვის. თუმცა აქ ვაწყდებით წინააღმდეგობას, კერძოდ, „მენარმეთა შესახებ“ კანონის მიერ დადგენილი ვალდებულება ემსახურება კრედიტორთა ინტერესებს, მათ რაც შეიძლება მალე უნდა გაიგონ საწარმოს გადახდისუუნარობის ფაქტის შესახებ, რათა იმაზე მეტი ზიანი არ მიადგეთ, რამდენიც გადახდისუუნარობის დადგომის მომენტისთვის შეიძლება არსებობდეს. ზედამხედველისთვის წერილის გაგზავნის დროს კი, კრედიტორებისთვის გადახდისუუნარობის ფაქტი უცნობი რჩება, ამიტომ საჭიროა საკანონმდებლო დონეზე უფრო დეტალურად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი. არ იქნება მართებული მოვალეს მივცეთ ისეთი მექანიზმი, რომლის გამოყენების შეთხვევაში სხვა კანონს დაარღვევს, ამგვარი პერსპექტივის არსებობა ყოველთვის ხელს შეუშლის რეგულირებული შეთანხმების ფართო გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ კანონით, რეგულირებული შეთანხმების დასაწყებად საჭიროა პარტნიორთა თანხმობა. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოვალის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ რეგულირებულ შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების განხორციელებისთვის სავალდებულოა მოვალის პარტნიორთა უმრავლესობის თანხმობა, ხოლო „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მოვალის პარტნიორთა ხმების კვალიფიციური უმრავლესობის მფლობელ პარტნიორთა თანხმობა. აღნიშნული თანხმობა უნდა მოიცავდეს ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების ნებართვას. პარტნიორთა თანხმობის სავალდებულოება ეწინააღმდეგება გადახდისუუნარობის პროცედურის დაწყების პრინციპებს: გადახდისუუნარობის ფაქტი ფოკუსს უცვლის მოვალის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობას და ატრიალებს ვექტორს კრედიტორებისაკენ, სწორედ ამიტომ ავალდებულებს „მენარმეთა შესახებ“ კანონი ხელმძღვანელ პირებს ფაქტის გაცხადების შესახებ, კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულება კი არ შეიძლება მოითხოვდეს დამატებით თანხმობას.

გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობით CVA შეთავაზებას ამზადებენ დირექტორები და წარუდგენენ მას კრედიტორებსა და კომპანიას. ეს შეთავაზება, რომელშიც შესაძლებელია, ასევე, ცვლილებების შეტანა, განიხილება და მტკიცდება კრედიტორთა კრებაზე კვალიფიციური უმრავლესობის მიერ. შეთავაზება, ასევე, წარედგინება კომპანიის პარტნიორებს დასამტკიცებლად. როგორც ვხედავთ, გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში პროცედურის წამოწყება მხოლოდ დირექტორის პრეროგატივაა. ამგვარი მიდგომა ქართულ კანონმდებლობაშიც აგვარიდებდა წინააღმდეგობას ან ალტერნატიული გამოსავალი იქნება თუ რეგუ-

ლირებული შეთანხმების წამოსაწყებად არ იქნება საჭირო საწარმოს გადახდისუუნარობის მოცემულობა. მით უმეტეს, რომ გადახდისუუნარობის ფაქტზე ან მოსალოდნელ გადახდისუუნარობაზე, როგორც პროცესის დაწყების წინაპირობაზე დათქმა, მოცემულია კანონში, თუმცა არ არსებობს შემონმების მექანიზმი და არც ზედამხედველი და მით უმეტეს არც სასამართლო არ ამოწმებს გადახდისუუნარობის ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის ფაქტს.

9.6.2. რეგულირებული შეთანხმების პროცედურის წამოწყება

კრედიტორებისათვის რეგულირებული შეთანხმების შესახებ შეთავაზების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მხოლოდ მოვალეს^{320 321}. ეს მიდგომა ზუსტად ემთხვევა ევროდირექტივის მოთხოვნას, კერძოდ, ევროდირექტივის მე-4 მუხლის მიხედვით, პრევენციული რესტრუქტურისა და ჩარხების ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ მოვალისთვის. იგივე მიდგომას ვხვდებით CVA-ს შემთხვევაში. თუმცა CVA-სგან განსხვავებით რეგულირებულ შეთანხმებაში შეთავაზების ადრესატები მხოლოდ კრედიტორები არიან, ვინაიდან შეთავაზების ძირითადი პირობები პარტნიორებთან უკვე შეთანხმებულია. რაც შეეხება CVA-ს, ამ დროს შეთავაზება კეთდება როგორც კრედიტორებისათვის, ასევე პარტნიორებისათვის და შეთანხმების დამტკიცებაც ორივე ჯგუფის მიერ უნდა მოხდეს.³²²

ამგვარ რეგულირებას საფუძვლად უდევს მოვალის ნახალისების და ბიზნესის მაქსიმალურად შენარჩუნების პოლიტიკა, რეგულირებული შეთანხმების გამოყენება გათვალისწინებულია ფინანსური სირთულეების ადრეულ ეტაპზე, როცა ბიზნესს აქვს შანსი ყველა მხარისათვის ნაკლები დანაკარგით გამოვიდეს მდგომარეობიდან, ამიტომ მოვალეს ეძლევა შესაძლებლობა თავად მიიღოს გადაწყვეტილება და ეს მექანიზმი იყოს მხოლოდ მისი უპირატესობა. ამის საწინააღმდეგო ლეგიტიმური არგუმენტი იქნება რეგულირებული შეთანხმების გახსნისათვის სავალდებულო გადახდისუუნარობის ტესტის არსებობა კანონმდებლობაში, რადგან გადახდისუუნარობის სამართალი კრედიტორთა მიერ კოლექტიური აღსრულების პროცესია და თავად გადახდისუუნარობის ფაქტი უკვე ანიჭებს მათ მოქმედების უფლებას. ხომ არ შეიძლება მოვალის მხრიდან მოხდეს პროცედურის რაიმე სახით ბოროტად გამოყენება? ამ საშიშროებას ანეიტრალებს რეგულირებული შეთანხმებისთვის დადგენილი საკმაოდ მოკლე ვადა და კრედიტორის უფლება რეგულირებული შეთანხმების პროცესის დაწყებამდეც და მისი წარუმატებლად დამთავრების შემდეგაც მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს რეაბილიტაციის ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება.³²³ კრედიტორის ეს უფლება არ ნიშნავს იმას, რომ რეაბილიტაციის ან გაკოტრების განცხადების შემთხვევაში მოვალეს აღარ მოუწევს გადახდისუუნარობის ტესტის გავლა, არამედ კრედიტორს უმსუბუქდება მტკიცების ტვირთი, რადგან რეგულირებული შეთანხმების დაწყებით თავად მოვალემ

³²⁰ მუხლი 22, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³²¹ გამომდინარე იქედან, რომ შეთავაზების განხორციელებისათვის კანონით სავალდებულოა პარტნიორთა თანხმობა, მოვალეში იგულისხმებიან მის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები, ყველაზე ხშირად დირექტორები. (ავტ. შენიშვნა).

³²² Voluntary Arrangements, Edward Baily, LexisNexis Butterworths 2007. Pg. 118.

³²³ მუხლი 21.8., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

გამჟღავნა ფინანსური სირთულეების შესახებ. მეორე მხრივ, არც მოვალის მიერ რეგულირებული შეთანხმების დაწყება არ ამტკიცებს წინასწარ არაფერს, რადგან შესაძლებელია კრედიტორებთან მოლაპარაკების პერიოდში სხვა საშუალებით მოხდა პრობლემების მოგვარება და რეგულირებული შეთანხმების პროცედურის უშედეგოდ დასრულების მიუხედავად მოვალე არ აღმოჩნდეს გადახდისუნარო.

შეთავაზების გასაკეთებლად მოვალე უნდა იყოს გადახდისუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუნარობის წინაშე მყოფი. ეს არის ის ერთადერთი ტესტი, რისი გადალახვაც უწევს მოვალეს პროცედურაზე ხელმისაწვდომობისათვის. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობის მაღალ დონეს. 2020 წლის კანონი არ ითვალისწინებს გადახდისუნარობის ტესტის შემოწმების ეტაპს. კანონი ადგენს, რომ მოვალე უნდა იყოს გადახდისუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუნარობის წინაშე მყოფი, თუმცა პროცედურულად ამას არავინ ამოწმებს. აღსანიშნავია, რომ ევროდირექტივით მხოლოდ მოსალოდნელი გადახდისუნარობის მდგომარეობაში მყოფთ მოვალისთვის არის გათვალისწინებული პრევენციული რესტრუქტურისაციის პროცედურა.³²⁴

კარგი იქნებოდა ახალ კანონს გაეთვალისწინებინა დირექტორების პასუხისმგებლობა გადახდისუნარობის ან მოსალოდნელი გადახდისუნარობის დროს, როგორც ეს ევროდირექტივით არის განსაზღვრული, კერძოდ, დირექტივის შესაბამისად, როდესაც მოვალეს აქვს მოსალოდნელი გადახდისუნარობის მდგომარეობა, დირექტორებმა მინიმუმ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ: ა) კრედიტორების, პარტნიორების და სხვა დაინტერესებული მხარის ინტერესებს, ბ) გადახდისუნარობის თავიდან აცილებისთვის შესაბამისი ღონისძიებების საჭიროებას, გ) ისეთი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ქმედებების თავიდან არიდებას, რომელსაც შეუძლია ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობას შეუქმნას საფრთხე.³²⁵

9.6.3. რეგულირებული შეთანხმების შეთავაზების შინაარსი

CVA შეიძლება მოიცავდეს „ვალდებულებების დისკონტირებას“ (Composition of debts) და „ვალდებულებების რესტრუქტურისაციას“ (Scheme of arrangement). პროცედურული თვალსაზრისით, 1986 წლის გადახდისუნარობის აქტი არ განასხვავებს ამ ორ შემთხვევას. ვალდებულებების დისკონტირება არის შეთანხმება კრედიტორებსა და მოვალეს შორის, როცა კრედიტორები თანხმდებიან მოვალეს და ერთმანეთს შორის, მიიღონ მოვალისგან მათ სრულ მოთხოვნაზე უფრო ნაკლები თანხა. შეთავაზება კეთდება ყველა კრედიტორისთვის ერთიანად და არ მოიაზრებს შეთავაზებას თითოეული მათგანისთვის ინდივიდუალურად. თუმცა არსებითია, რომ ასეთ დროს მოვალის მიერ ყველა შემთხვევაში ხდება თანხის გადახდა ან ვალდებულებების სხვაგვარად შესრულება. შესაბამისად, შეთავაზება, რომელიც ითვალისწინებს არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილებას 0%-ით, არ შეიძლება იყოს დისკონტირება, თუმცა შესაძლებელია ამგვარი შეთანხმება მოხდეს რესტრუქტურისაციის ფარგლებში. რაც შეეხება რესტრუქტურისაციას, ის შეიძლება ნებისმიერი ფორმით გაკეთდეს, მაგალითად, დასაშვებია შეთავაზება ითვალისწინებდეს კრედიტორებისათვის აკრძალვას მესამე პირის მიმართ განახორციელოს აღსრულების ღონისძიება, რომლის შე-

³²⁴ მუხლი 1.1.(a)., DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

³²⁵ მუხლი 19, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

დეგადაც მესამე პირს წარმოეშობა მოთხოვნა მოვალის მიმართ. რესტრუქტურისაციისას მიღებულია კომპანიის მიერ გარკვეული ქონების ზედამხედველისთვის მართვაში გადაცემა ამ ქონების რეალიზაციისა და კრედიტორებს შორის განაწილების მიზნით, მათთვის მისაღები პროპორციით. საინტერესოა, რომ რესტრუქტურისაციის, როგორც სპეციალური პროცედურის საკანონმდებლო ჩარჩოს, შეიცავს არა გაერთიანებული სამეფოს გადახდისუნარობის კანონმდებლობა, არამედ სამენარმეო კანონმდებლობა, კერძოდ, 2006 წლის კომპანიების აქტის 895-899 მუხლები. რესტრუქტურისაციის გეგმა მტკიცდება სასამართლოს მიერ, თუმცა ეს გეგმა შესაძლებელია განხორციელდეს გადახდისუნარობის სისტემის გარეშე. სწორედ იმიტომ, რომ ეს ინსტრუმენტი როგორც გადახდისუნარო, ისე ჯანსაღი კომპანიებისთვის, და იგი შედის სამენარმეო კანონმდებლობაში.

საერთო ჯამში, CVA ძალიან მოქნილია პრაქტიკაში და მისი შემადგენლობა შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი თითოეულ შემთხვევაში. მაგალითად, შესაძლებელია შეიცავდეს გარკვეული ვალდებულებების უპირობოდ პატიებას, ვალდებულებების ნაწილობრივ შემცირებას, ვალდებულებების შემადგენლობის ცვლილებას, ვალდებულებების წილებად გარდაქმნას. CVA შეიძლება იყოს პერიოდულ გადახდებზე ან ქონების გაყიდვაზე დამყარებული.

ქართული რეგულირებული შეთანხმების შემადგენლობაზე საუბრისას, კონკრეტულ საკანონმდებლო ჩანაწერს ვერ მოვიშველიებთ. ეს არის კანონმდებლის პოლიტიკის მაჩვენებელი, შეთანხმება იყოს მოქნილი და მხარეებმა თავისუფლად შეძლონ პირობების ჩამოყალიბება. თუმცა გარკვეულ ჩარჩოს ადგენს თავად რეგულირებული შეთანხმების მიზანი: მოვალის, როგორც მოქმედი საწარმოს, შენარჩუნება, რაც გამოორიცხავს ამ შეთანხმების ფარგლებში მის ლიკვიდაციას. შესაბამისად, რეგულირებული შეთანხმება შესაძლებელია შეიცავდეს ნებისმიერ პირობას, რომელიც გამართლებული იქნება აღნიშნული მიზნის მისაღწევად. ამ შემთხვევაში გამორიცხულია მოქმედი ბიზნესის გაყიდვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს არ არის მოვალის ერთადერთი ბიზნესი.

რეგულირებული შეთანხმების მიზანია მოვალის, როგორც მოქმედი საწარმოს, შენარჩუნება, რაც გამორიცხავს ამ შეთანხმების ფარგლებში მის ლიკვიდაციას.³²⁶ შესაბამისად, შეთავაზება უნდა იყოს შედგენილი, სწორედ, ამ მიზნის შესრულების სულისკვეთებით.

რაც შეეხება კონკრეტულ მონაცემებს, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მიხედვით რეგულირებული შეთანხმების დადების შესახებ შეთავაზება უნდა შეიცავდეს:³²⁷ ა) მოვალის საქმიანობის ანგარიშს; ბ) შეთავაზების პირობებს; გ) მითითებას მორატორიუმის გამოყენების თაობაზე; დ) შემთავაზებლის მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რატომ არის რეგულირებული შეთანხმების დადება სასურველი და მიზანშეწონილი; ე) შემთავაზებლის პოზიციას იმის თაობაზე, თუ რატომ არის მოსალოდნელი, რომ კრედიტორები მხარს დაუჭერენ რეგულირებულ შეთანხმებას. აღნიშნული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება შემთავაზებელს ეკისრება მისთვის ცნობილი ინფორმაციის ფარგლებში.

³²⁶ მუხლი 21.2., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³²⁷ მუხლი 26.1., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

თავის მხრივ, მოვალის საქმიანობის ანგარიში უნდა შეიცავდეს მოვალის საიდენტიფიკაციო მონაცემებს და სრულ ინფორმაციას მოვალის აქტივების, ვალდებულებების, გარანტიებისა და თავდებობის შესახებ. აქ კანონი კიდევ უფრო დეტალურ ჩაშლას გთავაზობს, თუ კონკრეტულად რა უნდა იქნეს წარდგენილი ამ ინფორმაციის სახით. ამგვარი ინსტრუქციული მუხლების არსებობა გამართლებულია მომავალში მოვალეთა მხრიდან უფრო მეტად მონერგებული და მომზადებული განცხადების წარდგენისთვის ხელის შესაწყობად.

მოვალის საქმიანობის ანგარიში უნდა შეიცავდეს, აგრეთვე, ინფორმაციას შეცილების შესაძლო საფუძვლების შესახებ, რომლებიც საწარმოს რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის შემთხვევაში იარსებებდა.³²⁸

მოვალის საქმიანობის ანგარიში უნდა მომზადდეს შეთავაზების თარიღამდე არაუადრეს 2 კვირის მდგომარეობით და დადასტურებული უნდა იყოს განცხადებით, რომლითაც შემთავაზებელი ადასტურებს, რომ წარდგენილი ინფორმაცია, რამდენადაც ეს ცნობილია შემთავაზებლისთვის, სრულია და სიმართლეს შეესაბამება.³²⁹

რეგულირებული შეთანხმების დასადასტურებლად სავალდებულო არ არის შემდეგი პირობების დაკმაყოფილება:

- ა) ქონებრივი სიკეთის/სარგებლის განაწილებისას არაუმრუნველყოფილი კრედიტორების ჯგუფში პროპორციულობის პრინციპის დაცვა იმ არაუმრუნველყოფილი კრედიტორის მიმართ, რომელმაც მხარი დაუჭირა რეგულირებულ შეთანხმებას;
- ბ) კანონით დადგენილი წესით კრედიტორთა მოთხოვნების განსაზღვრა და კრედიტორთა რეესტრის შედგენა. რეგულირებული შეთანხმების მიზნებისთვის მოვალესა და რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველს უფლება აქვთ, ამ თავით დადგენილი წესით შეადგინონ კრედიტორთა რეესტრი. ამ დროს კრედიტორებს უნდა მიეცეთ სრული შესაძლებლობა, წარადგინონ თავიანთი მოთხოვნები.³³⁰

9.6.4. საცილო ქმედებები რეგულირებული შეთანხმების პროცედურებში

რეგულირებული შეთანხმების პროცედურა არ ითვალისწინებს საცილოობის საკითხის დაყენებას ახალი კანონის მე-8 თავის მიხედვით. მართალია, პირდაპირი ჩანაწერი ამის თაობაზე არ გვხვდება, თუმცა ახალი კანონის 65-ე მუხლის მიხედვით, ქმედებების შეცილების უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ რეაბილიტაციისა და გაკოტრების მმართველს. რეგულირებული შეთანხმების პროცედურების დროს საცილო ქმედებების საკითხი მაინც არ რჩება ყურადღების მიღმა, რადგან მოვალის მიერ მომზადებული საქმიანობის ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შეცილების შესაძლო საფუძვლების შესახებ, რომლებიც საწარმოს რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის შემთხვევაში იარსებებდა.³³¹ ამ ინფორმაციის წი-

³²⁸ მუხლი 25.5., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³²⁹ მუხლი 25.6., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³³⁰ მუხლი 21.5., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³³¹ მუხლი 25.5., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

ნასწარ წარდგენა, ერთი მხრივ, გამოსცდის მოვალის კეთილსინდისიერებას და დაადასტურებს რეგულირებული შეთანხმების მიღწევის ნამდვილ სურვილს, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებლობას მისცემს კრედიტორებს გააკეთონ სწორი არჩევანი, რადგან ინფორმაციის გამჟღავნება რეალურად კრედიტორებს აძლევს სავაჭრო ძალაუფლებას, თუ ანგარიშში აღმოჩნდება სამომავლოდ შესაძლებელი ქმედებები.

მაგალითი N16 – რეგულირებული შეთანხმების დაწყებამდე სამი თვით ადრე მოვალემ შესარულა ბანკის ვალდებულება ორი მილიონი ლარის ოდენობით. რეგულირებული შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში თუ დაიწყოს რეაბილიტაცია ან გაკოტრება, შესაძლებელი გახდება აღნიშნული ტრანზაქციის შეცილება და თანხის უკან მოთხოვნა. კრედიტორებმა იციან ამ უფლების შესახებ, შესაბამისად, უნდებათ შესაძლებლობა მოითხოვონ ამ თანხის პროპორციულად დაკმაყოფილების გაზრდა ან, მაგალითად, აღნიშნული ბანკის მიერ რეგულირებული შეთანხმების დაფინანსება.

მაგალითი N17 – რეგულირებული შეთანხმების დაწყებამდე ათი თვით ადრე განხორციელდა დივიდენდის განაწილება პარტნიორთა შორის. კრედიტორებს უნდებათ ძალაუფლება პარტნიორებთან მიმართებაში მოითხოვონ უფრო მეტ დათმობებზე წასვლა.

ამგვარად, სავარაუდო საცილო ქმედებების სახით რეგულირებული შეთანხმების პროცესში ჩნდება არამატერიალური აქტივი, რომელიც მოლაპარაკებებში შეიძლება იქნეს გათვალისწინებული.

9.6.5. რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი

რეგულირებული შეთანხმება შეიძლება დაიდოს და შესრულდეს მხოლოდ რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის მონაწილეობით.³³² რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი არის გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი.³³³

მოვალემ რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველს შეთავაზების განზრახვისა და შეთავაზების პირობების შესახებ წერილობითი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს. მას უნდა დაერთოს მოვალის მიერ შედგენილი შეთავაზება.³³⁴

ზედამხედველი არ შედის მართვაში, არამედ პირველ ეტაპზე აკეთებს შეთავაზების ექსპერტიზას, ასევე, ხელს უწყობს რეგულირებული შეთანხმების დამტკიცებას, ხოლო შეთანხმების დამტკიცების შემდეგ ზედამხედველობას უწევს მის შესრულებას. მოვალე რჩება მართვაში და პრაქტიკოსიც ყველა შემთხვევაში ინიშნება. შედარებისთვის, დირექტივა გვთავაზობს მოვალის ნაწილობრივ დატოვებას, ასევე, ზედამხედველის გარეშე პროცედურას, თუმცა სავალდებულოდ ხდის ზედამხედველს თუ ა) სასამართლოს მიერ ჩართულია მორატორიუმი და სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტს, რომ პრაქტიკოსი აუცილებელია მხარეთა ინტერესის დასაცავად; ბ) როდესაც რესტრუქტურისაციის გეგმა უნდა დამ-

³³² მუხლი 21.3., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³³³ მუხლი 11, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³³⁴ მუხლი 27, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

ტკიცდეს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კრედიტორთა კლასის ნების შებოჭვის მეშვეობით; ან გ) თუ ამას ითხოვს მოვალე ან კრედიტორების უმრავლესობა, იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პრაქტიკოსის ხარჯებს იხდიან კრედიტორები.

რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი შეთავაზების მიღებიდან 5 დღის ვადაში მოვალეს უგზავნის თანხმობას შეთავაზების შესწავლასა და შესაბამისი ანგარიშის შედგენაზე. ამ ვადის უპასუხოდ გასვლის შემთხვევაში, აღნიშნული თანხმობა გაცემულად მიიჩნევა.³³⁵

რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველმა შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მოვალეს უნდა წარუდგინოს ანგარიში³³⁶: ა) იმის თაობაზე, აქვს თუ არა რეგულირებულ შეთანხმებას დამტკიცებისა და განხორციელების გონივრული პერსპექტივა; ბ) იმის თაობაზე, აქვს თუ არა მოვალეს საკმარისი ფულადი სახსრები, რათა საქმიანობა განაგრძოს მორატორიუმის მოქმედების ვადის განმავლობაში.

მოვალე უფლებამოსილია შეცვალოს რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი³³⁷ და კანონის მე-11 მუხლით დადგენილი წესით შეარჩიოს რეგულირებული შეთანხმების ახალი ზედამხედველი, თუ: ა) რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველმა მოვალეს დადგენილი წესით არ წარუდგინა ანგარიში; ბ) რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი გარდაიცვალა; გ) რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი ვეღარ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს ან აღმოჩნდა ისეთი გარემოება, რომელიც გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ერთიან რეესტრში მის შეყვანაზე უარის თქმის საფუძველი იქნება; დ) არსებობს კანონით გათვალისწინებული აცილების საფუძველი.

რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის ანგარიში დადებითია, თუ რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის შეფასებით, არსებობს შემდეგი გარემოებები³³⁸: ა) რეგულირებულ შეთანხმებას აქვს დამტკიცებისა და განხორციელების გონივრული პერსპექტივა; ბ) მოვალეს აქვს საკმარისი ფულადი სახსრები, რათა საქმიანობა განაგრძოს მორატორიუმის მოქმედების ვადის განმავლობაში.

მაგალითი N18 – თუ უზრუნველყოფილი კრედიტორების კრიტიკული მასა თანხმობას აცხადებს გაცვეს მოვალეს რეგულირებული შეთანხმების შესრულებაში და დააფინანსოს ახალი სქემა, ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც რეგულირებული შეთანხმების დამტკიცებისა და განხორციელების გონივრული პერსპექტივა.

მოვალემ რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის დადებითი ანგარიშის მიღებიდან 5 დღის ვადაში სასამართლოს რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის აღნიშნულ ანგარიშთან ერთად უნდა წარუდგინოს რეგულირებული შეთანხმების დადების შესახებ შეთავაზება.

³³⁵ მუხლი 28, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³³⁶ მუხლი 29, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³³⁷ მუხლი 30, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³³⁸ მუხლი 31, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

სასამართლო, რეგულირებული შეთანხმების დადების შესახებ შეთავაზებისა და რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის დადებითი ანგარიშის მიღებიდან 24 საათში, დაადგენს რეგულირებული შეთანხმების დადების შესახებ შეთავაზებისა და რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის დადებითი ანგარიშის ამ კანონით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და გამოიტანს სათანადო განჩინებას. სასამართლო არ იკვლევს არც ერთ ტესტს, შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური პირობების შემოწმებით. ფაქტიურად, მოვალე სასამართლოს ატყობინებს პროცედურის დაწყების შესახებ და ითხოვს მორატორიუმს, რომლის მინიჭებას არ ესაჭიროება რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის დადებითი დასკვნის გარდა სხვა წინაპირობის შესრულება. შეთანხმების დასრულების შესახებ შეტყობინების მიღებამდე სასამართლო გადის სცენიდან, რაც რეგულირებულ შეთანხმებას აქცევს ნახევრად ფორმალურ პროცედურად.

მნიშვნელოვანია, რომ რეგულირებული შეთანხმების გამოყენების შესახებ განჩინების გამოტანისთანავე ჩერდება რეაბილიტაციის ან გაკოტრების შესახებ განცხადების განხილვა. რეგულირებული შეთანხმებით კრედიტორებთან მოლაპარაკებას ენიჭება უპირატესობა.

რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი, მოვალე, დაინტერესებული კრედიტორი უფლებამოსილია სასამართლოს წარუდგინოს განცხადება მოვალის საქმიანობის ანგარიშის ყველა კრედიტორისთვის ან მათი ნაწილისთვის სრულად ან ნაწილობრივ გაუმჟღავნებლობის მოთხოვნით თუ, განმცხადებლის მოსაზრებით, ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნებით ხელი შეეშლება რეგულირებული შეთანხმების მიზნის მიღწევას ან გაუმართლებელი ზიანი მიადგება მოვალეს ან განმცხადებელ კრედიტორს.³³⁹ თუ სასამართლო შესაბამის განცხადებას დასაბუთებულად მიიჩნევს, ის გამოიტანს განჩინებას მოვალის საქმიანობის ანგარიშის ყველა კრედიტორისთვის ან მათი ნაწილისთვის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შესახებ. მოვალე უფლებამოსილია განცხადება წარადგინოს რეგულირებული შეთანხმების დადების შესახებ შეთავაზებისა და რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის დადებითი ანგარიშის სასამართლოსთვის წარდგენის დროსაც. ამ შემთხვევაში აღნიშნულ განცხადებას უნდა დაერთოს რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის წერილობითი თანხმობა.

9.6.6. მორატორიუმი

რეგულირებული შეთანხმების დასადებად წარმართული მოლაპარაკების პერიოდზე არაუმეტეს 2 თვის ვადით ვრცელდება კანონის 55-ე მუხლით გათვალისწინებული მორატორიუმი. კრედიტორთა კრების გადანყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვით.³⁴⁰ მოვალე უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესებით არ გამოიყენოს მორატორიუმი.

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ჩანაწერის მიხედვით, რეგულირებული შეთანხმების ვადა არის მორატორიუმზე მიბმული და არა პირიქით. ზოგადად, 4 თვეა მაქსიმუმი მორა-

³³⁹ მუხლი 33, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³⁴⁰ მუხლი 21.4., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

ტორიუმისთვისაც და რეგულირებული შეთანხმების პროცედურისთვისაც, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მოვალე არ გამოიყენებს მორატორიუმს, მაშინ მხოლოდ 2 თვე აქვს შეთანხმების მისაღწევად.

9.6.7. მესამე პირების ჩართულობა

შესაძლებელია თუ არა, რომ რეგულირებული შეთანხმების მხარე იყვნენ მესამე პირები? CVA-ს მოქნილობა შესაძლებლობას იძლევა, მორგებული იყოს კონკრეტული მოვალის შემთხვევაში არსებულ გარემოებებზე. შესაბამისად, შესაძლებელია შეთანხმება ითვალისწინებდეს მოვალის დასახმარებლად მესამე პირების ჩართულობას. აღნიშნული საკითხი კანონით პირდაპირ არ რეგულირდება, თუმცა არც აკრძალავა მათი მონაწილეობის თაობაზე. რა თქმა უნდა, თუ შეთანხმების განხორციელება დამოკიდებულია მესამე პირების ინვესტიციაზე, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მესამე პირები პასუხისმგებელნი იყვნენ კრედიტორების წინაშე ან როგორც შეთანხმების მხარე, ან ზედამხედველთან დამოუკიდებელი ხელშეკრულების დადებით, რომელიც შესრულდება კრედიტორთა სასარგებლოდ. ამგვარად, როცა მესამე პირი თანხმდება CVA-ს სასარგებლოდ თანხების გადახდაზე, ზედამხედველმა უნდა უზრუნველყოს იმგვარი ხელშეკრულების დადება, რომელიც ადვილად შესრულებადი იქნება.³⁴¹

ქართული რეგულირებული შეთანხმების შემთხვევაშიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მესამე პირების ჩართვა პროცესში შეთანხმების მხარედ ან სხვა ფორმით შესაძლებელია რეგულირებული შეთანხმების მიზნების მისაღწევად. მთავარია მესამე პირთან არსებული პირობები ჩამოყალიბებული იყოს იმ სტანდარტების დაცვით, რასაც ითვალისწინებს გეგმის დამტკიცების წინაპირობები და ამაზე მიღწეულ იქნას კრედიტორთა თანხმობა კანონით დადგენილი წესით. ამ საკითხისადმი არასათანადო მოპყრობამ შესაძლოა მოვალისთვის დამატებითი პრობლემები გააჩინოს.

9.6.8. გაკოტრების მინიმუმი და კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის ტესტი

CVA-ის მიხედვით, კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის ტესტი სახეზეა, როცა კრედიტორები, რომლებიც არ დაეთანხმნენ გეგმას, არ მიიღებენ იმაზე ნაკლებს, ვიდრე ეს მოხდებოდა თუ გამოყენებული იქნებოდა კანონით დადგენილი რიგითობა ა) გაკოტრების შემთხვევაში, როცა ხდება ქონების ნაწილ-ნაწილ გაყიდვა ან მოქმედი ბიზნესის გაყიდვა, ან ბ) რიგით შემდეგი საუკეთესო ალტერნატიული პროცედურის დაწყების შემთხვევაში.

რეგულირებული შეთანხმება არის გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფ მოვალესა და კრედიტორებს შორის კანონით დადგენილი წესით მიღწეული შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც თითოეული კრედიტორი მინიმუმ იმდენს მიიღებს, რამდენსაც მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კრედიტორი რეგულირებული შეთანხმების ფარგლებში სხვაგვარ დაკმაყოფილებაზე არის თანახ-

³⁴¹ Edward Bailey, Hugo Groves, Corporate Insolvency Law and Practice, fifth edition, LexisNexis, pg. 280.

მა.³⁴² გაკოტრების მინიმუმის გამოანგარიშებისას და კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის დადგენისას გამოიყენება წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდი.³⁴³

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით დაუშვებელია, სასამართლომ დაამტკიცოს რეაბილიტაციის გეგმა, რომლითაც კრედიტორი არ მიიღებს ან არ შეინარჩუნებს, სულ მცირე, მისი მოთხოვნის ისეთ ღირებულებას, რომელსაც გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების საფუძველზე მიიღებდა, გარდა ამ კრედიტორის თანხმობის არსებობის შემთხვევისა.

იგივე დათქმა აქვს რეგულირებულ შეთანხმებასაც, თუმცა განსხვავებით რეაბილიტაციისაგან, რეგულირებულ შეთანხმებაში გაკოტრების მინიმუმის და კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის ტესტი მოწმდება მხოლოდ გასაჩივრების შემთხვევაში, კონტროლის განხორციელების ეს მიდგომა (გაუმართლებელი ზიანი) ემთხვევა CVA-ს და ევროდირექტივას, CVA პროცედურაში სასამართლო ახორციელებს ex post კონტროლს, ხოლო ევროდირექტივა, ამ მხრივ, არჩევანს უტოვებს წევრ ქვეყნებს, თავად აირჩიონ ex ante და ex post კონტროლს შორის.

9.6.9. რეგულირებული შეთანხმების დამტკიცება

რეგულირებული შეთანხმების პროექტი უნდა გამოქვეყნდეს არაუგვიანეს მორატორიუმის მოქმედების ვადის ბოლო დღისა, ხოლო რეგულირებული შეთანხმების დადების შესახებ შეთავაზების მორატორიუმის გარეშე განხორციელებისას – სასამართლოს მიერ შესაბამისი განჩინების გამოტანიდან არაუგვიანეს 2 თვისა.³⁴⁴ აქ ტერმინი „გამოქვეყნება“ დამაბნეველია და უფრო ტექნიკურ ხარვეზს ჰგავს, რადგან შეთანხმების გამოქვეყნება საერთოდ არ ხდება, ის არ არის საჭარო. თუ აქ იგულისხმება შეთანხმების კრედიტორთათვის გაცნობა, მაშინ ვადა არასწორადაა მითითებული, რადგან ბოლო დღეს მისი გაცნობა არალოგიკური იქნებოდა. რამდენადაც აღნიშნული მუხლი გეგმის დამტკიცებას ეხება, ივარაუდება, რომ სწორედ დამტკიცება იგულისხმება ტერმინ „გამოქვეყნებაში“.

რეგულირებული შეთანხმების დამტკიცებისთვის აუცილებელია კრედიტორთა კრებაზე დამსწრე ხმის უფლების მქონე იმ კრედიტორების არანაკლებ 75 პროცენტის მხარდაჭერა, რომლებიც არ არიან მოვალესთან დაკავშირებული პირები. ევროდირექტივისგან განსხვავებით, რეგულირებული შეთანხმების დროს არ ხდება კლასების ფორმირება, კრედიტორები, როგორც ერთიანი კრება, აძლევენ ხმას შეთანხმებას. შესაბამისად, არ გვაქვს კლასების ნების შებოჭვა.

დაუშვებელია კრედიტორთა კრებამ დაამტკიცოს ისეთი რეგულირებული შეთანხმება ან მასში შესატანი ცვლილება:

³⁴² მუხლი 21.1., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³⁴³ მუხლი 21.6., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³⁴⁴ მუხლი 43, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

- ა) რომელიც გავლენას ახდენს უზრუნველყოფილი კრედიტორის უფლებაზე, ადასრულოს უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უზრუნველყოფილი კრედიტორი დაეთანხმება ასეთ შეთანხმებას/ცვლილებას;
- ბ) რომლის მიხედვითაც, არაუზრუნველყოფილი კრედიტორი პრეფერენციულ კრედიტორთან შედარებით პრიორიტეტულად კმაყოფილდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პრეფერენციული კრედიტორი დაეთანხმება ასეთ შეთანხმებას/ცვლილებას;
- გ) რომლის მიხედვითაც, პრეფერენციული კრედიტორი სხვა პრეფერენციული კრედიტორის მიმართ პროპორციულობის პრინციპის დარღვევით კმაყოფილდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი პრეფერენციული კრედიტორი დაეთანხმება ასეთ შეთანხმებას/ცვლილებას.

კრედიტორთა კრების დასრულების შემდეგ, რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი სასამართლოს წარუდგენს კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების/შედეგების შესახებ ანგარიშს კრედიტორთა კრების ოქმის ასლთან ერთად. ამგვარად, უკვე მეორედ ხდება სასამართლოსთვის შეტყობინების გაგზავნა, რაც პროცედურის დასრულებასაც ნიშნავს და უნდა გამოიცეს შესაბამისი განჩინება.

9.6.10. რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების და შესრულების შედეგები

კრედიტორთა კრების მიერ დამტკიცებული რეგულირებული შეთანხმების შესრულება სავალდებულოა კრედიტორებისთვის, გარდა იმ კრედიტორისა, რომელიც არ იყო მონაწილე იმის გამო, რომ რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველმა არ იცოდა ან მას არ შეიძლება ღია სტატუსი ამ კრედიტორის არსებობის შესახებ.³⁴⁵

თუ რეგულირებული შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კრედიტორს არ აქვს უფლება, მოვალის წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი, წამოიწიოს ან განაგრძოს დავა ისეთ მოთხოვნაზე, რომელიც რეგულირებული შეთანხმებითაა მონესრიგებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ირღვევა რეგულირებული შეთანხმება.

რეგულირებული შეთანხმების დამტკიცებისთანავე, მოვალის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა უზრუნველყოს რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველისთვის რეგულირებული შეთანხმების განკუთვნილი აქტივების შეუმლუდავი ხელმისაწვდომობა ამ შეთანხმების შესაბამისად, მის შესრულებაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად.

რეგულირებული შეთანხმების შესრულების შედეგად, სრულად და საბოლოოდ შესრულებულად მიიჩნევა მოვალის ყველა ვალდებულება, რომლებიც რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების მომენტისთვის არსებობდა და რომლებსაც რეგულირებული შეთანხმება სრულად ან ნაწილობრივ მოიცავდა.³⁴⁶ აქ, საუბარია თავდაპირველი ვალდებულების იმ ნაწილზე, რაც დაექვემდებარა შემცირებას (დისკონტირებას) რეგულირებული შეთანხმების ძალით. თუმცა მოვალისთვის ეს უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი შედეგი, რისთვისაც

³⁴⁵ მუხლი 35, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³⁴⁶ მუხლი 21.7., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

პროცედურა წამოიწყო, დგება მხოლოდ რეგულირებული შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულების შემდეგ, რაც სამართლიანია.

9.6.11. დამტკიცებულ რეგულირებულ შეთანხმებაში ცვლილების შეტანა

დამტკიცებულ რეგულირებულ შეთანხმებაში ცვლილების შეტანის საფუძველია:³⁴⁷

- ა) მოვალის მიერ რეგულირებული შეთანხმების ისეთი დარღვევა, რომელიც არ გამოსწორდება რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის მიერ მოვალისთვის გაფრთხილების გაგზავნიდან 1 თვის ვადაში;
- ბ) მოვალის მიერ მოვალის საქმიანობის ანგარიშში ვალდებულებების შემცირებული სახით წარმოდგენა, აგრეთვე, ისეთი კრედიტორის გამოვლენა, რომელიც არ იყო მოვალის საქმიანობის ანგარიშში მითითებული და, შესაბამისად, – კრედიტორთა კრებაზე მიწვეული.

რეგულირებულ შეთანხმებაში ცვლილების შეტანის საფუძვლის არსებობისას, რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველმა, ამ კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, უნდა მოიწვიოს კრედიტორთა კრება და კრედიტორებს უნდა შესთავაზოს რეგულირებულ შეთანხმებაში ცვლილების შეტანა. თუ რეგულირებულ შეთანხმებაში ცვლილების შეტანის შეთავაზება გაზიარებული არ იქნება ან მასში ცვლილება შეტანილი ვერ იქნება, რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი კრედიტორებს შესთავაზებს რეგულირებული შეთანხმების შეწყვეტას და მოვალის მიმართ გადახდისუნარობის შესახებ განცხადების სამართლოში შეტანას.

რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი უფლებამოსილია რეგულირებულ შეთანხმებაში ცვლილების შეტანისთვის დადგენილი წესების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება: ა) რეგულირებული შეთანხმების ვადის ერთჯერადად, არაუმეტეს 6 თვით გაგრძელების შესახებ, რეგულირებული შეთანხმების ვადის ამონურვამდე 7 დღით ადრე კრედიტორებისთვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე; ბ) რეგულირებული შეთანხმებით გათვალისწინებული, ყოველთვიური ჯამური გადახდების მოვალის სასარგებლოდ არაუმეტეს 10 პროცენტით შემცირების ან/და მათი განაწილვადების შესახებ.

ეს მიდგომა ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ამგვარი მცირე მასშტაბებით ცვლილების განხორციელებამ, არ გამოიწვევს კრედიტორების ინტერესების დაზიანებას, უფრო პირიქით, ზედმეტი დროისა და ფინანსების ხარჯვა შესაძლებელია ზიანის მომტანი იყოს მათთვის. სწორედ ამ ლოგიკიდან გამომდინარე აქვს ზედამხედველს მინიჭებული აღნიშნული უფლებამოსილება.

9.6.12. რეგულირებული შეთანხმების შესრულება³⁴⁸

როგორც აღინიშნა, რეგულირებული შეთანხმების შესრულების ზედამხედველობასა და კოორდინაციას ახორციელებს რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი.

³⁴⁷ მუხლი 38, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³⁴⁸ მუხლი 40, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

მოვალე, კრედიტორი ან სხვა დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, სასამართლოში გაასაჩივროს რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის ქმედება ან გადაწყვეტილება. სასამართლო უფლებამოსილია ძალაში დატოვოს, გააუქმოს ან შეცვალოს რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის ქმედება ან გადაწყვეტილება.

რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს:

ა) რეგულირებული შეთანხმების საფუძველზე და მის შესრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით; ბ) მოვალის მიმართ რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის შესახებ განცხადებით, თუ რეგულირებული შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები არ სრულდება, ან/და, კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნა.

რეგულირებული შეთანხმების მიუღწევლობის ან წარმატებით შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაუშვებელია შემდგომში რეაბილიტაციის დანყებისას მოვალის მართვაში დატოვება.

9.6.13. კრედიტორთა გადაწყვეტილების გასაჩივრება და გაუმართლებელი ზიანი

კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს: ა) რეგულირებული შეთანხმების დადების შესახებ შეთავაზების განსახილველად ჩატარებულ კრედიტორთა კრებაზე დასწრებისა და ხმის უფლების მქონე კრედიტორს; ბ) ხმის უფლების მქონე კრედიტორს, რომელსაც კრედიტორთა კრებაზე დასასწრები მოსაწვევი არ გაეგზავნა.³⁴⁹

უფლებამოსილმა პირმა კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება შეიძლება გაასაჩივროს შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

- ა) რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება მოვალის კრედიტორს ან პარტნიორს გაუმართლებელ ზიანს აყენებს;
- ბ) კრედიტორთა კრება წესების არსებითი დარღვევით ჩატარდა. კრედიტორისთვის კრედიტორთა კრებაზე დასასწრები მოსაწვევის გაუგზავნელობა წესების არსებით დარღვევად არ მიიჩნევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული კრედიტორის ხმის უფლებას შეეძლო გავლენა მოეხდინა კრედიტორთა კრების გადაწყვეტილებაზე.³⁵⁰

გასაჩივრების ვადაა 30 დღე, რომელიც აითვლება: ა) სასამართლოსთვის კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების/შედეგების შესახებ ანგარიშის წარდგენის დღიდან; ბ) ხმის უფლების მქონე კრედიტორის მიერ, რომელსაც კრედიტორთა კრებაზე დასასწრები მოსაწვევი არ გაეგზავნა, კრედიტორთა კრების ჩატარების შესახებ ინფორმაციის მიღების დღიდან.

სასამართლო ამ მუხლით დადგენილი წესით წარდგენილ საჩივარს განიხილავს 30 დღის ვადაში. თუ სასამართლო საჩივარს დასაბუთებულად მიიჩნევს, ის უფლებამოსილია გააუქმოს რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების შესახებ კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება.

გაუმართლებელ ზიანთან, როგორც გასაჩივრების მატერიალურ საფუძველთან დაკავშირებით საინტერესოა გაერთიანებული სამეფოს სასამართლოს პრაქტიკის გაცნობა, რომელიც

³⁴⁹ მუხლი 39.1., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³⁵⁰ მუხლი 39.2., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

შეჯამებულია ორ, ამ მხრივ, მნიშვნელოვან გადანყვეტილებაში: SISU Capital Fund Ltd v Tucker [2006] და Prudential Assuracne Co Ltd v PRG Powerhouse Ltd [2007].³⁵¹ პრაქტიკა ასე გამოიყურება:

- მომჩივანს ეკისრება მტკიცების ტვირთი აჩვენოს, რომ დამტკიცებელი გეგმა გაუმართლებლად აზიანებს მის ინტერესს/ბიზნესს; გაუმართლებელი ზიანი უნდა ადგებოდეს პირის, როგორც კონკრეტული კრედიტორის ინტერესებს და არა სხვა ზოგადი საფუძვლებით, მაგალითად, რომ ვინმეს მოთხოვნა არ იყოს სათანადოდ დასაბუთებული.
- არც ის ფაქტი, რომ მოვალე ამ პროცესში შესვლით თავს არიდებს წარსული ბიზნესსაქმიანობის გამოძიებას, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ამგვარ ზიანად.
- გაუმართლებელი ზიანის შეფასებისას სასამართლომ შეიძლება ნებისმიერი გარემოება მიიღოს მხედველობაში, მაგალითად, მოვალისთვის და კრედიტორისთვის არსებული სხვა ალტერნატივები, თუმცა ეს უნდა მოხდეს მხოლოდ გეგმის შემადგენლობის (კონკრეტული მუხლების) ტრილში.
- საქმეში SISU Capital Fund v Tucker, სასამართლომ აღნიშნა, რომ გაუმართლებელი ზიანის შეფასებისას, იმ ფაქტს, რომ მმართველს ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, არანაირი მნიშვნელობა აქ ჰქონდა.
- გაუმართლებელი ზიანი უშუალოდ უნდა მომდინარეობდეს გეგმის პირობებიდან;
- მომჩივანს ზიანი უნდა ადგებოდეს, როგორც მოვალე კომპანიის კრედიტორს და არა როგორც სხვა სტატუსის მქონე პირს
- ყოველთვის მნიშვნელოვანია საწყის წერტილად მიჩნეულ იქნას დამტკიცებელი გეგმის შედარება გაკორტრების სურათთან, თუმცა ეს ყველა შემთხვევაში გადაწყვეტი ვერ იქნება გაუმართლებელი ზიანის დასადგენად. საამისოდ, აუცილებელია, დამტკიცებელი გეგმის შედეგების უფრო ფართოდ და დიდ სურათში შეფასება, მათ შორის, იგივე გეგმის პირობებით, კრედიტორების განსხვავებული დაკმაყოფილების ტრილში;
- თუმცაღა, კრედიტორების განსხვავებული დაკმაყოფილებაც ცალკე აღებული, ვერ იქნება საკმარისი გაუმართლებელი ზიანის დასადგენად, თუკი არსებობს მაკომპენსირებელი არგუმენტები, მაგალითად, თუ სავაჭრო კრედიტორების სრულად დაკმაყოფილების გარეშე კომპანია საქმიანობას ვეღარ განაგრძობდა;
- სასამართლო არაა ვალდებული სპეკულაციურად იმსჯელოს და შეაფასოს, წარმოდგენილი გეგმა იყო თუ არა „საუკეთესო“, რომლის მიღწევაც შეიძლებოდა, ან, უკეთესი იქნებოდა, მაგალითად, რომ გეგმაში არ შესულიყო ის ყველა პირობა, რაც შეტანილია. სასამართლო შედარებას ახორციელებს შემოთავაზებულ გეგმასა და საერთოდ გეგმის განუხორციელებლობას შორის, კენჭისყრის დღისთვის კომპანიაში არსებული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.
- ერთ-ერთი ფართო საზომი გონიერი და კეთილსინდისიერი ადამიანის ტესტია. კერძოდ, თუკი მომჩივანის ადგილას, გონიერი და კეთილსინდისიერი ადამიანი გონივრულად მხარს დაუჭერდა გასაჩივრებულ გეგმას, მაშინ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რეგულირებული შეთანხმების შემთხვევაში, გაუმართლებელ ზიანში უპირობოდ მოიაზრება გაკორტრების მინიმუმი და კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის ტესტი, თუმცა შესაძლებელია ეს არ ამონურავდეს გაუმართლებელი ზიანის შინაარსს.

³⁵¹ *Ian F. Fletcher, The Law of Insolvency, (Fifth Edition, London, Sweet & Maxwell 2017) pg. 470-472.*

9.6.14. კრედიტორი, რომელსაც კრედიტორთა კრებაზე დასასწრები მოსაწვევი არ გაეგზავნა

კანონი უყურადღებოდ არ ტოვებს ისეთ შემთხვევას, როცა სახეზეა კრედიტორი/კრედიტორები, რომელსაც არ გაეგზავნა შეტყობინება და, შესაბამისად, არ იყო მიწვეული კრებაზე იმის გამო, რომ რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველმა არ იცოდა ან მას არ შეიძლებოდა სცოდნოდა ამ კრედიტორის არსებობის შესახებ. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ CVA-სგან განსხვავებით, რეგულირებული შეთანხმება არ ვრცელდება ამგვარ კრედიტორზე.³⁵² თუ რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების შემდეგ გამოვლინდა ასეთი კრედიტორი და დადგინდა, რომ კრედიტორთა კრებაზე მიწვევის შემთხვევაში მას ექნებოდა ხმის უფლება, რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი ამ კრედიტორს დაუყოვნებლივ ატყობინებს, რომ მას აქვს უფლება წერილობით წარადგინოს თავისი მოთხოვნა რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების თარიღის მდგომარეობით. ამ შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია: ა) მოითხოვოს მისი გეგმაში გათვალისწინება, ან ბ) გაასაჩივროს კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება თუ მას მოსაწვევის მიღების შემთხვევაში ექნებოდა ხმის უფლება.³⁵³

თუ შეტყობინებიდან ერთი თვის ვადაში კრედიტორი თავის მოთხოვნას წერილობით არ წარადგენს, რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი უფლებამოსილია ამორიცხოს ის იმ კრედიტორთა წრიდან, რომლებიც რეგულირებული შეთანხმების მხარეები არიან.³⁵⁴ ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი კრედიტორი რჩება რეგულირებული შეთანხმების მოქმედების არეალს გარეთ. კრედიტორის რეგულირებული შეთანხმების გარეთ დარჩენა წარმოადგენს საფრთხეს რეგულირებული შეთანხმების შესრულებისთვის, რადგან კრედიტორს არ აქვს უფლება, მოვალის წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი, წამოიწყოს ან განაგრძოს დავა ისეთ მოთხოვნაზე, რომელიც რეგულირებული შეთანხმებითაა მოწესრიგებული. ხოლო იმ კრედიტორისთვის, რომლის მოთხოვნა არ შევიდა შეთანხმების მოქმედების ფარგლებში, ხელმისაწვდომია სახელშეკრულებო სამართლით და კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის სხვა მექანიზმები.

თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

მაგალითი N19 – მოვალემ წამოიწყო რეგულირებული შეთანხმების პროცედურა და კრედიტორთა სიაში არ შეიყვანა კრედიტორი A. რეგულირებული შეთანხმების დამტკიცებიდან სამ თვეში რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველმა შეიტყო კრედიტორი A-ს არსებობა და დაუყოვნებლივ შეატყობინა კრედიტორ A-ს რეგულირებული შეთანხმების შესახებ. კრედიტორმა გადაწყვიტა გაესაჩივრებინა გადაწყვეტილება იმ საფუძვლით, რომ კრება ჩატარდა არსებითი დარღვევით, რადგან მას, ხმის უფლების მქონე კრედიტორს, არ გაეგზავნა შეტყობინება. თუმცა თუ მისი ხმა გადაწყვეტილების მიღებაზე არ მოახდენდა გავლენას, საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. ამ შემთხვევაში,

³⁵² მუხლი 36.1, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³⁵³ მუხლი 39.1.ბ, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³⁵⁴ მუხლი 37, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

ამ კრედიტორის მოთხოვნა ჩაჯდება რეგულირებულ შეთანხმებაში პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით.

თუ რეგულირებული შეთანხმების ვადის ამოწურვისას, გარდა მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევისა, მოვალეს რეგულირებული შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა არ გადაუხდია ასეთი კრედიტორისთვის, მოვალეს აღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულება ეკისრება რეგულირებული შეთანხმების ვადის დასრულების მიუხედავად.³⁵⁵

კანონი არაფერს ამბობს ისეთ შემთხვევაზე, როცა რეგულირებული შეთანხმება შესრულდა და მხოლოდ ამის მერე გამოჩნდა კრედიტორი, რომელსაც არ გაეგზავნა შეტყობინება. თუმცა კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, ასეთ კრედიტორზე არ ვრცელდებოდა შეთანხმება და, შესაბამისად, მას შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებები მოვალესთან არსებული ხელშეკრულებისა და არა გადახდისუუნარობის კანონმდებლობის საფუძველზე.

9.6.15. რეგულირებული შეთანხმების შეწყვეტა

რეგულირებული შეთანხმების შეწყვეტის საფუძველებია: ა) რეგულირებული შეთანხმების შესაბამის ვადაში შესრულება; ბ) რეგულირებული შეთანხმების დარღვევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დარღვევა უმნიშვნელოა.³⁵⁶ დარღვევა უმნიშვნელოდ მიიჩნევა, როდესაც შეუსრულებელი ვალდებულება არ აღემატება რეგულირებული შეთანხმებით გათვალისწინებული მთლიანი ვალდებულებების 5 პროცენტს, ხოლო მისი შესრულების ვადის გადაცილება – 10 კალენდარულ დღეს.

რეგულირებული შეთანხმების ნებისმიერი შესაბამისი საფუძვლით შეწყვეტიდან არაუგვიანეს 30 დღისა, რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი ვალდებულია რეგულირებული შეთანხმების შეწყვეტის შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს მოვალის ყველა კრედიტორს, რომლებზედაც ვრცელდებოდა რეგულირებული შეთანხმება. რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი ვალდებულია შეტყობინებაში მიუთითოს რეგულირებული შეთანხმების შეწყვეტის საფუძველი.

შეტყობინებას უნდა დაერთოს რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის მიერ მომზადებული ანგარიში, რომელიც შეიცავს: ა) ინფორმაციას რეგულირებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით განხორციელებული გადახდებისა და მიღებული თანხების (შემოსულობების) შესახებ; ბ) რეგულირებული შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შესახებ ახსნა-განმარტებას.

რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი ვალდებულია კრედიტორებისთვის შეტყობინების გაგზავნიდან 30 დღის ვადაში, სასამართლოს წარუდგინოს აღნიშნული შეტყობინებისა და მასზე დართული ანგარიშის ასლები. კრედიტორებისთვის გაგზავნილი, შეტყობინებისა და თანდართული ანგარიშის ასლების სასამართლოსთვის წარდგენის შემდეგ რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის უფლებამოსილება წყდება.

³⁵⁵ მუხლი 36.4., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³⁵⁶ მუხლი 42, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

რეგულირებული შეთანხმების მიუღწევლობა რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველს, აგრეთვე, კრედიტორს ანიჭებს უფლებას, სასამართლოში შეიტანოს მოვალის მიმართ რეაბილიტაციის ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ განცხადება.³⁵⁷ აღნიშნული ჩანაწერზე დაყრდნობით გამოდის, რომ ვინაიდან რეგულირებული შეთანხმების დაწყებით მოვალემ უკვე განაცხადა გადახდისუუნარობის თაობაზე, შემდგომი განცხადებისთვის კრედიტორს აღარ მოეთხოვება დამატებით საფუძვლებზე მითითება. თუმცა, აქ ჩნდება კითხვა, რეგულირებული შეთანხმების წარუმატებლად დამთავრებიდან რა ვადით მოქმედებს კრედიტორის აღნიშნული უფლება, ვინაიდან შესაძლებელია, რომ თუნდაც ამ 4 თვის განმავლობაში, ან მას მერე გარკვეულ ვადაში გამოსწორდეს მოვალის მდგომარეობა და აღარ გვქონდეს სახეზე გადახდისუუნარობა. კრედიტორისათვის ამ უფლების მინიჭების მიუხედავად, ქართული კანონი არ ეწინააღმდეგება ევროდირექტივას, რომელიც ამბობს, რომ მორატორიუმის დასრულება გეგმის გარეშე არ უნდა იწვევდეს გაკოტრების/ლიკვიდაციის დაწყებას, თუ არ არის სახეზე გაკოტრების/ლიკვიდაციის დაწყებისთვის საჭირო სხვა წინაპირობები,³⁵⁸ რადგან კრედიტორის განცხადების შემდეგ, სასამართლო მაინც გამოიკვლევს მოვალის გადახდისუუნარობას, რა დროსაც, თავად მოვალესაც ექნება შესაძლებლობა ამტკიცოს საპირისპირო.

9.7. განსხვავება რეგულირებულ შეთანხმებასა და რეაბილიტაციას შორის

დასკვნის სახით, მოკლედ შევაჯამოთ ის არსებითი განსხვავებები, რაც რეგულირებულ შეთანხმებას უპირატესობას ანიჭებს რეაბილიტაციასთან მიმართებაში:

	რეაბილიტაცია	რეგულირებული შეთანხმება
წამოწყებაზე უფლებამოსილი პირები	მოვალე ან კრედიტორი	მხოლოდ მოვალე
პროცესის ხარჯი	სახელმწიფო ბაჟი გადახდისუუნარობის მასის 3%	სახელმწიფო ბაჟი არ არის
წამოწყების საფუძველი	დირექტორის ვალდებულება	დირექტორისა და პარტნიორის ნება
მმართველობა	მმართველი/საგამონაკლისოდ მოვალე მართვაში	მოვალე მართვაში
ვადა	9 თვე	4 თვე
სასამართლოს ჩართულობა	წარმოება სასამართლოში	წარმოება ძირითადად სასამართლოს გარეთ მიმდინარეობს

³⁵⁷ მუხლი 21.8., „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი.

³⁵⁸ მუხლი 7, DIRECTIVE (EU) 2019/1023 of 20 June 2019.

	რეაბილიტაცია	რეგულირებული შეთანხმება
პროცესში ჩართული ქონება	მთლიანი მასა	მასის შერჩეული ნაწილი
გადაწყვეტილების მიღების წესი	არაუზრუნველყოფილი კრედიტორებისა და გეგმაში ჩართული უზრუნველყოფილი კრედიტორების ჯგუფებიდან ხმათა 51%	არადაკავშირებული არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ხმათა 75%
გეგმის სასამართლოს მიერ შემოწმება	სასამართლო ამონმებს გეგმას და მხოლოდ ამის შემდეგ ამტკიცებს	სასამართლო ამონმებს გეგმას მხოლოდ გასაჩივრების შემთხვევაში

10. შესილება

ქეთევან მესხიშვილი / გიორგი ბათლიძე

10.1. შესავალი

როგორც უკვე აღინიშნა, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება ემსახურება კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების მიზანს. ამ მიზნის მიღწევისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მოვალის ქონების, გადახდისუუნარობის მასის დაცვა და შენარჩუნება. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს არაერთ დებულებას, რომელიც სწორედ, გახსნილ გადახდისუუნარობის პროცესში მოვალის ქონების კრედიტორთა საზიანოდ შემცირების თავიდან აცილებას ისახავს მიზნად.

აღსანიშნავია, რომ ხშირად წარმოება იწყება იმ მომენტიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ, როდესაც მოვალე ხედავს თავისი ეკონომიკური მდგომარეობიდან შესაძლო გამოსავალს. მთელ რიგ შემთხვევებში კი, წარმოება მოვალის ინიციატივით ან ძალიან გვიანდება ან საერთოდ არ იწყება კრედიტორის მიერ განცხადების შეტანამდე, რაც, ხშირად, უკვე დაგვიანებულია ხოლმე. შესაბამისად, ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ მოვალემ გადახდისუუნარობის წარმოების დაწყებამდე არსებული პერიოდით ისარგებლოს, კრედიტორებისაგან ხელმიუწვდომლად აქციოს ქონებაში შემავალი საგნები და შედარებით დაბალ ფასად მიყიდოს ისინი ან აჩუქოს (გადაუფორმოს) თავის ნათესავებს, თუ ახლობელ პირებს. არსებობს იმის საფრთხეც, რომ მოვალემ უკვე გადახდისუუნარობის პირობებშიც ცალკეული კრედიტორი უპირატესად დააკმაყოფილოს. ისიც შეიძლება მოხდეს, რომ ცალკეულმა კრედიტორმა, მოვალის კრიზისის პირობებში, მისგან დამატებითი საკრედიტო გარანტიები მიიღოს და ამით განსაკუთრებულ უპირატესობას მიაღწიოს. მოვალის ასეთი მოქმედების მოტივაცია, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება ფასეული ქონების გაკოტრებისაგან თავის არიდება და ამით თავისი ეკონომიკური საქმიანობის განგრძობითობის უზრუნველყოფა იყოს³⁵⁹. ამდენად, გადახდისუუნარობის მასის შენარჩუნების მიზნებისათვის, კანონი იმ ქმედებების გაბათილების შესაძლებლობას ითვალისწინებს, რომლებიც დაუსაბუთებლად ამცირებს კრედიტორების ერთობლიობის წვდომას გადახდისუუნარობის მასაზე და ამით დაკმაყოფილების მიღების ალბათობას. ამ კონტექსტში განხორციელებული ქმედებები და დადებული გარიგებები, ზოგადი წესის მიხედვით, „საეჭვოდ“ მიიჩნევა.

კრედიტორთა საზიანო ქმედებების შეცილება გადახდისუუნარობის მასის კრედიტორთა სასარგებლოდ შენარჩუნების მიზანს ემსახურება, იმ ძირითადი განსხვავებით, რომ ის არა პრევენციულად, არამედ რესტიტუციულად მოქმედებს. შეცილების თავის დებულებებით უზრუნველყოფილ უნდა იქნას, რომ მოვალის გადახდისუუნარობის მასა შეიცვოს და აღდგეს იმ მდგომარეობაში, რომელშიც იარსებებდა საცილო ქმედებებს ადგილი რომ არ ჰქონოდათ.

გადახდისუუნარობის რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საცილო ქმედებების რეგულირებამ, რომელიც „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესა-

³⁵⁹ რ. მიგრიაული, „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მეორე გადამ. გამოცემა, 2006, გვ. 129.

ხებ“ საქართველოს კანონში „კრედიტორისათვის ზიანის მომტანი ქმედებების“ სახელწოდებით იყო ცნობილი. სახელწოდების ცვლილება შემთხვევითი არ არის. შეცილების სამართლებრივი ინსტიტუტის დამკვიდრებით ამ საკითხის მოწესრიგება შესაბამისობაში მოვიდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან და შეცილების სამართლებრივ შედეგებთან, სამართლებრივი დოქტრინის თვალსაზრისითაც და ტერმინოლოგიურადაც. ამდენად, სამართლებრივი თვალსაზრისით ასეთი მოწესრიგება მიიჩნევა, რომ უფრო უკეთ შეესაბამება შეცილების სამართლებრივ შედეგებს³⁶⁰.

შეცილების წესები უშუალო კავშირშია გადახდისუუნარობის განცხადების დროულად წარდგენის ვალდებულებასთან. **იმ შემთხვევაში, თუ განცხადების წარდგენა გაჭიანურდა, ეს არ უნდა აისახოს კრედიტორების ინტერესზე.** შეცილების მიზანს წარმოადგენს იმ ქონებრივი ცვლილებების აღმოფხვრა, რომელსაც ადგილი ჰქონდა გადახდისუუნარობის საქმის დაწყებამდე პერიოდში და ამით მოვალის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენა იმ სტატუსით, რომელშიც ის იყო ფაქტობრივი გადახდისუუნარობის წარმოშობის მომენტში.

საცილო ქმედებების რეგულირება მოცემულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის VIII თავში. ეს თავი ამომწურავად არეგულირებს შეცილების განხორციელების წინაპირობებს და განხორციელების პროცედურას. რაც შეეხება სამართლებრივ შედეგებს, კანონი უთითებს სამოქალაქო კოდექსზე, კერძოდ, უსაფუძვლო გამდიდრებისა და ზიანის ანაზღაურების წესებზე. ამასთან, ზოგადი წესების მოდიფიცირება ხდება სპეციალური წესით.

10.1.1. საცილო ქმედების არსი

შეცილების მომწესრიგებელი ნორმების უკეთ გასაგებად, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ იურიდიული ქმედებები თავისთავად კი არ არის ბათილი, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ისინი, საქმიანი ქცევის თვალსაზრისით, სრულიად ნორმალური და მისაღებია. იურიდიული ქმედებები იმდენადაა „საეჭვო“, რამდენადაც ისინი ვალაუვალობის წარმოებასთან დაკავშირებით ხორციელდება და ამით, ზოგადად, კრედიტორთა დაკმაყოფილების, ხოლო, სპეციალურად, კრედიტორების თანაბარზომიერი დაკმაყოფილების მიზანი ზიანდება. ვინაიდან შეცილების მეშვეობით, გარიგება შეიძლება ბათილად გამოცხადდეს, საჭიროა, გარიგების ბათილობის წინაპირობები ზუსტად მოწესრიგდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება საქმიანი ბრუნვის ზოგადი წესებისადმი ნდობას ზიანი მიადგეს. მაგალითად, როდესაც ვალაუვალობის წარმოების გახსნამდე მოვალემ კრედიტორი ხელშეკრულებით შეთანხმებულ ზუსტ დროში და ზუსტი ფორმით დააკმაყოფილა, მაშინ ასეთი კრედიტორისათვის გაუგებარი ხდება, თუ რატომ უნდა დაუბრუნოს მან ვალაუვალობის მასას მიღებული თანხა მხოლოდ იმიტომ, რომ ვალაუვალობის მმართველმა მოვალის მიერ გადახდილი თანხა სადავოდ აქცია³⁶¹.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი შეგნებულად უთითებს საცილო ქმედებაზე. თავისი არსით, **შეცილებადი ქმე-**

³⁶⁰ განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 5.

³⁶¹ კ. შნიტგერი, რ. მიგრაიული, „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკორტების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011, გვ. 54.

დებების ცნება უფრო ფართოა და მოიცავს როგორც გარიგებებს, ასევე სხვა ქმედებებს, მათ შორის, ნივთის გადაცემას ან სხვაგვარ შესრულებას, რაც გარიგების დადებას არ უკავშირდება. თვალსაჩინოებისათვის, განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

***მაგალითი N20** – დადებულია გარიგება მოძრავი ნივთის ნასყიდობის თაობაზე, მაგრამ გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისათვის ნივთი არ არის გადაცემული მოვალის მიერ. მოვალის მიერ ნივთის გადაცემა წარმოადგენს სამართლებრივი შინაარსის მქონე ქმედებას, ვინაიდან გადაცემით შემძენს წარმოეშვება საკუთრების უფლება და, შესაბამისად, ამგვარი მოძრავი ნივთი გადის გადახდისუუნარობის მასიდან. თუ ამგვარი გადაცემა აკმაყოფილებს შეცილების წინაპირობებს შეიძლება შემძენს მოთხოვოს ნივთის დაბრუნება, მიუხედავად იმისა, რომ თავად ნასყიდობის გარიგების დადება არ ექვემდებარება შეცილებას.*

გადახდისუუნარობის მასის შემცირებისა თუ კრედიტორისათვის ზიანის მიყენების განზრახვის დასაშვებად სასამართლო მოვლენათა ქრონოლოგიასაც აქცევს ყურადღებას, მაგალითისათვის, როდესაც მოვალე, დროის მცირე მონაკვეთებში გარიგებებს დებს, ქონებებს ასხვისებს და ამასთან, გარიგების კონტრაპენტები დაკავშირებული პირები არიან, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოვალემ გადახდისუუნარობის წარმოების დაწყებამდე, მასთან დაკავშირებული პირებისათვის უპირატესობის მინიჭების გზით, სამეურვეო ქონების ღირებულების შემცირებით, ქონების განრიდებით, ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებით, სხვა კრედიტორისათვის (მოსარჩელისათვის) ხელმიუწვდომელად აქცია ქონება, რომელიც სამეურვეო მასაში უნდა შესულიყო, შესაბამისად, მოვალის ცალკეულმა ქმედებებმა ერთობლიობაში კრედიტორისათვის ზიანის მომტანი სახე და ბუნება შეიძინა³⁶².

10.1.2. შეცილების კანონისმიერი კატეგორიები და რელევანტური პერიოდი

არსებობს **ობიექტური და სუბიექტური** გარემოებები იმ კრიტერიუმების დასადგენად, თუ რომელი გარიგებები ანდა ქმედებები უნდა იქნეს საცილოდ მიჩნეული.

ა) ობიექტურ გარემოებად, როგორც წესი, ვალაუვალობის წარმოებასთან დროითი სიახლოვე მიიჩნევა. ვალაუვალობის მომწესრიგებელი კანონები, ხშირ შემთხვევაში, ვალაუვალობის წარმოების დაწყებამდე არსებული **„დროის საეჭვო მონაკვეთის“** დეფინიციას ახდენენ. დროის აღნიშნული მონაკვეთი **შეცილების ცალკეული ჯგუფებისათვის** შეიძლება განსხვავებული იყოს. „საეჭვოდ“ მიიჩნევა მოვალის ნებისმიერი ქონების გაჩუქება ან შედარებით დაბალ ფასად გასხვისება. „საეჭვოდ“ ითვლება, ასევე, გარემოება, როდესაც მოვალე ისეთ იურიდიულ ქმედებას განახორციელებს, რომლის ვალდებულებაც მას **„არ ჰქონდა, არ ჰქონდა ამ დროისათვის ან არ ჰქონდა ამ სახით“.** მაგალითად, როდესაც მოვალე კრედიტორს გარკვეულ საკრედიტო გარანტიებს აძლევს ისე, რომ ეს წინასწარ მასთან შეთანხმებული არ ყოფილა. ის ჯერ კიდევ ვადამოუსვლელ ვალდებულებას ასრულებს, ან ვადამოუსვლელი ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად კრედიტორს მესამე პირების წინააღმდეგ თავის მოთხოვნებს უთმობს. „საეჭვოდ“ მიიჩნევა, აგრეთვე, ისეთი ობიექტური გარემოებაც, როდესაც კონტრაპენტი მოვალესთან დაახლოებული პირია. „გარემო-

³⁶² იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 16.03.2017 განჩინება, საქმეზე N2ბ/3908-15.

ებათა საექვოლობა“, თავისთავად, კრედიტორებისათვის ზიანის მიყენების თაობაზე მოვალის განზრახვის დადასტურებას არ ნიშნავს. უფრო ზუსტად, „საექვოლობა“ უშვებს ვარაუდს, რომ მოვალის ქმედება მისივე გადახდისუუნარობით არის განპირობებული. აქედან გამომდინარე, „საექვო გარიგების“ შეცვლების წინაპირობად უფრო ის ფაქტი მიიღება მხედველობაში, ქმედების განხორციელების მომენტისათვის, მოვალე უკვე გადახდისუუნარო იყო, თუ არა ³⁶³.

ბ) შეცვლების სუბიექტურ გარემოებად, უწინარეს ყოვლისა, კრედიტორისათვის ზიანის მიყენების განზრახვა უნდა მივიჩნიოთ. ყველაზე დამაჯერებლად, შეცვლებად შეიძლება ისეთი იურიდიული ქმედება მივიჩნიოთ, რომელსაც მოვალე, ან სარგებლის მიძღები პირი კრედიტორისთვის ზიანის მიყენების განზრახვით ახორციელებს. შეცვლების სუბიექტური საფუძველი, **შეცვლების უძველესი ფორმაა. ეს იყო ე.წ. „actio paulina“, ანუ** რომაული სამართლის ერთგვარი სარჩელი, რომელმაც ეს სახელი მისი შემქმნელის, გვიანი კლასიკური ხანის ედილისაგან – იულიუს პაულუსისგან მიიღო. სარჩელი დასაბუთებული იყო იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე არაკეთილსინდისიერ კრედიტორთან თანამშრომლობდა, რაც, მოვალის ვალაუვალობისას, დანარჩენ კრედიტორებს მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა. აღნიშნული საფუძველით შეცვლების სიძნელეს კრედიტორებისათვის ზიანის მიყენების განზრახვის დადასტურება წარმოადგენდა, რისი მტკიცებაც, საბოლოოდ, ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობას ეფუძნებოდა. შედარებით მარტივად დამტკიცებად სუბიექტურ გარემოებად ითვლება ცოდნა მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ. ასეთი ცოდნის დასადასტურებლადაც იმ ობიექტურ გარემოებებს უნდა მივმართოთ, რომლებიც მარტივად შეიძლება დავახასიათოთ. გადახდისუუნარობის კანონთა უმეტესობა აღნიშნული ობიექტური და სუბიექტური გარემოებების კომბინირებულ ფორმებს იყენებს, რადგან, რეალურად, პრაქტიკაში შეცვლების სუბიექტური და ობიექტური საფუძველების ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯვნა საკმაოდ რთულია. ბევრ სხვა კანონთან შედარებით, UNCITRAL Legislative Guide ტრანზაქციების 3 ძირითად სახეს განასხვავებს. ამასთან, ტრანზაქციის პირველი 2 სახე არა მხოლოდ კრედიტორების მიმართ, არამედ, აგრეთვე, სხვა პირების მიმართაც შეიძლება იქნეს გამოყენებული³⁶⁴:

- **იურიდიული ქმედება, რომელიც განზრახაა მოწოდებული, რათა ჩაშალოს, შეაფერხოს ან გააჭიანუროს კრედიტორთა დაკმაყოფილება;**
- **ქონების დაბალ ფასად გადაცემა;**
- **კრედიტორებისათვის უპირატესობის მინიჭება.**

ამდენად, **კრედიტორისათვის ზიანის მომტან საცილო ქმედებას წარმოადგენს** გადახდისუუნარობის მასის განზრახ შემცირება, გადახდისუუნარობის მასის გაუფასურება, ანდა დაუსაბუთებელი უპირატესობის მინიჭება. შეცვლების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილება დამოკიდებული იქნება მოვალისა და კრედიტორის კეთილსინდისიერებაზე, ანუ იმის დადგენაზე, იყო თუ არა შეცვლებული ქმედება შესაბამისობაში მხარეებს შორის არსებულ და ზოგად სავაჭრო ჩვეულებებთან. ამასთან, მარტოოდენ კრედიტორის კეთილსინდისიერება მოვალის ქმედებას მართლზომიერს ვერ გახდის. ამისათვის, დამატებით აუცილებელია, რომ შეცვლების მოწინააღმდეგე მხარე – კრედიტორმა სხვაგვარად შეავსოს მოვალის ქონება, ანდა არსებობს შეცვლების მოწინააღმდეგე მესამე პირი, რომელმაც არ იცოდა და არც შეიძ-

³⁶³ იქვე. გვ. 54-55.

³⁶⁴ UNCITRAL Legislative Guide, Part 2, Chapter F3.

ლება სცოდნოდა მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ. უფრო კონკრეტულად „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 65-ე მუხლის ადგენს შეცვლების წინაპირობებს. კერძოდ, საცილო ქმედებად განიხილება:

ა) **გადახდისუუნარობის მასის განზრახ შემცირება** – ქმედებები, რომელიც მიზნად ისახავს გადახდისუუნარობის მასის შემცირებას, მოვალის ქონების ან მისი ნაწილის განკარგვას ან გადამალვას გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას კრედიტორებისათვის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მიზნით, ან გადახდისუუნარობის მასისთვის სხვაგვარად ზიანის მიყენებას;

ასეთი იურიდიული ქმედების პრობლემა ისაა, რომ განზრახვა პირდაპირ იშვიათადაა დამტკიცებადი. კერძოდ, განზრახვის დადასტურება, უნდა დაეფუძნოს გარე ფაქტორებს, როდესაც გარკვეული როლი შეიძლება ყველა ზემოთ ხსენებულმა ობიექტურმა კრიტერიუმმა შეასრულოს. ნათესავთან განხორციელებული იურიდიული მოქმედება საექვო გარემოებაა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მას ქონებას საბაზრო ღირებულებაზე ბევრად უფრო დაბალ ფასად გადასცემენ. კიდევ უფრო საექვოა ის ფაქტი, როდესაც მოვალე გადახდისუუნაროა და მის მიერ დადებული გარიგება ჩვეულებრივ საქმიან ქცევებს არ შეესაბამება და ა.შ.³⁶⁵ **განზრახვა სუბიექტური კატეგორიაა**, თუმცა, გარემოებათა ერთობლიობის თანხვედრა, როგორცაა კრედიტორისა და მოვალის მჭიდრო კავშირი, ტრანზაქციების მოკლე პერიოდი და ა.შ. აღნიშნული დაშვების გაკეთების წინაპირობას წარმოადგენს.

გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები, რომ თავის მხრივ, მოვალის, ანდა მოვალისა და კრედიტორის არაკეთილსინდისიერი ქცევა, გარიგების შეცვლების მიზნებისათვის, **მხედველობაში არ მიიღება, თუ აღნიშნულმა ქცევამ, შედეგობრივად, გადახდისუუნარობის მასა არ შეამცირა, არ გააუფასურა ანდა ერთ-ერთ კრედიტორს დაუსაბუთებელი უპირატესობა არ მიანიჭა**. ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. აღნიშნული ნორმა მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის არ არის და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დამრღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მისი დარღვევა, უმეტეს შემთხვევაში, დადებულ გარიგებას მართლსაწინააღმდეგოდ აქცევს³⁶⁶. სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს კანონი. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს წარმოადგენს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება, **რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს**³⁶⁷. კეთილსინდისიერების შეფასების მიზნებისათვის, გადახდისუუნარობის რეჟიმში, მოვალის ქმედებების ანდა მის მიერ დადებული გარიგებების ბათილად მიჩნევის მიზნებისათვის, მხედველობაში მიიღება მოვალის არაკეთილსინდისიერი ქცევა, რომელიც, როგორ

³⁶⁵ კ. შნიტგერი, რ. მიგრიაული, „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011, გვ. 56-57.

³⁶⁶ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 16.03.2017 წლის განჩინება, საქმეზე N2ბ/3908-15.

³⁶⁷ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.04.2014 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე №2ბ/4686-13 გადაწყვეტილება.

წესი, ისეთი სახის ქმედებებში აისახება, როგორცაა, მოვალის ქონების გაჩუქება, ანდა შედარებით დაბალ ფასად გასხვისება; მოვალის მიერ ისეთი იურიდიული ქმედების განხორციელება, რომლის ვალდებულებაც მას არ ჰქონდა „ამ დროისათვის“ ან „ამ სახით“ და ა.შ. არაკეთილსინდისიერი ქცევის წინაპირობად და შესაბამისად „საეჭვოდ“ მიიჩნევა, ასევე, ობიექტური გარემოება, როდესაც კონტრაქტის მოვალესთან დაახლოებული პირია³⁶⁸.

ბ) გადახდისუნარობის მასის გაუფასურება – ქონების უსასყიდლოდ ან საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად გადაცემა, რაც მოვალის გადახდისუნარობის დადგომამდე განხორციელდა ან რამაც მოვალის გადახდისუნარობა გამოიწვია და რისი შედეგიცაა გადახდისუნარობის მასის მოცულობის/ღირებულების შემცირება, მათ შორის, მოვალის ქონების განკარგვა, ასევე, ვალდებულების აღება მოვალის მიერ, თუ ეს ხორციელდება უსასყიდლოდ, ან თუ ამის სანაცვლოდ მოვალე იღებს არასათანადო საპასუხო შესრულებას. არასათანადო საპასუხო შესრულება სახეზეა, როდესაც მოვალე იღებს იმაზე ნაკლებს, ვიდრე ამას ჩვეულებრივ მიიღებდა არადაკავშირებული პირი, ხოლო თუ აღნიშნულის დადგენა შეუძლებელია, შესრულების შესაბამისობა უნდა დადგინდეს მოვალის მიერ გადაცემული ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით;

აღნიშნულთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული კანონი შეიცავს რედაქციულ უზუსტობას. ერთ-ერთ წინაპირობად მითითებულია, რომ ქონების გაუფასურება შეცილებადაა, თუ იგი განხორციელდა **მოვალის გადახდისუნარობის დადგომამდე**. ასეთი მოთხოვნის დაწესება აზრს მოკლებულია. თუ იგულისხმება გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე განხორციელებული ქმედება, ეს ისედაც გამომდინარეობს კანონის 66-ე მუხლის შინაარსიდან, ხოლო თუ იგულისხმება ფაქტობრივი გადახდისუნარობის დადგომის მომენტი, მაშინ ჩანანერი არალოგიკურია. შეცილების ლეგიტიმაცია სწორედ იმ გარემოებას ეფუძნება, რომ **საცილო ქმედება განხორციელდა ფაქტობრივი გადახდისუნარობის პირობებში, ან ამ ქმედებამ გამოიწვია ფაქტობრივი გადახდისუნარობა**, რაც კანონპროექტის თავდაპირველი რედაქციითაც იყო გათვალისწინებული. სხვა შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული სპეციალური შეცილების წესის გავრცელება გაუმართლებელია. ამდენად, პრაქტიკაში მნიშვნელოვანი იქნება ამ დებულების მისი მიზნის შესაბამისად განმარტება.

ქონების გაუფასურებაში უწინარეს ყოვლისა, მოიაზრება მოვალის ყველა გაჩუქებული ნივთი, ასევე, ყველა ის ტრანზაქცია, რომელთა დროსაც მოვალის მთელი ქონება მესამე პირებს შედარებით დაბალ ფასად გადაეცა. არცთუ ისე ადვილია წყალგამყოფის გავლება ქონების შესაბამისი ეკვივალენტით გადაცემასა და „დაბალ ფასად“ გადაცემას შორის. ამასთან, აქ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ტრანზაქციებს მართლაც ლეგალური ხასიათი აქვთ. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი ტრანზაქციები, უშუალოდ ამცირებენ მოვალის ქონებას, შესაბამისად, არსებობს კრედიტორებისათვის ზიანის განზრახ მიყენების ეჭვი, რამეთუ ან მოვალეს სურს თავისი ქონების კრედიტორებისაგან დაცვა, ან კრედიტორები იყენებენ ბოროტად მოვალის უკიდურესად მძიმე მდგომარეობას. თუმცა ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დროითი და შინაარსობრივი ურთიერთკავშირი

³⁶⁸ კ. შნიტგერი, რ. მიგრიაული, „გადახდისუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება კაკორტების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011, გვ. 56.

მოგვიანებით გახსნილ ვალაუვალობის საქმის წარმოებასთან. ეს მოსაზრება ამგვარადაც შეიძლება ჩამოვყავალიბოთ: ამ შეცილების დროისათვის, ობიექტური ფაქტობრივი გარემოება ახლოს დგას კრედიტორისათვის ზიანის განზრახ მიყენების დასკვნასთან და როდესაც ეს ურთიერთკავშირი არსებობს დამდგარ და მოსალოდნელ ვალაუვალობას შორის, მაშინ მოქმედებების სადავოდ ქცევა გამართლებულია³⁶⁹. განსახილველ შემთხვევაში, მხედველობაშია მისაღები მესამე პირთა ინტერესები, რომელთაც აღნიშნული ქონება დაბალი ღირებულების სასყიდლით გადაეცემათ. „დაბალი ფასი“, „შეუსაბამოდ დაბალი ფასი“ შეფასებითი კრიტერიუმებია და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული შეფასება სასამართლომ უნდა გააკეთოს. ასევე, სასამართლომ უნდა მისცეს შეფასება მესამე პირის სუბიექტურ დამოუკიდებლობას ქონების დაბალ ფასად შეძენის მიმართ. თუ სახეზეა იმგვარი „დაბალი ფასი“, რომ იგი „მოცემულ დროს“ შესაფერისი და დასაშვებია, მაგალითად, ვალუტის გაუფასურების, ბაზარზე უძრავი ქონების ფასების მკვეთრი დაცემის გამო და სხვა გარემოებათა გამო, ასეთ შემთხვევაში, დაბალი ფასი გარიგების ბათილობის კრიტერიუმად არ გამოიყენება, მით უფრო, რომ ასეთ დროს, მესამე პირი კეთილსინდისიერ მხარეს შეიძლება წარმოადგენდეს. მესამე პირი შეიძლება კეთილსინდისიერი აღმოჩნდეს არა მარტო მაშინ, როდესაც მან არ იცის მოვალის გადახდისუუნარობის ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის შესახებ, არამედ მაშინაც, როდესაც მან იცის მოვალის გადახდისუუნარობის ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის შესახებ, თუმცა, ვარაუდობს, რომ დაბალი ფასი მისთვის (მოვალისათვის), კონკრეტულ მომენტში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისივე საქმიანობის გაგრძელებისათვის. ამდენად, იმ გარიგებების ბათილობის მიზნებისათვის, რომელიც მესამე პირებთან არის დადებული, ყურადღება ექცევა მესამე პირთა სუბიექტურ დამოკიდებულებას გარიგების პირობებისა და გადახდისუუნარო მხარის მიმართ. შედეგად კი, მესამე პირის კეთილსინდისიერების დადასტურების პირობებში, გარიგება ბათილად არ მიიჩნევა³⁷⁰.

გ) **უპირატესობის მინიჭება** – ქმედება, რომელიც ხელს უშლის კრედიტორების კანონით დადგენილი წესით დაკმაყოფილებას ან/და რომელიც სხვაგვარად უპირატესობას ანიჭებს კონკრეტულ კრედიტორს რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმში, ვიდრე მას ექნებოდა საცილო ქმედების გარეშე, მათ შორის, არსებული კრედიტორული მოთხოვნის შესრულება, თუ არ არის დამდგარი შესრულების ვადა, არსებული მოთხოვნის უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უზრუნველყოფის თაობაზე შეთანხმება გათვალისწინებული იყო ძირითადი სავალო ხელშეკრულების დადებისას.

შეცილების სხვა ორივე ფაქტობრივი გარემოებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევის განსაკუთრებულობა ისაა, რომ მოვალის კონტრაპენტი კრედიტორია, რომლის სამართლებრივი მდგომარეობაც ვალაუვალობის წარმოებაში არსებულ მდგომარეობასთან შედარებით შეცილებადი იურიდიული მოქმედებით გაუმჯობესდა. ამ შემთხვევის დროს, ალბათ, კიდევ უფრო რთულია „შეცილებას დაქვემდებარებულ“ და „შეცილებას დაუქვემდებარებულ“ იურიდიულ მოქმედებათა გამიჯვნა. ვინაიდან ყოველთვის, როდესაც მოვალე ვალაუვალობის წარმოების დაწყებამდე რომელიმე კრედიტორს აკმაყოფილებს, ან მას საკ-

³⁶⁹ იქვე. გვ. 56.

³⁷⁰ https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/05-80722_ebook.pdf, გვ. 143.

რედიტო გარანტიებს აძლევს, ეს ფაქტი ამ კრედიტორის მდგომარეობას, ვალაუვალობის წარმოებაში არსებულ მის მდგომარეობასთან შედარებით, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს. იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორი დაკმაყოფილდა, მაშინ მას, ვალაუვალობის წარმოების მეშვეობით, მეტი ზიანი ვეღარ მიაღებება, ხოლო თუკი კრედიტორს საკრედიტო გარანტიები მიეცა, მაშინ ვალაუვალობის წარმოებაში მას უზრუნველყოფილი კრედიტორისათვის დამახასიათებელი პრივილეგირებული მდგომარეობა ექნება. ყველა ეს ქმედება შეცილებადა რომ ყოფილიყო, მაშინ სამართლებრივი ბრუნვის უსაფრთხოებისადმი ნდობა განულდებოდა. ამდენად, ვალაუვალობის კანონმა ზუსტად უნდა ჩამოაყალიბოს ის წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც შეცილება შესაძლებელია და ამგვარი შეცილებით სამოქალაქო ბრუნვას საფრთხე არ შეექმნება. როგორც წესი, შეცილების ძირითად კრიტერიუმებად იურიდიული მოქმედების განხორციელების მომენტისათვის მოვალის ფაქტობრივი გადახდისუუნარობა სახელდება, ასევე, ბევრი სხვა ისეთი გარემოება, რომელთა საფუძველზეც შესაძლოა, დავასკვნათ, რომ საქმე „ჩვეულებრივ“ გარიგებას არ ეხება. ამ დროს მხედველობაში მიიღება მოვალის ვალდებულება შესრულებაზე, კერძოდ, იყო თუ არა იგი ვალდებული შეესრულებინა ამ სახით ან ამ დროისათვის. მოვალის კეთილსინდისიერების განსაზღვრის კრიტერიუმად შეიძლება **მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ ცოდნასაც დავეყრდნოთ** ³⁷¹.

კანონი ადგენს ე.წ. „საეჭვო პერიოდსაც“, რომელიც რელევანტური პერიოდის სახელწოდებით არის ცნობილი და რეტროსპექტიულად შემოსაზღვრავს იმ ქმედებების განხორციელების ვადებს, რომელთა უკუქცევაც შეიძლება განხორციელდეს შეცილების გზით. კერძოდ, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 66-ე მუხლის თანახმად, ქმედება შეიძლება საცილო გახდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე:

- ა) სამი წლის განმავლობაში თუ სახეზე გვაქვს 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განზრახი ქმედება (სუბიექტური კატეგორია);
- ბ) ერთი წლის განმავლობაში იგივე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ობიექტური ქმედებები (ქონების გაუფასურება, კრედიტორისთვის უპირატესობის მინიჭება);
- გ) ორი წლის განმავლობაში თუ შეცილების მოწინააღმდეგე მხარე მოვალესთან დაკავშირებული პირია.

დაკავშირებული პირის დეფინიცია მოცემულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში და მოიცავს შემდეგს:

- მოვალის ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, მისი მმართველი, სამეთვალყურეო ორგანოს წევრი;
- მოვალის წილის მესაკუთრე პარტნიორი, მონაწილე, წევრი, აქციონერი, მეპაიე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მოვალის წილის არანაკლებ 5 პროცენტს;
- ზემოხსენებული პირების ნათესავი ან სხვა პირი, რომელსაც ამ პირთან ერთად ხანგრძლივ დროის მონაკვეთში აქვს საოჯახო მეურნეობა;

³⁷¹ კ. შნიტგერი, რ. მიგრიაული, „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკორტების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, თბილისი, 2011, გვ. 57.

- პირები, რომლებიც მოვალესთან ერთად პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ სანარმოში, თუ მათი წილი ჯამურად არანაკლებ 20 პროცენტს შეადგენს ან ისინი სხვაგვარად ერთობლივად აკონტროლებენ ამ სანარმოს;
- პირი, რომლის წილს პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ან რომელსაც სხვაგვარად აკონტროლებს მოვალე;
- ამხანაგობა, რომელშიც მონაწილეობს მოვალე;
- **სხვა პირი, რომელსაც მოვალესთან აქვს განსაკუთრებული ურთიერთობები, რომლებიც გავლენას ახდენს ამ პირის ან მის მიერ წარმოდგენილი პირის მიერ მოვალის მიმართ განხორციელებულ ქმედებაზე.**

66-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს ქმედების განხორციელების მომენტს, რაც მნიშვნელოვანია შეცილებას დაქვემდებარებული ქმედების ზუსტად დადგენისათვის. კერძოდ, ქმედება განხორციელებულად ითვლება, როდესაც დადგება ამ ქმედების ობიექტური სამართლებრივი შედეგი. ისეთ ქმედებებთან მიმართებაში, რომლებიც ნაწილ-ნაწილ ხორციელდება, ქმედების განხორციელების მომენტად ჩაითვლება ბოლო ქმედების განხორციელების მომენტი. აღნიშნულ დათქმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ დროს, როდესაც მასის გაუფასურება არა ერთბაშად, არამედ ხელოვნურად დანაწევრებული ქმედებების შედეგად დგება. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ამ ქმედებათა ჯაჭვში ჩაბმული ქმედებები რელევანტური პერიოდის მიღმა ექცევა და, ამდენად, არსებობს რისკი, რომ შეცილებას აღარ დაექვემდებაროს. ამ რეგულაციის შემოტანით კანონმდებელმა დააწესა პრევენციული მექანიზმი, რომელიც წინ უნდა აღუდგეს ამგვარ არაკეთილსინდისიერ მოქმედებას. ამასთან, იმისათვის, რომ ქმედებათა ერთობლიობა ერთიან, ერთმანეთთან დაკავშირებულ მოვლენად დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია ქმედებებს შორის იკვეთებოდეს ობიექტური და სუბიექტური მჭიდრო კავშირი და აღნიშნული გამყარდეს შესაბამისი მტკიცებულებებით.

10.2. შეცილების პროცესუალური ასპექტები

10.2.1. პროცესის მონაწილეები

როგორც უკვე აღინიშნა, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში მმართველის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეინარჩუნოს გადახდისუუნარობის მასა კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესების შესაბამისად და არ დაუშვას მისი გაუფასურება. ეს ფუნქციური უფლებამოსილებები ვრცელდება არა მხოლოდ არსებული გადახდისუუნარობის შენარჩუნების ნაწილზე, არამედ, აგრეთვე, შეცილების შედეგად მასის შევსებაზეც. შესაბამისად, შეცილების უფლების განხორციელებაც მხოლოდ მმართველს შეუძლია. ეს არის გარკვეული ნოვაცია ძველ კანონთან მიმართებაში, როდესაც შეცილების განხორციელება კრედიტორებსაც შეეძლოთ. ამგვარი ცვლილების ლეგიტიმაცია მდგომარეობს შემდეგში: ვინაიდან წარმატებული შეცილების შედეგები გადახდისუუნარობის მასაზე უნდა აისახოს და ამით კრედიტორთა ერთობლიობამ უნდა ისარგებლოს, გაუმართლებელია ამის უფლება ინდივიდუალურ კრედიტორებს მიეცეთ. ამდენად, გამოირიცხება კონკრეტული კრედიტორების მიერ შეცილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. გარდა ამისა, შეცილება უკავშირდება იმ ხარჯებსაც, რომლებიც გადახდისუუნარობის მასიდან იფარება. ამდენად, შეცილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, საბოლოო ჯამში, რა

სარგებელს მიიღებს შეცილების შედეგად გადახდისუუნარობის მასა, რისი დადგენაც მმართველის ან ზედამხედველის კომპეტენციის სფეროს მიეკუთვნება³⁷². **აღნიშნული მიდგომა უფრო გამართლებულია, რადგან შეცილებისას კრედიტორმა უნდა დაასაბუთოს შეცილების იურიდიული ინტერესი. შესაძლებელია, რომ კრედიტორის იურიდიული ინტერესი დასაბუთებული იყოს უფრო მცირე მოთხოვნაზე, ვიდრე შეცილებადი გარიგებაა, რადგან კრედიტორის იურიდიული ინტერესი გარიგების (ქმედების) შეცილების თაობაზე მიზნად მის ინდივიდუალურ დაკმაყოფილებას ისახავს, ხოლო მმართველის შედავა – გადახდისუუნარობის მასის გაზრდას, საიდანაც კრედიტორთა კოლექტიური და სამართლიანი დაკმაყოფილება უნდა მოხდეს³⁷³.**

იმ შემთხვევაში, როდესაც რეაბილიტაციის რეჟიმის ფარგლებში მართვაში რჩება მოვალე, ბუნებრივია, შეიძლება არსებობდეს გარკვეული ინტერესთა კონფლიქტი შეცილების განხორციელების მიზანშეწონილობაზე მსჯელობისას. შესაბამისად, ასეთი შემთხვევებისათვის კანონი ითვალისწინებს შესაძლებლობას შეცილება განხორციელოს ზედამხედველმა, რომლის ფუნქცია, სწორედ, მართვაში დარჩენილი მოვალის ქმედებების კონტროლი და კრედიტორთა საუკეთესო ინტერესების შესაბამისად კორექტირებაა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მიხედვით, საცილო გარიგებებისა და ქმედებების შეცილების უფლება მმართველს (ან რეაბილიტაციის ზედამხედველს) აქვს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მმართველის უფლებაა და არა მოვალეობა, რადგან გადახდისუუნარობის პრაქტიკოსმა, რომელიც, თავის მხრივ, მმართველის ფუნქციებს ასრულებს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს არის თუ არა შეცილება კანონის მიზნის შესაბამისი, შეცილების თანმდევი შედეგი იქნება თუ არა გადახდისუუნარობის მასის გაზრდა, ანდა კრედიტორთა სამართლიანი და კოლექტიური დაკმაყოფილების პრინციპის დაცვა. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მმართველი გადაწყვეტს, რომ მოვალის მიერ გარიგება დადებულია ანდა ქმედება განხორციელებულია რელევანტურ პერიოდში და აღნიშნული გარიგება, თუ ქმედება, შეცილებადი იმის გამო, რომ გარიგება არაკეთილსინდისიერების პრინციპზე დაფუძნებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული გადახდისუუნარობის მასის არამართლზომიერ შემცირებას ანდა კრედიტორთა უპირატესი დაკმაყოფილების პრინციპს ეფუძნება, ასეთ შემთხვევაში, მმართველი სარჩელს აღძრავს.

რაც შეეხება შეცილების მოწინააღმდეგე მხარეს, ანუ მოპასუხეს, აღნიშნულის თაობაზე განმარტებას ვხვდებით „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტში. შეცილების მოწინააღმდეგე მხარის ცნება ფართოა და ის შეიძლება გახდეს ნებისმიერი პირი, რომელიც კანონისმიერი დეფინიციის თანახმად, ვალდებულია მოვალეს დაუბრუნოს ის, რაც მან შეცილებული ქმედების შედეგად მიიღო. აღნიშნულთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, კანონი ითვალისწინებს უსაფუძვლო გამდიდრების წესების გამოყენებას. შესაბამისად, შეცილების მოწინააღმდეგე მხარის დადგენისთვის, გასათვალისწინ-

³⁷² განმარტებითი ბარათი, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 23.

³⁷³ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.02.2020 გადაწყვეტილება, საქმეზე N6073-19.

ნებელი იქნება გამდიდრების ფაქტორი და ის გარემოება თუ ვისთან დადგა გამდიდრების შედეგი სამართლებრივად.

10.2.2. საპროცესო წესი და განხილვის ვადები

აღნიშნული სამართალწარმოება შემჭიდროებულ ვადებში განსახორციელებელი კატეგორიაა, რადგან მისი დასრულება გადახდისუნარობის წარმოების ვადებში უნდა მოესწროს. შესაბამისად, მმართველის მიერ სარჩელის აღძვრა და სასარჩელო წარმოება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონით დადგენილი წესით უნდა მოხდეს³⁷⁴, კერძოდ, გადახდისუნარობის განხილველ სასამართლოში საქმის განხილვის 20 დღიანი და გასაჩივრების 5 დღიანი ვადების დაცვით, შესაბამისი ბაჟის გადახდის გარეშე.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, შეცილების ხანდაზმულობის ვადაც. კერძოდ, კანონის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შეცილების განხორციელების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 1 წელს, რომელიც აითვლება გაკოტრების/რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების თაობაზე სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანის თარიღიდან. ამგვარი მოკლე ხანდაზმულობის ვადა, სწორედაც, საკითხის დროული გადაწყვეტის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

10.2.3. მტკიცების ტვირთი

შეცილების დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შეცილების ისეთ პროცესუალურ დეტალს, როგორიცაა მტკიცების ტვირთი. **ზოგადის წესის მიხედვით, შეცილების განხორციელებისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეცილების უფლების განმახორციელებელ პირს.** თუმცა, არსებობს პრეზუმციის დაშვების შესაძლებლობაც, კერძოდ, იმ შემთხვევაში, **თუ მოვალე ბრალეულად გააჭიანურებს გადახდისუნარობის შესახებ განცხადებით სასამართლოსთვის მიმართვას**, საპირისპიროს დამტკიცებამდე ჩაითვლება, რომ იგი გადახდისუნარობის მასის შემცირების/კრედიტორისთვის ზიანის მიყენების განზრახვით მოქმედებდა.

მოვალის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების დადასტურების მიზნებისათვის, მხედველობაში ისეთი გარემოებები მიიღება, როგორიცაა: ა) იყო თუ არა სარგებლის მიმღები მოვალესთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული პირი; ბ) ინარჩუნებს თუ არა მოვალე რეალურ ეკონომიკურ კონტროლს განკარგულ ქონებაზე; გ) განხორციელდა თუ არა მოვალის ყველა, ან არსებითად ყველა, აქტივის განკარგვა დროის მოკლე პერიოდში; დ) განხორციელდა თუ არა მოვალის ქონების განკარგვა კრედიტორის მიერ მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნის აღსრულების შესახებ გაფრთხილების წარდგენის ან მოვალის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემდეგ; ე) განხორციელდა თუ არა მოვალის ქონების განკარგვა მოვალის მიერ მნიშვნელოვანი ოდენობის ვალის აღების პარალელურად; ვ) ასევე, სხვა ნებისმიერი გარემოება, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს განზრახვის არსებობაზე. სასამართლო არ დააკმაყოფილებს შეცილების შესახებ მოთხოვნას, თუ: **ა) მოვალე და კრედიტორი კეთილსინდისიერია; ბ) კრედიტორი მოვალეს გადასცემს შესაბამისი დი-**

³⁷⁴ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლი.

რეზიუმის ნივთს ან სხვაგვარად შეავსებს მოვალის ქონებას; გ) შეცილების მონინაალმდევე მესამე პირმა, რომელიც არ არის მოვალესთან დაკავშირებული პირი ან/და კრედიტორი, არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა მოვალის გადახდისუუნარობის თაობაზე.

კანონი დამატებით ადგენს, რომ ზემოაღნიშნული პრეზუმფციების ჩამონათვალი ამომწურავი არა არის. შესაბამისად, სასამართლომ შეიძლება მხედველობაში მიიღოს სხვა გარემოებებიც.

კანონითვე განისაზღვრება ის გარემოებები, რაც უნდა ამტკიცოს შეცილების მონინაალმდევე მხარემ. კერძოდ:

- მოვალე და შეცილების მონინაალმდევე მხარე კრედიტორი მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და ქმედება შეესაბამება მოვალესა და შეცილების მონინაალმდევე მხარე კრედიტორს შორის არსებულ ჩვეულებრივ ბიზნესურთიერთობას, ან კონკრეტული ბიზნესსფეროს ჩვეულებებს;
- საცილო ქმედების განხორციელების შემდეგ, კრედიტორი მოვალეს გადასცემს შესაბამისი ღირებულების ნივთს ან სხვაგვარად შეავსებს მოვალის ქონებას;
- შეცილების მონინაალმდევე მესამე პირმა, რომელიც არ არის მოვალესთან დაკავშირებული პირი ან/და კრედიტორი, არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა მოვალის გადახდისუუნარობის თაობაზე.

10.3. შეცილების სამართლებრივი შედეგები

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლი განსაზღვრავს შეცილების სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც უსაფუძვლო გამდიდრების წესებს ეფუძნება. კერძოდ, კანონი განსაზღვრავს, რომ შეცილების უფლების გამოყენებით წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად მოვალეს ქონება უნდა დაუბრუნდეს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ შეცილებული ქმედება ითვალისწინებდა მოვალის ქონებაზე უზრუნველყოფის უფლების წარმოშობას, ასეთ შემთხვევაში, შეცილებული ქმედების შედეგად წარმოშობილი უზრუნველყოფა უქმდება.

როგორც ვხედავთ, ახალი კანონით შემოთავაზებულია ზოგადი წესებისაგან განსხვავებული მონესრიგება, იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც გადახდისუუნარობის პროცესს ახასიათებს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გადახდისუუნარობის სამართლით განსაზღვრული შეცილება, როგორც წესი, გარკვეულ შესრულებას უკავშირდება. ამდენად, შეცილების სამართლებრივი შედეგები უნდა გადაწყდეს შესრულების კონდიქციის წესების შესაბამისად. ამ შემთხვევაში კანონის 65-ე მუხლით გათვალისწინებული შეცილების წინაპირობები უნდა განვიხილოთ სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის სპეციალურ შემთხვევად, ხოლო სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის მიზნით, უნდა ვინარესად, უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის 979-981 მუხლებით. კონტექსტის შესაბამისად, ასევე გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 990-ე მუხლი.

რაც შეეხება ვალდებულების შინაარსს, სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დაბრუნებას ექვემდებარება როგორც გადაცემული, ასევე, მიღებული სარ-

გებელი, ნაყოფი, აგრეთვე, მიღებულის სანაცვლო კომპენსაცია (სუროგატი) და ა.შ. ამავე ნორმით განისაზღვრება გამდიდრების დაკარგვის შესაგებელი, ანუ ის შემთხვევა, როდესაც შეცილების მონინააღმდეგე მხარე, მისი ბრალის გარეშე კარგავს მიღებულს.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, გამკაცრებული პასუხისმგებლობის საკითხი, რაც ზოგადი წესების მიღმა სპეციალური წესითაც არის განსაზღვრული „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონით. კერძოდ, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით, მონინააღმდეგე მხარის მიერ შეცილების საფუძვლის არსებობაზე ცოდნის შეფასებისას უნდა დადგინდეს, იცოდა თუ არა აღნიშნულმა პირმა გადახდისუუნარობის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ. თუ შეცილების მონინააღმდეგე მხარემ იცოდა მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ ან იმის თაობაზე, რომ შეცილებული ქმედების შედეგად მოვალე გადახდისუუნარო გახდა, მოვალის მიერ ქონების დაბრუნების მოთხოვნა არ შეიძლება დამოკიდებული გახდეს მოვალის მიერ შეცილების მონინააღმდეგე მხარისგან მიღებულის მისთვის დაბრუნებაზე. გამკაცრებული პასუხისმგებლობის ფარგლებში, შეცილებაზე უფლებამოსილ პირს უფლება ენიჭება, საგამონაკლისო წესით, გამოიყენოს, აგრეთვე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. კერძოდ, კანონი ადგენს, რომ თუ შეცილების მონინააღმდეგე მხარემ იცოდა მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ ან იმის თაობაზე, რომ შეცილებული ქმედების შედეგად მოვალე გადახდისუუნარო გახდა, შეცილების უფლების მქონე პირის სურვილით, შეცილების მონინააღმდეგე მხარეს ქონების დაბრუნების ნაცვლად შეიძლება მოეთხოვოს არასათანადო შესრულებით გამოწვეული სხვაობის შესაბამისი თანხის ანაზღაურება.

ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც შეცილების მონინააღმდეგე მხარე მოვალის კრედიტორია, კანონი ადგენს ე.წ. ორმხრივი რესტიტუციის პრინციპს და განსაზღვრავს შემდეგს: თუ საცილო შესრულების/სარგებლის მიმღები კრედიტორია, ქონების მოვალისთვის დაბრუნების პარალელურად, აღდგენილი უნდა იქნეს ის კრედიტორული მოთხოვნა, რომელიც შეცილებული ქმედებით დაკმაყოფილდა. თუ მოვალისთვის ქონების დაბრუნების შემდგომი საპასუხო შესრულება მოვალის ქონებიდან ნაწილის გამოყოფას ეხება, გამოყოფილი ქონება შეცილების მონინააღმდეგე მხარეს უნდა გადაეცეს. თუ ეს შეუძლებელია, შეცილების მონინააღმდეგე მხარეს წარმოეშობა კრედიტორული მოთხოვნა, რომელიც მოვალისთვის გადაცემული შესრულების/სარგებლის ღირებულების ეკვივალენტურია. ეს ღირებულება იმ მომენტისთვის გაანგარიშდება, როდესაც შეცილების მონინააღმდეგე მხარე მოვალეს დაუბრუნებს შეცილებული ქმედების შედეგად მიღებულ სარგებელს.

11. გადახდისუნარიობის საქმის წარმოების კავშირი სხვა საგარეოებრივ ინსტიტუტებთან

სერგი ჯორბენაძე

11.1. გადახდისუნარიობის საქმის წარმოება და სისხლის სამართალი

სისხლის სამართლის მიმართულებით გადახდისუნარიობის საქმის წარმოებას საქართველოში დიდი გამოცდილება არ გააჩნია. აღნიშნულზე მოწმობს როგორც მწირი სასამართლო პრაქტიკა, ისე შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვიანობის სიმცირე. მიუხედავად ამისა, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, საკითხის განხილვა აქტუალურია თანამედროვე ბიზნესსაქმიანობის მართებულად დაგეგმვის კუთხით. აღნიშნული ეხება როგორც უკვე არსებული მონესრიგების კიდევ უფრო მაღალი სტანდარტებით შეზღუდვას, ისე გარკვეულ პრევენციულ საფუძვლებს, რათა თავიდან იქნეს არიდებული საქმიანობის ბოროტად გამოყენების შემთხვევა. ამ მსჯელობის საილუსტრაციოდ სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლის დანაწესიც გამოდგება, სადაც აქცენტი კეთდება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონით მონესრიგებული ვადის დაუცველობის შედეგებზე.

სისხლის სამართლის კონტექსტში გადახდისუნარიობის საქმის წარმოება განსაკუთრებით სამ ასპექტშია ყურადსაღები: ა) დანაშაულის ჩამდენ პირთა წრე, რომელიც გამომდინარეობს დანაშაულის კონკრეტული სახის არსებობისგან; ბ) დანაშაულის სახეები, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამომდინარეობდეს შესაბამისი მოცემულობისგან და ბ) პროცედურული საკითხი, რომელიც იურიდიული პირის ლიკვიდაციას ითვალისწინებს.

11.1.1. გადახდისუნარიობასთან დაკავშირებული დანაშაულები

სისხლის სამართლის კოდექსში გადახდისუნარიობასთან დაკავშირებულ დანაშაულთა მონესრიგება პირდაპირი სახით გვხვდება. ასეთი სულ ოთხი ნორმაა განერილი. გარდა აღნიშნულისა, სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება სამართლებრივი ურთიერთობის ისეთი მომნესრიგებელი დათქმები, რომლებიც გადახდისუნარიობასთან არაპირდაპირი გზით შეიძლება იყოს დაკავშირებული.


ა) განცხადების წარუდგენლობა და ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების დარღვევა

განცხადების წარუდგენლობა განზრახ ჩადენილ დანაშაულთა კატეგორიაში ექცევა. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ თითოეულ შემთხვევაში, პირის შეგნებულ ქმედებასთან/უმოქმედობასთან გვაქვს საქმე. ლოგიკურია, რომ პასუხისმგებლობის სუბიექტს თავად უნდა ჰქონდეს პირველ რიგში ინფორმაცია (ან ვალდებულება, რომ ასეთ ინფორმაციას ფლობდეს), რომელიც განცხადების (მით უმეტეს, ინფორმაციის) წარდგენის წინაპირობა გახდება. მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი (რომელიც, ასევე, 100%-იანი წილის მესაკუთრეა) ინფორმირებულია (უნდა იყოს საქმის კურსში) კომპანიაში

არსებული გარემოების შესახებ. მისი მხრიდან ინერტული მოქმედება/უმოქმედობა კი გადახდისუნარობის საქმის წარმოებაზე თავის შეკავების მანიშნებელი იქნება.

სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით, დანაშაული ჩადენილად მიიჩნევა იმ მომენტიდან, როდესაც პირმა განცხადების³⁷⁵ წარდგენის ვადა გაუშვა.³⁷⁶ გერმანულ პრაქტიკაში ჩამოყალიბებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც, სამკვირიანი ვადის გასვლის მიუხედავად, ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან ხდება ხანდაზმულობის ათვლა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენისთვის.³⁷⁷ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი პირდაპირ ადგენს საფუძვლებს, რა დროსაც განისაზღვრება გადახდისუნარობის დადგომის მომენტი. დაუშვებელია, რომ სუბიექტის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა არ იცოდეს დასახელებული საფუძვლის დადგომის შესახებ ინფორმაცია. ეს მოცემულობა ვერ გახდება მისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი.

სქემა №1



ამ მხრივ, გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს შემთხვევა, როდესაც მენარმე სუბიექტის ერთ-ერთი მმართველი მეორე მმართველს დაუმაღავს ინფორმაციას ან შეუზღუდავს ინფორმაციაზე წვდომას და ა.შ.³⁷⁸ მაგალითად, როდესაც კომპანიას ორი დირექტორი ჰყავს

³⁷⁵ მოსაზრება ეფუძნება გერმანულ გამოცდილებას. იხ. მაგალითად, BGH, Urt. vom 4.4.1979 – 3 StR 488/78.

³⁷⁶ იხ. BGH, Bes. vom 23.7.2015 – 3 StR 518/14.

³⁷⁷ იხ. BGH, Bes. vom 16.5.2017 – 2. StR 169/15.

³⁷⁸ შესაძლებელია, რომ საქმე გვეჩვენდეს სხვა სახის დანაშაულთანაც, მაგალითად, თაღლითობასთან.

და აქედან ერთ-ერთი მათგანი უზღუდავს მეორე მათგანს ინფორმაციაზე/მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობას. ასეთ დროს, მეორე დირექტორს არ შეიძლება ჰქონდეს წარმოდგენა არსებული რეალობის თაობაზე.³⁷⁹ ანალოგიური შეიძლება გავრცელდეს შემთხვევაზე, როდესაც, მაგალითად, პარტნიორი შეუზღუდავს დირექტორს შესაბამის საქმიანობას. ასეთ დროს, დირექტორის უფლებამოსილების/წვდომის ფარგლებში, ასევე, შეიძლება არ მოექცეს არსებული ინფორმაცია. მიუხედავად ფორმალური წინაპირობის არსებობისა, ორივე მაგალითისას მნიშვნელოვანია, რომ ის დასტურდებოდეს სხვადასხვა გარემოებით. ერთმნიშვნელოვნად ასეთი პოზიციის დამყარება, რომ ე.წ. „უნიკალური ფორმულა“ იქნეს დადგენილი პასუხისმგებლობის გამორიცხვის კუთხით, არ იქნებოდა მართებული³⁸⁰.

პრაქტიკაში (ძველ მოწესრიგებასთან მიმართებით) ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც რამდენიმე დღიანი ვადის გადაცილებაც³⁸¹ სისხლის სამართლის კოდექსის ნორმის დარღვევად მიიჩნევა.³⁸² მაგალითად, პირმა სასამართლოს მიმართა მეხუთე კვირას, ან მეხუთე კვირას გაირკვა, რომ არ მომხდარა სასამართლოსთვის მიმართვა. ამასთან, თუ სისხლის სამართლებრივი ხანდაზმულობის დენა ხანდაზმულია, შესაბამისად მაშინ შედეგიც არ დგება.³⁸³

ინფორმაციის წარუდგენლობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას ერთ-ერთ დანაშაულს წარმოადგენს. სისხლის სამართლის კოდექსის 207¹ მუხლი სწორედ აღნიშნულს განსაზღვრავს. ნორმის მიზანია მაქსიმალურად დაიცვას გადახდისუუნარობის საქმის წარმოება მოვალის მართვისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილი პირისგან, არ დაირღვეს ამ უკანასკნელის მიერ ნორმები ან, მისმა ქმედებამ არ მიაყენოს ზიანი საქმის წარმოების (რეჟიმს) პროცესს.

ბ) უკანონო მოქმედება გადახდისუუნარობისას ქონების განკარგვის ჭრილში

სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის პირველი ტერმინია: „გადახდისუუნარობისას“. ეს ნიშნავს, რომ ნორმა აკონკრეტებს მოქმედების ფარგლებს და ის მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს დანაშაულს, თუ ქმედება გადახდისუუნარობისას ხორციელდება. როგორ შეიძლება განიმარტოს ეს ტერმინი? თუ ფორმალურად მივუდგებით, მაშინ მხოლოდ სასამართლოს მიერ შესაბამისი განჩინების გამოტანიდან უნდა მივიჩნიოთ დანაშაულის ჩადენის დასახელებული წინაპირობა ნამდვილად, მაგრამ კანონის განმარტებიდან გამომდინარე, „გადახდისუუნარობის“ პერიოდად, დასახელებული მუხლის განმარტებისთვის, მიჩნეულ უნდა იქნეს ის მომენტი, როდესაც გადახდისუუნარობა დადგა.³⁸⁴ სხვა შემთხვევაში, თუნდაც სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლს არ ექნებოდა ქმედითი ხასიათი. თავის მხრივ, პირის გაზრახვა (თუნდაც, ქონების დამალვის თაობაზე) დამოკიდებულია არა ფორმალურ წინაპირობაზე, არამედ რეალურად დამდგარ შედეგზე. სხვა სიტყვებით რომ

³⁷⁹ აღნიშნული, ასევე, გახლავთ კონკრეტულ შემთხვევაში მტკიცების საგანი.

³⁸⁰ ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ. გერმანული პრაქტიკა, სადაც განცხადების შეტანის ნაწილში პარტნიორისა და დირექტორის მიმართებაზე გამახვილებული ყურადღება. BGH, Urt. 09.07.1979 – II ZR 118/77.

³⁸¹ იგულისხმება, ოთხი დღით გვიან მიმართვა.

³⁸² იხ. უზენაესი სასამართლოს განჩინება, 06.07.2004, №202-დად.

³⁸³ ამ საქმეში გამომძიებელის ინიციატივით უარი ითქვა საქმისა და სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრაზე. იხ. იგივე განჩინება, აღწერილობითი ნაწილი.

³⁸⁴ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

ითქვას, განზრახვა არ წარმოეშობა პირს მაშინ, როდესაც სასამართლო გამოიტანს განჩინებას, ხოლო, სისხლისსამართლებრივ ფარგლებში დანაშაულის ჩადენის აღმოფხვრის მთავარ პოსტულატს არა ასეთი ფორმალობის განსაზღვრა, არამედ, რეალურად ჩადენილი ქმედების/უმოქმედობის გამო დამდგარი შედეგისთვის პასუხისგება წარმოადგენს.

ბ.ა) ნორმის შინაარსობრივი განმარტება

სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე დანაწესი, ასევე, განზრახ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება. ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც მიმართულია გადახდისუუნარობის მასაში მოსაქცევი ქონების განკარგვის, დამალვის, დაბიანების, გაუვარგისების ან განადგურებისკენ, ეფუძნება წინაპირობებს, რომლის რისკის ტარების ვალდებულება შესაბამის პირს ეკისრება.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას, ქონების თითოეული ნაწილი, ასევე, თითოეული ქონებრივი სიკეთე მნიშვნელობის მატარებელია კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილების ჭრილში. სწორედ ამიტომ, დასახელებული მუხლი უპირველეს ყოვლისა, ქონების დაცვის პრევენციას წარმოადგენს.³⁸⁵ შედეგად, ის მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ კრიტერიუმებს და ეხება, როგორც ერთ, ისე რამდენიმე ქონებას და მათი ხარისხის გარანტიებს ადგენს³⁸⁶.

ქონების ქვეშ უნდა მოვიგზოთ ნებისმიერი მატერიალური, თუ არამატერიალური ქონება, ნივთი, ასევე, უფლებები და მოთხოვნები და ყველა ის სიკეთე, რომელსაც ქონებრივი დატვირთვა/ღირებულება გააჩნია.³⁸⁷ კანონის განმარტებიდან გამომდინარე, აღნიშნულში არ მოიაზრება ნაკლები ქონებრივი სარგებლის/ინტერესის მქონე ობიექტები.

თავის მხრივ, მოცემული მუხლის შემადგენლობა პირდაპირპროპორციულია მიზანთან: რა მიზნით ხდება გარიგების დადება ქონების თაობაზე, არსებითი შინაარსის მატარებელია. თუ ქონების განკარგვა გადახდისუუნარობის მასისგან მისი აცილების მიზნით ხდება, მაშინ იგი ნებისმიერი ასეთი განკარგვის ქვეშ უნდა მოექცეს. იქნება ეს, მაგალითად, იჯარის ხელშეკრულება, საკუთრების მინდობა თუ სხვ. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ხელშეკრულებები, რომლის ფარგლებშიც უფლების წარმოშობისთვის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რეგისტრაციის წესს. ამგვარ კატეგორიას განეკუთვნება ზემოთ დასახელებული საკუთრების მინდობის ხელშეკრულება, თუნდაც უძრავ ნივთთან მიმართებით, რაზეც კანონმდებელს პირდაპირი (იმპერატიული) პირობა განერილი არ აქვს³⁸⁸.

ქონების განკარგვის ნაწილში ორი ასპექტია ყურადსაღები: ა) არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, რამდენად რეალური იყო ობიექტური დამკვირვებლისთვის გარიგების დადება (ბიზნესრისკი), თუ მიზანი წინდანინვე ცხადყოფს ქმედების საფუძვლებს და ბ) მიზნის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უპირატესად, წერილობით დადებული ხელშეკრულებებიდან მოხდება შესაბამისი საფუძვლების გააზრება. მესამე პირისთვის შესაძლებელია, რომ კონკრეტული გარიგების დადების მნიშვნელობა არ იყოს ცხადი. მხოლოდ ამგვარი შეხედულება

³⁸⁵ იხ. <www.hrr-strafrecht.de/hrr/5/15/5-134-15.php> [25.12.2020].

³⁸⁶ იხ. BGH, Urt. vom 12.10.2016, 5 StR 134/15.

³⁸⁷ იხ. *Dannecker/Hagemeyer* in *Insolvenzstrafrecht*, Dannecker/Knierim/Hagemeyer (Hrsg.), 2. Auflage, Rdnr. 1025.

³⁸⁸ იხ. საპირისპირო შეხედულება: *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ჭანტურია (რედ.), ელ. ვერსია: <www.gccc.ge/wp-content/uploads/2019/03/Artikel-724.pdf> [25.12.2020], მუხლი 724, ვნ. 52.

სისხლისსამართლებრივ წრილში ქმედების კვალიფიკაციისას არ უნდა ჩაითვალოს არსებითი მნიშვნელობის მატარებლად, ვინაიდან საქმიანობის ფარგლებში თითოეული პირი თავად ირჩევს სტრატეგიას და თავად წყვეტს, თუ რა მიმართულებით შეიძლება განავითაროს საქმიანობა.³⁸⁹ ამდენად, განკარგვის ფარგლებიდან, პირველ რიგში, სწორედ შესაბამისი (ნეგატიური) მიზანი უნდა იკვეთებოდეს.

დანაშაული ჩადენილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც პირმა ქმედება განახორციელა (ან არ იმოქმედა) და როდესაც ამ ქმედებას კონკრეტული მიზანი გააჩნდა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, დანაშაულის ასეთად კვალიფიკაციისთვის უშუალოდ იმ ფაქტის გამოვლენა გამოდგება, რომელიც ადასტურებს კანონის დარღვევას.³⁹⁰

ბ.ბ) ქონების გადამალვა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით

სისხლის სამართლის კოდექსის 205¹ მუხლი არ ეხება უშუალოდ გადახდისუუნარობისას საქმის წარმოებას, თუმცა ერთობლიობაში მკაფიოდაა მასთან დაკავშირებული. დასახელებულ მუხლთან მიმართებით, პრაქტიკის განსასაზღვრია საკითხი, მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგების ასეთად მიჩნევა როდის იქნება შესაძლებელი. თუ თვალთმაქცური გარიგების შემთხვევაში მხარეებს არ სურთ შედეგის დადგომა, მოჩვენებითი გარიგების დადების მიზანს სხვა გარიგების გადაფარვა წარმოადგენს.³⁹¹ ეს კი ნიშნავს, რომ მხარეების სურვილია, დაფარონ რეალობა და მაქსიმალურად ხელი შეუწყონ რეალობისგან განსხვავებული შედეგების დადგომას.³⁹²

ბ.გ) დანაშაულზე ხელის ნებაყოფლობით აღება

სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი იცნობს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ცნებას. ასეთ მოცემულობასთან გვექნება საქმე, თუ მიუხედავად უკანონო მოქმედებისა, მხარე არ განახორციელებს ქმედებას, რომელიც ამავე შეთანხმების ფარგლებში იქნა განერილი. მაგალითად, არ გადასცემს ქონებას მეორე მხარეს, არ განეცხადება, რაც შეიძლება შეთანხმების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდეს და ა.შ. თუ მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგება დაიდო მხარის მიერ, თავისთავად, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა ასეთის არსებობისას წინდანიშნავა გამორიცხული, ვინაიდან, ერთი მხრივ, ხელშეკრულება დადებულად არ ითვლება, ხოლო, მეორე მხრივ, ნაკისრი ვალდებულებაც ნების ნამდვილ გამოვლენას არ ეფუძნება.

კანონში არ არის პირდაპირ განსაზღვრული, მაგრამ შესაძლებელია მსჯელობა იპოთეკის შემთხვევაზეც გავავრცელოთ. მაგალითად, დირექტორის მიერ კრედიტის გამოტანა ბანკიდან და ამ კრედიტის უზრუნველყოფა იპოთეკით, როდესაც რეალური საფუძველი კრედიტის მიღების არ არსებობდა.³⁹³ ეს გარიგება ბათილად არ მიიჩნევა. შესაბამისად, ბანკის (კრედიტის გამცემის) სამართლებრივი მდგომარეობა კეთილსინდისიერად და მართლზომიერად

³⁸⁹ *Schulze in Insolvenzstrafrecht*, Bittmann (Hrsg.), §15 Rdnr. 1.

³⁹⁰ აღნიშნულის თაობაზე იხ. BGH, Bes. vom 14.03.2016, 1 StR 337/15.

³⁹¹ უზენაესი სასამართლოს განჩინება, 23.02.2010, №სს-891-1177-09.

³⁹² ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი გარიგების ბათილობის საფუძველი სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლიდან გამომდინარეობს. იხ. *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, *ჭანტურია* (რედ.), 2017, მუხლი 56, ვნ. 19.

³⁹³ შეიძლება, რომ წინასწარვე იყოს მხარისთვის ცნობილი, რომ მიუხედავად კრედიტის აღებისა, ვერ მოახერხებს მის დაფარვას სათანადო წესით.

დაკვალიფიცირდება, თუმცა ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილების მქონე პირის პასუხისმგებლობა ამ მოცემულობით არ გამოირიცხება.

ბ.დ) განსხვავება 205-ე და 205¹ მუხლებს შორის

სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე და 205¹ მუხლებს შორის განსხვავებაზე საუბრისას ორი მთავარი ასპექტია გამოსაყოფი: ა) გადახდისუუნარობის საქმის არსებობა (ფაქტის დადგომა) და ბ) გარიგების ნამდვილობა. პირველ შემთხვევაზე ნაშრომში დეტალურადაა ყურადღება გამახვილებული, რაც შეეხება მეორე ასპექტს, აქ ყურადსაღებია ის მომენტი, თუ რამდენად ჭქონდა პირს უფლება, დაედო ხელშეკრულება და გამოევილინა ნება, რომელითაც იგი ნამდვილ გარიგებას დადებდა. უფრო კონკრეტულად: სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლიდან გამომდინარე იკვეთება, რომ მასში არ ფიგურირებს ტერმინი, რომელიც გარიგების ბათილობის წინაპირობა გახდებოდა. ამდენად, პირს, რომელიც დებს გარიგებას, უფლება აქვს, რომ განკარგოს ნივთი და გარიგებაც ნამდვილია. თუმცა მისი მიზანია იმგვარი, რომ ქონება არ მოექცეს გადახდისუუნარობის მასაში. ეს კი ნიშნავს, რომ მისი მოქმედება წარმოადგენს კერძოსამართლებრივად ნამდვილს და ასეთი გარიგება არაა ბათილი. აღნიშნულისგან განსხვავდება 205¹ მუხლი, რომლის საფუძველზეც, დადებული გარიგება არის ბათილი. ამ შემთხვევაში არ იკვეთება არც კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესები და არც პრეზუმფიცია, რომელიც შემძენს დამატებითი უფლებამოსილებით აღჭურავდა.³⁹⁴

ბ.ე) გარიგების ფორმა და მტკიცების სირთულე

გარიგების ფორმა, უპირატესად, მტკიცებითი ხასიათის ჭრილში გააზრებისთვისაა მნიშვნელოვანი.³⁹⁵ წერილობითი ხელშეკრულების შემთხვევაში, მსჯელობა სწორედ ხელშეკრულების პირობების განმარტებიდან უნდა გამომდინარეობდეს, რაც ზეპირი გარიგებისას დიდი სირთულის მატარებელი იქნება.³⁹⁶ კერძოდ, ზეპირი გარიგებისას შეუძლებელი იქნება სრულად იმის დადასტურება, თუ რა წარმოადგენდა პირის ქმედების მიზანს და რატომ მოხდა ქონების განკარგვა ასეთი სახით.

გ) საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა

სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლის მიხედვით, საბუღალტრო წიგნის წარმოება უნდა გამოიწვიოს ქონებრივი მდგომარეობის შეფასების გართულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დანაშაული არ დადგება. წესის დარღვევა გულისხმობს გარკვეულ/შეგნებულ მოქმედებას, როდესაც ეს უკანასკნელი მიმართულია იმისკენ, რომ არ დადგეს შესაძლო შედეგი ქონებრივი მდგომარეობის შეფასების/განსაზღვრის კუთხით.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევად არ მიიჩნევა შეცდომა, რომელიც შეიძლება დაუშვას შესაბამისმა პირმა. თუნდაც, დეკლარაცია შეცდომით იყოს შევსებული, შესაძლებელია მისი გამოსწორება (შესაბამისად, გადამოწმება), რაც საფუძველი გახდება იმისა, რომ დაშვებული შეცდომის მიუხედავად ზუსტი


³⁹⁴ იგივე, მოძრავი ნივთის შემთხვევაში, როდესაც შემძენისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ეკისრება გამყიფველს და სხვ.

³⁹⁵ იხ. OLG München, Bes. vom 26.10.1977, 1 Ws 978/77.

³⁹⁶ Schulze in Insolvenzstrafrecht, Bittmann (Hrsg.), §15 Rdnr. 9.

და მართებული ინფორმაცია აღირიცხოს.³⁹⁷ ბუღალტრული საქმის წარმოების ფარგლებში, პასუხისმგებლობის მატარებელი სუბიექტია ხელმძღვანელი პირი, რომელიც შეიძლება გახლდეთ როგორც დირექტორი, ისე პარტნიორი (განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანის თანხმობასთან გვაქვს საქმე). სისხლის სამართლის კოდექსი სუბიექტთა კატეგორიზაციას ამ მხრივ არ ადგენს. ეს კი გულისხმობს, რომ ცალკეულ შემთხვევაში, თანამონაწილეობასთანაც კი შეიძლება გვქონდეს საქმე.

სქემა №4



11.1.2. სხვა დანაშაულები გადახდისუნარობის საქმესთან კავშირში

სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს დანაშაულთა ისეთ სახეებს, რომლის ჩადენაც შეიძლება კავშირში იყოს გადახდისუნარობის საქმის წარმოებასთან. ამ მხრივ გამოსაყოფია რამდენიმე მათგანი: ა) კიბერდანაშაული; ბ) თაღლითობა და გ) ფულის გათეთრება. თითოეულ შემთხვევაში მსჯელობა შეიძლება განვითარდეს იმ კუთხით, ზოგადი დანაშაულის სახეს წარმოადგენს იგი, თუ სპეციალურისას.

ა) კიბერდანაშაული და გადახდისუნარობა

სისხლის სამართლის კოდექსში მოწესრიგებული ტერმინი: „საბუღალტრო წიგნი“ გარკვეულწილად მოძველებული განმარტების მატარებელია და იგი ხშირ შემთხვევაში არც არის გამოყენებაში. შესაბამისად, „საბუღალტრო წიგნის“ ქვეშ უნდა მოვიაზროთ არა მხოლოდ მატერიალური გაგებით წიგნი (ან ინფორმაციის კრებული), არამედ ელექტრონული სახით არსებული რესურსი, სადაც ასეთი მონაცემები უხვადაა დაფიქსირებული. თუმცა, ასეთ დროს **დანაშაულთა ერთობლიობა** შეიძლება გვქონდეს სახეზე: კომპიუტერულ სისტემაში უკანონო შეღწევა (284-ე მუხლი), ასევე, კომპიუტერული მონაცემის უკანონო ხელყოფა (286-ე მუხლი) კიბერდანაშაულს წარმოადგენს. შესაბამისად, დასადგენია ის, თუ რომელი მათგანია რეალურად სახეზე: სპეციალური თუ ზოგადი ნორმა?

ამ შემთხვევაში გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული დათქმა, რომლის მიხედვითაც, დანაშაულთა ერთობლიობისას პასუხისმგებ-

³⁹⁷ იხ. <www.iww.de/pstr/archiv/unternehmensinsolvenz-buchfuehrungs-und-bilanzdelikte-f38720> [25. 12.2020].

ლობის დაკისრება ხდება სპეციალური ნორმით. იმის გათვალისწინებით, რომ კიბერდანაშაული ზოგადად განსაზღვრავს ქვევის წესს, ლოგიკური იქნებოდა, რომ სპეციალურ ნორმად სწორედ 206-ე მუხლი მიგვეჩინა. ასეთ შემთხვევაში, კომპიუტერულ სისტემებთან მიმართებით მაქსიმალურად პრევენციული ხასიათის ზომები იქნებოდა მიღებული.

სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ასეთ შემთხვევაში, კომპიუტერული საშუალება გამოყენებულია მხოლოდ დანაშაულის ჩასადენად. შესაბამისად, კიბერდანაშაულზე ვერ გაკეთდება აქცენტი. მარტივი შედარებისთვის შეიძლება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე პარალელის გაგლება: ასეთი დანაშაულის ჩადენა თუ ხდება კომპიუტერულ სისტემაში უკანონო შეღწევით, პირს პასუხისმგებლობა არა მექანიზმის გამოყენებისთვის, არამედ უშუალოდ საბოლოო შედეგის დადგომისთვის დაეკისრება. ეს დამოკიდებულია მათ შორის, დანაშაულის სიმძიმეზე, რომლის ფარგლებშიც, განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ისედაც შთანთქავს კიბერდანაშაულს და შეფარდების დროსაც, სწორედ, ამ უკანასკნელის მიხედვით მოხდება სასჯელის დაკისრება.

ბ) თაღლითობა

თაღლითური სქემა და ამ სქემიდან გამომდინარე ისეთი ქმედების განხორციელება, რაც მეწარმე სუბიექტს გადახდისუუნარობამდე მიიყვანს, შეიძლება დამატებითი პასუხისმგებლობის წინაპირობას განსაზღვრავდეს. მაგალითისთვის, შესაძლებელია დირექტორის საქმიანობის მოყვანა: იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი მოქმედებს თაღლითურად და ამით ადგება ზიანი კომპანიას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პარალელურად, მისთვის ზიანის მოთხოვნა დამატებითი სირთულის მატარებელია ქართული კანონმდებლობით. კერძოდ, მოთხოვნის დაყენება ასეთ დროს დასაშვებია ყველაზე უფრო უმჯობეს ვერსიაში ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ ტრილში, რაც, თავის მხრივ, შეიძლება სირთულის მატარებელი იყოს პრაქტიკაში.

ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს თაღლითობის სპეციალურ შემთხვევას, როდესაც იგი გადახდისუუნარობის საქმის პირდაპირპროპორციულია. მაგალითად, გადახდისუუნარობის დაწყების მოლოდინში დირექტორთა ქმედების განხორციელებისას, შეიძლება მათ მიერ ისეთი გარიგება დაიდოს, რაც რთულ (და მით უმეტეს, გადახდისუუნარობის საქმის ტრილში, ასეთ მოლოდინში მყოფი) მეწარმის საბოლოო რთულ შედეგამდე მიყვანას გამოიწვევს. ამ მხრივ, კავშირი შეიძლება იქნეს დანახული სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლთან, კავშირის გათვალისწინებით, საქმე თაღლითობის სპეციალურ შემთხვევას ეხება.

თაღლითობასთან კავშირში შეიძლება იქნეს განხილული სისხლის სამართლის კოდექსის 207¹ მუხლი, რომელიც, მათ შორის, დოკუმენტის გაყალბებას ეხება. ამ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როდის განხორციელდა ქმედება და რა მიზანი გააჩნდა მას. თუ საკითხი ეხება გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველისთვის/ზედამხედველისთვის ინფორმაციის მიწოდების დამალვას ან გაყალბებას, ე.ი. სასამართლოს მხრიდან განჩინება უკვე გამოტანილია. ეს კი ნიშნავს, რომ გადახდისუუნარობის საქმე მიმდინარეობს და თაღლითობის (გაყალბების) სპეციალურ შემთხვევასთან გვექნება საქმე, მაგრამ თუ ზოგადად მოხდა ასეთი რამ, მაშინ შედეგიც სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის ფარგლებში დგება.

საინტერესოა შემთხვევა, როდესაც ერთზე მეტი დირექტორის უფლებამოსილებისას ხდება დოკუმენტის გაყალბება. მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ჰყავს ორი დირექტორი. მათ ვალდებულება აკისრიათ, რომ ერთობლივად გამოვიდნენ სამართლებრივ ურთიერთობაში და წარმოადგინონ საწარმო. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი დირექტორი მეორე დირექტორის ხელმოწერას ან მინდობილობას გააყალბებს, მაშინ სამართლებრივი შედეგის განსაზღვრისას მნიშვნელობა მიენიჭება იმას, თუ რა მიზანი ამოძრავებდა მას კონკრეტული ქმედების განსახორციელებლად: თუ გააყალბა იმ მიზნით, რომ არ მიენოდებინა ინფორმაცია შესაბამისი პირისთვის, მაშინ სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 207¹ მუხლის წინაპირობა დადგება.

გ) ფულის გათეთრება

ფულის გათეთრების ნორმებში გადახდისუუნარობის საქმეზე მითითება არ გვხვდება, თუმცა, ცალკეული მოქმედებების გათვალისწინებით, მათ შორის, შეიძლება კავშირის დანახვა. მაგალითად, შეიძლება შემთხვევის მოყვანა, როდესაც გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან 3 კვირის მანძილზე შესაბამისი პირების მიერ იმგვარი ქმედება განხორციელდა, რომლითაც ადგილი ჰქონდა ფულის გათეთრებას. შეიძლება, რომ ამ მოქმედებით აღმოიფხვრას კომპანიის მიერ ის ვალდებულებები, რაც ნაკისრი ჰქონდა კრედიტორთა წინაშე, მაგრამ ვინაიდან აღნიშნული ქმედება სამართლებრივად გამართულ ხასიათს არ ატარებს (არაა ნამდვილი), შეიძლება, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლის წინაპირობა იკვეთებოდეს. მიუხედავად ამისა, დანაშაულის შეფარდებისას, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლი შთანთქავს 207-ე მუხლით დაკისრებულ სასჯელს, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებელია, რომ სპეციალურ ნორმად, სწორედ, ფულის გათეთრება იქნეს მიჩნეული. განსაკუთრებით, თუ საკითხში მონაწილეობს პოლიტიკურად აქტიური პირი,³⁹⁸ რომლის ქონებას ან რომელთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელსაც ეხება ესა თუ ის ქმედება³⁹⁹.

დ) შეჯამება

სისხლის სამართლის კოდექსით წესრიგდება რამდენიმე სპეციალური სახის დანაშაული, რომელიც ეხება გადახდისუუნარობის საქმეს. ამ მხრივ, ჩვენს კანონმდებლობაში არ გვაქვს ნორმების სახელწოდება, რომელიც შეიძლება კავშირში იყოს ანალოგიურ პროცესთან. მაგალითად, ე.წ. „გადახდისუუნარობის თაღლითობა“, რომელიც თაღლითობის სპეციალურ შემთხვევად იქნებოდა აღქმული და რომლის საფუძველზეც უშუალოდ მიზანმიმართული ქმედება (ან/და უმოქმედობა) იქნებოდა დანაშაულის სახედ მიჩნეული, რაც საწარმოს გადახდისუუნარობის წინაპირობა იქნებოდა, თუმცა, შინაარსობრივად, შეიძლება, რომ თითოეული მათგანი, სწორედ, თაღლითობის სპეციალურ მომწესრიგებულ ნორმად მივიჩნიოთ.

ამ მიმართულებით, საინტერესოა უცხო ქვეყნის პრაქტიკის გაზიარება, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია აშშ.⁴⁰⁰ თაღლითობის სპეციალურ გამოვლინებასთან ერთად,

³⁹⁸ ინგლისურ ენაზე (საერთაშორისო დონეზე) დამკვიდრებულია ტერმინით: Politically exposed person. შემოკლებით: PEP.

³⁹⁹ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველ პუნქტში განწერილია იმ პირთა ჩამონათვალი, რომელიც, ქართული კანონმდებლობის მიზნებისთვის, პოლიტიკურად აქტიურ პირად ითვლება.

⁴⁰⁰ იხ. <www.law.cornell.edu/wex/bankruptcy_fraud> [25.12.2020].

აშშ-ში, ასევე, წესრიგდება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით განწერილი დანაშაულები, თუმცა მისი დაკონკრეტება პრაქტიკის არსებობის გათვალისწინებით, გამორჩეულად ყურადსაღებია. „გაკორტების თაღლითობის“ თითქმის 70% გულისხმობს ქონების დამალვას.

დანაშაულის შესაბამის სახედ დაკვალიფიცირებისას, თითოეულ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად გამოამჟღავნება დირექტორის/ხელმძღვანელი პირის⁴⁰¹ საქმიანობიდან გამომდინარე მისი მიზანმიმართული ქმედება ზიანის მიყენების/ინფორმაციის დამალვის კუთხით. სწორედ, განზრახვა (საფუძველი), რაც იყო მისი მოქმედების განმსაზღვრელი, ხდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა⁴⁰².

11.1.3. დანაშაულის ჩამდენ პირთა წრე

მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობის საკითხი სისხლის სამართლის ჭრილში განსახილველი უპირველესი ასპექტია. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით, გადახდისუნარობის დადგომიდან არაუგვიანეს სამი კვირისა უნდა წარადგინონ გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადება სასამართლოში **შესაბამისი პირის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა სუბიექტმა ან ლიკვიდატორმა**.⁴⁰³ წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ფარგლებში ითვალისწინებს სასჯელს.⁴⁰⁴

ახალი კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დაკონკრეტება გვხვდება სისხლის სამართლის კოდექსის 207¹ მუხლში (განსაზღვრულია იმ სუბიექტთა წრე, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს ვალდებულება). კერძოდ, აქ საუბარი ეხება ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავებას, ინფორმაციის განზრახ დაგვიანებით შეტანას ან გაყალბებული სახით შეტანას.⁴⁰⁵ თითოეულ შემთხვევაში გათვალისწინებულია სასჯელი. თავის მხრივ, ასეთი ქმედება ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიაში ექცევა.

დანაშაულის აღნიშნულ კატეგორიაში გვხვდება, ასევე, სხვა სახის წინაპირობები, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსითაა მოწესრიგებული. პირველ რიგში, განსამარტია 205-ე მუხლი (**უკანონო ქმედება გადახდისუნარობისას**): იგი ეხება ქონებასთან მიმართებით განხორციელებულ ნეგატიურ მოქმედებას, რომელიც ასევე შესაბამისი (არათანმიმდევრული) შედეგების მომტანია. ასეთ დროს, ყურადღება ექცევა იმასაც, თუ უშუალოდ ქმედება რამდენად შესაბამისობაში მოდის კანონმდებლობასთან: იმის გათვალისწინებით, რომ არაერთი შემთხვევა არსებობდა, როდესაც პირი გარიგებას დებდა ასეთ ქონებაზე, კანონმ-

⁴⁰¹ ზოგიერთ შემთხვევაში, პარტნიორის.

⁴⁰² [www.uk.practicallaw.thomsonreuters.com/4-608-0871?transitionType=Default&contextData=\(sc.Default\)&firstPage=true](http://www.uk.practicallaw.thomsonreuters.com/4-608-0871?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true) [25.12.2020].

⁴⁰³ ყურადსაღებია, ასევე, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ 99-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტები.


⁴⁰⁴ ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაოთი ერთ წლამდე ვადით ან/და იმავე ვადით თავისუფლების აღკვეთით.

⁴⁰⁵ თვალსაჩინოებისთვის იხ. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს განჩინება, 05.06.2015, №81-15.

დებელმა სისხლის სამართლის კოდექსის 205¹ მუხლში განმარტა ამგვარი გარიგების შესაბამისი შედეგების საკითხი (**ქონების გადაშვლა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით**). ორივე შემთხვევაში კანონი არ აკონკრეტებს, რომ პასუხისმგებლობა შეიძლება კონკრეტულ თანამდებობაზე მყოფ პირს დაეკისროს. ეს ნიშნავს, რომ სასჯელი შეიძლება შეეფარდოს, მაგალითად, კომპანიის ნებისმიერ თანამშრომელს.

ანალოგიურადაა საკითხი სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლის არსებობის შემთხვევაშიც: **„გადახდისუნარობისას საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა, რამაც რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასება გაართულა“**: ასეთი ქმედება, როგორც წესი, მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, თუ ბუღალტრის ერთობლივი (ზოგჯერ დამოუკიდებელი) მოქმედების შედეგია. თუმცა, სტრუქტურული დაქვემდებარების გათვალისწინებით, ის შეიძლება კომპანიის არათანამშრომელმა პირმაც ჩაიდინოს. მაგალითად, მენარდემ, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფება კომპანიასთან.

სქემა №5



მაგალითის მოყვანა შესაძლებელი საცილო გარიგებებთან მიმართებით და მისგან გამომდინარე მოთხოვნის დაყენების კონტექსტში. მაგალითად, თუ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 67-ე მუხლის მე-5 პუნქტით არ იქნა დაკმაყოფილებული შეცდომების შესახებ მოთხოვნა, მაშინ შესაძლებელია (გარემოებებისა და საფუძვლების გათვალისწინებით) სახეზე გვქონდეს დანაშაულის ნიშნები. იბადება კითხვა, თუ ვინ არის ასეთ დროს პასუხისმგებელი სუბიექტი? მხოლოდ მოვალის სახით მოქმედი დირექტორი (შესაბამისი პირი), თუ კონტრაქტის, რომელიც ამ ურთიერთობაში

მონაწილეობდა? იმის გათვალისწინებით, რომ მოსალოდნელი გადახდისუუნარობის (ან დამდგარი შედეგის) თაობაზე ინფორმაციას ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი ფლობს, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის მოქმედება, სწორედ, მასზე უნდა გავრცელდეს და არა კონტრაპენტზე, რომელიც ამ ურთიერთობაში მესამე პირს წარმოადგენს. თავისთავად, შესაძლებელია, რომ ხელშეკრულების ნამდვილობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, თუმცა აღნიშნული, ერთმნიშვნელოვნად, არ გულისხმობს საბოლოო შედეგის, როგორც დანაშაულის დადგომის არსებობას.

11.1.4. სისხლის სამართლის საქმის წარმოების შედეგი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს იურიდიული პირის ლიკვიდაცია. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლისას ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი, ხოლო ასეთ დროს საქმის წარმოება მიმდინარეობს შესაბამისი ნორმების საფუძველზე.

11.1.5. დაუშვებელი მტკიცებულება

ახალი კანონის 73-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, „სისხლის სამართლის [...] საქმის წარმოებისას დაუშვებელია მოვალის მიერ ამ კანონის შესაბამისად მიწოდებული იმ ინფორმაციის მის წინააღმდეგ მტკიცებულების სახით გამოყენება, რომელიც დამოუკიდებლად ხელმისაწვდომი არ იყო ზედამხედველის, კრედიტორის ან/და პარტნიორის მიერ შეკრებილი საბუღალტრო ან/და სხვა წერილობითი დოკუმენტაციიდან“. შესაბამისად, ამგვარი მტკიცებულება სასამართლოს მიერ დაუშვებლად იქნება მიჩნეული.

11.1.6. მიყენებული ზიანის ანაზღაურება

დანაშაულის არსებობის შემთხვევაში, მოთხოვნის დაყენების უფლებამოსილება გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე ან 998-ე მუხლებიდან. კერძოდ, ადგილი გვაქვს დელიქტთან, სადაც მოთხოვნის საფუძველი ზიანის მიყენება იქნება.⁴⁰⁶ ვინაიდან დადგენილი პრაქტიკაც, დანაშაულის შემთხვევაში დელიქტის გამოყენებაზე მიუთითებს,⁴⁰⁷ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში არსებული მოცემულობაც შეიძლება ამ კონტექსტში მოვიაზროთ.

11.1.7. საგამოძიებო ორგანოებისთვის საქმის გადაცემა

დანაშაულის ნიშნები შეიძლება, რომ სამოქალაქო საქმეთა განხილვისას გამოვლინდეს. ასეთ შემთხვევაში, მმართველს (კრედიტორს ან/და მათ წარმომადგენელს) უფლება აქვს, მიმართოს საგამოძიებო ორგანოებს შესაბამისი მოქმედების დაწყებისთვის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ამგვარ საკითხთან მიმართებით პირდაპირი მითითება არ გვხვდება,

⁴⁰⁶ შეად. სუს განჩინება, 24.02.2020, №ას-1790-2019.


⁴⁰⁷ ამ საკითხზე მსჯელობისთვის იხ. ქავჭავაძე, საზოგადოების ქონების მითვისებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, 13-10/2020, გვ. 78-79.

რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს დაქვემდებარებულ კატეგორიად დაუშვებელი იქნება მისი მოაზრება⁴⁰⁸.

11.1.8. დაზარალებულად ცნობა

ვინ უნდა იქნეს დაზარალებულად მიჩნეული გადახდისუუნარობის საქმესთან დაკავშირებული დანაშაულის არსებობისას? „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის იდეიდან თუ ამოვალთ, გადახდისუუნარობის მასა წარმოადგენს უმთავრეს საფუძველს, რომლის ირგვლივაცაა აგებული საკანონმდებლო მონქსრიგება. თუმცა, მასა ვერ გახდება სუბიექტი, მით უმეტეს, დაზარალებული. სწორედ ამიტომ, ინდივიდუალური კრედიტორი უნდა მოვიაზროთ დაზარალებულად, ვისი ეკონომიკური ინტერესის დაცვაც ამ კანონის ფარგლებში განხორციელდება.

სქემა №6



⁴⁰⁸ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მე-5 ნაწილში ყურადღებაა გამახვილებული საბუთის სიყალბის შემთხვევასა და სასამართლოს შესაბამის უფლებამოსილებებზე.

11.2. გადახდისუნარობის საქმის წარმოება და შრომის სამართალი

გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყება შრომითსამართლებრივ ურთიერთობასთან პირდაპირ კავშირში მოდის. ასეთ დროს, მნიშვნელოვანია როგორც დასაქმებულების, ისე დამსაქმებლის ვალდებულებებისა თუ უფლებამოსილებების საკითხის განხილვა, რასაც პრაქტიკული თვალსაზრისითაც უდიდესი დატვირთვა გააჩნია. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მიხედვით, პირდაპირ განისაზღვრა დასაქმებულთა მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი. კერძოდ, 3 თვის სახელფასო, შვებულებისა⁴⁰⁹ და სანარმოო ტრავმის გამო ხარჯების ანაზღაურების საკითხი და აღნიშნულმა გავლენა იქონია მოთხოვნათა რიგითობაზე⁴¹⁰. შრომის კოდექსი არ იცნობს გადახდისუნარობის საქმის წარმოებისთვის გათვალისწინებულ სპეციფიკურ სამართლებრივ მონესრიგებას. კერძოდ არ გვხვდება ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტები (პროცესი/შედეგი), როგორცაა: „ლიკვიდაცია“, „გაკოტრება“ და ა.შ. ერთადერთი გამონაკლისია სშკ-ის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი, რომელშიც ლიკვიდაციის საქმის წარმოების დაწყებაზე მითითება და რომელიც პირდაპირი სახით „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის ფარგლებში არ ექცევა⁴¹¹. გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყება ხშირად დასაქმებულების უფლებრივ მდგომარეობაზე ახდენს გავლენას. იმის გათვალისწინებით, რომ შრომის კოდექსი რაიმე სპეციალურ პირობას არ იცნობს, საკითხი შეიძლება სპეციალური კანონის მონესრიგებიდან გამომდინარე იქნეს სათანადოდ განხილული. მაგალითად, რეაბილიტაციის ზედამხედველის ან მმართველის უფლება-მოვალეობანი, დასაქმებულის უფლებრივი სტატუსი, მასთან არსებული ურთიერთობის საფუძვლების განსაზღვრება და სხვ.

11.2.1. რეაბილიტაციის ზედამხედველის უფლება-მოვალეობანი

რეაბილიტაციის ზედამხედველის უფლება-მოვალეობანი შრომითი ურთიერთობის ჭრილში, სპეციალურ კანონზე დაფუძნებითა და ამ კანონში განერილი ზოგადი პირობების არსებობით შემოიფარგლება. მაგალითად, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ზედამხედველს მოვალისგან ნებისმიერი დოკუმენტის გამოთხოვის უფლებამოსილება გააჩნია. ეს კი ნიშნავს, რომ სუბიექტად, ვის მიმართაც შეიძლება დადგეს მოთხოვნა, შესაძლებელია, რომ დასაქმებული პირებიც მივიჩნიოთ. ანალოგიური ეხება ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს, სადაც დასაქმებულის ვალდებულება შეიძლება საბუღალტრო და საფინანსო ჩანაწერის მიღებით განისაზღვრებოდეს.

⁴⁰⁹ აღნიშნული, პრიორიტეტულ მოთხოვნათა რიგში ექცევა ბრიტანული პრაქტიკითაც. ამ საკითხზე. იხ. მაგალითად, *Ferguson/Conway, Employment rights and insolvency*, BRIEFING PAPER Number 0651, 24 April 2020, გვ. 14.

⁴¹⁰ გარდა რიგითობისა, პრეფერენციულ კრედიტორებს განესაზღვრა არაერთი დამატებითი პირობა, რომლის ფარგლებშიც მათი უფლებები მეტადაა დაცული. იხ. მაგალითად, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁴¹¹ ლიკვიდაციის საფუძვლით გათავისუფლების თაობაზე იხ. უზენაესი სასამართლოს განჩინება, 27.04.2015, №ას-177-164-2015.

11.2.2. გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველის ვალდებულებები დასაქმებულებთან მიმართებით

გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველის ვალდებულებები დასაქმებულებთან მიმართებით იგივე სახით განისაზღვრება, როგორც ეს ამ რეჟიმის დაწყებამდე არსებობდა. რაიმე დამატებით საშუალებას ასეთ დროს შრომის კოდექსი ან ახალი კანონი არ ითვალისწინებს. შესაბამისად, მას განესაზღვრება ანალოგიური ვალდებულებანი, როგორც დამსაქმებელს, რეჟიმის დაწყებამდე პერიოდში. ვთქვათ, თუ იგი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას გადაწყვეტს, მაშინ უნდა იმოქმედოს შრომის კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით და დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება. აღნიშნული ვალდებულება იარსებებს მაშინაც, თუ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება დადებულია მმართველის დანიშვნამდე, ხოლო ხელშეკრულების ძალაში შესვლა ემის მმართველის დანიშვნის პერიოდს. როგორც პირველი მაგალითის შემთხვევაში, ამ მომენტშიც მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დადების სამართლებრივ საფუძვლებს.

2020 წლის კანონის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „გაკოტრების მიზნების მისაღწევად და დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად გაკოტრების მმართველი აღჭურვილია „შენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და შესაბამისი სამენარმეო საქმიანობის სუბიექტის მართვაზე, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისათვის მინიჭებული ყველა უფლებამოსილებით“. აღნიშნული, თავის თავში, მოიხრებს დასაქმებულებთან ურთიერთობის საკითხსაც. შესაბამისად, გაკოტრების მმართველის მიერ განხორციელებული საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს სშკ-ის დანაწესს და არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში მასთან. სასამართლოც, დავის შემთხვევაში დაეყრდნობა სწორედ იმ გარემოებას, თუ რამდენად არსებობს დასაქმებულისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ნორმატიული საფუძვლები.⁴¹²

დასახელებული საკითხის ფარგლებში შეიძლება იქნეს მოაზრებული ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, რომელიც გაკოტრების მმართველს არსებული ხელშეკრულებების მოწონების ან შეწყვეტის უფლებამოსილებას, ასევე, ახალი ხელშეკრულებების დადების უფლებას ანიჭებს. ეს ქმედება, ანალოგიურად, უნდა შეესაბამებოდეს კერძო სამართლის სხვა პრინციპებს.

სანარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირისთვის მინიჭებული ყველა უფლებამოსილება გააჩნია რეაბილიტაციის მმართველსაც,⁴¹³ რაც მისი მხრიდან დასაქმებულებთან სამართლებრივი ურთიერთობის საკითხსაც მოიცავს.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 75-ე მუხლის მე-3 პუნქტი მნიშვნელოვნად აკონკრეტებს (და დიდი მოქმედების არეალს უდგენს) რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილებებს. აღნიშნულისგან გამოსაყოფია ოთხი მათგანი: ა) **მოვალის სახელით ყველა ქმედების განხორციელება და ნებისმიერ დოკუმენტზე ხელმოწერის უფლება** („ბ“ ქვეპუნქტი) – შრომითი ურთიერთობის

⁴¹² იხ. უზენაესი სასამართლოს განჩინება, 09.03.2019, №ას-82-82-2018.

⁴¹³ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 75-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

კონტექსტში, გარდა ხელშეკრულების დადებისა (შენწყვეტისა, რა საკითხიც კიდევ უფრო დაწვრილებითაა წარმოდგენილი), შეიძლება აღნიშნული მუშაობის დამადასტურებელი ცნობის/დამსაქმებლის დახასიათების გაცემას ითვალისწინებდეს; ბ) **მოიწონოს ან შეწყვიტოს მოქმედი ხელშეკრულებები, დადოს ახალი ხელშეკრულებები** („ე“ ქვეპუნქტი) – ეს დათქმა შეიძლება ერთგვარ საფუძვლად მივიჩნიოთ შემდგომი მოქმედებების ჭრილში, რაც უკვე უშუალოდ შრომით ხელშეკრულებებთან მიმართებით მოქმედებას გულისხმობს; გ) **მიიღოს სხვა საჭირო საკადრო გადაწყვეტილებები** („თ“ ქვეპუნქტი) – სამი სახის უფლებამოსილება განისაზღვრება აღნიშნულის ფარგლებში: (1) არსებული თანამშრომლების შენარჩუნება; (2) ახალი შრომითი ხელშეკრულების დადება;⁴¹⁴ (3) არსებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა; დ) **დანიშნოს იურისტი, ბუღალტერი ან სხვა პროფესიის/კვალიფიკაციის მქონე პირი** („კ“ ქვეპუნქტი) – თითოეული მათგანის ჩართულობა აუცილებელი უნდა იყოს მმართველი ფუნქციების განსახორციელებლად. იმის გათვალისწინებით, რომ გარდა შრომითი ხელშეკრულებებისა, მოვალის გენერალური წარმომადგენლობის უფლებამოსილებაც გააჩნია, რეაბილიტაციის მმართველი უფლებამოსილია იურისტის, ბუღალტრისა თუ სხვა კვალიფიკაციის პირის საქმიანობის მიზნებისთვის ხელშეკრულება დადოს სხვა კონტრაქტთან და ე.წ. „გარე მომსახურების“ ფარგლებში განახორციელოს ის.

11.2.3. დასაქმებულის უფლებების უცვლელობა რეაბილიტაციის რეჟიმისას

რეაბილიტაციის რეჟიმისას ავტომატურად არ იცვლება დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობა. უპირატესად შეიძლება აღნიშნულის თქმა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში განერილი წინაპირობებიდან ასეთი სახის შესაძლებლობა არ გვხვდება. შესაბამისად, თუ დასაქმებულის სურვილია ასეთ დროს, რომ შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა დამსაქმებელთან, მან უნდა იხელმძღვანელოს აღნიშნული მუხლის „დ“ ქვეპუნქტით და მოთხოვნა უნდა დააყენოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებულ ვადაში.⁴¹⁵

უფლებამოსილების საკითხისგან განსხვავებით, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონში დამატებითი ვალდებულებებია განერილი დასაქმებულთა მოქმედებასთან დაკავშირებით. კერძოდ, 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დასაქმებულები ვალდებულები არიან, დაეხმარონ რეაბილიტაციის მმართველს და ითანამშრომლონ მასთან. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, მოვალის დასაქმებულს რეაბილიტაციის მმართველის გარეშე მოვალის ხელმძღვანელობის ან წარმომადგენლობის უფლებამოსილება არ გააჩნია.

კანონმდებლობაში არაფერია აღნიშნული ე.წ. „ექსკლუზიური თანამშრომლის“ შესახებ, როდესაც რეაბილიტაციის რეჟიმის წინაპირობა დგება. შრომის კოდექსის მე-16 მუხლის

⁴¹⁴ როგორც იმ მომენტში დასაქმებულ პირებთან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების კონტექსტში, ისე ახალი თანამშრომლის აყვანის კუთხით.

⁴¹⁵ დამსაქმებლის ვალდებულებაც ზოგად დანაწესს ეფუძნება. იხ. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს განჩინება, 21.02.2020, №ას-1551-2019. ამ საქმის მიმოხილვისთვის იხ. ქაჭაბაია, გათავისუფლება დამსაქმებლის პირადი განცხადებით, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, 12-10/2020, გვ. 76.

მე-5 პუნქტი ითვალისწინებს დასაქმებულის შეზღუდვას დამსაქმებლის კონკურენტ კომპანიაში მუშაობის თაობაზე. საკანონმდებლო ნორმის არარსებობის გათვალისწინებით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეაბილიტაციის რეჟიმისას არსებული მოწესრიგება უცვლელი რჩება.

11.2.4. სანარმოს გადაცემა

შრომის კოდექსის 50-ე მუხლის მე-11 პუნქტის ფარგლებში, სანარმოს გადაცემის წესები, რომელიც ამ კოდექსითაა მოწესრიგებული, არ ვრცელდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას სანარმოს გადაცემის შემთხვევაზე.⁴¹⁶ ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან, ასეთ დროს სპეციალური მომწესრიგებელი ნორმებიდან გამომდინარე ხდება შესაბამისი მოთხოვნის დაყენება, რაც დამსაქმებლის (მაგალითად, რეაბილიტაციის მმართველის) მოქმედებებს უფრო მეტად შეზღუდავდა.⁴¹⁷

11.2.5. რეორგანიზაცია

ტერმინი „რეორგანიზაცია“ შრომის კოდექსში არ გვხვდება, მაგრამ 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი შემდეგი ფორმულირებას გვთავაზობს: „*ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას*“. ის, თუ რა წარმოადგენს ამ გარემოების წინაპირობას, კანონში მითითებული არ არის. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულში მოიაზრება ნებისმიერი საფუძველი, რომელიც ასეთ საჭიროებას განაპირობებს,⁴¹⁸ ანუ რომელზე დაყრდნობითაც მცირდება დასაქმებულთა რაოდენობა (მიმართულება/განყოფილება/შტატი).⁴¹⁹

სასამართლო პრაქტიკა, ამ მხრივ, არ არის ერთგვაროვანი. შესაბამისად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებითაც ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად ამ საკითხის თქმა არ იქნებოდა მართებული. მიუხედავად ამისა, მსჯელობის საგანს წარმოადგენს ის მოცემულობა, რაც დამსაქმებელს ასეთი ეკონომიკური მდგომარეობის შემთხვევაში წარმოეშობა. რეორგანიზაციის არსიდან გამომდინარე, შეიძლება ეს საკითხი გონივრულ ფარგლებში მოექცეს. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტით შესაძლებელია კომპანიის გადარჩენა (არა ლიკვიდაცია, არამედ რეაბილიტაცია), მაშინ ასეთი ქმედება დასაშვებდაც უნდა იქნეს მიჩნეული.⁴²⁰ თუმცა, თითოეულ შემთხვევაში ქმედება მტკიცების მაღალი სტანდარტით ხასიათდება.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოება შეიძლება ამ დათქმის მატარებელი შინაარსის ფარგლებში წარიმართოს. ნორმის განმარტებიდან გამომდინარე, ორი ასპექტი კუმულატიურად უნდა იყოს სახეზე: ა) ეკონომიკური გარემოებები და სამუშაო ძალის შემცირება ან ბ) ტექნო-

⁴¹⁶ დასახელებულ ნორმაში მითითებაა ძველ ნორმაზე: „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონზე, თუმცა არსობრივად შეესაბამება ახალ კანონს.

⁴¹⁷ ამ საკითხზე უცხოური პრაქტიკის კუთხით იხ. BAG, Urt. vom 25.10.2012, 8 AZR 572/11.


⁴¹⁸ იხ. *შველიძე*, საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, ბაქაქური/თოდრია/შველიძე (რედ.), 2017, გვ. 226.

⁴¹⁹ უზენაესი სასამართლოს განჩინება, 04.10.2019, №ას-365-2019.

⁴²⁰ ამ საკითხზე იხ. *Ferguson/Conway*, Employment rights and insolvency, BRIEFING PAPER Number 0651, 24 April 2020, გვ. 13.

ლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები და სამუშაო ძალის შემცირება.⁴²¹ ამ მხრივ შეიძლება, რომ გადახდისუუნარობის საკითხი უპირატესად ეკონომიკურ გარემოებებში მოექცეს და შესაბამისად გადაწყვეტის დასაქმებულთა ბედი.

სქემა №7



11.2.6. მასობრივი დათხოვნა

მასობრივი დათხოვნის შემთხვევა რეორგანიზაციის სინონიმს არ წარმოადგენს, თუმცა სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, გადახდისუუნარობის საქმის არსებობისას, ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. მასობრივი დათხოვნა, შრომის კოდექსის მიხედვით, ერთგვარ მექანიზმად უნდა მივიჩნიოთ, სადაც წესრიგდება ქმედების თითოეული ასპექტი, თითოეული ნაბიჯი და სამართლებრივ ჩარჩოში ექცევა. ვთქვათ, რეაბილიტაციის გეგმის საფუძველზე დასაქმებულთა 70%-თან ხდება⁴²² შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, რა წინაპირობას უნდა დაეყრდნოს მაშინ მმართველი? პრაქტიკული თვალსაზრისით, რეორგანიზაცია ყველაზე გონივრული ფორმა იქნებოდა, თუმცა სამართლებრივი შედეგების გასათვალისწინებლად აქაც შეიძლება არსებობდეს გარკვეული გადაკვეთის ადგილები. საილუსტრაციოდ, ორსულობის შემთხვევა და ორსულისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა გამოდგება. მივყვით ზემოთ მოყვანილ მაგალითს: რეორგანიზაციიდან გამომდინარე (რომელიც კომპანიის ვალაუვალობის პროპორციულად ხორციელდება), 70%-ში ექცევა ყველა ის თანამშრომელი, რომელიც კონკრეტული მიმართულებით მუშაობს (ვთქვათ, საზოგადოებასთან კომუნიკაციის დეპარტამენტი). ამ თანამშრომლებიდან ერთ-ერთი მათგანი ორსულობისა და მშობიარობის გამო იმყოფება შვებულებაში, რაც შრომითი ურთიერთობების შეჩერების საფუძველია.⁴²³ თავის მხრივ, რეორგანიზაციის ის შემთხვევა, რომელიც წინამდებარე ნაშ-

⁴²¹ იხ. უზენაესი სასამართლოს განჩინება, 29.06.2015, №ას-414-391-2014.
⁴²² შრომის კოდექსის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ფარგლებში.
⁴²³ იხ. შრომის კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

რომშია განხილული, არ ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს ორსულობის გამო შვებულებისას.⁴²⁴ შესაბამისად, გამოდის, რომ მიუხედავად ფინანსური წინაპირობის არსებობისა, დასაქმებულის გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან ასეთ დროს ვერ მოხდება.⁴²⁵ აღნიშნულის საწინააღმდეგო მოქმედება ბათილი იქნება⁴²⁶.

მასობრივი დათხოვნის კონტექსტში, როგორც შრომითსამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარეობს, არ მოექცევა შემთხვევა, რომელიც განპირობებულია: ა) დასაქმებულის პიროვნებით;⁴²⁷ ბ) დასაქმებულის ქცევით (უპირატესად, უხეში დარღვევა)⁴²⁸ ან გ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლით. აღნიშნული გულისხმობს, რომ მოცემული პირობა არ მოექცევა მასობრივი დათხოვნის ფარგლებში და მასზე ცალკე (ინდივიდუალურად) გავრცელდება სამართლებრივი საფუძველები.

11.2.7. რეაბილიტაციის გეგმა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა

რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებით კანონი არ ითვალისწინებს პირდაპირ რაიმე დათქმას შრომით ურთიერთობებზე.⁴²⁹ შესაბამისად, კანონი არ განსაზღვრავს ვალდებულებას, რომ რეაბილიტაციის გეგმა შრომით ურთიერთობებთან მიმართებით განმარტებებს შეიცავდეს.⁴³⁰ აღნიშნულის პარალელურად, ისიც აღსანიშნავია, რომ კანონი, ასევე, არ კრძალავს რეაბილიტაციის გეგმაში ისეთი წინაპირობების გათვალისწინებას, რომელიც თანამშრომლებთან მიმართებით კომპანიის პასუხისმგებლობას განსაზღვრავს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული, გარკვეულწილად, თავისუფალი განმარტების ფარგლებში ექცევა და დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მოხდება მისი აკუმულირება გეგმაში.

ა) დასაქმებულისთვის სასურველი პირობის გათვალისწინება

შრომის კოდექსის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი იცნობს შემდეგი შინაარსის ფორმულირებას: „*შრომითი ხელშეკრულებით არ შეიძლება განისაზღვროს ამ კანონით გათვალისწინებული განსხვავებული ნორმები, რომლებიც აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას*“. ამ პრინციპის დაცვა პრაქტიკაში უფრო ფართო განმარტებას პოვებს, ვიდრე მხარეთა შორის ფორმალურად ხელშეკრულებაში განერილი პირობაა: ვალდებულება თავის თავში ავტომატურად გულისხმობს დასაქმებულის მიმართ ნებისმიერი გონივრული და დასაქმებულის ინტერესებიდან გამომდინარე დათქმის განსაზღვრას. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ეს პრინციპი ვრცელდებოდეს რეაბილიტაციის გეგმაზეც. სხვა სიტყვებით, რეაბილიტაციის გეგ-

⁴²⁴ იხ. შრომის კოდექსის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁴²⁵ დასახელებული საფუძველით შვებულება, როგორც დასაქმებულის ერთ-ერთი ფუნდამენტური სოციალური უფლება, განხილულია უცხოური სასამართლო პრაქტიკითაც. იხ. მაგალითად, გერმანიის პრაქტიკა: BAG, Urt. vom 26.01.2017, 6 AZR 442/16. აღნიშნულ გადაწყვეტილებას წინ უსწრებს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა: BVerfG, Bes. vom 08.06.2016, 1 BvR 3634/13.

⁴²⁶ შეად. BAG, Urt. vom 13.12.2012, 6 AZR 5/12. მსჯელობისთვის საინტერესოა აღნიშნული საქმის შედარება წინა სქოლიოში მითითებულ პრაქტიკასთან.

⁴²⁷ შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

⁴²⁸ შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.

⁴²⁹ ერთადერთი გამონაკლისი მოცემულია ამავე ნაშრომში განვითარებულ მსჯელობაში.

⁴³⁰ არ იგულისხმება პრეფერენციულ კრედიტორთა დაკმაყოფილების საკითხი.

მამ არ უნდა წარმოშვას ისეთი გარემოება, რომლის საფუძველზეც დასაქმებული აღმოჩნდება უსამართლო და დისკრიმინაციულ ვითარებაში.

ბ) „სხვა ობიექტური გარემოების“ არსებობა

გარდა შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობისა, გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას ყურადსაღებია ამავე მუხლის „ო“ ქვეპუნქტის ფაქტორის გათვალისწინება: ობიექტური გარემოების არსებობა, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

ის, თუ რა შეიძლება იყოს ობიექტური გარემოება, ყოველთვის ინდივიდუალური განმარტების საგანია.⁴³¹ მისი დასაბუთება შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს.⁴³² რეაბილიტაციის გეგმაში განწერილი პირობების გათვალისწინებით, თუ მასში მოცემულია თანამშრომელთა რაოდენობის ან შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების გაუქმება, მაშინ შეიძლება ეს რეაბილიტაციის გეგმაშიც მოხდეს.

ასეთ დროს მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად დაცული იყოს ის მოთხოვნები, რაც დასაქმებულებთან მიმართებითაა შრომის კოდექსში გათვალისწინებული. პირველ რიგში, ეს ეხება დისკრიმინაციას. კანონში არსებული განმარტებითაც: „რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას“ საკითხი იმგვარად დგას, რომ დასაბუთებადი უნდა იყოს შეწყვეტის საფუძველი. კერძოდ, რეაბილიტაციის გეგმა გონივრულ შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ამ პრინციპებთან. მაგალითად, თუ გეგმით გათვალისწინებულია 10 თანამშრომლის გათავისუფლება, მაშინ გათავისუფლების შესახებ დოკუმენტი მინიმუმ უნდა ასაბუთებდეს საფუძველს იმ პირებთან მიმართებით, რომლებსაც შეეხებათ აღნიშნული გარემოება.

გ) „Ultima Ratio-ს“ პრაქტიკული გამოყენება

„Ultima Ratio-ს“ პრინციპი განსაზღვრავს „გონივრული საფუძვლის პრინციპს“.⁴³³ იგი შეიძლება მოვიხაზოთ, როგორც „უკანასკნელი საშუალება“.⁴³⁴ ის, თუ რამდენადაა დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა რეაბილიტაციის პროცესის დროს „უკანასკნელი საშუალება“, განმარტების საგანია⁴³⁵ და კონკრეტული მაგალითიდან გამომდინარე უნდა იქნეს განხილული.

თვალსაჩინოებისთვის, შესაძლებელია შემდეგი მაგალითის განხილვა: დამსაქმებელ კომპანიაში მიმდინარეობს რეაბილიტაციის პროცესი. აღნიშნული მიზნად ისახავს არა მოვალის საქმიანობის შეწყვეტას, არამედ მოვალის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. დასახელებულ პირობაში შეიძლება მოიაზრებოდეს თანამშრომელთა რაოდენობის შემცირება ან კონკრეტული საქმიანობის შეწყვეტა: ვთქვათ, თუ კომპანიაში გათვალისწინებულია მარკეტინგული აქტივობისთვის გარკვეული ბიუჯეტი და ამისთვის

⁴³¹ იხ. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს განჩინება, 13.11.2019, №ას-1299-2019.

⁴³² იხ. უზენაესი სასამართლოს განჩინება, 05.07.2019, №ას-640-2019.


⁴³³ გუჯაბიძე, საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, ბაქაქური/თოდრია/შველიძე (რედ.), 2017, გვ. 234.

⁴³⁴ კაპანაძე, ვალდებულების უხეში დარღვევა როგორც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, სამართლის ჟურნალი 1/2017, გვ. 137.

⁴³⁵ პარალელის სახით იხ. საქმე: თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 14.07.2016, №2ბ/6113-15.

გამოყოფილია თანამშრომელთა გარკვეული რაოდენობა (ილუსტრაციისთვის, ათი თანამშრომელი), შესაძლებელია, რომ რეაბილიტაციის გეგმა ითვალისწინებდეს მარკეტინგული აქტივობების შემცირებას, რაც პირდაპირ კავშირშია ბიუჯეტის/ფინანსების შემცირებასთან. შესაბამისად, თუ ადრე კომპანია მარკეტინგულ აქტივობას ახორციელებდა გარე ღონისძიებების მოწყობისა თუ სოციალური მედიის გამოყენების სახით, რეაბილიტაციის ფარგლებში შეიძლება მხოლოდ სოციალური მედია დარჩეს. ეს კი ნიშნავს, რომ გარე ღონისძიებების მოწყობისთვის განკუთვნილი თანამშრომლების შემთხვევაში, კომპანიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მათთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. ასეთი დასაბუთება ვერ გახდება შემდგომ დავის საგანი, ვინაიდან მკაფიოდ იქნება გამოხატული მიზნობრიობა, რომელიც დადასტურდება რეაბილიტაციის გეგმით.

სქემა №8



„Ultima Ratio-ს“ პრინციპისა და მტკიცების არსიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ სხვადასხვა გარემოებებს მიენიჭოს მნიშვნელობა ხელშეკრულების შეწყვეტისას. მაგალითად, რეაბილიტაციის მმართველის მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ვერ გახდება ყოველთვის ერთსა და იმავე საფუძველზე დაყრდნობილი ქმედება. კერძოდ, მნიშვნელობა მიენიჭება იმას, თუ როდის წვევს იგი ხელშეკრულებას და სხვ. გერმანიის მაგალითს/პრაქტიკას თუ დავეყრდნობით, ერთ-ერთ ასეთ გარემოებად მიჩნეულია შემთხვევა, როდესაც, რეაბილიტაციის მმართველმა **პირველივე შესაძლებლობისას** განახორციელა აღნიშნული ქმედება.⁴³⁶ ეს ნიშნავს, რომ ერთი მხრივ, რეაბილიტაციის მმართველის ქმედება ლოგიკურ/გონივრულ ჩარჩოებში მოექცევა, ხოლო, მეორე მხრივ, დასაბუთებულადაც მყარი არგუმენტი იარსებებს.

ის, თუ რას ნიშნავს „პირველივე შესაძლებლობა“, განხილვის საგანია. ასეთი გარემოება შეიძლება არსებობდეს როგორც იმ მომენტში, როდესაც რეაბილიტაციის მმართველი შეუდგება საქმიანობას, ასევე საქმიანობის მანძილზე აღმოჩნდეს გარკვეული სიახლე (ახალი გა-

⁴³⁶ იხ. BAG, Urt. vom 22.02.2018, 6 AZR 868/16.

რემოება გამოიკვეთოს),⁴³⁷ რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება რეაბილიტაციის მმართველის მხრიდან ამ გადაწყვეტილების მიღება და რაც მას მყარ არგუმენტს შეუქმნის.

მსგავსი (თუმცა არა იდენტური) პრაქტიკა გვხვდება დიდ ბრიტანეთშიც, სადაც სასამართლომ მხოლოდ 14 დღიან საქმიანობაზე გააკეთა აქცენტი დასაქმებულთან ხელშეკრულების გაგრძელების კუთხით.⁴³⁸ კერძოდ, ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეში⁴³⁹ სასამართლომ მიიჩნია, რომ 14 დღის მანძილზე ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება, ასევე, ხელფასის გადახდა წარმოადგენდა დასაქმებულთან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებას და რომ შემდგომ შეწყვეტას უნდა ჰქონოდა უკვე კონკრეტული და დასაბუთებული საფუძველი.

ამ მოცემულობიდან გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა იწურება შესაბამის პერიოდში, ან როდესაც ხელშეკრულების მოშლა დამოკიდებულია გარემოებაზე, რაც შემდეგ შეიძლება დადგეს ან/და გამოიკვეთოს.

გონივრულად, ანალოგიურ ფარგლებში მოექცევა ისეთი შემთხვევა, როდესაც შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი არ იარსებებს (ბათილი იქნება). ასეთ დროს, მოთხოვნაც მსგავს სამართლებრივ წინაპირობებს დაეფუძნება,⁴⁴⁰ იქნება ეს უცილოდ ბათილი, საცილოდ გამხდარი გარიგების საფუძველიდან გამომდინარე თუ სხვ.

დ) დანამატი, პრემია, ბონუსი

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „შ“ ქვეპუნქტში არ გვხვდება დაკონკრეტება დამატებითი ანაზღაურების მიღების შემთხვევაში მოთხოვნაზე. კერძოდ, საკითხი ეხება დანამატს, პრემიას თუ ბონუსს. თითოეულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, იკვეთება დამსაქმებლის ნება,⁴⁴¹ ხოლო, მეორე მხრივ, ამ თანხების ანაზღაურება არ წარმოადგენს სავალდებულო მატარებელს. შესაბამისად, ცალსახად, პრეფერენციულ მოთხოვნაში (3 თვის გადასახდელ ხელფასში) დანამატის მოაზრება არ იქნებოდა მართებული.

ე) „ხელფასის“ ფართო განმარტება

წინა ქვეთავში მოცემული მაგალითიდან შესაძლებელია გამონაკლისზე მსჯელობაც. საქართველოში განვითარებულია პრაქტიკა, როდესაც დამსაქმებელს ხელშეკრულებასა თუ შინაგანანესში (შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელ დოკუმენტში) მითითებული აქვს დანამატის განერის შესაძლებლობა. კერძოდ, თუ დასაქმებულის მხრიდან ადგილი ექნება

⁴³⁷ იხ. <https://juris.bundesarbeitsgericht.de/cgi-bin/rechtsprechung/document.py?Gericht=bag&Art=pm&Datum=2018&nr=19749&pos=1&anz=12&titel=Annahmeverzugsverg%FCtung_als_Neumasseverbindlichkeit_wegen_fehlender_bzw._unwirksamer_K%FCndigung_des_Arbeitsverh%E4ltnisses> [25.12.2020].

⁴³⁸ *Ferguson/Conway*, Employment rights and insolvency, BRIEFING PAPER Number 0651, 24 April 2020, გვ. 12.

⁴³⁹ ე.წ. „Re Paramount Airways Ltd-ის“ საქმე.

⁴⁴⁰ იხ. BAG, Urt. vom 22.02.2018, 6 AZR 868/16.

⁴⁴¹ თუნდაც შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება ანალოგიური დასკვნის გაკეთება: კანონი არ ითხოვს იმპერატიულად, რომ არსებობდეს შრომით ურთიერთობებში ამგვარი სახის პირობა განერილი, არამედ, კანონის მიხედვით, შესაძლებელია/დასაშვებია ასეთი დათქმის განერა. ამდენად, კეთილი ნების ფარგლებში ექცევა დასახელებული დათქმა.

კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობილ ქმედებას (დასახული გეგმის სრულად შესრულებას და ა.შ.), შეიძლება, რომ შემდეგ დამსაქმებელს ასეთი დანამატის გადახდის ვალდებულება წარმოეშვას. შესაბამისად, დასადგენია, ვალდებულება მოექცევა ხელფასის თანხაში, თუ ის წარმოშობს დასაქმებულისთვის ახალ მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების კუთხით? თუ აქცენტი გაკეთდება ზიანის ანაზღაურებაზე, გამოვა, რომ პრეფერენციულ მოთხოვნებში დანამატის გათვალისწინება არ იქნება შესაძლებელი. ეს კი იდეურად თანხვედრაში არ იქნება ზემოთ მოცემულ წინაპირობასთან, როდესაც დასაქმებულს კანონიერი და გონივრული მოლოდინი გააჩნია დანამატის მიღების თაობაზე (შესრულებული სამუშაოს პროპორციულად).

გერმანიაში დამკვიდრებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ასეთი ქმედება არ არის განსაკუთრებულად პრიორიტეტული. კერძოდ, მას არ გააჩნია იგივე მავალდებულებელი ხასიათი, როგორც ფიქსირებული (განსაზღვრული) ხელფასის გადახდას.⁴⁴² ამ მაგალითზე დაყრდნობით, პრიორიტეტულობის კონტექსტში შეიძლება ქართული რეალობის გათვალისწინება, როდესაც ტელელოგიური განმარტების კონტექსტშია საკითხის გააზრება დასაშვები: 3 თვის ხელფასს თუ სასამართლო განმარტავს, როგორც ასაღებ თანხას და არა მკაცრად ფიქსირებულ სახელფასო ოდენობას, მაშინ შეიძლება, გადახდისუუნარობის მასაში დანამატიც მოექცეს. თუმცა, ეს აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს იმ გონივრული მოლოდინიდან, რაც დასაქმებულს არსებული მოცემულობის გათვალისწინებით გააჩნია, ასევე, ეს უნდა ეფუძნებოდეს სახელშეკრულებო ურთიერთობებსა და მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებებს, როდესაც მოთხოვნის დაყენება გარდა კეთილი ნებისა, გარკვეულ სავალდებულოდ შესასრულებელ ხასიათს იძენს.⁴⁴³ ერთი მხრივ, შეიძლება, რომ საკითხი უფრო ტერმინოლოგიურ პრობლემას დაექვემდებაროს, თუმცა, მეორე მხრივ, უმნიშვნელოვანესია ამ ტერმინოლოგიური წინაპირობის მართებულად ჩამოყალიბება: დანამატი თუ მოაზრებულ იქნება, როგორც სავალდებულოდ მისაღები (და არა დამსაქმებლის კეთილი ნების შედეგი), მაშინ მისი დაკვალიფიცირება უნდა მოხდეს ხელფასად და ვალდებულების წარმოშობაც შესაბამისად უნდა განისაზღვროს.

შრომის კოდექსის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, დანამატი მოექცევა „სხვა ნებისმიერ ანაზღაურებად“ კატეგორიაში, რომელიც ფულადი სახით გადაეცემა დასაქმებულს. შესაბამისად, მას გააჩნია ერთი მხრივ, კანონიერი მოლოდინი, მიიღოს დანამატი, ხოლო, მეორე მხრივ, ასევე, კანონიერი უფლება, მოითხოვოს ხელფასის ნაწილად მისი ცნობა. შესაბამისად, როგორც ითქვა, ეს გარემოება დამოკიდებულია მოცემულობაზე, თუ რამდენად დასტურდება კანონიერი/გონივრული მოლოდინის არსებობა და რამდენად შესაძლებელი იქნებოდა, გაკოტრების რეჟიმის არსებობისას პრეფერენციულ მოთხოვნათა კატეგორიაში დანამატი, როგორც ხელფასის ერთ-ერთი კომპონენტი გავიდეს.

3) შვებულების ხარჯების ანაზღაურება

შვებულების ხარჯების ანაზღაურების უფლებამოსილება დასაქმებულს პრეფერენციული მოთხოვნის ფარგლებში გააჩნია,⁴⁴⁴ რომელიც შეიძლება შეეხებოდეს როგორც იმ მომენტში გამოუყენებელ შვებულებას (იგულისხმება იმ პერიოდში მიმდინარე წელი), ისე წინა წლი-

⁴⁴² იხ. BAG, Urt. vom 14.11.2012, 10 AZR 793/11.

⁴⁴³ სავალდებულო ხასიათის თაობაზე იხ. <https://www.hensche.de/Bonus_Insolvenz_Anspruch_auf_Bonus_bei_Insolvenz_BAG_10AZR793-11.html> [25.12.2020].

⁴⁴⁴ შესაბამისი წინაპირობების გათვალისწინებით.

დან გადმოტანილ შვებულებას.⁴⁴⁵ ვინაიდან საქართველოში 2020 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, შრომის კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი იმგვარად ჩამოყალიბდა, რომ ანაზღაურებადი შვებულების მომდევნო 2 წლის განმავლობაში გადატანა შესაძლებელი, შვებულების ანაზღაურებისას, სწორედ, ამ ორ წელიწადზე უნდა გაკეთდეს აქცენტი პრეფერენციული მოთხოვნებისას.⁴⁴⁶

ზ) ზეგანაკვეთური სამუშაო

ზეგანაკვეთური სამუშაოს შემთხვევაში შრომის კოდექსით პირდაპირ განერილია დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის მოთხოვნის დაკმაყოფილების სავალდებულობა. შესაბამისად, შეიძლება, რომ აღნიშნული, ასევე, განმარტების ფარგლებში მოექცეს.⁴⁴⁷ ასეთ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განუვლი მომსახურების ფარგლები, დანიშნულება, ის საფუძვლები, რაც მხარეთა შეთანხმებიდან გამომდინარეობდა და, ასევე, ის გარემოებები, თუ რაზე დაყრდნობით განახორციელა პირმა ზეგანაკვეთური სამუშაო.⁴⁴⁸ ამდენად, შესაძლებელია მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი პრეფერენციულ მოთხოვნად დაკვალიფიცირდეს.

ამგვარი მსჯელობის დასასაბუთებლად გამოდგება შრომის კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებაში მოცემული განმარტება, რომლის მიხედვითაც, იგი ანაზღაურდება ყოველთვიურ შრომის ანაზღაურებასთან ერთად. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ზეგანაკვეთურ სამუშაოს/ანაზღაურებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული საქართველოს კანონმდებლობით და იგი შეიძლება გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას პრივილეგირებულ კატეგორიაში მოვაქციოთ⁴⁴⁹.

თ) წინსწრებით გადახდილი ხელფასის მოთხოვნა

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც დამსაქმებელი წინსწრებით უხდის ხელფასს დასაქმებულს. მაგალითად, დასაქმებულს ჩაერიცხა მომდევნო ოთხი თვის ანაზღაურება, რა პერიოდშიც დადგა გადახდისუუნარობის მომენტი. ასეთ შემთხვევაში, დამსაქმებელს უწინდება შესაძლებლობა, მოსთხოვოს დასაქმებულს წინსწრებით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.⁴⁵⁰

⁴⁴⁵ უცხოური პრაქტიკის კუთხით იხ. ArbG Ulm, Urt. vom 20.08.2010, 1 Ca 74/10.

⁴⁴⁶ ერთი გამონაკლისი შეიძლება არსებობდეს, თუ ადრე მოქმედ კანონმდებლობას ეხება, როდესაც შვებულება უფრო მეტი პერიოდულობით იქნა გადატანილი მომდევნო წელს. თუმცა, პრაქტიკულად აღნიშნული სირთულის მატარებელია თუნდაც საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების პერიოდიდან გამომდინარე: შრომის კოდექსში ცვლილება შევიდა 2020 წლის 29 სექტემბერს, მაშინ, როდესაც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის ძალაში შესვლის თარიღია 2021 წლის 1 აპრილი.

⁴⁴⁷ პარალელის გავლებათა შესაძლებელი დანამატთან, როდესაც ის სასამართლოს განმარტების საგნად განისაზღვრა.

⁴⁴⁸ აღნიშნულის თაობაზე იხ. BAG, Urt. vom 21.02.2013 – 6 ZR 406/11. შედარებითი კონტექსტის გათვალისწინებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ექცევა აღნიშნული პრეფერენციულ მოთხოვნებში.

⁴⁴⁹ აღნიშნულს მოწმობს სამივე ინსტანციის სასამართლო პრაქტიკაც. იხ. მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 30.09.2019, №2-1126-19.

⁴⁵⁰ გერმანიაში ისეთ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი, როდესაც კუთვნილი ხელფასის დაბრუნება (შეცვლა) მოითხოვა დამსაქმებელს (შესაბამისი პერიოდულობის გათვალისწინებით). იხ. BAG, Urt. vom

ი) მესამე პირისგან მიღებული „ხელფასი“ და პრეფერენციული მოთხოვნა

პრეფერენციული მოთხოვნების განმარტებაში საკანონმდებლო დონეზე გვხვდება ტერმინი: „გადასახდელი ხელფასი“. ეს ტერმინი შეგნებულადაა ხაზგასმული მსჯელობის განვითარებისას, ვინაიდან პრაქტიკული კუთხით შეიძლება, რომ იგი პრობლემის მატარებელი (განმარტების საგანი) გახდეს. სიტყვა „გადასახდელი“ ქართულ განმარტებით ლექსიკონში მოიპოვება, როგორც თანხა/ჯარიმა, რომელიც უნდა გადაიხადონ,⁴⁵¹ ანუ რომლის გადახდის ვალდებულება აქვს დამსაქმებელს. ფორმალურად, ეს ნიშნავს, რომ დამსაქმებლის ანგარიშიდან (შესაბამისი საშუალებიდან) უნდა იყოს გადარიცხული დასაქმებულის ანგარიშზე, თუმცა პრაქტიკაში შეიძლება ვაწყდებოდეთ განსხვავებულ მოცემულობას: მაგალითად, დამსაქმებლის ინტერესების ფარგლებში, დასაქმებული ფორმალურად არ იღებს დამსაქმებლისგან ხელფასს, მაგრამ თანხა იმავე ოდენობით ერიცხება მესამე პირისგან. მესამე პირს შეიძლება წარმოადგენდეს დამსაქმებელთან „დამოკიდებული“ ან „კავშირში“ მყოფი ფიზიკური თუ იურიდიული პირი.

ასეთ შემთხვევაში, სამართლებრივად შეიძლება ორი ასპექტის გამოყოფა: ა) მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული გარიგება და ბ) დავალების ხელშეკრულება (როდესაც, დამსაქმებლის დავალებითა და სახელით მოქმედებს პირი). როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, თუ დასაქმებულის მხრიდან ნება იქნა შესაბამისად გამოვლენილი, თანხის დასაბუთება ლოგიკურ ფარგლებში ექცევა, მაგრამ საკმარისია, რომ ანგარიშსწორება სხვა პირის მიერ ისე იყოს განხორციელებული, რომ დანიშნულებაში არ მიეთითოს ხელფასი, რომ ეს უკვე შეიძლება პრობლემის მატარებელი აღმოჩნდეს.

ქართული რეალობის გათვალისწინებით, „გადასახდელ ხელფასად“ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, თუ მესამე პირის მხრიდან გადარიცხვის დანიშნულებაში მიეთითა: **პირადი გადა-რიცხვა**. ასეთ დროს რთულია მიჯნის გავლება, ემსახურებოდა, თუ არა ეს ქმედება დასახულ მიზანს (ხელფასის გადახდას), თუმცა თუ გადამრიცხავი დაადასტურებს თავისი განზრახვის მართებულობას, მაშინ შეიძლება, რომ ეს მოქმედებაც ხელფასის გადახდად იქნეს დაკვალიფიცირებული. ამდენად, ასეთ დროს, პრეფერენციული მოთხოვნა (ამ მიმართულებით) აღარ იარსებებს. აღნიშნულის მაგალითად შეიძლება მოვიაზროთ შემთხვევა, როდესაც დამსაქმებლის შვილისგან/ოჯახის წევრისგან/სათანადოდ დაახლოებული პირისგან ხდებოდა ხელფასის ოდენობის გადარიცხვა დასაქმებულის ანგარიშზე და თუ ამ მოქმედებას **პერმანენტული** ხასიათი ჰქონდა.⁴⁵² ასეთივე შედეგები დადგება, თუ დასაქმებული ხელფასს (მსგავს ოდენობას, ხელფასის მიღების დროს) იღებდა დამსაქმებელთან დაკავშირებული სხვა საწარმოდან,⁴⁵³ ასევე, უშუალოდ პარტნიორის ან დირექტორის პირადი ანგარიშიდან და სხვ. ამდენად, საჭიროა, რომ თითოეული გარემოება ასაბუთებდეს არსებულ მოცემულობას.


27.02.2014, 6 AZR 367/13). ეს საქმე საკონსტიტუციო განხილვის საგანიც შეიქმნა, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული ქმედება კონსტიტუციურად ცნო. იხ. <https://www.hensche.de/Insolvenzanfechtung_von_Arbeitslohn_verfassungsgemaess_BAG_6AZR367-13.html> [25.12.2020].

⁴⁵¹ იხ. <<https://www.ganmarteba.ge/word/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98>> [25.12.2020].

⁴⁵² იხ. BAG, Urt. v. 22.10.2015 – 6 AZR 538/14 (LAG Sachsen – 8 Sa 39/14).

⁴⁵³ იხ. იგივე საქმე.

სქემა №9



კ) სახელმწიფოსგან კომპენსაციის მიღების შესაძლებლობის არ არსებობა

საქართველოში არ მოქმედებს სახელმწიფოს მიმართ მოთხოვნის დამყენებელი წინაპირობა/ნორმა, რომელიც ამ უკანასკნელს დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში გარკვეულ კომპენსაციას/სოციალურ დახმარებას⁴⁵⁴ მოსთხოვდა.⁴⁵⁵ ე.წ. სოციალური დაზღვევა ამ კონტექსტში არ გვხვდება. შესაბამისად, მხოლოდ ინდივიდუალური დაზღვევით (შრომითი ურთიერთობის კონტექსტში) შეიძლება მიეცეს პირს არსებული მდგომარეობისთვის ანაზღაურება.

11.2.8. ახალი შეთანხმება

ახალი შეთანხმების ქვეშ მოიაზრება შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებით ახალი ხელშეკრულების დადება (ასევე, არსებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა). ახლებური შეთანხმება შეიძლება ნებისმიერი შინაარსის მატარებელი იყოს. ვთქვათ, იგი განსაზღვრავდეს დასაქმებულისთვის მეტი ვალდებულების დაკისრების საკითხს (რეაბილიტაციის რეჟიმისას), რაც თანამდებობრივ დანიშნულებაშიც გამოიხატება. ასევე, პირიქით, მაგალითად, განახევრებულ სახელფასო განაკვეთს, რომლის პარალელურადაც, რეაბილიტაციის რეჟიმის გათვალისწინებით, მოიხსნება შეზღუდვა კონკურენტ დამსაქმებელთან შრომითი ურთიერთობის დამყარების თაობაზე.

11.2.9. რიგითობა

შრომითი საქმიანობა, რომელიც რეაბილიტაციის მმართველის, ზედამხედველისა და კრედიტორთა კომიტეტის საქმიანობასთანაა დაკავშირებული, რეაბილიტაციის ხარჯებში ექცევა და უპირატესად დაკმაყოფილების უფლებით სარგებლობს.⁴⁵⁶ უშუალოდ დასაქმებულთა უფლებების კონტექსტში გამოსარჩევია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 81-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვით, პრეფერენ-


⁴⁵⁴ არ იგულისხმება სოციალური დახმარების ის სახეობები, რომელიც კანონითაა მოწესრიგებული და რომელშიც შეიძლება ასევე მოეცეს დასაქმებული. ასეთი შემთხვევა სპეციალურ კატეგორიათა ჯგუფს განეკუთვნება.

⁴⁵⁵ მაგალითის მოყვანა შესაძლებელი დიდი ბრიტანეთის ჭრილში, სადაც ასეთი მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობა დასაშვებია. იხ. <<https://www.nidirect.gov.uk/articles/your-rights-if-your-employer-insolvent>> [25.12.2020].

⁴⁵⁶ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

ციული მოთხოვნები ერთმანეთს შორის თანაბარი რიგითობით ხასიათდება.⁴⁵⁷ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისას, სასამართლოსთვის სავალდებულოა, რომ პრეფერენციულ ვალებზე პრიორიტეტის საკითხი სწორად იყოს განსაზღვრული. წინააღმდეგ შემთხვევაში, გეგმის დამტკიცება დაუშვებელი იქნება.⁴⁵⁸


სქემა №10



კანონის 104-ე მუხლის მიხედვით, გაკოტრების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის მასის განაწილებისას, შრომითსამართლებრივ საკითხზე ორ ასპექტზეა ყურადღება გამახვილებული: ა) გაკოტრების რეჟიმის ხარჯების ფარგლებში, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე ხარჯები და ბ) პრეფერენციული მოთხოვნები. დასაქმებულების უფლებამოსილება, როგორც პრეფერენციული მოთხოვნის მქონე პირების შემთხვევაში, კრედიტორთა შორის პირველი რიგითობით განისაზღვრება⁴⁵⁹.

⁴⁵⁷ გარდა საგამონაკლისო დათქმისა.
⁴⁵⁸ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.
⁴⁵⁹ არსებობს გამონაკლისიც, რომელზეც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის შესაბამის ნორმებშია გაწერილი.

სქემა №11



11.3. გადახდისუნარობის საქმის წარმოება სამოქალაქო სამართლის ქრილში

კერძოსამართლებრივი გარიგებებიდან დაწყებული, დასრულებული პროცესუალური წინაპირობებით, გადახდისუნარობის საქმის წარმოების მიმდინარეობას გააჩნია ცალკეული განმტობები, რა დროსაც, მტკიცედ უნდა იქნეს დაცული სხვადასხვა ძირითადი პრინციპები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოსაყოფია სამოქალაქო კოდექსში მოცემული დათქმები, რომელიც ისეთ აქტუალურ თემებს ეხება, როგორცაა: უფლების ბოროტად გამოყენება, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი და სხვ. აღნიშნულის პარალელურად კი, პროცესუალური საკითხები პოვებს განსაკუთრებულ ასახვას, რომლის ფარგლებშიც ცალკეული სამართლებრივი ასპექტები ინდივიდუალურად განისაზღვრება.

11.3.1. უფლების ბოროტად გამოყენება და ზიანის ანაზღაურება

სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი კეთილსინდისიერების პრინციპს განსაზღვრავს, ხოლო 115-ე მუხლი დათქმას აკეთებს უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობაზე. გადახდისუნარობის საქმის წარმოებასთან მიმართებით, ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმდენად, რამდენადაც შესაბამისი პირის ქმედებამ (რომელიც შეიძლება ზღვარგადასულ მოქმედებაშიც გამოიხატოს) შესაძლებელია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომა გამოიწვიოს.

პრობლემის აქტუალურობა განსაკუთრებით თვალშისაცემია იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ქართული კანონმდებლობა შენარმე სუბიექტის რეგისტრაციისას არ ითვალისწინებს სავალდებულო საწესდებო კაპიტალის წესს. შესაბამისად, ვთქვათ პირის მიერ დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (კაპიტალის გარეშე), შემდეგ მან აიღო სესხი, დადო გარიგებები და ა.შ. ისე, რომ ვერ დაფარა თითოეული მათგანი (ვერ შეასრულა ვალდებულება ჯეროვნად), ეს შეიძლება შემდგომში გახდეს მისთვის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძველი. უმთავრესია, რომ დამტკიცდეს, რომ განხორციელებული ქმედება (დადებული გარიგება) მიმართული იყო არა საწარმოს საქმიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ იმისთვის, რომ ზიანი მიდგომოდა მას ან არ მომხდარიყო შემდეგ კრედიტორების დაკმაყოფილება შესაბამისი წესით.

მოცემულ შემთხვევაში საინტერესოა ის, თუ ვინ იქნება სუბიექტი, რომელსაც დაეკისრება ზიანის ანაზღაურება? საწარმო თუ პირი, რომელმაც საწარმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელა ეს ქმედება? ამ საკითხზე მსჯელობა მოცემულია ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ ნაწილში.

11.3.2. შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების შეუძლებლობა

ერთი შეხედვით, სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების საფუძველს წარმოადგენს გადახდისუუნარობის არსებობა. თუმცა, უშუალოდ საქმის წარმოების ასპექტებიდან გამომდინარე, აღნიშნული ვერ იქნება მხედველობაში მიღებული და მიჩნეული, როგორც უპირობო საფუძველი რამდენიმე მიზეზის გათვალისწინებით: შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საფუძველი მაშინ გვხვდება, როდესაც გარემოებები ხელშეკრულების დადების შემდეგ ისე შეიცვალა, რომ მას არ დადებდნენ მხარეები წინასწარვე მათთვის ცნობილი რომ ყოფილიყო. თავის მხრივ, გარემოებების ცვლილება დაფუძნებულია ობიექტურ ფაქტორებზე. ასეთი ფაქტორები კი გადახდისუუნარობის შემთხვევაში არ გვხვდება.⁴⁶⁰ მითუმეტეს, როდესაც კრედიტორის დაკმაყოფილების წინაპირობა კანონითვეა გათვალისწინებული.⁴⁶¹ სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ადგილი არ აქვს ნების ორმხრივ გამოვლენას, რაც ახლებური პირობების შეჯერების საფუძველი შეიძლება გახდეს.

11.3.3. ხელშეკრულებიდან გასვლის/ხელშეკრულების მოშლის შედეგები

ხელშეკრულებიდან გასვლის ან ხელშეკრულების მოშლის (შენწყვეტის) უფლება მხარეს კანონით (ხელშეკრულებით) განსაზღვრულ შემთხვევებში გააჩნია.⁴⁶² ამ მხრივ, მნიშვნელოვან

⁴⁶⁰ ლოგიკურად, აქ არ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც მხარეები ახლებური პირობებით მიაღწევენ განსხვავებულ შეთანხმებას.

⁴⁶¹ ერთ-ერთ საქმეში მხარე თავის მოთხოვნას აფუძნებდა იმ გარემოებაზე, რომ მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა განპირობებული იყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოებით, რაც არ დაკმაყოფილდა საკასაციო ინსტანციის (ასევე, აპელაციის) მიერ. ამ მხრივ, პარალელი საინტერესოა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებასთან, ვინაიდან ობიექტური და გონივრული საფუძვლის არსებობა სამართლებრივ შედეგზე პირდაპირ გავლენას ახდენს. იხ. უზენაესი სასამართლოს განჩინება, 06.12.2010, №ას-907-855-2010.

⁴⁶² იხ. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის შემთხვევასთან დაკავშირებული პრაქტიკა: უზენაესი სასამართლოს განჩინება, 05.12.2008, №ას-448-690-08.

ნია გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან პარალელის გავლება დამდგარი შედეგის გათვალისწინებით: „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 57-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია სპეციალური შემთხვევა, რომელიც მორატორიუმის დამატებითი გამოყენების შედეგებს განსაზღვრავს. აღნიშნული ნორმა სამოქალაქო კოდექსის დათქმებთან მიმართებით უპირატესი მნიშვნელობის მატარებელია, შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის/მოშლის შემთხვევაში უპირველესად უნდა მოხდეს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის დათქმით ხელმძღვანელობა.

11.3.4. იპოთეკა და გირავნობა

უზრუნველყოფილია კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც უზრუნველყოფილია იპოთეკით ან გირავნობით. მათი უფლებრივი მდგომარეობა კანონში განმტკიცებულია შესაბამისი სახით.⁴⁶³ აღნიშნული გამოიხატება, მაგალითად, უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებების შეუღახავად რეაბილიტაციის ხარჯების დაკმაყოფილებაში (იხ. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტი). განსაკუთრებით გამოსარჩევია უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებრივი მდგომარეობა განჩინების მიღების შემდეგ პერიოდზე, როდესაც მათ უპირატესობა ენიჭებათ სხვა (ახალ) კრედიტორებთან მიმართებით.

უზრუნველყოფილი კრედიტორის დაცვის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი, რომელიც იპოთეკისა და გირავნობის ნაწილშია განსახილველი, მოწესრიგებულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 87-ე მუხლის მე-4 პუნქტში, სადაც შესაბამისი წინაპირობის არსებობის შემთხვევაში ყველა სანივთო უფლების გაუქმებაზე ყურადღება გამახვილებული.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის/გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანისთანავე ავტომატურად ამოქმედდება მორატორიუმის ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებს აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, რომელიც საგადასახადო კოდექსითაა გათვალისწინებული (ახალი კანონის 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს გაკოტრების მმართველს უზრუნველყოფილი ქონების იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზით რეალიზაციის მოთხოვნით.⁴⁶⁴ თუ რეალიზაციის გზით ამონაგები თანხა აღემატება პირველი რიგის კრედიტორის მოთხოვნას, მაშინ ამ თანხით მომდევნო რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორი დაკმაყოფილდება და დარჩენილი თანხა მიიმართება გადახდისუუნარობის მასაში. ამასთან, თუ უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება ასეთ შემთხვევაში ვერ მოხდა, დაუკმაყოფილებელი ნაწილი აისახება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

⁴⁶³ იხ. მაგალითად, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

⁴⁶⁴ გარდა იმ შემთხვევისა, თუ აუქციონის ჩატარების წესთან მოდის აღნიშნული წინააღმდეგობაში.

აღნიშნულისგან დამოუკიდებლად, თუ სახეზეა საგადასახადო კოდექსით საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებით დატვირთული ქონების რეალიზაციის შემთხვევა, რეალიზაციის გზით ამონაგები თანხით დაკმაყოფილება მოხდება უზრუნველყოფის ღონისძიების რიგითობის შესაბამისად.

11.3.5. პირობადებული საკუთრება

პირობადებული საკუთრებიდან გამომდინარე ქონების განკარგვის წესი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ნაწილში ერთგვარ ნოვაციას წარმოადგენს. მაგალითად, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 75-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, რეაბილიტაციის მმართველი შესაბამისი თანხმობის გარეშე არ არის უფლებამოსილი, განკარგოს მოვალის ქონება. ამასთან, პირობადებული საკუთრების ობიექტი, რომლის შესყიდვის უფლებაც აქვს მოვალეს, არ შედის გადახდისუუნარობის მასაში.⁴⁶⁵

თუ ქონება პირობადებული საკუთრების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მოვალის სარგებლობაშია და მას ყველა უფლება გააჩნია ამ ქონებაზე, სასამართლოს უფლება აქვს, განჩინებით მისცეს რეაბილიტაციის მმართველს/ზედამხედველს უფლებამოსილება, განკარგოს იგი.⁴⁶⁶

11.3.6. პირგასამტეხლო

პირგასამტეხლოს საკითხი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტში გვხვდება, სადაც სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის სპეციალური შემთხვევაა განსაზღვრული.⁴⁶⁷ თუ ზოგად სტანდარტებს დავყრდნობით,⁴⁶⁸ პირგასამტეხლოს შემცირება ეფუძნება გარკვეულ გარემოებებს,⁴⁶⁹ რომლი-

⁴⁶⁵ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁶⁶ ორი ასპექტია გასათვალისწინებელი: ა) ასეთი უფლებამოსილება სასამართლოს გააჩნია, თუ მოხდება შესაბამისი მიმართვა და ბ) სასამართლო უფლებამოსილია, რომ მინიმალური საბაზრო ღირებულება განსაზღვროს, რომლითაც მოხდება ქონების განკარგვა. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი იცნობს აღნიშნული საკითხის ნეგატიურად მონესრიგების შემთხვევასაც (იხ. 57-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

⁴⁶⁷ ხშირად, კანონში პირგასამტეხლოს საკითხი უშუალოდაა განერილი, რომელიც კანონისმიერ პირგასამტეხლოდ მიიჩნევა (რაც, თავის მხრივ, სპეციალური მონესრიგებით ხასიათდება, მათ შორის, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლთან მიმართებითაც. იხ. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 06.05.2015, №ას-1158-1104-2014). მოცემული შემთხვევა არ უნდა მივიჩნიოთ კანონისმიერი პირგასამტეხლოს რაიმე სახის გამოვლინებად, არამედ, პირგასამტეხლოს გამოთვლის/დაკისრების სპეციალურ წესად უნდა მოვიაზროთ იგი.

⁴⁶⁸ კერძოდ, საუბარია პრინციპზე, რომ კომპანიისთვის სანქციის დაკისრებამ ეს კომპანია არ უნდა მიიყვანოს გადახდისუუნარობის რეჟიმამდე. იხ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020, გვ. 252. ასევე, პირგასამტეხლოს ფუნქცია არ შეიძლება იყოს პირის გამდიდრება (სარგებლის მიღება), არამედ მას სანქცირებითი ხასიათი გააჩნია. იხ. *ჯორბენაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 420, ვნ. 1.

⁴⁶⁹ იხ. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 26.12.2011, №ბს-1522-15011(კ-11).

თაც ხელმძღვანელობს მოსამართლე.⁴⁷⁰ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის შემთხვევაში კი, ასეთ წინაპირობას/გარემოებას კანონი მოსამართლეს პირდაპირი წესით სთავაზობს.

11.3.7. თავდებობა

თავდებობასთან დაკავშირებით, აქცენტი სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს, რომლის ფარგლებშიც თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობაა მოცემული. კერძოდ, თავდების მიმართ მოთხოვნის წაყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა გამართლებულად, თუ ძირითადი მოვალის გადახდისუუნარობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება.⁴⁷¹ საპროცესოსამართლებრივად მოსარჩელის (კრედიტორის) მტკიცების ტვირთია მოვალის გადახდისუუნარობის ფაქტის არსებობის განსაზღვრა.⁴⁷²

11.3.8. ტერმინის „საცილო“ განმარტება სპეციალური კანონის მიზნებისთვის

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის VIII თავი საცილო ქმედებებს ეხება.⁴⁷³ ტერმინილოგიური თვალსაზრისით, აღნიშნული განსხვავდება სამოქალაქო კოდექსით განწერილი საცილო ქმედებებისგან და არ მოიცავს აუცილებლად შეცდომით, მოტყუებით ან/და იძულებით დადებული გარიგების შემთხვევას, არამედ იგი აერთიანებს იმ დათქმებს (ჩამონათვალს), რომელიც მოცემულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 65-ე მუხლში.

11.4. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და სამენარმეო სამართალი

სამენარმეო საქმიანობა პირდაპირ კავშირშია გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან, რა დროსაც შესაძლებელია, რომ ინდივიდუალურ შემთხვევასთან გვქონდეს საქმე (მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში). საკითხის მეტად თვალსაჩინოდ ჩამოყალიბებისთვის, მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, საკანონმდებლო მოწესრიგება, ხოლო, მეორე მხრივ ის, თუ რა ასპექტებს შეიძლება წავანყდეთ პრაქტიკაში. ამ მხრივ, ნაშრომში მოცემულია ყველაზე არსებითი წინაპირობანი.

11.4.1. სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია

გადახდისუუნარობის საქმის წარმოება მენარმე სუბიექტებში „მენარმეთა შესახებ“ კანონის 5¹ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანის წინაპირობას განსაზღვრავს.⁴⁷⁴ ეს მოცემულობა განპირობებულია საჯარო რეესტრის ამო-

⁴⁷⁰ იხ. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 30.01.2017, №ას-684-655-2016.

⁴⁷¹ *მესხიშვილი*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020, გვ. 38.

⁴⁷² იქვე.

⁴⁷³ დეტალურად ამ თემასთან დაკავშირებით იხ. წინამდებარე ნაშრომის შესაბამის ნაწილში განვითარებული მსჯელობა.

⁴⁷⁴ კანონის პროექტით გათვალისწინებულია მისი მოწესრიგება „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში.


ნაწერში შესაბამისი ინფორმაციის არსებობის აუცილებლობით, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია კომპანიის შესახებ და არ შევიდეს შეცდომაში საქმის მიმდინარეობისას.

სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, საჯარო რეესტრში არსებულ მონაცემების მიმართ კანონიერი ნდობა უნდა გაუჩნდეს ნებისმიერ პირს. ეს შეიძლება იყოს საწარმოს მომავალი პარტნიორი ორგანიზაცია, ხელშემკვრელი მხარე (რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობის ჭრილში გადაწყვეტს ურთიერთობის დაწყებას) და სხვ.

11.4.2. ლიკვიდაციის პროცესის მიმართება გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან

ლიკვიდაციის პროცესი განსხვავდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისგან. ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილებას არ იღებენ კრედიტორები, არამედ უშუალოდ იურიდიული პირის პარტნიორები (იხ. „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი). ლიკვიდაციის პროცესში არ გვხვდება საწარმოს საქმიანობის გაგრძელებისკენ მიმართული ქმედება. მაგალითად, რეაბილიტაციის გეგმის მსგავსი ინსტიტუტი. ამ მხრივ, გამოსაყოფი რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანი:

სქემა №12



გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია „მენარმეთა შესახებ“ კანონის 5¹ მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც, გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შემთხვევაში „მენარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე დაწყებული ლიკვიდაციის პროცესი წყდება. აღნიშნული ხაზს უსვამს გადახდისუუნარობის საკითხების უპირატესობას ლიკვიდაციასთან მიმართებით.

11.4.3. რედომიცილება

საწარმოს რედომიცილების შეუძლებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში მიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმის წარმოება. ეს შეიძლება ეხებოდეს როგორც გაკოტრების პროცესს, ისე რეაბილიტაციას. ამ მხრივ, თუნდაც რეაბილიტაციის გეგმა ითვალისწინებდეს რედომიცილებას, „მენარმეთა შესახებ“ კანონით აღნიშნული დაუშვებელი იქნება.⁴⁷⁵ ასეთ დროს „მენარმეთა შესახებ“ კანონი წარმოადგენს სპეციალურ კანონს (რედომიცილებასთან მიმართებით) და სწორედ მისი დანაწესი უნდა იქნეს გავრცელებული.

11.4.4. ცალკეულ მენარმე სუბიექტთა შემთხვევა

ა) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების შემთხვევა

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა („მენარმეთა შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი⁴⁷⁶) და კომანდიტური საზოგადოების („მენარმეთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტი⁴⁷⁷) შემთხვევაში, თუ მათ მიმართ დაწყებულია გადახდისუნარობის საქმის წარმოება, საწარმოს მიმართ ხორციელდება შესაბამისი რეორგანიზაციის ღონისძიებები, რომელიც მოცემულია „მენარმეთა შესახებ“ კანონის 14⁴ მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტებში. თითოეულ შემთხვევაში, ასეთი წინაპირობის არსებობა ეფუძნება იმ მიზანს, რომ დაცულ იქნეს კონკრეტული ორგანიზაციის (მენარმის) ინტერესი (არ მიადგეს მას ზიანი, არ დაზიანდეს მისი ქონება, დაცულ იქნეს სხვა სიკეთეები და ა.შ.).

ბ) სააქციო საზოგადოების შემთხვევა

სააქციო საზოგადოების მაგალითზე „მენარმეთა შესახებ“ კანონის 53³ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს აქციების გამოსყიდვის დაუშვებლობას.⁴⁷⁸ ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ ან ა) გამოსყიდვის მომენტში საწარმო არ აკმაყოფილებს საკანონმდებლო პირობებს ან ბ) ასეთი პირობები შეიძლება აქციათა გამოსყიდვის შედეგად წარმოიშვას. ეს დათქმა ემსახურება იმ მიზანს, რომ აქციონერმა აქციათა გამოსყიდვა არ გამოიყენოს საწარმოს, კრედიტორების ან მესამე პირის საზიანოდ. იმ შემთხვევაში, თუ მაინც მოხდა აქციათა გამოსყიდვა, მაინც არის შესაძლებელი, რომ აქციონერის უფლებები არ გავრცელდეს ამ აქციებზე⁴⁷⁹.

⁴⁷⁵ „მენარმეთა შესახებ“ კანონის პროექტის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

⁴⁷⁶ „მენარმეთა შესახებ“ კანონის პროექტის 112-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁷⁷ „მენარმეთა შესახებ“ კანონის პროექტის 115-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁷⁸ იხ. „მენარმეთა შესახებ“ კანონის პროექტის 163-ე მუხლის მე-5 პუნქტი და 181-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁴⁷⁹ „მენარმეთა შესახებ“ კანონის პროექტში მოცემულია, ასევე, დამატებითი პირობების სააქციო საზოგადოების შემთხვევაში: ა) 171-ე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი: განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადანყვებილების მიღების დაუშვებლობა, თუ საზოგადოება გადახდისუნარო აღმოჩნდება ან ასეთი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება აქციონერთათვის საზოგადოების მიერ თანხის გადახდის ან მათთვის სააქციო საზოგადოების სხვა ფასიანი ქაღალდების გადაცემის შედეგად; და ბ) 183-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი: დივიდენდის გაცემის დაუშვებლობა, თუ საზოგადოება (გახდება გადახდისუნარო) გადახდისუნარობის საფრთხის წინაშეა.

11.4.5. ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობა“

ტერმინი „გამჭოლი პასუხისმგებლობა“ არ წარმოადგენს საკანონმდებლო დონეზე დანერგულს. იგი სათავეს იღებს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან,⁴⁸⁰ რომელიც ერთ-ერთ პირველ შემთხვევაში საგადასახადო თემასთან დაკავშირებულ საკითხს შეეხო.⁴⁸¹ „მენარმეთა შესახებ“ კანონის შემთხვევაში, „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ საკითხი ხელმძღვანელობის მიმართ შეიძლება რომ გავრცელდეს (მე-9 მუხლი).⁴⁸² ამ მხრივ მნიშვნელობა ენიჭება თითოეულ მენარმე სუბიექტს და მის რაობას.

ა) გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერების განზოგადება

„მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით მოცემული კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების ვალდებულება ზოგადი ხასიათის დათქმის მატარებელია. შესაბამისად, შეუძლებელია იმ წინაპირობების ზუსტი განწერა, თუ რას მოიცავს იგი. თითოეულ შემთხვევაში, გულისხმიერება/კეთილსინდისიერება ინდივიდუალური მაგალითიდან (გარემოებიდან) უნდა გამოდინარეობდეს. ამ მხრივ, კანონშივე მოცემული სიტყვები „მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის“, წარმოადგენს უზოგადესი განმარტების საკითხს. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონზე დაყრდნობით, ასეთ ქმედებად ჩაითვლება მაგალითად შემთხვევა, როდესაც შეცილების მოწინააღმდეგე მხარე დაამტკიცებს, რომ იგი მოქმედებდა ჩვეულებრივ სამენარმეო ურთიერთობის კონტექსტში, ან დაასაბუთებს, რომ მისი აქტივობა კონკრეტულ სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს შეესაბამებოდა.⁴⁸³ ამ დათქმით დაცულია შესაბამისი პირის უფლებამოსილების ფარგლები, განიოს რისკი, დადოს გარიგება, ან შევიდეს ბიზნესურთიერთობაში, რომელიც მისი შეხედულებით (და კეთილსინდისიერებისა თუ გონივრულობის პრინციპებთან შესაბამისობით) არ მოდის წინააღმდეგობაში საერთო მიზანთან: არ იყენებს ბოროტად უფლებამოსილებას ან არ მოქმედებს საზოგადოების საზიანოდ.

ამდენად, დირექტორის (ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის) ქმედება არ უნდა ატარებდეს იმგვარ ხასიათს, რომ ამით ზიანი ადგებოდეს კრედიტორს. კრედიტორისთვის ზიანის მიყენების ფაქტი კი ყოველ შემთხვევაში ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით უნდა დადასტურდეს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, დაუშვებელია, რომ ერთი და იგივე ქმედება ყველა შემთხვევაში ანალოგიურად დაკვალიფიცირდეს.


⁴⁸⁰ ამ საკითხზე განვითარებული მსჯელობისთვის იხილეთ მაგალითად, უზენაესი სასამართლოს განჩინება, 07.10.2016, №ას-692-663-2016.

⁴⁸¹ იხ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 06.06.2015, №1307-1245-2014.

⁴⁸² „მენარმეთა შესახებ“ კანონის პროექტით, 51-ე და 52-ე მუხლის ფარგლებში, საკითხი უფრო ფართოდაა მოწესრიგებული.

⁴⁸³ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 65-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

სქემა №13



ბ) მოთხოვნა გადახდისუუნარობის მასის სასარგებლოდ

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ შემთხვევაში, საკითხის განხილვა ორ ასპექტში უნდა მოხდეს: მოთხოვნა დადგება ინდივიდუალურად კრედიტორის, თუ გადახდისუუნარობის მასის სასარგებლოდ. კანონმდებლობა, ასეთ შემთხვევაში, სპეციფიურ მონესრიგებას არ იცნობს. შესაბამისად, საკითხი მსჯელობის საგანია. მეტი თვალსაჩინოებისთვის, განვიხილოთ ორივე შემთხვევა: ა) **ინდივიდუალური მოთხოვნა** – ასეთი მოთხოვნის დაყენებისას იკარგება ე.წ. „ცენტრალიზებული მოქმედების“ პრინციპი და ბ) **გადახდისუუნარობის მასის სასარგებლოდ განხორციელებული ქმედება** – „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის პრინციპებზე დაყრდნობით, ეს უკანასკნელი შეიძლება უფრო ახლოს იდგეს ლოგიკასთან: არა ცალკე დავის წარმოება, არა საერთო ინტერესისგან გამიჯნულად, არამედ მასის მიზნებისკენ მიმართული ქმედება (მით უმეტეს, თუ იგი ძირითადი ვალდებულებისგან გამომდინარეობს).

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 65-ე მუხლის არსი გადახდისუუნარობის მასის სასარგებლოდ განსახორციელებელ მოქმედებებს ეხება. კერძოდ, მის მიზანს კრედიტორთა ინტერესების დაცვა წარმოადგენს. ამ მუხლზე დაყრდნობით კი, შეიძლება მკაფიო მიმართულების განსაზღვრა – კოლექტიური დაკმაყოფი-

ლების ინტერესი.⁴⁸⁴ მოთხოვნის არსიც ხომ, ამ შემთხვევაში, კრედიტორთა დაკმაყოფილებაა, რომლებსაც არ უნდა უწევდეთ ცალკე დავის წარმოება.

11.4.6. გადახდისუნარობის თაობაზე განცხადების გაკეთება

„მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტი გადახდისუნარო ან ასეთი საშიშროების წინაშე მდგომი საწარმოს შემთხვევას განსაზღვრავს. ასეთ დროს, დათქმა ითვალისწინებს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირებისგან ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ ასეთი მომენტიდან არაუგვიანეს სამი კვირის ვადისა, გააკეთონ შესაბამისი განცხადება. ბრალეული გაჭიანურების განმარტება კავშირშია „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტში განწერილ პირობასთან, რომელიც კეთილსინდისიერების პრინციპზე დადის. შესაბამისად, მიიჩნევა შემდეგი, რომ თუ გონივრულ ფარგლებში მოქმედებენ პირები (გულისხმობენ ვკიდებიან საკითხს), მაშინ მათი ეს ქმედება არ მიიჩნევა დარღვევად.

11.4.7. პროკურისტის პასუხისმგებლობა

სავაჭრო ურთიერთობებში ხშირია შემთხვევა, როდესაც საწარმოს წარმომადგენს პროკურისტი. ასეთ დროს, მნიშვნელოვანია მისი უფლებების სწორად განსაზღვრა. „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლი პროკურისტს ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს. შესაბამისად, არსებობს შესაძლებლობა, რომ პროკურისტის მოქმედებამ გამოიწვიოს სხვისთვის ზიანის მიყენება. რა მოხდება ასეთ დროს? იმის გათვალისწინებით, რომ პროკურისტი შესაბამისი პირის სახელით მოქმედებს, ასეთ დროს ადგილი აქვს სამოქალაქო კოდექსის 103-ე და შემდგომი მუხლების არსებობას. თუმცა, მესამე პირისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება, რომ პროკურისტის პასუხისმგებლობაც განისაზღვროს. მაგალითად, თუ მან დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება, რომლის უფლებამოსილებაც არ გააჩნდა და ა.შ.

11.4.8. პარტნიორისა და დირექტორის შეზღუდვა

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 75-ე მუხლი მე-6 პუნქტით, თუ არ იქნა რეაბილიტაციის მმართველის თანხმობა, მოვალის არც ერთ პარტნიორსა და დირექტორს არ აქვს უფლება, განახორციელოს მოვალის ხელმძღვანელობა ან წარმომადგენლობა. ამდენად, მათ ეზღუდებათ მოქმედების თავისუფლება, რაც გამოიხატება ნებისმიერი გარიგების დადებაში (მათ შორის, შრომითი ხელშეკრულების), მესამე პირებთან მოვალის სახელით გამოსვლაში (თუნდაც დაწყებული ჰქონდეს მოლაპარაკების პროცესი თუ სხვ.) და ა.შ. თანხმობა, რომელსაც რეაბილიტაციის მმართველი გასცემს, შეიძლება იყოს ზოგადი ან სპეციალური. შესაბამისად, გაიწერება უფლებამოსილების წესი, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრება დასაშვებობა.⁴⁸⁵

⁴⁸⁴ მით უმეტეს, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში. იგივე, კომპლემენტარებთან მიმართებით.

⁴⁸⁵ თავისი ბუნებით აღნიშნული ძალიან ნააგავს მინდობილობის საკითხს, როდესაც დეტალურად ან განზოგადებულად ენიჭება პირს უფლებამოსილება, განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა.

11.5. გადახდისუნარობისა და საგადასახადო სამართლის მიმართება

საგადასახადო საკითხები გადახდისუნარობის კონტექსტში არსებით როლს თამაშობს. მაგალითად, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადახდისუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მიზნებისთვის, საპირისპიროს დამტკიცებამდე, ივარაუდება, რომ მოვალე გადახდისუნაროა, თუ მოვალის მიმართ განცხადების შეტანამდე არანაკლებ 30 დღის განმავლობაში მოქმედებს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიება.

საგადასახადო ვალდებულებები არ ქარწყლდება, თუ მოვალის მიერ იგი წარდგენილია თაღლითურად, მოტყუებით ან გადასახადისთვის განზრახ თავის არიდების მიზნით.⁴⁸⁶ ეს კი ნიშნავს, რომ დარღვევის აღმოფხვრა რეაბილიტაციის გეგმის საშუალებით დაუშვებელია. კერძოდ, რეაბილიტაციის გეგმა, თავის თავში, არ გულისხმობს უკანონო მოქმედებისთვის კანონიერი სტატუსის მინიჭებას.

11.5.1. მორატორიუმი

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის მიხედვით, გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის/გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანისთანავე ავტომატურად ჩერდება და აღარ დაიშვება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები (გირავნობა, იპოთეკა და სხვა), ასევე, ჯარიმისა და საურავის დარიცხვა/გადახდა, გარდა საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის/გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე სასამართლო განჩინების გამოტანის შემდგომ პერიოდში წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების დაფარვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებებისა.

11.5.2. შემოსავლების სამსახური, როგორც კრედიტორი

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 82-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, თუ ერთ-ერთი კრედიტორი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურია, მისი თანხმობა გაცემულად ითვლება, თუ რეაბილიტაციის გეგმის პროექტი ითვალისწინებს საგადასახადო მოთხოვნების ძირი თანხის სრულად დაკმაყოფილებას რეაბილიტაციის გეგმის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად მოთხოვნათა თანაბარზომიერი დაკმაყოფილების გზით.

11.5.3. საგადასახადო მოთხოვნები და დავალიანება

უზრუნველყოფილი კრედიტორის დაცვის არსის გათვალისწინებით, თუ ერთი და იგივე ქონება ერთზე მეტჯერ არის იპოთეკით/გირავნობით დატვირთული, ასეთი ქონების რეალიზაციით

⁴⁸⁶ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

ამონაგები ფულადი თანხები მიემართება უზრუნველყოფილი მოთხოვნების, მათ შორის, უზრუნველყოფილი საგადასახადო მოთხოვნების, დასაკმაყოფილებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.⁴⁸⁷

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 105-ე მუხლი იცნობს უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების წესს, რომლის მე-3 პუნქტის მიხედვითაც, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებით დატვირთული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში, რეალიზაციის გზით ამონაგები თანხით დაკმაყოფილება მოხდება უზრუნველყოფის ღონისძიების (მათ შორის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების) რეგისტრაციის რიგითობის შესაბამისად.

11.5.4. რიგითობა

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104-ე მუხლი გაკოტრების შემთხვევაში გადახდისუუნარობის მასის განაწილების წესს იცნობს. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ჯერ გადაიხდება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების რეჟიმის დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები; აღნიშნულის შემდეგ კრედიტორთა ჯგუფები, რომელთა შორისაც პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები მეორე რიგს იკავებს (დასახელებული მუხლის „გ.ბ“ ქვეპუნქტი). მეოთხე რიგადაა მონესრიგებული საგადასახადო კოდექსით დარიცხული ჯარიმები/საურავები (რომელიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე. იხ. დასახელებული მუხლის „გ.დ“ ქვეპუნქტი).

საგადასახადო კოდექსი გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან მიმართებით რამდენიმე ასპექტს იცნობს. უპირველესი საკითხი, რომელზეც ყურადღება გასამახვილებელი, ხანდაზმულობის ვადაა. საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული სამწლიანი ვადის შეჩერება ხდება სასამართლო განჩინების (გადაწყვეტილების) მიღებიდან შესაბამისი რეჟიმის დასრულებამდე (იმავე მუხლის მე-10 ნაწილი). გარდა აღნიშნულისა, გამოსაყოფია გადასახადისგან გათავისუფლების, ცრუმაგიერობის, დეკლარაციის წარდგენისა და სხვა საკითხები.

11.5.5. გადასახადისგან გათავისუფლება გაკოტრების რეჟიმის მიმდინარეობისას

საინტერესოა საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „პ“ ქვეპუნქტის განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც, გაკოტრების რეჟიმის დაწყების შემდეგ, გაკოტრების რეჟიმში მყოფი პირის მიერ მიღებული შემოსავალი თავისუფლდება ფიზიკურ პირთა სა-

⁴⁸⁷ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 87-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

შემოსავლო გადასახადისგან.⁴⁸⁸ ეს ნიშნავს, რომ წარმოების მიმდინარეობისას მიღებული ნებისმიერი ოდენობა არ ექვემდებარება 20%-იან დაბეგვრას. თავისი არსით, ანალოგიური დათქმა მოცემული მოგების გადასახადთან მიმართებით: საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტით, ასეთი გადასახადისგან გათავისუფლებაა გაკოტრების რეჟიმის მიმდინარეობისას გათვალისწინებული.

11.5.6. დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებანი

დეკლარაციების წარდგენის ვალდებულებას „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 99-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს. ამ კანონში მითითებული პერიოდი შესაბამისობაში მოდის საგადასახადო კოდექსში მითითებულ ვადებთან (საუბარია თხუთმეტდღიან ვადაზე). იმ შემთხვევაში, თუ პირის მიერ დარღვეული იქნება ეს ვალდებულება, მაშინ მას პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 165¹⁰ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით (დაჯარიმდება 500 ლარის ოდენობით), ხოლო თუ იგი ამ ქმედებას განმეორებით ჩაიდენს, მაშინ – 1 500 ლარის ოდენობით (165¹⁰ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით).

საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს გაკოტრების რეჟიმში მყოფი საწარმოს დეკლარაციის წარდგენის წესს, რომლისთვისაც თხუთმეტდღიან ვადას აწესებს (საგადასახადო კოდექსის 153-ე მუხლის 5¹ ნაწილი). ასეთ დროს გადასახადის გადამხდელის ვალდებულება განისაზღვრება იმით, რომ წარადგინოს შემდეგი დეკლარაციები: ა) გაკოტრების რეჟიმის დაწყებამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წარუდგენელი დეკლარაციები. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების რეჟიმის დაწყების შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად საშემოსავლო/მოგების გადასახადის დეკლარაციას არ წარადგენს და ბ) გაკოტრების რეჟიმის დაწყებამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისი, შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ წარუდგენელი დეკლარაციები.⁴⁸⁹

11.5.7. დამატებული ღირებულების გადასახადი

გადახდისუნარობის მასის რეალიზაციისას საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელ პირს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე დღგ-ის გამოანგარიშებისა და გადახდის ვალდებულება წარმოეშობა.⁴⁹⁰ აღნიშნულის პარალელურად, საგადასახადო კოდექსის 161¹ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გადახდისუნარობის მასის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციის შემთხვევაში, ეს ქმედება იბეგრება დღგ-ით (ბიუჯეტში თანხის გადახდის ვალდებულება ეკისრება რეალიზაციის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირს).

⁴⁸⁸ იქვე, „31“ ქვეპუნქტი, რომელიც ფიზიკური პირის მიერ გაკოტრების რეჟიმში მყოფი პირისგან დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის წესს განსაზღვრავს.

⁴⁸⁹ გადასახადის გადამხდელი გაკოტრების რეჟიმის დაწყების შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად ვაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ დეკლარაციას არ წარადგენს.

⁴⁹⁰ საგადასახადო კოდექსის 165² მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

თავის მხრივ, საგადასახადო კოდექსის 165¹ მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დღგ-ის გადახდელად რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს რეჟიმის დაწყება წარმოადგენს. რეაბილიტაციისას კანონი ანალოგიურ საფუძველებს არ ითვალისწინებს.

შესაბამისად განისაზღვრება დღგ-ის დეკლარაციის წარდგენის საკითხიც: საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გაკოტრების რეჟიმის დაწყების შემდეგ პირი აღარ წარადგენს შესაბამის დეკლარაციებს, თუმცა გაკოტრების შესახებ სასამართლო განჩინების ძალაში შესვლიდან თხუთმეტი დღის ვადაში განისაზღვრება ვალდებულება, საგადასახადო ორგანოს წარედგინოს გაკოტრების რეჟიმის დაწყებამდე წარუდგენელი დეკლარაციები.⁴⁹¹ ანალოგიური დანაწესი გვხვდება ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენასთან მიმართებითაც (საგადასახადო კოდექსის 205-ე მუხლის 10¹ ნაწილი).

11.5.8. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა და საურავის დარიცხვის საკითხი

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნითაა დასაშვები საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება (საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის მე-5 ნაწილი). შესაბამისად, საგადასახადო ორგანო მოკლებულია ვალდებულებას, იქამდე განახორციელოს რაიმე სახის მოქმედება.

ამ მხრივ, გასათვალისწინებელია საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, შესაბამისი რეჟიმის (მაგალითად, რეაბილიტაციის, ან გაკოტრების რეჟიმის) დაწყებიდან ამ რეჟიმის დაწყებამდე არსებულ საგადასახადო დავალიანებებზე საურავის დარიცხვა წყდება. საურავი არ ერიცხება, ასევე, გაკოტრების რეჟიმის დაწყების შემდეგ წარმოშობილ საგადასახადო დავალიანებას⁴⁹².

11.5.9. ცრუმაგიერი პირი

ცრუმაგიერი პირის დადგენის პრეროგატივა სასამართლოს გააჩნია. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში შესაძლებელია გამოიკვეთოს ცალკეული გარემოებები, რომელიც ასეთი წინაპირობის არსებობაზე მიუთითებს. შესაბამისად, განისაზღვრება ასეთ დროს მოთხოვნა, რომელიც ცრუმაგიერ პირად აღიარებას შეეხება. ეს შეიძლება როგორც თვალთმაქცური გარიგების, ისე სხვა ქმედების ჩადენისთვის მოხდეს. ამდენად, ცრუმაგიერობის საკითხთან მიმართებით გამოიყენება საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის დანაწესი.

11.6. საერთაშორისო კერძო სამართალი და გადახდისუუნარობა

საერთაშორისო გადახდისუუნარობის ნაწილი ნოვაციაა ქართულ სამართლებრივ სივრცეში. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის XII

⁴⁹¹ საილუსტრაციოდ იხილეთ საქმე, რომელშიც აღნიშნული დიფერენცირება სამართლებრივ შედეგთან შესაბამისობაშია მოსული: უზენაესი სასამართლოს განჩინება, 07.10.2016, №ს-692-663-2016.

⁴⁹² საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის 31 ნაწილი.

თავი, თავისი ბუნებით, სპეციალური მონესრიგების საკითხს ეხება, რაც საერთაშორისო წარმოების დამაკონკრეტებულ ნორმად გამოდგება. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გასამახვილებელია კანონის 111-ე მუხლზე, რომელიც უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების შემთხვევაში, შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებას გულისხმობს.⁴⁹³ კერძოდ, უპირატესობა ენიჭება იმ ქვეყნის მონესრიგებას, სადაც მდებარეობს უძრავი ნივთი.

11.6.1. შრომითი ურთიერთობების მონესრიგება

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 112-ე მუხლი შრომითი ურთიერთობების მონესრიგებას ეხება, რომლის მიხედვითაც, დასაქმების საკითხები იმ ქვეყნის სამართლით უნდა მონესრიგდეს, რომელიც შრომითი ურთიერთობის რეგულირებისთვის გამოიყენება. აღნიშნული შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც შრომითი ხელშეკრულებიდან, ისე ურთიერთობის არსიდან. განვიხილოთ სამი კოლიზიური პრინციპი:

ა) **გამოსაყენებელი სამართლის მითითება უშუალოდ შრომით ხელშეკრულებაში ხდება** – ასეთ შემთხვევაში, დავის წარმართვისას, სწორედ, მხარეთა ნების ავტონომიას ენიჭება უპირატესობა და მათი შეთანხმებიდან გამომდინარე ხდება საკითხის მიკუთვნება შესაბამის იურისდიქციას.⁴⁹⁴ ბ) **სამუშაო ადგილის მიხედვით ხელმძღვანელობა**⁴⁹⁵ – ასეთ შემთხვევაში, შესასრულებელ სამუშაო ადგილს მიენიჭება უპირატესობა. ვთქვათ, თუ ასეთ ადგილად მიიჩნევა საქართველოში კონკრეტული ტერიტორია, კანონის 112-ე მუხლიც აღნიშნულის პროპორციულად განიმარტება. გ) **დამსაქმებლის ადგილმდებარეობა და შესაბამისი კანონმდებლობა** – ვთქვათ, თუ დასაქმებულს ხელშეკრულებაში არ აქვს მითითება კონკრეტულ მონესრიგებელ კანონმდებლობაზე, ასევე, თუ არ გააჩნია მას ერთი კონკრეტული სამუშაო ადგილი, მაშინ დამსაქმებლის ადგილმდებარეობა და, აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა იქნება მხედველობაში მიღებული.⁴⁹⁶

საკმარისია, ქართულ კანონმდებლობაზე გაკეთდეს აქცენტი, რომ აუცილებლად მხედველობაში იქნება მისაღები „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 38-ე მუხლი, რომელიც სოციალური დაცვის იმპერატიულ ნორმებს განსაზღვრავს და რომელიც დასაქმებულთა ინტერესის დასაცავად სამართლის არჩევის ცალკეულ წესს ბათილად მიიჩნევს.

11.6.2. კრედიტორის უფლებები და ვალდებულებანი

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 113-ე და 114-ე მუხლები კრედიტორის უფლებამოსილებაზე აკეთებს აქცენტს: პირველ მუხ-

⁴⁹³ პარალელის გავლება შეიძლება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან – განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია.

⁴⁹⁴ იხ. მაგალითად, *ტაკაშვილი/გადრანი*, შრომითი სამართლის კოლიზიურსამართლებრივი ასპექტები ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში, ზურაბ ახვლედიანი 80, საიუბილეო გამოცემა, 2013, გვ. 112.

⁴⁹⁵ „Lex loci laboris“.

⁴⁹⁶ იხ. *გეგერიძე/ვრდელიშვილი*, საერთაშორისო შრომის სამართლის შესახებ, „მართლმსაჯულება და კანონი“, N3(22) 2009, გვ. 105.

ლში საკითხი ეხება გაქვითვას. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება დროში უპირატესობას: გაქვითვაზე უფლებამოსილება წარმოიშვა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნამდე, თუ შემდეგ. რაც შეეხება 114-ე მუხლს, ის სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ნაწილში კრედიტორის უფლებამოსილებას განსაზღვრავს, ერთდროულად მოახდინოს რეგისტრაცია/დადგენა. ამასთან, მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის უფლებაა განერილი 114-ე მუხლის მე-2 პუნქტში, იმავე მოვალის მიმართ კრედიტორთა რეესტრში აღრიცხული მოთხოვნა უცხო ქვეყანაში მიმდინარე გადახდისუუნარობის საქმის ფარგლებში დაარეგისტრიროს.⁴⁹⁷ კანონის მიხედვით, ეს პირობა მხოლოდ მაშინაა ძალაში, თუ ამას ითვალისწინებს შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა.

იმისთვის, რათა კრედიტორის მოქმედება არ გასცდეს კერძოსამართლებრივ პრინციპებს, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 115-ე მუხლი მისი ვალდებულების საკითხზე აკეთებს აქცენტს: მიღებული უკან დააბრუნოს. აღნიშნული დანაწესი ემსახურება მიზანს, რათა დაცულ იქნეს გადახდისუუნარობის მასის ინტერესი და არ მოხდეს კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრება. კრედიტორის მიმართ მოქმედებს ვალდებულება, მიაწოდოს ინფორმაცია მმართველს/რეაბილიტაციის ზედამხედველს/რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველს, თუ ამ უკანასკნელთა მიერ შესაბამისი მოთხოვნა იქნა მის მიმართ წარდგენილი.

11.6.3. საზღვარგარეთ გახსნილი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ცნობა

სპეციალური მოწესრიგებაა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 116-ე მუხლში, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, უცხო ქვეყანაში გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილების ცნობისთვის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის ნორმების გამოყენება ხდება. ცნობა დასაშვებია თუ გადაწყვეტილება ეხება: ა) საქართველოში არსებულ უძრავ ქონებას ან/და კრედიტორებს. ამდენად, საქმე ცნობის ეტაპს გადის საქართველოს უზენაეს სასამართლოში. თითოეულ შემთხვევაში, სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნეს მტკიცებულებები, რომელსაც ის დაეყრდნობა. სხვა სიტყვებით, მხოლოდ გადახდისუუნარობის (უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად) საკითხის არსებობა შეიძლება არ გახდეს შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი.⁴⁹⁸ ასეთ დროს, ყურადღება ექცევა მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბებას და უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებულ სამართლებრივ დოკუმენტს.

გარდა ფორმალური წინაპირობისა, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 116-ე მუხლის მე-2 პუნქტი შინაარსობრივ შემზღვევებსაც აწესებს. ასეთი კი ორია: „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონისა და „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის პრინციპებთან შეუსაბამობა. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი საჯარო წესრიგს განსაზღვრავს, რომლის მიხედვითაც, საქართველოში არ გამოიყენება უცხო ქვეყ-

⁴⁹⁷ კრედიტორს უნარჩუნდება უფლებამოსილება, თავიდანვე ან მოგვიანებით გაიხმოს ამგვარი რეგისტრაცია.

⁴⁹⁸ იხ. უზენაესი სასამართლოს განჩინება, 18.02.2019, №ა-652-შ-20-2019.

ნის სამართლის ნორმები, თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. ის, თუ რა შეიძლება აღნიშნულში იქნეს მოაზრებული, კონკრეტული შემთხვევის განხილვის საგანია. წინდანიწვე ფორმალური ჩამონათვალი, ამ თვალსაზრისით, შეუძლებელია, რომ არსებობდეს. ამავე კანონში არსებობს გარემოებანი, რომელიც შეიძლება დამატარკოლებელი გახდეს განმცხადებლისთვის. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილია ის წინაპირობანი, რომელთა არსებობის დროსაც დაუშვებელი იქნება ასეთი მოქმედების განხორციელება.

არარეგისტრირებული სანარმოს შემთხვევაში, სპეციალურ დათქმას იცნობს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტი: თუნდაც მის მიმართ რეგისტრაციის ქვეყანაში მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, საზღვარგარეთ წარმოებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ გადაწყვეტილების ცნობა არ გამოორიცხავს საქართველოში განცალკევებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნას 117-ე მუხლის შესაბამისად.⁴⁹⁹

11.6.4. უცხოური სანარმოს გაკოტრება

კანონის მიზნებიდან გამომდინარე, უცხოური სანარმოს ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი სანარმო, რომელიც არ არის საქართველოში იურიდიულ პირად ან ფილიალად რეგისტრირებული. საქართველოს სასამართლოს იურისდიქციაც იმ შემთხვევაში გამომდინარეობს, თუ არარეგისტრირებული სანარმოს მთავარი ინტერესების ცენტრი საქართველოშია ან ის ფლობს ქონებას საქართველოში.⁵⁰⁰


უცხოური სანარმოს გაკოტრება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონით მოწესრიგებული პრინციპები (წინაპირობები). საქართველოში ხშირია შემთხვევა, როდესაც საზღვარგარეთ რეგისტრირებული სანარმო სამეწარმეო საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 117-ე მუხლის მე-6 პუნქტი აღნიშნული სუბიექტის მიმართ გაკოტრებაუნარიანობის წინაპირობებს ადგენს, თუ რეგისტრაციის ქვეყანაში განხორციელდა მისი ლიკვიდაცია, რეესტრიდან ამოიშალა ან სხვაგვარად შეწყვიტა არსებობა.


უცხოური სანარმოს გაკოტრების ფარგლებში, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ სასამართლოს ან/და გაკოტრების მმართველის მიერ გამოყენებულ იქნეს ყველა ის უფლება, რაც გათვალისწინებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ფარგლებში რეგისტრირებული სანარმოს მიმართ. ამ შემთხვევაში, კანონი აკონკრეტებს მიზანს, რომელსაც წარმოადგენს მართვა. თავის მხრივ, „მართვაში“ შეიძლება მოვიანროთ როგორც განზოგადებულ პრინციპებზე დაფუძნებული, ისე უშუალოდ სანარმოს ფუნქციებიდან/საქმიანობიდან გამომდინარე სპეციალური ქმედება.

⁴⁹⁹ პროცედურული ნაწილის შესახებ იხ. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 117-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁵⁰⁰ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 117-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

სქემა №14





ISBN 978-9941-8-3152-2



9 789941 831522

